ISSN 0235-8417

3

2012

paraleli

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

sa l i teratur o-samecnier o Jurna l i

p a r a l e l i

3

2012

ვულოცავთ!

ამა წლის 14 თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით რექტორად აირჩია პროფესორი **არჩილ ივერის ძე ფრანგიშვილი.**

სახელგანთქმული მეცნიერი, გულისხმიერი მოქალაქე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, უმაღლესი განათლების უანგარო ორგანიზატორი _ ასე იცნობს ბატონ არჩილს უნივერსტეტის მრავალათასიანი კოლექტივი.

ვულოცავთ ახალგაზრდა მეცნიერს და თანამედროვე ტექნიკურ მეცნიერებაში ყოველგვარი პროგრესული სიახლის დამკვიდრებისათვის თანამიმდევრულ მებრძოლს _ არჩილ ფრანგიშვილს დამსახურებულ აღიარებას.

UDC-უაკ
001.92

მთავარი რედაქტორი: **r e v a z m i S v e l a Z e**

სარედაქციო კოლეგია: მერაბ ახობაძე
გიორგი გაჩეჩილაძე
ჯემალ გახოკიძე
ვახტანგ დავითაია
ივანე თვალავაძე
იგორ კვესელავა
მიხეილ კიწმარიშვილი
ჰენრი კუპრაშვილი
შალვა ნაჭყებია
ვაჟა პაპასკირი
გიორგი სალუქვაძე
სოსო სიგუა
(რედაქტორის მოადგილე)
არჩილ ფრანგიშვილი
ქეთევან ქოქრაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე
ბადრი ცხადაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
თემურ ჯაგოდნიშვილი
მეუფე ანანია ჯაფარიძე

ყდის დიზაინერი **ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ა ვ ი თ ა ი ა**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა
ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;
ვებ-გვერდი: www.jurnali-paraleli.gtu.ge
ISSN 0235-8417; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru

გთავაზობთ:

poezia

იური აბზიანიძე
ირმა კეცხოველი
შოთა ლეჟავა
ნანა მიქიაშვილი
ლიკა მუკბანიანი
შორენა კოტორაშვილი
ნესტორ რეხვიაშვილი
ნანა ბაიდაური
ნათია მესხიშვილი

proza

ზურაბ ჯოხარიძე
ქეთი თელია
როზა გაფრინდაშვილი
თეა ხაჩიძე

qarTuli sufris lazaTi

რევაზ მიშველაძე
თამაზ ფიფია

misi udidebulesoba profesionalizmi

ინტერვიუ
ვახტანგ დავითაია

naTargmni

ოსკარ უალდი - ერთგული მეგობარი (თარგმნა ზურაბ ხასაიამ)

werilebi

იგორ კვესელავა
რევაზ მიშველაძე
იური ბიბილეიშვილი
ვაჟა შუბითიძე
ჰენრი კუპრაშვილი
ბადრი ცხადაძე

გიორგი ხეოშვილი
თეიმურაზ ფანჯიკიძე
ეკა ყუფუნია - ცხადაძე
გიორგი ტალახაძე
მერაბ კელენჯერიძე
ემილია ალავერდოვა
ხათუნა ჩაფიჩაძე
ედიშერ გვენეტაძე
მარიამ მარჯანიშვილი
გიორგი იაკობაშვილი
ნიკოლოზ კიწმარიშვილი
თამაზ ნუცუბიძე
მადლენა კოწოწაშვილი
ეთერ შამანაძე
ქეთევან მუხიგული
ანა ვაშაკიძე

debiuti

თეონა აბაშიძე

iuri abzianiZe

საამყარო ვისთვის იწყება ღმერთით.
ვისთვის ნოეთი;
- ჩემთვის პოეტით.

dedaqa l aqi

ავდევნებივარ ფარფატა პეპლებს,
მოვფერებივარ ლურჯთვალა იებს,
ეს გული შენზე ლოცვაში ვფერფლე,
ოცნების რაშით ლოცვაში გდიე.

გავჯიბრებივარ ჩანჩქერის ჩქერას,
შევჭიდებივარ ბუმბერაზ ლოდებს,
შენ განაცვალებ ამ გულის ძგერას,
ოღონდაც შენ ერთს გფლობდე და გფლობდე.

ხარ ჩემი კერპი და ჩემი მექა,
მივეფერები შენი მზის ლივლივს.
ვიდრე ცოცხალ ვარ, ყოველთვის, ყველგან,
შენი ტრფიალით ვივლი და ვივლი.

თბილისო - ჩემო დედაქალაქო.

*

* *

როს ანთიხარ, კიდეც უნდა იწვოდე.
ანათებდე შენს წილ არე-მარეს,
თუ რა გინდა, ზედმიწევნით იცოდე,
დღეის საქმე არ აკეთო ხვალე.

mrwamsi

სივრცის იმ ნაწილს, იმ ფერთა გამას,
იმ მთებს, იმ მინდვრებს, დეკას და ღვიას,
სადაც ცხოვრობენ დედა და მამა,
შვილის თვალებით - სამშობლო ჰქვია...

მერე თვით ხდება დედა ან მამა...
შვილებს აჩვენებს მშობლების საფლავს,
მიწას, რომელსაც ცრემლებით ნამავს,
მერე, სულ მერე მამულად ნათლავს.

xalxuri poezia

ლექსს წაიკითხავ და აგამღერებს,
აპრილს მოგანდომებს ყვავილ-მზიანს,
იქ, უცნობ პატარას მოგაფერებს,
მეზობელს გასძახებს ღობეზიარს.

ურწმუნოს ქვეყნისკენ მოახედებს,
მრავალ გულს განკურნავს აუგ-ზნიანს,
მოყვასს კი ღვთისმშობელს შეავედრებს,
გულზვიადსაც გახდის თავაზიანს.

მამულს და მშობელ ხალხს გიმზეგრძელებს,
დუშმანს მიაყენებს ვნება-ზიანს.
დედას და ცოლ-შვილსაც გიდღეგრძელებს
და გჯერა ცხოვრება ლამაზია.

ერს შეგაყვარებს, რუსთველის გამჩენს,
მომავალს განდომებს ნათელ-გზიანს,
რით სუნთქავს ერი, მსწრაფლ წარმოაჩენს,
ეს არის ანკარა პოეზია.

medea jafariZis xsovnas

ჩვენი თაობის ეშხი და კრძალვა,
სცენის და კინოს ზურმუხტის თვალი,
ჰაეროვანი, სუფთა და ალვა,
გ ა ნ ს ა ც ვ ი ფ რ ე ბ ლ ა დ ლამაზი ქალი.

ბილიკს აუყვა, მიმავალს ცაში,
მიწაზე ტოვა ნათელი კვალი,
ჩვენ გავაცილეთ ცრემლით და ტაშით
გ ა ნ ს ა ც ვ ი ფ რ ე ბ ლ ა დ ლამაზი ქალი.

წავიდა ჩვენგან, - რა ძნელად ითქმის,
სულმა გაკვეთა ციური რკალი,
მოგვენატრება სპეტაკი ფიფქი,
გ ა ნ ს ა ც ვ ი ფ რ ე ბ ლ ა დ ლამაზი ქალი.

e v r i k a

ცის კაბადონზე ასე წერია,
როცა ღვთის ნებით იხსნება ფარდა,
ყოვლის მომცველი არაფერია,
სიცოცხლის გარდა.

ცხოვრება მართლაც მშვენიერია,
რომელსაც ყველა ჩვენს თარგზე ვრანდავთ,
მარადიული არაფერია,
სიკვდილის გარდა.

ორ პოლუსს შორის მოქცეულია
ხილულ სამყაროს ხიბლი და მრწამსი,
სიკვდილ-სიცოცხლე სასწაულია
თავისი არსით.

?!

რაო, დედაო?
დედა მოიცდის.
...დედა, შვილებზე გადადებული.
უკითხავს ვინმეს?
თუ რას განიცდის.
დედა დაღლილი და გალეული.
. . .
ჟამთა სიმკაცრით გაცრეცილო დედავ საბრალო,
და მაინც შენში ირეკლება მთელი სამყარო.

kaxeTisken wamo

გაჭირვებას გამრჯე კაცი წამლობს,
ალაზანიც კაცის ხელით რთველობს,
შემოდგომით კახეთისკენ წამო,
მოიხილე ტკბილი საქართველო.

ქადილით და კვეხნით არ აავსო,
კახელივით გული აქართველე,
მეგობრობას ზღუდე არა აქვსო,
ასე უთქვამთ დინჯ და ბრძენ კახელებს.

თქვენს სუფრაზე ლხინი არ მწყინდება,
ტკბილო ხალხო, გულღიავ და ქველო,
გაბრწყინდება, ნაღდად განრწყინდება,
საჯილდაო, ჩვენი საქართველო.

mona liza

აამოძრავე კაცობრიობა,
სამყაროს ჭიპად აქციე ლუვრი,
ისე გიხდება ბუნებრიობა,
მთელი მსოფლიო შენს ღიმილს უვლის.

ხარ ათრთოლება ჯადოსნურ სიმის,
ოდენ შენს ღიმილს ძეგლსაც უდგამენ,
შემოგხედავენ, შენს ირიბ ღიმილს
სუვენირივით ისაკუთრებენ.

გაგითავისა ადამის შვილმა,
გიცქერს და თითქოს რაღაცას ელის,
როგორ დაგხატა იმ დალოცვილმა,
ასე უცნობი და მშვენიერი.

დაუცველი არსება

მცდელობა არის ეს მონაგარიც, მუსიკა, ხატვა, მეცნიერება,
ლექსთწერა, ფიქრი და ყოვლისშემძლე, ღარიბ ნათესავივით
თავიდანვე რომ დაგებედება.
მეცნიერება მიედინება და გზას პოულობს, ხან შეგაჯანჯღარებს,
ხან კიდევ სცოდავს, მაგრამ ხომ მაინც მიედინება.
ხელოვნება კი ამგვარად არის – მუზა მოგივლის, როგორც გუნება,
ზოგს შეიწყალებს, ხანაც მარტო შობს.
მუსიკის ჰანგი შემოევლება – ერთსა და მეორეს, შემდეგ გაქრება,
და უფრო ახლოს, უფრო სწრაფად გადაეფინება მიწაზე მდგომს.
ადამიანი კი მოაზროვნეა, ფიქრობს და წყვეტს ვის მიეკედლოს,
გვიან რომ ფიქრობს სამწუხაროა, ადრე რომ ფიქრობს არ დამცალდაო.
გამოცდილება ჩვენ კი გვკარნახობს, ჭირ-ვარამი და ავბედითობა ყველას
ხვედრია, ყველას ერგება. მაგრამ შემოქმედს, თუ გაუმართლებს,
ანდამატივით თავს მოევლება.
მოკვდავი მაინც სუსტი რამ არის;
იგი ყოველმხრივ დაუცველია,
ასე რად არის?

გამეორებული გაკვეთილი?

სწავლაო სიბერემდის, გავლაო ორმოც წლამდე,
შთაგონებული დედით და მამით, პაპა და ბებო
ყოველთვის გვახსოვს,
და მართლაც წლები და ბევრი წლები
ისე გვაშორებს იმ გაკვეთილებს.
ვიმეორებდით სონეტის ფრაგმენტს, როცა წააგავს ჩამოქნილ სიმებს,
და კიდევ იმ დროს, როცა ვსწავლობდით
ჩვენს გაკვეთილებს.
გულში კი ვამბობთ, იმ გაკვეთილებს?
ცხოვრებისეულს?
ხშირად რომ ვახსენებთ?
ალბათ შენც გიჭირს გულისტკივილით,
როს გაიხსენებ იმ გაკვეთილებს.
დედა და მამა, პაპა და ბებო – გაკვეთილები არის სათუო,
და იცით რატომ, თაობის ცვლაში ის გაკვეთილი არ მეორდება.

როგორც გენებოთ

როგორც გენებოთ, ასე რად ისმის,
როგორც გენებოთ, ასე რად არის,
როგორც გენებოთ, ისე მწარეა
როგორც გენებოთ, ასე არ მინდა.
როგორც გენებოთ, ისევ ის მინდა,
როგორც გენებოთ, ისევ ის მესმის?
როგორც გენებოთ, ისევ მანდა ხართ?
როგორც გენებოთ, თქვენით ვიყავი.
როგორც მე მნებავს, ისე არა ვარ,
როგორც მე მნებავს, ისევ მახსოვხართ,
როგორც მე მნებავს, ისევ ის მოჩანს,
როგორც მე მნებავს, ისევ აქა ვარ.
როგორც მე მნებავს, ჩვენ გვიხაროდეს,
როგორც მე მნებავს გაგვაგებინეთ,
როგორც მე მნებავს, ყველა სულისთქმა,
როგორც მე მნებავს? მინდა მიყვარდეთ.

თანამედროვე ოროველა

ოროველა შემოსძახე, ბიჭო, გვაგვიანდება,
ჭერი თავზე არ დაგვენგრეს,
ნუთუ არ გედარდება?
ოროველა შემოსძახე, ბიჭო, გვაგვიანდება,
თოკი შენკენ რომ მოსწიე
ნეტავ ღონე გეყოფა?
ოროველა შემოსძახე, ბიჭო, გვაგვიანდება;
სხვები წყალსაც წაუღია,
ჭერი თავზე გვენგრევა;
ოროველა შემოსძახე, ბიჭო, გვაგვიანდება,
შენი ვარ და, არა სხვისა,
ნუთუ არ გედარდება?
მოდი ახლოს, ნუ გარბიხარ,
თორემ გვაგვიანდება,
ბიჭავ, მოდი, ბიჭავ, ჩქარა, ყველგან გვაგვიანდება;
რაღაც მოჩანს, რაღაც ფრინავს,
გვიანდება,
ღამდება.

კოლაჟი

ვუძღვნი ჩვენი დროის გმირებს

შეფერილი ცხოვრებით გვიცხოვრია აქამდე,
ნაირ-ნაირ ფერებით შევიმოსეთ ბგერებით,
თითქოს უფრო ხმამაღლა ავიტაცეთ სერებიც,
თავქვე როცა დავეშვით და მოვეშვით ფერებით,
შეიკრიბნენ თავიდან ბერები და დევები,
შეფუცხუნდნენ კერები, და იბარტყეს გერებით,
გაუმართლდათ? შეეხნენ ხელებით და ფეხებით,
შეუკურთხეს ერთმანეთს დენებით და გენებით,
საუცხოო ლაჟვარდებს უქილიკეს ენებით;
ბგერებით და ფერებით,
სერებით და დევებით,
გერებით და ფეხებით,
დენებით და გენებით,
იქით-აქეთ გორებით,
ენებით და ჭორებით,
გ ა დ ა რ ი ე ს ქ ვ ე ყ ა ნ ა

მე ვარ

მიწა ვარ სამყაროსი,
მიწის მტვერი ვარ სამყაროსი,
ცა ვარ სამყაროსი,
ქარი ვარ სამყაროსი,
წყალი ვარ სამყაროსი,
ცეცხლი ვარ სამყაროსი,
მთის წყარო მოწანწკარე,
ბალახი ვარ სამყაროსი,
საწყისი ვარ სამყაროსი,
ბოლოც მე ვარ სამყაროსი.

პოეზია, მუსიკა და ფერწერა

მე ასე ვფიქრობ და ვწერ: ლექსებს
მე ასე ვხედავ და ვხატავ: ფერწერას
მე ასე მესმის და ვქმნი: მუსიკას.

მე ვწერ მომავალი საუკუნეების ლექსებს.
მე ვხატავ მომავალი საუკუნეების ფერწერას.
მე ვქმნი მომავალი საუკუნეების მუსიკას.

ასეთია სამყაროში
სამი მცნება ხელოვნების
პოეზია, ფერწერა და
მუსიკა კი ღელვა ვნების.

* * *

ეს ცხოვრება სიზმარია,
ის სამყარო _ ზღაპარი,
მისტიკური აუხსნელი
იდუმალი, რამ არის
დაიბნევი, სით გასწიო;
იმ მხარით თუ ამ მხარით,
მზეს შეხედე მაღლა ცაზე,
წამოსულა სამხარი.
შეიცვალე მხარი შოთა,
თორემ კვიბრი მზად არი.

მშობელო დედავ!

ნუ სწუხარ, დედა, გაუშვი შვილი, ასწავლე ფრენა, ფრენა გედისა.
დე ინავარდოს, თავის ნებაზე, ნუ შეაწუხებს დარდი დედისა.
ოხ, ვინ განსაჯოს ბოდვა ღვთიური, იესოს სიტყვა ჯვარცმის გოდება,
სიკვდილ-სიცოცხლის გზას ვინ გაგვყაროს, რა შეცოდება, რის შეცოდება.
ნუ სწუხარ, დედა, კვლავ შევიყრებით, როცა სიკვდილის დადგება ბედი,
მაგრამ იმ ქვეყნად, მე მაინც გიცნობ, მომაგონდება, მე ფრენა გედის.
გულზე მეცემა წვეთები ცრემლის, ეს ცრემლებია, ცრემლები დედის,
მე შენი სახე, მშობელო დედავ, სიცოცხლეშივე სულ მუდამ მდევდა.
ნუ დაიჯერებ, მე მართლაც გიცქერ. გიცქერ, როცა შენ ვეღარა მხედავ.
მშობელო დედავ, თვალცრემლიანი, მოვალ და მომაქვს დარდი და სევდა.

* * *

არ გჯეროდათ ჩემი არვის
არც კალმის და არც ფუნჯისო,
ახლა მაინც დაიჯეროთ
ენა ბლუს და ყრუ-მუნჯისო.

ღმერთო, შოთა, ცაში არის,
ღმერთმა იცის ვინა ხარო.
ამ ლაფდასხმულ საუკუნეს
თავი უნდა შეაფარო.

გადაივლის წარღვნა, ძვრები...
გადაივლის ქარიშხალი
თუ დარჩება ქვეყნად ვინმე,
აინთება ცეცხლის ალი.

ისევ, ისევ, ისევ, ისევ,
ისევ, ისევ, ისევ, ისევ,
ჟამთა საუკუნეების
დარდებს, შოთა, რატომ ისევ.

ვიწამოთ თუ არ ვიწამოთ

2012-2036 წლამდე

წარსული
ძაღლი ყეფდა, ქარავანი
მიდიოდა თავის გზითო.
აწმყო
ქარავანი ახლაც მიდის
და ძაღლიც ყეფს თავის ხმითო.
მომავალი
ორიათასს ოცდათექვსმეტს
გზა არა ჩანს არც ერთ მხრითო,
აღარ მიდის ქარავანი,
ძაღლიც არ ყეფს თავის ხმითო,
ფრინველები ადრე ფრენდნენ,
აღარ ფრენენ თავის ფრთითო.
დასაჯდომი ვეღარ ნახეს,
დაფარულა თურმე წყლითო.

ჩვენი გალაკტიონი

მე და გალაკტიონი,
შენ და გალაკტიონი,
ის და გალაკტიონი,
ჩვენ და გალაკტიონი,
ყველას გალაკტიონი,
მაინც გალაკტიონი,
მარტო გალაკტიონი,
„ჩვენი გალაკტიონი".

nana miqiaSvi l i

ლექსო მომძებნე

ოქროსფერია სიცოცხლე,
მწვანით იფარება სევდა,
ლურჯია ერთგულება,
ბოროტება რა ფერია ნეტავ?
იისფერია სინაზე,
ცბიერება რა ფერია ნეტავ?
არ გესმის, ჩემო ლამაზო?
მალე დამიწყებ ძებნას.

დღეების ბიოგრაფია

ვინ, ვინ? უყვავილო ლეღვის ჯიშო და მოდგმავ,
წითელი ვარდის ნისკარტის მკვნეტო,
მწვანე ბავშვობის ყავისფრად მღებო,
ერთგული ფოთლის კედელზე მხვრეტო,
ფერთა წერაში ვერ გნახე ვერსად,
მხატვრის სალონში ხელობის სიცხევ,
ჯანსაღ ცხოვრების ვერცხლის იუდავ,
თეთრი სიცილით ვერ ჩამენაცვლე,
წადი, გამცილდი!

Lika mukbaniani

ცხოვრების გაკვეთილი

ცხოვრება მწარეა და ,,მესაფლავეა''
ცხოვრება ტანჯვაა ,,მერი'' და ,,ღამეა''
ცხოვრების ცრემლები და ,,ლურჯა ცხენები''
სად ჩემი აზრები და სად შენი ფერები.
და ცისარტყელები ათასფერები,
ნაირ-ნაირი მინდორ-ველები,
შექმნილი ლექსები ნატანჯი ხელებით,
ხორცი დათრგუნული, სული ჩამუხლული
ტანჯვით და ვაებით.
სადღაც ,,მესაფლავე'' წარსულს ასაფლავებს,
აწმყოს ასამარებს თავად ბოროტება,
მწველი სიცივე ტკივილს აასმაგებს,
მომავალს აღარ დარჩა ტკბილი მოგონება.

* * *

ტკივილი ტკივილს ემატება,
ტანჯვა _ ვაებას,
გაივლის დრო და ყველაფერი
წარსულს გაჰყვება.
ფერი ფერს შეცვლის,
ტყეს სამოსიც ბევრჯერ გაძვრება,
გველი ხვრელიდან ხან ამოძვრება
და ხან ჩაძვრება.
გაივლის ხანი მხრებს სიმძიმე
კვლავ დააწვება,
ქარიც, გრიგალიც გადაივლის
ხანაც ჩადგება,
ხან გაწვიმდება, ხან გრუხუნი
თავს დაგვატყდება,
მტერს კი საშველი არასოდეს
არ დაადგება!

ოკეანე და წამი

სიზმარივით გაიარა ცხოვრებამ,
ჩამიქროლა, როგორც ტოტებს ქარმა,
მთის მწვერვალზე ავიდა და
უეცრად შემომხედა და უკვალოდ გაქრა.
გაქრა, როგორც შემოდგომის ვარსკვლავი,
მოციმციმე, უსასრულო ზღვაში
და უეცრად მოწყვეტილი ნამივით,
ოკეანეს შეუერთდა წამი.

მტირალა . . .

მტირალა მწერალი მაგიდას უჯდა და
ცრემლებს ღაპა-ღუპით ღვრიდა,
მტირალა ღრუბელი ცას შემოკვროდა და
წვიმას წვრილ-წვრილად ცრიდა,
მტირალა ბავშვი კი ჯავრიან გულზე
საკუთარ ნერვებს ,,ბრდღვნიდა'',
ყველაფერს გავუძლებ,
მხოლოდ მტირალა სამშობლო აღარ მინდა!

ციდა

დიდია დიდზე დიდი
ჩემი სამშობლო ციდა.
უფრო და უფრო მეტად
მისი დიდება მინდა.

მინდა გაშალოს ფრთები,
გადაუფრინოს ღრუბლებს.
მზის სინათლეზე მუდამ
სითბოს და სხივებს ღვრიდეს.

რომ არ ატირდეს ისევ,
არ იგრუხუნოს მიწამ,
ზეცამ არ გახსნას პირი
და არ წალეკოს წვიმამ.

ულამაზესი მთების
ქათქათა მწვერვალები,

გული ქართული მიწის
გამთბარი მღელვარებით.

გადაიქროლა ქარმა,
გადაიარა მთები,
ჩემო პატარა სამშობლოვ,
ცად ისევ აიჭრები.

* * *

ხტუნვა-ხტუნვით,
ლაწა-ლუწით,
ხრამა-ხრუმით,
კნაწა-კნუწით,
ვაი-ვუით,
ცქმუტვა-ცქმუტვით,
სკუპ-სკუპით
თუ პროშნა-პრუშნით,
ბოღმით, შურით, სიძულვილით,
აღარ გვიყვარს ერთმანეთი.

საქმე დაგვრჩა ერთადერთი
როგორ ვჭამოთ ერთმანეთი!..

Sorena kotoraSvili

დროებითი თავშესაფარი

გაფრინდებიან გაზაფხულზე ჩემი ნატვრები,
ლამაზ ოცნებებს გადაფარავს ნისლი ცისფერი.
ღამე მოუქსოვს დედამიწას ლიბიან საფარს,
დადუმდებიან უცაბედად ჩემი ფიქრები.

წვიმის წვეთები ჩამორეცხავს ნაღვლიან ქუჩას,
ვერ მიმიხვდება გულის ნადებს ქვეყნად ვერავინ.
გარდავიქმნები მოგონებად წლების წიაღში...
გავყვები ღამეს, მშვიდი ფრენით, როგორც მერანი.

როცა მირაჟი გაათენებს მტრედისფერ დილას...
და მზის სხივები მონუსხავენ ბუნების მეჯლისს,
ცაში იფრენენ ყვავილები, როგორც პეპლები,
აცისკროვნდება დედამიწა ათას ფერებით.

დაცვარულ ფოთლებს მარგალიტის ელფერი დაჰკრავს,
ოქროსფერი მზე აელვარდა _ ზეცის ლამპარი,
ნეტავი რატომ ვერ ვიპოვე ამ სამოთხეში?!
ბობოქარ სულის დროებითი თავშესაფარი!

Ꙗ Ꙗ

გამოსათხოვარი

მსურს დავიფიცო მამის სული, დედის მანდილი,
რომ საქართველოს გადარჩენის მქონდა წადილი,
მაგრამ მავანთა არ მადროვეს, არ დამაცალეს
და მშობლიური მიწა ფეხქვეშ გამომაცალეს.

რა დავაშავე? ის, რომ ჩემი ხალხი მიყვარდა?
ის, რომ ქვეყანა თავისუფლებისკენ მიმყავდა?
რომ მონობაში ქართველს მეტი არ ვაცდევინე?
და ბევრს, ჯეელს თუ ბერს თავი კაცად განვაცდევინე?

ან ის ხომ არა, ყალბ მეცნიერს თუ ხელოვანს ნიღაბი რომ ჩამოვაცალე,
მშობელი მხარე ნასუფრალზე, რომ არ გავცვალე,
რომ ქურდს და ყაჩაღს ხალხის ძარცვა აღარ ვაცალე
და საქართველო ავის მსურველ უცხოთაგან ლამის დავცალე,

ან ის ხომ არა, რომ ვისურვე, ქართველში ქართველს რომ ექართველა.
პატიოსნებას და სიყვარულს, რომ ემმართველა,
რომ ბოროტებას სიკეთისთვის დაეთმო ბინა.
უღირსნი აღარ დამდგარიყვნენ ღირსეულთ წინა.

იქნებ ის ვცოდე, ვერ გავზომე მტრის ძალა დიდი,
ქვეყნის ერთგულად მომეჩვენა ბოროტი, ფლიდი,
რას ვიფიქრებდი, მე ხომ ქართველს მოყვარედ ვთვლიდი.

დე, ისტორიამ თქვას ვინ ვიყავი,
ვის ვუწილადე, ვისთან ლუკმა ვერ გავიყავი.
ეხ, ბედო ჩემო, უკუღმართო, ეს რა მიყავი,
ღმერთმა ხომ უწყის მოღალატე მე არ ვიყავი.

მას როდი მწუხვარ, რომ დავმარცხდი მე, პიროვნება,
სულ სხვა სადარდელს შეუპყრია ჩემი გონება,
ქართველი ვეღარ ივაჟკაცებს საქართველოში
ყველა ქურდს, ყაჩაღს, მკვლელს და ბანდიტს დაემონება.

აღარ იფეთქებს სიყვარული ქართველთა შორის,
არც გამრავლება იქნება-ღა ჩვენი ჯილაგის,
ჩვენს სამშობლოში შევიქმნებით სხვებზე მცირედი
და ნურც გვექნება უკეთესი რამის იმედი.

მშვიდობით ჩემო საყვარელო საქართველო, აწღა ყოფილო,
ერთ დროს სიკეთით სხვებისაგან გამოყოფილო.
ვაი, საწყალო ჩემო ერო, ერო ობოლო,
ამ ქვეყნად მტრობამ, შურმა, ბოღმამ მოგიღო ბოლო.

ღმერთმა მიაგოს საკადრისი, ვინც დაგამცირა,
ვინაც ამაყი სული შენში ჩაჰკლა, გასწირა.
თუ მე ვარ ბრალში ჯოჯოხეთის მხვდება ვაება
და თუ სხვა ვინმე - ჩემს სულს ნურვინ მოედავება,

გახსენება

გახსოვს, რა ხარბად ვუცქერდით
ერთურთს თვალებში,
რა უხილავმა ძალამ გადო
ჩვენს შორის ხიდი,
ო, რომ შემეძლოს დაბრუნება იმ
ტკბილ წამებში,
ამ ხიდზე გავლით დღენიადაგ
შენკენ ვივლიდი.
ხომ გახსოვს ერთ დროს სტუმრად მყოფი
შინ ვბრუნდებოდი,
მე შეგნიშნე და შუა გზაზე
წამოგეწიე
ბედნიერების უფსკრულ ზღვაში
აღმოვჩნდებოდი,
რომ ტკბილო წამო, წამით უკან
გამომეწვიე.
გახსოვს ზამთარი, თოვლი გზაზე,
მკაცრი ბუნება,
თითქოს სხვის მიერ შეთხზულ რომანს
რომ გიყვებოდი.
ო, რომ შემეძლოს იმ ტკბილ წამთა
შემობრუნება,
სამარადჟამო შენს ნაკვალევს

გამოვყვებოდი.
ერთ დროს ოჯახშიც გესტუმრე და
ჩანს, გაგაოცე,
ისე წამოველ, ხომ ხელზედაც
ვერ გეამბორე,
შენ მომეწიე და უეცრად
ყბაზე მაკოცე
და განცდა ჩემში ღვთაებრივი
კვლავ ააგორე.
გახსოვს, კი გახსოვს სხვა წამები
ფაქიზი, წმინდა,
ქვენა გრძნობისგან ხელუხლები,
ამაღლებული,
იმ წამთა ხშირად გახსენება
იმიტომ მინდა,
რომ გულში მენთოს ცეცხლი მისგან
შემოგზნებული.
წლები წავიდა, წლები მიდის,
დღენი მცირდება,
ყოველგვარ აწმყოს განურჩევლად
შთანთქავს წარსული,
თუ მომავალი არც არაფერს
აღარ გვპირდება,
სჯობს მოგონებებს ეალერსოს
მშფოთავი სული.

პატარა ლექსი პატარა ხიდზე

ნეტავი კიდევ მაჩვენა
მე ის პატარა ხიდი,
რომელზეც ყოველ გავლისას
თავს მუდამ დაბლა ვხრიდი.
ამ ხიდზე შეგხვდი პირველად,
პირველად მოგკარ თვალი.
მას შემდეგ აღარ გაყრილა
ჩვენი ცხოვრების კვალი.
ნეტავი კიდევ მაჩვენა
მე ის პატარა ხიდი,
რომელზეც სიამვნებით
ყოველდღე გავივლიდი.

ამ ხიდზე ვიგრძენ პირველად
მე მკერდში ცემა გულის,
სიცოცხლის მშვენიერება,
სურნელი გაზაფხულის.
ნეტავი, კიდევ მაჩვენა
მე ის პატარა ხიდი,
ფეხს ფრთხილად დავაბიჯებდი
ზედ მუხლსაც მოვიყრიდი.
შევეცდებოდი ჩემს გულში
მთელი სამყაროს მოცვას
და ყველაფრისთვის მადლობით
ღმერთს აღვუვლენდი ლოცვას.
ნეტავი, კიდევ მაჩვენა
მე ის პატარა ხიდი,
ზედ მდგომი გახარებული
წარბსაც არ შევიხრიდი.
თუმცა, მოვხუცდი, დავსუსტდი,
ოთხმოც წელს გადავცილდი,
ჩამოვისხამდი შავ ღვინოს,
ყანწს-ყანწზე გამოვცლიდი.
დილამდე ვიქეიფებდი,
სასმისს არ გამოვცვლიდი,
ბევრ რამეს მოგაგონებდი,
გულზე დარდს მოგაცლიდი.
თუ გახდებოდი შეუძლოდ,
წამალსაც მოგაწვდიდი.
გმადლობ, რომ ჩემთვის ჩაუქრობ
ვარსკვლავად ამობრწყინდი.
ნეტავი კიდევ მაჩვენა
მე ის პატარა ხიდი,
რომელზეც წამით დგომასაც
ბედნიერებად ვთვლიდი.
ბეტავი კიდევ მაჩვენა
მე ის პატარა ხიდი,
სხვებისთვის თუნდაც პაწია,
ჩემთვის კი მეტად დიდი.

მინდა მზეს დავხედო

მე მინდა მზეს დავხედო,
ვუყურო მზის სხივებს
და თან შევეხო...
უეცრად დაბნელდა
და მთვარეც გამოჩნდა
მივხვდი, უეცრად
მზეს სხივი მოაკლდა
და რაღაც უცნაურს,
პატარას შევეხე,
ეს იყო კაშკაშა
პატარა ციმციმა
ლამაზი ვარსკვლავი,
რომელიც ცოცხლობდა...
ქვეყანა შეიპყრო
ცივმა სიბნელემ...
მე მინდა მეგობარს მოვპარო
ეს ფრაზა:
,,რასაც კი ხედავ ხელთ ვერ მისწვდები''
მე დავამტკიცე
და ეს ვუთხარი,
ჩემო მეგულე და ამხანაგო,
სკამზე დადგები,
ნათურას დახედავ, უეცრად
მიხვდები, რომ მზეს დახედე
თურმე ზემოდან.

* * *

რომ ჰკითხო, გეტყვის _ ქართველი ვარო,
ქართული სულით, გულით, გონებით.
თუმც, ორგულია თავის მამულის,
ლანძღვით, გინებით და უარყოფით.
არავითარი სისხლი ქართული,
ზიზღით და ბოღმით აღამ-ათენებს,

ის საკუთარი თავით გართული
არის და შურით უმზერს ქართველთა...
არც წმინდა ხატი, არც ისტორია
მას არ ადარდებს
და ფეხთ კიდია.
არ გაიკვირვოთ, ხალხნო, ერთგულნო,
ამნაირები ბევრნი არიან...
გადაიხვეწენ ევროპისაკენ
და მათ ჰგონიათ საამაყოა.
მოდი, ჩავხედოთ ერთხელ თვალებში...
მათ ხომ უარყვეს თავისი მიწა,
მაგრამ მოვა დროს, სადღაც
იტყვიან, ქართულიაო ეს ჩემი სული
და დამიჯერეთ, ვინც ამას იტყვის,
ინანებს, მაგრამ გვიან იქნება.

ღმერთო, მისმინე

ღმერთო, მისმინე, გევედრები
ცოდვილი მიწად!
მომეცი, ღმერთო, იმის ძალა,
რომ ავიტანო ამქვეყნად ტანჯვა...
მომეც გამძლეობა ბოღმით და ღვარძლით
სავსე თვალებში, რომ ჩავიხედო,
რომ გავუმკლავდე ეშმაკს ბობოქარს!
არა, არ ვიცი, ვერ ვხვდები, ვერა,
ამ პატარა ერს წმინდა მიწაზე
რამ დაავიწყა ღმერთის სახელი?!!
რად გააქარწყლეს ქართული სული,
რად მიაბარეს ჯოჯოხეთს გული,
დადგება დრო და მიხვდება ყველა,
რომ ჩვენი სულის გადასარჩენად
ლოცვაა წმინდა წმინდათა შორის!!!

ტაში!

ტაში?! არ მინდა, არა.
არ ვითხოვ, არა.
მე მხოლოდ მინდა
ვიცხოვრო კარგად.
არ ვიყო ცეტი,
არ ვიყო ბეცი,
არ ვითხოვ რბოსგან აღფრთოვანებას...
მე მხოლოდ მინდა ვიყო ბავშვური,
ისეთი როგორც
ვარ თუნდაც ახლა...
უბრალოდ ვიცი,
რომ ძლიერ მიყვარს
ეს ჩემი თავი!!!
და ტაშსაც ვუკრავ ასევე
ჩემს თავს...
მაგრამ არ მინდა, არა,
სხვამაც დამიკრას ტაში!

✍ naTia mesxiSvi l i

რატომ ?

თვალები ისევ სველი მაქვს, რატომ?
მე შენ მენატრები, არ ვიცი _ რატომ.
წვიმის წვეთივით დავდივარ მარტო,
მხოლოდ შენზე ვფიქრობ, ნეტავი, რატომ?
წვიმიან ამინდში ვდგავარ მე მარტო.
მე ველოდები სიყვარულს ამ დროს.
თვალზე ცრემლი მადგა, ნეტავი, რატომ?
რადგან შენ წახვედი, დამტოვე მარტო.

* * *

ისევ უიმედოდ გავიდა ღამე,
ისევ უიმედოდ ჩავიდა მთვარე.
აღარ მწამს, ამის გავიდა ჟამი,
საათის ისრის განვლილი წამი!
შორი მანძილის ფიქრში განვლილი,
მიტოვებული ყოველი წამი.
აღარ მწამს ამის, გავიდა ჟამი,
ფიქრში გახვეული ყოველი წამი...

* * *

დღეს ისევ უეცრად გაწვიმდა,
ცა არის ისევ სველი.
ნისლისფერ ოცნებას გასცვივდა
ჩემი სიყვარულის დღენი.

zurab joxariZe

პრიმუსი

მზე უმოწყალოდ აცხუნებდა.

აგრუხუნებული, აზვირთებული მდინარის აქეთა ნაპირი დიდი რიყის ქვებით იყო მოფენილი. ჯუჯა არყისხეებიან ფერდობს ზევით და ზევით დეკიანი, მერე კი, ჭრელი სათიბები ცვლიდა.

ჩქერებიდან აშხეფებული, ნიავს წამოყოლილი წვეთები ნაპირთან მდგომ შალვას წვიმასავით ესხმებოდა სახეში.

– ჰეი! – მდინარის ხმაურში ვერ გაარჩია, რას ეკითხებოდა მამა. ზურგჩანთიდან თოკი ამოიღო და ხელით ანიშნა, გადასვლა მინდაო.

– არა! – ო, მამამ ხელი მდინარის მიმართულებით დაიქნია, – იქით!

იქით!

შალვას ძალიან არ უნდოდა უკან დაბრუნება.

,,იქ არ გამოვიარეთ, ვერ თქვა? ეეხ!"

ფონი ,,სანაქებო" აღმოჩნდა. წყალი მუხლამდე სწვდებოდა. სიცივისაგან გალურჯებული წვივები და კოჭები აგორებულმა ლოდებმა გადაუტყავეს.

შავი, ნაშალი ფიქალის ფერდობი ციცაბოდ ეშვებოდა მდინარის გაღმა ნაპირზე.

შალვამ დასადგომი ჩატკეპნა, თოკი მხარზე გადაიტარა, ორივე ხელით დაიჭირა და მამას ანიშნა:

– წაამოოდიი!

* * *

გრუზათმიანი, წარბებგადაბმული ბიჭი რატომღაც ელოდა, რომ კლინიკაში სპირტისა და სადეზინფექციო ხსნარის სუნი იქნებოდა.

– უკაცრავად, ექიმი ასტახიშვილი . . .

– ზურაბი ? – გაუღიმა თეთრხალათიანმა თეამ, – წამობრძანდით

ახლადგარემონტებული კედლები თეთრად ქათქათებდა, მეტლახზე ფეხი ცურავდა.

– ზუურააბ! – ცალფეხაწეულმა მედდამ თავი შეჰყო ღია კარებში – თქვენთან არიან!

სათვალიანი, ქერათმიანი, მოგრძო სახის შუახნის ექიმი ტელეფონზე ლაპარაკობდა. შალვას ხელით ანიშნა: მოდი, დაჯექიო.

– კი ბატონო! კარქით! კარქაათ!

სათვალის ზემოდან გადმოხედა მოსულს, გაუღიმა და ხელი გამოუწოდა.

– მიცანით? – შალვამ

– ჰე! დევდორაკი, ხლდე, მეტეო! – ექიმი წამოიწია და კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი, – რას ქვია გიცანი! ,,პრიმუსს"! შენ რომ არ ყოფილიყავი, მთელი ჯგუფი დავიყინებოდით იქ, მწვერვალზე!

– აბა, აბა! – გაეცინა შალვას.

– ჰო, იცინე, იცინე! – შინაურულად განაგრძო ზურამ, – სხვებსაც გვქონდა ბენზინის ქურები, მაგრამ იმ სიმაღლეზე ვერ გაქაჩეს!

– ჰო, ამერიკულია, გაზისაა. მამიდამ ჩამომიტანა იქიდან! – ამერიკისკენ გადაიქნია თავი შალვამ.

ზურაბს გაეღიმა.

– რამ შეგაწუხა?

აი, ეს! – თაბახის ფურცელზე იყო ჩამოწერილი ლათინური სიტყვები.

– ეს რა არის? – სათვალე შუა თითით გაისწორა ექიმმა, – ვისია?

– მამაჩემისაა! – ფანჯარაში გაიხედა ბიჭმა, – ექიმთან ყოფილა ...

ზურაბმა კვლავ დახედა ქაღალდს და სათვალის ზემოდან გამოხედა შალვას.

– შენ, გელას შვილი ხარ? კი, კი! ბავშობისას დაყავდი მამაშენს ზესხოში, ნაკრაში. მე, არ გახსოვარ?

– როგორ არა! – გაწითლებულმა ლამინირებულ იატაკს დახედა. მერე გაკვირვებული მიაჩერდა ექიმს.

– ჩვენ ალპინისტური ბანაკები რომ გვქონდა დავლილი, შენ გაჩენილი არც იყავი. – გაშლილი ხელი თაბახის ფურცელს დაადო ექიმმა – გელა იყო ამასწინათ ჩემთან. საქმე სერიოზულადაა. შენ, ეს საიდან?

– ექოსკოპიისა და რენტგენის სურათებთან ერთად, დასკვნითი დიაგნოზი ვნახე. იქიდან ამოვიწერე გაუგებარი სიტყვები. თვითონ ხომ ხმას ვერ ამოაღებინეფ!

– ჰო! რაც იყო, ის დარჩა! ქიმიის, ქირურგიის გაგონება არ უნდა. რამდენი დამრჩაო, რამდენს გავუძლებო! – ზურამ სათვალე მოიხსნა, თვალები მოისრისა, – გამტანჯა კაცი!

ერთჯერადი ხელსახოცით სათვალის მინები გაწმინდა.

– შავლეგი ხომ?

შალვა! უბრალოდო, მარჯვენა ხელი გაშალა ბიჭმა.

– ერთი ბოთლი კონიაკი გამოვწრუპეთ მე და მამაშენმა, – შუა თითით სათვალე გაისწორა ექიმმა, – შენზე მითხრა, სულ ვკამათობთო!

– ხო, რა ვიცი! – ბიჭმა მუხლებზე დაწყობილი ხელები ქურთუკის ჯიბეში ჩაიწყო, – ამას რას უსმენო, მუსიკაზე; ამას რას მაყურებინებო, ტელევიზორზე; რა დროს კომპიუტერია ამ შუა ღამისას, დაიძინეო. არადა, სამუშაო მაქ...

ნაძალადევად გაღიმებული, ისევ ფანჯარაში იყურებოდა.

– მოკლედ, სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკოფთ რა ...

– ბაბილონიადა!

– უკაცრავად, რა?

– დაავადებაა ასეთი. უგულობის, უსიყვარულობის პირველი სიმპტომი ენების არევაა. მერე იწყება ნგრევა და დაშლა.

უხერხული, ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა.

– მე წავალ. დიდი მადლობა! შეგაწუხეთ! – წამოდგა შალვა.

– რა შემაწუხე! – ხელი აიქნია ზურაბმა, – ერთი კოლოფი ამბენე მივეცი, ყოველი შემთხევისთვის. ტკივილგამაყუჩებელია, ხუთი ცალი გამზადებული შპრიცი, – დაბნეულ ბიჭს განუმარტა ექიმმა, – არ მართმევდა...

კვლავ პაუზა.

– რა ვიცი, ღმერთი შეგეწიოთ! – ფანჯარას უთხრა ასტახიშვილმა.

* * *

– მისმინე, სირბილით უნდა გავიაროთ! – ნაშალით ამოვსებულ, ძალიან დამრეც კულუარზე მიუთითა მამამ, – საკმარისია წამით შეჩერდე, საყრდენი ეძებო, რომ ზევიდან ჩამოცვენილი ხვინჩკა ნაბიჯს არ გადაგადგმევინებს!

გელამ კულუარის ნაპირზე დაფენილ თოკს გადააბიჯა, თავისუფალი ბოლო კარაბინზე ჩაიბა და ნახტომისათვის მოემზადა.

– ამ სიგრძე თოკით "დაცვა" როგორ გავაკეთო?

– ,,დაცვა" არ მინდა. თოკი გამაქ იქით.

ფართხაფურთხით გასული, მაინც ჩაითრია ნაშალმა. ბედად, კლდის შვერილს წამოედო, ხორკლიან ბექობზე ახოხდა და პირქვედამხობილი კაი ხანს იწყნარებდა აქოშინებულ სუნთქვას.

შემლებისდაგვარად გამაგრდა. თავისუფალი თოკი თავისკენ გადაქაჩა.

– ჩაიბი და წამოოდიი!

შალვას ვერეს ხეობაში გავლილი პირველი ,,გაკვეთილები" გაახსენდა. გაეღიმა და თამამად გადაეშვა ფართო, ციცაბო კულუარში.

* * *

– კობა! პრივეტ, ძველო! როგორ ... გელა ვარ, კაცო! არ გესმის? როგორ ხარ, როგორ?

გაზქურასთან მოფუსფუსე დედამ ხის კოვზით ანიშნა შალვას, მოდიო.

– კობა მეოთხეა, დღეს ვისაც ურეკავს, – იდუმალად თქვა და ღომს ამოურია, – აიჩემა მთაში წასვლა და ხომ იცი, რო იტყვის...

თავი დანანებით გადაიქნია.

– ჯაყოს დაურეკა, თბილისში არ არიო. გიას დაურეკა, რემონტი ქონია სახლში. მერაბიმ, ბალანსს ვაკეთებო.....

– ხო, არავის ვეჯიბრებით, შე კაი კაცო! ისე ვიაროთ, როგორც გაგვის-წორდება.

...

– არ გინდა, ნუ გინდა!

ყურმილი ხმაურით დაახეთქა გელამ.

– ეს რო რამეს აიხირებს ... არ მესმის, რა! – ღომიანი ხის კოვზით ლოჯისკენ მიანიშნა დედამ.

– მე წამოვალ! – რაც შეიძლება მშვიდად თქვა შალვამ და სამზარეულოდან გამოვიდა, – თუ წამიყვან, რასაკვირველია!

ხელებში მელოტთავჩარგული მამა მთელი ტანით შემობრუნდა შვილისკენ.

შალვა ხან მამის გამომცდელ, დაეჭვებულ თვალებს უყურებდა, ხან დედის მოღერებულ მუშტებს.

– მეკაიფები?

– რა შუაშია კაიფი?

– რამდენჯელ გთხოვე წაყვანა, ,,სტარიკები არ გვჭირდებაო", მპასუხობდი. ახლა რა, გავახალგაზრდავდი? ახლაც 55 წლის ვარ!

* * *

ღრუბლები დილიდან ირეოდნენ ხეობის თავზე. წვიმა შუადღისას დაიწყო.

ციცაბო კულუარი ყველაზე კაი ,,გზა" იყო, ამ კლდოვან ფერდზე. წინ ხან მამა მიდიოდა, ხან შვილი. დროდადრო, რაწკარუწკუნით პალოებს არჭობდნენ ღარის კედლებში.

– სადაც მოახერხებ, ზევით ავიდეთ!

– რატო! ნახე, რა საფეხურებივითაა! – წერაყინით მიანიშნა შალვამ.

– ბიჯოო! რო გეუბნები, გაიგონე! ერთი საათია წვიმს! – კაპიშონზე ჩა-მოკონწიალებული წვეთები თავის გაქნევით მოიშორა. – აქ, ახლა კაი ღელე უნდა მოთხლიშინებდეს. ეტყობა, სადღაც, ზევით გუბდება და ერთბაშად მოს-ქდება! მოვერიდოთ! – მძიმედ სუნთქავდა. თვალებში უცნაური ნაპერწკალი უელავდა.

კედელზე გავიდნენ. სამსაათიანი ფორთხვის მერე ,,ბუხარში" გაძვრნენ და სიქაგამოცლილები თოვლიან ფერდობზე მიეყარნენ. ზევიდან სუსხიანი ქარი უბერავდა და თოვლის კორიანტელს აყენებდა.

თითქოს დიდი ბურთი ჩაფუშესო, მარცხნივ, ქვევით რაღაცამ დაიფშვინა და კლდის შვერილს თოვლარეული, შავი ტალახის ჩანჩქერი გადაეკიდა.

ზურგჩანთებზე მიწოლილებმა თავები წამოწიეს და ქვევით დაქანებულ მიწის დამბალ მასას მიადევნეს თვალი. მერე ერთმანეთს შეხედეს და რატომღაც, სიცილი აუტყდათ.

– ვიაროთ, თორე გავცივდებით!

ღონივრად მოქნეული ჭვინტით თოვლში საფეხურის შენგრევა;

თითქმის, მხრის სისწორეზე წერაყინის ჩარჭობა;

ღრმად ჩასუნთქვა

და მძიმე, კარკასიანი ზურგჩანთის – წიი, წიი! წიი, წიი...

– ჰოუ! – გაყინული ფიფქები ნემსებივით ერჭობა სახეს, – ახლა მე გამიშვი წინ!

სათვალეს თუ ხელთათმანს გაუსვამ, სულ აღარაფერი გამოჩნდება.

– იყოს! ვივლი! – შალვამ დაღლილობისგან დამანჭული სახით აღმართს ახედა. ყველაფერი ნისლს დაეფარა.

,,ალბათ, ღრუბლებში ვართ!''

– როდემდე უნდა ვიაროთ?

– მიდი, მიდი! ერთ საათში პლატოზე გავალთ!

* * *

ქარი გულის გამაწვრილებლად წუოდა. კარვის დაჭიმულ კალთებზე ახვეტილ თოვლს გაჰქონდა ტკაპატკუპი.

ცალკალთააწეულ შესასვლელთან ჩამოკიდებული ფანარი მამის ოვალურ ზურგს ანათებდა.

თავქვეშ ზურგჩანთაამოდებულ, საძილე ტომარაში ჩამთბარ – დაღლილმა შალვამ გელას მხრების კანკალიც შეამჩნია და ხელის მკვეთრი მოძრაობაც.

,,წუხანდელივით, ახლაც ნემსი გაიკეთა!"

– რას იყინები მანდ! შემოდი, დაწექი!

– არ მცივა! არ ცივა! სიჩუმეს ვუსმენ!

– ამ ქარში? – სადღაც ზვავი მოწყდა შრიალით. მერე, ყრუ გრუხუნი ამოდიოდა კაი ხანს, ქვევიდან.

– წარღვნამდე, სანამ ,,წყალნი ცათანი" ჩამოწვიმდებოდა, გამადიდებელივით, დედამიწას გარს ერტყა წყლის გამჭვირვალე ფენა, – მუხლებში თავჩარგულს ხმა უკანკალებდა, – ვარსკვლავები ძალიან დიდები ჩანდნენ და სამყაროს საოცარი ხმები ისმოდა, თურმე!

– რას ბურდღუნებ! შემოდი და აწიე ,,ზმეიკა". გავიყინე! ცივა, ვაჰ!

* * *

სიცივემ ნელ-ნელა მოიცვა ყველაფერი. გამოატანა სქელ პარალონში და გაყინულ ზურგზე წოლა შეუძლებელი შეიქმნა.

– არ გძინავს? – გვერდი იცვალა შალვამ.

– ისე რა! – თავქვეშ ამოდებული ბატინკები გაისწორა მამამ.

– რა იცოდი იქ, მწვერვალზე, წერილი რომ იდო ქილაში?

– ტური!

– რა?

– წერილს ტური ჰქვია. ჯგუფი რომ ტურს ჩამოიტანდა, მერე ეთვლებოდა წინა ჯგუფს მწვერვალზე ასვლა.

– საიდან იცოდნენ ვინ...

– ჩვენ რო ვნახეთ, კაცო, იქაც ხომ ეწერა ასვლის თარიღი, ტრავერსის მარშრუტი და ექსპედიციის წევრების გვარები: დათო ბაიდაური, ვახო კოლხიდაშვილი, ბადრი ჩხაიძე, ზურა სუჯაშვილი ...

– ჩვენ რატომ არ წამოვიღეთ? მიუტანდი ვინმეს და გაეხარდებოდა, თუნდაც ზურას. ხომ იცნობ?

– ზურასაც ვიცნობ და სხვებსაც, – ხვნეშახვნეშით იცვალა გვერდი – მთამ მონატრება იცის. აქ, თუ რომელიმე ამოვა და ამ ტურს ნახავს, უფრო მაგრა გაუსწორდება, ვიდრე ჩემი ჩატანილი ფოსტა. არყიანი მათარა დავკარგე სადღაც...

– აი, აქ არის, კარვის ჯიბეში! როდის დატოვებული წერილი, ეხსომებათ?

– ეხსომებათ, ეხსომებათ! 30 სექტემბერს ამოსულან. – ალუმინის მათარის თავსახურის ღრჭიალი. – წმ. სოფიოს ხსენების დღეს!

ყლუპ, ყლუპ, ყლუპ.

– უჰჰ! აჰა, ჩაარტყი, გაგათბობს!

– არა, არ მინდა. ისინიც სამივე მწვერვალზე გავიდოდნენ?

– აქ, უხსოვარი დროიდან წესი იყო ასეთი. მწვერვალთან, კლდეებში, ეხი რომ განახე ნაცეცხლურებით: ნახშირი, ნაცარი. ხომ გახსოვს? ქრისტიანობამდელი სალოცავი იყო აქ – გამარჯვების ღვთაება. უფრო სწორად, ერთობას, გაერთიანებას შესთხოვდნენ და საღმრთო ცეცხლს უნთებდნენ. აბა, ნისლში რას დაინახავდი? კოშკივით, გოდოლივით წვერი აქ ამ მწვერვალს. იმიტომ ქვია გოდლისთავი.

სიბნელეში გაისმა, როგორ ჩაყლურწა არაყი.

– აქ, რო ილოცებდნენ, მერე იმედისერზე გადავიდოდნენ. იქაც, საღმრთო შესაწირს გაიღებდნენ და ბოლოს, ხმელაგორს მოილოცავდნენ.

კვლავ ყლუპ-ყლუპ-ო, გაისმა სიბნელეში.

– ბრრრ! დავიძინოთ, აბა, დავიძინოთ!

* * *

დილით, გაღვიძებულ შალვას მამას საძილე, პარალონი და სხვა ნივთები ალაგებულ-ჩალაგებული დახვდა. კარვის ჯიბიდან ცარიელი მათარის, ძეწკვზე დაკიდებული თავსახური კონწიალობდა.

შალვას ძალიან კი ეზარებოდა გაყინულ-გაფშიკინებული, ყვითელი კომბინიზონის ჩაცმა, მაგრამ სხვა რა გზა იყო.

გარეთ გაცილებით თბილოდა, ვიდრე კარავში. მოკრიალებულ, ლურჯ ცაში ღრუბლის ნასახი არ ჩანდა. დილის სუსხი ნესტოებს უწვავდა და თვალებს უცრემლიანებდა.

ხელმარჯვნივ, თეთრ სამკუთხედად ასვეტილი თოვლიანი მთა მურა, კლდოვანი ,,ბასტიონით" ბოლოვდებოდა. გუშინ, ასვლისას მთელი დღე თოვდა და ნისლები ირეოდა, ორ ნაბიჯზე არ ჩანდა არაფერი.

,,მართლა რა მაგრა გავს გოდოლს! აუუ, ძაან მაგარია!"

ხელმარცხნივ დაშვებულ კალთას ჩამოაყოლა თვალი. მისგან ას მეტრში, ბექობზე, მამა იდგა. თოვლი ჯერ კიდევ გაყინული იყო და ფეხი ცურავდა. უკან გაბრუნდა. წრიაპები ამოიცვა და გეკასთან ავიდა. ამ სიმაღლიდან მეორე მწვერვალიც გამოჩნდა და მისკენ მიმავალი "გზაც"– ჯერ, ყინულ-კლდოვანი მცირე კედელი უნდა ჩაევლოთ, მერე ვიწრო თაროს გაუყვებოდნენ და ,,ბრიტვაზე" გადაცოცებით იქითა მთის კალთაზე გადავიდოდნენ. შემდეგ კი, ლურჯ ცაში გაჩრილი თეთრი პიკი – იმედისერი.

ლამაზი იყო ...

მამას გაღიმებულმა გახედა.

კაცი გატანჯული სახით, გადაღლილი თვალებით იყურებოდა სადღაც, მწვერვალის ზევით.

ბიჭი დაიბნა. მოერიდა ეკითხა, როგორ ხარო?

– მესამე მწვერვალი სადღაა?

– ჰა? – დანაშაულზე წასწრებულივით აწრიალდა გელა, – ის აქედან არ ჩანს. იქ რომ ავალთ, მერე გამოჩნდება.

– ხმელაგორი რატო ქვია? – ,,რა ფერი ადევს ?"

– აი ის, გოდოლივით რომ არის, შენც ხედავ. ამას, მონადირე ყოფილა იმედო, იმის სახელზე შეურქმევიათ იმედისერი. იქ, შუადღემდე ავალთ. ის, მესამეა რაც არი, მთელი დღე უნდა. კლდოვანი, ფრიალო, წვეტიანი მთაა. თოვლს არ იჩერებს. ერთი ფხა ჩრდილო-დასავლეთით ეშვება. აქეთ აღარ გადმოვალთ. იმ კალთას ჩავყვებით და მიღმახევში გავალთ.

უემოციოდ, დაღლილად ლაპარაკობდა.

* * *

ხელდახელ ისაუზმეს.

პრიმუსი ორ წუთში ადნობდა მთელ ქვაბ თოვლს.

წრუპავდნენ ცხელ ყავას და "პეჩენიაზე" წასმულ, თოვლში აზელილ ,,ზგუშონკას" ატანდნენ.

– უჰ! პრიმუსმა მაგრა გაასწორა, წყლის პრობლემაც მოგვიხსნა და სითბოსიც! – ყავა მოსვა მამამ, – მეც მქონდა ბალტიისპირეთის, მაგარი, კომპაქტური. ბენზინზე მუშაობდა. არაუშავდა, მაგრამ ტანსაცმელს, საჭმელს, ყველაფერს ბენზინის სუნი ასდიოდა, ხოლმე.

ხალისით, მხიარულად ჰყვებოდა, მაგრამ თვალებში რაღაც მძიმე ჩრდილი ჩასწოლოდა.

– 4 საათისთვის მწვერვალზე ვიქნებით. ჩრდილოეთის მხარე შედარებით რბილია. ღამეს იქ გავათენებთ! – უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა კაცმა.

– ავბარგდეთ არა? მე ,,სტოიკებს" დავშლი, შენ პალოები ამოაძრე, ხო?

თოკებისკენ დახრილ მამას შალვამ თვალი მიადევნა და სანახევროდ ჩამოშლილ კარავში რაღაცა შეჩურთა.

,,ახლა დაიწყება ჭკუის დარიგება, – "სტოიკები" ცალკე..."

_ "სტოიკები" ცალკე გაახვიე, მე წამოვიღებ!

,,პალატკა" გადმოფერთხე..."

– ,,პალატკა" გადმოფერთხე და მერე დავკეცოთ!

შალვამ კარვის მუქი, წყალგაუმტარი ძირი დაითრია და ჰაერში ატაცებული ღონივრად დაიქნია.

– ბიჯოო! – ჰაერს ხელი მოავლო მამამ.

– ფრთხილად! – ვერცხლისფერმა პრიმუსმა რკალი მოხაზა და უფსკრულში გადაეშვა...

* * *

მდინარეზე გადასულები შეჩერდნენ. ლურჯ ცაში მზეზე აბრჭყვიალებულ თოვლიან მწვერვალს ახედეს.

– მომავალ წელს წამოვიდეთ, ხო?

– ჰო, აბა რა!

მამას დაღლილი, თბილი მზერა ჰქონდა. უიმედო, მძიმე ჩრდილი გამქრალიყო სადღაც.

მარტოსული

ისეთი სიჩუმე იდგა, სამარეში ეგონებოდა ადამიანს თავი და ესეც რომ არა, ვერაფრით იფიქრებდით, რომ აქ ოდესღაც გრძნობები შიშვლდებოდნენ კედლებზე.

წეღანდელი ქაოსის ნარჩენებიც კი გაწოვილიყვნენ სიძველისგან გაუფერულებულ ავეჯზე.

დიდი არც არაფერი ოთახი იყო. შუაში მაგიდა იდგა სიძველისგან გაქუცული ბოლოებით. მასზე წერილების დასტა ეყარა და ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ ყველა მათგანი გაუხსნელი იყო.

ამაზე შთამბეჭდავად მხოლოდ ჩამსხვრეული ფანჯრები გამოიყურებოდა, რომლებიც მაცდურად უბიძგებდნენ ადამიანს სუიციდისკენ.

ოთახი, სადაც ახლა სიჩუმე გაწოლილიყო, მოგაგონებდათ ადამიანს სიკვდილის შემდეგ.

დიახ, ზუსტად ის მორუხო–მოლურჯო ფერი იღვრებოდა მის სივრცეში და სამუდამო მდუმარების შეგრძნებას ტოვებდა.

ადამიანის ცხოვრება _ დაბადებიდან – აღსასრულამდე მთლიანად ჩატეულიყო ამ პატარა ოთახში და თუმცა ვერაფრით დაიჯერებდით, რომ აქამდე მასში სიცოცხლე დუღდა, მაინც ეს ყველაფერი სრული სიმართლე გახლდათ.

მისი სიღრმიდან მოდიოდა ყველა განცდა. ოდესღაც ამ პატარა ადგილას იკრიბებოდნენ ყველა შეგრძნებები დედამიწის ზურგზე. ახლა კი… ოთახი ერთბაშად დაცარიელებულიყო.. სულ ბოლოს კარი იმედმა გაიხურა..

მანამდე კი ყველა განცდა ერთად შენივთული თრთოდა და ხარობდა, როგორც ცოცხალი ადამიანი და ასეც იყო, – ადამიანი ხომ განცდათა გროვაა!

იმ ღამით, როცა ყველა განცდამ დატოვა ოთახი და სიკვდილი ცხოველმყოფელობის შედეგად იქცა, მე მატარებელში ვიჯექი და საკუთარ ცხოვრებას ისე დავცინოდი, როგორც ღმერთი გაიცინებს ხოლმე ჩვენს უბადრუკ არსებობაზე ზოგჯერ.

გამახსენდა, რომ იქ გაუხსნელი წერილების დასტასთან საათი დავტოვე და მივხვდი, ჩემი დრო ახლა იმ ერთ პატარა ოთახში განაგრძობდა მსვლელობას.

მე არ გამიხურავს კარი, უბრალოდ ჩემ ზურგსუკან დავტოვე ყველა განცდა.. მივატოვე იმ ოთახში დროსთან ერთად და თუმცა ჩემი მიზანი არ ყოფილა საკუთარ სიკვდილთან შეჯახება, მაინც ვერაფრით ვუშვებდი სიცოცხლეს ამ ოთახის გარეშე.

ვაგონში ხალხი ირეოდა და დაკვირვების მიუხედავად ვერცერთი მათგანის სახეს ვერ ვამჩნევდი. ვგრძნობდი, როგორ ვიხედებოდი მათ მიღმა და ისე ძალიან მწყურდა იმედი, ისე ვეძებდი მას მზერით, რომ ვერაფრით ვხუჭავდი თვალებს, მიუხედავად იმისა, რომ ცრემლები ღვარად მედინებოდა ღაწვებზე.

არა, არ ვტიროდი, უბრალოდ ისე ძალიან მეცინებოდა გულში, რომ საკუთარი უმეცრების მრცხვენოდა და სირცხვილს ასე გამოვხატავდი.

იგი ისევ კუთხეში იჯდა, ალბათ, და კედლებიდან ჩვენს გრძნობებს ხევდა.. არადა არ იცოდა, რომ როგორც ღრუბელი, ისე იწოვდნენ ყველა დეტალს კედლები და როცა მე მივატოვებდი მას, იგი აუცილებლად შეიშლებოდა, რადგან ყოველ ღამე გაიგონებდა ჩემ სიცილს, მე კი მის გვერდით არ ვიქნებოდი.. დიახ, იგი შეიშლებოდა, რადგან ვეღარ მიხილავდა, ვერასოდეს შემეხებოდა, მაგრამ ოთახის კედლები ექოსავით გაიმეორებდნენ მოგონებებს..

მე ვიჯექ ვაგონში და იმდენად უსუსურად ვგრძნობდი თავს, რომ თვალების დახუჭვასაც ვერ ვახერხებდი.

– რატომ ტირით?

მკითხა სანდომიანსახიანმა ქალმა და თანაც ისეთი სიბრალულით შემომხედა, უხერხულობის მაგივრად ზიზღი ვიგრძენი საკუთარი თავის მიმართ.

არა, ოთახის კედლები მდუმარედ მიიცვლებიან და თან გაიყოლებენ ჩვენს მოგონებებს.

– უკაცრავად, მე უბრალოდ გარდავიცვალე… - ვუპასუხე და რადგან უკვე სირცხვილის გრძნობა დავკარგე, ზიზღისგან უსახურად გავიღიმე და თვალები დავხუჭე.

დიდხანს ვიჯექი ასე ცრემლებგადაყლაპული, როცა გამახსენდა, რომ საათი არც არასოდეს მკეთებია ხელზე და მე ვერაფრით მიგატოვებდი შენ, რადგან შენ იყავი ჩემი დროის ათვლა, მე კი ჩემი წასვლით შენი სიკვდილის ცხოველმყოფელობის შედეგი გავხდი მხოლოდ…

ღამე იდგა და თითქოს არც. დილამდე გაწელილი წუთები სველი ტილოსავით აკვროდა ზეცას და მის შეთეთრებულ ფერს მალავდა.

მაგიდის შუაგულში ნამწვებით სავსე საფერფლე იდგა. სავარძელში ვიღაცის მძიმე სხეული ესვენა, კედელზე ძველებური საათი განაგრძობდა წიკწიკს.

ეს პეიზაჟი ისეთი გაცვეთილი ეჩვენებოდა სავარძელში მჯდომს, რომ საკუთარ თავში ჩაღრმავებული ეძებდა კითხვაზე პასუხს, – როგორ ვარ ცოცხალი? ანდა რისთვის?

კითხვები არ ასვენებდა მას და თუმცა პასუხებზე მეტად ახლა მისი შეხება ერჩივნა ყველაფერს, მაინც განაგრძობდა ფიქრს, რათა ქალის მზერა დაეტბორა კითხვებით.

ბოლოს მიხვდა, რომ ზუსტად მისი თვალები გასცემდნენ ყველა კითხვაზე პასუხს და ანგარიშმიუცემლად წამოდგა, რათა საფერფლე დაეცალა.

საკუთარ თავს აჯერებდა, რომ ქალი წუთი-წუთზე დაბრუნდებოდა და თუმცა ძალიან უძნელდებოდა ამის გააზრება, მაინც განაგრძობდა ოთახის დალაგებას.

ოთახი პატარა იყო, იმდენად პატარა, რომ გეგონებოდათ კაცი კედლებს აწყდებაო, არადა მას მხოლოდ დალაგება სურდა, რათა მზად ყოფილიყო ქალისთვის. ეს მზადება კი ბორგვას ჰგავდა…

და როცა ოთახი წესრიგში მოჰყავდა, ასე ეგონა საკუთარ სულში აფათურებდა ხელებს. ნივთები – დარდებად ქცეულნი ერთი კუნჭულიდან მეორეში გადაჰქონდა და ვერაფრით გაებედა მათი გადაყრა, რადგან სივრცის სიცარიელეს გაურბოდა…

მაგიდაზე დახვავებულ წერილებს გახედა გვერდულად და მიუხედავად იმისა, რომ არცერთი მათგანი არ იყო გახსნილი, არ იყო გადაკითხული მის მიერ, მათი ერთი შეხედვაც კი ზარავდა.

ქალმა დიდი პარკით დაუტოვა დღეს საღამოს, წასვლის წინ სწორედ ამ მაგიდაზე გადმოაპირქვავა და თვალებში ისე ჩახედა, თითქოს სამყაროს დასასრული იყო კაცის უპეებზე შემშრალი. არადა ეს მხოლოდ ცრემლები გახლდათ…

გონებაში რამდენიმე საათის წინანდელი დიალოგი აღდგა საოცარი სიზუსტით..

,, – ყოველი ღამის მერე, როცა შენგან მივდიოდი და ჯერ არგაფითრებულ ღამეს ვერეოდი, მე გწერდი წერილს.. მე გწერდი უამრავ წერილს და ყოველ ჯერზე, როცა ვაპირებდი შენთვის გამოგზავნას, ჯანდაბა მიზეზის გამო ვჩერდებოდი.

ქალი ტიროდა, მის ხმას ნელ-ნელა იპყრობდა სასოწარკვეთა და როგორც შორეული მელოდია, თანდათან უახლოვდებოდა კაცს და ყურთასმენას უხშობდა.

– ეს ჯანდაბა მიზეზი შენ ხარ.. შეხედე რამდენი წერილია და ყველა მათგანი შენთან ღამის მერე დაწერილი. მინდა იცოდე, რამდენჯერ მიგატოვე…

ხელისგულებით შეიმშრალა თვალები ქალმა და კაცის გაფითრებულ ტუჩებზე დაუცურდა მზერა… იგრძნო, როგორ სურდა მთელი არსებით დასწაფვოდა იმ სიცოცხლეს, რომელიც ახლა მის ტუჩებზე ბჟუტავდა და მალე ჩაქრებოდა სამუდამოდ.

– მე არ დავბრუნდები. არც შენ მეძებო…

გადაწყვეტით ამბობდა ქალი და ოთახში მწარედ მიმოდიოდა.

ოთახი კაცის სულს ირეკლავდა თითქოს, ჩამუქებულიყო ყველა ნივთი და რაღაც, სამარისებურად შემზარავი მტვერი მოჰფენოდა.

იგი იდგა მაგიდასთან, რომელზეც უამრავი გაუხსნელი წერილი ეყარა და ფიქრობდა, რომ მისი საყვარელი ქალიც ამ წერილებს დამსგავსებოდა. მას ეგონა, რომ ზედმიწევნით წაეკითხა ქალის სულის ყველა ფურცელი და ახლა აღმოჩნდა, რომ არც კი გაუხსნია იგი.

– როდის გადაწყვიტე ჩემი მიტოვება?

ყრუდ გაისმა კაცის ხმა. თავადაც ეუცხოვა საკუთარი ხმის არაადამიანური ჟღერადობა და ისიც კი იფიქრა, რომ მის მაგივრად ახლა სხვა იშლებოდა ჭკუიდან. იგრძნო, როგორ შორდებოდა მის სხეულს სული და შორიდან დამცინავად ემანჭებოდა.

ქალი უცებ შედგა და ზურგშექცევით მყოფ კაცს დაბალ ხმაზე უპასუხა.

– პირველივე ღამიდან, ჩვენი პირველივე მცდელობიდან შეგვეყვარებინა ერთმანეთი…

ღმერთო, ცდა! ნუთუ გრძნობების ყველაზე არაამქვეყნიური გამოხატულება, ყველაზე შეშლილი სინამდვილე და დაჩოქილი ვნება, მხოლოდ და მხოლოდ უბადრუკი ცდა იყო სიყვარულისა? არა! ვერ აპატიებს გრძნობის ასეთ შებღალვას, ვერასოდეს აპატიებს!

– შენ შეიშალე..

მხოლოდ ეს თქვა ხმამაღლა და სავარძელში ჩაესვენა. ერთი ხელის გაწვდენაზე ეყარა გაუხსნელი წერილები. ისინი მათ ვერდაბადებულ შვილებს ჰგავდნენ…

ქალი ფანჯარასთან მივიდა და თუმცა ძალიან სურდა გამოეღო და პირდაპირ ცას შერეოდა, მაინც მოერია თავის სურვილს და კაცისკენ მოტრიალდა.

მის წინ იდგა წერილების ადრესატი, რომელსაც თვალებში სიცოცხლის დასასრული უკიაფებდა და მის გადაფითრებულ ტუჩებზე უკანასკნელ ღიმილს მოეკლა თავი.

ქალის სხეულზე კითხვებმა დაიწყეს ცოცვა და ერთი-მეორეს მიყოლებით გონებაში უძვრებოდნენ.

სურდა, არ სურდა.. ან საერთოდ იცოდა კი რამე ამქვეყნად, რაც მის გრძნობებს ეხებოდა?

გრძნობები, როგორც უვარგისი სამოსი ისე გაიხადა. ახლა სრულებით შიშველი იდგა ამ კაცის წინ და გულის სიღრმეში ძალიან ნაღვლობდა თავის სიშიშვლეს.

– მე ახლა თუ არ წავედი, ამას მთელი ცხოვრება ვინანებ და მე კი მირჩევნია მთელი ცხოვრება ჩემი ტკივილი იყო, ვიდრე სინანული…

თქვა სევდით ქალმა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა კარისკენ.

კაცს სურდა მიყოლოდა მის ნაბიჯებს, ისე ძალიან სურდა, რომ ამ სურვილს მისი სხეული ქვად ექცია და ვერაფრით მოახერხა ადგილიდან დაძვრა.

ქალი წავიდა და ყველა განცდა მას მიჰყვა… ოთახი დაცარიელდა.”

დიახ, კაცმა იცოდა რატომაც წავიდა ქალი! იმდენად კარგად იცოდა ეს ყველაფერი, რომ ახლა გაფაციცებით ალაგებდა ოთახს, რადგან მის დაბრუნებას ელოდა.

ვერაფრით დაეჯერებინა, რომ ასეთი სულელი აღმოჩნდებოდა მის ბედისწერად ქცეული არსება და მას მავნე ჩვევის გამო მიატოვებდა.

რა სასაცილოა ეს ყველაფერი!

ალაგებდა ოთახს გაფაციცებით და ხმამაღლა ხარხარებდა.

– ო, დიახ, დიახ, მან სწორედ მავნე ჩვევის გამო მიმატოვა!

ნელ-ნელა უფრო და უფრო ხმამაღლა ისმოდა მისი ხარხარი ოთახში და კედლებს ზანზარი გაუდიოდა თითქოს.

უცებ შედგა, სივრცეს თვალი მოავლო და მოეჩვენა, რომ კარში უკანასკნელი განცდა – იმედი გავიდა.

შეწყვიტა ხარხარი და გაშტერებული მიაჩერდა კარებს.

სუნთქვა შეიკრეს კედლებმა და კაცს ცხადად მოესმა ტირილის ხმა.

შეშლილივით მივარდა წერილებს და მათი ნაწილი ღია ფანჯარაში გადაყარა.

მეოთხე სართულიდან ფრიალით ეშვებოდნენ უბიწო წერილები და თან მიჰქონდათ ფურცლებად ქცეული ქალის სული.

კაცი უცებ გამოერკვა და ისე მიაშტერდა ჰაერში მოფრიალე წერილებს, თითქოს ისინი მისი ვერდაბადებული შვილები იყვნენ.

და მოეჩვენა, რომ თავადაც ვერაფრით მოახერხა დაბადება, რადგან მის ბედისწერად ქცეულმა ქალმა მისი ყველა განცდა წაიყოლა თან..

მან ხელები გაშალა და თავის ვერდაბადებულ შვილებს მიჰყვა სივრცის უსასრულობაში…

ოთახი მარტოსულობისგან თრთოდა.

დაბალანსებული დანაშაული

ევა ერთადერთი ქალია, რომელსაც მუდამ ავიწყდება თუ როგორი შემართებით იწყებს ყოველ ახალ დღეს მისი თვალების ხილვისას. გასაოცარი სიზუსტით შეუძლია გამოარჩიოს ბოროტებიდან ერთადერთი ნათელი წერტილი და მასზე დაყრდნობით ააგოს ცხოვრება.

და იცით? ევა უკანასკნელია იმ ქალთა შორის, ვინც ვერაფრით მიაღწია ქალურ ბედნიერებას, თუმცა არ ნანობს ამას. მისი აზრით, ყველა ქალი გაჩენილია კონკრეტული არსებისთვის, რომლის პოვნაც ყველას შეუძლია, მაგრამ უმეტესობას არ აქვს მათი შენარჩუნების ნიჭი. ის კი თავს უნიჭოდ თვლის ბედნიერებისთვის. სამაგიეროდ მას შეუძლია არაჩვეულებრივი ლაზანიების გამოცხობა და სიამოვნებით უმასპინძლდება თავის კარის მეზობელს ჟაკს.

ჟაკი უიღბლო იურისტია, რომელიც საფრანგეთის ერთ-ერთ მიყრუებულ ქალაქში დაიბადა და თავისი პროფესიის გარდა წესიერად გამრავლების ტაბულაც კი არ იცის, ამიტომაც თავისი პროფესიითაც კი ვერ მუშაობს. ის თავს იმით იმართლებს, რომ კარზე ტექნიკური კატაკლიზმებია მომდგარი და მალე კომპიუტერები ჩაანაცვლებენ ადამიანს. ევას ვერაფრით წარმოუდგენია, როგორ უნდა დაწვეს რობოტთან, ამიტომაც გასაოცარი მონდომებით ამზადებს ლაზანიებს ჟაკისთვის.

მათი ქუჩის პარალელურად ახალგაზრდა, მოკლეთმიანი კელი ცხოვრობს, რომელიც ყოველ მეორე დღეს საღამოობით საშინელ სცენას მართავს, მიუხედავად იმისა რომ კატასთან ერთად მშვიდ ცხოვრებას ეწევა დანარჩენ დღეებში. მას თავდავიწყებით უყვარს კვირა საღამოობით ბანქოს თამაში მეზობლებთან ერთად და თავის მგზნებარე მიდრეკილებას ხალხთან ურთიერთობის წყურვილს აბრალებს. სინამდვილეში მას ყოველ ღამე, როცა სკანდალების გარეშე ატარებს დროს, ჩახუტებული ჰყავს თავისი კატა და ცდილობს ცრემლები გადაყლაპოს.

კელი საკმაოდ ახალგაზრდა, პერსპექტიული გოგონაა, რომელსაც ხეირიანად არაფერი გამოსდის ბანქოს თამაშის გარდა, რის გამოც მეზობლები სინანულს გამოთქვამენ.

მის გვერდით შენობაში მისტერ ჯეფრი სახლობს, რომელიც სადაზღვევო კომპანიაში საკმაოდ მაღალ ადგილზე მუშაობს. იგი მეტად დარბაისელი მამაკაცია, რომელსაც მოშვებული წვერი მეტად სასაცილოდ მოუჩანს. ყოველ დილას იგი უხმოდ ტოვებს ბინას, დინჯი, გამოზომილი ნაბიჯებით კვეთს ქუჩას და ხელის აწევით ესალმება ყველა მეზობელს. მხოლოდ ერთი უცნაური ჩვეულება აქვს, ყოველთვის, როცა ქალბატონ ევას დაინახავს ჯენტლმენურად

მოიხდის ხოლმე ქუდს და მდაბლად უკრავს თავს. ამ უცნაურობას ყველა მეზობელი სიყვარულს უწოდებს, მხოლოდ ევა თვლის, რომ იგი უბრალოდ ძალიან ზრდილობიანი მამაკაცია ამიტომაც მუდამ ცდილობს ბევრი ლაზანია დააცხოს, რათა მასაც მიართვას, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ჟაკს უგზავნის ხოლმე ყველა მათგანს...

* * *

ერთ კვირა საღამოს ევას სახლში, როცა ოთხივე მათგანი მაგიდასთან იჯდა და ბანქოს თამაშობდა, უეცრად კელიმ კარტი დაყარა და ისტერიული სიცილი აუვარდა.

– რა მოგივიდათ, კელი?

თბილად დაეკითხა ევა.

მას ხმა არ ამოუღია მხოლოდ აქეთ-იქით სიარულს მოჰყვა.

– მგონი გვიანია და დროა, დაგტოვოთ.

თქვა უხერხულად ჟაკმა და ზლაზვნით წამოიმართა სკამიდან.

მხოლოდ მისტერ ჯეფრი იჯდა გაუნძრევლად და თვალს არ აშორებდა ევას ოდნავ შეხსნილ გულისპირს.

– ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ჟაკ, ნუთუ არ გესმის?

უეცრად პირდაპირ იერიშზე გადავიდა კელი და დაღლილი მზერა შეაგება მის თვალებს.

ჟაკი ადგილზე აწრიალდა და თავის ხელებს ჩააჩერდა. სიტუაცია ნელ-ნელა იძაბებოდა და თითქოს ჰაერიც ჩაიხუთა.

ევა გაოგნებული წამოდგა და კელის გადაეხვია, რადგან ეს უკანასკნელი უკვე უხმოდ ტიროდა. მსუბუქად უთრთოდა მხრები და თვალებს უმწეოდ აცეცებდა. მიუხედავად იმისა, რომ ევასა და მას შორის სულ რაღაც 10 წელი იყო სხვაობა, მაინც მშობელი დედასავით ჩაეხუტა მტირალ ქალს.

მისტერ ჯეფრი არ იყო შეჩვეული ასეთ გარჩევებს. მას შემდეგ, რაც მეუღ-ლეს გაშორდა და ინგლისში გადმოსახლდა ასეთ სენტიმენტალურ სცენებს მხოლოდ ტელევიზორში თუ მოჰკრავდა თვალს. ახლაც იმდენად მოსაბეზ-რებლად ეჩვენა ეს ყველაფერი, რომ ლამის იქვე დაამთქნარა მოწყენილო-ბისგან. სიმართლე, რომ ითქვას, მას არც ბანქოს თამაში ხიბლავდა, უბრალოდ ევას სანახავად იმიზეზებდა ხოლმე ამ უწყინარ გასართობს. ახლაც, რომ სცოდნოდა ასეთი შაბლონური და გაცვეთილი სცენა გაიმართებოდა მის წინ, აუცილებლად ჩააგდებდა ამ კვირა საღამოს და საკუთარ სახლში რძიან ჩაის დალევდა ნებიერად გაწოლილი ტელევიზორის წინ. მართლაც, რა კარგი იქნებოდა ყველაფერი რომ წინასწარ ვიცოდეთ..

– დამშვიდდი ჩემო საყვარელო.

მზრუნველად ეფერებოდა ევა ახალგაზრდა ქალს.

ჟაკს ეტყობოდა, რომ საბოლოოდ წაუხდა განწყობა და გაფითრებულ ტუჩებს იკვნეტდა.

მან ფრთხილად გადაკვეთა ოთახის კუთხე და კელი აივანზე გაიხმო სასაუბროდ.

ევამ უკან დაიხია და იქვე მაგიდაზე ჩამოჯდა, სადაც მისტერ ჯეფრი უკვე მოწყენილობისგან დამთქნარების მეტს არც არაფერს აკეთებდა.

– რა უცნაური საღამოა, ხომ?

დაეკითხა ევა მას ისე, რომ მზერა არ მოუშორებია დახურული ფანჯრისთვის, რომელზეც კელის ფარდები ჩამოეფარებინა და ისე გასულიყო აივანზე. ეტყობა ერიდებოდა ცხარე კამათი მათ თვალწინ..

მაინც როდის გამოეპარა ეს ყველაფერი ევას? ო, დიახ, ადვილი მისახვედრია, რომ ამ წყვილს საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, მაგრამ როგორ დარჩა ეს ყველაფერი მის მიღმა? ნუთუ მართლაც ასეთი ბრმაა გრძნობები, რომ ევა საკუთარი ლაზანიების იქითაც კი ვეღარ იხედება..

40 წლის ასაკში, როცა ქალი წესით თავიდან უნდა იწყებდეს ცხოვრებას, ზუსტად მაგ დროს დაანარცხეს იგი მიწაზე. რაღა შერჩა ევას, გარდა იმისა, რომ მისტერ ჯეფრის კომპანიით დატკბეს და აღარ იფიქროს ამ საშინლად სიმპატიურ მამაკაცზე, რომელიც ახლა გაცხარებით ეკამათება მისსავე მეზობელ კელის.

მისტერ ჯეფრი საბოლოოდ გამოარკვია ევას შეკითხვამ და აღმოაჩინა, რომ წყვილი აივანზე გასულიყო, თვითონ კი მარტო დარჩენილიყო სასურველ ქალთან ერთად.

– ო, დიახ, დიდებული საღამოა მართლაც, თქვენ კი უმშვენიერესი ხართ ახლა, როგორც არასოდეს...

გაბედა, როგორც იქნა, მან ამის თქმა ღიად და ხელი დაადო ევას აცახცახებულ ხელს. ქალი ოდნავ შეკრთა და მიხვდა, რომ ხანდახან ბედნიერება იმაზე ახლოს არის, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია აღვიქვათ იგი, ამიტომაც გვიჭირს ასე დაჯერება.

როცა ძაფების გაბმა დაიწყო ამ ორ მარტოსულს შორის ზუსტად მაშინ შემოაღეს აივნის კარები ჟაკმა და კელიმ, ისე ძლიერად რომ ფარდები ჩამოგლიჯეს ლამის.

– სად მიდიხარ? გამაგებინე!

მიაძახა ქალმა მას, მაგრამ თითქოს ჟაკს არ ესმოდა არაფერი, ხმაურით გაიკეტა კარი და ყველა გაოგნებული დატოვა.

– არადა სრულებით არ ჩანდა ასეთი ფიცხი ეს ახალგაზრდა.

დააკომენტარა მისტერ ჯეფრიმ.

– თქვენ არ გესმით, მე იგი მიყვარს. იცით, როგორ მიყვარს?

– მე იმაზე უკეთ მესმის, ვიდრე თქვენ წარმოიდგენთ ამას..

უპასუხა კაცმა და ჩუმ-ჩუმად გააპარა ევასკენ მზერა, ის მსუბუქად წამოწითლდა სახეზე და თვალები დახარა.

– ჟაკი აუცილებლად მოეგება გონს და არ დაკარგავს შენნაირ ლამაზ ქალს.

მზრუნველად გაუღიმა ევამ და მეტი დამაჯერებლობისთვის თავიც დაუქნია თანხმობის ნიშნად.

კელიმ ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო და უცერემონიოდ გააბოლა.

კარგა ხანს ისხდნენ ასე ჩუმად, როცა ტელეფონმა დარეკა. ევა წამოდგა და გაოცებულმა აიღო ყურმილი, რადგან, როგორც წესი, საღამოს 10 საათისთვის მასთან არავინ რეკავდა ხოლმე.

სულ რამდენიმე წუთში ევას გაოცებისგან ყურმილი გაუვარდა ხელიდან და, ალბათ, იქვე ჩაიკეცებოდა მისტერ ჯეფრის უჩვეულო სისხარტე, რომ არ გამოევლინა და ხელი არ ეტაცა ღონემიხდილი ქალისთვის.

კელისაც ფერი ეცვალა.

– ვინ დარეკა?

ხმამაღლა ჰკითხა მან და ფეხზე წამოიჭრა.

ევა დუმდა, ხმას ვერ იღებდა გაოგნებისგან. საწყალს წვრილ-წვრილი ოფლის წვეთებით დასცვარვოდა შუბლი.

– ვინ იყო, კი მაგრამ, ევა, გამაგებინეთ?

უკვე ხმადაბლა იკითხა კელიმ და ავი წინათგრძნობისგან ტუჩი მოიკვნიტა.

– ჟაკის მანქანა გადაჩეხილა ხრამში...

ძლივს წარმოთქვა მან და მისტერ ჯეფრის მიეხუტა.

კელი მოწყვეტით ჩამოჯდა სკამზე და თვალები გაუუფერულდა...

* * *

მანქანა ქალაქის შემოგარენთან შეჩერდა, საიდანაც ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვიდა და იქვე შორიახლოს მდგარ ქალს კარი გამოუღო გალანტურად.

– არ იცვლები, სიკვდილის მერეც კი.

ფრთხილად გაუღიმა ქალმა და მოხდენით ჩაჯდა მანქანაში. მუხლს ზემოთ აცდენილი ქვედაბოლო უფრო კვეთდა მის ლამაზ ფეხებს და კაცს ხშირ-ხშირად გაურბოდა თვალი მისკენ.

– აღიარე, რომ გენიალური გეგმაა და უბრალოდ შეუდარებელი მამაკაცი ვარ!

ხმამაღლა იცინოდა ჟაკი და ქედმაღლურად იყურებოდა სივრცეში.

– შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

– ხო, 15 წუთი ზუსტად მეყო იმისთვის, რომ სახანძრო კიბით დაბლა ჩავსულიყავი და იქვე მდგარი საიუველირო მაღაზია გამეძარცვა. შემდეგ გეგმის მიხედვით უკან ამოვბრუნდი და გაბრაზებულმა დავტოვე ევას ბინა. შემდეგ ჩემი მანქანით სიკვდილი გავითამაშე და წინა ღამით დატოვებულ მანქანამდე ფეხით მივედი.

– მიყვარხარ!

უთხრა ქალმა და თვალებგაბრწყინებულმა დააყოლა.

– თან მგონი ერთი სიკეთეც ჩავიდინეთ შემთხვევით.

ეშმაკურად გაეღიმა კელის.

– რა?

– მისტერ ჯეფრი და ევა დაახლოვდნენ.

ჟაკს ხმამაღლა გაეცინა.

– ეშმაკმაც დალახვროს, გინდა ცუდი გააკეთო და მაინც კარგი გამოდის. ყველაფერი დაბალანსებულია ამ ქვეყნად.

ამაზე ორივეს ხმამაღლა გაეცინა.

გემრიელია თავისუფლება.

✍ roza gafrindaSvili

ამპარტავნობის ცოდვა

«ამპარტავანი _ ესე არს თავისის ნაქმნარის
მამწონებელი და უმსგავსო დიდების მოყუარე,
გულმაღალი და სწავლის მოთაკილე»
(სულხან-საბა).

ამასწინათ ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის წიგნში ამოვიკითხე _ თანამედროვე ოჯახმა ტრადიციული ფუნქცია დაკარგაო. ამან ჩემი მეგობრის ჩანაწერი გამახსენა, რამდენიმე წლის წინ დოკუმენტური სიზუსტით რომ ჩაუწერია, მე გადმომცა და აზრის გამოთქმა მთხოვა; მოგვიანებით ის ქალბატონი საზღვარგარეთ წავიდა, ჩანაწერი კი ჩემთან დარჩა. მიმაჩნია, რომ აქ ჩაწერილი ამბავი ნაკლებად ტიპურია, მაგრამ თანამედროვე ოჯახის პრობლემებზე დაფიქრების საბაბს კი ნამდვილად იძლევა.

ეს ამბავი მაშინ დაიწყო, ძველი, მშვიდი ცხოვრების მოყვარულები რომ გავღარიბდით. მაშინ მე, განათლების სისტემის ერთ-ერთი მაღალხელფასიანი მუშაკი, მხოლოდ ათიოდე კილოგრამი პურის, ერთი-ორი კილოგრამი შაქრის ფხვნილისა და ამდენივე საპნის ყიდვას ვახერხებდი. სანამ გონს მოვეგებოდი და დამატებითი შემოსავლის წყაროს ვიშოვნიდი, ჩემი ოჯახი მეგობრების მხარდაჭერამ გადაარჩინა.

სოციალისტური ძილისგან მალე გამოვფხიზლდი; ერთდროულად სამოთხ სამსახურში, ე.წ. ფასიან სასწავლებლებში სირბილი დავიწყე და ისე გავყოჩაღდი, რომ ჩემი სამსახურების ჩამონათვალი ხუთამდე, ზოგჯერ ექვსამდეც კი გავზარდე.

ერთი სიტყვით, იმდენი მოვახერხე, რომ შვილებს სწავლაში ხელი არ შეშლოდათ. ჩემი თავდაუზოგავი შრომის სანაცვლოდ ისინი სწავლასა და ყოფაქცევაში თავიანთი გამორჩეულობით, ენერგიას მმატებდნენ. ხანდახან, როცა შრომით ქანცგაწყვეტილს სასოწარკვეთა მაინც შემიპყრობდა, ჩემი ახალგაზრდული ოჯახის წევრების იუმორი და ოპტიმიზმი მშველოდა;

იმ გაჭირვების წლებში, ჩვენთან მუდმივად ცხოვრობდა ერთი ან ორი, სასწავლებლად თბილისში ჩამოსული ნათესავი; საღამოობით ჩვენ მაგიდას ვუსხედით ვხუმრობდით, ერთიმეორეს ვაქილიკებდით და ვიცინოდით ან ლამპის შუქზე ვკითხულობდით, ზოგჯერ პოეზიის საღამოებსაც ვმართავდით ან ერთიმეორის პრობლემებს განვიხილავდით; ხშირად ახალგაზრდების გარემოცვაში თავს ბედნიერედაც კი ვგრძნობდი.

ჩემი ოჯახის ბედნიერება მაშინ დამთავრდა, როცა ერთხელ, უნივერსიტეტიდან დაბრუნებულმა ჩემმა ქალიშვილმა, გახარებულმა გამომიცხადა _ ი.გ. _ მ პარლამენტში, სტაჟიორად მიმიწვიაო.

ცხადია მესიამოვნა, მაგრამ მაინც გავაფრთხილე _ ამპარტავნებამ არ შეგიპყროს და არც სწავლას მოსწყდე-თქო.

«სამსახურში» ნანი ფრთაშესხმული დაიარებოდა. იმხანად მან უნივერსიტეტში, სამეცნიერო კონფერენციაზე გამარჯვებულის პრემია აიღო, ცოტა ფულიც მე დავუმატე და მოდურად ჩაცმული, ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა.

ამასობაში ჩემმა ასპირანტურის დროინდელმა ამხანაგმა დამირეკა და მითხრა _ ჩვენი შვილები ერთმანეთს იცნობენ და მგონი კიდეც მოსწონთ ერთმანეთიო.

ამ ცნობამ გამახარა; მას ძალიან კარგი ოჯახი ჰქონდა და ორი საცოლე ვაჟიც ჰყავდა _ განათლებულები, ზრდილები, ლამაზები, კარგი სამსახურებით; ჩემმა ძველმა ნაცნობმა ისიც მითხრა, შენი ქალიშვილით ჩემი უმცროსი ვაჟი აღფრთოვანებულიაო; პირველად რომ დავინახე, უნივერსიტეტის ბაღში, ვიფიქრე _ აი, ყველაზე კარგი გოგო, ვინც კი ოდესმე მინახავსო, უთქვამს მას მამამისისთვის.

ამ სიტყვებმა მაფიქრებინა _ ის ვაჟი უნივერსიტეტის ბაღში მამის რჩევით ხომ არ მივიდა, ამიტომ ხომ არ ჩათვალა თავი ვალდებულად მამისთვის შთაბეჭდილება გაეზიარებინა-თქო? თავის დროზე ხომ იგი ჩემ ოჯახს აღმერთებდა! მეუღლის გარდაცვალების შემდეგაც, თითქმის ყველა დაბადების დღეს მილოცავდა, რაც მე კარგახნის დავიწყებული მქონდა და შვილების ამბავს დაწვრილებით მეკითხებოდა, მათი სწავლით და ყოფაქცევით ინტერესდებოდა, რა ფერის თვალები ჰქონდათ, ისიც კი აინტერესებდა; დახმარებაც ხშირად შემომთავაზა, რითაც მე არასოდეს მისარგებლია; ამიტომ ვიეჭვე _ მისნაირ წინდახედულ, ოჯახის უფროსს ჩემთან დამოყვრება იმთავითვე ჩაფიქრებული ხომ არ ჰქონდა-თქო?

ვერ ვიტყვი, რომ ამ ეჭვმა რამენაირად გამაღიზიანა, მაგრამ შვილის ცხოვრებაში მაინც უხეშ ჩარევად ჩავთვალე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩარევა მე ძალიან მაწყობდა.

მოგვიანებით დავრწმუნდი, ჩემი ძველი ნაცნობის წინასწარ გათვლილი ზრუნვა სარძლოს შერჩევისას, გონივრულობას მოკლებული სულაც რომ არ იყო; ოჯახი და შთამომავლობის გაჩენა სწორედ გონივრულობას საჭიროებს; სპონტანურად აღმოცენებული გრძნობები კი ქორწინების საფუძვლად ნამდვილად არ გამოდგება; იგი მათთვისაა მისაღები, ვისაც დროებითი გართობა-დროსტარება აქვს მიზნად და არა ოჯახის შექმნა და შვილების გაჩენა-აღზრდა.

ერთხელ, ჩემმა უმცროსმა შვილმა, გეგამ, როცა ჯერ კიდევ სკოლაში არ დადიოდა, მკითხა

_ დედა, რომელი ქალი ჯობია, ვინც იტყვის _ მე ის კაცი მიყვარს, იმასთან დაწოლა მირჩევნიაო, თუ ის, ვინც იტყვის _ ჩემ შვილს კაი მამა უნდა ყავდეს, კაი, პატიოსანი, ჯამთელი, კაი ნათესავები და მანქანა უნდა ყავდესო? ააა? რომელი ჯობია?

მაშინ მე ამ კითხვაზე პასუხი მზად არ მქონდა და გამიჭირდა უცბად მეპასუხა; თანამედროვე ადამიანს ენა როგორ მოუბრუნდება, სიყვარულის

საწინააღმდეგოდ! ვერც «კაი, პატიოსანი მამის» იდეას შეველიე! ამიტომ, საქმე გავიიოლე და _ ორივე აუცილებელია-თქო, ვუპასუხე. ახლა, თუ ვინმე შემეკითხება, ვიცი, რაც უნდა ვუპასუხო.

ძველ ნაცნობთან სატელეფონო საუბრის შემდეგ ჩემ ქალიშვილს ვკითხე, ასეთ და ასეთ ვაჟს თუ იცნობ-თქო?

_ ვიცნობ! იცი, რა კარგი ბიჭია? უნივერსიტეტის ბაღი რომ გადავჭერი და პირველ კორპუსში შესვლა დავაპირე, შემაჩერა და მკითხა _ შენ ნანი არა ხარო? ახალგაზრდული გაეროდან გიცნობო; მას შემდეგ აღარ მინახავს, მაგრამ რამდენჯერმე ტელეფონით მელაპარაკაო, მითხრა თვალებ გაბრწყინებულმა.

ცხადია, მე, როგორც ყველა დედას, თვრამეტი წლის ქალიშვილის ბედი ფრიად მაღელვებდა; მიუხედავად იმისა, რომ მას ჩემთვის შიშის საბაბი არასოდეს მოუცია, მაინც ვშიშობდი, რადგან ამ ასაკში ახალგაზრდები შეცდომისგან დაზღვეული არ არიან.

ჩემი ძველი ნაცნობის სატელეფონო საუბარმა ისე სასიამოვნოდ ამაფორიაქა, რომ სიახლის მოლოდინში საქმეს გულს ვეღარ ვუდებდი. მე ხომ ჩემი ქალიშვილის მომავალზე დიდ იმედებს ვამყარებდი, რაკი იგი თანამედროვეობას რომ შეეფერება, ისეთი იყო _ ნიჭიერი, გონებაგახსნილი, შრომისმოყვარე, ყოჩაღი, წინსვლაზე გაფაციცებული, ძალიან კარგი მეგობრებით განებივრებული. . .

ვიფიქრე, ახლა მისთვის მეუღლის შერჩევის შესაფერისი დროა-თქო და ტელეფონის ზარს ლოდინი დავუწყე.

ერთხანს მეჩვენებოდა, რომ ზარის ხმას ნანიც მოუთმენლად ელოდა; ტელეფონი კი სწორედ მაშინ დუმდა, როცა ის შინ იყო (მობილურები მაშინ არ გვქონდა). მათი სატელეფონო საუბარი იშვიათად შედგა.

ამასობაში დრო გადიოდა. სტაჟირებაზე, რასაც ნანი სამსახურს ეძახდა, ისევ ხალისით დაიარებოდა, იქაურ ამბებს მხიარულად გვიამბობდა და გაუთავებლად ხუმრობდა.

ერთხელ, შინ რომ დაბრუნდა, თავისებური უდარდელობით გამოგვიცხადა _ შეყვარებული ვარ, ოღონდ არ ვიცი ვინაა და რა ჰქვიაო.

მისგან ასეთ ლაპარაკს შეჩვეულები ვიყავით; ის ხან უნივერსიტეტის დერეფანში შემთხვევით შემხვედრ უცნობ ვაჟზე იტყოდა ჩემი შეყვარებულიაო, ხან გეგას ოთახის კედლებზე გაკრულ უცხოელ ფეხბურთელებზე, ხან რომელიმე ტელედიქტორზე ან მსახიობზე . . . ნაცნობზე ან ამხანაგზე ასე არასოდეს უხუმრია. ამიტომ მის ნათქვამს ყურადღება არ მივაქციე.

სულ მალე შევამჩნიე, რომ შინ დაბრუნებული აღარ გვეკითხებოდა ხომ არავინ დამირეკაო; დრო და დრო კი ტელეფონის ყურმილიდან უცნობი ვაჟი ნერვული ხმით მთხოვდა, თუ შეიძლება ნანის სთხოვეთო . . .

ნანი მას მღელვარებით გაბზარული ხმით ესაუბრებოდა, ყურმილის დადების შემდეგ კი ერთგვარი დაბნეულობა ემჩნეოდა.

ერთხელ მან თავის «ახალ შეყვარებულზე» ძუნწი ცნობები მომაწოდა: იგი პარლამენტის ერთ-ერთი კომიტეტის მთავარი სპეციალისტი ყოფილა, ინგლისში კულტურის უნივერსიტეტი დაუმთავრებია, ოცდათორმეტი წლისაა, ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული, მაღალი, ცისფერთვალება, სუფთად ჩაცმულ-გაპარსული, სერგი ჰქვია, მოვწონვარ და მგონი მეც მომწონსო.

მისმა მოწოდებულმა ცნობებმა ვერ დამაკმაყოფილა; მე ისიც მაინტერესებდა, რაც ამ ჩამონათვალს მიღმა იმალებოდა; ამიტომ, ჩემ ქალიშვილს შევთავაზე _ დავაზუსტებ ვინაა, საიდანაა, ვისი შვილი ან მეგობარია, როგორი ავტორიტეტი ან ხასიათი აქვს . . . ამას ისე გავაკეთებ, ვერავინ გაიგებს; იქ, იმავე სართულზე, შურა დეიდა მსახურობს, ქალებმა კი ყველაფერი იციან, რაც მეზობელ ოთახში ხდება, მით უმეტეს უცოლო ვაჟის შესახებ-თქო . . .

ნანი გადაირია _ დივერსიული მეთოდები რა საჭიროა, რაც გითხარი, იმაზე მეტი რაღა გაინტერესებს! პარლამენტში მუშაობს, ესე იგი საიმედო ადამიანია, უცხოეთში განათლებამიღებულია, ესე იგი პროფესიონალია . . . შენი აზრით ქალების ჭორები უფრო სანდოაო?

გავჩუმდი, რადგან თანამედროვე და თეორიული მორალის თვალსაზრისით ნანი მართალი იყო . . .

ამასობაში ჩემი ძველი ნაცნობის ვაჟმა, რამდენჯერმე, ისევ მაშინ დარეკა, როცა ნანი შინ არ იყო. «ძველმა ნაცნობმა», ხუმრობით, ისიც კი მითხრა _ ჩემი «ნევესტკა» სად დაცუნცულობს, სახლში რომ ვეღარ მოვიხელთეთო . . . (რაც იმას ნიშნავდა, რომ დარეკვები მამის სანქციით ხდებოდა).

გაურკვეველი მოლოდინით აფორიაქებულმა, ამაოდ ვცადე ჩემი ქალიშვილი ერთი-ორი დღით შინ გამეჩერებინა, იმ ვაჟთან სატელეფონო საუბარი რომ შემდგარიყო, მაგრამ მას აღარავის ზარი აღარ აინტერესებდა.

ერთხელ ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, სერგი უნდა მოვიყვანო, შენი გაცნობა და შენთან დალაპარაკება უნდაო.

ეს ჩემი ძველი ნაცნობის ოჯახთან დამოყვრების ჩაშლას ნიშნავდა; არადა ჩემთვის იგი იმდენად სასურველი და რეალური წინადადება იყო, რომ ეს ახალი «ვარიანტი» დიდად აღარ მახარებდა _ საქმეს როდის ან როგორ მოებმება თავი, მისიანები როგორ შეხვდებიან ამ ამბავს, ან ვისთან გვექნება ურთიერთობა-თქო, ვნერვიულობდი.

სასიძოს გაცნობას დიდხანს ველოდი; ვეჭვიანობდი, მოსვლას რად აგვიანებს-თქო; ნანის ისიც კი ვკითხე, ჩემი გაცნობა თავად შესთავაზე თუ თვითონ გამოთქვა ამის სურვილი-თქო? ამით იმის დადგენა მსურდა, მათ ურთიერთობაში ნანი ხომ არ აქტიურობდა. ნანიმ გაიოცა _ მე როგორ ვეტყოდი წამოდი, დედაჩემს დაელაპარაკეო! რაც შეეხება ვიზიტის დაგვიანებას, ხელფასის აღებას ელოდება, ხელცარიელი ხომ არ მოვაო!

თანაგრძნობით განვეწყვე და ჩემი ქალიშვილი ვანუგეშე _ ახლა სტუმრად მისვლაც პრობლემაა და სტუმრის მიღებაც, არადა შენ ხომ იცი, ამ ფორმალობას რომ მე მნიშვნელობას არ ვანიჭებთქო . . .

ჩემმა ქალიშვილმა სასიძო კარგა ხნის ლოდინის შემდეგ მოიყვანა;

ნანის გაფრთხილებული ვყავდი, საგანგებო სამზადისი საჭირო არაა, სერგის ეუხერხულებაო, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი; მოკრძალებული სადილი გავამზადე, თავადაც თავმდაბლურად მოვირთე, რაც ვარ, იმაზე უფრო მეტად თავი არ მოვაჩვენო-თქო.

სტუმარს, შინ, მე და გეგა დავხვდით; თამუნა, რომელიც იმხანად ჩვენთან ცხოვრობდა, სოფელში იყო წასული.

კარგად მახსოვს, კარი რომ გავაღე და სიხარულით გაბრწყინებული ჩემი ქალიშვილის გვერდით მაღალი, გამხდარი, უხერხულად მომღიმარი ვაჟი და-

ვინახე, გული უსიამოდ შემეკუმშა. მაშინ მე ეს ცისფერთვალება და თეთრი პირისახის კაცი შავად და უსიმპათიოდ აღვიქვი.

ვეცადე ჩემი შეცბუნება არ შემემჩნია და ისე ვიდიასახლისე, თითქოს ნანის ჩემთან საქმრო კი არა, ერთ-ერთი თავის ამხანაგი მოეყვანოს. ჩემი უსიამო განცდა კი მშობლის ეგოიზმს დავაბრალე.

ვისაუბრეთ ყველაფერზე და არაფერზე;

საუბარი, ძირითადად მისი შეფის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას შეეხებოდა, რასაც მე სხვების გამონათქვამების მოშველიებით ვაკრიტიკებდი ისე, რომ ჩემი პოზიცია არ გამომიხატავს. ამით სტუმართან ჩემი ურთიერთობაც არ გავაფუჭე და არც მისი აზრები გავიზიარე, რაკი ის თავისი შეფის პოლიტიკური მოძრაობისადმი ერთგულებას აშკარად გამოხატავდა; ნანის სიხარულსაც გავუფრთხილდი, რაც ჩემს შეხედულებებზე უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიე.

«საქმეზე» ჩვენ არ გვისაუბრია; სტუმრის ბრიტანული ცხოვრებიდან რამდენიმე ძუნწი ინფორმაციის გარდა ახალი ვერაფერი შევიტყვე. ჩაძიების საბაბი კი მას ჩემთვის არ მოუცია. ჩვენი საუბარი «ყველაფერზე და არაფერზე» იმის უფლებას არ მაძლევდა, მისი ოჯახით ან სანათესაოთი დავინტერესებულიყავი; მით უმეტეს, ეკონომიკურ მდგომარეობაზე სიტყვას ვერ გადავუკრავდი; მხოლოდ იმის კითხვა მოვახერხე, ქვეყნის საერთო გასაჭირიდან გამომდინარე, ნორმალური ხელფასები მგონი არც თქვენთანაათქო . . .

გაირკვა, რომ «ხელზე» იგი ოთხმოც ლარს იღებდა, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატად გასვლას ვარაუდობდა და ხელფასიც უკეთესი გამიხდებაო, ვითომ სხვათა შორის თქვა.

ამ ვარაუდმა მე პესიმისტურად განმაწყო, რადგან არც თავად ჰგავდა მომავალ პარლამენტარს და არც მის პარტიას ჰქონდა არჩევნებში გამარჯვების შანსი.

მსგავსი «წინდახედულობები», საკუთარი ცხოვრების დასაწყისში, ჩემთვის უცხო იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ახალგაზრდობის თვისება სწორედ წინდაუხედაობაა; მეორეც, «ავადსახსენებელი სოციალიზმი» მშვიდი არსებობის გარანტიას ნამდვილად იძლეოდა და დიდად არც მომავალზე ფიქრით ვიწუხებდით თავს (მაშინ ჩვენს მაგივრად სხვები _ ხელისუფლება ფიქრობდა); ახლა, გაცხარებული კონკურენციის პირობებში, დიდი ილიასი არ იყოს, «თუ ცხოვრებას თვალი ოდნავ მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა!» (სწორედ ამ «თვალდაუხუჭავმა» აქტიურობამ მოუტანა განვითარებულ ქვეყნებს მატერიალური კომფორტი, რისკენაც «თავქუდმოგლეჯილი» მიისწრაფის ჩვენი ახალგაზრდობა).

მე არც იმის ილუზია მაქვს, რომ ჩემი ასკეტური შეგონებებით ჩემ შვილებს «კარგი ცხოვრების» ჩემეული, «ძველმოდური» გაგებისკენ შემოვაბრუნებ; ამიტომ ვარ იძულებული მათ მომავალზე «ახლებურად» ვიფიქრო, ანუ მატერიალურისადმი ჩემი დაუდევარი დამოკიდებულება ცოტათი მაინც გამოვასწორო; ამიტომ შევხედე ეჭვით ჩემი სასიძოს ოთხმოცლარიან ხელფასს და უპერსპექტივო მომავალს . . .

მაგრამ იმ საღამოს მაინც თავაზიანი ვიყავი, გულის სიღრმეში კი რამდენჯერმე ამოვიკვნესე _ ვაიმე, შვილო-თქო!

სასიძოს წასვლის შემდეგ გეგამ თქვა _ მაგის პარტიის იდეებს რომ კაცი გაიზიარებს, იმის ინტელექტის რა ვთქვი მეო!

სტუმრის ჩაცმულობა, მანერები ან სხვა წვრილმანები არ გვიხსენებია, თუმცა მის მიერ მორთმეული «ბამბანერკა» დასკვნების უფლებას ნამდვილად იძლეოდა; მართალია ამგვარ ფორმალობებს მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, მაგრამ ორლარიანი «ბამბანერკა» მაინც თვალში მომხვდა; თუ ახლად ხელფასაღებულ კაცს უკეთესის ყიდვის საშუალება არა აქვს, რაღა ექნება ერთი-ორი კვირის შემდეგ? თუ აქვს, მაგრამ მაინც იაფფასიანს ყიდულობს, სასიდედროსთან თავი რომ მოიწონოს, ან ძუნწია, ან მომავლის შიშით შეპყრობილი ადამიანი-თქო, ვფიქრობდი და ჩემივე თავის მრცხვენოდა, რადგან დღემდე ასეთი ცოდვილი ფიქრები არასდროს მქონია; ყველა ხელმოკლესთან «საკუთარი შრომით მოპოვებული კეთილდღეობით ტკბობის» პროპაგანდას მივმართავდი, რაც მაშინვე დამავიწყდა, როგორც კი საქმე საკუთარ შვილს შეეხოთქო, ვიმუნათებდი თავს, მტანჯველ ფიქრებში ჩაძირული.

ერთხელ ნანი შინ გახარებული და ბედნიერი დაბრუნდა, სუნამოს პატარა შუშა მიჩვენა და წამჩურჩულა _ ნახე, სერგიმ რა მაჩუქა! იცი, რა ძვრფასია? თვრამეტი ლარი ღირსო; მერე ეშმაკურად შემომხედა და მითხრა _ შემოდგომაზე, მისი ბინის რემონტი რომ დამთავრდება, დავქორწინდებითო, გახარებულმა დასძინა.

«ძვირფასი საჩუქრის» დანახვისას კიდევ ერთხელ «ჩამწყდა გული»; მე არასოდეს გამხსენებია, «ძვირფასი სუნამო» რომ ჩემ ქალიშვილს არ უნახავს; წამით სურვილი გამიჩნდა მისთვის «კარგი დროინდელი», «შანელის» ცარიელი შუშები მეჩვენებინა, კარადაში შენახული რომ მქონდა და მისი წყალობით თეთრეულს ნაზი სურნელი ასდიოდა. ამ ფიქრის უზნეობა სწრაფადვე გავაცნობიერე, მით უმეტეს «შემოდგომაზე დაქორწინების» ცნობამ სხვა, უფრო სერიოზული საფიქრალი გამიჩინა და საჩუქარი მოვიწონე.

ერთხელ, ოციოდე წლის წინ, როცა ექსპედიციაში ვიყავით, ერთი გურული ქალბატონი, ქორწინების ტრადიციაზე საუბრისას, «ქალის დასანიშნად ძვირფასეულობის» აუცილებლობაზე გვესაუბრებოდა; ჩვენ, რომანტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდები, ხელმოკლე ვაჟებს გამოვესარჩლეთ და იმ დეიდის «ძველმოდურ» მოსაზრებებს «ახლებურით» დავუპირისპირდით _ თუ ოქროს ნივთების ფული არა აქვს, ვაჟი არ უნდა დაქორწინდეს-თქო? ვეკითხებოდით ირონიულად;

ის ქალბატონი ჩვენი შეკითხვის ტონს არ შეუშინებია და ქორწინების ქართული (და არა მარტო ქართული) ტრადიცია ერთგვარი გაღიზიანებით დაიცვა _ თუ ვაჟს ერთი ქეციანი ოქროს ბეჭდის და საათის ფული არ აქვს, რა ექორწინება! იმუშაოს, ოჯახის შექმნისთვის აუცილებელი პირობები შეიქმნას და ცოლი მერე შეირთოს! თუ გოგოს ნამდვილად უყვარს, მოიცდის, თუ ვერ მოითმენს და სხაზე გათხოვდება, სიყვარულიც არ ყოფილა და გულდასაწყვეტიც არაფერიაო . . .

მაშინ ჩვენი საუბარი «სიყვარულის სასარგებლოდ» დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ ქალბატონის ლოგიკას გონივრულობა არ აკლდა; ახლა დარწმუნებული ვარ, «ქალის დანიშვნის ტრადიცია», რაც «ძვირფას ნივთებზე» ზრუნვასაც გულისხმობს, მხოლოდ ლამაზი ნივთებით საპატარძლოს მო-

ხიბვლისა და მისი გახარების მიზნით როდი შეიქმნა! ეს პროცედურა, რიტუალი, მთელი თავისი სირთულეებითა და დაბრკოლებებით, მომავალი, სერიოზული ოჯახური ცხოვრებისთვის განაწყობს ადამიანს, რაც ზრდის მყარი ოჯახის ალბათობას და ზედმეტი სულაც არაა.

სულ მალე ჩემი ქალიშვილი სერგის თანამშრომლების მიმართ აგრესიულად და მისთვის უჩვეულოდ ალაპარაკდა _ სერგის ნერვებს უშლიან, ის «სტარაია ძევებიო»;

ელდა მეცა; კოლექტივთან კარგი ურთიერთობა ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიმაჩნდა, მით უმეტეს შეყვარებულობის პერიოდში, როცა ადამიანს მთელი კაცობრიობა უყვარს და აღარ ჰგონია, თუ ქვეყანაზე ცუდი ვინმე დაიარება;

კონფლიქტისას მე ყოველთვის მჩვეოდა ბრალი საკუთარი თავისთვის ან ჩემიანისთვისაც დამედო, რადგან დღემდე მჯერა, რომ შეუძლებელია ადამიანი ნებისმიერ სიტუაციაში სრულიად უცოდველი იყოს. ამით, უთუოდ ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ჩემი თავმოყვარეობის გადარჩენა მსურდა, რაკი ამ შემთხვევაში თავს უსამართლოდ დაჩაგრულად აღარ ვიგრძნობდი. ეს ნიშნავს, რომ მერჩია დამნაშავე მეც ვყოფილიყავი, ვიდრე ვინმესგან დაბრიყვებული! ეს «თავმდაბლობა», როგორც იტყვიან, «უკანა კარებიდან» ამპარტავნებამდე მიდის, რამდენადაც ამპარტავანის ბუნება, «ვინმესგან დაჩაგვრას» ვერ ან ძნელად ჰგუობს.

ამას მოგვიანებით მივხვდი, როცა სხვისი ამპარტავნების ანალიზს შევუდექი; იმ ხანად კი «თავის დადანაშაულების» ჩვევა დიდ სათნოებად მიმაჩნდა; აქედან გამომდინარე, ჩემ ქალიშვილს შეგონება დავუწყე _ იქნებ მათ რაღაცით აღიზიანებთ? იქნებ მათთან ხშირად შედიხარ და მუშაობაში ხელს უშლი? იქნებ რომელიმეს სერგი მოსწონდა, შენმა გამოჩენამ გეგმები ჩაუშალა, სხვები კი თავისიანს უფრო თანაუგრძნობენ? შეეცადე მათაც გაუგოთ; ამით კონფლიქტსაც აიცილებთ, თავსაც ნაკლებად დამნაშავედ იგრძნობთ და იქნებ მათი მხარდაჭერაც კი დაიმსახუროთ-თქო.

არაო, სერგი მათ ვერც ჩემამდე იტანდა, მათთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა, მათ არც კი ესალმებოდაო . . .

ამ ამბავმა მე ახალი საფიქრალი გამიჩინა; ნანის კი ჩემი «თავის დადანაშაულების» სიკეთეზე საუბრის მოსმენაც არ სურდა.

არადა, ჩემი ქალიშვილი, თავის უნივერსიტეტელ და სკოლის მეგობრებსაც, უკვე თავს არიდებდა.

ამასობაში ჩემ სასიძოს თავის შეფთან უსიამოვნება მოსვლია; როგორც ჩემმა ქალიშვილმა მითხრა, ურთიერთობა «სტარაია ძევებმა» გააფუჭა; სამსახურიდან წასვლის განცხადება მას მაშინვე დაუწერია, როგორც კი წასვლა შესთავაზეს (ესეც ამპარტავნება ხომ არაა?)

_ ახლა სახლში მარტო ზის და ნერვიულობს; ჩვენ, ალბათ, მისი ბინის რემონტს არ დავუცდით და ბარემ დავქორწინდებითო;

_ როგორ, მე აღარ მეკითხებით? არ უნდა ვიცოდე, სად ან ვის ოჯახში შედიხარ? რას მეტყვიან ნათესავები და მეგობრები-მეთქი? ავნერვიულდი;

მე თავს არავის წინაშე ანგარიშვალდებულად არ ვთვლიდი, შვილები მარტომ, სულიერი და ფიზიკური ძალების დიდი ძალისხმევით გავზარდე,

მაგრამ მაინც მიმაჩნდა, რომ პასუხისმგებლობა მხოლოდ შვილების წინაშე როდი მაკისრია . . .

არ მგონია, რომ ესაა ე.წ. «შიში საზოგადოებრივი აზრის წინაშე», რისიც დღეს ასე გვეშინია და თითქოს განგებ ვცდილობთ გამომწვევად მოვიქცეთ, რათა ჩვენი დამოუკიდებლობის, «თავისუფლების» დემონსტრირება მოვახდინოთ. მე დღემდე ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივი აზრი ის «საჯილდაო ქვაა», რაზეც მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორე მოწმდება. ჩემი ამ შეხედულების გამო თავი მართალი მგონია _ ვფიქრობ, აქ საქმე სწორედ ამპარტავნების საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს.

ახლობლების აზრიც რომ არაფრად ჩავაგდოთ, არც სხვა მხრივ მიმაჩნია გამართლებულად «ნახტომი სიბნელეში», რაც ამ შემთხვევაში ქალიშვილის უცნობ მამაკაცზე, სრულიად უცნობ გარემოცვაში გათხოვებაა; ჩვენ იოლად ვამბობთ _ მთავარი სიყვარულია და მატერიალურ მხარეს მნიშვნელობა არა აქვსო; სინამდვილეში ასე არაა. ეს მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა სიყვარული ინტიმურ სიახლოვეს გთხოვს და არა ოჯახის შექმნას და შვილების გაჩენას; უფრო კარგი იქნება თუ დავაზუსტებთ: მინიმალური საცხოვრებელი, საარსებო პირობები _ ბინა, ლეიბ-საბანი, საჭმელი, ჰიგიენის საშუალებები, უქორწინო სიყვარულისთვისაც კი აუცილებელია. მის გარეშე ხომ შვილის გაჩენაზე ფიქრიც ცოდვაა!

ამაში მე მოგვიანებით დავრწმუნდი, როცა ჩემთან სტუმრობისას ჩემი ფეხმძიმე, გამხდარი და გაყვითლებული ქალიშვილი, ხარბად სანსლავდა სადილის ნარჩენებს.

მაგრამ ამაზე მოგვიანებით; მაშინ კი თავს ვიდანაშაულებდი ჩემი შვილის ნაჩქარევი გადაწყვეტილების გამო; მე, როგორც ჩანს, მატერიალური ფასეულობების მიმართ იმდენად დაუდევარი ვიყავი, რომ შვილებს მის მიმართ ოდნავი პატივისცემაც ვერ ჩავუნერგე.

ერთხელ, ოციოდე წლის წინ, როცა მთელი ოჯახი ქობულეთის პლაჟზე მზეს ვეფიცხებოდით, ჩემმა მეუღლემ ზღვაში ჩაყვინთა, ნაპირზე გამოსულმა ფსკერიდან ამოღებული ჭრელი კენჭი მიჩვენა _ ნახე, რა მოგიტანეო? მითხრა და საზეიმოდ გადმომცა; მე მესიამოვნა მას რომ ჩემი გახარება ბავშვივით უხაროდა; ვიცინოდით, კენჭს ინტერესით დავცქეროდით და მის ათასწლოვან «თავგადასავალზე» ვფანტაზიორობდით;

შუბლშეკრულმა დედაჩემმა ერთხანს გვიცქირა, მერე კი წაიბუზღუნა _ მაგ სისულელეებით გააბრიყვე ჩემი შტერი შვილი . . . კენჭი ისე უხარია, თითქოს ბრილიანტის ბეჭედი გაუკეთეს ხელზეო . . .

ამ რეპლიკაზე ჩვენ ლაღად ვიცინოდით; შემდეგ კი მეგობრებს ვუამბობდით ამ «ძველმოდური», «სიდედრული» იდეოლოგიის შესახებ;

_ აი, რა მაგარი ვარ, კენჭით გავაბრიყვე შენი შვილიო, ნიშნის მოგებით ეუბნებოდა სიდედრს ჩემი მეუღლე და გულიანად ვიცინოდით.

ეს ამბავი შვილებთანაც არაერთხელ მომიყოლია; იმ კენჭითაც ხშირად უთამაშნიათ, რომელიც ახლაც სამკაულების ყუთში მაქვს შენახული.

ჩემი შვილები ზოგჯერ იმის შემსწრეც გამხდარან, როგორ ვამშვიდებდი ღარიბ ცოლ-ქმარს _ არა უშავს, უფრო ბედნიერები და ამაყები იქნებით, თუ ცხოვრებას თავად აიწყობთ-თქო;

ასეთი ეპიზოდებით, როგორც ჩანს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ჩემ შვილებს ისე ჩავუნერგე მატერიალურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, რომ ახლა, როცა ჩემ ქალიშვილს ვკითხე _ ბინამოუწესრიგებელ და უმუშევარ კაცს ცოლად რომ მიჰყვები, არ გეცოდება-თქო?

_ ეს ამბავი საერთოდ არ მაღელვებს, ჩვენ ყველაფერი გვექნება, აი, ნახავ თუ არა!

_ მის ნათესავებს და მეგობრებს რომ არ იცნობ, არც მის წარსულს და ხასიათს, არც ის იცი _ ურთიერთობებში როგორია, არც ამის გეშინია?

_ მიყვარს და ვუყვარვარ, ერთად რომ ვიქნებით, ყველაფერი აეწყობაო, მიპასუხა;

ამ საუბარმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა მისი აღზრდისას შეცდომა რომ დავუშვი და ამას ახლა აღარაფერი ეშველებოდა; ნანი ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ჩემი «ჭკვიანური ვარაუდებით» მისი აღმაფრენის დანგრევა უკვე დაგვიანებული იყო;

. . . არადა სანამ ის სახლიდან წავიდოდა, რამდენიმე საგულისხმო ამბავი მოხდა, რისგანაც ჭკვიანი მშობელი, თვით შეყვარებული ადამიანიც, საჭირო დასკვნებს გააკეთებდა.

ერთხელ, ბავშვობის მეგობრებმა ნანი, თავის საქმროსთან ერთად, რესტორანში დაპატიჟეს. ჩემი შვილი იქიდან დაღლილი და გაწუწული დაბრუნდა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ის, ამ წვიმაში, შინ ფეხით დაბრუნდა.

დიდხანს გაოგნებული იდგა, მერე საწოლზე მიეგდო და აქვითინდა.

თავზარი დამეცა _ რა მოხდა? რა მოხდა? რა მოხდა? . . .

ვიდექი მის საწოლთან და ერთსა და იმავეს მექანიკურად ვფიქრობდი.

დიდხანს იტირა; როცა ცოტა დამშვიდდა, როგორც იქნა ამოთქვა:

_ სერგის ჩემი მეგობრები არ მოეწონა, რა გაქვს მათთან საერთოო . . . ბანძები არიან, აწი მაგათთან აღარ დაგინახოო . . . ლამის იჩხუბეს . . .

რომ ვკითხე _ რათა, რა თქვეს შენმა მეგობრებმა ისეთი, რაც მას არ მოეწონა-მეთქი, _ ისეთი არაფერი, როგორც სჩვევიათ, ხუმრობდნენ და იცინოდნენო, ტირილით მიპასუხა.

აღვშფოთდი; მიმაჩნია, რომ ნანის მეგობრები ხმაურიანი, მაგრამ სასიამოვნო გარეგნობის, იუმორის გრძნობით გამორჩეულები, მეგობრულები, და განათლებულებიც კი არიან; არც უფროს-უმცროსობა ეშლებათ და უბანშიც კარგ ბიჭებად ითვლებიან. როცა ჩემთან იკრიბებიან, მათ ლაღ ხუმრობებზე მეც გულიანად ვიცინი; ვერ ამეხსნა, რით შეიძლებოდა გაეღიზიანებინათ ჩემი სასიძო; თვით იმ ფაქტს, რომ მათ, ამ გაჭირვების ხანს, სახსრები გამოძებნეს და ნანის საქმროს შეხვედრა მოუწყვეს, დიდად ვაფასებდი და ერთგვარად კიდეც მეამაყებოდა, ჩემ ქალიშვილს ასეთი ქომაგები რომ ჰყვანან.

აქვითინებული შვილის დასამშვიდებლად კი ირონია მოვიშველიე და ნანი «ვანუგეშე» _ იმ ვაჟბატონს უთხარი, ბოდიში, თუ ჩემი მეგობრები შენს ბრიტანულ გემოვნებას ვერ აკმაყოფილებენ; ისინი ისეთები მიყვარან, როგორებიც არიან და თუ შენ ჩემი წრე არ მოგწონს, კარგად იყავი-თქო!

ამაზე ნანიმ გამანადგურებელი მზერით მიპასუხა, რითაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი რომ ჰქონდა.

ერთხელ, «სამსახურიდან» რომ დაბრუნდა, ნანი სერიოზული და უჩვეულოდ ჩაფიქრებული, კარგახანს უხმოდ იდგა; მუდარით შევცქეროდი და ცუდის მოლოდინში შეკითხვას ვერ ვბედავდი.

მტკივნეული დუმილის შემდეგ, როგორც იქნა ამოთქვა:

_ სერგიმ მითხრა, არ მინდა რამე დაგიმალო, ცოლს გაშორებული ვარ, ახლად დაბადებული გოგონა მყავსო . . .

კიდევ ერთხელ დამეცა თავზარი, მაგრამ შვილის სევდას დიდხანს ვერ გავუძელი და «ვანუგეშე»

_ მთავარი უბედურება ის კი არაა, ცოლს გაშორებული რომ არის; მთავარი უბედურება ის მიზეზია, რის გამოც ერთმანეთს დაშორდნენ, ერთიმეორის მიმართ რა პრეტენზიები ჰქონდათ-თქო. გულში კი სასიძოს მიმართ პირველი სერიოზული საყვედური გამიჩნდა _ მან ეს საიდუმლო ჩემ ქალიშვილს მაშინ გაუმხილა, როცა ის «უგონოდ შეყვარებული» იყო. ნანის მეგობრები რომ არ მოეწონა, ამის გამო საყვედურის უფლება არ მქონდა, რაკი «გემოვნების გამო არ დაობენ», თუმცა, წინდახედულ ადამიანებს გემოვნებებს შორის ეს კონტრასტიც უთუოდ უნდა გაეთვალისწინებინათ.

როგორც ნანის სჩვეოდა, ცუდმა გუნებამ მალე გაუარა და მოხასიათდა, მე კი გულზე «ლოდი დამაწვა» და გაურკვეველი მომავლის შიშმა მოსვენება დამიკარგა _ მამა რომ ცოცხალი ჰყავდეს, მას უფრო დაუჯერებდა და დაცულიც უფრო იქნებოდა-თქო, ვფიქრობდი; ჩემი თავიც მეცოდებოდა, შვილის ბედზე მარტო რომ ვაგებდი პასუხს და ჩუმჩუმად ვიცრემლებოდი.

მეორე დღეს ნანი შინ მხიარული დაბრუნდა;

_ სერგის ვკითხე ცოლს რატომ გაშორდი, იქნებ შენს პრეტენზიებს ვერც მე ვაკმაყოფილებ, სჯობს _ ეს თავიდანვე ვიცოდე, რომ მერე არც ერთმა არ ვინანოთ-თქო; ძალიან ესიამოვნა; მითხრა _ კარგი გოგო ხარ, ეს რომ გაღელვებსო; ცოლთან განშორების მიზეზი კი ის იყო, რომ ერთმანეთი არ გვიყვარდაო.

ვეჭვობდი, რომ ამ «მშვიდობიანი» მიზეზის მიღმა დიდი ტრაგედია იმალებოდა, მაგრამ იმასაც ვხედავდი, ახლა ნანის რომ ვერაფერს შევასმენდი.

ქორწინაბამდე მათ კიდევ რამდენიმე «ჭკუის სასწავლი» ფათერაკი შეემთხვათ, რამაც ჩვენ ჭკუა ვერ გვასწავლა.

* * *

ერთხელ ნანი თავისმა ლექტორმა შინ დაიბარა, წიგნები უნდა მიეცა; იქ მას სერგიც მიაცილებდა; გზად ნანის თანაკურსელი ვაჟი წამოეწიათ:

_ მანქანა პირდაპირ ფეხებთან დამიმუხრუჭა, თან მელაპარაკებოდა, თან მალ-მალე სერგის გახედავდა; ამაზე სერგი გადაირია, გვარიანი ჩხუბი მოუვიდათ, კინაღამ ერთმანეთს დაარტყესო . . .

_ გაღიზიანდებოდა, აბა, რაა! ვიღაც უზრდელი, ლაწირაკი, მანქანით დაგრიალობს, სერიოზული კაცი კი იძულებულია თავისი საცოლე ფეხით ატაროს მთაწმინდის აღმართებზეო. . . ამართლებდა სერგის.

კონფლიქტის ასეთი ახსნა ერთი ინცინდენტის ფარგლებს სცილდებოდა; ჩემი სასიძოს იდეოლოგიამ ჩვენი პირველი შეხვედრისასაც შემაშინა, ახლა კი

იმ არასასურველმა ზეგავლენამაც, რაც მას ამ მცირე დროში ჩემ ქალიშვილზე მოუხდენია; მშვენივრად ვიცოდი, სერგის გაცნობამდე ნანი რომ ამგვარად არ აზროვნებდა; მას არასოდეს აღიზიანებდა სხვისი სიკეთე, სიმდიდრე იქნებოდა ეს, სილამაზე, განათლება თუ წარმატებები; ყველაფრით ტკბებოდა, რაც წილად ერგო ცხოვრებაში, თუმცა არც უკეთესზე იტყოდა უარს; თუ აწი ისეთი «უსამართლობები», როგორიც ვიღაცის «მანქანით გრიალია» მათ ნერვებს აუშლით, ჩხუბი და აყალმაყალი არც მომავალში მოაკლდებათ-თქო, ვფიქრობდი და ვიტანჯებოდი.

მოგვიანებით, უნივერსიტეტის დამთავრების აღსანიშნავ ბანკეტზე ნანი და სერგი ერთად წავიდნენ; ისინი იქ მთელი ღამე უნდა დარჩენილიყვნენ; საზეიმოდ მორთული ნანი, ყველაფრის გამო სიხარულით ბრწყინავდა; წასვლისას წავჩურჩულე _ შენ საქმროს დააკვირდი ლხინში როგორია, ზომაზე მეტს ხომ არ სვამს, ყურადღებიანია თუ არა, შარიანი ხომ არაა, იუმორის გრძნობა თუ აქვს; ამას ყველაფერს თქვენი მომავალი ურთიერთობებისთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, ყველაფერს, ტრადიციულს ხაზს ნუ გადაუსვამთქო. . .

ნანი შინ ღამის პირველ საათზე დაბრუნდა, ტირილით თვალებ და ცხვირ დასიებული; საწოლზე მიეგდო და აღრიალდა;

ცოტა რომ დამშვიდდა, მოკლედ მიამბო:

_ სერგიმ ჩემ მეგობრებთან სერთო ვერ გამონახა; ისინი ერთხანს ჩვენ აყოლიებას ცდილობდნენ, მაგრამ სერგიმ მათ «თავი არ გაუტოლა» ; მერე კი ყურადღება აღარ მოგვაქციეს და ერთმანეთთან ერთობოდნენ, რაც, რა თქმა უნდა, სერგის არ მოეწონა, ადგა და წამოვიდა _ «მე ამათთან გამჩერებელი არა ვარ, შენ თუ მათთან გირჩევნია, დარჩიო» . . . რაღას ვიზამდი, ავდექი და წამოვედი, არადა იქ ყოფნა ძალიან მინდოდაო;

ნანის ტირილისაგან დასიებული ცხვირი და თვალები უფრო მეტს ამბობდა, ვიდრე უწყინარი «ადგა და წამოვიდაა»; სულ ცოტა, გზაში კამათი მაინც ექნებოდათ ნანის «ბოიმი» თანაკურსელების გამო, აკი მისი ბავშვობის მეგობრები ამიტომ შეიძულა და საცოლეს მათთან ურთიერთობა აუკრძალა!

ისევ დავუწყე შეგონება:

_ კარგად დაფიქრდი, შეგიძლია ასეთ ადამიანთან მთელი ცხოვრება გაატარო? შეგიძლია მეგობრები მისი გულისთვის დათმო და ხასიათი გამოიცვალო? ან, დარწმუნებული ხარ, რომ ხასიათს ის გამოიცვლის? პირადად მე არც ის მომწონს, თავად ნათესავები, ამხანაგები და მეგობრები რომ არ ჰყავს! სამსახურიც იმიტომ დაკარგა, თანამშრომლებს, რომ ვერ შეეწყო . . . მისი «გადაკეთების» უფლება არც შენ გაქვს, არადა შვილები რომ გაგიჩნდებათ, პრობლემები და პრეტენზიები მერე ნახეთ! განქორწინება გამოსავალი არაა; თვითონ რა გიჭირთ, ბავშვებია ცოდო, მათ ორივე მშობელი სჭირდება სულიერი სიჯანსაღისთვის; სანამ გვიან არაა, დაფიქრდი ამაზე-თქო;

. . . ვეუბნებოდი და ვგრძნობდი ჩემ შეგონებას აზრი რომ არ ჰქონდა.

ამასობაში მათ «სამეფო თეატრში» სიარული დაიწყეს, სადაც თურმე კომუნისტების დროს დამალულ-დაფანტული დიდგვაროვნები დაიარებოდნენ.

როგორც ნანიმ მითხრა, სერგის დედა, ქალბატონი ლიანა, სამეფო გვარის შთამომავალი ყოფილა; როგორც მისი ნაამბობიდან დავასკვენი, ამით დიდა-

დაც ამაყობდა; გვარი კი კომუნისტური რეჟიმისგან თავდასაცავად გამოიცვალესო;

დიდგვაროვნებთან დამოყვრება, თუნდაც «დამალულთან», ჩემს პატივმოყვარეობას (თუ ამპარტავნებას?) «მალამოდ მოეცხო», მაგრამ გულზე მაინც «გველმა მიკბინა»; გამახსენდა, დიდი ხნის წინ როგორ ტანჯავდნენ ჩვენს ოჯახთან დაახლოებულ ქალბატონს იმერელი აზნაურის შთამომავლები; ფეხიფეხზე გადადებული მისი ქმარი დღედაღამ აივანზე იჯდა, კითხულობდა და თამბაქოს აბოლებდა; დედამთილი კი რძალს, რომელმაც ოთხი შვილი გააჩინა და სოფლის სამუშაოებსაც თავგანწირვით ასრულებდა, აივნიდან გადმოსცქეროდა და ავსიტყვაობდა _ უნდა იმუშაო, აბა, რაა! გლეხი ხარ და უნდა გვემსახუროო . . .

შვილები რომ წამოეზარდა, ბებია, წვრილმან საოჯახო საქმიანობაში მონაწილეობას მათაც უშლიდა _ ეგ გლეხების საქმეა, თქვენ მხოლოდ ლამაზად ჩაიცვით და კარგად ისწავლეთ, დანარჩენს დედათქვენმა მიხედოსო; საწყალი «გლეხის ქალი» კი შვიდსულიან ოჯახს მარტო არჩენდა, თან თავისი ქმრის გამართლებას ცდილობდა _ აზნოუშვილობის გამო კი არაა ტყვილა რო არის, ავადაა და მუშაობა არ შეუძლია, დედამთილი კი ბოროტია, ასე იმიტომ მექცევაო . . .

ასე იყო თუ ისე, ჩვენი ახლობელი, რომელიც ახალგაზრდობაში ლამაზიც კი ყოფილა, დაბეჩავებულ-გასაცოდავებული, ნათესავებში დაიარებოდა, მათ შინაურ საქმეებში ეხმარებოდა, ოჯახისთვის «დამატებითი ლუკმა» რომ ეშოვნა.

ამის შესახებ ნანის, ერთხელ, ღიმილით ვუამბე _ თუ მსგავსი რამ გაგრძნობინონ, შეგიძლია თავი ამაყად დაიჭირო; თუ ქალბატონი ლიანა სახელოვანი წინაპრების მეხუთე თაობაა, შენი ბებია თავადის ქალი იყო, შენ მესამე თაობა ხარ, დიდგვაროვნობაზე პრეტენზია შენ უფრო გაქვს-მეთქი; ნანიმ უდარდელად გაიცინა და თავისთავში დარწმუნებულმა, ამაყად მიპასუხა _ ვიცი, დედა! ნუ გეშინია, მე ვერავინ დამაჩმორებსო.

ამგვარად, მათ «ახლებურად» დაქორწინება გადაწყვიტეს.

როგორც ნანიმ მითხრა, გეგმა ასეთი ჰქონდათ: თავდაპირველად ისინი ნაქირავებ ბინაში იცხოვრებდნენ, შემოდგომაზე კი საცხოვრებლად სერგის გარემონტებულ ბინაში გადავიდოდნენ.

გავცხარდი; _ რათ ჩქარობთ, ჯერ სამსახურის და ბინის საქმე მოაგვარეთ-თქო . . . არაო, ჩემმა ქალიშვილმა; სერგის დანაზოგი აქვს, სამსახურის შოვნამდე ის გვეყოფა, მომჭირნედ ვიცხოვრებთ; დაქირავებულ ბინაში კი ისე ვიქნებით, ვითომ საქორწინო მოგზაურობაში ვართ, ძალიანაც რომანტიკული იქნება, ბინა უკვე შევარჩიეთო და აღფრთოვანებულმა აღწერა ეზოიანი კერძო სახლის მეორე სართულზე ორი ოთახი პატარა წინკარით, ვაზით დაჩრდილული აივნით, ყველა აუცილებელი სათავსოთი და ავეჯით; ფასიც ხელმისაწვდომიაო . . .

მე ისღა დამრჩენოდა, რომ «ძველმოდურად», სერგის დედასთან შეხვედრა მომეთხოვა.

ნანი ამ შეხვედრას თავს არიდებდა _ რა საჭიროა საუკუნის წინანდელი ტრადიციული ფორმალობები, სადაცაა კარს ოცდამეერთე საუკუნე მოგვადგებაო . . .

ამან სულ გადამრია _ რაშია საქმე, რაღაც ისე არაა, როგორც ამბობთ-თქო? ისიც კი ვიფიქრე _ ვაითუ ჩემი სასიძო ცოლს გაშორებული არაა და სახლში ამის გამო დავა და აყალმაყალი აქვთ? თუ ახალ ცოლს ნაქირავებ, დროებით ბინაში მიიყვანს, რას კარგავს, რა ენაღვლება, როცა ცოლს შეურიგდება, ადგება და წავა, ვისი რიდი ან შიში აქვს-თქო? და ქალბატონ ლიანასთან შეხვედრა კატეგორიულად მოვითხოვე. მიზეზად ის დავასახელე, რომ მომავალში დედამთილს სულ სასაყვედუროდ ექნება, მე რომ საქმის კურსში ჩამაყენეთ, მას კი არ შეუთანხმდითთქო!

_ სერგი უკვე დამოუკიდებელი კაცია, ბავშვი ხომ აღარაა, არავისთან მოთათბირება არ სჭირდებაო, ჩემმა ქალიშვილმა; ამაზე გაკერპებულმა ვუპასუხე _ იცოდეთ, მაგ ვარიანტზე ჩემგან თანხმობას ვერ ეღირსებით-თქო!

ერთ დღეს კი, როცა შინ მე, გეგა და თამუნა ირას ვმასპინძლობდით, ნანიმ ჩვენთან თავისი საქმრო მოიყვანა

_ დედა, დაგვლოცე! ჩვენ მივდივართ და აღარ დავბრუნდებითო, გამოგვიცხადა;

არ მახსოვს ამის შემდეგ რა ვიფიქრე ან რა მოვიმოქმედე; არც ჩემიანების მაშინდელი რეაქცია შემინიშნავს; გონს, ალბათ, რამდენიმე წამის შემდეგ მოვეგე; მაგონდება _ ყველანი ფეხზე ვიდექით; თამუნას თვალები სიხარულით უბრწყინავდა, გეგა გამშრალი და გაოცებული იდგა, ირა მათ თავაზიანობის გამო, ყალბი სიხარულით შესცქეროდა, მე კი სათქმელს კარგახანს ვეძებდი;

_ სად მიდიხართ-თქო? როგორც იქნა, სათქმელი მოვიდა;

_ ჯერ ქალბატონ ლიანასთან, მერე ჩვენს ნაქირავებ ბინაშიო, გვიპასუხა ჩემმა ქალიშვილმა; სასიძო შეჭმუხნული წარბებქვემოდან ინტერესით და ოდნავშესამჩნევი ირონიით გამოგვცქეროდა;

მიუხედავად იმისა, რომ ნანის ჩემთვის თავიანთი გეგმების შესახებ არაფერი დაუმალავს, მაინც მეგონა, რომ ყველაფერი ეს შორეულ მომავალში უნდა მომხდარიყო და ჯერ არ ველოდი; ვდუმდი და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა ან რა უნდა მექნა.

_ ჩვენ აღარ გვეკითხებით, გიშვებთ თუ არაო? აშკარად გამოხატული იუმორით და სიცილით, ჩემი შველა დააპირა ირამ;

_ ძალიან გთხოვთ, ჩვენს ოჯახურ საქმეებში უცხოები ნუ ჩაერევითო, მკაცრად მოითხოვა ჩემმა სასიძომ;

ამ აგრესიულმა ტონმა დამაბნია;

_ ესენი ჩემი ახლობლები არიან, თითქმის ოჯახის წევრები-თქო, ხათრიანად ამოვთქვი, სასიძოს კატეგორიული მოთხოვნით დათრგუნულმა;

ცხადია, ირა და თამუნა მაშინვე ფეხაკრეფით გაიძურწნენ ოთახიდან;

მე სერგის დედასთან შეხვედრა მოვითხოვე _ უფლება არა მაქვს დაგლოცოთ ჩემი ახლობლებისა და ქალბატონი ლიანას გარეშე-თქო . . .

_ ჩვენ მაინც წავალთ! ხომ შეგვეძლო თქვენთვის არაფერი გვეკითხა, ისე გავპარულიყავითო! დამაყვედრა ჩემმა სასიძომ.

_ ჯობდა არ გეკითხათ; თუ კითხვაა, კიდეც უნდა დაუჯეროთ! ახლა რა თქვას დედაჩემმა, ჩემი შვილი გათხოვდა, ვის გაყვა არ ვიციო? ამხელა პასუხისმგებლობას რომ აკისრებთ, არ გეცოდებათ?

გეგას გამოსარჩლებამ გული ამიჩუყა და მიუხედავად იმისა, რომ «გამეხებული» ვიყავი, კინაღამ ავტირდი.

რაც შეეხება ირას და თამუნას, გაოგნებულები, სამზარეულოდან ადევნებდნენ თვალს იმას, რაც ზალაში ხდებოდა.

_ ხვალ ჩვენთან მობრძანდით, დედაჩემიც იქ იქნება, გეგაც წამოიყვენეთ, კარგად იყავითო, თავაზიანად თქვა სასიძომ, მაგიდაზე მისამართი დამიდო და ჩემი კატეგორიული უარის მიუხედავად, მაინც წავიდნენ . . .

არასოდეს დამავიწყდება ბინიდან გასვლისას ნანის სასოწარკვეთილი გამოხედვა; მას ჩემიც ეშინოდა თუ ეხათრებოდა, საქმროსაც უარს ვერ ეუბნებოდა, თუმცა წასვლა თვითონაც გადაწყვეტილი ჰქონდა;

ფანჯრიდან რომ გადავიხედე, დავინახე როგორ იდგნენ და დაობდნენ; სერგი მას უთუოდ რაღაცას საყვედურობდა და შუბლშეკრული, მკაცრი გამომეტყველებით, წასვლით ემუქრებოდა; ნანი _ დამნაშავის იერით, თავდახრილი იდგა, ვფიქრობ, თავს იმართლებდა და როცა მისი შეყვარებული წასასვლელად ნაბიჯს გადადგამდა, მის ხელით შეჩერებას ცდილობდა;

ბოლოს ჩემმა ქალიშვილმა ერთხელ კიდევ სასოწარკვეთილმა ამოხედა ფანჯრებს და საქმროს გაჰყვა.

ამ მზერამ ერთბაშად გამოისყიდა ის ტანჯვა, რაც მან მე მომაყენა და მეორე დღისთვის მათთან ვიზიტი გადავწყვიტე.

ღამე ფიქრებში გავატარე;

. . . რა მაწუხებს და მაუბედურებს ახლა მე? ის, რომ ჩემი ქალიშვილი ტრადიციულად არ გათხოვდა და ქორწინების ფორმა წყვილმა თავად მოიფიქრა თუ ახლად შექმნილი ოჯახის ეკონომიკის საეჭვო მომავალი? როგორ უზრუნველყოფენ ოჯახს, როცა არც ერთი არ მუშაობს და ახლა დასაქმების გარანტიაც არ არსებობს? თუ ის მადარდებს, ნაცნობ-მეგობრები რომ გაიოცებენ _ ეს როგორი ქორწინებაა, ოჯახები ერთმანეთს არ იცნობენ, ერთიმეორის შესახებ არაფერი იციან და შესაბამისად, არც მომავლის უსაფრთხოების გარანტია აქვთო? ამ უკანასკნელს შედარებით ადვილად «შეელევა» კაცი, მაგრამ რა ვუყოთ ოჯახის ეკონომიკურ მხარეს, რაზე დაფიქრებაც ახლანდელი ახალგაზრდების დიდ უმრავლესობას ქორწინებამდე არ სურს? ჩემი თაობა, ასე თუ ისე, მომავალ ოჯახურ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობას გრძნობდა, გამოცდილ უფროს თაობას უსმენდა, ახლა? მხოლოდ ის ესმით და იმას კითხულობენ, სიყვარული რომ ბედნიერებაა, ბედნიერება კი ისაა, რისთვისაც ადამიანი გაჩნდა! მათ არავინ ასწავლის სიყვარულს რომ ერთად დაწოლის გარდა, როგორც სულიერი, ისე ხორციელი საკვები, ბინა და ჩაცმა-დახურვა სჭირდება! აკი ბიბლიის მიხედვითაც ასეა! მე რომ საკუთარი თავის იმედი მქონდეს და საჭიროების შემთხვევაში მათი დახმარება შემეძლოს, ალბათ, ნაკლებად ვინერვიულებდი; ახლა ისღა დამრჩენია, ღმერთს შევავედრო მათი კეთილდღეობა-თქო, ვფიქრობდი.

უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ სუპერმარკეტში საკმაოდ რიგიან ფასად შამპანურები და ,,ბამბანერკა'' შევიძინე, ჩემი ქალიშვილის ახალი მისამართი ავიღე და მათთან წავედი.

გეგა არ გამომყვა; ნანის სახლიდან წასვლის შემდეგ იგი მტკივნეულად დუმდა.

წინასწარ ვგრძნობდი, «იქ» რომ ყველაფერი რიგზე არ იქნებოდა, მაგრამ რაც ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა;

თავდაპირველად გული იმან მატკინა, «მათი» ეზო რომ ახლად აგებულ, მდიდრულ სახლებს შორის იყო მომწყვდეული; დამტვერიანებულ და მინგრეულ-მონგრეულ ეზოში შესვლისთანავე იქაურ ბინადართა გაუპარსავი, მოთენთილი სახეები და ძილით თუ უძილობით დაწითლებული თვალები შემომეფეთნენ.

რატომ მეტკინა გული, რატომ მეგონა, რომ ჩემ შვილს უკეთესი ეკუთვნოდა? თუკი სხვისი ამპარტავნება მაღიზიანებდა, საკუთარს რატომ ვერ ვამჩნევდი? ესეც ამპარტავნებაა თუ უბრალოდ, უკეთესის სურვილი?

მაგრამ ეს თვითკრიტიკული აზრები მოგვიანებით მოვიდა, მაშინ კი გეზი შედარებით მოწესრიგებული შუშაბანდისკენ ავიღე და დიასახლისი ვიკითხე; აღმოჩნდა, რომ სწორედ მას ველაპარაკებოდი; მან ჯერ შუშაბანდში შემიყვანა, მერე ვიწრო, საცალფეხო კიბისკენ მიმითითა და მე მართლაც ვაზით დაჩრდილულ აივანზე მოვხვდი, რომელიც პატარ-პატარა სათავსოების თუნუქის სახურავებს გადმოსცქეროდა, სადაც ეზოს ბინადართ ოჯახისთვის გამოუსადეგარი ნივთები შემოეწყოთ, რომელთაც ივლისის ამ გავარვარებულ დღეს ალმური ასდიოდა.

ჩემი ქალიშვილი გამომეგება;

მომეჩვენა, რომ მის უძილო სახეზე ვედრება იკითხებოდა; ვიგრძენი, რომ მას ახლა გამხნევება სჭირდებოდა, რასაც მაშინ მოვახერხებდი, თუ აქ ყველაფერს მოვიწონებდი.

ძალა მოვიკრიბე და ჩემ ქალიშვილს პატარა წინკარიდან ოთახში შევყევი, სადაც ძველებური, ნახევრად დაშლილი, მაგრამ მაინც სერვანდი, სარკიანი შიფონერი, მრგვალი მაგიდა, ორი სკამი და ტახტი იდგა; ოთახის კუთხიდან შემომცქეროდნენ გამხდარი, მოუვლელი, ერთიციცქნა ქალბატონი, რომელსაც ყველაზე დაჩაგრულ, ქუჩის მოვაჭრეზე უარესად ეცვა და ლამაზად ჩაცმულ-გაპარსული ჩემი სიძე (რაც მის თავკერძობა-ეგოიზმზე მეტყველებდა); მომეჩვენა, რომ ის ირონიული ინტერესით, თითქოს ნიშნისმოგებით შემომცქეროდა და ჩემს რეაქციას ელოდებოდა;

შევეცადე ჩემი სასოწარკვეთა არავისთვის მეგრძნობინებინა; «ძღვენი» ამოვალაგე და მძახალს მეგობრულად მივმართე _ აი, ახლა კი თავს უფლებას მივცემ ახალგაზრდები დავლოცო, გუშინ კი, უთქვენოდ, ეს არ გავაკეთე-თქო;

დიდი მადლობაო, მიპასუხა და თან რაღაცას ისე ხმადაბლა ლუღლუღებდა, რომ ამ ორი სიტყვის გარდა ვერაფერი გავიგე.

მათმა დახვედრამ საგონებელში ჩამაგდო;

ისინი მე და გეგას გველოდებოდნენ; წესით რომელიმე ახლობელიც ხომ უნდა წაგვეყვანა! ცხადია, «ძველმოდურად», ჩვენ შეხვედრას და ერთმანეთის გაცნობას პატარა სუფრა, თუნდაც «ახალმოდურად», ფინჯანი ყავა ან ჩაი მაინც

მოუხდებოდა, მაგრამ მათ მსგავსი არაფერი უფიქრიათ; ჩემი მიტანილი ,,ბამ-ბანერკა'' ნანიმ გახსნა, ჯერ ქმარს შესთავაზა, მერე პირი თავად ჩაიგემრიელა, თავი დაახურა და კარადაში შეინახა.

. . . რას იზამ, ახალი თაობა ტრადიციებს უჯანყდება; არადა ის «ცერემონიები», რაც მათ არ მოსწონთ, ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის განწყობას ქმნის და მყარი ოჯახის საფუძველია.

მე, საგანგებოდ გამხნევებულმა, ბინა მოვიწონე:

_ დასაწყისისთვის კარგია; ალბათ, ცხოვრებას კიდევ უფრო მეტი ინტერესით შეუდგებით, რაკი წინ ბევრი საქმეები გელოდებათ . . . სიბერეში კი თქვენივე შექმნილით იამაყებთ-თქო. ამას რომ ვამბობდი, დედამისის ბინაც მხედველობაში მქონდა, სოლოლაკში რომ ჰქონდათ და ახლა რემონტი უკეთდებოდა;

სასოწარკვეთამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, ჩემმა მძახალმა რომ თქვა _ იქნებ როგორმე ის ოთახიც შევისყიდოთ, ჩვენ რომ გვიჭირავს, სოლოლაკში, მერე ან გავყიდით, ან გადავცვლით და რამე ჩვენც გვეშველოსო;

_ როგორ, ის ბინა თქვენი არაა-თქო? ვიკითხე, ვითომ გულგრილად;

_ ააარააა! ჩემი ნათესავისაა; თვითონ რუსეთშია წასული, აქ ბინა რათ უნდა, მარა ღორია, მაინც იმას მეუბნება ბინა დამიცალეთო . . .

მერე იმის მოყოლა დაიწყო, როგორ ცდილობენ მეზობლები მათ შევიწროვებას, როგორმე ესენი რომ გამოაძევონ და «ის ოთახი» თვითონ დაითრიონ. ჩემი მძახალი გატაცებით ყვებოდა რა ცუდები _ უსაქმურები, ლოთები, ქურდები, სოფლიდან ჩამოხეტებულები, გაუნათლებლები, უკულტუროები, ნარკომანები და ნაციხრები არიან ისინი.

უცბად გავიფიქრე _ ქალბატონი ლიანა განგებ ხომ არ აზვიადებს თავისი ბინის პრობლემას, ხომ არ უნდა ჩემი სიძე-ქალიშვილი ჩემთან საცხოვრებლად რომ წავიყვანო-თქო?

. . . სიმწრით გავიცინე, ვფიქრობდი _ ჩემი შვილის აწმყო ჩემი პატივმოყვარული, ცოდვილი ოცნებების ბრალი ხომ არაა? აკი დიდი ხნის წინ სადღაც ამოვიკითხე _ ადამიანს რისიც ძალიან ეშინია, ის არ ასცდებაო; ქართული სიბრძნეც _ ვერიდებოდი ღოლოსაო, დამიხვდა ყანის ბოლოსაო, _ ამას არ გულისხმობს? აკი ჩემს ოცნებებში ნანის ქმარი ჭკვიან, საქმიან, გავლენიან და შესაბამისად ყოველმხრივ უზრუნველყოფილ ადამიანად მესახებოდა! შიშის ზარს მცემდა, როცა ნანის სამეგობროში ვინმე შეუხედავი ან ნაკლებად პერსპექტიული ვაჟი გამოჩნდებოდა _ ჩემ შვილს არ შეუყვარდეს-თქო; არადა მან მომავალი პარლამანტარი, უცხოეთში განათლებამიღებული და კარგი გარეგნობის ვაჟი შეიყვარა! და აი, რა გამოვიდა აქედან?

. . . მაგრამ მთავარი ხომ ისაა, მათ რომ ერთმანეთი უყვართ-თქო, თავს ვიმშვიდებდი.

ახალ ნათესავებს სასაუბრო მალე გაგვითავდა; მართალია, მათ შესახებ ყველაფერი მაინტერესებდა, მაგრამ ვერაფერს ვეკითხებოდი, რადგან ჩემ მძახალს აშკარად ეტყობოდა, შეკითხვები რომ არ სიამოვნებდა. ჩემი ცხოვრებით არც თავად დაინტერესებულა, თუმცა ნანის «დიდებული» მამა რამდენჯერმე გაიხსენა და ისიც დასძინა _ მას ბევრ ცოცხალზე მეტი შეუძლია თავის შვილს რომ გაუკეთოსო; ამან მე ეჭვი გამიჩინა _ ვაი თუ ჩემ სიძეს მამის ხათრით

«შეუყვარდა» ჩემი ქალიშვილი, რაკი პირადი საქმეები ასე მოუწესრიგებელი ჰქონია-თქო?

უხერხულმა სიჩუმემ მალე შემახსენა, წასვლა რომ საუკეთესო გამოსავალი იყო; წამოვდექი; ნანიმ, თითქოს იმ წუთს გაიხსენა _ დღეს ეკას დაბადების დღეა, იქ გველოდებიან, ბარემ ერთად გავიდეთო და თვითონაც გასასვლელისკენ გაემართა.

არ მესიამოვნა, ნანი რომ სახლიდან გასვლის წინ თავის მოწესრიგებას არ აპირებდა, არადა ეს ძალიან სჭირდებოდა; მას ის შავი სარაფანი ეცვა, ერთ დროს თავს რომ იწონებდა, ახლა კი მისრესილ-მოსრესილი და პეწდაკარგული, დაღლილ დიასახლისს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე გუშინ გაბედნიერებულ პატარძალს; «მის საქმეში» ჩარევა მაინც არ ვიკისრე, მაგრამ ქალური რიტუალის შესრულებას მაინც შევეცადე, სარკესთან მივედი, ხელჩანთიდან საპუდრე და პომადა ამოვიღე და ყველას თანდასწრებით «გავლამაზდი», რაც სხვა დროს არასოდეს ჩამიდენია; ამით მინდოდა ნანისთვის იმავეს გაკეთება შემეხსენებინა, მაგრამ მას მსგავსიც არაფერი უფიქრია;

კითხვით შევხედე და თვალით ვანიშნე _ შენც ხომ არ მომბაძავ-თქო?

_ ააარააა, რათ მინდა! წაიმღერა მან, მერე ქმარს ხელი გამოსდო და ჩვენ გასასვლელისკენ გავემართეთ;

ეზოს ბინადართა დადარაჯებულმა მზერამ ქუჩამდე მიგვაცილა; იქ, ერთმანეთს რომ დავშორდით, ნანის ვუხმე და ბრაზიანად წავუსისინე:

_ მალე შენ დედამთილს დაემსგავსები თუ ასე გააგრძელე! გახსოვდეს, ქალი იმიტომ კი არ კოხტაობს, როგორმე რომ თავი გაისაღოს, სილამაზე თავისთავადი მიზანია და ქალს ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, მით უმეტეს, როცა ესთეტი ქმარი ყავს-თქო;

შინ გაოგნებული დავბრუნდი; გეგას არ უკითხავს, რა როგორ იყო; ვისხედით, ვდუმდით და ხანდახან ვოხრავდით.

მერე ყურმილი ავიღე და უახლოეს ადამიანებს ნანის გაბედნიერების ამბავი შევატყობინე.

ერთი კვირის შემდეგ, როცა გახსნილდა, ნანიმ დამირეკა:

_ ამ დღეებში ვიწრო წრეში ჯვრისწერას ვაპირებთ; მეჯვარეებად ლალი და თამარი მეყოლება, ლალი, ალბათ, თავის სქმროსაც წამოიყვანს, გეგაც მოვიდესო;

მე შევთავაზე _ თხუთმეტ-ოც კაციან სუფრას გავშლი, ვინც თქვენ გინდათ ის მოიყვანეთ-თქო . . .

ნანიმ იუარა, _ არაო, სერგი არ დათანხმდება, მათ ახლა ამის საშუალება არ აქვთ, ისე კი თავმოყვარეობა ნებას არ მისცემთ, შენ გაშლილ სუფრაზე ვნმე მოიპატიჟონო (1999 წელი იდგა).

ვიფიქრე, ჩემი სიძე, ალბათ, ყველაფერთან ერთად ჩემ ბიუჯეტსაც უფრთხილდება, გულისხმიერი კაცი იქნება-თქო, ხავსს ვეჭიდებოდი;

. . . მოგვიანებით გაირკვა, რომ სერგის გემოვნებას ვერც ჩემი და ვერც თავისი ახლობლები ვერ აკმაყოფილებდნენ; ისინი თურმე «უგვარონი», «მდაბიოები» და «ბოგანოები» არიან; შემდგომ მათ სწორედ ამ სიტყვებით მოიხსენიებდა, რაც უწინ, ჩემ გარემოცვაში არასოდეს არავის მიმართ გამიგონია, მხოლოდ წიგნებში თუ ამომეკითხა და არც მეგონა, თუ ახლა ამ სიტყვებით

ვინმე სარგებლობდა. თურმე მათთან ერთად სუფრასთან ჯდომა, მითუმეტეს მათი მოპატიჟება მას, როგორც სამეფო გვარის ჩამომავალს, არ ეკადრებოდა.

არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ჩემი ახალი ნათესავების ასეთი დიდგვაროვნული პრეტენზიები სიმართლეს, ისინი ხომ იშვიათ, ყველასთვის უცნობ გვარს ატარებენ! არც ამის გამოძიება დამიწყია, რადგან ღრმად მწამს _ თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო.

გვიან გამოირკვა, რომ ნანის ოთხკაციანი «ქორწილი» მისი რჩეულის ამპარტავნებისა და უკიდურესი გაჭირვების ბრალი ყოფილა; ეს უკანასკნელი მე არც გამკვირვებია და არც სასირცხვოდ ჩამითვლია, რადგან ჩემთვის მაშინაც უცხო იყო ქეიფების ჰეროიკა, როცა მატერიალურად გვილხინდა; მით უმეტეს ახლა, ცხოვრების «ძველი წესის» შეცვლამ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი რომ გააღარიბა და ქორწინება-ქელეხების ხალხმრავალი ტრადიცია თითქმის მოშალა.

მოგვიანებით ნანიმ მე ხავერდის ბუდეში სათუთად ჩასვენებული, თაფლის სანთლებისგან გაკეთებული ორი რგოლო მაჩვენა _ აი, ჩვენი ჯვრისწერის ბეჭდებიო!

გული შემეკუმშა, მაგრამ შევეცადე ამ ამბავში რომანტიკა დამენახა და «ბეჭდები» მოვიწონე _ ვისურვებ ბრილიანტზე უფრო გამძლე და ბედნიერების მომტანი გამომდგარიყოსთქო.

«ქორწილის» მეორე დღეს ჩემმა «ძველმა» ნაცნობმა (აი, მან, ნანი რომ რძლად უნდოდა), დამირეკა _ პირობაზე როგორ ხარ, ამზადებ საპატარძლოდ ჩემ «ნევესტკასო»?

_ შენმა «ნევესტკამ» გუშინ ჯვარი დაიწერა-თქო, რომ ვუთხარი, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, მერე მისაყვედურა _ ხომ შევთანხმდით, მის დაბადების დღეზე რომ უნდა მოვსულიყავით დასანიშნადო?

მეც ვუსაყვედურე _ ჯერ ერთი, არ შევთანხმებულვართ, მეორეც, სად დაიკარგეთ, მთელი ორი თვე არ გამოჩენილხართ-თქო?

_ უფროსი ვაჟისთვის ბინის საქმეს ვაგვარებდით, სამ ოთახიანი ბინა ვუყიდეთ; აბა, ორი ოჯახი ერთ სახლში ხომ ვერ იცხოვრებდა, ჩემი ორსართულიანი სახლი შენი ქალიშვილისთვის მინდოდა; სურამშიც ორ სართულიანი, გარემონტებული, დიდი სახლი მაქვს, ეზოთი, ბაღით, ავეჯით . . . იმ სახლის ერთი სართული მაგათთვის მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ ახლა რაღას ვიზამთ; ჩემი შვილი საცოლეს კი იშოვნის, მაგრამ მე თქვენთან დამოყვრება მინდოდაო.

მის საუბარში თვითკმაყოფიება ისე აშკარად იგრძნობოდა, რომ მაშინ გულწრფელად ვიფიქრე _ ამის მძახლობას ისევ ღატაკი ყოფილი დიდგვაროვანი მირჩევნია-თქო.

თავისი «ქონების» დეკლარირების შემდეგ ჩემმა «არშემდგარმა» მძახალმა სიძის ვინაობა გამომკითხა; გვარ-სახელი რომ ვუთხარი, შეიცხადა _ ეგ ბიჭი ერთ დროს ჩემი ვაჟის მეგობარი იყო, ასპირანტურაში ერთად სწავლობდნენ და ჩემ ოჯახშიც ხშირად დაიარებოდაო;

ახლა მე დავუწყე გამოკითხვა _ კარგად არც კი ვიცი, როგორი ადამიანია-თქო?

_ ნიჭიერი, მონდომებული და ცოტაც «ვიგოდნიკი»; უცხო ენაც ისწავლა, და ინგლისში სასწავლებლად წასვლაც მოახერხაო.

მერე ჩემ ოჯახს მშვიდობა უსურვა და დამემშვიდობა.

ასე გავიგე, ჩემ სიძეს იმ უნივერსიტეტის ასპირანტურა რომ ჰქონია დამთავრებული, რომელშიც მე ოცდახუთი წლის განმავლობაში ვასწავლიდი. როგორც ჩანს, ეს «კოზირი» მან თავისი ავი ხასიათის და გასაიდუმლოებული წარსულის გამჟღავნების შიშით დამალა; თუ ეს მეცოდინებოდა, ხომ შეიძლებოდა კოლეგებს ჩემთვის ეთქვათ, რა ხასიათის კაციც იყო!

. . . მაგრამ, ახლაც არ ვიცი _ მაშინ, მის შესახებ ყველაფერი რომ მცოდნოდა, რას ვიზამდი; ჩემ თავს შვილზე ძალადობის უფლებას მივცემდი? აკი თავის დროზე ვურჩიე თავის შეკავება, მაგრამ მან არაფრის მოსმენა არ ისურვა! იქნებ ძალადობა სჯობდა იმას, რაც შემდეგ მოხდა? არ ვიცი.

* * *

პირველხანებში ნანისთან ხშირად დავიარებოდი; იგი მირეკავდა, ხან რას მთხოვდა, ხან რას _ თეთრეული, დენის ფეჩი, მადუღარა, ვედრო, ჭურჭელი, ფარდები, სუფრა, საწოლის გადასაფარებლები, პირადი ნივთები . . . ნელ-ნელა მიმქონდა, რაც მათ აუცილებლად სჭირდებოდათ; თან ავეჯის მაღაზიაში დავიარებოდი, როცა მათი ბინის რემონტი დამთავრდებოდა, მათთვის საძინებელი გარნიტურის ყიდვას ვაპირებდი და წინასწარ ვარჩევდი, ჩემი დანაზოგით რისი შეძენა შემეძლო; გზად სურსათსაც გავიყოლებდი და აღარ მაღიზიანებდა, როცა მცირე ხნით მათთან მისული, აივნიდან, მეზობლების სათავსოების სახურავებს გადავცქეროდი, დამტვრეული ავეჯით და ცარიელი ყუთებით რომ იყო დატვირთული.

გული თანდათან დამიმშვიდდა; ახლობლებში კიდეც «წავიტრაბახე» მათი ორიგინალური ჯვრისწერის დეტალებით _ თაფლის სანთლის ბეჭდებით, დაქირავებული ბინით და ნეფე-დედოფლის ჩათვლით ექვსკაციანი «ქორწილით» რომ გამოირჩეოდა.

ამასობაში ახლად ჯვარდაწერილები სამსახურების ძებნას ენერგიულად იწყებენ; ჩემთანაც ხშირად დაიარებიან და ჩვენ ერთად ვსადილობთ.

ის მცირე დანაზოგი, რის იმედზეც მათ ჯვარი დაიწერეს, სულ მალე გაუთავდათ; ნანი მალ-მალე მირეკავდა და ათ, ოც, ოცდაათ, ორმოცდაათ ლარს მთხოვდა სესხად, სერგის სამსახურის დაწყებამდე.

ბედად მე ცოტაოდენი თანხა მქონდა გადანახული ბედნიერი თუ უბედური შემთხვევისთვის; ამ ფულით ნანის თხოვნის შესრულებას იოლად ვახერხებდი, თუმცა გული კი მწყდებოდა, მისი «მზითევის» თანხა თანდათან რომ «დნებოდა».

ერთხელ, როგორც იქნა, გეგას თხოვნა შევუსრულე და ჩვენ ათი დღით ქობულეთში წავედით. ნანის ჩვენს ბინაში ხშირ-ხშირად მისვლა, ყვავილებისთვის წყლის დასხმა და ბინის უსაფრთხოებაზე ზრუნვა დავავალე;

ქობულეთში გეგამ რამდენჯერმე თქვა _ ნეტავი ნანი და სერგიც აქ იყოსო, რამაც მე ძალიან გამახარა; მიხაროდა, გეგას «ჩემი ოჯახის» ახალი წევრი ზღვის რომანტიკამაც რომ ვერ დაავიწყა და მათი მომავალი მეგობრობით წინასწარ ვტკბებოდი.

შინ რომ დავბრუნდით _ გვარიანად დამტვერიანებული სახლი და მაგიდაზე წერილი დაგვხვდა _ ქეთის ხუთი ლარი ვესესხე და იქნებ შენ ჩაასესხოო . . .

ცუდად მენიშნა;

წასვლის წინ, ნანის კარადაში, თეთრეულის ქვეშ შენახული ასი ლარი ვუჩვენე და ვითომ «სხვათა შორის», ისიც ვუთხარი _ იქიდან უფულოები დავბრუნდებით და ხელფასამდე ამ ფულის იმედი მაქვს, მაგრამ თუ დაგჭირდეთ, გამოიყენეთ-თქო;

გული დამეწვა, ფული თავის ადგილზე რომ აღარ დამხვდა _ ესე იგი გაუჭირდათ-თქო? არც გასაკვირი იყო _ სერგის სამსახური, რისი იმედითაც დაქორწინდნენ, ჯერაც არ ჩანდა; ამიტომ, როცა მეორე დღეს მოშიებულები და სამსახურების ძებნით დაღლილები მესტუმენ, კატეგორიულად მოვთხოვე საცხოვრებლად ჩემთან ან ქალბატონ ლიანასთან გადასულიყვნენ _ ჯერ ჩვენ ოჯახებს ბინის ქირის გადახდის ფუფუნება არაგვაქვს-თქო;

მაშინ ჩემთვის გაუგებარი იყო, რად იკავებდნენ თავს ჩემთან ან მათთან გადასვლაზე; საკმარის მიზეზად არ მეჩვენებოდა იქ რომ ტუალეტი ეზოში აქვთ, ნაცხარი მეზობლების გვერდით ცხოვრება რომ ჩემ სიძე-ქალიშვილს არ ეკადრება; ვშიშობდი _ თუ ამათ ჩემი დახმარება დასჭირდათ, ჩემი ერთი თვის ხელფასი მარტო ბინის ქირას თუ ეყოფა-თქო; ქალბატონი ლიანას იმედიც არ მქონდა, რადგან ის სამსახურიდან მაშინვე გამოუშვიათ, როგორც კი ჩვენში საყოველთაო უმუშევრობა დაიწყო; არადა სანამ ესენი დასაქმებას მოახერხებენ, არსებობა ხომ გვინდა ორივე ოჯახს-თქო?

ჩემთვის «სხვის ხარჯზე» ცხოვრებაც და ჩემი ახალი ნათესავების არისტოკრატიზმიც მიუღებელი იყო; ვფიქრობდი, ამპარტავნება აუცილებლად დაისჯება-თქო; მე საერთო ტუალეტიან ეზოში გავიზარდე, თან პატარ-პატარა უსიამოვნობები რომ ახლავს, მაგრამ ის პერიოდი ერთ-ერთ ტკბილ მოგონებად მაქვს შემორჩენილი მეზობლებთან სიახლოვისა და მათი ადამიანური სითბოს გამო; თუ ჩავეძიებით, საერთო საკუთრების უსიამოვნობებში სასარგებლოც კი შეიძლება მოიძებნოს, რამდენადაც ადამიანი სხვისი ინტერესების გაგება-გათვალისწინების აუცილებლობას სწავლობს, რაც ჩვენისთანა, ქვეყნისთვის აუცილებელია;

მოგვიანებით მივხვდი, «სერგის ბინაში» ცხოვრება მართლაც რომ არ შეიძლებოდა და «სიდედრის შეწუხების გამო რიდი» არაფერ შუაში იყო;

სამსახურები დიდხანს არ ჩანდა;

ამასობაში ნანის მუცელი წამოეზარდა, ამ განუკითხაობის პირობებში სამსახურში ვინღა მიიღებდა! და ისინი იძულებული გახდნენ ქალბატონ ლიანას შესახლებოდნენ.

თავისუფლად ამოვისუნთქე, ვიფიქრე _ ბინის ქირაც აღარ დასჭირდებათ და ქალბატონი ლიანაც მარტო აღარ იქნება, ერთმანეთს ასე უფრო გაუფრთხილდებიან და დაუახლოვდებიან-თქო.

დედამთილთან გადასვლის შემდეგ ისინი შინ აღარ მეპატიჟებოდნენ;

ნანი ყოველ მეორე დღეს მირეკავდა _ შენი გაკეთებული საჭმელი მომენატრაო; შვილის ამ თხოვნაზე უარის თქმა როგორ შეიძლებოდა, მით უმეტეს ორსულობისას, და მე, ერთ-ერთ სამსახურში რვა თვის დაგვიანებით აღებულ ხელფასს, რამაც ბედად «სულზე მოგვისწრო», გულუხვად ვხარჯავდი. სანოვაგეს თავისუფლების მეტროსთან მივუტანდი, იქვე ვიმუსაიფებდით და აფორიაქებული, შინ ვბრუნდებოდი;

ჩემი შვილის ცხოვრების პირობები, «ძველმოდურად», უზომოდ მაინტერესებდა, მაგრამ ამის შესახებ არაფერს ვამბობდი; ხანდახან ეჭვიც კი მიპყრობდა _ რატომ არ უნდათ მათთან რომ მივიდე, რა ხდება იქ ისეთი, რაც მე არ უნდა ვიცოდე? მალე მათ შვილი შეეძინებათ, როგორ პირობებში მოუხდება ნანის მისი გაზრდა, შეძლებს თუ არა ჩემ დაუხმარებლად ყველაფრის მოგვარებას, რაკი არც ქმარს და არც დედამთილს საიმისო პირი არ უჩანთ, პრობლემებს რომ თავი გაართვან-თქო? ან როდემდე მოვახერხებ მათ უზრუნველყოფას, თავადაც ლამის «წყალწაღებული-თქო».

მალე გაირკვა, რომ სანამ დედასთან საცხოვრებლად გადავიდოდა, ამათ, წამოსვლისას, ბინის ქირა არ გადუხდიათ, რის გამოც სერგის ხაზეიკასთან უსიამოვნება მოსვლია; მას კი ბინის ქირის სანაცვლოდ, ამათთვის ტელევიზორი წაურთმევია! ნანის თავისი ერთ-ერთი ამხანაგისთვის, სესხად, ორმოცდაათი დოლარი გამოურთმევია!

ორივე ეს ამბავი ჩემთვის მეტად მტკივნეული იყო; მე მათ შევთავაზე _ ხაზეიკასთან მივალ, ბინის ქირას გადავიხდი და ტელევიზორს გამოვიხსნი, არ მინდა ცხოვრება უსიამოვნო ინცინდენტებით დაიწყოთ, მეშინია მერე და მერე ამგვარი ურთიერთობები არ გაგიიოლდეთ, რაკი სირთულეებისაგან ადამიანი დაზღვეული არასოდეს არაა-თქო.

ეს წინადადება ჩემმა სიძემ კატეგორიულად იუარა და მკაცრად მომთხოვა _ ჩემ საქმეებში ნუ ჩაერევითო!

გავჩუმდი, თუმცა ახლაც მიმაჩნია, რომ ეს ამბავი მარტო «მისი საქმე» არ იყო; ნანის ამხანაგს კი ის ორმოცდაათი დოლარი ისე გადავუხადე, რომ მათ არაფერი გაუგიათ და არც დაინტერესებულან მევალე ფულს რატომ არ ითხოვდა.

სამსახურებს კი ისევ ეძებდნენ.

სექტემბერში, სწავლის დაწყებასთან ერთად, ჩემმა ხელფასებმა მოიმატა, რაკი ფასიან სასწავლებლებში, სადაც კი მიმიწვიეს, უარს აღარავის ვეუბნებოდი;

ორივე ოჯახმა «ამოვისუნთქეთ»; ყოველ სამ-ოთხ დღეში მათთვის, მეტროსთან, ორმოცდაათი, ასი, ორმოცი, ზოგჯერ ათი ლარიც მიმქონდა;

მე და გეგა, ამასობაში მეტად თავმდაბლურად ვცხოვრობდით; მე მეგობრის ნაჩუქარი მეტროს ტალონით ვმგზავრობდი, გეგას სკოლა ახლოს იყო და გზის ფული არ სჭირდებოდა, არც გემრიელი სმა-ჭამის და არც გასართობის გამო მაწუხებდა, რაკი წიგნების კითხვა უყვარდა და «სიამენი ამა სოფლისანი» ჯერ მას არ აწუხებდა; ამიტომ მე და ჩემ ვაჟს ჩემი ერთი სამსახურის ხელფასიც გვყოფნიდა, «ფასიანებში» აღებულ ფულს კი მთლიანად მათ ვაძლევდი, ნელ-ნელა, რათა ის ერთბაშად არ დაეხარჯათ, რაკი მომჭირნეობას ვერ ვატყობდი.

ნანის ოჯახის ხარჯი მძიმე ტვირთად დამაწვა. მათი მადაც მაოცებდა; მაშინ არ ვიცოდი, ჩემი სიძე რომ ჩვეულებრივი მოკვდავივით არ იკვებებოდა, მისთვის ყოველთვის განსაკუთრებული კერძები რომ უნდა ჰქონოდათ ისე, როგორც «სამეფო გვარის შთამომავალს» ეკადრებოდა. იმაზე არავინ ფიქრობდა (ან, ფიქრობდა მაგრამ თქმას ვერ ბედავდა), რომ თავად არ მუშაობდა და ქვრივი სიდედრის ხარჯზე ცხოვრობდა; დიდ უსამართლობად მიმაჩნდა, მე რომ ახლა სარჩენად სიძე და დედამისიც დამემატა იმ დროს, როცა ადრე სამ სულიანი ოჯახის რჩენაც კი მიჭირდა;

ყველაფერ ამას საკუთარ თავსაც ვაბრალებდი იმ ცოდვის გამო, მე რომ ჩუმ-ჩუმად, შვილების შეუმჩნევლად, ნანის გათხოვებაზე და ცხოვრების გაიოლებაზე ვოცნებობდი; _ აი, როგორ გამიიოლდა ცხოვრება-თქო! ვფიქრობდი და მოლას ანეკდოტი მაგონდებოდა, ღმერთს ახლად დაბადებული ხბოს სიკვდილს რომ სთხოვდა _ ძროხის რძე მთლიანად მე დამრჩებაო! ამ ცოდვილი ფიქრისთვის კი მოლა ძროხის სიკვდილით დაისაჯა _ ძროხა და მისი რძეც დაკარგა და «ობოლ» ხბოზე ზრუნვის სიძნელეებიც ტვირთად დააწვა.

ამასობაში მე ნანისთვის გადანახული თანხის «გაფლანგვის» გამოც ვნერვიულობდი, მეშინოდა, როცა ცხოვრებას აიწყობენ, ვაი თუ დედამთილმა დააყვედროს _ ოჯახიდან ისე გამოგისტუმრეს, არაფერი გამოგატანესო, აკი ქართული ტრადიციული აზროვნება ასეა «დაპროგრამებული»! არადა «შეჭმული ფული» აღარავის ახსოვს!

ერთი სიტყვით იმაზეც ვნერვიულობდი, ნანის «მზითევის» ფული მთლიანად რომ დავხარჯე და არც კვლავ შეგროვების შანსი დამიტოვეს.

ერთხელ, როცა მეტრო «თავისუფლებასთან» ნანის ასი ლარი გადავეცი, მან დარცხვენილმა გამიღიმა და მითხრა _ დედა, მე ამ ფულს ვიწერ და უკან აუცილებლად დაგიბრუნებო;

მე ეს დაპირება არ დავიჯერე, მაგრამ მაინც მესიამოვნა, რაკი უფულობაზე უფრო დიდ ნაკლად უმადურობა მიმაჩნდა _ ძალიან კარგი იქნება, აგრე იყოსთქო, ვუპასუხე, ისევ მისი «მზითევის» შეძენის იმედით.

მაშ ასე! ჩემი სიძე-ქალიშვილი ისევ ერთად დაიარებოდნენ და სამსახურებს ეძებდნენ; ვიღას არ მიაკითხეს! პრეზიდენტიდან დაწყებული, ნანის «დიდებული მამის» გავლენიანი მეგობრებით დამთავრებული;

ჩემთან ვიზიტებსაც მოუხშირეს;

ნანი გახდა; იგი საჭმელს ზომაზე მეტად ეტანებოდა, რასაც მე მისი ორსულობით ვხსნიდი; ხანდახან ეჭვი მეპარებოდა, კვება ხო მარ აკლიათ-თქო? მაგრამ საკვების ნაკლებობა მის ქმარს არ ეტყობოდა;

მოგვიანებით, როცა ისინი ჩემთან საცხოვრებლად გადმოვიდნენ, გამოირკვა, რომ ჩემი მიცემული ფულით მხოლოდ ისეთ საჭმელებს ყიდულობდნენ, ნანისთვის რომ არ შეიძლებოდა ღვიძლის ან ორსულობის კაპრიზების გამო; მისი ქმარი, როგორც წესი, ლოგინში იწვა, ქათქათა თეთრეულში ჩაფლული; ნანი მას ლანგრით იქ მიართმევდა საუზმეს, სადილს ან ვახშამს, თვითონ კი იმას სანსლავდა, რაც მის ქმარს მორჩებოდა; ამას უკვე ჩემ თვალწინ აკეთებდა, როცა ლანგარს სამზარეულოში გამოიტანდა. ცხადია, მაშინაც ასე იქნებოდა, როცა ისინი თავისი ნათესავის ბინაში, ჩემ ხარჯზე ცხოვრობდნენ.

ვნერვიულობდი და ეს ნერვიულობაც მაწუხებდა _ რატომ მენანება ჩემი შვილის ზრუნვა საყვარელ ადამიანზე? რა არის ეს, შური, ეჭვიანობა თუ უსამართლობის გამო პროტესტი? პირიქით რომ იყოს _ ჩემი შვილი ლოგინში ნებივრობდეს, მისი ქმარი კი მას ემსახურებოდეს, მაშინაც გავღიზიანდებოდი?

ვგრძნობდი, რომ მაშინ უფრო მშვიდი და კმაყოფილიც კი ვიქნებოდი; რატომ?

ეს ეჭვები მაიძულებდა, თავი ისე დამეჭირა, ვითომ ჩემ ოჯახში ყველაფერი რიგზე იყო.

ერთხელ ჩემი სიძე-ქალიშვილი ჩემთან გახარებულები მოვიდნენ _ მამაჩემის სახელით სახელმწიფო მინისტრთან შესვლა მოვახერხეთ; მან ჩვენი თანდასწრებით «ნავთობის მეფეს» დაურეკა _ კარგ კაცს გიგზავნი, აბა, შენ იცი, დაასაქმეო; იქ კი ხელფასი ათას დოლარზე ნაკლები არააო, თვალები უბრწყინავდა ნანის.

«ნავთობის მეფესთან» შეხვედრას კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდა;

მტკივნეული ლოდინის შემდეგ შეხვედრა შედგა _ «მეფემ» სერგი თავის მოადგილესთან გაგზავნა, მიდი, გელოდებაო;

მივიდა.

_ იმ ტიპს მე სტუდენტობიდან ვიცნობ, ერთი ღიპიანი, უუუბინძურესი პიროვნებაა; თავისი თანაშემწეობა შემომთავაზა; უარი ვუთხარი, მე შენთან არ ვიმუშავებ და არც თანაშემწეობა მაწყობს-თქო; მითხრა _ რაკი ასეა, როცა სხვა ვაკანსია გამოჩნდება, მაშინ დაგირეკავო;

_ ვაიმე, სერგი, ასე რათ უთხარი, კაცს რომ ეტყვი, შენთან არ ვიმუშავებო, ის კიდევ დაგირეკავს და უკეთეს რამეს შემოგთავაზებს? ნაძალადევი ღიმილით ამოვილუღლუღე;

_ მე თავს ვერავისთან დავიმცირებ, მის თანაშემწედ არ ვიმუშავებ! პირდაპირი კაცი ვარ, იმას ვლაპარაკობ, რასაც ვფიქრობო, თავმომწონედ გამომიცხადა;

_ როგორც გინდათ, შვილო, მაგრამ ნავთობში მუშაობას, მგონი უნდა დაემშვიდობოთქო, ვუთხარი.

მართლაც აღარავინ დარეკა.

ჩემი სიძე ამასობაში ამაყად დაიარებოდა, რაკი «ფულის გამო თავმოყვარეობაზე უარი არ თქვა» და მათი ოჯახის «არსებობის უფლებაზე» ზრუნვა, დღის წესრიგში ხელახლა დადგა.

მათზე ფიქრით უძილოდ გატარებულ ღამეებში ხშირად «ვფილოსოფოსობდი» _ რა სჯობს, «სიკვდილი სახელოვანი» თუ «შეგუებათქო»? აკი ახალგაზრდობაში მტრული დამოკიდებულება მქონდა «შეგუებულების» მიმართ!

გამახსენდა ერთ დროს, პლუტარქეს კითხვისას, გეგასაც დაახლოებით ამგვარი კითხვები რომ აწუხებდა; ახლა აღარ მახსოვს, რომელ აწ გამქრალ ევროპელ ხალხზე იყო პლუტარქესთან საუბარი; იმ ხალხმა, მათზე ძლიერ მტერთან ომის საფრთხე რომ დადგა, საკოცონე ფიჩხი შეაგროვა, ზედ ქალები და ბავშვები დასვა და როცა ომი წააგო, ფიჩხს ცეცხლი წაუკიდა; როცა კოცონი აბრიალდა, მეომრებიც შიგ ჩახტნენ და ასე «იხსნეს» თავი მონობისაგან;

მაშინ გეგა ჩემთან არკვევდა _ იმ ხალხს ჰქონდა თუ არა ასე მოქცევის უფლება; მე იმ ხალხის გმირობით აღტაცებული ვიყავი, მაგრამ ბევრი განსჯის

შემდეგ ჩემმა შვილმა დამარწმუნა, რომ არ ჰქონდა! მთელი ტომის ამოწყვეტას მონობა და გათავისუფლებისათვის ბრძოლა სჯობდა! ალბათ, «სახელოვანი სიკვდილი» მაშინაა კარგი, როცა მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე ხარ პასუხისმგებელი და არა სალხის ან ოჯახის წინაშე.

ახლა აქ ბრძოლების ჰეროიკა რა მოსატანია, მაგრამ, მაშინდელი მსჯელობების ლოგიკას თუ მივყვებით, დაპირისპირებულ მხარესთან ურთიერთობის გაწყვეტა და განრიდება კი არაა გმირობა, არამედ მასთან კონტაქტი და მის «მოქცევაზე», მასში სიკეთის საწყისის გაღვიძებაზე ზრუნვაა.

შეიძლება თავს ვიტყუებდი, მაგრამ ვფიქრობდი, რომ თუ ჩემი სიძე «მეფის» მოადგილესთან ურთიერთობას არ ითაკილებდა, თავისთვისაც და სხვებისთვისაც სარგებლობის მოტანა შეეძლო, იმ «უუუბინძურეს პიროვნებასთან» მოთმინებით, ტაქტით და კეთილი ურთიერთობით; ამ ვარაუდის საფუძველი მის მიერ ჩემ ოჯახში მოწყობილი სახატე კუთხე, თაფლის სანთლები და რელიგიური ლიტერატურა იყო; მაგრამ, სამწუხაროდ, ის არ იყო ასე ღრმად მორწმუნე.

ასე «ვაჟკაცურად» დაიკარგა ჩვენი ოჯახებისთვის უზარმაზარ ხელფასიან სამსახურთან ერთად გავლენიან პროტექტორთან შემდგომი ურთიერთობის შანსიც.

მე კიდევ ერთი უთქმელი საყვედური გამიჩნდა _ თავს რატომ დაიმცირებს ვინმეს თანაშემწეობით, რა ძალა ადგას, ჩემი საწყალი ოჯახის ხარჯზე ისედაც კარგად ცხოვრობსთქო . . .

ამასობაში ისინი «სხვა ფრონტებზეც» ენერგიულად «იბრძოდნენ»;

მათ მიერ ნანის «დიდებული მამის» ხათრით ერთ-ერთი «გამოჭერილი» გავლენიანი პირის შუამდგომლობით, უცხოურ კომპანიაშიც და სახელმწიფო კორპორაციაშიც, სამსახურები ერთდროულად «გაიშანსა»; მართალია, ეს იოლად არ მომხდარა, ამ ამბავს წინ ბევრი სირბილი და ნერვიულობა უძღოდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს სამსახურები შედგა! და ჩვენი, ორივე ოჯახის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

ცხადია, მომავლის იმედით უკანასკნელ საარსებო რეზერვებს გულუხვად ვხარჯავდი.

ერთხელ, როცა «თავისუფლების» მეტროსთან მე მათ ფული და სანოვაგე მივუტანე, სიძემ თავისთან დამპატიჟა, რაც სხვა დროს არასოდეს გაუკეთებია; ვფიქრე _ ვაი თუ «იმერულად» მეპატიჟება-თქო და შევყოყმანდი; _ როდისმე ხომ უნდა მოხვიდეთო, რომ მითხრა, სტუმრობაზე მაშინვე დავთანხმდი.

ცენტრალური ქუჩის გადამკვეთი ვიწრო, ფილაქნით მოგებული ქუჩა შესახვევშივე მთავრდებოდა; «მათი» ეზოს ალაყაფის კარი რომ შევაღეთ, თვალში მომხვდა ეზოს ცალ მხარეს ჩამწკრივებული სათავსო-საკუჭნაოები; მეორე მხარეს _ ვარდისფერი აგურით ნაგები ახლათახალი სართულები ერთ პაწაწინა, ძველებურ, ჩაჭუჭყიანებულ-ჩაშავებულ შუშაბანდს თავს წამოსდგომოდნენ; ჩვენ სწორედ იმ შუშაბანდში შევედით. «ყველაზე უარესი _ ჩვენთქო», გავიფიქრე და ფიქრშივე მოვინანიე.

შუშაბანდში დამპალ იატაკზე დაგებული ნოხის გავლით წარმოუდგენლად ღარიბულ, ვიწრო და ბნელ ოთახში მოვხვდით; დღის სინათლე, ისიც ნაწილობრივ, მხოლოდ შუშაბანდს ანათებდა; შუქი რომ აანთეს, ჭერზე და

კედლებზე ჩამოხეული შპალერები და გუდრონიანი «ტოლის» ნაფლეთები გამოჩნდა; გამონგრეული და შეულესავი კედლიდან ჩამოცვენილი ქვიშა კი იატაკზე ეყარა;, ოთახი გვირაბივით ბნელი და ცივი იყო; სიღრმეში შავად მოჩანდა ერთიმეორეზე შემოდგმული ძველისძველი ნივთები, ოთახის ერთადერთ ნათელ კედელთან კი ქათქათა თეთრეულით გაწყობილი, უთუოდ სიძე-პატარძლის სარეცელი იდგა, გვერდით ოთახის ერთადერთი სკამით, საზურგეზე გადაკიდებული ჩემი ქალიშვილის ტანსაცმელებით;

მე იმ ტახტის კიდეზე ჩამოვჯექი;

მძახალმა პალტოს გახდა და სადილი შემომთავაზა; გავიხადე, მაგრამ მალევე ჩავიცვი, რადგან ოთახში, გვარიანად ციოდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჩემი მძახალი, დენის ფეჩზე, ხორცს შუშავდა;

სასოწარკვეთის დასამალავად, უაზროდ ვიღიმებოდი;

ქალბატონმა ლიანამ სუფრა ტაბურეტზე, მხოლოდ ჩემთვის გაშალა _ ჩვენ ახლახანს ვისადილეთო, მოიბოდიშა; _ მეც ნასადილევი ვარ-მეთქი, მაგრამ, სიმბოლურად, ორიოდე ლუკმა მაინც წავიციქნე, არ შემეტყოს თავზარდაცემული რომ ვართქო;

«ჩაშუშული» უგემრიელესი გამოდგა; ჭამის სიტუაცია რომ ყოფილიყო, ანუ სუფრას რომ ტრადიციულად შემოვსხდომოდით, ალბათ, გემრიელადაც შევექცეოდი, მაგრამ ახლა . . . «დანა პირს არ მიხსნიდა»;

მერე, კიდევ ერთხელ «გმირობა ჩავიდინე» და «მხიარულად» ავლაპარაკდი; გულში კი ჩემ თავს ნიშნისმოგებით ვიდანაშაულებდი _ ეგეც შენ, შენი ქალიშვილი ყოველივე საუკეთესოს ღირსი რომ გეგონა, სიყვარულზე მეოცნებე, გამოუცდელი ქალიშვილი თავის ნებაზე რომ მიუშვი-თქო!

«სადილი» მალე დამთავრდა; ჩემმა მძახალმა მორიდებით ამიხსნა _ ცოტა ცემენტი, აგური და ქვიშა მოვიმარაგე, თუ ბინის პატრონმა ნება დამრთო, მინდა რემონტი გავაკეთოო . . . მერე იმ მიწის ნაკვეთზე ალაპარაკდა, სადღაც, გარდაბნისკენ, დიდი ხნის წინ, თითქმის აწ დავიწყებულ საბჭოთა ხელისუფლებას მისთვის რომ გამოუყვია _ თუღა მივაგენი, იქ პატარა სახლს ავაშენაბ, აქ კი, ანჩისხატის ტერიტორიაზე, ორსართულიანი სახლი უნდა დავდგაო!

ამ გეგმებმა დამაეჭვა _ ამ ქალს ცოტა ხომ არ აკლია-თქო? უხელფასო, უპენსიო, უსახლკარო და უნათესაო-უმეგობრო-უპერსპექტივო იჯახი, ამ დროში, სახლს და ისიც ორს, როგორ ააშენებს-თქო? მაპატიოს ღმერთმა, თუ ამ ლამაზი ოცნებისთვის ჩემი მძახლის ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ეჭვი შევიტანე; მერე თავის დიდგვაროვნულ წარმოშობაზე, მისი სახელოვანი წინაპრების მიერ დანატოვარ სასახლეზე საუბარი დაიწყო, მასზე საკუთრების დაბრუნების უფლება და იმედი რომ ჰქონდა; მას ჩემი სიძე-ქალიშვილიც თანხმობის გამომხატველი გამომეტყველებით უსმენდნენ და მე ლამის დავიჯერე, სამეფო გვარის შთამომავალს რომ ვესაუბრებოდი.

როცა ჩემი სიძე-ქალიშვილი ჯერ კიდევ სამსახურებს ეძებდნენ, როგორც თავად მითხრეს, თან ქალბატონი ლიანას ყოფილი სამსახურის უფროსთანაც დაიარებოდნენ, მათთვის საბჭოთა პერიოდში დაპირებული ბინის საკითხის მოსაგვარებლად; მიამბობდნენ, ამ ვიზიტების განმავლობაში როგორ დაახლოვდნენ ისინი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან ნანის მამის ვინაობა დააზუსტა; მიამბობდნენ, როგორ დაპირდა მათ ვაკეში მშენებარე სახლში, მე-

ხუთე სართულზე, ორ ოთახიანი ბინის ორდერის გაფორმებას; თითქოს ახლა ისღა იყო საჭირო, რომ ამათ, დაპირებული მშენებარე ბინისთვის რკინის კარი შეებათ, რათა იქ ვინმე უსახლკარო თვითნებურად არ შესახლებულიყო, თორემ მის გამოსახლებას დამატებითი დრო და ნერვიულობა დასჭირდებაო;

ვიცოდი იმ ცნობილი კორპუსის მშენებლობა კარგა ხნის «დაკონსერვებული» რომ იყო, ქვეყანაში ახლა მისთვის რომ არავის ეცალა და არც ზეპირი დაპირებების მჯეროდა; ვეჭვობდი _ ამათ ხომ არ ატყუებენ-თქო, მაგრამ ამ ცნობამ მაინც გამახარა; რაც უნდა რეალისტი იყოს ადამიანი, სასურველ ამბავს, ადვილად იჯერებს; ხანდახან, ჩემი თანდასწრებით, სამასი დოლარის სესხებაზეც ოცნებობდნენ, «თავის» ბინისთვის რკინის კარი რომ გაეკეთებინათ; მაშინ მე ვერ ვხვდებოდი, ამას ჩემ გასაგონად განგებ რომ ამბობდნენ;

ერთხელ კი ჩემმა ქალიშვილმა გაბედულად შემომთავაზა _ მოდი, ეს სამასი დოლარი გვისესხე, თუნდაც პროცენტით; სერგი რომ ხელფასს აიღებს, მაშინვე გადავიხდითო;

შევწუხდი; ვალის აღებას ყოველთვის ვერიდებოდი, მით უმეტეს პროცენტით, მაგრამ ახლა ფული მაინც ვისესხე და მეორე დღეს მათ ჩემი ოჯახისთვის უზარმაზარი თანხა _ სამასი დოლარი ჩავაბარე; თან ვთხოვე _ რაც მალე ჩაასასხებთ, მით უკეთესი-თქო.

ამ ამბის შემდეგ, ნანი ახალი, საორსულო კაბით გალამაზებულ-გახარებული გამომეცხადა; ეს პირველი რამ იყო, გათხოვების შემდეგ რომ შეიძინა; კაბა, იაფფასიანობის მიუხედავად, ძალიან უხდებოდა, მაგრამ მაინც ვუსაყვედურე _ კაბისთვის ქმარს ფული არ უნდა ასესხებინო, უამრავი ჩასაცმელი გაქვს, შეგეძლო იოლად გასვლა, მაინც პალტოთი დაიარები ან შინ ზიხარ, შინაურების მეტი ვინ გიყურებს-თქო!

თვალები ცრემლებით აევსო და თავი იმართლა _ რაც კარებს გადარჩა, იმ ფულით ვიყიდეთო;

ამ ცრემლებმა გული ბევრი რამით მატკინა; თანამედროვე ქალს სიყვარულთან ერთად სხვა სიხარულიც სჭირდება _ სამსახური, ჩაცმა, ადამიანებთან ურთიერთობა, სტუმრად სიარული და საერთოდ, რაიმე სიახლე, თუნდაც უმნიშვნელო, იაფფასიანი ნივთების ყიდვა ან სხვა გასართობი, აღარაფერს ვამბობ ძვირადღირებულ სიამოვნებებზე _ თეატრებში, კაფე-რესტორნებში, ღამის კლუბებში ან სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსებზე; მითუმეტეს, თუ ისეთი მოუწესრიგებელი ბინა და საცხოვრებელი პირობები აქვს, მხოლოდ ღამის გასათევად რომ გამოდგება ქუჩაში დარჩენილი ადამიანისთვის-თქო; ჩემმა შვილმა მეგობრებიც კი მოიშორა, ზოგჯერ მათთან ტელეფონით მაინც რომ ურთიერთობა ჰქონოდეს და ცხოვრება გაიხალისოს-თქო;

მერედა ვინ უნდა მისცეს მათ ეს ყოველივე? წავიდა ის დრო, ოჯახის უფროსი _ ქმარი რომ თავად იღებდა პასუხისმგებლობას ყველაფერზე; მშობლებმა? რატომაც არა, თუკი ამის საშუალება აქვთ! თუ არა აქვთ? თავად შეიქმნან ეს პირობები, როგორც განვითარებულ ქვეყნებშია მიღებული? მერედა სადაა სამსახურები! ახლანდელი ახალგაზრდები ხომ სოფლის სამეურნეოებს დიდი ხანია გადაეჩვივნენ! ისინი, დიპლომიანები, პრეტენზიულები, ფიზიკური შრომისთვის მოუმზადებლები, კარგი და იოლი ცხოვრების მოყვარულები არიან; სამსახურებზე უარს როდი ამბობენ, მაგრამ «საქმის» შექმნა-გამო-

გონებაზე პირად პასუხისბგებლობას მიუჩვეველი საზოგადოების შვილები არიან და დასაქმებას სხვისგან _ მშობლებისგან, ხელისუფლებისგან, მეგობრებისგან, ღმერთისგან ელოდებიან . . . შექმნა-გამოგონებას ფული და გამოცდილება სჭირდება, ფულის საშოვნელად _ სამსხურები და საქმის კეთება და . . . ისევ ფულს და გამოცდილებას მივადექით; ასე აღმოვჩნდით «მოჯადოებულ წრეში», საიდანაც, სხვის დაუხმარებლად თავის დაღწევას დიდი ძალისხმევა, დრო და მოთმინება სჭირდება, რაც ჩვენი ახალგაზრდების უმეტესობას არ გააჩნია; არადა ის სიკეთეები, რისთვისაც კაცობრიობა ამდენ ხანს შრომობდა და იბრძოდა, დღესვე უნდათ-თქო, კიდეც ვამართლებდი და კიდეც ვსაყვედურობდი;

ბარემ აქვე ვიტყვი, რა ბედი ეწია იმ საცოდავ სამას დოლარს, რკინის კარებისთვის რომ მასესხებინეს:

ერთხელ, როცა ისინი ჩემთან სტუმრობდნენ, სადილის შემდეგ, გეგას ოთახში შევიდნენ; იქედან მათი მხიარული საუბარი ისმოდა; მეც რომ შევედი, დავინახე, ჩემი სიძე ხელში პისტოლეტს აჩხაკუნებდა და ამ მოულოდნელი საცდუნებლით აღტაცებულ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ცოლისძმასთან თავმომწონედ «მარიაჟობდა»; საბედნიეროდ, როგორც მივხვდი, ტყვიები მასში ჯერ კიდევ არ იდო;

ვიფიქრე, ალბათ, ევროპული ვოიაჟის სახსოვარი, ყალბი იარაღია, სუვენირად ჩამოტანილითქო და ოთახიდან ისე გამოვედი, ჩემი სიძის რაიმე სიცრუეში დადანაშაულება აზრად არ მომსვლია;

. . . არადა, თურმე რა კარი, რის კარი! ან ბინა სად იყო, კარები რომ საჭირო გამხდარიყო! თურმე ფული იმიტომ მასასხებინეს, იარაღი რომ შეეძინათ; როგორც მოგვიანებით გაირკვა, იგი მას ეზოს ბინადართა დასაშინებლად სჭირდებოდა, ადრე ხომ მითხრეს ისინი ნაციხრები, უმუშევრები, ლოთები და ავაზაკები არიანო . . .

ეს ამბავი კი ასე გაირკვა:

ჩემმა სიძემ, ერთდროულად ორივე სამსახურიდან ხელფასები რომ აიღო, ცოლ-ქმარმა ბაზრობაზე წასვლა გადაწყვიტა; ერთბაშად «გამდიდრებულები» ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ; ჩემმა ქალიშვილმა რომ დამირეკა და ამის შესახებ მახარა, მეც ბავშვივით გამეხარდა, ვალის დაბრუნებას როგორ ვახსენებდი! თუმცა დაპირების და ჩემი იდეოლოგიის მიხედვით, მათ ჯერ ვალი უნდა გადაეხადათ.

მეორე დილით ნანიმ დარეკა და აღრიალდა _ დედაააა! საჩქაროდ ლაშიკო მოძებნე და მოიყვანე, მილიციაში ვართო!

თავზარი დამეცა, წამით გავიფიქრე, ალბათ, ფული დაკარგეს-თქო და მის დასამშვიდებლად მოვემზადე, მაგრამ მან უარესი რამ ამოიღრიალა _ სერგის ჩხუბი მოუვიდა მეზობელთან! ახლა მილიციაში ვართ, ლაშიკო მოიყვანე და მოდიო და ყურმილი დამიდო.

აცახცახებულმა ჩვენი ნათესავის _ ლაშას ძებნას ტელეფონით შევუდექი, მაგრამ ვერ მივაგენი; იგი თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი იყო, იმჟამად საქმეზე წასული; მერე მილიციაში გავქანდი;

იქ, გრძელ და ბნელ დერეფანში, ჩემი გამხდარი, შიშისგან დაფეთებული და ტირილით თვალებ დასიებული რვა თვის ფეხმძიმე ქალიშვილი, გაუ-

პარსავ, მხრებში მოხრილ და სახეშეშლილ მეუღლის მკლავს ჩახუტებული დამხვდა;

ჩემ დანახვაზე ტირილი აუვარდა; ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლუღლუღიდან გავიგე, რომ დილით, როცა ისინი ბაზრობაზე წასვლას აპირებდნენ, გინებითა და მუქარით მათთან მეზობელი შეიჭრა და სერგის მოსაკლავად გაიწია;

_ რათა, რას გერჩოდათ-თქო, რომ ვკითხე, პასუხი მცირე ყოყმანის შემდეგ მოიფიქრა

_ არ ვიცი. . . სხვა გზა არ ჰქონდა და სერგიმ მას იარაღიდან ესროლა . . . არაფერი დაშავებია, მხოლოდ წარბები აქვს შეტრუსულიო . . .

ერთი სიტყვით, ამტყდარა წივილ-კივილი, ვიღაცას მილიციაში დაურეკავს და სულ მალე მათ ეზოს სირენების გაბმული კივილით მილიციის სამი მანქანა მიადგა; მოჩხუბრები, ჩემ ქალიშვილთან ერთად, მილიციაში მიაბრძანეს.

. . . ეგეც შენი ყოფილი დიდგვაროვანი, ბრიტანეთში განათლებამიღებული, მომავალი პარლამენტარი სიძე!

სანამ მოვიფიქრებდი, რა უნდა გვექნა, მიზეზი ვიკითხე _ რათ შემოგივარდათ მეზობელი, რა უნდოდა-თქო? _ დილით, კედელის იქედან მისმა გინების ხმამ გამოგვაღვიძა, სერგიმ მიუკაკუნა, _ რა ხდება, რა ამბავია, აქ ქალები ცხოვრობენ, ასე როგორ შეიძლებაო . . . ამაზე გაბრაზდა, კარები შემოამტვრია, სერგისკენ მოსაკლავად გაიწიაო . . .

მე დავიჯერე, ეს რომ მართლაც ასე იქნებოდა; ადრეც ხომ თქვეს, მეზობლები ლოთები, უსაქმურები, ნარკომანები არიან, მათი ბინიდან სულ ხმაური, გინება და ლოთობის ხმები ისმის, მათ რომ მივესალმო, მერე მხარზე ხელს მომითათუნებენ, მათთან ერთად დალევას მომთხოვენ და ასე, თანდათან თავს გამიტოლებენო . . .

მაშინ მე მეზობლების ამგვარი დახასიათებისას «თავის გატოლების» შიშმა უფრო შემაშინა, ვიდრე «ლოთობამ, ნარკომანობამ და ქურდობამ», რადგან ეს ყველაფერი ნაკლებად მჯეროდა, აი, ამპარტავნება კი სახეზე იყო!

ბოლო ამბების შემდეგ ამ ცოდვის გამო, თავი მეც არაერთხელ დამიდანაშაულებია, მაგრამ ზოგჯერ ისიც მიფიქრია _ საკუთარი თავისთვის საუკეთესოს სურვილი, როცა სხვას ზიანს არ აყენებ, სულაც არაა ამპარტავნება, აკი განმარტების მიხედვით, ესაა «საკუთარი ნაქმნარის მამწონებელი, სწავლების მოთაკილე» ადამიანი, მე კი ჩემი «ნაქმნარით» კმაყოფილი იშვიათად ვარ, სულ ეჭვები მაწუხებს, სწორად მოვიქეცი თუ არა; «სწავლების მოთაკილე» კი ნამდვილად არა ვარ, პირიქით, ახლობლებს ზედმეტადაც კი ვეთათბირები, ალბათ, ზოგჯერ მათ თავსაც კი ვაბეზრებ;

ხშირად მიფიქრია _ რა ცუდია ჩემი თაობა უეკლესიოდ რომ გაიზარდა და მოძღვართან ურთიერთობის შესაძლებლობა არ მოგვეცა! ყველაფერთან ერთად ეს ურთიერთობა საკუთარი ქცევა-მოქმედებების სისწორის შესამოწმებლადაც საჭირო იყო! ახლა კი ყველა შეცდომაზე პასუხი მარტომ უნდა ვაგო, რაკი სიძნელეებიდან გამოსავალს თავად ვეძებ; სხვა ახლობლებს რომ ვეთათბირები, იქნებ ესეც ცოდვაა, რაკი შეცდომის შემთხვევაში პასუხისმგებლობას მათაც ვაკისრებ!

. . . ღმერთო მიშველე, იმდენი გონიერება მომეცი, რაც ამ ლაბირინთიდან თავდახსნის გზას მაპოვნინებს-თქო, არაერთხელ მიფიქრია!

მაშინ კი, მე ეზოში მომხდარი ინცინდენტის შესახებ ჩემი ქალიშვილის ნაამბობი დავიჯერე, მერე მილიციის უფროსთან შევვარდი;

სიგარეტის კვამლით გაბოლილ ოთახში კურტკა-ჯინსებში გამოწყობილი რამდენიმე გაუპარსავი ვაჟი იჯდა; მე მათი თანდასწრებით აღშფოთება გამოვთქვი მომხდარის გამო და ფეხმძიმე ქალის ხათრით საქმისადმი ლმობიერი დამოკიდებულების იმედი გამოვთქვი; არც იმის თქმა დამვიწყებია, სერგიმ იარაღი თავდაცვის მიზნით რომ გამოიყენა;

ადრე ძალოვანებთან არავითარი შეხება არ მქონია; მოარული ხმების გავლენით მათი უმრავლესობა უხეში და ულმობელი მეგონა, ვერაფერს რომ ვერ შეასმენ; ამიტომ ძალიან გამიკვირდა და მესიამოვნა უფროსმა სკამი რომ შემომთავაზა, ყურადღებითაც მომისმინა, _ დამშვიდდით, ქალბატონო, რაც შესაძლებელი იქნება, ყველაფერს ვიღონებთო, მითხრა და საქმის ვითარება თავაზიანად ამიხსნა:

_ ეს შემთხვევა მკვლელობის მცდელობად არის დაფიქსირებული; დაზარალებული ჩივის, მან ექსპერტის ცნობა მოიტანა, სახე აქვს დამწვარი, მეზობლებიც მოწმედ უდგანან და საქმის მიფუჩეჩება არ გამოვა; «საქმე» ახლა ძიებაშია; რაც შეეხება ფეხმძიმე ქალს, მისი და თქვენი ხათრით, ეჭვმიტანილს აქ არ დავაკავებთ, მაგრამ ჯერჯერობით არც ქალაქიდან გავიდეს და არც იმ ეზოში გამოჩნდესო;

მე ისინი «დავაიმედე» _ იქ აღარ გავუშვებ, ჩემთან წავიყვან-თქო . . . ჩემთვის კი გავიფიქრე _ მათი ბინა საცხოვრებლად მაინც არ ვარგა, იქ ბავშვი როგორ უნდა გაზარდონ-თქო!

«საქმის» ასეთი დასასრული არ გვაწყობდა, მაგრამ სანამ გონს მოვეგებით და გამოსავალს მოვიფიქრებთ, ესეც კარგიათქო, ვფიქრობდი;

შინ წასვლის ნებართვის მიღებამდე, მცირე ხნით, ოპერმუშაკების თუ მილიციელების ოთახში შეგვიყვანეს; აქ როგორც გვითხრეს, ამ ფათერაკის მიზეზი, მეზობლების ჩვენებების მიხედვით ის იყო, რომ ჩემი ახალი ნათესავების ბინიდან (სადაც ისინი ჩაუწერავად ცხოვრობდნენ, რაც მაშინ დიდ დანაშაულად ითვლებოდა), ხშირად ისმოდა წივილ-კივილისა და ქალის ტირილის ხმები; რაკი მათთან შესული უცხო არასოდეს არავინ უნახავთ, ალბათ, ვაჟი ეჩხუბებოდა თავის დედას და ზოგჯერ კიდეც სცემდაო; იმ დილითაც, დაზარალებულს კედლის იქიდან მოუკაკუნებია გასაფრთხილებლად _ თავი დაანებე, რას კლავ მაგ საცოდავ ქალსო, რასაც მისი მისამართით სერგის ბრაზიანი, უწმაწური გინებები მოჰყოლია, ჩხუბიც ამიტომ აგორებულა; მერე გაცოფებული მეზობელი ეზოში გამოვარდნილა, ამათ კარებზე ბრახუნი აუტეხია; როგორც ჩემმა ქალიშვილმა თქვა, შინ შემოვარდნას და სერგიზე ფიზიკურ ძალადობას ცდილობდა

_ აი, ამიტომ აიღო მან იარაღი, ეზოში თავად გავარდა და შესაშინებლად გაისროლაო, ტირილით ამბობდა ნანი.

მილიციის მუშაკები სერგის ადანაშაულებდნენ _ არც ერთი მეზობელი შენს სასარგებლო ჩვენებას არ იძლევა, შენი მოქმედება აფექტის მდგომარეობაში ჩადენილს არ ჰგავს, რაკი ახლო მანძილიდან იმის შიშით არ ესროლე, არ მოკვდესო, ესე იგი, კარგად აცნობიერებდი რასაც სჩადიოდიო; ჩემი სიძე

უმტკიცებდათ _ ჩხუბი მან თავად წამოიწყოო, რასაც «ისინი» თავისებურად უბათილებდნენ;

ოპერატორების ოთახში «საქმის გარჩევისას» ჩემმა სიძემ ისტერიული კივილი ატეხა _ ამის დედა . . . ვინ არიან ესენი, სად წავიდე, თავი ხომ არ მოვიკლაო . . .

მაშინ სერგის ისტერიკა პირველად ვნახე; ის თავის თავს აღარ ჰგავდა, ვიღაც უცხო, სრულიად სხვა ხმით კიოდა, მის მკლავს ჩაბღაუჭებული, აცახცახებული ცოლის ხელს ბრაზით იშორებდა, თითქოს გაქცევას აპირებდა, უცბად შემობრუნდებოდა _ მე პარლამენტარი ვარ, სტრასბურგში გიჩივლებთ, ჩემგან ქრთამს რომ არ ელოდებით, ამიტომ გინდათ ის ქურდები გაამართლოთო _ გაჰყვიროდა;

მე ისე გაოგნებული ვიყავი, ხმის ამოღება არც მიფიქრია; უზომოდ შეშინებული ნანი კი, მხოლოდ ცახცახებდა და გასასვლელისკენ ქმრის გაყვანას ცდილობდა.

შინ წასვლის ნებართვა მივიღეთ თუ არა, იქიდან იმით «გახარებულები» და «ბედნიერები», წამოვედით, რომ ჩემი სიძე დროებით მაინც ციხეს გადაურჩა, თუმცა შინ იმ პირობით «გამოგვატანეს» რომ აღარც «თავის ეზოში» მივიდოდა და არც ქალაქიდან გავიდოდა _ არ ვიცით, დაკითხვაზე როდის დაგიძახებთო.

გზაში ვფიქრობდი _ დღეს მე სერგის ნამდვილი «მე» დავინახე, უკიდურესად აფექტური, მრისხანე და იქნებ ავადმყოფურიც, რასაც, ალბათ, არ მაპატიებს, მიუხედავად იმისა, რომ მომხდარში დანაშაული ნაკლებად მიმიძღვის-თქო; ის ხომ დღემდე «კარგი კაცის» როლს თამაშობდა! ვინ იცის, ამ თამაშმა როგორ დაღალა, მისი ეს ნერვული აფეთქება ამის ბრალიც უნდა იყოს-თქო; თავად ჩემს «თამაშს» კი, ვითომ არაფერი მომხდარაო, მისადმი თანაგრძნობით ვხსნიდი, _ ის რომ ჩვენთვის მისაღები კაცის როლის თამაშს ცდილობდა, ესეც ხომ დასაფასებელია, ხომ ცდილობდა-თქო! და შემდგომში მასთან უმტკივნეულოდ საურთიერთობო ტაქტიკის შემუშავებაზე ვფიქრობდი; ამიტომ იყო გზად, შინ დაბრუნებისას «უდარდელად» რომ ვსაუბრობდი, ხუმრობასაც კი ვცდილობდი, თუმცა შინაგანად სასოწარკვეთილი ვიყავი;

მოგვიანებით დავეჭვდი _ ემოციების თავშეუკავებლად, ბუნებრივად გადმოფრქვევა ხომ არ ჯობდა, თუნდაც ურთიერთობების გაფუჭების რისკის ფასადთქო? ამ დაეჭვების საფუძველი კი მალე მომეცა, როცა მივხვდი, ჩემი «თამაში» რომ მან ჩემ სიბრიყვეს მიაწერა და ამით სარგებლობა მოინდომა.

მაგრამ სანამ ამას მივხვდებოდი, მცირე დრომ კიდევ გაიარა;

შინ დაბრუნებისთანავე ჩემი საძინებელი მათთვის გადავაკეთე, ზალაში გავსახლდი და სერგის საქმეების მოგვარებას შევუდექი;

«საქმის» მოსაგვარებლად მილიციაში ჯერ ლაშა დაიარებოდა; მისგან შევიტყვეთ, რომ «საქმე» ძალიან რთულადაა და მის გამოსასწორებლად ლაშას ავტორიტეტი უკვე აღარ კმაროდა. მაშინ ჩემს თანაკურსელს მივადექი უმაღლეს სასამართლოში; იქ ნანიც გავიყოლე; მისი ცრემლები და წამოზრდილი მუცელი დამეხმარა ჩემი თანაკურსელი დამერწმუნებინა გარეგნული, იურიდიული მხარის მიუხედავად «საქმის» დახურვა რომ უმაღლესი მორალური აქტი იქნებოდა.

ჩემმა კურსელმა ყურმილი აიღო და თავის მეგობარს დაურეკა: აბა, შენ იცი, მომჩივანი და მოპასუხე შეარიგე და შინ გაუშვიო.

სულ მალე ასეც მოხდა, მაგრამ მანამდე მილიციაში რამდენიმე ვიზიტი, პროკურორთან შეხვედრა და ჩემი «დიპლომატიის» გამოყენება რამდენჯერმე დამჭირდა; პროკურორის რჩევით თამუნასაც კი მოუწია ცრუ მოწმის როლში გამოსვლა, ვითომ იმ საბედისწერო დილით მათთან სტუმრად იყო და თავის თვალით ნახა, მეზობელმა ჩხუბი თავად რომ წამოიწყო და სერგიზე საცემად გაიწია; მაშინ დარწმუნებული ვიყავით, ჩხუბის წამომწყები მართლაც დაზარალებული რომ იყო, «ცრუ ჩვენება» კი მხოლოდ მოწმის აუცილებლობამ გამოიწვია;

სანამ თამუნა ამას დათანხმდებოდა, კარგახანს შიშით იცახცახა _ დაპირისპირებულმა მხარემ ამისთვის შური არ იძიოს, სადმე არ ჩამისაფრდნენო, მაგრამ ნათესაურ-მეგობრულ «მოვალეობებს» ვერ «უღალატა» და ამ აფიორას დათანხმდა.

მოგვიანებით ვფიქრობდი, ეს ფათერაკი, ალბათ, განგებამ ჩვენივე უსაფრთხოებისთვის გამოგვიგზავნა, დამნაშავის იზოლაცია ბევრ სხვა უსიამოვნებასაც თავიდან აგვაშორებდა, კანონისთვის გვერდის ავლა კი, თურმე, ადამიანს უკან ხიფათად უბრუნდება-თქო.

დამნაშავის და მომჩივანის დაპირისპირება არ მომხდარა; «ის მხარე» იმით შეშინდა, დაზარალებული რომ მართლაც ნასამართლევი და იმჟამად უმუშევარი ყოფილა; ჩემ სიძეს კი, დოკუმენტების მიხედვით ბრწყინვალე წარსული ჰქონდა; რაკი ცრუ მოწმეც გამოჩნდა, საქმე დაიხურა.

თუმცა ეს ამბავი ასე იოლად არ დამთავრებულა;

სანამ ყველაფერი მოგვარდებოდა, ჩემი სიძე ნერვიულობდა, ისტერიკებს და ჩვენთვის თავზარდამცემ სცენებს მართავდა; საძინებლიდან გამუდმებით ისმოდა ვიღაცის მისამართით ლანძღვა, გინება და მუქარა.

ერთხელ მისი დამშვიდება ვცადე, მათთან ოთახში შევედი და მშვიდად ვუთხარი _ სერგი, პირობას გაძლევ, ეს საქმე შენთვის სასურველად დამთავრდება, ასეთი ნერვიულობა კარგს არაფერს დაგმართებს, ჯანმრთელობას გაუფრთხილდი, ბოლოსდაბოლოს, კიდეც რომ ჩაგსვან, მერე რა მოხდა, ამაზე უფრო დიდი სატანჯველი რაღა იქნება, იქაც ბევრი ღირსეული ადამიანი ზის, მოაზროვნე კაცისთვის საინტერესოც კი არის იმ სამყაროს გაცნობათქო, ვცადე იუმორი.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, მისი ეჭვიანი ბუნება რომ იუმორს ვერ გაიგებდა; სულ გადაირია _ თქვენ ჩემი ციხეში ჩაგდება გინდათ, მაგრამ მე იქ არ ჩავჯდები, ყველას დედას . . . ო! ჩემმა შეფმა რომ ეს ამბავი გაიგოს, თავსაც მოვიკლავ და ბევრ სხვასაც თან გავიყოლებო!

ასეთ რეაქციას, მით უმეტეს მუქარას, არ ველოდი; შევწუხდი და ჩემი ნათქვამის განმარტებას შევუდექი _ ადამიანი უარესისთვის უნდა გენეწყოს, მერე მისთვის ნებისმიერი შედეგი მისაღები იქნება, მის ჯანმრთელობას და ღირსებასაც საფრთხე აღარ დაემუქრება-თქო . . . თუმცა აშკარა იყო, ჩემი «ფილოსოფიიდან» მან რომ ვერაფერი გაიგო.

მას შემდეგ ოჯახში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა; ჩემ სიძეს ვეღარ ვცნობდი; სადღა იყო სამზარეულოს დიდ მაგიდასთან ჩვენთან ერთად

მჯდომი, მუდამ დაძაბული და გაუღიმარი, სასიამოვნო გარეგნობის კაცი, ჩემ გაკეთებულ კერძებს გემრიელად რომ შეექცეოდა! ახლა ის სამსახურიდან დაბრუნებისთანავე ოთახში იკეტებოდა, სადაც ცოლს მისთვის საჭმელი ლანგრით შეჰქონდა.

მე თავს დამნაშავედ მივიჩნევდი უადგილო ხუმრობის გამო და დროდადრო ნანისთან თავს ვიმართლებდი _ შენ მაინც ხომ გაიგე ჩემი ნათქვამის აზრი, შეეცადე მასაც აუხსნა; მას შემდეგ, რაც მე მაგისთვის გავაკეთე, როგორ იფიქრა, ჩემი ციხეში ჩაგდება უნდაო! თვითონ კაცი კინაღამ მოკლა და ეს გავუგე და ვაპატიე, მე კი ერთი უტაქტოდ ნათქვამი შეგონება-ხუმრობა არ მეპატიებათქო?

აი, სწორედ მაშინ თქვა სერგის დედამ _ ნეტავ რათ უყიდა ნანიმ იარაღი! იარაღი რა მაგის საქმეა, ვიცოდი რომ დაღუპავდაო!

_ რაამეთქიიი? გადავირიე;

წამსვე «განათდა» გონებაში ჩემი ნასესხები საცოდავი სამასი დოლარის ბედი, მაგრამ «გმირობა» გამოვიჩინე და თავის შეკავება მოვახერხე, რაც ახლა სათნოებად სულაც არ მიმაჩნია; მაშინ მე ჩემი შვილის სიცრუის გამჟღავნების შიშმა შემიშალა ხელი სიძე-ქალიშვილი რომ მემხილებინა და აყალმაყალი ამეტეხა; იქნებ ამით ჩემი ოჯახისთვის შემდგომი უსიამოვნობები თავიდან ამეშორებინა?

ჩემ ქალიშვილს კი «ცხელი დღე ვაყარე» _ ტყუილი რათ თქვი-თქო; ორივე ცოდვა _ სიცრუე და იარაღის შეძენა სასწრაფოდ მოინანიე და ღმერთს პატიება თხოვე, თორე ქმრისთვის დათვური სამსახურის გაწევისთვის და ოჯახის ღალატისთვის დაისჯები; მედეას მითი გასართობად კი არ შემორჩა კაცობრიობის მეხსიერებას, მასში დიდი სიბრძნეებია დამალული, საიდანაც ადამიანმა ჭკუა უნდა ისწავლოს-თქო.

ნანი მორჩილედ მისმენდა და თავს იმართლებდა _ ის სამასი დოლარი მართლა კარებისთვის გვინდოდაო . . .

არადა ბინა სად იყო, კარები რომ საჭირო გამხდარიყო!

ამის შესახებ სერგისთან არაფერი მითქვამს, ჯერ ერთი იმის გამო, რომ უკვე ვეჭვობდი, ამპარტავანია, «თავისის ნაქმნარის მამწონებელი», მაინც ვერაფერს შევასმენთქო და თან მის თავმოყვარეობასაც გავუფრთხილდი; ვფიქრობდი _ ეზოში მომხდარ მარცხს თუ ესეც დაემატა, მთლად განადგურდება, ან დეპრესიაში ჩავარდება, ან მთელი ადამიანური სისაძაგლის დამალვას აღარ შეეცდება, რაც აქამდე ჩადენილზე უფრო დიდი ბოროტება იქნება-თქო; ისიც გავითვალისწინე _ დედამისსაც ცუდი დღე დაადგება საიდუმლოს გამხელისთვისთქო და ერთხელ კიდევ გავჩუმდი;

ახლა ვფიქრობ, რომ ამ გაჩუმებითაც ცუდი გავაკეთე, რადგან ჩემი სიჩუმით გათამამებულმა, რამდენჯერმე, ჩვენთვის წარმოუდგენლად შემზარავი სცენა გამართა;

. . . ღმერთო, მომეცი იმდენი გონიერება ერთმანეთისგან გავარჩიო როდის «თქმა სჯობს უთქმელობას» და როდის «თქმითაც დაშავდების»;

ერთხელ, ჯერ კიდევ «რკინის კარების აფიორამდე», დღის ბოლოს კარზე მოაბრახუნეს; სერგის სამსახურიდან დაბრუნების დრო იყო და რაკი ნანი მას ყოველთვის მოუთმენლად ელოდა, კარის გასაღებად გავარდა. იქ სერგისთან

ერთად, თავისებური ბრიყვულ-ალალი ღიმილით, ჩვენი მეზობელი გიაც იდგა; ნანი მათ მხიარულად შეხვდა, ორივენი ლაღად გადაკოცნა და შინ შემოუძღვა.

შექეიფიანებული გია დერეფანში შემობრახუნდა და ყურებამდე გაღიმებულმა მითხრა: ნანის ქმარი მე თვითონ გავიცანი! შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი ჩვენი სიძე რომ იყოო, უხაროდა თავისი მიხვედრილობით გახარებულს; სერგის კი ბრაზიან გამოხედვაზე ეტყობოდა, მის სიხარულს რომ არ იზიარებდა. იგი მაშინვე თავის ოთახში შევარდა და კარი ხმაურით მოხურა;

ცხადია, ნანიც თან შეჰყვა.

მივხვდი, საქმე ცუდადაა-თქო, თუმცა ამის მიხვედრას დიდი გულთმისნობა არ სჭირდებოდა _ ჩემი სიძის ბრაზით სიშავემდე გაფითრებული პირისახე რაღაც საშინელებას გვიქადდა;

სტუმარს რომ უხერხულობა არ ეგრძნო, სამზარეულოში შევიპატიჟე და საუბარი ვითომ უდარდელი ღიმილით გავუბი _ გიაკო, ქალაქის მთავარ მაცივარში სამსახური მართლა მიატოვე-თქო? _ კი არ მივატოვე, გამომაგდეს, გამომაგდესო, ალალად მიპასუხა;

_ რათა, რა ჩაიდინე ისეთი-თქო . . . შეცბუნებულმა გულწრფელად ვკითხე;

_ კაცი დამრჩა მაცივარში ჩაკეტილი! თურმე მთელი ღამე აქეთ-იქით დარბოდა, რომ არ გაყინულიყო, მაგრამ დილით მაინც ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს, ძლივს მოასულიერესო, იცინოდა. მის ნაამბობს მისთვის ჩვეული, გამოგინილი, სახალისო ამბების «სუნი» ასდიოდა და მეც მასთან ერთად გავიცინე; მერე, როგორც ოჯახის ახლობელს, ისე შევთავაზე

_ გიაკო, სასმელს ვერ შემოგთავაზებ, უკვე კარგად ხარ, მაგრამ ცხელი კატლეტებით კი შემიძლია რომ გაგიმასპინძლდე-თქო;

არაო, არაფერი მინდა, ოღონდ ერთი წუთით ნანის ქმართან დამალაპარაკე, ქუჩაში რომ შემხვდეს ხომ უნდა ვიცნოო!

გავბრიყვდი და ჩემი ქალიშვილის ოთახის კარზე მივაკაკუნე, მერე მორიდებით შევაღე და _ სერგი . . . ჩემმა სიძემ სიგარეტიანი ხელი ამიქნია, კარისკენ მიმითითა და მრისხანედ «მომაკეტინა» _ გადით! დაგვტოვეთ!

მექანიკურად დავემორჩილე; არც კი გამიაზრებია, რაც მოხდა, წამში ოთახს გარეთ აღმოვჩნდი; მოგვიანებით აღვიქვი, რაც ოთახში დავინახე; იქ, საწოლზე ჩამომჯდარ ნანის ქმარი თავს დასდგომოდა და რატომღაც «ჯვარს აცვამდა»; ატირებული ნანი ცრემლებს შიშველი ხელებით იწმენდდა და რაღაცას ზუზუნებდა;

თავზარდაცემული, გიასკენ შევბრუნდი და გაოგნებულმა მოვუბოდიშე:

_ მაგათ რაღაც სასწრაფო საქმე გამოუჩნდათ, ახლა არ სცალიათ, ერთმანეთს სხვა დროს შეგახვედრებთთქო და სტუმარი კარებამდე მივაცილე;

მას თავისი გულუბრყვილობით, იქნებ ჩემი ხათრითაც, წყენა არ დასტყობია, ისე გადამკოცნა და დამემშვიდობა _ ხომ იცით, როგორ მიყვარხართო, ალალად მომაძახა და ლიფტში შევიდა.

კარი რომ მივხურე, ნანის საცოდავი ლუღლუღი შემომესმა; წამში «მათ» ოთახში აღმოვჩნდი; იქ ბრაზით გაშავებული ჩემი სიძე და ატირებული ნანი რომ დავინახე, რაღაც უბედურების მოლოდინით აცახცახებულმა, ვიკითხე _ რაშია საქმე, რა მოხდა-თქო?

_ მაგ უკულტურო ვიგინდარამ, როგორ გაბედა ჩემი სახლის კარზე მობრახუნება! ლიფტშიც კარგი ძმაკაცივით, «შენ სერგი იქნებიო», შენობით მომმართა! რა უფლება აქვს, ვინ მიგდია! თქვენ კი ათას ძაღლსა და მამაძაღლს უშვებთ სახლში! მასეთები სიახლოვეს არ უნდა გაიკაროთ, არც უნდა მიესალმოთ! თუ კიდევ ჩემ ცოლთან დალაპარაკებული დავინახე დედას . . . ო, ყვიროდა უცხო, უჩვეულოდ ავი, ბრაზიანი ხმით.

მაშინ ჯერ კიდევ იმედი მქონდა, ამპარტავნებას თანდათან დასძლევს ან მის დამალვას მაინც ისწავლისთქო . . . ამიტომ, რაკი მისი ნერვიულობის მიზეზი ასე უმნიშვნელოდ მივიჩნიე, შემრიგებლურ-მპატიებლური ღიმილით ახსნა დავუწყე: _ ცუდი არაფერი მომხდარა, სერგი! ბავშვები დაძმებივით ერთად გაიზარდნენ, ამიტომ მისცა თავს უფლება ჩვენთან უცერემონიოდ შემოსულიყო . . . შენ გიას არ იცნობ და, ალბათ, ამიტომ გაღიზიანდი; არადა ასეთი სუფთა გულის, უეშმაკო ადამიანი ძნელად მოიძებნება; თუ ეტიკეტს ვერ იცავს, ეს დიდსულოვნად უნდა აპატიო-თქო. . .

_ არ დავინახო, ჩემ ცოლს რომ მაგან ხმა გასცეს, თორემ ვესვრი და მოვკლამ! ჩემ თანამშრომლებს რომ დაენახათ, რაც მაგან ჩაიდინა, სირცხვილით მოვკვდებოდი! მიკივლა ისტერიულად.

_ დედა, ძალიან გთხოვ, შენ ნუ ჩაერევიო, მუდარით მომმართა ჩემმა ქალიშვილმა; მერე ქმრის დამშვიდებას შეეცადა _ ნუ ნერვიულობ, გია ჩვენთან აღარასოდეს მოვა და თუ სადმე შემხვდა, გამარჯობასაც აღარ ვეტყვიო . . .

მე მათგან გაოგნებული გამოვედი. ვცდილობდი, ჩემი სიძის საქციელი სიყვარულის გამო ეჭვიანობით ამეხსნა და ერთგვარად გამემართლებინა კიდეც, მაგრამ მისმა შეშლილმა სახემ და ფრაზამ _ «ჩემ თანამშრომლებს რომ დაენახათ, სირცხვილით მოვკვდებოდიო», ბრაზით და სიძულვილით კარზე რომ მიმითითა, ამან შემაშინა,

. . . აქ ეჭვიანობაზე უფრო დიდი უბედურება იმალება და მისგან სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდოთ-თქო, ვფიქრობდი სამზარეულოში მარტოდ დარჩენილი; გავიხსენე ნანის მეგობრებთან მომხდარი კინფლიქტები, ეზოს ხიფათი, რკინის კარების აფიორა და კიდევ ერთხელ შევშინდი _ ერთი ადამიანისთვის ამდენი მანკიერება მეტისმეტია-თქო;

რა ეშველება ჩემ შვილს? გაუძლებს ცხოვრების ასეთ თანამგზავრს? ან ჩემ სიძეს რა ეშველება, მას ხომ ადამიანებთან ურთიერთობა არც სურს და არც შეუძლია!

ეზოს ხიფათის შემდეგ ჩემი მძახალი, ქალბატონი ლიანა ღამეს ჩვენთან ათევდა, რადგან ის «თავის» ბინაში ვეღარ იძინებდა; დაჟინებით ამტკიცებდა, მარტო თუ მომიხელთეს, მეზობლები მომკლავენო; ჩემმა შეგონებამ _ ამგვარი რამ ყოვლად წარმოუდგენელია-თქო, მას არ უშველა;

ეს ეჭვი რომ გამექარწყლებინა «მის ბინაში» მასთან ერთად ორი უძილო ღამე გავატარე, უჩვეულოდ ცივსა და ბნელ ოთახში; შუშაბანდში, ფარდებით გამოყოფილი «სველი წერტილი», სადაც ტუალეტის ფუნქციას წითელი პლასტმასის ვედრო ასრულებდა, სატანჯველად მექცა; ეზოს ტუალეტით სარგებლობა კი მძახალმა მეზობლების შიშით ამიკრძალა; ჩემთვის მეზობლებთან ასეთი ურთიერთობაც გაუგებარი და მიუღებელი იყო;

. . . აი, რატომაა აუცილებელი ქორწინებამდე კარგად რომ იცნობდე იმ ადამიანებს, ვისთანაც დანათესავებას აპირებ; სიღარიბე უბედურება არაა, მას შედარებით ადვილად ეშველება, მაგრამ რა ეშველება ამგვარ უკიდურეს ინდივიდუალიზმს? რამდენადაც ჩემ ქალიშვილს ვიცნობ, ადამიანებისგან იზოლაციას ვერც ის შეეგუება; როცა სიყვარულის აფექტი გაივლის, ის უკვე თავისი რჩეულის ნამდვილ სახეს დაინახავს, რაც მისი ღირებულებებისთვისაც მიუღებელი იქნება . . .

. . . რა ეშველება იმ პატარა, უდანაშაულო არსებას, ვინც სულ მალე დაიბადება?

მესამე ღამეს ლიანას გამოვუცხადე _ მე ახლა ისეთ ასაკში ვარ, სიახლეებს რომ ვეღარ ეგუებიან; ჩემ კუთხეს ისე შევეჩვიე, სხვაგან ვეღარ ვიძინებ; თანაც, მგონი უკვე დარწმუნდი, აქ რომ საფრთხე არ გემუქრება; შენმა მეზობლებმა ხომ არ იციან, ახლა მე რომ «ვიცავ», შენ მათ მარტო ჰგონიხარ, მაგრამ შენთან შემოვარდნა აზრად არავის მოსვლია; შენც ტყუილად გაწუხებ, მე კი შინ უამრავი საქმე მაქვს, დროს ტყუილად ვკარგავ-თქო; ტუალეტის პრობლემა არ ვუხსენე, გული არ ვატკინო-თქო . . .

ჩემმა მძახალმა «თავის» ბინაში მარტო დარჩენა სასტიკად იუარა და იმაზე აწუწუნდა _ ან ღამე სად გავათიო, ან ნივთები სად წავიღო, თუ აქ დავტოვე, მეზობლები ზოგს მომპარავენ, ზოგსაც გადამიყრიანო . . .

_ ღამის გათევა პრობლემა არაა, ჩემთან გაათევ, მაგრამ ნივთებზე ტყუილად წუხხარ, შენი მეზობლები ახლა მას შენზე უფრო გაუფრთხილდებიან, რადგან შენ ან შენ ბინას რამე რომ მოუვიდეს, პასუხს მათ მოსთხოვენ, ეს მათ შესანიშნავად იციან და თუ შენ არა, თავიანთ თავს მაინც გაუფრთხილდებიან-თქო . . .

მაშინ მან «ზემოთა» მეზობელთან დალაპარაკება მთხოვა _ თუ თქვენ ეტყვით, უსათუოდ დამიცავს; როცა მეზობლები შემოვარდნას დააპირებენ, მე მას ჯოხით მივუკაკუნებ, ოღონდ ამ მოლაპარაკების შესახებ ჩემმა შვილმა არაფერი გაიგოს, თორემ მომკლავსო . . . და მე, დილით, როცა «ზემოთა მეზობელი» ეზოში მანქანას რეცხავდა, იმ კაცთან «მოსალაპარაკებლად» გავედი;

რომ მივესალმე, გაკვირვებულმა შემომხედა; რომ გავუღიმე, თვითონაც «ყურებამდე» გაიღიმა და ინტერესით შემომაცქერდა; მე ის «საშიშ ადამიანად» სულაც არ მომჩვენებია და საუბარი თავისთავად აეწყო:

_ იმ ჩხუბის შემდეგ, რაც აქ მოხდა, ალბათ, გასაკვირი არაა, ქალბატონი ლიანა რომ შეშინებულია; მე კი ვიცი, მარტოხელა ქალს რომ აქ ცუდს არავინ აკადრებს, მაგრამ მის დასამშვიდებლად მაინც მინდა გთხოვოთ ყურადღებით იყოთ და თუ გაუჭირდა მფარველობა გაუწიოთ-თქო . . . იგი მე ინტერესით მისმენდა; მერე, როგორც მოველოდი, კეთილმოსურნე ღიმილით სახეგაბადრულმა მიპასუხა

_ რას ბრძანებთ, ქალბატონო, როგორც ჩემ დედას, ისე მივხედავ, ვინ გაბედავს მას რამე აკადროსო!

მერე ეზოში მომხდარი ჩხუბიც გაიხსენა:

_ ოჯახში უსიამოვნება ვის არ მოსვლია, რა მეზობლის საქმეა დედა-შვილის ჩხუბიო, იმ მეზობლის მისამართით თქვა, ვინც მაშინ სერგის ლამის შემოაკვდა;

_ როგორ, დედაშვილის ჩხუბს მოჰყვა ეს ამბავი-თქო? გავიოცე, რადგან მეზობლის «უდანაშაულობაში» დღემდე დარწმუნებული არ ვიყავი;

_ ხოო! საბანაო წყალი რატომ არ გამიცხელეო, ასეო, ისეო . . . თქვა შემწყნარებლურ-მპატიებელი ღიმილით;

ასე გავიგე მაშინ ის, მილიციელები მართალს რომ ამბობდნენ _ აყალმაყალის წამომწყებები «ესენი» იყვნენ და არა «ისინი»;

. . . სულ მალე ჩემმა ახალმა ნათესავებმა «აყალმაყალი» ჩემთანაც გააჩაღეს, როცა ქალბატონი ლიანაც შემოგვისახლდა.

ერთი კვირა

«ვინც სიმშვიდისკენ ილტვის,
მუდმივ ქაოსში ცხოვრობს»
ვუძღვნი ჩემს მეუღლეს.

ცხელა. სიცხისაგან მოთენთილს შეიძლება ავტობუსის მოსაცდელ სკამზე ჩამომეძინოს. სუნთქვა მიჭირს. თვალებს ვხუჭავ, მხრები მტკივა. როცა ჩემი გონება რომელიმე ერთი კონკრეტული საგნისკენაა მიმართული, გული ყოველთვის გამალებით მიცემს. ვხედავ ფერად ბურუსში გახვეულ სიზმარს, თუკი ოდესმე მთვლემარე მდგომარეობაში სიზმარი გინახავთ, მიხვდებით, როგორი ირეალურია იგი. ვხედავ ყველაფერს: ხალხს, ათასი ჯურის ტრანსპორტს, მზეს და მთვარეს, ფიქრებს ვხედავ, ნელ-ნელა ფრთებს რომ ისხამს, ფრინველს არ ჰგავს, მუტანტია – გამეცინა. კარგია, როცა დაღლილი ხარ, ეშვები და გონებას ადუნებ. ნეტავ, როდის პოულობენ ადამიანები საკუთარ თავს? სიკვდილის წინ, აგონიაში? კი, ალბათ, ასეა. არ მინდა სიკვდილი.

_ მიცანი? _ ჩამესმა უცნობის ხმა. წამიერად გაიფანტა მოთენთილობის ჟამს სიზმრისეული ზმანება.

_ ბატონო? _ ვეკითხები ნახევრად გაოცებული გამომეტყველებით ჩემ გვერდით მჯდარ უცნობ მამაკაცს და წამებში ვახდენ მისი ფიზიკური მონაცემების შესწავლას ქალური ინტუიციით: თეთრ ხალათში გამოწყობილს, პიჯაკი მარჯვენა მხარზე მოუგდია, მუხლებზე ორი რვეული დაუდევს და ერთიდან მეორეში რაღაც შრიფტებს ათეთრებს. მისი სახის კონტურებით ვხვდები, მთლად საღი ვერ იქნება-მეთქი. ნეტავ, რა განსხვავებაა ადამიანებს შორის? დავიჯერო, მე უფრო ჭკვიანი ვარ მასზე? ნაკლებად მგონია.

მზე ზენიტს აღწევს, ვხვდები, რომ მის ვარვარში დავიწვები. ჯოჯოხეთის ცეცხლს ჰგავს ყველაფერი, ჩემთან ერთად ეშვებიან ადამიანთა კონტურები, ნუთუ ყველანი ჯოჯოხეთში მივდივართ, ეშმაკეული ჰალუცინაცია არ ასვენებს გონებას, ერთი საგნიდან ფიქრი მეორეზე გადარბის. ჩემ გვერდით მჯდომი მამაკაცის არსებობა მავიწყდება კიდეც.

_ აი, ეს წაიკითხეთ _ მაფხიზლებს ნაცნობი ხმა. ინსტიქტურად გავუწოდე ხელი და უხეში ქაღალდი ვიგრძენი. ლექსები... ქალზე, სილამაზეზე, მოკლედ, ამ ლექსებში გაღმერთებამდეა ევას ბინძური საწყისი. მამაკაცს მადლიერი თვალებით შევხედე, ის პირველი იყო, ვინც ჩემი გულწრფელი, ქალური ღიმილი დაიმსახურა.

_ ამ ლექსებს თქვენ გჩუქნით.

ჩემ გაოცებას საზღვარი არა აქვს, გაყინული სამყაროდან დიდ მწვანე ველზე ვეშვები, უამრავი გვირილა თვალს მჭრის, თავზე თეთრი გვირგვინი მადგას და სახეზე ბედნიერი ღიმილი დამთამაშებს. მზეს ვეხუტები, ის აღარ მწვავს, სამყარო ჩემია და ქალური ბედნიერებით სახეგამტკნარებულს, ჩვეულებრივი ყოფითი ავტობუსი, ნომრად # მირღვევს სიმშვიდეს. ვშორდები უკვე ახლობელს და მენანება, რომ მასავით ვეღარავინ შეძლებს ჩემ აღფრთოვანებას.

დანიშნულების ადგილამდე მივედი. ათასმა ყალბმა ღიმილმა მომჭრა თვალი, ესენი თვით ეშმაკსაც შეაცდენენ-მეთქი და მიწიერი ხრიკებით გაბეზრებული უცნობი ადგილებისაკენ გავეშურე. ადრე ნანახიც კი უცხოდ მეჩვენება. რა ცუდი თვისებაა ყველაფრით გაოცება. დავდივარ, ვგრძნობ, რაღაც ახალი მჭირდება. პატარა ქვეყნისათვის დამახასიათებელი სივიწროვის გამო ქუჩაში, წლების წინ მივიწყებულ ნაცნობ მამაკაცს ვხვდები. ახლა ჩვენ სხვადასხვა პლანეტაზე ვცხოვრობთ, მე – ვენერაზე, ის _ დედამიწაზე, რადგან კაპიტალისტივით პრაქტიკოსია... ვსვამ, კარგი სასმელია ლუდი. არ მესმის იმ ქალების, ვინც შამპანურს აღმერთებს. ლუდის ნება-ნება წრუპვა სასიამოვნო ჟრუანტელს მგვრის, ვგრძნობ, სისხლი ადრინდელზე უფრო სწრაფად ჩქეფს, ენა ორჯერ მეტად ამოძრავდა და ახლა ჩემთვის გასაწითლებელ თემებზე საუბარი, ისეთივე მარტივია, როგორც საჭმლის ჭამა. ნიცშეს ზარატუსტრა შემიძლია ქართულად ბეჭზე მოვიგდო, ღმერთს ათასი სისამაგლე დავწამო, წმინდა გიორგი ჩვენი მაიმუნი წინაპრების კერპად გამოვაცხადო და ვიგრძნო ამ ქვეყნად მარტო ყოფნის დიდი თავისუფლება. ჩემი ნაცნობი მამაკაცი «სიკეთეს» ვერ მატყობს. დრო შეუმჩნევლად გარბის... ყურთან მის სუნთქვას ვგრძნობ, ვიძირები შორეული ნისლებით მოჭედილ ცაში... არ მეძინება, მისი სხეულის სიმხურვალე ძილის საშუალებას არ მაძლევს... ფიქრებში მყოფს დამათენდა. ვარდისფერი, ჩვეული ცხოვრების ფერით იცვლება. ცივი შხაპი მაფხიზლებს.

_ ყავა მინდა, გაქვს სახლში ყავა? _ ვეკითხები.

_ არა, _ მოკლედ მომიჭრა ჩემმა ნაცნობმა მამაკაცმა. ვგრძნობ, ეს არა ყველაფერზე უარის თქმას ნიშნავს. საკუთარი თავი მებრალება, რატომ? არ ვიცი.

დილის ნამიან ქუჩას მივუყვები. დახუთულ მიკროავტობუსში ვჯდები და ძველი ქალაქელივით ცნობისწადილდაკმაყოფილებულ სახეს ვიღებ. ჩემი ცხოვრება ბობოქარი ზღვის სახეს იღებს. მივაპობ უსასრულო ტალღების გროვას და დასასრული არ ჩანს არსაიდან. ადამის ჯიშს მიწა მენატრება, ნესტიანი და ცივი, ფიქრის დრო არ მაქვს, თავს უნდა ვუშველო, წყლის სისველე მაფხიზლებს, ვარ ერთადერთი ამ უსასრულობაში, დამფრთხალი და შეშინებული, ბედნიერი და უზომოდ უბედურიც, ვგრძნობ დავიღალე, ცურვა მიჭირს, ზღვაც გრძნობს ჩემს სისუსტეს, ყუჩდება, არ სურს უსუსურ მეტოქესთან ჭიდილი. ვისვენებ, თუ ამას შესვენება ჰქვია. გამშრალ ტუჩებს ენით ვისველებ, მარილის გემო არ მსიამოვნებს, წვიმას ვნატრობ. ვიცი, ნატვრა არ ამისრულდება, მაშინ ხომ ყველაფერი ძალზე მარტივად იქნებოდა, სიმარტივე კი ისეთივე აუტანელი იქნებოდა ჩემთვის, როგორც მის გარეშე ყოფნა.

* * *

დილის გაყინული სახის ყურება მსიამოვნებს, ყველაფერი მქრქალი სითეთრითაა დაფარული, სიშავეც და სიმწვანეც. სკოლისაკენ მიმავალ დაღმართზე ვეშვები, პარაშუტისტის დაშვებას ჰგავს ჩემი ორმოცდაათ მეტრიანი მოგზაურობა სკოლასა და სახლს შორის. მარჯვნივ ეკლიანი, ჯუჯა ჩირგვებიანი და ასკილიანი გზა მიხელკავებს, მარცხნივ კი ხან მწყობრად და ხანაც მიმტვრეულ-მომტვრეული ღობე. ვეშვები და ღუზას სამასწავლებლოში შესული ვუშვებ. აქ მთავარია ღუმელი და სითბო, თუ ადამიანმა სხეულის სითბო არ შეიგრძენი, განა სულიერ სითბოზე სიტყვის დაცდენა შეგიძლია?! ჩვენც ხომ ადამიანები ვართ ბოლოსდაბოლოს, რაღაც-რაღაცების გამოკლებით. თბილი ღუმელი, მოთენთილობისგან შეიძლება ჩაგთვლიმოს, ოჰ, ეს ზარი, ამ რკინის ინსტრუმენტს საოცრად მჭახე ხმა აქვს, ნეტავი, არ შეიძლება, აი, მაგალითად, ზარი პლასტმასისა იყოს? აჰ, არ, მაშინ ვინღა გამომაფხიზლებდა სითბოსაგან მოთენთილს? აწოწილი ზოზინით ვდგები მილურსმული სკამიდან, ხელში ჟურნალს ვიღებ და კლასისაკენ მივაბიჯებ. შევედი. საოცრად ნაზი და სპეტაკია ბავშვების გამოხედვა, ვეშვები თვალების საოცარ სიღრმეში და მომავალს ვწინასწარმეტყველებ მათსას... გაკვეთილი იმაზე სწრაფად გადის, ვიდრე ვვარაუდობდი, თითქმის არასოდეს მყოფნის 45 წუთიანი ლიმიტი, ხან მე არ მინდა გამოსვლა ოთახიდან, ხან ბავშვებს არ სურთ ჩემი გაშვება. სკოლის პედაგოგისთვის განსაზღვრული ასაკი უნდა არსებობდეს, ჯერ კიდევ ვერ შევეგუე ამ ამპლუას, მოძრაობა მინდა უსასრულო და დაუსაბამო.

* * *

ვეშვები ჩემთვის კარგად ნაცნობ დაღმართზე სკოლისაკენ, ერთხელ, ორჯერ, ასჯერ, ათასჯერ და უკვე აღარ მახსოვს კონკრეტულად ციფრები, თავში ამერია. ვცხოვრობ ჩვეული რიტმით, მენატრება ლუდის ნება-ნება წრუპვა და ადამიანად ყოფნის სისავსის შეგრძნება. წუთი წუთს მისდევს, დღე _ დღეს და ერთი კვირაც გადის. მენატრება. ვითვლი რამდენჯერ შეიძლება დაეშვა ადამიანი ნაცნობ დაღმართზე ერთი კვირის განმავლობაში. ციფრებს ვიმახსოვრებ და მჯერა, ზუსტად ამდენჯერ უარმყვეს სიწმინდის ეშაფოტზე მიტოვებული უკანასკნელი ცოდვილივით.

revaz miSvelaZe

სადღეგრძელოები

* * *

ხომ გქონია შენც წუთები, როცა ფიქრობ, რომ სრულიად ზედმეტი ხარ, აღარავის სჭირდები.

უფრო უსიამო ყოფა არ არსებობს.

ადგილს ვერ პოულობ.

ამქვეყნად გაჩენასაც ნანობ.

ისინი, ვისაც მთელი სიცოცხლე მიუძღვები, ვისთვისაც ღამეები გითენებია, ვეღარ გცნობენ, აღარ გკითხულობენ.

წაკითხვას ვინ დაეძებს, შეკითხვასაც აღარ გაძლევენ;

შენი არც გამოცდილება უნდათ და არც ჭკუის სწავლება.

ერთხელ, როგორც იქნა, დამიძახეს ტელევიზიაში, ტელედიალოგისთვის გაწუხებთ, თუ თანახმა იქნებითო.

რასაკვირველია, დავთანხმდი.

დამისვეს წინ მშვენიერი ჟურნალისტი გოგონა. დიახ, მართლაც რომ მშვენიერი. ისინი ერთიმეორეზე უკეთესები არიან.

პირველი კითხვა იცით, რა მომცა?

ბატონო რევაზ, თქვენ ძირითადად პოეზიაში მუშაობთ, თუ პროზაშიო.

გავბრაზდი და ეთერშივე მივუგე: ჩემო კარგო, გუშინ ხომ მაინც იცოდი, რომ ჩემთან უნდა გესაუბრა სახალხოდ, რა იქნებოდა, შეგეწუხებინა თავი და გადაგეფურცლა ჩემი რომელიმე წიგნი-მეთქი.

არ უნდა მეთქვა, მაგრამ ვეღარ მოვითმინე.

შევდივარ ლექციაზე და ინტერესი მკლავს, იქნებ ორმოცდაათი სტუდენტიდან ერთმა მაინც მკითხოს, თქვენს ამა და ამ ნოველაში, ხომ ამას და ამას გულისხმობთო?

შენც არ მომიკვდე.

ქვევით, შემოსასვლელთან, ჯიხურში ჩემი ბოლო წიგნი იყიდება.

მე პრეტენზია არა მაქვს, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ხანდახადნ ასეთი ფიქრი გამიელვებს: მე რომ სტუდენტი ვიყო და სოფრომ მგალობლიშვილი ლექციას მიკითხავდეს, რა უსახსროც უნდა ვიყო, ხომ ავიღებ ურიის ვალს, ხომ ვიყიდი სოფრომ მგალობლიშვილის წიგნს და ხომ დავხვდები აუდიტორიასთან თხოვნით: პატივცემულო, იქნებ ავტოგრაფი გაიმეტოთ ჩემთვის-მეთქი.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე მსგავსი შემთხვევა არ მქონია.

... და მწერლობისთვის ასეთ გაუსაძლის დროში, მოგძებნის ვინმე ახალგაზრდა კაცი, ბატონო რევაზ, როგორ ბრძანდებით, რაღაც სევდიანი მეჩვენებითო.

შენ ბოდიშს უხდი ვერცნობისათვის და თხოვ, დაბრძანდეს.

მეო, თქვენ პირადად არ გიცნობით, მაგრამ თქვენი ყველაფერი მაქვს წაკითხულიო. რა ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანითო.

შენ ეჭვით ათვალიერებ, მაგრამ ეჭვის ობობა მაშინვე ქრება, როცა იგი შენი ნოველების სიუჟეტებს, პერსონაჟებს, პასაჟებს... იხსენებს და ისე ლამაზად გიყვება, შენვე მოგაწონებს შენს ნაჯღაბნს.

გულს გაგიკეთებს, რწმენას დაგიბრუნებს.

ამ ცხოვრებისკენ მოგაბრუნებს.

მოდი, იმ ახალგაზრდას გაუმარჯოს.

* * *

მთელი ცხოვრება დათმობას მიაქვს.

თითქოსდა საზოგადოება, კანონი, სახელმწიფო იმისთვისაა მოგონილი, რომ შეგაგუონ, დაგთრგუნონ, გაგაჩუმონ...

ვაჟა-ფშაველას გენიალური ალუდა ქეთელაური კი არ შეეგუა მტრისთვის ხელის მოჭრას. არ შეეპუა თვისტომთ და შეეწირა კიდეც ამ ვერშეგუებას.

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს პატარა ნოველა _ ,,ამაყი''.

ამაყი ბიჭი თათრებს მარტოდმარტო აუმხედრდა.

ვერ აიტანა სოფლის მთავარ ციხეში მათი პარპაში, უცხოტომელთა მედიდური სიარული.

რაკი სხვა ვერავინ აიყოლია, მარტო მიეჭრა დამპყრობელთ.

იცოდა, რომ უსათუოდ მოკლავდნენ, მაგრამ მან დაიწყო. იგი პირველი იყო, პირველის ბედი კი ხშირად სავალალოა.

მტერს მოტყუებით ციხის კარიბჭე გააღებინა.

ხმალი შეაბრიალა და კარებშივე დახოცა ექვსი მცველი.

შუბებზე ააგეს, მაგრამ არ დაუკვნესია.

ჯანი გავარდეს ექვსი ურჯულო ხომ მოვაშორე ქვეყანასო.

მისმა სიკვდილმა სოფელი გამოაღვიძა და სხვებმაც მოსინჯეს ხმლის ვადა.

ამაყი იყო და ვერ მოითმინა.

საკუთარ გულს, სიფრთხილის სიბრძნეს აუჯანყდა.

მოდი, პირველ მეამბოხეს, ქვეყნის სავალალო ძილის დროს ზარის პირველ შემომკვრელს, პირველგამსვლელს, პირველ მიმჭრელს, პირველ მესაყვირეს გაუმარჯოს.

* * *

ვთქვათ, ჯერ თიხისგან მოზილა ღმერთმა ადამი. მერე ადამის ნეკნიდან ევა გააჩინა და ორივე სამოთხეში გაუშვა.

მერე?

ხომ მოდის ათასწლეულებში კაცობრიობა?

შვიდ მილიარდს მიაღწია ადამისა და ევას შთამომავლობამ.

რამდენი ვარიანტი უნდა ჰქონდეს ღმერთს, რომ ამ შვიდი მილიარდიდან ორი ზუსტად ერთმანეთის მსგავსი, რომ იტყვიან ,,ასლი'' არ არსებობს.

ტყუპებიო? მკითხავთ.

მეც მანდა ვარ, სწორედ ზედმიწევნით იდენტური ტყუპები არ არსებობენ ტყუპთა შორის.

უფრო დიდი სასწაული ის არის, რომ ორი ზუსტად ერთნაირი თევზი, ორი ზუსტად ერთნაირი ფოთოლიც არ არსებობს ამ დუნიაზე.

რა გონებამ, რა კომპიუტერმა უნდა გათვალოს, რომ კაცობრიობის არგადასაშენებლად თითქმის ნახევარი ქალი უნდა გაჩნდეს ქვეყანაზე და ნახევარი მამაკაცი.

გაოცებისაგან შეიძლება, ტვინი იღრძო.

იცვლებიან საუკუნენი, იცვლებიან ფორმაციები, ადგილს იცვლიან ზღვანი და მთანი, ერთი პრინციპი სიცოცხლისა კი უცვლელი რჩება: ლამის იმდენივე ასული იბადება, რამდენიც ვაჟი.

სად ხდება ეს გენიალური შეფარდება, რა კოსმიური გენი მართავს დაბადებას?

იბადება საქართველოში ვაჟი და მის მეწყვილედ ზუსტი გაანგარიშებით სადღაც, ავსტრალიაში, ქალი იბადება.

ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი.

მოდი, ვინც ახლა, ამ წუთში იბადება, ყველას გაუმარჯოს.

* * *

ინგლისში, ქალაქ ლივერპულში, გახლდით ლიტერატურისმცოდნეთა სიმპოზიუმზე. მოხსენებები რომ წავიკითხეთ, მესამე დღეს პლენარული სხდომის შესვენების დროს თავმჯდომარემ გამოაცხადა: რაკი მეცნიერი იუმორის გრძნობის გარეშე წარმოუდგენელია, მოდით, ბლიც-კონკურსი ჩავატაროთ საუკეთესო ანეკდოტზე, სიმპოზიუმის თითოეულმა მონაწილემა თქვას თითო ანეკდოტი, რომელშიც, მისი ერის ბუნება მეტ-ნაკლებად მაინც გამოჩნდებაო.

გაიმართა რკინება. ჩემმა რიგმა რომ მოაღწია, ,,რა ვთქვა, რა ვთქვა-მეთქი და უეცრად კახური ანეკდოტი გამახსენდა. დავიწყე ჩემი დამტვრეული ინგლისურით: ,,კახეთში, თელავის ბაზარში კახელი კაკალს ჰყიდის. საქმე ის არის, რომ იქვე ჰყიდულობს კილოგრამს 5 ლარად და იქვე ჰყიდის კილოგრამს ხუთ ლარად. ეუბნებიან, ნიკა, ამ სიცხეში თავს რისთვის იკლავ. მაგ კაკალსა კაპიკ არ უგებ. თხა გავყიდე, თხა ვიყიდე გამოდის!

ნიკამ ულვაშებზე ჩამოისვა ხელი და უპასუხა: ,,მე შვილოსა, განა ფულის მოგება მაინტერესებს, უბრალოდა, კაკლი ჩხრიალი მიყვარს!''

რომ დავამთავრე, დარბაზი გაისუსა. ეტყობა ,,ჩხრიალი'' ვერ გავაგებინე აუდიტორიას და ჩემი გიდი წამეხმარა.

უეცრად დარბაზში ჰომერული ხარხარი ატყდა.

ცრემლის მორევამდე იცინოდა ქალიც და კაციც.

როცა დაშოშმინდნენ, თავმჯდომარემ გამოაცხადა:

,,პირველი პრიზი დოქტორ მიშველაძეს მიეკუთვნა. მე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამ ურბანისტულ მსოფლიოში კიდევ დარჩა ისეთი ერი, რომლის შვილიც ბაზარში ბიზნესის საკეთებლად კი არა, მხოლოდ კაკლის ჩხრიალის მოსასმენად დგასო''.

მოდი, ნიკასთანა კაცებს გაუმარჯოს. მზით განათებული ნეკერჩხლის ტოტი წამით რომ გაარინდებს, ისეთ კაცებს.

* * *

უპატრონო ძაღლი.

არა, მათ ლუკმა არ აკლიათ. იქნებ, პატრონიან ძაღლებზე მეტ ლუკმას შოულობენ.

თავისუფლებაც თავზე საყრელი აქვთ.

სადაც უღამდებათ, იქ უთენდებათ.

მაგრამ აკლიათ ერთი რამ; პატრონის ხელების სუნი და სითბო.

ჩაირბენს შენს წინ თავის ძაღლურ ბედზე ჩაფიქრებული. თითქოსდა, ვერც გამჩნევს.

_ მპუ, მპუ, მპუ!

შეჩერდება, ხელებში შემოგხედავს.

თუ ხელთ არაფერი გიჭირავს, ,,კაი ერთი, თუ კაცი ხარ, სამასხარაოდ არა მცალიაო'', გაიფიქრებს და გზას განაგრძობს.

თუ სადმე მინდვრის განაპირას წააწყდი თათებში თავჩარგულს და მოსაფერებლად მიუახლოვდი, წამოდგება და ადგილს შეიცვლის.

არ სჯერა შენი.

ტკბილად ესაუბრები, ჯიბიდან პურის ნაჭერს იღებ და აწვდი.

ახლოს არ მოდის. ხელიდან არ გამოგართმევს.

თუ გადაუგდებ, წაწვება, გაარბენინებს, ხის ქვეშ საიმედოდ ჩამარხავს და დაბრუნდება.

რატომ მაშინვე არ შეჭამა, რაშია საქმე?

საქმე წინ წაიგდო. ახლა, ალბათ, ძალიან არ შია. ვინ იცის, ხვალ რა დღე ელის. ვინ იცის, შეხვდება სხვა კიდევ შენნაირი კეთილი კაცი?

_ მპუ, მპუ, მპუ, მპუ... შენ ხომ ჭკვიანი მურია ხარ.

კუდს მიწაზე აბათქუნებს.

თვალებით საოცარ მადლიერებას გამოხატავს.

თითქოსდა, უკვე გენდობა, თითქოსდა, მოგეჩვია.

მაგრამ შუბლზე ხელის გადასასმელად რომ მიუახლოვდები, წამოდგება და გაიწევა.

ბოლომდე არ გენდობა.

მოდი, უპარტრონო ძაღლებს გაუმარჯოს.

* * *

არავის ეგონოს მართალი აღტაცებული ფილოსოფოსის შეგონება:

_ ადამიანი ბედნიერებისთვის არის გაჩენილი!

რომ ვუკვირდები ცხოვრებას, უფრო პირიქით გახლავთ.

უბედურება, სასოწარკვეთა, სიკვდილი, სევდა... ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრია.

ტირილით ვიბადებით და ტირილით მიგვასვენებენ.

ბედნიერება უცხო ფრინველივით იშვიათზე იშვიათად, საათობით და წუთობით გვეჩვენება და ქრება.

სულსწრაფნი ვერ უძლებენ ამ დაუოკებელ გაქროლებას, ბედნიერების წამების მიმოქცევას.

სასოწარკვეთა იპყრობთ, გლოვა-ხოკვას ეძლევიან, გაგონებაც აღარ სურთ იმისა, რომ სიხარულის ცისარტყელა მუდმივად არ ადგათ თავზე.

მეორენი დინჯად იტანენ ბედნიერების დაკარგვის ტკივილს.

იციან, რომ ბედნიერების წამებს შორის მოქცეულია ნამდვილი ცხოვრება _ არსებობისათვის გარჯა, შური, გაუტანლობა, უმადურობა, ორგულობა, ღალატი, ლოდინი...ლოდინი... ლოდინი... მდუმარე ტელეფონი... მარტოობის ლოგინი...

ბედნიერება ფლავი არ არის, კიდევ მინდაო, მოითხოვო და დაგიმატონ.

ბედნიერება იშვიათი ხილია, იობის მოთმინებით მოპოვებული.

ვინც მოითმინა, მოიგო _ გვასწავლის ქართული სიბრძნე. მოდი, ,,ლოდინით დაღალულ ქალთა'' სადღეგრძელო იყოს.

* * *

ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნება, განსაკუთრებით ამ სიბერეში, სახლში ყოფნაა. დღეს თავისუფალი ხარ. ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა. ლექცია არა გაქვს, სხდომაზე არსად დაუძახნიხართ.

ზიხარ ხალათმოხურული შენს მაგიდასთან, შენს ბიბლიოთეკაში.

თუ არ გეწერება, წიგნის თაროს ათვალიერებ.

რასაც გინდა, გადმოიღებ და წაიკითხავ.

აგერ, შენთა თანამედროვეთა წიგნები.

ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულან ჯიუტ ფაქტებად.

შენ არავისი ვალი არა გაქვს. ყველა ნაჩუქარი წიგნი წაკითხული გაქვს. საერთოდ, სხვადასხვა დროს ყველა თანამედროვე მწერალზე გითქვამს ორიოდე თბილი სიტყვა.

ახლა, ამ თავისუფალ დღეს კეთილი ინებონ და დაგტოვონ მარტო შენს სურვილებთან, შენს გემოვნებასთან.

რა კარგია, რასაც გინდა, წაიკითხავ.

უეცრად აღმოაჩენ, რომ შენს და წიგნს შორის, გინდა _ არ გინდა, დგება ადამიანური ურთიერთობანი.

ჩვენი ცხოვრება ხომ ფაქტიურად ერთმანეთთან ურთიერთობის დაუსრულებელი გარკვევაა.

,,ამას ეს უთქვამს ჩემზე... ამან ,,შავი ხმა'' მომცა... ამას ამაში არ ვეთანხმები... ეს იმის ძმაკაცია... ის რაღაც ამ ბოლო დროს ბღვერით მიყურებს... ამას მედროვეობა შეეტყო... ''

ღმერთო, რა უსუსურები, რა პატარები ვართ ადამიანები.

ახლა, ამ კვირა დღეს, ანგარიშს იმით გაგისწორებ, რომ შენს წიგნს არ წავიკითხავ.

... მერე ხელი გაგექცევა მისი წიგნისკენ. გადაშლი. იქნებ, ერთხელ კიდევ გსურს დარწმუნდე, რომ ის შენი მეგობარი არასოდეს ყოფილა. სხვა კაცია და იმიტომ.

იწყებ კითხვას და აგერაა ის სტრიქონები, არაერთხელ რომ სული აგიფორიაქა; ,,ამბავს წაუღებთ ვის, თქვენ, ფრინველებო ღვთის, _ წითელფეხება მტრედებო''.

თვალებში ცრემლი გაწვება. მასაც ხომ ,,შენი სიკვდილი სჭირს'', ისიც ხომ შენსავით თავგანწირულად ებრძოდა წითელ ურჩხულს.

მერე მოდის უნაზესი და თმისბურძგვნამდე დრამატული ,,გაზაფხული შემოსულა, ლენ...'' და თვალი ტელეფონისკენ გაგირბის. დღეს თუ ხვალ უნდა დაურეკო და ყველა ცივი სალამისთვის პატიება სთხოვო.

მოდი, ვისი სტრიქონიც კაცს მოგანატრებს და შეგარიგებს, იმ კაცს გაუმარჯოს.

Tamaz fifia

საკართანო

(ციკლიდან ,,ქართული სადღეგრძელოებო'')

ჰე, მასპინძელო, დარბაზიდან გადგი ჭიშკართან
ტრადიციული ლხინი სუფრა, ხორაგით სავსე,
შეზარხოშებულთ გაგვიბრწყინე დილის ცისკარი,
ღვინო დაგვისხი მოწყურებულთ და გეტყვი ასე:

ეგ საკართანო თიხის თასი გამილიცლიცე,
გჯეროდეს აღარ დამექცევა არც ერთი წვეთი,
ფრჩხილზე დავიმცვრევ სადღეგრძელოს და დავიფიცებ,
არ ამერევა ფეხი, თავგზა, ადათი _ წესი.

ეს გაუმარჯოს ჩვენს ერთობას... მამულში ლხინი,
ქორწილ-ნიშნობა და დღეობა გვიმრავლოს ღმერთმა,
მონადიმეებს როს სიამის ეშხი გვიღიმის,
მადლი ვუდიდოთ, ვინც რომ წყალობს ჩვენს ყოფნას ერთად.

ვინც შვებისმგვრელთ, ერთურთნდობის გვაჩუქა ღამე,
კაცობის ხიბლით სიხარული მოგვგვარა დიდი,
რა შეედრება გულის მზეში განფენილ წამებს,
როდესაც სიტყვებს არ სჭირდება თარგმნა და გიდი.

მზიურ სასმელით, რიტორიკით, ცეკვა-სიმღერით,
ერთხელაც ვნახეთ ქართულ სუფრის სიკეთის ძალა,
ვადიდეთ ისეც დიდებული ამერ-იმერი,
ლხინსა თუ ჭირში თანადგომა დავიდეთ ვალად.

მივეალერსეთ გმირთ სახელებს, _ წინაპართ ხსოვნას,
თაყვანი ვეცით დიდ ხელოვანთ სიტყვას და საქმეს,
უსაზღვრო ზიზღი დავუმკვიდრეთ დამპყრობელთ მონას,
ქვეყნის ერთგული მოღვაწენი გულწრფელად ვაქეთ.

დღევანდელობის საწუხართან დავხარეთ თავი,
მამულის ბედი შევავედრეთ მოწყალე უფალს,

ავხსენით რატომც არ გვშორდება ყისმათი ავი,
ხალხის მხნე ნება შინამტრობით როცა ძლეულა.

წარმოაჩინეთ ღირსეული ერის უფლება,
_ მამულს ზვარაკად შესაწირი ვაჟკაცის ვალი,
გული ავუნთეთ ქვეყნის დიად თავისუფლებას,
გამოვაბრწყინეთ თავდადებულთ ნაქები კვალი.

ერის და ქვეყნის სიყვარულით ავმაღლდით ცამდე,
მამულიშვილთა განვადიდეთ შნო და ღირსება,
მიწა-წყლის დაცვა რათა შევძლოთ, ისე, ვით გვწადდეს,
მოვუხმეთ მოყმის შემართების გმირულ თვისებას.

მაშ, გაუმარჯოს რიბირაბოს შემონათებას,
დილის იმედს და მზის ნათელით დატკბობას გულის,
ყოველი ასე ერთად ყოფნით სულიც გათბება,
უფრო ძვირფასი გაგვიხდება აწმყო-წარსული.

ახლა ეს თასი სამომავლო სურვილთ ჯამია
და საიმედო ხვალინდელ დღეს უყრის ბალავერს,
ჰა, ვიცი, მისმენ, გაიხარე, ჩემო ძამია,
ვსვამ და შენთან კვლავ გადმოვდივარ ძმობის ალავერდს!

interviu vaxtang daviTaiasTan

მნიშვნელოვანი აღიარება

დიდი სიამოვნებით მინდა მკითხველს შევახსენო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ორი ლაურეატი ჰყავს. ერთ-ერთი მათგანი ამ ჟურნალის რედაქტორია, პროფ. რევაზ მიშველაძე, მეორე კი _ ცნობილი არქიტექტორი, სტუ-ს სრული პროფესორი ვახტანგ დავითაიაა, რომლის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. ამის ნიმუშია, თუნდაც, ჩეხეთში გამოცემული წიგნი მე-20-ე საუკუნის ბოლოს პრაღის უმაღლესი ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის კათედრამ გამოსცა მონოგრაფია _ სასწავლო სახელმძღვანელო ,,არქიტექტორები, პროგრამები, რეალიზაცია'' (ჩეხურ ენაზე). ესაა ,,პარალელური ტექსტები არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის შესასწავლად''. პრობლემა განხილულია მსოფლიოს 20 არქიტექ-ტორის მაგალითზე, მოიცავს 1900-2010 წლებს. მონოგრაფიის ერთ-ერთი ,,მო-ნაწილეა'' არქიტექტორი ვახტანგ დავითაია _ საქართველოს ტექნიკური უნი-ვერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პრო-ფესორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი, რუსთაველის პრემიის ლაუ-რეატი. მონოგრაფიის ავტორები არიან: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ოლდრიჟიხ შევჩუკი, არქიტექტორები: ონდრჟეი ბენეში, იან დრჟევიკოვსკი და იაროსლავ სლადიჩეკი.

ფაქტი უაღრესად საყურადღებოა არა მხოლოდ ქართული არქიტექტუ-რისათვის, არამედ ზოგადად ქართული კულტურისათვის.

_ გილოცავთ, ბატონო ვახტანგ. ეს მნიშვნელოვანი (თუ არა ექსტრაორ-დინალური) ფაქტია. ყოველი მწერალი იამაყებდა, რომ ამ წიგნში, რომელსაც იმავდროულად უმაღლესი სკოლის სასწავლო სახელმძღვანელოცაა, (სადაც მე-20-ე საუკუნის მსოფლიოს 20 მწერლის ნაწარმოებია შესული) მოხვედრას. იგივე განცდა ექნებოდა მხატვრასაც, მოქანდაკესაც, მუსიკოსსაც, სპორტსმენ-საც, საინტერესოა ამ ამბის წინაისტორია.

_ ერთი წლის წინათ მივიღე წერილი პროფესორ შევჩუკისაგან, მანამდე ეს გვარი ჩემთვის უცნობი იყო, მატყობინებდა, რომ ამზადებნენ მონოგრაფიას, მე-20-ე საუკუნის ,,მოდერნიზმზე''. მთხოვდა, CV-ს (სივს), ერთ-ერთ სტატიას, რომელიც მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახავდა ჩემს არქიტექტურულ პრინცი-პებს, ასევე მთხოვდა ნამუშევრების ფოტოებს. მე მისი თხოვნა შევასრულე. შემდეგ იყო ხანგრძლივი პაუზა. სამიოდე თვის წინათ მივიღე წიგნის ამონაბეჭდი, 20-მდე გვერდი 40 ფოტოთი, სტატიით ,,ტრადიცია, კონტექსტი,

კომუნიკაბელურობა''. ასეთ ვრცელ ,,პრეზენტაციას'' ნამდვილად არ ველოდი და, რაც უმთავრესია, გამომიგზავნეს წიგნის ყდის ქსეროასლიც, სადაც აღნიშნული იყო ოცივე ,,მონაწილის'' გვარი. თვალებს არ ვუჯერებდი, აქ იყვნენ მე-20-ე საუკუნის არქიტექტურის მამები, კორიფეები: ფრენკ ლოიდ რაიტი, ჰენრი ლუის სალივანი, ადოლფ ლოოსი, ბრუნო ტაუტი, ვალტერ გროპიუსი, ,,ბაუჰაუსი'' (ევროპული ,,მოდერნიზმის'' ხელოვნების, დიზაინის და არქიტექტურის ავტორიტეტული სკოლა), ლე კორბუზიე, მის ვან დერ როე, ერიხ მენდელსონი, ალდო როსსი, მარიო ბოტტა, ქრისტიან დე პორტზამპარკი...

ამჟამად ჩემ ხელთ არის მონოგრაფიის ეგზემპლარები.

სტილი ,,მოდერნი'' უაღრესად საინტერესო მოვლენაა. მან ქრონოლოგიურად ჩაანაცვლა ,,კლასიციზმი'', მისგან კი არაფერი მიუღია მემკვიდრეობით. დიდმა ვალტერ გორპიუსმა უზუსტესად აღნიშნა, რომ ახალი არქიტექტურა (,,მოდერნი'') არ არის დიდი არქიტექტურული ხის ერთ-ერთი ტოტი, არამედ დამოუკიდებელი აღმონაცენი ამ ხის ქვეშო. ამით მან მიანიშნა, რომ ,,ახალი არქიტექტურა'' (,,მოდერნი'') არ არის არქიტექტურული სტილების გენეზისის შედეგი, არამედ სრულიად ახალი, განსხვავებული მოვლენა, რომელიც კონცეპტუალურად წვავს ხიდებს წარსულთან. საჭიროდ მიმაჩნია მცირე განმარტებაც დავურთო. განსხვავებით ყველა წინამორბედი არქიტექტურული სტილისაგან, რომლებიც 2-3-4 საუკუნე არსებობდნენ ერთი და იმავე სახელით და ერთი და იმავე მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებით, სტილი ,,მოდერნი'' გაცილებით მრავალსახა და საავტოროა. ეს მრავალსახეობა მის მრავალსახეობაშიც გამოვლინდა _ ,,ახალი არქიტექტურა'', ,,ინტერნაციონალური სტილი'', ,,ფუნქციონალიზმი'', ,,რაციონალიზმი'', ,,კორბუზიანული სტილი''. ფაქტობრივად, რუსული ,,კონსტრუქტივიზმიც'' იგივე მოვლენა იყო, თუმცა გარემოებათა გამო გაცილებით ხანმოკლე.

ალბათ, ამის გამო ჩეხმა ავტორებმა ,,მრავალი მოდერნის'' თეორიის ჩვენება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე არქიტექტორების პრაქტიკული და თეორიული შრომების ,,ექსპოზიციაზე'' ააგეს.

_ ხომ არა გაქვთ რაიმე ინფორმაცია, რა ნიშნით შეირჩა ,,მონაწილეები''?

_ ასეთ შეკითხვას ავტორებს, ბუნებრივია, ვერ დავუსვამდი, მაგრამ შესავალ სტატიაში არის განმარტება მონოგრაფიის მიზანზე და გარკვეულწილად ,,მონაწილეების'' შერჩევის პრინციპზეც.

მიზანი: გავერკვეთ რა მიმართულებით მიდის თანამედროვე არქიტექტურა, როგორია მისი მისწრაფებანი, არის კი სტუდენტი მზად იმისათვის, რომ მოზღვავებული ინფორმაციის პირობებში გაერკვეს ჭეშმარიტ ფასეულობებში, ხომ არ არის საშიშროება იმისა, რომ ნიჭიერი, ,,კომპიუტერულად მოაზროვნე სტუდენტი'' იქცეს ინტერნეტტურისტად არქიტექტურაში''. მონოგრაფიის მიზანია, გააღვიძოს სტუდენტებში უნარი, აითვისონ ინფორმაცია ისე, რომ ფაქტებიდან გადავიდნენ შემეცებასა და ცოდნაზე.

რაც შეეხება მონაწილეთა შერჩევის საკითხს, აქაც არის გარკვეული მინიშნება _ ,,შერჩეულია პროგრამები, დეკლარაციები (სტატიები, ლექციები) იმ არქიტექტორებისა და ჯგუფებისა, რომელთა ცნობილი ტექსტები მოქცეუ-

ლია 1900-2010 წლებში. ეს პერიოდი საკმაო მანძილია იმისათვის, რომ ჩვენი დროის დისტანციიდან, ძალიან გვიანი მოდერნის პოზიციიდან, დავადგინოთ, რომ არ იყო ერთი მოდერნი, არამედ იყო ბევრი მოდერნი, პოსტმოდერნის შემოსვლა და თვითრეფლექსიის ეპოქა, ძალიან გვიანი მოდერნი. ტექსტები და ფოტოები ამტკიცებენ, რომ არის მნიშვნელოვნად განსხვავებული შთაგონების წყაროები, მოდერნის დამოუკიდებელი მიმდინარეობები და რომ, ისინი ცალ-ცალკე ჩაედინებიან მთლიან ნაკადში თავიანთი განვითარების ტენდენციე-ბით''.

ამის მეტი ,,მონაწილეთა შერჩევის'' თაობაზე არაფერი ვიცი. რა თქმა უნდა, დიდად მეამაყება ასეთ დასში მოხვედრა.

_ თქვენს წარმატებას ჩვენც ვიზირებთ, ასეთი აღიარებები არ მოგშლო-დეთ...

_ გმადლობთ.

ინტერვიუს უძღვებოდა პროფ. ბ. ცხადაძე

სხვადასხვა დროის ჩანაწერები

ეს ჩანაწერები სხვადასხვა დროს, ადგილას და სიტუაციაშია შესრულებული, როგორც მომიხდებოდა. არ გამოვრიცხავ, ზოგიერთი «ჩანაწერი» დიდი ხნის წინათ წაკითხულის ან გაგონილის ანარეკლი იყოს, ამიტომ, ძვირფასო მკითხველო, თუ რომელიმე «ჩანაწერი» სხვათა მიერ ადრე ნათქვამთან ასოციაციას გამოიწვევს, პლაგიატობას ნუ დამწამებ, ეს უბრალოდ დამთხვევაა

* * *

სხვა ერის კულტურის, ისტორიის განსჯის უფლება მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუკი იმ კულტურას და ისტორიას ისევე კარგად იცნობ, როგორც შენი ერისას. რაც მთავარია, ისევე კეთილგანწყობილი თუ ხარ მის მიმართ, როგორც საკუთარი კულტურის მიმართ.

* * *

ვირებმა კაცობრიობას უდიდესი სამსახური გაუწიეს არა მხოლოდ ვირობით – ტვირთების ზიდვით. რელიეფზე გაშენებული მსოფლიოს მრავალი ისტორიული ქალაქის გზები ვირების მიერ არის გაკვალული. ვირებს რაციონალურად გზების გაყვანის უტყუარი ალღო აღმოაჩნდათ.

* * *

არა ატომური და წყალბადის ბომბები დაღუპავენ მსოფლიოს, არამედ ფული – ზვინებად რომ ყრია დედამიწაზე.

* * *

საინტერესოა, როგორ წარიმართებოდა საქართველოს ისტორია თამარ მეფეს რუსი მეუღლე – იური ბოგოლუბოვსკი რომ გამოსდგომოდა, შვილები რომ ჰყოლოდათ ან თავად ბოგოლუბოვსკი რომ ყოფილიყო მმართველის, წინამძღოლის უნარით დაჯილდოებული.

* * *

ადამიანები მიბმულნი ვართ არა მხოლოდ სახლებთან, არამედ გარემოსთან (ქალაქთან, სოფელთან, ქვეყანასთან). მომთაბარე, მოხეტიალე ტომები

მოკლებულნი იყვნენ ამ რეალობას. მათ არ ჰქონდათ გარემოს, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენის განცდა. ისინი თან დაატარებდნენ თავიანთ სახლებს, ოჯახებს, ნათესაობას, ქონებას, სევდას, სიხარულს. მათ არ ჰქონდათ «ფუძე» და არ ჰქონდათ «სამშობლო», არაფერს პოულობდნენ და არაფერს კარგავდნენ. მთელ მსოფლიოს ასე რომ ეცხოვრა, რამდენი მილიონი ადამიანის სიცოცხლე გადარჩებოდა, რამდენ უბედურებას ააცილებდა სამყარო.

* * *

ერთმა პოეტმა თავისი ლექსების წინასიტყვაობაში აღნიშნა: «ამ ლექსებს თავისი მკითხველი ჰყავს»-ო. მომეწონა გულახდილობა, მაგრამ უბედურებაა გარკვეული ჯგუფის პოეტობა, თეატრი, მუსიკა გარკვეული ჯგუფისათვის. ნუთუ ვაჟას, გალაკტიონს, ლადოს, გოგლას, ანას, მუხრანს მხოლოდ «თავისი მკითხველი ჰყავთ»?

* * *

ზრუნვა სჭირდება არა მხოლოდ მომავალს, არამედ წარსულს, ისტორიას, მტერი ცდილობს, არ გქონდეს არა მხოლოდ მომავალი, არამედ წარსულიც. აგიკრძალოს, დაგიმციროს და თუ შეძლებს, საერთოდ დაგავიწყოს ისტორია.

* * *

ზოგი ვან გოგს მისი მხატვრობით კი არ იცნობს, არამედ იმით, საკუთარი ხელით ყური რომ მოიჭრა.

* * *

ადამიანს რომ მახსოვრობა არ ჰქონოდა, ბევრი რამ გაიოლდებოდა.

* * *

მხოლოდ დიდ ნიჭს შეუძლია ჩვეულებრივი აქციოს არაჩვეულებრივად.

* * *

ქანდაკების, შენობის (არქიტექტურის) დაუმთავრებლობა ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ ლექსის, მუსიკის დაუმთავრებლობის მიხვედრა, ცოტა არ იყოს, ძმელია.

* * *

სიმართლის დაცვის შემდეგ რაღაცნაირად ამაღლებული ხარ. ეს ამაღლება მნიშვნელოვნად მეტია პირად უსიამოვნებაზე.

* * *

სიმართლე სიმართლეა, მიახლოებითი სიმართლე ჭორია.

* * *

სიჩუმე, ერთი შეხედვით, უწყინარი მდგომარეობა, ზოგჯერ დანაშაულის ტოლფასია.

* * *

ავანტიურას ხელოვნების მრავალი დარგი იტანს, არქიტექტურა – არა.

* * *

ყველა თავისებურად იბრძვის არსებობისათვის – ობობა მოთმინებით ქსოვს ბადეს, რათა გააბას მწერი, მხეცი, უპირატესად თავისი ძალის შესაბამის ბრძოლაში ებმება, ის იწყებს მხოლოდ იმ ბრძოლას, რომელსაც უსათუოდ იგებს ან დარწმუნებულია, რომ მოიგებს. მხოლოდ ადამიანია იმდენად უგნური, რომ შეუძლია წინასწარ წაგებული ბრძოლის წამოწყება.

* * *

ვერ ვიტან ხალხით სავსე პლაჟებს, ზღვასთან მარტო უნდა იყო ადამიანი.

* * *

ყოველ ადამიანში ზის ალპინისტი – ჟინი სიმაღლეთა, მწვერვალთა დაპყრობისა. ზოგი სიმდიდრის მწვერვალისკენ ისწრაფის, ზოგიც ხელოვნების, პოეზიის, სპორტის, კაცობის მწვერვალისკენ.

* * *

კაცობრიობის ისტორია ფასეულობათა მუდმივი გადაფასების ისტორიაა.

* * *

ახალგზრდობა (ასაკი), ისევე როგორც ხანდაზმულობა, ქცევის გასამართლებლად ვერ გამოდგება.

* * *

ალბათ, ასაკის ბრალია, შესაძლოა, განვლილი ცხოვრების – სიკვდილმა სიმძაფრე დაკარგა, სიკვდილი ჩვეულებრივ ამბად იქცა.

* * *

ზოგჯერ სიჩუმე ყველაზე მეტყველია. რა მომნუსხველად საუბრობს სიჩუმე.

* * *

ცხოვრება ისე სწრაფწარმავალია, რომ უდიდესი დანაშაული იქნება თუნდაც ერთი წუთი დაჰყო მუხლებზე.

* * *

გარდაცვლილებზე ლეგენდები ჩქარა იქმნება, ჩქარა ვრცელდება, ჩქარა იჯერებენ.

* * *

პანტომიმა ყველაზე უნივერსალური ხელოვნებაა. პლასტიკით გამოხატული სიყვარული უფრო მძარფი და მეტყველია, ვიდრე ლექსით ან სიტყვით.

* * *

გადაჭარბებული ყურადღების დისკომფორტს უყურადღებობის დისკომფორტი ჯობია.

* * *

ზოგჯრ სიმშვიდე უპირატესობის ყველაზე ეფექტური გამოხატულებაა.

* * *

საკუთარ სიდიდესა და განსაკუთრებულობაზე იმდენს არსად ლაპარაკობენ, რამდენსაც საქართველოში. ჩვენ, ხშირად სასურველი რეალობა გვგონია, არც თუ იშვიათად ერთი კაცის გმირობას ან კეთილ საქციელს მთელი ერის თვისებად ვაცხადებთ.

* * *

ქვეყანაზე ზუსტ წარმოდგენას იძლევა მისი პატიმრები.

* * *

დღევანდელი ე.წ. სამშენებლო ბუმი, ვერ იქცა შემოქმედებით ბუმად. ჭრელია დამკვეთი, ჭრელია არქიტექტურა.

* * *

არ არსებობს ზოგადი ერი (ყოველ შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს). ასევე არ შეიძლება არსებობდეს ზოგადი არქიტექტურა, არქიტექტურა ყოველი ქვეყნისთვის, ყოველი ერისთვის. რატომ აღვნიშნავ ყოველივე ამას, იმიტომ რომ დღესაც საკმაოდ გავრცელებულია შეხედულება, რომ თუ თქვენ დაიბადეთ საქართველოში, რუსეთში, სომხეთში და ა.შ. მიწაზე, ბუნებრივია, თქვენი ხელოვნებაც იქნება ქართული და ა.შ. ცხადია, ასეთი მექანიკურ-გენეტიკური თეორია ღრმად მცდარია. საქმე ეროვნულ წარმომავლობასა და დაბადების ადგილზე როდია, არამედ ფილოსოფიაზე, მრწამსზე, შეხედულებაზე.

* * *

საქართველოში სიტყვა მეცნიერი ხმარებიდან გავიდა და თუ სადმე კანტიკუნტად კიდევ ისმის, მხოლოდ არაპრაქტიკულობის ნიშნად.

* * *

მართალია იშვიათად, მაგრამ ისტორია პატივს მიაგებს არარეალიზებულ ტალანტებსაც. ივანე ლეონიდოვმა ცხოვრებაში მხოლოდ ერთი კიბე ააშენა სოჭში. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის არქიტექტურა არ არსებობს ლეონიდოვის გარეშე.

* * *

ვინც ვერ აცმევს, ის ვერც ხდის.

* * *

რიჩარდ მეიერის არქიტექტურა – საავადმყოფოს მეტაფორა.

* * *

მასა ვერ ამაღლდა ჰოლივუდის ფართო მომხარების ფილმებს ზემოთ. ასეთი ფილმების მთელი ინდუსტრიაა ჰოლივუდში. ასევე არსებობს ფართო მოხმარების არქიტექტურა – მინა-ბეტონის. ესაა «სნობის» დღევანდელი იდეალი და არა ი. მ. პეი, ლ. კანი, რ. კუროკავა, ა. ისოზაკი...

* * *

ერთი მსახიობის თეატრი კარგია, ერთი ბელადის ქვეყანა – ტრაგედიაა.

* * *

ქართული არქიტექტურული პოტენციალი უზარმაზარ კაშხალს ჰგავს, რომლის მრავალრიცხოვანი, წვრილ-წვრილი ხვრელებიდან გადმოედინება წყლის ნაკადი. ეს წვრილ-წვრილი ნაკადი ვერავითარ ღირებულებას ვერ ქმნის, რის გამოც პოტენციური ენერგია კარგავს თავის ძალას.

* * *

ლეგენდად რომ იქცე, ამისთვის გენიალობა არ კმარა, უნდა გარდაიცვალო.

* * *

არსებობს არა მხოლოდ დანაშაულებრივი მოქმედება, არამედ დანაშაულებრივი უმოქმედობაც.

* * *

დილიდან «ამეკვიატა» მუხრანის ლექსი, უკვე მეხუთეჯერ ვიმეორებ ხან გონებაში, ხან ხმამაღლა:

«სულ რამდენიმე, ორი თუ სამი,
იმედად ჩემდა, არსებობს სახლი.
სადაც მე ძალმიძს, ყოველ დროს ძალმიძს,
მოულოდნელად დავრეკო ზარი.
ერთ-ერთი მათგანი სახლია შენი,
რომელიც მელის, ყოველ დროს მელის.
და ერთხელ, როცა, და ერთხელ როცა
ეს სახლი შესწყვეტს ჩემდამი ლოდინს,
მე ისევ მოვალ, კვლავ შენთან მოვალ, _
მხარზე ჩემივე საფლავის ლოდით».
ლამაზია, ძალიან ლამაზია.

* * *

სადღაც წავიკითხე, როცა ზარმაც ველურებს ხიდან ნაყოფის მოპოვება მოუნდებოდათ, ხეს ძირში ჭრიდნენ და მთელი ტომი ნაყოფს შეექცეოდა. ამის ზუსტი ანალოგია «პარკ ჰაიატ ოტელ»-ის მშენებლობა სანაპიროზე, რესტორან «არაგვის» ადგილას, ადგნენ და ერთი შენობისთვის მთელი კლდე ჩამოთალეს.

* * *

ექსტრემალურ სიტუაციას ერთი ბედნიერება ნამდვილად აქვს. იგი მთელი სისრულით წარმოაჩენს, ვინ ვინაა. ბოლო წლებმა რეალურად დაგვანახა საკუთარი სახეც და მტერ-მოყვარეც.

* * *

სახელმწიფოს მართვა, საერთოდ პოლიტიკა, არ არის არამყარი ფსიქიკის მქონე ადამიანების, პროფესიაში და ცხოვრებაში ხელმოცარულთა და დაბოღმილთა საქმე. ქვეყანა უნდა მართონ მომთმენმა და გონიერმა ადამიანებმა და არა მათ, ვისაც ფანატიკური იდეები აწუხებს. თუ მსახიობის, მხატვრის, მუსიკოსის ნიჭს პირობითად ერთად ჩავთვლით, პოლიტიკოსს ათი ნიჭი მაინც უნდა ჰქონდეს, მათ შორის უპირველესია მოსმენის ნიჭი.

* * *

ბოლო წლებში, არა ერთი არქიტექტურული უმსგავსობის მოწმენი გავხდით, ჩვენი გაკვირვება თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ კიდევ ყოფილა «რეზერვი». სვეტიცხოვლის კარიბჭესთან, დასავლეთის გალავნის გასწვრივ წარმოდგენილი არქიტექტურა ეს უმსგავსობის აპოგეაა. ის არაა მხოლოდ არაპროფესიონალიზმი, უგემოვნობა და უვიცობაა, არამედ პროფესიული უზნეობა. ვინ დაამტკიცა, ვინ დააფინანსა, სად იყვნენ ძეგლთა დაცვის უწყებები, ის ხომ ერთ უკუნეთ ღამეში არ აღმოცენებულა.

* * *

ბიუროკრატია განსაცვიფრებელი ფენომენია. მას შეუძლია მთელი ცხოვრება შრომის ოფლი გადინოს და არაფერი შეგაქმნევინოს.

* * *

ვყიდი სცენარს: ტაძარი, ინტერიერი, ფრესკები დიდი პლანით. შორი კადრი. ტაძრის ცენტრში აღმართულია ხარაჩო, მოქანდაკე რაღაცას ძერწავს. ახლო კადრი. ვლადიმერ ლენინია.

* * *

ორი მოგონება.

ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, როდესაც მოვახერხე დავსწრებოდი თბილისის «სამეურნეო აქტივის კრებას», სადაც მთავარი მომხსენებელი იყო ქალაქის იმჟამინდელი მერი, ბატონი ე. მელაძე. კარგად მახსოვს, მან აქტივის კრებას, შესაბამისად საქართველოს პარტიულ და სამეურნეო ხელისუფლებას, რომელიც აქტივს ესწრებოდა «შესჩივლა»: კიდევ ბევრი რამის გაკეთება გვინდა თბილისის გასამშვენიერებლად, მაგრამ ქალაქის მთავარი არქიტექტორი ივან ნოიჩი (ჩხენკელი) არ გვიშვებსო.

მოგონება მეორე. რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე ახალგაზრდა არქიტექტორის სტატუსით ვესწრებოდი ანალოგიური აქტივის კრებას, მომხსენებელი სხვა მერი – ბატონი ბახვა ლობჟანიძე იყო, იმანაც «ბრალი დასდო» იმჟამინდელ მთავარ არქიტექტორს, ბატონ შოთა ყავლაშვილს _ ძალიან ბევრი გეგმები

გვაქვს, ბარათაშვილის ქუჩაზე რამდენიმე 8-12-სართულიანი კოშკურა საცხოვრებელი სახლი გვინდა დავდგათ, მერიის ავარიული შენობის ნაცვლად, მაღლივ ადმინისტრაციულ შენობას ვფიქრობთო, მაგრამ შოთა ყავლაშვილი კატეგორიულად წინააღმდეგია, ვერაფერი გავაწყვეთო.

ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანე, რომ «კაციჭამია» კომუნისტები იცავდნენ პროფესიულ სუბორდინაციას. დღეს ყველა ჩინოვნიკი არქიტექტორიცაა, ქალაქმშენებელიც, ტრანსპორტის თუ ლანდშაფტის არქიტექტორი. არ შეიძლება არქიტექტორის ფუნქცია შეითვისოს იურისტმა, მენაშენემ, ინვესტორმა. ქალაქის არქიტექტურას უნდა მართავდეს პროფესიონალი არქიტექტორი, პროფესიონალი არქიტექტორების მეშვეობით; არქიტექტორი, რომელსაც რეალურად ექნება ის უფლებები, რომლებიც სტატუსით აქვს მინიჭებული და არა ბუტაფორიები, რომელთა უპირველესი საქმიანობა ჩინოვნიკებისადმი მონური მორჩილებაა.

* * *

გაუგებარია, როდესაც მაღალი ჩინი დროის დიდ ნაწილს «ხალხთან ატარებს», ყველგან ფუსფუსებს, ბევრს მოგზაურობს, ყოველდღე ინტერვიუები ტელევიზიაში, პრესაში, საიდან ამდენი დრო? ხელმძღვანელი იმის ხელმძღვანელია, მან უნდა უხელმძღვანელოს და არა თვითონ ბაროს და თოხნოს, წარმართოს პროცესი, მიუჩინოს ყველას საქმე. ხელმძღვანელს გარეთ გახედვის დროც კი არ უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს ტელეშოუებისთვის, ის დილიდან საღამომდე უნდა ეთათბირებოდეს მრჩევლებს, ექსპერტებს, პროფესიონალებს და ღებულობდეს სწორ და რაციონალურ გადაწყვეტილებებს.

* * *

ყველაფრისმცოდნეობა დღევანდელი საქართველოს მახასიათებელია, მისი ყველაზე დიდი უბედურება.

* * *

ტენდერები კორუფციის და ცუდი ხარისხის იურიდიული გაფორმებაა.

* * *

ამ მიცვალებულის ნათესავებს დიდი ჯაფა დაადგათ, რათა მისი ცხედარი მიწას მიეღო.

* * *

ქალობა პროფესიაა, ქალობა უნდა იცოდე, ქალობა უნდა ისწავლო, ასევეა კაცობაც.

* * *

გენიოსის და ჩვეულებრივი მოკვდავის ამქვეყნიური ცხოვრება მეტ-ნაკლებად ჰგავს ერთმანეთს. მათი სიკვდილისშემდგომი ცხოვრებაა დიდად განსხვავებული.

* * *

მან დიდი ხანია დაძლია მიჯნა _ «რას იტყვის ხალხი». ახლა ის თვითონ ეუბნება ხალხს, რაც მას სურს.

ლომები რწყილებსაც თან დაატარებენ, თუ ამ რწყილებში რომელიმე უნა-მუსო აღმოჩნდება, შეუძლია თქვას – ლომის განუყრელი მეგობარი ვარო.

* * *

«სიზარმაცის გარეშე ნაცარქექია მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც დაკარგავდა თავის უნიკალურ მომხიბვლელობას, ვინაიდან ის უბრალო მცონარობა იქნებოდა. ეს «ფილოსოფიური სიზარმაცეა» (გურამ ასათიანი). ძალიან მომეწონა გურამის ეს «ფილოსოფიური სიზარმაცე»... ასეთი ადამიანე-ბი ჩვენს შორისაც არიან. ისინი «ფილოსოფიურად» არაფერს ქმნიან, სამაგიე-როდ, ეს ფილოსოფიური სიზარმაცე კარგ ფონს ქმნის ზოგიერთის თვალში მის განსაკუთრებულ ნიჭიერებაზე მითის შესაქმნელად.

* * *

არიან ტალანტი-ნოვატორები, რომელთაც აქვთ ძველის რღვევისა და ახ-ლის აღმოჩენის უნარი. ქმნიან ახალ მიმართულებას. არიან სხვა ტიპის ტალან-ტებიც, რომლებიც ავითარებენ იმას, რაც სხვამ აღმოაჩინა და ხშირ შემთხ-ვევაში ახალ საფეხურებზეც კი აჰყავთ ესა თუ ის იდეა. ასეთი ტალანტების გა-რეშე წარმოუდგენელია ახალი მიმართულების დამკვიდრება, რადგანაც წი-ნამორბედი ძნელად თმობს ასპარეზს.

* * *

ტატლინს III ინტერნაციონალის ძეგლის პროექტის მეტი რომ არაფერი შეექმნა, ის მაინც დარჩებოდა XX საუკუნის უდიდეს მწვერვალად.

* * *

ლამაზი ამბავი, შესაძლოა მითი. თურქეთ-საბერძნეთის ომის დროს, რო-დესაც თურქები გამაგრდნენ აკროპოლზე და ტყვია-წამალი შემოაკლდათ და დაიწყეს აკროპოლის ქვების ტყორცნა, ბერძნებმა მათ პარლამენტარები გაუგ-ზავნეს და სთხოვეს, ჩვენ გამოგიგზავნით ტყვია-წამალს და ის გვესროლეთ, ოღონდ ძეგლს ხელს ნუ ახლებთო.

* * *

როდესაც სიმართლე დევს ცენტრში, რა მნიშვნელობა აქვს საიდან მიადგები მას?

* * *

დიდი ოსტატები იმითაც არიან საინტერესონი, რომ ისინი დიდ შეცდომებსაც უშვებდნენ. ხოლო დიდი შეცდომა გაცილებით დიდ საზრდოს იძლევა განვითარებისათვის, ვიდრე უნიჭო სისწორე.

* * *

ხელოვნებას ქმნის ხელოვანი, კრიტიკა ფართო მასების ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს.

* * *

არ ვიცი, გამოაღწევდა კი ქართველი ერი ისტორიულ ქარტეხილებში, თუკი მას მიტევების ნიჭზე მეტად შურისძიების ნიჭი ექნებოდა.

* * *

ხშირად ამა თუ იმ მოსაზრების დასამტკიცებლად ისტორიას მოიშველიებენ, მოგაყრიან მაგალითებს. ადგება მეორე და ისტორიიდან საწინააღმდეგო მაგალითებს მოიშველიებს. ისტორიაში ყველაფერია, მთავარია, რას ეძებ.

* * *

გენიოსი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი მოკვდავისაგან, რომ მას უნარი აქვს დაინახოს არა მხოლოდ ის საგნები, რომლებიც შორს არიან, არამედ ისინიც, რომლებიც მის გვერდითაა.

* * *

ხელოვნებაში მიმართულება არ შეიძლება იყოს მცდარი, თუკი ის ვითარდება ბუნებრივი გზით და არა დირექტიულით, ზემოდან კარნახით.

* * *

ზოგჯერ სულ მცირე დეტალს შეუძლია გაუხსნას გზა ასოციაციების ნიაღვარს.

* * *

ზოგიერთი ფიქრობს, რომ ხვალინდელი დღე იქნება უფრო ადვილი. ცხოვრების დიალექტიკა კი სულ სხვა რაიმეს მიანიშნებს: ხვალ იქნება უფრო ძნელი, უფრო რთული.

* * *

სევდა აქვს აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, ევროპასაც და აზიასაც, მაგრამ აღმოსავლეთი მას განსაკუთრებული მგრძნობიარობით ავლენს.

* * *

შეხედავთ პროექტს: ლამაზია, ყველაფერი რიგზეა, კიდევ რაღაც და... მაგრამ ეს «რაღაც» ძნელად მისაღწევია – მას პირადი წვლილი ჰქვია.

* * *

ვერც ერთი ეროვნული კულტურა ვერ განვითარდება და ვერ შეიტანს საკუთარ წვლილს საერთო საკაცობრიო კულტურაში, თუ კი ის იკვებება მხოლოდ სხვათა მიღწევებით, თუ კი ის რუდუნებით არ იკვლევს საკუთარ ფესვებს, სულიერი წყობის საფუძვლებს, ყოფით და ბუნებრივ-კლიმატურ თავისებურებებს.

არ არსებობს პირდაპირი გზა ინტერნაციონალურისაკენ, ის გადის ეროვნულზე. თქვენ ვერ გახდებით მსოფლიოს მოქალაქე, თუ კი არა ხართ საკუთარი ქვეყნის მოქალაქე.

* * *

განსხვავებული ისტორია, განსხვავებული კულტურა და ტრადიციები, განსხვავებული გარემო და კლიმატური პირობები, განსხვავებული რესურსები და საშუალებები, განსხვავებული ფსიქოლოგია... როგორ შეიძლება, არქიტექტურა იყოს ინტერნაციონალური?

* * *

ხელოვნების ყოველ დარგს თავისი ნაგავსაყრელი აქვს, სხვადასხვა პერიოდში, ხან ერთი გორაკი ამაღლდება, ხან მეორე. ხრუშჩოვის პერიოდში ყველაზე მაღალი გორაკი არქიტექტურისა იყო.

* * *

მე არ მსმენია, ვეფხვი და ლომი ჯოგად ესხმოდეს თავის მსხვერპლს. ტურები და მგლები კი საშოვარზე ერთად დაძრწიან. «ხროვა» განაპირობებს მათ

არსებობას, ხროვაა მათი ძალაა. იგივე ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, წვრილ-წვრილ მოაზროვნეები, წვრილნიჭიერები, ინსტინქტურად მოძებნიან ერთმანეთს და ერთობლივად შეესევიან თავის მსხვერპლს. მე არ მახსენდება არც ერთი მაგალითი, დიდ ხელოვანს, დიდ მეცნიერს დაეწყოს ვინმეს საწინააღმდეგო ჯგუფების შეკოწიწება.

* * *

ხელოვნების ორგანიზაციული დაქვემდებარება რაიმე უწყებაზე ნიშნავს მის შემოქმედებით დაქვემდებარებასაც.

* * *

გამოქვაბულისკენ გზა მოჭრილია, იქ ვერ დავეტყევით, მგონი 7 მილიარდს ვუახლოვდებით.

* * *

ხელისუფლებას უფლება არა აქვს ისტორია იკითხოს სალაღობოდ. ის უნდა ითვალსიწინებდეს ისტორიის გაკვეთილებს.

* * *

დიდი ფულის პატრონები ისტორიას შემორჩნენ არა ფულის კეთების ნიჭით, არამედ ფულის ხარჯვის ნიჭით. სარაჯიშვილი დღეს არავის ეცოდინებოდა, მას ფულის ხარჯვის ნიჭი რომ არ ქონოდა. ღვთის წყალობით, დღევანდელ საქართველოშიც არის რამდენიმე კაცი ამ ნიჭით დაჯილდოებული.

* * *

მე შორს ვარ იმისაგან, რომ ვამტკიცო, თითქოს არსებობდეს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ეროვნული ხასიათი. იგი ცვლილებებს განიცდის დროსთან მიმართებაში. იგი არც აბსოლუტია, ყველასთვის ერთნაირად დამახასიათებელი, თუმცა ყოველთვის შეიძლება შევიგრძნოთ საერთო ნიშნებიც.

* * *

კიშო კუროკავამ, გამოჩენილმა იაპონელმა არქიტექტორმა, ასე განსაზღვრა იაპონელთა ხასიათი: **«იაპონელისათვის მთავარია – მზე ზემოდან, ბაღი ფანჯარასთან და წვიმის ხმაურის შეგრძნება»** _ ძნელია ქართული ხასიათის ასე ლაკონიურად ჩამოყალიბება, როგორც ჩანს, ჩვენ უფრო რთული ერი ვართ.

* * *

ერთი და იგივე მოცულობის შენობა, კარგი თუ ცუდი პროექტით, დაახლოებით ერთი და იგივე ჯდება. ხშირ შემთხვევაში ცუდი შენობა უფრო ძვირია. განსხვავება ისაა, რომ ნიჭიერი პროექტის შემთხვევაში ვღებულობთ ნაწარმოებს, ემოციას, განწყობილებას, ძეგლს. უნიჭო პროექტის შემთხვევაში კედლებს, სამირკველს, სახურავს, იატაკებს, კარ-ფანჯრებს. კარგის დადგენის ერთადერთი გზა კონკურსებია, ცხადია, აბსოლუტურ ობიექტურობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ეს სპორტი არ არის, სეკუნდები და გატანილი გოლები რომ ავლენდეს გამარჯვებულს.

* * *

დღევანდელი თბილისის «ქალაქმშენებლობა» _ იმპულსური, სტიქიური.

* * *

რაც ასაკში შევდივარ, ყველაფერში ვეძებ სიუჟეტს, შინაარსს, კომპოზიციას, სპექტაკლში, არქიტექტურაში, ქანდაკებაში, ლექსებშიც კი. აბსტრაქცია ნაკლებად მხიბლავს.

* * *

არა ვარ მიდრეკილი ექიმბაშობისკენ, შელოცვებისკენ, ცრურწმენებისკენ, ტაბუსკენ, მისტიკისკენ, ალქიმიისკენ, მარჩიელობისკენ. პროფესიონალი, პროფესიონალიზმი ყველაფერში! _ პოლიტიკაში, არქიტექტურაში, პედაგოგობაში... დღეს, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში თვითნასწავლობა სასაცილოა. ჩვენი პოლიტიკოსების და სახელმწიფო მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი თვითნასწავლია, ამიტომაც ვერ არის ჩვენი საქმე კარგად.

* * *

საოცრად განსხვავებული თვისობრიობაა ერთი ქართველი და მრავალი ქართველი, მათ არაფერი აქვთ საერთო.

* * *

ქართული ხასიათი ვერ ეგუება განცალკევებულ, ჩაკეტილ ცხოვრებას, ცხოვრებას თავისთვის, რაც ზოგიერთი ერისათვის ისეთი საპატიო ტრადიციაა, როგორც ჩვენთვის ერთად ცხოვრება. უცხოა საქართველოსთვის ცხოვრების წესი: «ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა». ჩვენთვის მახლობელია არქიტექტურული გარემო, რომელიც ხასიათდება მაღალი კომუნიკაბელურო-

ბით, არქიტექტურა, რომელიც აერთიანებს და უზრუნველყოფს თანაცხოვრებას. ეს ჩვენი გამოცდილი და კეთილი ტრადიციაა.

* * *

ვის თვლით მასწავლებლად? – ყველას და არავის. ჩვენი დროის მოწაფე ვარ.

* * *

სრული პროფანაციაა არქიტექტურულ-ქალაქმშენებლობითი პროცესის წარმართვა კ1, კ2, კ3 კოეფიციენტებით. მათ შეიძლება აზრი ჰქონდეს გენერალური გეგმის პოზიციების ფარგლებში, ცალკეული ნაკვეთების განაშენიანების «დაზუსტების» მიზნით.

* * *

ჩემი ნება რომ იყოს, სისხლის სამართლის კოდექსში შევიტანდი მუხლს: «ხელისუფლებისადმი მონური მორჩილებისათვის, _ სამუდამო პატიმრობა».

* * *

ორიგინალურობა კარგია, მაგრამ ცუდია ორიგინალურობა ორიგინალურობისათვის.

* * *

_ თქვენი ცხოვრების დროის გარკვეული მონაკვეთები არქიტექტორისათვის არასასურველი იყო, ხრუშჩოვიზმი, ტიპიზაცია, ინდუსტიალიზაცია, «ვაშენოთ სწრაფად და იაფად». დღეს რაღაც გაუგებარი, გარდამავალი პერიოდია, ორგანიზაციული და ესთეტიური ანარქიაა, ხომ არ ისურვებდით სხვა დროს ან ადრე, ან გვიან ცხოვრებას? მეკითხება ჟურნალისტი.

* * *

_ ცხოვრება საინტერესოა, ლამაზია, თავისი კარგით და ცუდით, ერთიც ბევრი იყო და მეორეც, უფრო მეტი კი კარგი. უცებ წარმოვიდგინე «სხვა დრო». არა, არ მინდა, ეს საშინელებაა.

* * *

დღეს ქართულ არქიტექტურაში დაძველება, ხელოვნური ისტორიზმი ყვავის, მოსწონთ პიაცები, რენესანსი, ალა, იტალია, ისტორიული სტილები, ვენის ოპერა და სხვ. რად გვინდა იტალია, ავსტრია, ევროპა – ავიღოთ ჯვარი და მოვახდინოთ ტირაჟირება, რა, ცუდი ძეგლია?

* * *

ქართულ ხასიათში საკმაოდ დიდი დოზითაა ზეიმური, თეატრალური, საჩვენებლი. ეს ვლინდება ჩვენს ყოველდღიურობაში, სხვადასხვა რიტუალში, ჭირსა და ლხინში. ეს ვლინდება არქიტექტურაშიც, როგორც საკულტოში (განსაკუთრებით ზეიმურობა), ასევე ხალხურ საცხოვრებელში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს საცხოვრებელ სახლში.

* * *

არ შეიძლება რელიგიასთან გაშინაურება, მისი ყოფით ატრიბუტად ქცევა. გზებზე, ყოველ ნაბიჯზე, ჯვრების აღმართვა, ეკლესიების შეუსაბამო, არაეკლესიურ გარემოში მშენებლობა ადამიანებს უკარგავს მისდამი მოწიწებას, მანქანებზე დაკრული ჯვრის აპლიკაცია ხომ სრული აბსურდია.

* * *

პრეტენზიული უნიჭო საშიშია.

* * *

მექსიკელი მანუელ ურიბო 550 კგ იწონის, ის ყველაზე მძიმე კაცია მსოფლიოში, რა თქმა უნდა, ეს ტრაგედიაა, მაგრამ ხომ არის მსოფლიოში პირველი რაღაცაში.

* * *

სახელმწიფო ცენზურის უმაღლესი ფორმაა, არ შეიმჩნიო, რაც არ გინდა.

* * *

იმდენად ზარმაცი იყო, რომ საყვარელ ქალს კოცნას ჰაერით უგზავნიდა.

* * *

დღეს მისი აღმატებულობა «მოქალაქეობრივი პასუხუსმგებლობა» მჭიდრო კავშირშია პირადულთან. მოქალაქეს აქვს რეაქცია მხოლოდ მის მეზობლად მშენებარე სახლზე, ხმაურზე მისი კიბის უჯრედში. მისი «მოქალაქეობრიობა» არ ვრცელდება ქუჩაზე, უბანზე, ქალაქზე.

* * *

ადამიანი, რომელიც მხოლოდ მაღლა იყურება, ვერაფერ მნიშვნელოვანს ვერ იპოვის.

* * *

ვინ თქვა, რომ არქიტექტურაში სილამაზე ფული ღირს, სილამაზე ნიჭის შედეგია, უნიჭობაა ძვირადღირებული.

* * *

თურმე ცენზორად მუშაობდნენ ტიუტჩევი, რაფიელ ერისთავი.

* * *

რაც ტელევიზია გაჩნდა, ადამიანის სულს მოსვენება არა აქვს, სულ აფორიაქებულია.

* * *

მეტყველება და წერა ორი განსხვავებული ნიჭია, თუმცა არ არის გამორიცხული, ერთ პიროვნებაში ორივე თანაბარი ძალით იყოს.

* * *

არა მხოლოდ გონება და ანალიზი, არამედ ინტუიცია და ინსტინქტი, უდიდეს როლს თამაშობს ჩვენ ყოფაში. მოულოდნელ, სტიქიურ სიტუაციაში ტვინს არ სცალია ანალიზისათვის, აქ ინსტინქტი და ინტუიცია წყვეტს ყველაფერს.

* * *

ქალი ურთულესი არსებაა, მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ცნობილი ტროას ომი, თურმე სულაც ერთი მანდილოსნის სიკეკლუცის გამო ამტყდარა.

* * *

ჩემს ახალგაზრდობაში, მთელი მსოფლიო გაოცებული იყო ჩუდინათი, რომელიც რეკორდს რეკორდზე ამყარებდა. ბოლოს აღმოჩნდა ქალი კია არა, კაცი ყოფილა.

* * *

დღეს ხელოვნებაში მიმდინარეობებს პეპელას «დღეგრძელობა» აქვთ. ისე იბადებიან და კვდებიან, ვერც კი გაიგებ.

* * *

არიან გონიერი, ნიჭიერი პლაგიატები, რომელთაც ვერაფრით ვერ დაუმტკიცებ პლაგიატობას, არიან უნიჭო პლაგიატები, რომლებიც პირდაპირ იღებენ სხვის ნამოღვაწარს.

* * *

უნიჭოები ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს, ფიზიკურადაც კი.

* * *

«სინდისი» ამ პრაგმატულ სამყაროში არა მხოლოდ ტვირთია, არამედ წამგებიანი.

* * *

ხელისუფლების მოვალეობაა, დაასაქმოს ტვინები, ტალანტები, ენერგია, ძალა და არა ის, რომ ყველაფერს თვითონ მოებღაუჭოს და ყველა საქმე თვითონ შეითავსოს.

* * *

ხელისუფლების განსაკუთრებულ მიღწევათა შორის უნდა აღინიშნოს ის, რომ მათ ერში გულგრილობა და ინდიფერენტულობა დაამკვიდრეს.

* * *

ტელეარხები, ასევე, პრესის დიდი ნაწილი, სენსაციურობაზეა ორიენტირებული, მათ აკლიათ «ერისკაცობა». რას ვგულისხმობ? ხანდახან არ უნდა შეიმჩნიო და არ უნდა იყვირო იმაზე, რისი დანახვა და ყვირილი ავნებს ერს, ეროვნულ საქმეს. პერმამენტული ინფორმაციები ანომალიებზე თრგუნავს საზოგადოებას. გაცილებით დიდი ნიჭია არშემჩნევა, ვინემ შემჩნევა.

* * *

სახელმწიფოს პოზიცია არქიტექტურისადმი საქართველოში, დღეს ორიენტირებულია არქიტექტურულ ფაქტზე – ავაშენეთ ესა და ეს, ამდენი, ამ სიმაღლის, ამ სიგანის და ა.შ. ყველაფერი ეს არითმეტიკაა. არქიტექტურაში, ისევე როგორც საერთოდ ხელოვნებაში, უმთავრესია, როგორი ააგე, რა ესთეტიკური მუხტის მატარებელია, რამდენად თვითმყოფადია, რა ადგილს დაიკავებს ის საკაცობრიო კულტურაში. ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც სულ 47 ლექსი დაწერა, განუზომლად დიდია მრავალ X-ებზე, რომელთაც ასჯერ მეტი ლექსი აქვთ დაწერილი. მეორე, ასევე ინფანტილური პოზიცია, რაღაც ნიშანი მიჩნეულია მხატვრულ ღირსებად. მაგალითად, მინის სახლი, ალუმინით მოპირკეთება და სხვა. არა და, კლიმატის თავისებურებებიდან გამომდინარე, მინა

სრულიად საწინააღმდეგოა საქართველოსთვის, მას დიდი თბოდანაკარგები და ტემპერატურული (სითბო, სიცივე) შეღწევადობა აქვს, რომლის რეგულირება მნიშვნელოვან სახსრებსა და სპეციალურ ტექნოლოგიურ მოწყობილობებს ითხოვს. ფასადები დროდადრო საჭიროებენ გარეცხვას (თბილისში განსაკუთრებით), რომელსაც ასევე სპეციალური მოწყობილობა, დრო, ენერგია და სახსრები სჭირდება.

* * *

Zen Stone Garden, Ryoan-ji Kioto _ ეს ხომ არ არის ბაღი პირდაპირი გაგებით, აქ ყველაფერი პირობითია. მას აღიქვამ, როგორც ხელოვნების ნაწარმოებს, როგორც ქანდაკებას, როგორც ფოტოს, როგორც გრაფიკას, როგორც ექსპოზიციას. არავითარი პარკი (Garden).

* * *

დიქტატორული რეჟიმისათვის ადამიანი ნივთია, «გამოიყენე და გადაადგე».

* * *

როგორ უვლიან იაპონელები წარსულს! _ არა თუ უვლიან, არამედ როგორ აცნობენ მთელს მსოფლიოს საკუთარ კულტურას, ტრადიციებს, საგანძურს.

* * *

<u>6 ივნისი, 2006, სამშაბათი</u>. ამ დილით რადიომ გამოაცხადა, რომ დღეს მერია განიხილავს დეპუტატ ბრეგაძის ძველი თბილისის «კრამიტით» გადახურვის წინადადებას. ნეტა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა არა აქვს თბილისს?

* * *

არის დროის «სიმბოლო» _ სამშენებლო მასალები, რომლებიც ტექნიკური პროგრესის შედეგია. XX საუკუნეში ასეთი სიმბოლოებია მინა, ბეტონი, ალუმინი, მეტალი. ამიტომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი, შენობაში მათ არსებობას მხატვრულ ღირსებაში აიგივებენ. მინის ორად-ორი შენობა მაგონდება, რომელიც ყურადღებას იპყრობს ესაა – ი. მ. პეის მინის პირამიდა ლუვრის ეზოში და საკონვენციო ცენტრი ნიუ იორკში. დანარჩენი ათეული ათასობით, მოსაწყენი და მოსაბეზრებელია. მინა თავისი ბუნებით ფონური მასალაა.

* * *

თანამედროვეობის უდიდესი არქიტექტორები, რომლებმაც შექმნეს XX საუკუნის არქიტექტურული სახე – ანტონიო გაუდი, ფ. ლ. რაიტი, ლე კორბუ-

ზიე, ლუის კანი, კენძო ტანგე, არატა ისოზაკი, კიშო კუროკავა, იშიამა, ანტონი პრედოკი, რიჩარდ ინგლანდი, იუსტუს დაჰინდენი, აბრაჰამ ზაბლუდოვსკი, ჩარლზ კორრეა, კლორინდო ტესტა, ლუის ბარაგანი, იმრე მაკოვეცი, რობ კრიერი, ჰანს ჰოლაინი და კიდევ მრავალი და მრავალი, მსოფლიოს უდიდესი არქიტექტორები მინას იყენებენ არა როგორც იდეაფიქსს, «ეპოქის სიმბოლოს», არამედ იმ დოზით, რომელიც აუცილებელია ინტერიერის განათებისათვის.

* * *

ერთმა შენობამ, ფრენკ გერის გუგენჰეიმის მუზეუმმა ქალაქი ბილბაო მოახვედრა მსოფლიოს ყველა ტურისტულ რუკაში, ხოლო ოპერის თეატრმა ქალაქი სიდნეი ტურისტულ მექად აქცია.

* * *

ფრენკ გერიმ თავისი კარიერა დაიწყო იაფი სახლების, იაფი კოტეჯების მშენებლობით (საკუთარი სახლი სანტა მონიკაში, თავისებურ ექსპერიმენტალურ «პოლიგონად» გამოიყენა, რამდენჯერმე გადააკეთა). იქ მიგნებული «არქიტექტურული ენა» განავითარა, გაამძაფრა და ახალ არქიტექტურულ მიმდინარეობას _ დეკონსტრუქტივიზმს დაუდო საფუძველი.

* * *

დღეს საქართველოში კონკურსებს ისე აცხადებენ, რომ ჟიური არ არის მითითებული (თბილისის მერია, კულტურის სამინისტრო, სხვა უწყებები). არადა პროფესიონალისთვის ჟიურის შემადგენლობა განმსაზღვრელია. პირადად მე, საკონკურსო პროგრამის გაცნობას ჟიურის შემადგენლობიდან ვიწყებ. იმ კონკურსში, რომლის ჟიურიში იქნებიან ფრენკ გერი, ზაჰა ჰადიდი, რომელთა არქიტექტურა ჩემში, როგორც მაყურებლის, ინტერესს იწვევს, ხოლო როგორც პროფესიონალისათვის მიუღებელია, არასდროს მივიღებ მონაწილეობას, ვინაიდან 5-7-კაციან ჟიურიში ორი, აპრიორი უარყოფითი ხმა გადამწყვეტია. დიდად დავფიქრდებოდი იმ კონკურსში მონაწილეობაზეც, რომლის ჟიურიში იქნებიან ფოსტერი და როჯერსი, მათი უკიდურესად ტექნიცისტურ-გლობალისტური მისწრაფებების და უმისამართობის გამო. ეს მსოფლმხედველობითი შეუთავსებლობაა. მეორე, საკმაოდ დამახასიათებელი საქართველოსთვის და არა მხოლოდ მისთვის, არის ადამიანური ფაქტორი. განა ყველას შეუძლია პირადული სიმპათია-ანტიპათია არ გადაიტანოს საქმეზე.

* * *

რატომ დაადგეს რაიხსტაგს მინის გუმბათი? რატომ არ აღადგინეს ზედმიწევნით ის? რა ნახაზები ვერ იპოვეს? _ ეს კონცეპტუალური დამოკიდებულებაა. ზედმიწევნით აღდგენის შემთხვევაში, საუკუნეების შემდეგ ხომ გაქ-

რებოდა ის უდიდესი ტრაგიკული ნიშანი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომი ჰქვია, რომლის ერთ-ერთი დანატოვარი დანგრეული რაიხსტაგი იყო. რაიხსტაგის გუმბათის ამდაგვარი გადაწყვეტა კაცობრიობის მუდმივი გაფრთხილებაა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში არქიტექტურული პროცესები თითქმის ერთნაირად ვითარდება. რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში 90-იან წლებში იყო «შემოსევა», «первая волна» უცხოელი არქიტექტორებისა, «ბედის მაძიებლების», ძირითადად არქიტექტურული მარგინალების, აბა, რას იზამდნენ მთლად უსაქმურად ხომ არ იქნებოდნენ. ბოლო წლებში, როგორც მოსალოდნელი იყო, მათი ადგილები დაიკავეს ოსტატებმა – ფოსტერმა, როჯერსმა, ბოტტამ, ჰადიდმა, ეგერგარტმა, კოლხასმა, მაგრამ ისინიც არ არიან მიშვებულნი თავიანთ ნებაზე, როგორც ეს ხდება ჩვენთან, უცხოელ არქიტექტორებთან მიმართებაში. უცხოელებიც ექვემდებარებიან გენგეგმას და მთავარი არქიტექტორის სამსახურის მიერ გაცემულ დავალებას და რა თქმა უნდა ქვეყნის კანონმდებლობას.

* * *

არქიტექტურაში ყოველთვის იყო ლიტერატურა, სიუჟეტი, სიმბოლოები. ფუნქციონალიზმმა განძარცვა არქიტექტურა სიუჟეტისგან. «ინტერნაციონალურმა სტილმა» მთელ ყურადღება გადაიტანა ფორმაზე და მასალაზე სიუჟეტის გარეშე. «პოსტმოდერნი» ეპარება, ეთამაშება ლიტერატურას, არქიტექტურულ სიუჟეტს.

* * *

მსოფლიოს ყველა (გარდა თბილისისა) დიდ ქალაქში არის «პროფესიული არქიტექტურული საბჭოც» და «საზოგადოებრივი საბჭოც», რომელიც, როგორც წესი, განიხილავს მნიშვნელოვან პროექტებს.

* * *

მოსკოვში უკვე აქტიურად ლაპარაკობენ იმაზე, რომ უცხოელი არქიტექტორების მოწვევა მოხდეს არა ინვესტორის, არა რომელიმე დიდი კაცის შეხედულებით, არამედ არქიტექტურული საბჭოსა და არქიტექტურული კავშირის რეკომენდაციებით.

* * *

ადრეც და დღესაც «დამკვეთი» _ ინვესტორი ამჯობინებს, საქმე იქონიოს არქიტექტორებთან, რომლებსაც თანამდებობები უკავიათ სახელმწიფო სტრუქტურაში, მერიაში, არქიტექტურულ სამსახურში. ვინაიდან, ერთია შექმნა პროექტი და მეორეა, შეათანხმო ის უპრობლემოდ, ეს გასაგებია. ინვეს-

ტორთა უდიდესი ნაწილი არ არის მიდრეკილი ეძებოს კარგის შემქმნელი, არამედ სურს დროულად გაიაროს დამტკიცების პროცედურა.

* * *

სტუ-ს I კორპუსზე საჭირო გახდა, შეუმჩნეველ, მოფარებულ ადგილას კარის გაჭრა. გაკეთდა ესკიზური პროექტი, გადავიღეთ ფოტოები, შევადგინეთ განმარტებითი ბარათი, ჩავაბარეთ «არქიტექტურას», მოვიკითხეთ ორი კვირის შემდეგ. შენობის საკუთრების აქტი აკლიაო, სამი დღის შემდეგ კი მოგვთხოვეს გენგეგმა, 1:500 მასშტაბში, სიტუაციური გეგმა 1:1000 მასშტაბში, ბოლოს დაგვთანხმდნენ კარის გაჭრაზე.

* * *

როდესაც თანამდებობას ტოვებ, გირჩევ დაადო თავი და უკან მოუხედავად წახვიდე, თუ კი უკან მიიხედავ, შეიძლება დაინახო ადამიანები, რომელთაც ხელში ქვა უჭირავთ, იქ შეიძლება ნახო ისეთი სახეებიც, რომელთათვისაც სიკეთის მეტი არაფერი გაგიკეთებია, მთელი ცხოვრება დაგტანჯავს კითხვა – რატომ?

* * *

ცხადია, ადამიანურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებში კომპრომისი აუცილებელია, მაგრამ კომპრომისის საზღვრებია მნიშვნელოვანი. არის ზღვარი, რომლის იქით კომპრომისი დანაშაულია.

* * *

თუ დააკვირდები ძველ სასაფლაოებს საქართველოში და შეადარებ ახალს _ «წაიკითხავ» ქართველი კაცის ფსიქოლოგიის, მენტალობის გენეზისს, რამდენად თანასწორი იყვნენ ადამიანები სიკვდილის შემდეგ. სოციალური უთანასწორობა ყოველთვის იყო, მაგრამ სიკვდილი ყველას ათანაბრებდა და ეს ჩანდა სასაფლაოზე. ახლა სოციალური განსხვავება ისე არსად ვლინდება, როგორც სასაფლაოზე.

* * *

საბაზრო ეკონომიკა მკაცრი გამომცდელი აღმოჩნდა ყველაფერში, განსაკუთრებით კი კაცობაში.

* * *

კონტექსტი არქიტექტურაში პატივისცემაა ისტორიის, ტრადიციების, წინაპრების მიმართ, კონტექსტი პასუხისმგებლობაა შექმნილის წინაშე, კონტექსტი ამოსავალია ახალი განვითარებისათვის.

* * *

კონტექსტუალობა გარემოსთან (ქალაქგეგმარებით და ლანდშაფტურ სიტუაციასთან) ჩემთვის ავტორის ამბიციაზე, «ოსტატის ცნობაზე» მაღლა დგას. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ხუროთმოძღვარმა უნდა იცოდეს და პატივს სცემდეს არა მარტო თანამედროვე არქიტექტურის ენას, არამედ იმ ენებს, რომლებიც სხვადასხვა ეპოქებში არსებობდნენ.

* * *

გარდაცვლილის შთამომავლებზე სრულ წარმოდგენას იძლევა გარდაცვლილის საფლავი (არქიტექტურა).

* * *

გინახავთ ოდესმე არწივთა «ჯოგური» გადაფრენა? ძლიერნი ისევე, როგორც გენიოსები, მარტოსულები არიან.

* * *

ხანგრძლივი სიცოცხლე? _ როდესაც ირგვლივ ყველა და ყველაფერი შემოგეცლება და დარჩები ნისლიან მოგონებებში, ალბათ, მომქანცველი და მტანჯველი იქნება მხოლოდ წარსულით ცხოვრება, როდესაც ყველაფერი უკანაა. ერთმა 90 წელს გადაცილებულმა კოლეგამ შემომჩივლა, შენ ვერ წარმოიდგენ, რა ძნელია მარტო ცხოვრებაო, ქუჩაში ვერავის ვცნობ, ვერავინ მცნობს, ვერავის ვურეკავ, ყველანი წავიდნენო.

* * *

დიდი ხანია (ჩემი სტუდენტობის პერიოდიდან) არ მინახავს, თუ როგორი მოკრძალებით ისწორებენ მუხლებზე კაბას ქალიშვილები. ეს «მორცხვობა» მოსპო ჯინსებმა და ემანსიპაციამ. არადა რა სასიამოვნო იყო ეს «მორცხვობა».

* * *

ცირკში, მფრინავი აკრობატები, როდესაც ნომერს ასრულებენ, სუნთქვა გეკვრება, ოსტატობა და რისკი (შიში) ერთობლივად ქმნის უმძაფრეს ემოციას. თუ კი, მათ ქვემოთ ბადეს დაუჭიმავთ, შეგრჩებათ მხოლოდ ოსტატობა, ემოციური მუხტი იკლებს, ეს თითქმის იგივეა, ნომერი იატაკზე შეასრულო.

* * *

ცივილიზაციის შედეგად ყველაზე საშინელი დანაკარგი, მრავალ სხვა მორალურ-ეთიკური დანაკარგის გვერდით, ისაა, რომ ქალების უმრავლესობამ

დაკარგა ქალობა (ქალობადაკარგული ქალები) «ახალი ქართველი ქალბატონები», მსგავსად მსოფლიოს «ახლებისა», ძალიან საქმიანები, მოუცლელნი, აფორიაქებულნი არიან, განსაკუთრებით მთავრობაში და ბიზნესით დაკავებული ქალბატონები. საბოლოო ჯამში მივიღეთ «ქალობადაკარგული ქალები».

* * *

ზოგჯერ სიმშვიდე აგრესიის ყველაზე ეფექტური გამოხატულებაა.

* * *

«შიშის სინდრომი» ნამდვილად არსებობს, ხომ მოგისმენიათ დიასახლისების საუბარი, «ტელეფონით ვერ გეტყვი, ხომ იცი ისმინებაო».

* * *

5 ნოემბერი, 2007. გუშინ, ტელევიზიით გამოვიდა კულტურის მინისტრი გოკა (გიორგი) გაბაშვილი, დაასახელა ციფრები რამდენად გაიზარდა დაფინანსება კულტურის, სპორტის, თეატრების, სულ მცირე 3-4-ჯერო. კი მაგრამ, შედეგი? მწირი დაფინანსების დროს დაიდგა «ჭინჭრაქა», «კავკასიური ცარცის წრე», «ყვარყვარე», «რიჩარდი», შეიქმნა უდიდესი ფილმები «ჯარისკაცის მამა», «მონანიება», «იყო შაშვი მგალობელი», «შერეკილები», «დიდი მწვანე ველი», «ცისფერი მთები», «დათა თუთაშხია», სცენაზე იდგნენ ხორავა, ვასაძე, ანჯაფარიძე, გოძიაშვილი, ზაქარიაძე, მანჯგალაძე, ჩხიკვაძე, მეღვინეთუხუცესი., სხვები. რაშია საქმე? უმთავრესია არა ფული, არამედ ატმოსფერო და ღირსების შეგრძნება.

* * *

რა სასტიკია ადამიანი. ფაქტობრივად აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე თეატრიდან გააძევეს, მოხსნეს ცკ-ს ბიუროზე. ეს იყო შედეგი თეატრის შიდა კრიზისისა, როდესაც წვრილფეხობა გააქტიურდა. ანალოგი: როდესაც ინტელიგენციის შეკრებაზე ბერიამ განაცხადა: ხალხის მტრები ჯავახიშვილი, ახმეტელი დავხვრიტეთო, დარბაზმა ტაში დაუკრა, იგივე ადამიანები გუშინ ამ გენიოსებს ტაშს უკრავდნენ.

* * *

მეუღლე მეკითხება, რა თქვეს ტელევიზორში, ახლა მეძავების ბირჟა სად არისო? მე: ბოლოს «თბილჰესთან» ავიყვანე-მეთქი.

* * *

ერთი და იგივე ქმედება არასდროს არ არის ერთი და იგივე. როგორც ტ. ჭანტურია ამბობს «ბრძოლის ველიდან ჯარისკაცის გაქცევას დეზერტირობა ჰქვია, ბრძოლის ველიდან სარდლის გაქცევას – სტრატეგია».

* * *

ჯანსუღ ჩარკვიანმა უთხრა ელდერ შენგელაიას – შენ ნატოდან გამოხვედი, ესენი ნატოში შედიანო.

* * *

განსაკუთრებით ვაფასებ იმ ავტორებს, რომლებსაც დიდი მსახიობების მსგავსად გარდასახვის უნარი გააჩნიათ. ეს თვისება აუცილებელია სრულფასოვანი კონტექსტისათვის.

* * *

«მაგონდება აკაკი ხორავას საშინელი ფრაზა: _ როგორ ბრძანდებით ბატონო აკაკი? ვკითხე. _ რას ვიზამ, მივჩერებივარ ტელეფონს, იქნებ ვინმემ დამირეკოს... აკაკი ხორავა და ასეთი მარტოობა?» (ვ. კიკნაძე, «გამოთხოვება მოგონებებთან»).

* * *

დოზირებული ეკლექტიკა, ნიჭიერად გაკეთებული ეკლექტიკა, ზოგჯერ ძალიან ეფექტურია.

* * *

ხელისუფალს რომ გააგებინო პრობლემის არსი, არ არის საკმარისი, რომ შენ ხარ კარგი მრჩეველი, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს მოსმენის უნარი და სურვილი.

* * *

არის სქესის ბუნებრივი მდგომარეობა, რომლის დარღვევა არ შეიძლება, მაგალითად, არ შეიძლება ქალი ძიუდოისტი ან მოკრივე იყოს. ეს არაბუნებრივია. ფიზიკურად, ესთეტიკურად, მორალურად.

* * *

წარმოგიდგენიათ, რა დონეზეა დღეს იუმორი საქართველოში _ ჩაწერილ ტაშს გვასმენინებენ.

* * *

გუშინ დიდი ზარზეიმით გაიხსნა ფრჩხილების ჰიგიენის აკადემია, დაესწრნენ პრეზიდენტი და ხელისუფლება.

* * *

საცხოვრებელი სახლების გადაღებვის კონკურსი მოიგო 101-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა.

* * *

ხელისუფლება ექსტრემალურ სიტუაციებში გასცემს ხოლმე ერთჯერად დემოკრატიას, ერთჯერად სამართლიანობას, ერთჯერად სიკეთეს, ერთჯერად დახმარებას.

* * *

რა ულმობელია საბაზრო ეკონომიკა, ყოველ 9 აპრილს ყვავილების ფასი 20%-ით მატულობს.

* * *

დავანებოთ თავი ან-ანით (რადიკალურად) ცხოვრებას. გადავიდეთ თანაარსებობაზე. უშლიან ხელს ერთმანეთს რუსთაველი და დანტე, შექსპირი და გალაკტიონი, ფიროსმანი და რუსო, კონსტანტინე და ტოლსტოი?

* * *

არქიტექტურული კონტექსტი ჩემთვის არ არის მხოლოდ ახლისა და ძველის მასშტაბური ან სტილური შეთავსება, არამედ პირველ რიგში, არსებული არქიტექტურული და ლანდშაფტური სიტუაციის, ატმოსფეროსა და განწყობილების შენარჩუნება, ხოლო, უკეთეს შემთხვევაში, მისი ახალ ემოციურ რეესტრში განვითარება. არქიტექტორის პროფესიული ღირსება იმაშია, თუ როგორ შეძლებს იგი თავისი ქმნილებით ამოხსნას ისტორიულ გარემოში მთვლემარე ემოციური პოტენციალი და მას ესთეტიკური ზემოქმედების ახალი იმპულსები მიანიჭოს.

* * *

აღტაცებაში მოვსულვარ მსოფლიოს უდიდესი ტაძრებით, ისტორიული ქალაქების, ქანდაკებების და ფრესკების ხილვისას. ემოციები იმდენად ძლიერი იყო, რომ ეჭვიც კი შემპარვია ჩვენს სიდიადეში, მაგრამ გონებით ვუბრუნდებოდი ჯვარს, სვეტიცხოველს, სვანეთს, შატილს და ეჭვიც ქრებოდა.

* * *

კატეგორიუად უნდა აიკრძალოს შენობის ჩაბარება «კარკასში», ეს უდიდეს დისკომფორტს უქმნის ქალაქს, უბანს, ადამიანებს.

* * *

ყველაზე ხანმოკლე? _ სიცოცხლე.

* * *

«დამიჭირეს, მკლავი მომაჭრეს, რატომ კარგი აგიგია» _ რამხელა სიბრძნეა!

პიტერ ბრუკს უთქვამს _ შექსპირი მწვერვალია, რომლის ფერდობები მოფენილია რეჟისორებისა და მსახიობების გვამებით-ო.

* * *

15 მაისი, ხუთშაბათი. 08. საღამოს ტელევიზიით უჩვენებს პრეზიდენტის მოგზაურობა ფოთში, მან მრავალ სხვა საკითხთან ერთად «განიხილა» ფოთის რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქციის პროექტი. აჩვენეს მაკეტი, განაცხადა: ქვემოთ დატოვეთ ძველი შენობა, ზემოთ დააშენეთ მინაო. საინტერესოა, საოპერაციოში თუ შეიყვანდნენ, ეტყოდა ქირურგს – ეს ამოჭერი, ეს დატოვეო?

* * *

მიის ვან დე როე _ «ნაკლები არის მეტი».

* * *

ადოლფ ლოოსი (1908 წ.) _ «ორნამენტი კრიმინალია». «ფუნქცია განსაზღვრავს ფორმას».

* * *

ეს ოხერი სიზმარი სად გაქრა.

* * *

როცა მხატვარში კარგს ვერაფერს ხედავენ, ამბობენ მომავლის მხატვარიაო.

* * *

ადამიანზე ბევრი რამეა დამოკიდებული, ბევრი რამ არა. ის უძლურია სიკვდილთან, მაგრამ მასზეა დამოკიდებული როგორ იცხოვროს.

* * *

დღეს, ბავშვები «გრძელ ვირსაც» კომპიუტერით თამაშობენ.

* * *

ადამიანები მიილტვიან წარმატებისკენ, სიმდიდრისკენ, პოპულარობისკენ და არ იციან, რომ კარგავენ უმთავრესს _ თავისუფლებას. იყო შეუმჩნეველი, ეს ყველაზე დიდი თავისუფლებაა.

* * *

ეძებეთ ქალი? _ არა, ეძებეთ ფული.

* * *

არა მგონია, ერის ბედი უნდა განსაზღვროს იმან, ვინც ყველაზე მეტი კაცდღე გამოიმუშავა მიტინგებზე დგომით და პარლამენტში გინებითა და სკანდალებით.

* * *

«არ ენდოთ არქიტექტორს, რომელმაც არ იცის ხატვა» _ (დიდრო). პერიფრაზი: არ ენდოთ არქიტექტორს, რომელსაც არა აქვს პროფესიული სინდისი.

* * *

სიმახინჯე მარადიულია, სილამაზე _| წარმავალი.

* * *

ისტორია არის ადამიანად ქცევის პროცესი, ზოგჯერ _| პირიქით.

* * *

საქართველო, მუდმივად სხვა ქვეყნების, სხვათა ცხოვრების წესის, სხვათა კულტურის ზეწოლის ქვეშ იყო. ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა რამდენადაც კარგი, იმდენად ცუდია და მუდმივად ითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და მოქნილობას. ჩვენ ვერ წაგვლეკა (წაგვშალა) ბერძნულ-რომაულმა, სპარსულ-ოსმანურმა, არაბ-მონღოლურმა და ვერც რუსულ-საბჭოთა ექსპანსიებმა. თანამედროვე გლობალიზაცია, კომუნიკაციის თანამედრვე საშუალებები, გაცილებით უფრო დიდ საფრთხედ მესახება.

* * *

მოქმედების ქაოტურობა, ხელისუფლების გამოუცდელობის შედეგი კი არა, არამედ პოლიტიკაა, ასეთ პირობებში გაცილებით იოლია საკუთარი მიზნების განხორციელება. რუსეთიც იმავეს სჩადის, განუჭვრეტელობა (непредсказуемость), მსოფლიოს თავზე მუდმივად დამოკლეს ხმალის შეგრძნება – ეს პოლიტიკაა.

* * *

არქიტექტურული კონტექსტი ჩემთვის არ არის მხოლოდ ამა თუ იმ სტილისადმი, მისი ფორმალური მაჩვენებლისადმი ერთგულება, არამედ იმ თვისებების აღდგენა, რომელიც ჩვენთვის ახლო და გასაგებ ატმოსფეროს, განწყობილებებს განაპირობებს.

* * *

ამას მე ხსოვნის, მოგონებების გაღვიძებას ვუწოდებ. ხშირ შემთხვევაში ეს ატმოსფერო განისაზღვრება არა ცალკეული შენობით, არამედ მთელი არქიტექტურული გარემოთი. მაგალითად, ძველი თბილისის ან სვანეთის ატმოსფერო, კოლხეთის ან შატილის განაშენიანების სპეციფიკა, მელნიკის ან ველიკო ტირნოვოს, სამარყანდის ან სუზდალის განწყობილება.

* * *

როგორც ამბობენ, 26 მაისის მოედანი გაიყიდა. როგორ ვერ მიხვდნენ იტალიელები 5-6 საუკუნის მანძილზე იმას, რასაც ქართველები მიხვდნენ წელიწადში. გაეყიდათ ფლორენციის სინიორიის მოედანი თავისი უნიკალური ქანდაკებებით, სან მარკო... მარტო ერთი მოედნის გაყიდვით 5 წელი მაინც იბაირამებდა მთელი იტალია. როგორია?

* * *

გულგრილობით დაავადებული ადამიანი უსამშობლოა, ის ტერიტორიის ფიზიკური ელემენტია. ასეთი კაცი, სადაც გინდა იქ იცხოვრებს, მას სამშობლოს განცდა არა აქვს.

* * *

მერიამ ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ლოჯია-ხუხულების მშენებლობას. მანამდე არ აკრძალეს ეს უმსგავსობა, სანამ რამდენიმე აივანი არ ჩამოინგრა და ადამიანები არ იმსხვერპლა. ამ ლოჯია-ხუხულების სიახლოვეს ჩვენი შვილები და შვილიშვილები თამაშობენ, ისედაც მახინჯი სახლები კიდევ უფრო მახინჯი გახდა. შემდეგ გადაგვთელა ჯიხურებმა, შემდეგ ბენზინგასამართი სადგურების მშენებლობის ეპიდემიამ, თბილისში ერთ მოსახლეზე ერთი ბენზინგასამართი სადგური მოდის. გარდა იმისა, რომ ეს სადგურები გარკვეულწილად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ის უაღრესად საშიშია ექსტრემალურ სიტუაციაში. შემდეგ დაიწყო მიწების უსისტემოდ გაყიდვა, თბილისი ნაჭერ-ნაჭერ გაიყიდა. ეს ჩალის ფასად ნაყიდი მიწების ხელახალი გაყიდვა უკვე მეოთხე-მეხუთე წრეზე ტრიალებს, სულ უფრო მაღალ ფასებში.

* * *

ალბათ, ძაღლი და ცხენი, ბუნების ეს უმშვენიერესი ქმნილებანი, თავის მოდგმაში ისევე ასხვავებენ ლამაზს და მახინჯს, კეთილს და ბოროტს, როგორც ჩვენ ადამიანები.

იყო ბედნიერი, ეს ნიჭია. ეს არ არის დამოკიდებული არც შემოქმედებით წარმატებაზე და არც მატერიალურ კეთილდღეობაზე. როგორც ბუნება აჯილდოებს ადამიანს მუსიკალური, პოეტური, აქტიორული ნიჭით, ისეა ესეც. ამ თვალსაზრისით, არიან ძალზე ნიჭიერნი, არიან საშუალო ნიჭის მქონენი, არიან ისეთებიც, რომელთაც საერთოდ არ დაანათლა ამგვარი ნიჭი ბუნებამ. მე არ ვაკუთვნებ საკუთარ თავს ამ უკანასკნელ კატეგორიას.

* * *

არქიტექტურული ზეიმი, არქიტექტურული წარმატება ისევე უნდა დაიგეგმოს და მომზადდეს, როგორც ნებისმიერი მნიშვნელოვანი სიახლე. ეს «დაგეგმვა» უნდა დაიწყოს ტალანტიდან, თორემ მილიონები შეიძლება წყალს გაჰყვეს. მხოლოდ ტალენტს შეუძლია აქციოს ქვა და ბეტონი ოქროდ. არქიტექტურულ საბჭოებზე ხშირად გაიგონებდით ასეთ რეზიუმეს: «გაასწორეთ პროექტი ექსპერტების შენიშვნების მიხედვით, გაითვალისწინეთ საბჭოს წევრთა სურვილები...» არა, ასე არქიტექტურული ზეიმი ვერ შედგება. ნუთუ ვინმეს სჯერა, რომ შეიძლებოდა შექმნილიყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი – საბჭოთა არქიტექტურის ეს დიდი ნაწარმოები, ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით ან «ნიკორწმინდა» რედაქტორის და ასოთამწყობთა რჩევით.

* * *

არ მახსოვს 1967 თუ 1968 წელი იყო. არქიტექტურის ფაკულტეტზე ნამდვილი «ЧП»-ა. ჩვენი ორი სტუდენტი დააკავა მილიციამ ზოოპარკში «ხულიგნობისათვის», ძლივს დავიხსენით თავდებით. ბიჭებმა ლექციას გასეირნება ამჯობინეს და იქვე ზოოპარკში შეიარეს. კონფლიქტი მაიმუნის ვოლიერთან დაიწყო. მაიმუნმა ერთ-ერთს ნაყინი გამოსტაცა, სტუდენტმაც არ დააყოვნა სამაგიეროს გადახდა, მიაფურთხა, უზუსტესი დარტყმები მიაყენა პირდაპირ თვალებში. ჩვენმა ,,წინაპარმა'' შეურაცხყოფა ვერ აიტანა, გადაფიჩინდა, იწივლა, იკივლა, მთელი ზოოპარკი აამხედრა, თვითონ ნერვიულობისაგან შოკში ჩავარდა. მოცვივდნენ სანიტრები, მილიცია. და აი, სტუდენტები ახლა კათედრაზე იძლევიან «ჩვენებას». ბ-ნი ირაკლი ციციშვილის შეკითხვაზე, რატომ შეურაცხყავი მაიმუნიო, ერთ-ერთმა თავი იმართლა: «პირველად იმან მომაფურთხაო». თავის მართლების ამ «უნიჭიერესმა» ორიგინალურმა სვლამ ისე მოხიბლა მთელი კათედრა, რომ ყველანი კლდედ აღვიმართეთ მათ დასაცავად. ასე გადაურჩნენ ახალგაზრდები კომკავშირულ, პროფკავშირულ და პარ-

ტიულ სამსჯავროს. მეორე დღეს მთელმა თბილისმა იცოდა მაიმუნის უღირსი საქციელის შესახებ, რომელსაც კინაღამ ორი ახალგაზრდის ინსტიტუტიდან გარიცხვა მოჰყვა.

* * *

არქიტექტურული ნაწარმოებისგან ემოციების მიღება განსხვავებულია მუსიკისაგან, ფერწერისაგან, პოეზიისაგან. ხელოვნების ამ დარგებში არ მონაწილეობენ უტილიტარული ფაქტორები, რომლებიც ერთ-ერთი განმსაზღვრელია არქიტექტურულ ნაწარმოებში. ემოციის ხასიათი დიდადაა დამოკიდებული კონკრეტული ადამიანის ფსიქო-ემოციურ ნიშნებთან. ასე მაგალითად: შემჩნეულია, დიდ, უკიდეგანო, უორიენტირო სივრცეში ზოგიერთის შიში, დაუცველობის და მარტოობის გრძნობა ეუფლება. იგი იწყებს ზრუნვას გადარჩენისთვის, თხრის ორმოს, ეძებს თავშესაფარს, ორიენტირს. ზოგიერთს იგივე სივრცე აღაგზნებს და განაწყობს აქტიური მოქმედებისათვის. ჩემი პირადი გამოცდილებიდან შემიძლია გითხრათ, არქიტექტორ ჯონ პორტმანის სასტუმრო ქ. ატლანტაში «Marriot Marquis Hotel»-მა თავისი გიგანტური ატრიუმით აღმაფრთოვანა ადამიანის განუსაზღვრელი შესაძლებლობების შეგრძნებამ, ამავე დროს დამთრგუნა ადამიანის უსუსურობის და უმწეობის გაცნობიერებამ. ამ სივრცეში არის რაღაც ეგვიპტური დესპოტიის პრინციპების მსგავსი რამ, კოლოსის ეფექტი, ადამიანზე მასშტაბური ზეწოლა და დათრგუნვის მისწრაფება.

* * *

ათენის ქარტიამ და კორბუზიეს ქალაქმა 3 მილიონ მაცხოვრებელზე, დიდად განსაზღვრეს XX საუკუნის ქალაქგეგმარების მიმართულება.

* * *

წარსული არ უნდა ჩავთვალოთ დამთავრებულად.

* * *

უდიპლომო არქიტექტორები: ლე კობუზიე, რიკარდო ბოფილი, მანოლო ნუნეს იანოვსკი, ტადაო ანდო, გენიოსი ანტონიო გაუდიც ფაქტობრივად უდიპლომონი იყვნენ, რაღაც სასწავლებელი დაამთავრეს. გთხოვთ, ჩამოთვალოთ მათი ტოლფასი დიპლომირებული არქიტექტორები.

* * *

ალბათ, მოდის მიმდევარ შოტლანდიელ მამაკაცებს კილტის ქვეშ ბიკინები აცვიათ.

* * *

სინდისი კონკრეტული ცნებაა. ის ახასიათებს მხოლოდ ინდივიდს. გაუგებარია «კოლექტივის სინდისი», «კოლექტიური სინდისი», «ხალხის სინდისი», «ერის სინდისი».

* * *

თვითკმარი კაცი ვარ, მუშნი ზარანდიას მიმდევარი _ «კაცი უნდა ეყოს ფულს», ამიტომ ჩემი ინტერესები მხოლოდ ჩვენი პლანეტით – დედამიწით შემოიფარგლება. არ მშურს სხვისი არც სიმდიდრე, არც კარიერა და არც ლამაზი ცოლი.

* * *

სრულყოფილებას თავის მშვენიერება აქვს, არასრულყოფილებას _ თავისი.

* * *

პატივისცემა მოაქვს არა თანამდებობას და ტახტს, არამედ სამართლიანობას, პროფესიონალიზმს და მიზნის მიღწევის წესს, _ აღწევ შედეგს _ «მიზანი ამართლებს საშუალებას» პრინციპით, თავის ქალებზე გადავლით თუ დიალოგითა და დარწმუნებით.

* * *

გვირგვინზე ბევრი ვერ ამბობს უარს, მაგრამ უმეტესობამ არ იცის, რომ გვირგვინი უმკაცრესი გამოცდაა. გვირგვინი ამჟღავნებს თავის ზომას, ის შეიძლება იოლად ჩამოცურდეს კოჭამდე, თუ იმ თავს არ ეკუთვნის, რომელსაც ის დაადგეს.

* * *

განა ცოტაა ადამიანები, რომლებიც არათუ სამარადისოდ ცოცხლობენ, არამედ არც ერთი დღე არ უცხოვრიათ.

* * *

იდეათა ბრძოლაში გამარჯვება მხოლოდ იდეით შეიძლება, აქ ,,კალაშნიკოვი'' ვერაფერს გახდება.

* * *

დღევანდელი არქიტექტურული მრავალსტილიანობა ითხოვს არქიტექტურულ პოლიგლოტობას.

* * *

ნიანგმა თქვენი მტერი რომ გადასანსლოს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის შენი მეგობარია.

* * *

თავადმა გრიგორი პოტიომკინმა 1787 წელს დაპყრობილი უკრაინისა და ყირიმის დიდ სოფლებში, სადაც იმპერატრიცა ეკატერინეს უნდა გაევლო, სახლების ფასადები გადაღება – გაალამაზა. ამ მეთოდს კომუნისტებიც ხშირად იყენებდნენ. არც დღესაა თვალში ნაცრის მიყრა იშვიათობა.

* * *

თუ რაიმეს მიესადაგება ანდაზა «ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი» _ ესაა არქიტექტურა.

* * *

მიმტევებლობა, პატიება განვითარებული საზოგადოების მახასიათებელია, ალბათ, პრიმიტიული ადამიანი უფრო შურისმაძიებელი იყო, ვინემ მიმტევებელი. შურისძიება თანდაყოლილი თვისებაა, მიმტევებლობა შეძენილი, ამ უკანასკნელს აღზრდა, განათლება, ინტელექტი აყალიბებს.

* * *

კომუნიკაციათა არნახულმა პროგრესმა ჩვენი პლანეტის «ცხოვრების თეატრი», ათასობით მცირე სცენიდან ერთ სცენად აქცია.

* * *

დღეს, ინტერნეტის ეპოქაში ადამიანები დაოსტატდნენ კომპილაციაში. კომპილიცია ფერწერაში, არქიტექტურაში, სიუჟეტებში, პოეზიაშიც კი. თუ კარგ კომპოზიციას მცირედი საკუთარი ინტერპრეტაციაც დაემატება, «ნაწარმოები» მზადაა.

* * *

გონიერი კაცი თავისი ფეხით გადის არენიდან, უჭკუო გააქვთ, უკეთეს შემთხვევაში გაჰყავთ.

* * *

როდესაც ადამიანს არ ჰყოფნის ჭკუა, ის პოტენციური ლეგენდიდან შეიძლება არარაობად იქცეს.

* * *

დიდი ნიჭია, შეგეძლოს შეხედო საკუთარ თავს სხვისი თვალით.

* * *

სოციალურმა და პოლიტიკურმა რეალობამ მრავალი ადამიანი უსამშობ-ლოდ აქცია.

* * *

ვიარეთ, ვეძებეთ, ექსპერიმენტები ჩავატარეთ, რა ფული არ დავხარჯეთ, ქართული ფეხბურთი ფეხზე ვერ დადგა. ბოლოს «მივაგენით» საკუთარს _ ქეცბაიას. როდის მიხვდება ამას ხელისუფლება არქიტექტურაში?

* * *

დღეს იმდენი უცხო სიტყვაა ბრუნვაში, რომ უცხო სიტყვათა ლექსიკონის გარეშე ქუჩაში ვერ გამოხვალ, ვერც ტელევიზორს უყურებ, ვერს გაზეთს წაიკითხავ.

* * *

მუზეუმის ვიტრინაში ჰკიდია დამბაჩა სერტიფიკატით, ამ დამბაჩამ მოკ-ლა... ჩამოთვლილია 20-მდე ადამიანი, ნამდვილად მნიშვნელოვანი ექსპო-ნატია.

* * *

პრესა? ტელევიზია? არავითარი ობიექტურობა. აქაც ორი ბანაკია ხელი-სუფლება და ოპოზიცია.

* * *

წავიკითხე, თურქეთის ტერიტორიაზე უნიკალური ქართული ძეგლების რესტავრაციის სანაცვლოდ თურქული მხარე ითხოვს აჭარაში მეჩეთების აშენებას. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ხელისუფლება თანხმდება ამ პირობას, სწორედაც იქცევა, რადგანაც საკითხი ეხება არა რესტავრაციას, არამედ ის-ტორიის გადარჩენას. ყოველი დაყოვნებული დღე რისკის შემცველია. მო-საზრება, რომ ჩვენი ძეგლები ისტორიის, კულტურის ექსპონატებია, ხოლო თურქული მეჩეთები მოქმედი რეგიონალური კერები იქნება, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, მაგრამ ძეგლების გადარჩენა გაცილებით მნიშვნელოვანია. თუ მხოლოდ მეჩეთს (შენობას) შეუძლია ქართველი კაცის სხვა სარწმუნოება-ზე მოქცევა, მაშინ ამას რეალური საფუძველი ჰქონია, რაც ნაკლებად და-საჯერებელია.

* * *

დღევანდელი ქართული ხელოვნება არ ასახავს ქვეყნისა და ერის ტკივილებს, ის უფრო გალაღებული უპრობლემო ერის ხელოვნებაა. კულტურას, როგორც მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ძალას, თანდათან ეცლება ეს უზენაესი ფუნქცია და გადადის საინტერესოს და უინტერესოს, ლამაზის და ულამაზოს კატეგორიაში.

* * *

მხოლოდ ბუნება ქმნის სილამაზეს, მნიშვნელოვანს, დიდს... უფულოდ.

* * *

არქიტექტურის უზურპირების პროცესმა ძალიან ღრმად შეტოპა, არის მცდელობა არქიტექტორი «ხელს ბიჭად» იქცეს. ამას ხელს უწყობს ეკონომიკური სირთულეები, საბაზრო ეკონომიკის «ზნე-ჩვეულებანი», შიში სიმწრით მოპოვებული დაკვეთის დაკარგვისა, აქედან გამომდინარე – ადამიანების მონური მორჩილება, კომპრომისები ყველას და ყველაფრის წინაშე, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. უნდა გვახსოვდეს ყველა დროის ჭეშმარიტება, თუ კი ადამიანი შეეგუება შორის აფარებას, მას აუცილებლად მოჰყვება მათრახი და უნაგირი. ჩვენ, არქიტექტორები, ახლა ბოლო უნაგირის სტადიაში ვართ. ჩვენ წაგვართვეს უფლება წარვმართოთ საკუთარი ქვეყნის არქიტექტურული საქმეები, რასაც გვავალებს პროფესია და არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის წესდება. ქართველი არქიტექტორები მაცქერალნი გავხდით საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე არქიტექტურული პროცესებისა. ყველა საკვანძო არქიტექტურული ობიექტი უცხოელების ხელშია, მათ აქვს უპირატესი ხელშეწყობის პირობები. არქიტექტურა ერის მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროდან გადავიდა მოხმარების სფეროში, მან დაკარგა ეროვნულობის, სულიერი კულტურის და ადგილის ნიშნები. პროექტის ავკარგიანობას განსაზღვრავენ არაპროფესიონალები – შედეგად მივიღეთ ის, რომ დღეს საქართველოში აგებული ნაგებობებიდან ვერც ერთი ვერ აფართოებს არქიტექტურულის ესთეტიკის მიჯნებს.

iskar ualdi

ერთგული მეგობარი

1

ერთ დილას ბებერმა წყლის ვირთაგვამ თავი გამოჰყო სოროდან.

თვალები მძივებივით უბრწყინავდა.

ნაცრისფერი ულვაშები გაბურძგნოდა; ხოლო შავი კუდი რეზინის ზონარს მიუგავდა.

გუბურაში პატარა ჭუკები დაცურავდნენ; ყვითლები, ვითარცა კანარის ჩიტები. თეთრად მოქათქათე, წითელფეხება დედა ჭყუმპალაობას ასწავლიდა მათ.

_ თუ თავდაყირა დგომა არ ისწავლეთ, არასოდეს მიგიღებენ კარგ საზოგადოებაში. _ არიგებდა იგი და ჟამით ჟამამდე თავად უჩვენებდა, თუ როგორ კეთდება ეს.

მაგრამ ჭუკები ყურს არ უგდებდნენ. ისინი ჯერ პაწაწკინტელები იყვნენ და არ ესმოდათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საზოგადოებაში მიღება.

_ როგორი ურჩი ბავშვებია! _ გაბრაზდა წყლის ვირთაგვა. _ მაგათზე ახია დახრჩობა.

_ სრულებითაც არა, _ მოუჭრა იხვმა, _ ყოველი დასაწყისი ძნელია და მშობლებს მოთმინება ჰმართებთ.

_ აჰ, მე ხომ არ მესმის დედის გრძნობები. _ თქვა წყლის ვირთაგვამ. _ მე არ მოვკიდებივარ ოჯახს და, ისე გამოდის, აღარც ვაპირებ გათხოვებას. სიყვარული, რა თქმა უნდა, თავისებურად კარგია; მაგრამ მეგობრობა გაცილებით მაღლა დგას, ხომ მართალია? არაფერია ერთგულ მეგობრობაზე მშვენიერი და ამაღლებული!

_ როგორ ფიქრობთ, რა მოეთხოვება ერთგულ მეგობარს? _ დაინტერესდა მწვანე ჩიტი, მეკანაფია, რომელიც მეზობელ ტირიფზე იჯდა და მთელ ამ საუბარს ყურს უგდებდა.

_ დიახ, დიახ, რა მოეთხოვება ნეტავ? ისე მწადია ამის გაგება! _ თქვა იხვმა. თავად კი გასცურა გუბურის იქითა ნაპირზე, ჩაყვინთა და თავზე დადგა, რათა კარგი მაგალითი მიეცა თავისი ჭუკებისათვის.

_ რა სულელური კითხვაა?! _ ვეღარ მოითმინა წყლის ვირთაგვამ. _ რა თქმა უნდა, ერთგული მეგობარი ჩემი ერთგული უნდა იყოს.

_ თქვენ კი რაღას შესთავაზებდით სანაცვლოდ? _ ჰკითხა ჩიტმა, შეხტა ვერცხლისფერ ტოტზე, შეიფრთხიალა და დააფათქუნა პაწია ფრთები.

_ ვერ გავიგე. _ უპასუხა წყლის ვირთაგვამ.

_ ნება მიბოძეთ მოგიყვეთ ამის თაობაზე ერთი ამბავი. _ თქვა მეკანაფიამ.

_ ჩემზეა? _ გაუხარდა წყლის ვირთაგვას. _ თუ ჩემზეა, სიამოვნებით მოგისმენთ. ვგიჟდები ნატიფ ხელოვნებაზე!

_ კი, ეს ამბავი თქვენც გეხებათ. _ მიუგო მეკანაფიამ, ჩამოფრინდა ტოტიდან, დასკუპდა ნაპირზე და შეუდგა ამბის მოყოლას ერთგული მეგობრის შესახებ.

2

,,ოდესღაც ამ მხარეში უცხოვრია გადასარევ ყმაწვილს, სახელად ჰანსს."

,,გამოჩენილი ადამიანი იყო?" _ ჩაეძია წყლის ვირთაგვა.

,,არა" _ უპასუხა მეკანაფიამ _ ,,მე მგონი, ის სხვა არაფრით გამოირჩეოდა; მხოლოდ _ კეთილი გულით და სასაცილოდ მრგვალი, მხიარული პირისახით.

ცხოვრობდა იგი მარტოხელა, თავის პატარა ქოხმახში და ნიადაგ თავის ბაღში ფუსფუსებდა.

მთელ ამ მხარეში არავის ჰქონდა ასეთი მშვენიერი ბაღი.

ნახავდით იქ თურქულ მიხაკსაც, ლევკოიონსაც, წიწმატურასაც, ბაიასაც.

მათ მხარს უმშვენებდნენ ვარდები _ ალისფერი და ყვითელი;

კროკუსები _ იასამნისფერი და ოქროსფერი;

იები _ ლალისფერი და თეთრი.

შადრევანა და მდელოს გულარი, მაიორანი და ველური რეჰანი, ფურისულა და ზამბახი, ნარგიზი და ყაყაჩო ჰყვაოდა და იფურჩქნებოდა ერთმანეთის მიყოლებით.

თვეებს თვეები ცვლიდა, ყვავილებს _ ყვავილები. ბაღი ყოველთვის თვალს ახარებდა და გამაბრუებელ სურნელებას აფრქვევდა.

ბევრი მეგობარი ჰყავდა პატარა ჰანსს; მაგრამ მათ შორის ყველაზე ერთგული მაინც მეწისქვილე ჰიუ გახლდათ. ისე როგორ ჩაუვლიდა მდიდარი მეწისქვილე პატარა ჰანსის ბაღს, რომ არ გადაყუდებულიყო ღობეზე და არ დაეკრიფა ყვავილების თაიგული ან სურნელოვან ბალახთა კონები. ხოლო თუ ხილი იყო მოწეული, მაშინ ქლიავითა და ალუბლით გაიტენიდა ხოლმე ჯიბეებს.

ნამდვილ მეგობრებს ყველაფერი საერთო უნდა ჰქონდეთო, იტყოდა. პატარა ჰანსი იღიმებოდა და თავს უქნევდა. ძლიერ ეამაყებოდა ასეთი კეთილშობილური აზრებით აღსავსე მაგობარი.

მეზობლებს კი ხანდახან უკვირდათ ხოლმე. მდიდარი მეწისქვილე, ვისაც ექვსი ასეულობით ტომარა ფქვილითა აქვს გამოტენილი, ჰანსისთვის რატომ ერთხელ არაფერს გაიმეტებსო.

მაგრამ ჰანსი ასეთ მითქმა-მოთქმას ყურს არ უგდებდა. მან არ იცოდა უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე მეწისქვილის შესანიშნავი აზრების მოსმენა მეგობრობის თაობაზე.

ჰოდა პატარა ჰანსი მიწყივ ფუსფუსებდა თავის ბაღში. გაზაფხულზე, ზაფ-ხულში და შემოდგომაზე იოლად გაჰქონდა თავი. აი, ზამთრობით კი უჭირდა ხოლმე. აღარც ყვავილები იყო და აღარც ხილი ბაზარში გასაყიდად.

რა ექნა, ითმენდა სიცივესა და შიმშილს. ხშირად უვახშმოდ წვებოდა დასა-ძინებლად და სჯერდებოდა მსხლის გამომშრალ ჩირს ან ერთ მუჭა თხილს. თან ზამთარში სულ მარტო რჩებოდა. ამ დროს მეწისქვილე არასოდეს აკით-ხავდა მას.

,,მე არ უნდა ვეწვიო პატარა ჰანსს, სანამ თოვლს არ აიღებს. _ ეუბნებოდა მეწისქვილე ცოლს. _ როცა ადამიანს უჭირს, სჯობია, მარტო დატოვო და არ შეაწუხო შენი სტუმრობით. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მესმის მეგობრობა და მწამს, რომ მართალიცა ვარ. მოვიცდი გაზაფხულამდე და მაშინ გამოვუვლი. ის ამივსებს კალათას ფურისულებით და ეს მიანიჭებს იმხელა სიხარულს!"

,,შენ სულ სხვებზე ფიქრობ, _ უპასუხა ცოლმა, ვინც მოხერხებულად იჯდა სავარძელზე, ფიჭვის შეშით გაჩაღებულ ბუხართან. _ მხოლოდ სხვებზე! ერთი სიამოვნებაა შენი მოსმენა, როცა მეგობრობაზე მსჯელობ. ჩვენი მღვდელი რო მღვდელია, იმასაც კი არ ეხერხება ასეთი ენამზეობა; თუმცა სამსართულიან სახლში ცხოვრობს, ბეჩა, და ნეკათითს ოქროს ბეჭედი უმშვენებს."

,,არ შეიძლება პატარა ჰანსი აქ მოვიწვიოთ?" _ ჰკითხა მეწისქვილეს მისმა უმცროსმა ბიჭუნამ. _ თუ ბეჩავ ჰანსს უჭირს, მე ვუწილადებ ჩემს ფაფას და ვა-ჩვენებ ჩემს თეთრ ბაჭიებს."

,,როგორი ჩურჩუტი ხარ! _ დატუქსა მეწისქვილემ. _ პირდაპირ არ ვიცი, ღირს კი შენი გაშვება სკოლაში? მაინც ვერაფერს ისწავლი. ჰანსი ჩვენთან რომ მოვიდეს და ნახოს ჩვენი თბილი კერა, მსუყე ვახშამი და წითელი ღვინით სავსე ძვირფასი ხელადა, რა გამოვა აქედან? მას შეშურდება ჩვენი. ხოლო არა-ფერია ქვეყნად შურზე უარესი. ის ნებისმიერ ადამიანს გააფუჭებს. მე კი არ მინდა, რომ ჰანსი გაფუჭდეს. მე მეგობარი ვარ მისი და სულ ვიზრუნებ მასზე. ეშმაკს არ სძინავს და ემანდ რამე ცდუნებას არ აჰყვეს.

ახლა მეორე მხრიდანაც შევხედოთ საკითხს: ჰანსი ჩვენთან რომ მოვიდეს, მოინდომებდა ცოტაოდენი ფქვილის სესხებას. მე კი ვერ ვასესხებ. ფქვილი ერთია, მეგობრობა _ მეორე. ნურვინ გაჰრევთ ერთმანეთსა. ეს ორი სიტყვა სხვადასხვანაირად იწერება და სხვადასხვა რამესაც ნიშნავს. მე მგონი ყველას-თვის ნათელია, არა?"

,,რა კარგად ლაპარაკობ! _ ჩაურთო ცოლმა და დიდი ტოლჩა შემთბარი ბუ-რახით გაიპიპინა. _ კინაღამ არ ჩამთვლიმა? ზუსტად ისე, როგორც წირვაზე, ეკლესიაში!"

,,ქცევით ბევრნი იქცევიან კარგად, _ მიუგო მეწისქვილემ, _ მაგრამ კარგად ლაპარაკი ცოტა ვინმეს თუ ეხერხება. ასეა, ლაპარაკი ბევრად უფრო ძნელია: ამიტომ _ უფრო დასაფასებელიც."

მეწისქვილემ მკაცრად გადახედა პატარა ბიჭუნას მაგიდის მეორე ბოლოში. ბიჭუნას ისე რცხვენოდა თავისი სულელური ნათქვამის გამო, რომ თავი და-ხარა, გაწითლდა, ცრემლები გადმოსცვივდა და ღაპა-ღუპით ჩაეწვეთა ჩაიში.

რა ვუყოთ, ვაპატიოთ. ის ჯერ ხომ ასე პატარა იყო?!

3

_ სულ ეს იყო? _ იკითხა წყლის ვირთაგვამ.

_ რას ამბობ? _ უპასუხა მეკანაფიამ. _ ეს მხოლოდ დასაწყისია.

_ თქვენ, გეტყობათ, ერთობ ჩამორჩენილხართ. _ შენიშნა წყლის ვირთაგვამ. _ ჩვენს დროში ყოველი წესიერი მთხრობელი იწყებს ბოლოდან, მერეღა გადადის დასაწყისზე და ამთავრებს შუა ნაწილით. ეს უახლესი მეთოდია.

ასე თქვა ერთმა კრიტიკოსმა, ვინც ამ დღეებში ვიღაც ჭაბუკთან ერთად სეირნობდა ჩვენი გუბურის გარშემო. ის დიდხანს მსჯელობდა ამ თემის ირგვლივ და ნამდვილად არ ცდებოდა, რაღაი ქაჩალი ბრძანდებოდა და ლურჯი სათვალე ცხვირზე ეკეთა.

თან საკმარისი იყო ჭაბუკი ოდნავ მაინც შედავებოდა, რომ მაშინვე დაეტუქსა, მიჰქარავო.

მაგრამ გთხოვთ, განაგრძოთ. მე გაგიჟებამდე მომწონს თქვენი მეწისქვილე. მე ხომ თვითონაც სავსე ვარ ამაღლებულ გრძნობებით და ამიტომ მშვენივრად მესმის მისი.

,,ჰოდა _ განაგრძო მეკანაფიამ და ფეხი მოინაცვლა _ როგორც კი მიიწურა ზამთარი და ყვითლად იფეთქა ვარსკვლავიანმა ფურისულამ, მეწისქვილემ ცოლს განუცხადა, დრო არის პატარა ჰანსი მოვინახულოო.

,,შენ ოქროს გული გაქვს! _ წამოიძახა ცოლმა. _ შენ სულ სხვებზე ფიქრობ! ბარემ კალათაც წაიძღვანიე ყვავილებისთვის."

მეწისქვილემ ქარის წისქვილის ფრთები რკინის მძიმე ჯაჭვით მიაბა კარის სახელურზე და დაეშვა ბორცვიდან კალათით ხელში.

,,გამარჯობა, პატარა ჰანს! _ მიესალმა მეწისქვილე.

,,გაგიმარჯოთ!" _ უპასუხა პატარა ჰანსმა. თან ბარზე დაეყრდნო და ყურებამდე გაიღიმა.

,,აბა მითხარ, როგორ გაატარე ზამთარი."

,,რა თავაზიანი ხართ, ამას რომ მეკითხებით!" _ აღტაცებით წამოიძახა პატარა ჰანსმა. _ მართალი გითხრათ, ზოგჯერ მიჭირდა კიდეც. მაგრამ, მადლობა ღმერთს, გაზაფხულდა. ახლა მეც კარგადა ვარ და ჩემი ყვავილებიც".

,,ჩვენ კი ზამთარში გახსენებდით ხოლმე, ჰანს. _ თქვა მეწისქვილემ. _ სულ ვფიქრობდით, როგორა ხარ შენ მანდ."

,,თქვენ ისე მოწყალე ბრძანდებით! _ მიუგო ჰანსმა. _ მე კი, ცოტა არ იყოს, შემეშინდა, ხომ არ დავავიწყდით-მეთქი."

,,შენი გამკვირვებია, ჰანს, _ თქვა მეწისქვილემ _ მეგობრების დავიწყება სად გაგონილა?! მეგობრობა ამითაა ღირსშესანიშნავი. მაგრამ შენ, ვშიშობ, არ გესმის ცხოვრების მთელი პოეზია. რა მაგის პასუხია და როგორ გაფურჩქნულა შენი ფურისულები!"

,,მართლაც რომ დიდებულად გაიფურჩქნა. _ დაეთანხმა ჰანსი. _ გამიმართლა, რომ ასეთი მოსავალი მოვიწიე. ხვალ ან ზეგ ბაზარზე გავიტან, მივყიდი ბურგომისტრის ასულს და იმ ფულით გამოვისყიდი ჩემს ურიკას."

,,გამოვისყიდიო? იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ დააგირავე? აი, სისულელე, თუ გინდა!"

,,რა გაეწყობა? _ მიუგო ჰანსმა _ ასე იცის გაჭირვებამ. ზამთარში გამიჭირდა-მეთქი. დრო არის ისეთი. პურის ფული არა მქონდა. მეც ავდექი და ჯერ ჩემი საგარეო ქურთუკის ვერცხლის ღილები დავაგირავე, მერე ვერცხლის ძეწკვი, მერე ჩემი დიდი ჩიბუხი, ბოლოს კი ურიკა. მაგრამ ახლა ყველაფერ ამას გამოვისყიდი."

,,ჰანს, _ თქვა მეწისქვილემ _ მე გაჩუქებ შენ ჩემს ურიკას! მართალია, ის ცოტა წესრიგში ვერ არის. ერთი გვერდი აღარა აქვს და ბორბლებიც მოერღვა. მაგრამ ჯანდაბას, მაინც გაჩუქებ.

მესმის, როგორი ხელგაშლილობაცაა ჩემი მხრიდან. რამდენს გაუკვირდება: რა სისულელეს ჩადის, ურიკას რომ ელევაო.

მაგრამ არა უშავს. მე სხვებს როდი ვგავარ. ხელგაშლილობის გარეშე არაა მეგობრობა. მით უმეტეს: მე ჩემთვის უკვე შევიძინე ახალი ურიკა. ასეა, ურიკაზე აღარ იდარდო. ის მე მიჩუქნია."

,,თქვენ მართლა ისე გულუხვი ბრძანდებით!.. _ წამოიძახა პატარა ჰანსმა და მისი სასაცილოდ მომრგვალო სახე სიხარულისგან გაბრწყინდა. _ მე ფიცარი მაქვს და სულ ადვილად შევაკეთებ."

,,ფიცარიო? _ გაუხარდა მეწისქვილეს. _ მე სწორედ ფიცარს დავეძებ. ბეღლის სახურავი მაქვს შესაკეთებელი. იქ დიდი ხვრელი გაჩნდა და სასწრაფოდ თუ არ შევაკეთე, მთელი ხორბალი დამიობდება.

კარგია, რომ გაგახსენდა ეგ ფიცარი. უბრალოდ, გასაკვირია: როგორ შობს ხოლმე ერთი კეთილი საქმე მეორეს. მე გაჩუქე ურიკა, შენ კი გადაწყვიტე მაჩუქო ფიცარი. მართალია, ურიკა ბევრად ძვირფასია ფიცარზე, მაგრამ ნამდვილი მეგობრები ამას არ დაგიდევენ.

გამოიტანე ბარემ ეგ შენი ფიცარი და დღესვე შევუდგები საქმეს. ხომ იცი, საქმე წინ წაგდებული სჯობია."

,,ახლავე!" _ წამოიძახა ჰანსმა, ცქვიტად გაიქცა ქოხისკენ და გამოათრია ფიცარი.

,,ჰოო, ფიცარი დიდი ვერაფერი შვილი ყოფილა, პატარაა. _ შენიშნა მეწისქვილემ, როცა დაათვალიერა. _ მე რომ სახურავს შევაკეთებ, შენი ურიკისთვის აღარაფერი მორჩება. მაგრამ რა ვქნა, ეს უკვე ჩემი ბრალი არაა.

ახლა კი საქმეზე გადავიდეთ. რაღაი მე ურიკა გაჩუქე, შენ, იმედია, ისურვებ, ბლომად ყვავილები მაჩუქო. აჰა, კალათა, გაავსე იგი პირთამდე."

,,პირთამდე?!" _ კვნესით აღმოხდა ნირწამხდარ ჰანსს. კალათა ძალიან დიდი იყო. თუ მას პირთამდე აავსებდა, ბაზარზე გასატანად აღარაფერი დარჩებოდა. მას კი ისე ძალიან ეწადა თავისი ვერცხლის ღილების გამოსყიდვა!

,,აი ხომ ხედავ? _ ეწყინა მეწისქვილეს. _ მე გაჩუქე ურიკა და მეგონა, რომ შემეძლო მეთხოვა შენთვის ცოტაოდენი ყვავილები. მეგონა, თუ ნამდვილმა მეგობრობამ არ იცის ზომა და ანგარიში. შევმცდარვარ, როგორც ჩანს."

,,ჩემო ძვირფასო მეგობარო! ჩემო საუკეთესო მეგობარო! _ წამოიძახა პატარა ჰანსმა. _ გაზიდეთ თუნდაც ყველა ყვავილი ჩემი ბაღიდან! თქვენი კე-

თილი აზრები ჩემთვის გაცილებით ძვირფასია რომელიღაც ვერცხლის ღილებზე!”

და ის დატრიალდა, ერთიანად დაკრიფა თავისი საოცარი ფურისულები და პირთამდე გაავსო მეწისქვილის კალათა.

,,ნახვამდის, პატარა ჰანს!” _ დაემშვიდობა მეწისქვილე და გასწია თავისი ბორცვისკენ ფიცრით მხარზე და დიდი კალათით ხელში.

,,ნახვამდის!” _ უპასუხა პატარა ჰანსმა და მხიარულად შეუდგა ბარვას. მას ძლიერ უხაროდა ურიკის ჩუქება.

4

მეორე დღეს, როცა პატარა ჰანსი ცხრატყავას ყლორტებს ფრთხილად ასწორებდა და ფრთებზე აწვენდა, მას მეწისქვილის ძახილი მოესმა. მაშინვე გადმოხტა კიბიდან, მიირბინა ღობესთან და გზას გახედა.

იქ მეწისქვილე იდგა. ზურგზე ფქვილით სავსე უშველებელი ტომარა ეკიდა.

,,საყვარელო ჰანს, _ უთხრა მეწისქვილემ, _ ამ ტომარა ფქვილს ბაზარზე ხომ არ წამიღებ?”

,,ოჰ, როგორ ვწუხვარ, _ უპასუხა ჰანსმა _ მაგრამ, მართალი გითხრათ, დღეს ძალიან დაკავებული ვარ. სუყველა ხვართქლი მაღლა მაქვს ამოსაწევი, ყვავილები _ მოსარწყავი და ბალახი _ მისაჭრელი.”

,,ეს აღარაა მეგობრობა! _ მოჭრა მეწისქვილემ. _ მე ურიკის ჩუქებას გიპირებ. შენ კი დახმარებაზე უარს მეუბნები.”

,,ოჰ, ნუ ამბობთ ასე! _ წამოიძახა პატარა ჰანსმა. _ მე არაფრისდიდებით არ მინდოდა არამეგობრული საქციელი!”

ეს თქვა, შევარდა ქოხში ქუდისათვის, წამოიკიდა უფროსი მეგობრის საპალნე და დაადგა გზას ბაზრისკენ.

დღე იყო ცხელი, გზა _ მტვრიანი. მეექვსე მილზე ჰანსი ისე დაიქანცა, რომ სულის მოსათქმელად ჩამოჯდა. მერე ისევ ძალა მოიკრიბა და გზა განაგრძო.

ბოლოს მიაღწია ბაზრამდე. მალე ფქვილიც კარგ ფასად გაყიდა და საჩქაროდ უკანვე გამოსწია.

რას იზამდა, დრო აღარ რჩებოდა. თუ დააყოვნებდა, შებინდდებოდა კიდეც და შესაძლოა გზაზე ყაჩაღებს გადაჰყროდა.

,,ძნელი დღე მქონდა. _ თქვა ჰანსმა თავის გულში, როცა ლოგინში წვებოდა. _ მაგრამ მაინც მიხარია, რომ არ გავაწბილე მეწისქვილე. ასეა თუ ისე, ჩემი საუკეთესო მეგობარია. თან ურიკის ჩუქებასაც დამპირდა.”

მეორე დღეს მეწისქვილემ დილაუთენია მოაკითხა ფულისათვის. პატარა ჰანსს ისე ჩასძინებოდა, რომ საწოლში დახვდა მეგობარს.

,,დიდი ზარმაცი კი ყოფილხარ. _ უსაყვედურა მეწისქვილემ. _ მე ურიკის ჩუქებას გიპირებ; შენ კი, ვფიქრობ, მეტი გულმოდგინება გმართებს. დაუდევრობა დიდი მანკიერებაა. მე არ მინდა უქნარა და ზარმაცი მეგობარი მყავდეს.

არ გეწყინოს, რომ ასე გულახდილი ვარ. ასეთ გულახდილობას რა მრჯიდა, მეგობარი რომ არ ვიყო. რა ხეირი მეგობრობისგან, თუ არ იტყვი ყველაფერს, რასაც ფიქრობ?

მაამებელი სიტყვებით ყბედობა, პირფერობა და კვერის დაკვრა ყველას შეუძლია. ნამდვილი მეგობარი კი მხოლოდ მწარე სიმართლეს ამბობს და არასოდეს ერიდება წყენინებას. მან იცის, რომ ამით სიკეთეს შვრება."

,,არ გამიბრაზდეთ. _ სთხოვა პატარა ჰანსმა. თან თვალებს იფშვნეტდა და საღამისო ჩაჩს იხდიდა. _ გუშინ ისე დავიღალე, რომ მომინდა ცოტა ნებივრობა ლოგინში და ჩიტების ჟღურტულით დატკბობა. მე ხომ ყოველთვის უკეთ ვმუშაობ, როცა ჩიტების გალობას მოვუსმენ."

,,რა გაეწყობა; თუ ასეა, მოხარული ვარ. _ მიუგო მეწისქვილემ და ზურგზე ხელი მოუტყაპუნა. _ მეც ხომ იმის სათქმელად მოვედი, რომ ადგომისთანავე ჩემთან ამოხვიდე წისქვილზე. ბეღლის სახურავია შესაკეთებელი, ვთქვი, იმისი არ იყოს"...

საბრალო ჰანსს ტანში გააცია. დღეს უსიკვდილოდ უნდოდა ემუშავა ბაღში. უკვე მესამე დღე იყო, ყვავილები არ მოურწყავს. მაგრამ მეწისქვილეს ვერ გააწბილებდა. ის ხომ ასეთი კეთილი მეგობარი ჰყავდა!

,,თუ გეტყვით, რომ დრო არა მაქვს, ძალიან არამეგობრული იქნება?" _ ჰკითხა გაუბედავად, გაბზარული ხმით.

,,რასაკვირველია. _ უპასუხა მეწისქვილემ. _ ძალიან ბევრს, მგონია, არ ვითხოვ შენგან. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაპირებ ურიკის ჩუქებას. მაგრამ რაღაი უარზე ხარ, წავალ და მე თვითონ შევაკეთებ."

,,რაო? რას ამბობთ, როგორ შეიძლება!" _ წამოიძახა ჰანსმა. ელვის სისწრაფით წამოხტა ლოგინიდან, ჩაიცვა და გაეშურა ბეღლის შესაკეთებლად.

მუშაობდა მზის ჩასვლამდე.

მზის ჩასვლის ჟამს მეწისქვილე მოვიდა ნამუშევრის შესამოწმებლად.

,,რაო, ჰანს, როგორაა ჩემი სახურავი?" _ იკითხა მხიარულად.

,,მზადაა!" _ უპასუხა ჰანსმა და დაეშვა კიბეზე.

,,ოჰ, არ არსებობს უფრო საიამოვნო საქმე, ვიდრე სხვისთვის შრომაა!" _ თქვა მეწისქვილემ.

,,თქვენი მოსმენა ერთი სიამოვნებაა! _ უპასუხა ჰანსმა. თან ჩამოჯდა და შუბლიდან ოფლის ღვარი მოიწმინდა. _ დიახ, უდიდესი სიამოვნება! მე ალბათ არასოდეს მექნება ასეთი ამაღლებული აზრები."

,,ის დროც მოვა. _ დააიმედა მეწისქვილემ. _ მთავარია, ცდილობდე. ჯერ შენ მეგობრობის პრაქტიკა იცი მხოლოდ. როდისმე თეორიასაც დაეუფლები."

,,თქვენ მართლა ასე ფიქრობთ?" _ თვალები გაუბრწყინდა ჰანსს.

,,ეჭვიც არ მეპარება. _ უპასუხა მეწისქვილემ მთელი დღის მოშიებულ და მისავათებულ მეგობარს. _ მაგრამ სახურავი უკვე შეკეთებულია და დროა შინ დაბრუნდე. წესიერად დაისვენე. ხომ იცი, ხვალ ჩემი ცხვარი უნდა წაასხა მთაში."

საწყალმა პატარა ჰანსმა ვერ გაბედა შეპასუხება და დილაადრიან, როცა მეწისქვილემ ცხვარი მოურეკა ზედ ჭიშკართან, ფარას გაუძღვა მთისკენ.

მთელი დღე დასჭირდა ცხვრის წასხმას იალაღებზე და მორეკვას უკანვე. სახლში ისე დაქანცული შემოვიდა, რომ პირდაპირ სავარძელში ჩამოეძინა. მზე გვარიანად მაღლა იდგა, რომ გამოეღვიძა.

,,აი, დღეს კი ალალად გავირჯები ჩემს ბაღში!" _ დაიფიცა მან და მაშინვე შეუდგა მუშაობას.

მაგრამ სულ ისე გამოდიოდა, რომ ვერ იცლიდა თავისი ყვავილებისთვის. მეგობარი წარამარა აკითხავდა და ხან სად გააგზავნიდა, ხან სად; ხანაც წისქვილზე ამოჰყავდა სამუშაოდ.

პატარა ჰანსს თანდათან სასოწარკვეთილება იპყრობდა; ემანდ ყვავილებს არ ეფიქრათ, რომ პატრონმა მთლად ხელი ააღო. თავს იმითღა ინუგეშებდა, რომ მეწისქვილე მისი სუკეთესო მეგობარია. ,,ესეც რომ არ იყოს, ის ხომ ურიკის ჩუქებას მიპირებს. _ დაუმატებდა ბოლოს. _ ეს კი საოცარი გულუხვობაა მისი მხრიდან!"

ასე შრომობდა და ცხოვრობდა პატარა ჰანსი მეწისქვილისთვის. ისიც ლამაზ სიტყვებს არ იშურებდა მეგობრობის შესამკობად. ამ სიტყვებს პატარა ჰანსი უბის წიგნაკში იწერდა და ღამღამობით კითხულობდა, რადგან ბეჯითი მოსწავლე იყო.

ერთხელაც, საღამოს, როცა პატარა ჰანსი თავის პატარა ბუხართან იჯდა, კარებში ბრახუნი გაისმა.

ყიამეთი ღამე იყო, ქარიშხლიანი. ქარი ისე გრიალებდა და ღმუოდა ირგვლივ, რომ ჰანსს თავიდან კარებზე ბრახუნი ქარის ხმაურად მოეჩვენა. მაგრამ კარებზე ისევ დააბრახუნეს. შემდეგ მესამედაც. ამჯერად კიდევ უფრო ძლიერად.

,,ალბათ, მგზავრი თუა, ღია ცის ქვეშ დარჩენილი." _ იფიქრა ჰანსმა და ეცა კარებს.

ზღურბლზე მეწისქვილე იდგა. ერთ ხელში ფარანი ეჭირა, მეორეში _ კომბალი.

,,საყვარელო ჰანს, _ დაიწყო მეწისქვილემ, _ ცუდი ამბავი დამემართა. ჩემი პატარა ვაჟი კიბიდან გადმოვარდა და დაშავდა. ექიმთან უნდა წავიდე. მაგრამ ექიმი ისე შორს ცხოვრობს, ხოლო ღამე ისე ავდრიანია, რომ სჯობია, ისევ შენ წახვიდე. მე ხომ ურიკის ჩუქებას გიპირებ. ამიტომ, საცა სამართალია, პატარა შენც კი უნდა გაისარჯო ჩემთვის."

,,რა თქმა უნდა! _ იყვირა პატარა ჰანსმა. _ ეს იმხელა პატივია ჩემთვის, პიდაპირ მე რომ მომაკითხეთ! მე ახლავე გავიქცევი ექიმთან. მხოლოდ მათხოვეთ ფარანი. გარეთ ძალიან ბნელა და მეშინია, სადმე თხრილში არ ჩავვარდე."

,,დიდი სიამოვნებით გათხოვებდი, _ უპასუხა მეწისქვილემ, _ მაგრამ ეს ახალთახალი ფარანია და მეშინია, რამე არ მოუვიდეს."

,,არა უშავს, უფარნოდაც იოლად გავალ!" _ წამოიძახა პატარა ჰანსმა, გაეხვია დიდ ქურქში, დაიხურა თბილი წითელი ქუდი, მოიხვია ყელზე კაშნე და თავი მისცა ქარიშხლიან წკვარამს.

ო, რა საშინლად გუგუნებდა ქარბუქი! ისეთი წკვარამი იდგა, რომ პატარა ჰანსი ვერაფერს არჩევდა თვალწინ. ქარი კი ისეთი ძალით ეხეთქებოდა, რომ

თავს ძლივს იმაგრებდა. ბოლოს მეგობრობამ თავისი გაიტანა და სამ საათში მიაღწია კიდეც ექიმის სახლს. კარებზე დააკაკუნა.

,,ვინ არის?" _ იკითხა ექიმმა და საძინებლის ფანჯრიდან თავი გამოჰყო.

,,მე ვარ, ექიმო, პატარა ჰანსი."

,,ჩემგან შენ რა დაგჭირვებია, პატარა ჰანს?"

,,მეწისქვილის ბიჭუნა ჩამოვარდა კიბიდან და დაიმტვრა. მეწისქვილე გთხოვს, სასწრაფოდ მომაშუროსო."

,,კეთილი!" _ უპასუხა ექიმმა და განკარგულება გასცა. მოართვეს ცხენი, ჩექმები და ფარანი. ექიმი გაეშურა მეწისქვილის სახლისკენ. ჰანსი ფინიასავით უკან აედევნა.

ქარი ძლიერდებოდა. კოკისპირულად წვიმდა. პატარა ჰანსი ვერ ახერხებდა ცხენის მიდევნებას და ალალბედზე მიიკვლევდა გზას. აებნა კიდეც კვალი და თავი ამოჰყო ძალიან საშიშ ჭაობში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ღრმა ორმოები იყო.

სწორედ იქ პატარა ჰანსი დაიხრჩო კიდეც.

მეორე დღეს მწყემსებმა იპოვეს პატარა ჰანსი წყლით გაპიპინებულ დიდ ორმოში და ცხედარი მის პატარა ქოხში მიასვენეს.

ყველანი მოვიდნენ პატარა ჰანსის დასაფლავებაზე, რადგანაც ის ყველას უყვარდა. ყველაზე ძალიან კი მაინც მეწისქვილე გლოვობდა.

,,მისი საუკეთესო მეგობარი მე ვიყავი. _ ამბობდა ის. _ ამიტომ, საცა სამართალია, მთავარი ჭირისუფალი მე უნდა ვიყო."

და მიუძღოდა იგი სამგლოვიარო მსვლელობას. გრძელი შავი ლაბადა ეცვა და ჟამით ჟამამდე თვალებს დიდი ცხვირსახოცით იმშრალებდა.

,,პატარა ჰანსის სიკვდილი დიდი დანაკარგია ყველა ჩვენგანისთვის!" _ თქვა მჭედელმა, როცა დაკრძალვის მერე ყველამ თავი მოიყარა მყუდრო დუქანში. იქ მიირთმევდნენ სურნელოვან ღვინოს და ზედ გემრიელ ღვეზელებს ატანდნენ.

,,უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის! _ გამოეპასუხა მეწისქვილე. _ მე ხომ მას, ლამის არის, ვაჩუქე ჩემი ურიკა. ახლა კი წარმოდგენა არა მაქვს, რა ვუყო მას. სახლში ის მხოლოდ ადგილს იკავებს, სხვა არაფერი. ყიდვითაც არავინ იყიდის, ისეა ღრანჭმოქცეული და დალეწილი.

არა, ამიერიდან უფრო წინდახედული ვიქნები. მორჩა, ჩემგან ვერავინ ვეღარაფერს ეღირსება. ხელგაშლილობას ყოველთვის ზარალი მოაქვს!"

5

_ მერე? მერე რაღა მოხდა? _ იკითხა წყლის ვირთაგვამ.

_ მორჩა, ეგ იყო. _ უპასუხა მეკანაფიამ.

_ რა ბედი ეწია მეწისქვილეს?

_ წარმოდგენა არა მაქვს. _ მიუგო მეკანაფიამ. _ მართალი გითხრათ, არც მაინტერესებს.

_ ზედვე გეტყობათ, რომ უგულო ვინმე ბრძანდებით. _ შენიშნა წყლის ვირთაგვამ.

_ ვეჭვობ, ამ მოთხრობის მორალს თქვენ ჩაწვდეთ. _ შეაწყვეტინა მეკანაფიამ.

_ რაო, რას ჩავწვდე? _ ჰკითხა წყლის ვირთაგვამ.

_ მორალს.

_ აჰა! ამ მოთხრობაში მორალია?

_ მაშ? _ მიუგო მეკანაფიამ.

_ თუ ასეა, _ დაიწრიპინა წყლის ვირთაგვამ გაბრაზებით _ წინასწარ უნდა გაგეფრთხილებინეთ. მაშინ ხომ ყურს არ დაგიგდებდით და დროს არ დავკარგავდი. მეც იმ კრიტიკოსივით გეტყოდით, მიჰქარავო, და მორჩა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ახლაა გვიან.

და მან მთელი ძალით დაიწრიპინა: ,,მიჰქარავ!"; მერე გაიქნია კუდი და სოროში მიიმალა.

_ ერთი ეს მიბრძანეთ, როგორ მოგწონთ, გოგოებო, ეს ვირთაგვა? _ იკითხა იხვმა, რომელიც ნაპირისკენ მოცურავდა. _ მას, რასაკვირველია, ბევრი კარგი თვისება აქვს, მაგრამ მე სხვა რამეს მოგახსენებთ. ჩემში ისე ძლიერია დედობრივი გრძნობა, რომ თავდაჯერებული შინაბერას დანახვაზე თვალები ცრემლით მევსება.

_ მგონია, ცოტა ნაწყენი დამრჩა. _ მიუგო მეკანაფიამ. _ წარმოგიდგენიათ? მე მას გავუბედე ჭკუის სასწავლებელი ამბის მოყოლა!

_ რას ამბობთ, ეს ხომ სახიფათო საქმეა! _ კვერი დაუკრა იხვმა.

მეც სავსებით ვეთანხმები მას.

ინგლისურიდან თარგმნა
ზურაბ ხასაიამ

✍ igor kveselava

ედუარდ შევარდნაძის პიროვნულ-პოლიტიკური სახისმეტყველების შტრიხები

1991 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს ხელისუფლებამ გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა და ვერ შეძლო აელაგმა ოპოზიციის მცირერიცხოვანი შეიარაღებული ფორმირებები. იმ დროისათვის, თბილისის ზღვაზე დაბანაკებული, თ. კიტოვანის ჯგუფის დაპატიმრება ადვილად შეეძლო ხელისუფლების სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ ზვიად გამსახურდია კონფლიქტის გამწვავებაზე არ წავიდა, თუმცა შემდგომში ამბოხებულები გაძლიერდნენ და რეალური საფრთხე შეუქმნეს პრეზიდენტის რეზიდენციას, პარლამენტსა და მთავრობას.

არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთ ქმედებებს ხელისუფლება ოპოზიციურ ძალებს არ აპატიებდა, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტი ამჯობინებდა ოპოზიციის შეიარაღებულ გამოსვლებს «ვარდების სროლით» შეხვედროდა.

სახელმწიფო გადატრიალება მოსკოვში დაიგეგმა, ხოლო მისი განხორციელება თავის თავზე აიღეს კიტოვან – სიგუა – იოსელიანის მცირერიცხოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა და თბილისში განლაგებულმა რუსეთის სამხედრო ნაწილებმა.

არსებობს ფაქტები, რომ შევარდნაძე მოსკოვში სისტემატურად ხვდებოდა გადატრიალების მთავარ მონაწილეებს, ისმენდა ინფორმაციებს, აძლევდა დავალებებს და ხელისუფლების დამხობისათვის საჭირო, პოლიტიკური, ორგანიზაციული, ფინანსური, იდეოლოგიური და სხვა საშუალებებით უზრუნველყოფდა.

გადატრიალების «ცხელ დღეებში», შევარდნაძე სისტემატურად ეთათბირებოდა ტელეფონით ოპოზიციის ლიდერებს, იძლეოდა განკარგულებებს და ბრძანებებს. ცნობილია ჩანაწერები, თუ როგორი მკაცრი ტონით ესაუბრება ის გ. ყარყარაშვილს, ორი დღით მთავრობის სახლის დაბომბვის შეჩერების გამო. მოსკოვის «ბინადარი» მოითხოვდა სახელმწიფო გადატრიალების განსახორციელებლად მთელი თბილისი მოემზადებინათ. შევარდნაძემ მხარდამჭერების მოძებნა ქართულ ეკლესიაშიც მოახერხა. მაშინ საპატრიარქომ ვერ შეძლო მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოეხატა სა-

ხელმწიფო გადატრიალების მიმართ. ქაშუეთის ეკლესია ტყვია-წამლის საწყობად გადაიქცა და მის სხვენზე დამონტაჟებული ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლს უშენდნენ პრეზიდენტის რეზიდენციას და მთავრობის სახლს. ტყვია-წამალი და იარაღი შეტანილი იყო თბილისში მდებარე სხვა ეკლესიებშიც.

ამჟამად, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს შევარდნაძის პიროვნულ-პოლიტიკური საქმიანობის სრული დახასიათება, მაგრამ მკითხველს უნდა მივაწოდოთ, მუდმივად ორმაგი სტანდარტით მოქმედი პოლიტიკური ფიგურის ანტიეროვნული საქმიანობის ზოგიერთი შტრიხი.

კომუნისტური ეპოქის შევარდნაძე «რუსიფიკაციის» გაძლიერებას და სხვა არამკვიდრი ერების დემოგრაფიული ექსპანსიის ხელშეწყობას ემსახურებოდა. კრემლის მიერ, საბჭოთა რესპუბლიკის მმართველად დანიშნულ კომუნისტ ბელადს, «საქართველოში მზე ჩრდილოეთიდან ამოჰყავდა» და მას ასე ამართლებდა: «გეორგიევსკის ტრაქტატი რომ არ ყოფილიყო, რა დაემართებოდა საქართველოს? შევთხოვდით, მუხლებზე ვიდექით, რუსეთის შემადგენლობაში რომ შევსულიყავით და რუსეთის მეფის მფარველობა მიგვეღო».

საყოველთაოდ ცნობილია, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისათვის სამზადისის შევარდნაძისეული იდეოლოგიური, ორგანიზაციულ-სამეცნიერო-საგანმანათლებლო, მხატვრულ-შემოქმედებითი და სხვა სახის პროექტები, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ 1991 წლის ნოემბერში, გაზეთ «ნეზავისიმაია გაზეტას» ჟურნალისტის ანდრეი ყარაულოვისათვის მიცემულ ინტერვიუში ე. შევარდნაძე კვლავ დაადასტურებდა თავის მონურ დამოკიდებულებას რუსეთის იმპერიული სულისკვეთებისადმი და ბრძანებდა: «მე გულწრფელად ვამბობდი... და ახლაც ვიტყვი: საქართველო რუსეთის გარეშე დაიღუპება». ის დღესაც დარწმუნებულია, რომ არსებობს ორი – დემოკრატიული და აგრესიული რუსეთი, ერთი საქართველოს აღორძინებას უჭერს მხარს, მეორე კი მისი განადგურების მომხრეა.

შევარდნაძე არ მალავდა, რომ თავის დროზე სწამდა ხრუშჩოვის, იმედი ჰქონდა ბრეჟნევის, ფრთებ-შესხმული იყო ანდროპოვთან საუბრით, სჯეროდა გორბაჩოვის, მაგრამ ოფიციალურად არასოდეს უთქვამს, რომ საქართველოში უნდა გაემარჯვა ეროვნულ მოძრაობას და ქვეყანა უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი და თავისუფალი.

სწორედ ასეთ პიროვნებაზე გააკეთა აქცენტი საბჭოეთის, ხოლო მოგვიანებით თანამედროვე რუსეთის პოლიტიკურმა ცენტრმა – კრემლმა, რომელმაც ნაცად მეთოდს მიმართა და საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას დაუპირისპირა ადგილობრივი, რუსული ორიენტაციის მხარდამჭერი ძალები, შეიარაღებული გზით მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, განდევნა ქვეყნის კანონიერი, პრეზიდენტი, პარლამენტი მთავრობა და თბილისის თავზე კვლავ ააფრიალა რუსეთის დროშა.

ამრიგად, 1991 წელს საქართველოში განმეორდა 1801 და 1921 წლების ისტორია.

ისტორიულ სამართლიანობაზე, გარეშე ძალამ გაიმარჯვა, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად

გამსახურდიამ ვერ წარმოიდგინა, რომ უცხო ქვეყნის ჯარები პირდაპირ ჩაერეოდნენ შინაური პრობლემების გადაჭრაში, კერძოდ, ის, რომ «რუს ჯარისკაცს გადაეწყვიტა საქართველოს კამათი, როგორი უნდა ყოფილიყო მათი ქვეყანა».

ზ. გამსახურდიამ ვერ წარმოიდგინა, რომ თანამედროვე საქართველოში ხელისუფლების მოსაპოვებლად, ქართველი ქართველს ტყვიას ესროდა და უცხო ძალას მოუხმობდა, თუნდაც ეს რუსი ჯარისკაცი ყოფილიყო. ცხადია, ყოველივე ამის გაუცნობიერებლობამ დაღუპა იგი. ყოველივე ამის წარმოდგენამ და განხორციელებამ მოაპოვებინა ხელისუფლება მოსკოველ ქართველს – ედუარდ (გიორგი) შევარდნაძეს.

შევარდნაძე, საბჭოეთის დაშლის შემდეგ, რუსეთის მიერ კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში განხორციელებული «მართვადი ქაოსის» დოქტრინის ხელშემწყობი აღმოჩნდა. მას საქართველოში ჩამოსვლის წინ ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ელცინთან: როგორც ჩანს ერთ-ერთი სადისკუსიო თემა იყო სამხრეთ ოსეთის პრობლემა. ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და დიპლომატიისათვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელი დარჩა შევარდნაძის დამოკიდებულება ამ რეგიონისადმი.

შევარდნაძემ ოსი ხალხის გენოციდის ტვირთი ეროვნულ ხელისუფლებას «აჰკიდა». ჯავაში გამართულ თავყრილობაზე, ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის თანდასწრებით შევარდნაძემ ასეთი განცხადება გააკეთა: «ქართველი ხალხი მრავალი საუკუნის მანძილზე ვერ შეძლებს ამ სისხლიანი ლაქის ჩამორეცხვას». ცოტა მოგვიანებით კი, 1995 წელს, გორში გამართულ თათბირზე მან კვლავ გაიმეორა ქართველი ხალხის დამამცირებელი ფრაზა: «ოსების წინააღმდეგ ასეთი უაზრო ომის (გაუგებარია რომელი ომის – ი. კ.) დაწყება დანაშაული იყო... ისინი ამის საფუძველს არ იძლეოდნენ».

შევარდნაძე ისე გაიტაცა ქართველი ხალხისადმი ტალახის სროლის ცდუნებამ, რომ 1997 წლის ივნისში კვლავ მოუხმო მისთვის ჩვეულ ანტიქართულ ჩანართს: «ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით მინდა კარგად გამიგოთ: ეს სამარცხვინო ლაქაა, რომელიც ჩვენს სინდისზეა». მართლაც ეს ყველაფერი, არა ქართველი ერის, მაგრამ კრემლის, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტების და შევარდნაძის სინდისზე იყო. მითუმეტეს, ოსეთის ხელისუფლებამ გამოდევნა ქართველობა თავისი ისტორიული მიწა-წყლიდან, მოახდინა ამ მხარის ოკუპაცია და ქართულ მიწაზე შექმნა ჯუჯა ოსური სახელმწიფო.

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, შევარდნაძემ დიდი ძალისხმევით განაგრძო საქმიანობა საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ამ მიზნით მან კვლავ უცხო ძალებს მოუხმო. როგორც თავის დროზე შევარდნაძის თანამოაზრე, თბილისის ყოფილი კომენდანტი გ. ლანჩავა იგონებს, შევარდნაძემ სახელდახელოდ ჩამოაყვანინა უკრაინელი მებრძოლები ორგანიზაცია «ტრი ზუბციდან», რომლის რამდენიმე წევრი ხონში, ზ. გამსახურდიას მომხრეებთან შეტაკების დროს დაიღუპა.

1992-1993 წლებში შევარდნაძის მხარეზე მოქმედებდნენ უცხო ქვეყნის სპეციალური დანაყოფის «ლეტუ-

ჩაია მიშ»-ის მებრძოლები, რომლებიც საგანგებოდ ღამის ბრძოლებისათვის იყვნენ გაწვრთნილნი. ამ მებრძოლებს ჰქონდათ დავალებული ქვეყნის პირველი პრეზიდენტის დაპატიმრება და მისი თანმხლები პირების განადგურება.

შევარდნაძის პერიოდის საქართველოში განსაკუთრებით აქტიურობდა რუსეთის აგენტურა. შინაგანი ჯარის ყოფილი სარდლის გ. ლანჩავას მტკიცებით, ამ პოსტზე დაინიშნა მოსკოვის აგენტი ვლადიმერ ჩიქოვანი, რომელიც შევარდნაძის სამხედრო მრჩეველიც იყო და დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას ქართულ-აფხაზური ომის დროს.

შევარდნაძის მითითებით მოქმედებდა ქვეყნის გენერალურ პროკურორად დანიშნული ვ. რაზმაძეც, რომელიც ადანაშაულებდა პირველ პრეზიდენტს იმის გამო, რომ მან უარი თქვა 1991 წლის ოქტომბერში პასუხი გაეცა საკავშირო გენერალური პროკურორის სტეპანკოვის პროვოკაციული, დამკითხავი ხასიათის მოთხოვნისათვის. ზ. გამსახურდიას არგუმენტი ასეთი იყო: ის თავს დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტად მიიჩნევდა, არ ცნობდა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას, მოქმედებდა საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში და არ იყო ვალდებული დამორჩილებოდა კრემლის მოთხოვნებს.

უდავოა, ყველა დროის იმპერიებში ქართველები «ერთგულად» ემსახურებოდნენ რუსებს (პ. ბაგრატიონი, კ. ჩხეიძე, კ. წერეთელი, ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, ლ. ბერია), და ცდილობდნენ, «რუსებზე მეტი რუსები» ყოფილიყვნენ, მაგრამ მათთვის ეს იმპერიას არ დაუფასებია.

იმპერიის «მსახურებაში» ძალიან შორს წავიდა შევარდნაძეც. «მან ყველას გადააჭარბა იმპერიის სამსხვერპლოზე მიტანილი თავისი მშობლიური ხალხის «მოჭრილი თავების» რაოდენობით. მეტროპოლიამ კარგად დაინახა შევარდნაძის მზაობა თავდაუზოგავად, მთელი არსებით ემსახურა იმპერიისათვის და წითელი ურჩხულების მთავარ ბუნაგში, კრემლში იმპერიის ყველაზე ბინძური სამუშაო შეესრულებინა (შოთა ქისტაური).

ჰომეროსს «ოდისეაში» აღწერილი აქვს ლოტოფაგების ქვეყანა, სადაც მოხვედრილი კაცი თუ იქაურ ლოტოსის ყვავილს იგემებდა, საკუთარი ქვეყანა ავიწყდებოდა და ამ ქვეყანაში რჩებოდა. ლოტოსის ყვავილი ათასობით ქართველმა იგემა, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული შევარდნაძე აღმოჩნდა, რომელსაც თავისი სამშობლო დაავიწყდა და სული იმპერიას მიჰყიდა. კარგად ამბობს რუსთაველი: «ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა».

სიმართლე რომ ითქვას, იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას, შევარდნაძე არ იყო დიდი ისტორიული მოვლენების შემოქმედი. იმჟამად პროცესებს განაგებდნენ დიდი ქვეყნების ლიდერები (რეიგანი, ბუში, კოლი, ტეტჩერი), ხოლო დასავლეთის მიერ ზომბირებული პოლიტიკოსები (გორბაჩოვი, იაკოვლევი, შევარდნაძე) დასავლური სამყაროს მიერ დაგეგმილი «დიდი პროექტის» შემსრულებლები იყვნენ, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა იმპერიის დამხობას.

1921 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1991 წლამდე საბჭოეთი დამთრგუნველ ომს ეწეოდა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, სხვადასხვა

ხერხებითა და მეთოდებით (ომები, დარბევები, დაპატიმრებები, გადასახლება, პოლიტიკური და იდეოლოგიური რეპრესიები და ა.შ.). ცხადია, აქ არც საქართველო იყო გამონაკლისი.

ე. შევარდნაძის «მეორედ მოსვლის» შედეგი საქართველოში დაკავშირებულია ქართული სახელმწიფოებრიობის ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისთან, ტერიტორიების დაკარგვასთან, კორუფციის გაბატონებასთან და ქვეყნიდან ერთ მილიონზე მეტი ადამიანის გასვლასთან. კრემლი დაეხმარა შევარდნაძეს შეენარჩუნებინა ხელისუფლება იმ პირობით, რომ ფაქტობრივად ბოლო მოეღო საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის.

რუსეთ-საქართველოს შორის 1991-1993 წლებში განხორციელებული ომის შედეგად, საქართველო კანონიერი ხელისუფლებისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე დარჩა. 1995 წლამდე შევარდნაძემ ვერცერთი პარამეტრით ვერ შეძლო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება. ამ პერიოდში ქვეყანას ერთპიროვნულად მართავდა თბილისში მოქმედი რუსეთის საელჩო. ცნობილი ფაქტია, რომ სწორედ კრემლის მითითებით დაინიშნენ საქართველოში ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები: ვ. ნადიბაიძე და ი. გიორგაძე.

უსამართლობა იქნებოდა არ გვეფიქრა, რომ ქართულის საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობდა შევარდნაძის ჩამოსვლით გამოწვეული დიდი მოლოდინი, რომელსაც უნდა შეეცვალა არსებული, არც ისე სახარბიელო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება.

ქვეყანაში მოდიოდა პოლიტიკოსი, რომელსაც ასე თუ ისე ჰქონდა მსოფლიოს დიდი ქვეყნების პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერა და ამ დროისათვის ფლობდა ნეტარი ავგუსტინეს სახელობის ორდენსაც, მიჩნეული იყო ე.წ. მსოფლიო მოქალაქედ და იწოდებოდა ედუარდ ავგუსტინელად, რაც ერთეულთა ხვედრია მსოფლიოში. შევარდნაძეს მხარს უჭერდნენ ზ. გამსახურდიას ოპოზიციონერი ფრთის ახალგაზრდა წარმომადგენლები. მაგალითად, ერთ-ერთი ახალგაზრდა ოპოზიციონერი მას ასე ახასიათებდა: «როგორც იქნა, მოვიდა გაზაფხული. დადგა დრო, უბრალო მოკვდავებმა, რომლებიც გადავრჩით, გავიხსენოთ ის, ვინც გადაგვარჩინა, კატასტროფას აგვაცილა, აქამდე მოგვიყვანა; გავიხსენოთ მეთაური, მაგისტრთა მაგისტრი, ხელმძღვანელთა ხელმძღვანელი, ბოლო დროს თითქმის უჩინარი, რუდუნებით რომ ზრუნავს ქვეყნის ყოველი მოქალაქის კეთილდღეობაზე. ერთი სიტყვით, გავიხსენოთ პრეზიდენტი საქართველოსი.

სულ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ თითქმის ერთსულოვნად და ომახიანად მოვწყვიტეთ ერის სხეულს წყლული ჭეშმარიტი – პირველი და უკანასკნელი) პრეზიდენტი ქვეყნისა;

... სავსებით ბუნებრივად, დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით მივიღე მოსკოვიდან ცით (თვითმფრინავით) გადმოსული ნათელი, კაცი პროგრესული და აღიარებული, გარდაქმნილი და გარდასახული; დაე, რაც ყოფილ არს, დავიწყებულ იქნეს».

მოგვიანებით უკვე პარლამენტში მოხვედრილ ამ პოლიტიკოსს «თვალი აეხილა» და ციურ მანანად მოვ-

ლენილი ედუარდ შევარდნაძე მისი მძაფრი კრიტიკის საგანი გახდა.

1992 წლის ოქტომბერში შევარდნაძის და მისი თანამოაზრეების მიერ დანიშნულმა თუ დაკომპლექტებულმა პარლამენტმა ე.წ. «მსოფლიო მოღვაწე», სახელმწიფოს მეთაურად აირჩია. მისთვის მნიშვნელოვანი არჩევნების ჩატარების ფაქტი იყო და არა შედეგი.

შევარდნაძის «მორჩილი უმრავლესობა» და მისი მოწინააღმდეგე ე.წ. რადიკალური უმცირესობა სხვადასხვა პოლიტიკურ თამაშს ეწეოდა, მაგრამ ერთიანი იყო ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში და სახელმწიფო ქონების მითვისებაში.

შევარდნაძის მმართველობის პარლამენტი ტრაგიზმით, უმეცრებით და ინტრიგებით იყო აღსავსე და ე.წ. «პროვინციულ დემოკრატთა» ერთი ჯგუფი დიდი შემართებით ებრძოდა ზ. გამსახურდიას ე.წ. «პროვინციულ ფაშიზმს.

სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, საქართველოს ხელისუფლების სათავეში, რუსეთიდან მოვლენილმა ახალი დროის «მეფისნაცვალმა» მოქმედება დემოკრატიის სახელით დაიწყო, მაგრამ ე.წ. დემოკრატიული ელიტა ქართველი ერისთვის კონტრელიტად იქცა.

ქვეყანაში ვერ შემუშავდა საზოგადოებისათვის მისაღები ეროვნულ-პოლიტიკური კურსი, რომელიც საქართველოს რეალური განვითარებისათვის მოამზადებდა. ხელისუფლების მეხოტბეები კვლავ ფიქრობდნენ, რომ ქვეყნის მთავარი კაპიტალი შევარდნაძის ე.წ. მსოფლიო ავტორიტეტი და ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა იყო.

შევარდნაძის დემოკრატია კანონის უზენაესობაზე არ იყო დაფუძნებული, და თვითვე იქცა თავის მესაფლავედ, ხოლო ამ საფლავიდან ამოხეთქა უკმაყოფილების, პროტესტის განწყობამ, თუმცა მაშინ ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში ამაო შემახილად დარჩა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 103 მეცნიერის და თანამშრომლის მოთხოვნა შევარდნაძის გადადგომის შესახებ, რომელსაც ასიათასობით ადამიანმა დაუჭირა მხარი.

ქვეყნის ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა სწორი თვითორგანიზაციის უნარი. ვერ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ და ძლიერ სამართლებრივ სახელმწიფოდ. საზოგადოება ნიჰილიზმმა შეიპყრო, მიჩუმდა და შევარდნაძის მმართველობის უსახურ დინებას მიჰყვა ჭაობისაკენ. ქვეყნის მმართველ მამებს ყველაფერი შერჩათ: დახვრეტა, ძარცვა, ძალმომრეობა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მითვისება, ნათესაურ-კლანური გარემო, სიღატაკის დამკვიდრება და უსამართლობა.

ამ კონტექსტში საინტერესოა ერთი გერმანელი ავტორის შეგონება: როდესაც გერმანიაში კომუნისტებს ხვრეტდნენ, ის ჩუმად იყო, რადგან კომუნისტი არ ყოფილა, არც კათოლიკეების დახვრეტა აინტერესებდა, რადგანაც კათოლიკე არ იყო, არც დემოკრატების დახვრეტისას ამოუღია ხმა, რადგან არ დემოკრატობდა, მაგრამ, როდესაც მას მიადგნენ, ხალხი აღარ იყო დარჩენილი, რომ მის დასაცავად ხმა ამოეღოთ.

ზუსტად ასე დაემართათ ერთი პერიოდი შევარდნაძის ეპოქის საქართველოშიც. განმკითხავი არავინ არ აღმოჩნდა, როდესაც ჯაბა იოსელიან-

მა განაცხადა: «დემოკრატია ლობიოს ჭამა არ არისო», ხოლო დავით ზეიკიძემ ბრძანა: «მე ადამიანის უფლებებს კი არა, ზვიადისტების უფლებებს ვარღვევო».

სწორედ ასეთ ვითარებაში ძალაუფლების განმტკიცების მიზნით შევარდნაძემ შეადგინა აფხაზეთთან «მცირე ომის» გათამაშების სცენარი, თუმცა, ის ბუმერანგად შემოუბრუნდა «მსოფლიო დონის» პოლიტიკოსს და ისე გაიხლართა თავის მიერ დაგებულ მახეში, იქიდან ლაფდასხმული და შერცხვენილი გამოვიდა. რუსულ-აფხაზურ-ქართულ ომში დამარცხებულმა ხელისუფლებამ აფხაზეთი დაკარგა, მაგრამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლით შევარდნაძემ თანამდებობა შეინარჩუნა.

შევარდნაძის ანტიეროვნულ საქმიანობას წერტილი ვერ დაუსვა, 1993 წლის სექტემბერში, ემიგრაციიდან დაბრუნებულმა ზ. გამსახურდიამ. შევარდნაძემ დახმარებისათვის კვლავ იმპერიას მიმართა. ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომის დამამთავრებელი ეტაპი. თუ აფხაზეთის დაუფლებისათვის ომში რუსეთი აღმოჩნდა გამარჯვებული, ხელისუფლების შესანარჩუნებლად კრემლმა შევარდნაძეს გაუწოდა დახმარების ხელი და სწრაფად დაუბრუნა პირველი პრეზიდენტის მომხრეების მიერ დაკავებული ტერიტორიები.

«რუსეთის მხარდაჭერით კმაყოფილმა შევარდნაძემ გადადგა უაღრესად ანტიეროვნული ნაბიჯი. მან რუსეთის მხარდაჭერის სანაცვლოდ, საიდუმლო (ზეპირი, ვერბალური) გარიგებების საფუძველზე, ყოფილ მეტროპოლიას დე-ფაქტოდ დაუთმო ძირძველი ქართული მხარეები – აფხაზეთი და სამაჩაბლო. თავისი ბრძანებით თუ განკარგულებით გაათავისუფლა აღნიშნული ტერიტორიები ქართველი ეთნოსის მოსახლეობისაგან და ათასობით ადამიანი აქცია ლტოლვილად. იმავე პერიოდში მისი ხელდასმით მოკლეს საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, დევნიდნენ და ხოცავდნენ მის მომხრეებს» (შ. ქისტაური).

ამბიციებით დახუნძლული შევარდნაძე ბევრ წვრილმანზე რეაგირებდა, მაგრამ მთავარს უყურადღებოდ ტოვებდა, მის ეპოქაში ადამიანი კი არ არსებობდა საქართველოსთვის, არამედ საქართველო არსებობდა ხელისუფლებისათვის. ამ მაქსიმით საზღვრავდა საქართველოს მმართველი თავის მოღვაწეობას და პოლიტიკურ-პიროვნულ კრედოს. «მე მინდა შევარდნაძე ყოველთვის მართალი იყოს, მგრამ მართალია იგი თუ არა, მაინც ჩემი შევარდნაძეა» – ეს იყო მისი ერთგული თუ არაერთგული გარემოცვის ცხოვრებისა და პოლიტიკის მთავარი დანიშნულება და არსი.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, გამოჩენილ ქირურგ ნაპო მესხიას თავის წიგნში «როგორ გასხვისდა აფხაზეთი», მოაქვს ჟიული შარტავას მიერ მისთვის ნათქვამი შევარდნაძის პიროვნების საოცრად ზუსტი და ბევრიშმთქმელი დახასიათება: «შევარდნაძე ის კაცია, რომელიც მოგიკლავს ერთადერთ ვაჟიშვილს, მერე პირველი მოვა სამძიმარზე და გვერდით დაგიდგეობაო».

ავტორი სვამს კითხვას «იქნებ ადრეც ჰქონდა ნეტარხსენებულ ჟიულის ეს სიტყვები ნათქვამი და მიტომ ხომ არ შეატოვეს იგი გააფთრებულ

მტერს, როდესაც სხვები გარბოდნენ აფხაზეთიდან?!»

ამ კონტექსტში საინტერესოა ერთი საკითხიც, რომელიც აშკარად ადასტურებს შევარდნაძის მცდელობას საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. ნ. მესხიას მტკიცებით შევარდნაძემ სოხუმი 28 სექტემბერს კი არ დატოვა, როგორც ამას თვითონ და მისი გარემოცვა აცხადებს, არამედ 26 სექტემბერს, დილის ხუთის ნახევარზე. უფრო ადრე, 25 სექტემბერს, შევარდნაძესა და შარტავას შორის დიალოგში ამ უკანასკნელისგან შემდეგი ფრაზა გაისმა: «რას ვეუბნებით ხალხს, ვტოვებთ მათ მტრის პირდაპირ, დაუცველს, უპატრონოდ?! მე ვრჩები სოხუმში, იქ, სადაც ჩემი მეგობრები და თანამებრძოლები მეგულება. მათ მე არ მივატოვებ».

ამრიგად, ერთმა კოსმოპოლიტმა, უსამშობლო ქართველმა, ბედის ანაბარა მიატოვა თავისი თანამებრძოლები ცეცხლმოდებულ აფხაზეთში და სიცოცხლე შეინარჩუნა, ხოლო მეორე პატრიოტმა ქართველმა თავის დასდო სამშობლოსათვის და ეროვნულ გმირად იქცა.

მოგვიანებით, თითქმის 20 წლის შემდეგ, შევარდნაძემ აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა, როდესაც ჟ. შარტავა აფხაზეთში გაუშვა და მის სიცოცხლეს ამით საფრთხე შეუქმნა. თუმცა, იქვე ასეთ სიცრუესაც ახმოვანებს: «დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს შემდეგ პრეზიდენტი ჟ. შარტავა იქნებოდა. ეს ჩემი სურვილიც იყო. ვიფიქრე, რომ თუ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს დაალაგებდა, ის პრეზიდენტის პოსტზე უკონკურენტო იქნებოდა».

მსოფლიო ისტორიაში არ მოიძებნება ფაქტი, როდესაც სამარცხვინოდ დამარცხებულ სახელმწიფოს მეთაურს და მთავარსარდალს, რომელიც კარგავს ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, აღფრთოვანებით შეხვედროდნენ პარლამენტში და პოლიტიკურ კლასში. თუმცა ქართული საკანონმდებლო ორგანო გამონაკლისი აღმოჩნდა და ტაში დაუკრა დამარცხებულ მთავარსარდალს. აი, როგორ გადმოსცემს ამას თვითონ შევარდნაძე: «შევედი პარლამენტის დარბაზში ვხედავ, მთელი დარბაზი ფეხზე დგას და ტაშს მიკრავს, ეტყობა, იმიტომ, რომ მათ დაძახებულზე მოვედი და რომ ცოცხალი ვარ. რაღაც იმედი მაინც იყო – შევარდნაძე ცოცხალია».

ამ «ცოცხალმა» და «ტაშფანდურა» მოღვაწემ ერთ «ცოდვას» კიდევ ერთი «ცოდვა» მიუმატა და ყველაფერი გაკეთა საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიკვდილის დასაჩქარებლად და ეროვნული მოძრაობის დასამარცხებლად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ერთმაც და მეორემაც საბოლოოდ დაასამარეს შევარდნაძის ისედაც შერყეული ავტორიტეტი და ის ვერ გაცდა ისტორიის ნეგატიურ წრეს. თუმცა «ყველა დროის» აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ შეიცოდა რუსეთ-აფხაზეთის მიერ ანკესზე წამოგებული «სახელოვანი» პოლიტიკოსი და იწინასწარმეტყველა, რომ ის, «შემორჩებოდა ისტორიას», მაგრამ არ დაუზუსტებია, როგორ – გამარჯვებული თუ დამარცხებული.

უდავოა, ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი თანამედროვე «ჟამთააღმწერელი», «ნამუსს» აღარ შეუნახავს საქართველოს დამაქცევრებს. დადგება ცოდვების აღიარების და ქვეყნის

მესაფლავეების მიმართ დანაშაულის თუ მოღალატეობის მოკითხვის ჟამი.

შევარდნაძე და მისი პოლიტიკური კლასი ადვილად შეეგუა აფხაზეთის დაკარგვას, და მიუხედავად დამარცხებისა, უზრუნველყო მთავარი «გამარჯვება» კანონიერი პრეზიდენტის ფიზიკური განადგურება, რაც სრულ შესაძლებლობას აძლევდა მას თავისი ძალაუფლების ლეგიტიმაცია მოეხდინა და ახალ პრეზიდენტად მოვლინებოდა ქვეყანას, თუმცა ამისათვის საჭირო იყო «პოლიტიკური კოჭი» გაეგორებინა რუსეთისათვის. 1993 წელს ქვეყნის ახალმა მეთაურმა თავისი პოზიცია ასე გამოხატა: «იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა დასავლეთს, რომ ყველაფერი გაითვალისწინოს და იყოს იმის სრული გარანტი, რომ, თუ ჩვენი ქვეყანა რუსეთთან თანამშრომლობის გარეშე იცხოვრებს და იარსებებს საქართველო დიდად არ იზარალებს, რადგან ჰყავს დიდი პარტნიორები დასავლეთის სახით? მე ვფიქრობ, დასავლეთი ამისათვის არც ეკონომიკურად, «არც ფინანსურად, არც სხვა მხრივ, მზად არ არის».

შევარდნაძე მაშინ დაიმედებული იყო, რომ რუსეთი მის წინააღმდეგ არ გამოიყენებდა პოლიტიკური ზეგავლენის და სამხედრო-ეკონომიკური გავლენის სხვადასხვა მექანიზმებს, მითუმეტეს იმ პერიოდში ამერიკელთა სტრატეგიული ხასიათის ინტერესები ფაქტობრივად მხოლოდ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის რაკურსში იკვეთებოდა.

რუსეთის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად მოქმედი საქართველოს საგარეო პოლიტიკა ნაკლებად იცნობიერებდა ქვეყნის პოლიტიკურ წარსულს და მსოფლიო არენაზე დასამკვიდრებლად მხოლოდ გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე იყო ორიენტირებული. მისი პოლიტიკური კურსი უკან წავიდა, მოწყდა რეალობას და უზურგოდ დარჩა.

უცხო ქვეყნების მოიმედეობით გატაცებული ხელისუფლების საგარეო კურსმა საშინაოს გაუსწრო, ამიტომ ვერ მოხერხდა საზოგადოების ახალი ძალების მობილიზება, ურთულესი, საშინაო პრობლემების გადასაჭრელად. ქვეყანაში არ არსებობდა რეფორმების სტრატეგიული გეგმა, შევარდნაძის საყვარელი ფრაზა იყო «იქნება» და არა სიტყვა _ «არის».

ხალხს მუდმივად, არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ, ესმოდა სახელმწიფოს პირველი პირის ომახიანი გამოთქმები: «იქნება აყვავებული ქვეყანა», «სამართლიანი ხელისუფლება», «დემოკრატიული მმართველობა», «სამოქალაქო საზოგადოება», «გაერთიანებული საქართველო» და ა.შ.

სინამდვილეში კი საზოგადოება ხედავდა ვერშემდგარ სახელმწიფოს, კორუმპირებულ ქვეყანას, ღატაკ ხალხს, მაფიოზურ-კლანურ ხელისუფლებას და უაფხაზეთო და უსამაჩაბლო საქართველოს.

იმჟამინდელ ქართულ პოლიტიკაში, ბევრი მიუღებელი სტანდარტი დაინერგა, რომელიც აღსავსე აღმოჩნდა სიცრუითა და ორპირობით. სახელმწიფო გადატრიალების უშუალო შემსრულებლები და რუსეთის სპეციალური სამსახურის აგენტები, თ. კიტოვანი და ჯ. იოსელიანი, რუსეთისა და დასავლეთის მთავარმა აგენტმა შევარდნაძემ ციხეში გაგზავნა. ადამიანური თვალსაზრისით, უმადურობის და უზნეობის ნიმუშია შევარდნაძის ეპისტოლური წერილი,

რომელიც დაპატიმრებული, ყოფილი თავდაცვის მინისტრის თ. კიტოვანის ვადაზე ადრე გათავისუფლების გამო შეითხზა: «ჩემო თენგიზ, ეს სასჯელი შენთან ერთად მეც მოვიხადე, დარწმუნებული ვარ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას არც მე და არც ჩემი თანამოაზრეები არ ვცდებით».

მოგვიანებით, უკვე ყოფილი სახელმწიფოს მეთაური შეშფოთებას ვერ მალავდა მისი «გამოზრდილების» მ. სააკაშვილისა და ნ. ბურჯანაძის წინააღმდეგ ხალხის მიერ გამოხატული უკმაყოფილების გამო და წუხდა, რომ «მათი დამარცხება» «მისი დამარცხება» იქნებოდა, თუმცა, ამ განცხადებამდე ერთი კვირით ადრე აღშფოთებული ამბობდა: «დიახ, სააკაშვილის მოსვლა ხელისუფლებაში იყო არაკონსტიტუციური და ძალადობრივი. მთელ ამ მოძრაობას აფინანსებდა სოროსი. ...ეს მოვლენა შევაფასე, როგორც სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობა და გამოვაცხადე საგანგებო მდგომარეობა». იგი იქვე ეხებოდა ზ. ჟვანიას სიკვდილის თემას და ასი პროცენტით დარწმუნებული იყო, რომ ის მოკლეს. თუმცა, ამ კონტექსტში სრულიად ალოგიკური და აბსურდული იყო შევარდნაძის აღიარება იმის შესახებ, რომ სწორი იყო როდესაც ახალ პოლიტიკურ ძალებს «ლანგრით მიართვა ხელისუფლება და არა რევოლუციის გზით».

ასეთი მრავალსტანდარტიანი ეპიზოდები ბევრი გვხვდება შევარდნაძის პიროვნულ-პოლიტიკურ ბიოგრაფიაში. მითუმეტეს, ისტორიული, პოლიტიკური და პუბლიცისტური ლიტერატურა გვამცნობს, რომ ქვეყნის პირველი პირის «შტრეიკბეხერობა» შემთხვევითი არ იყო. მისი პიროვნული და პოლიტიკური სახის დეფორმაცია ახალგაზრდული ასაკიდან დაიწყო და ეს «საყმაწვილო სენი» იმდენად განუკურნებელი აღმოჩნდა, რომ ღრმა ასაკამდე გაჰყვა.

პარადოქსად არ უნდა მოგვეჩვენოს, რომ ზ. გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ შევარდნაძეს ჰქონდა შესაძლებლობა ხალხის გარკვეული ნდობა და პატივისცემა მოეპოვებინა. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდებოდა თუ მისი მმართველობის დროს ქვეყანა პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად გაძლიერდებოდა, შენარჩუნდებოდა ტერიტორიული მთლიანობა, განვითარდებოდა დემოკრატია და გაძლიერდებოდა ხალხის კეთილდღეობა.

საქართველოს ხელისუფლების მეთაურმა ვერ შეძლო ვერცერთი ამ ამოცანის შესრულება, რის გამოც, ის დრომ ისტორიის პასიურ სუბიექტად შერაცხა და თავისი ანალების სქოლიოში მიუჩინა ადგილი. ეს არის მწარე სინამდვილე. ფაქტებს ვერ მოსპობ, ვერ გადაადგილებ და ვერსად გაექცევი.

უდავოა, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების სათავეში გატარებული ცამეტი წელი შევარდნაძის ზეობის ჟამი არ ყოფილა. პირიქით, ისტორიული მახსოვრობა შევარდნაძის მხრიდან შურისძიების, კარიერული გატაცების, კრემლის წინაშე დაჩოქების, ადამიანთა უსამართლოდ გაწირვის, სიყალბეების, მიწერების, სოფლის მეურნეობის დაკნინების, დისიდენტებისა და ეროვნული მოძრაობის ლიდერების დევნის, ახალგაზრდების დახვრეტისათვის თანხმობის მიცემის და სხვა ბევრ ფაქტებს აფიქსირებს.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას შევარდნაძემ პარტიული და სამხედრო ელიტის რისხვა დაიმსახურა, მაგრამ, სამაგიეროდ, დასავლეთის აღფრთოვანების საგნად იქცა. კომუნისტებმა მას დასავლეთის მიერ ზომბირებული _ «მინისტრი აგენტი» უწოდეს. საგულისხმოა, რომ 2005 წლის აპრილში გაზეთ «მეოთხეში», გამოქვეყნებული ინფორმაცია ხაზს უსვამდა, რომ «1972 წელს, როცა ე. შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახდა, ის უკვე «ცეერუს» აგენტი იყო და მათ მოიყვანეს ამ თანამდებობაზე».

1990 წლის დეკემბერში, საგარეო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების გამო კრემლის მიერ დასასჯელად განწირულმა საბჭოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პროცესებს დაასწრო და თანამდებობა დატოვა. ეს იყო პირველი, მიზანმიმართულად გადადგმული ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში მკვეთრად შელახული ავტორიტეტის აღდგენას, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობას და ქვეყნის პრეზიდენტად მოსვლას.

მისი საქმიანობა, ანუ «შევარდნაძეობა» არ იყო კონკრეტული სახე და მისამართი და თავის თავში მოიცავდა მეთოდებსა და სტილს, რომელშიც იყო გაჯერებული მედროვეობა, მრავალსტანდარტიანობა და მზაკვრული პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდა თავის მოღვაწეობის ყველა ეტაპზე დროსა და სივრცეში – საბჭოურ რესპუბლიკაში კომუნისტურ საბჭოეთში და მოგვიანებით დამოუკიდებელ საქართველოში.

შევარდნაძისთვის საბჭოთა კავშირი ქვეყანაც იყო და სამშობლოც, ის ყოველთვის დროს «ერგებოდა» და ამის მიხედვით, ცვლიდა სააზროვნო არეალს, ხან პარადიგმას აქცევდა დილემად, ხან კი დილემა გადაიქცეოდა პარადიგმად.

იმას, რასაც გორბაჩოვი, იაკოვლევი და შევარდნაძე ახალ აზროვნებას უწოდებდნენ, სრულიადაც არ იყო რაიმე არსებითი სიახლის მომცველი, ამიტომ კრემლის რეფორმატულმა ძიებებმა თავისი თავი მალე ამოწურა და «პერესტროიკის» კონცეფცია საგანთა და მოვლენათა რეალური ხედვის გარეშე დარჩა.

პოსტსაბჭოურ რიგ რესპუბლიკებში სოციალისტურ ინტერესებს, მიზნებს და ღირებულებებს ბურჟუაზიული ინტერესები, მიზნები და ღირებულებები ჩაენცვლა, ისე, რომ არ იქნა გათვალისწინებული კაპიტალიზმის განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზის გამოცდილება – ისტორია და პრაქტიკა.

სამყაროში მარადიული იდეა არ არსებობს, შესაბამისად ყველაფერს დრო საზღვრავს, რომელიც ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე ზუსტად მოუნიშნავს თავის ვადას ყველაფერს და კუთვნილ ადგილსაც მიუჩენს.

«პერესტროიკის» იდეოლოგებისათვის შეუცნობელი დარჩა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში «თავისუფლება» სხვა არაფერია, თუ არა «მოწესრიგებული ნება», ამიტომ სწორედ ისინი აღუდგნენ წინ «მოწესრიგებული ნების» დამკვიდრებას და განხორციელებას. ჩვენთვის ცნობილი «სამეულისათვის» გაუგებარი აღმოჩნდა ისიც, რომ მათ ოპონენტებს გარდაქმნის იდეაზე კი არ მიჰ-

ქონდათ იერიში, არამედ საუბრობდნენ მისი განხორციელების არასწორ კურსზე.

შევარდნაძე ემსახურებოდა სისტემას, კრემლის მიერ მისთვის «მიჩენილი» ადგილის ჩარჩოში, თავისი «ნიღბიანი» ინდივიდუალობით, მაგრამ, როდესაც საფრთხე დაემუქრა მის კარიერულ გზას, შეგნებულად დაიხია უკან. თუმცა, მალე ისევ გაუწოდა ხელი საბჭოურ სისტემას და კვლავ შეუერთდა გორბაჩოვის «თვითმოძრაობას» და ერთთვიანი ვადით მომაკვდავი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა.

რეფორმატორთა აზროვნებისა და ქცევის წესმა შევარდნაძე სასურველ ტაძრამდე ვერ მიიყვანა. კრემლის «სამეულის» სააზროვნო სივრცისათვის მიუღებელი გახდა ისეთი პარადიგმები, როგორიც იყო «ეროვნული უსაფრთხოება», «ეროვნული სახელმწიფო», «ეროვნული ინტერესები» და ა.შ.

შევარდნაძე, როგორც «ცდომილი» მოღვაწე პოლიტიკურად, ფსიქოლოგიურად და, რაც მთავარია, შინაგანად მზად არ აღმოჩნდა დაეძლია ქართული დისიდენტების პატრიოტული ნაციონალიზმის და საბოლოოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ კრემლის მიერ წარმართული სახელმწიფო პოლიტიკა. მას ყოველთვის აშინებდა ტერმინი «დისიდენტი» და მათში ხედავდა საბჭოთა სახელმწიფოს, კომუნისტური პარტიის და პირადად მის მტერს. ცნობილია, თუ როგორი სისასტიკით უმკლავდებოდა საქართველოს კომპარტიის ლიდერი ქართველ პატრიოტ დისიდენტებს, ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას, ნ. შამანაურს, ზ. ჭავჭავაძეს, თ. ჩხეიძეს, გ. კორძაძეს, ბ. ბეჟუაშვილს, ვ. ფაილოძეს და სხვებს.

ასეთ ვითარებაში სიყალბედ და სიცრუედ ჩანს შევარდნაძის ქადაგება იმის შესახებ, რომ ის მფარველობდა დისიდენტებს და ბევრი მათგანი გადაურჩენია საბჭოური ციხეების «ბრჭყალებისაგან». მისი განმარტებით: «იყვნენ ასობით ახალგაზრდები – სტუდენტები, მეცნიერ-მუშაკები, მწერლები, _ რომლებისთვისაც სასჯელის აცდენა მომიხერხებია. ჩვენ ღია დისკუსიებს ვუწყობდით ერთმანეთს. ყოველი მათგანი სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეულ მუხლს ექვემდებარებოდა, მაგრამ ეს მუხლები არ ამოქმედებულა».

მოგვიანებით შევარდნაძემ სცადა თავისი «დანაშაულობანი» მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური სისტემისათვის გადაებრალებინა და თვითონ წყლიდან მშრალი ამოსულიყო. საერთოდ პოლიტიკური კარიერის ყველა ეტაპზე მისთვის დამახასიათებელი იყო «ახალი ცოცხის» როლის შესრულება და «მტვერისა და ბუქის» დაყენება.

შევარდნაძის მთელი საქმიანობა არასოდეს ისახავდა მიზნად «ახალი შენობის» აგებას, ის ყოველთვის ძველის შეკეთებას ცდილობდა, ან კოსმეტიკური ცვლილებებით იფარგლებოდა. ჟან-ჟაკ რუსოს ერთი ფრთიანი გამოთქმის პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, «შევარდნაძის პროექტი არ ვარგოდა საქართველოსთვის, რადგანაც არც შევარდნაძის ეპოქის საქართველო ვარგოდა ახალი პროექტისათვის». მითუმეტეს, როდესაც ის, დამოუკიდებელი საქართველოს მმართველი გახდა, კომუნისტური ექსპერიმენტების მსგავსად მისი არც ერთი რეფორმა ბოლომდე არ იქნა მიყვანი-

ლი. ქვეყანა განუწყვეტელი დაპირისპირებების ველად იქცა და «მტრის ხატის» გარეშე წარმოუდგენელი გახდა მისი ცნობიერების წარმოდგენა.

მსოფლიო პოლიტიკური ისტორია ბევრი პოლიტიკოსის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ყალბი ქმედებისა და სიცრუის მოწმეა, მაგრამ შევარდნაძის, როგორც კომუნისტური პერიოდის ქვეყნის მმართველის და შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საქმიანობამ ყველას და ყველაფერს გადააჭარბა.

სიცრუე და ტყუილი, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი და მთელ საქართველოს მოედო ზევიდან ქვემოთ და ქვემოდან ზევით. ცრუობდა ქვეყნის პირველი პირი, ცრუობდა მთავრობის თავმჯდომარე, პარლამენტის სპიკერი, მინისტრი, გუბერნატორი, გამგებელი, პროკურორი, პოლიციის უფროსი, მოსამართლე და ა.შ., ყველა, ვისაც მოესურვებოდა. შესაბამისად, დაიკარგა პასუხისმგებლობაც. მაგალითად, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების ნიმუშია შევარდნაძის ასეთი განცხადება: «კიტოვანი სოხუმში თვითნებურად შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ მე, მას ეს კატეგორიულად ავუკრძალე. მერე აღარც ტელეფონით დამელაპარაკა, ...რაღა უნდა მექნა?! _ მაშინ ქვეყანაში ყველაფერს სამხედრო საბჭო წყვეტდა და მთავარსარდალი მე კი არა, კიტოვანი იყო».

უინსტონ ჩერჩილს მიაწერდნენ ასეთ ფრაზას: «წინასაარჩევნო დაპირებები, ეს ის დაპირებებია, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უნდა დაივიწყო». თუმცა, ინგლისის ხელისუფლების მეთაური არასოდეს არ მოსულა გაყალბების გზით ხელისუფლებაში და არც ცრუ დაპირებები მიუცია ხალხისათვის.

შევარდნაძის ახალი პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში რეპრესიებით და საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი მმართველობის არჩევნების გაყალბებით დაიწყო. 1995 წლის 31 ოქტომბერს, ქუთაისში შეკრებილ დასავლეთ საქართველოს რაიონებისა და ქალაქების გამგებლებსა და მილიციის უფროსებს, შინაგან საქმეთა მინისტრ შოთა კვირაიასაგან მიეცათ კატეგორიული მითითება ყველა ხერხისა და მეთოდის გამოყენებით უზრუნველეყოთ შევარდნაძის და მისი გუნდის გამარჯვება არჩევნებში. თავის მხრივ, სამეგრელოს რეგიონის რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელები ერთგულებას უმტკიცებდნენ «მოქალაქეთა კავშირის» ლიდერებს და დიდი ძალისხმევით აყალბებდნენ არჩევნებს შევარდნაძისა და «მოქალაქეთა კავშირის» სასარგებლოდ. მაშინ სამეგრელოში ერთადერთი რაიონი ჩხოროწყუ აღმოჩნდა, სადაც მისმა გამგებელმა ალექსანდრე სიჭინავამ მამაცობა გამოიჩინა და უარი თქვა არჩევნების გაყალბებაზე. იმჟამად ჩხოროწყუში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში ჯუმბერ პატიაშვილმა გაიმარჯვა. ხელისუფლებამ ა. სიჭინავას არ აპატია «ორგულობის» გამოჩენა. მოგვიანებით, შევარდნაძის მითითებით ის გაათავისუფლეს რაიონის ხელმძღვანელობიდან და აუკრძალეს სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა, როგორც შევარდნაძის კურსის მოწინააღმდეგეს.

შევარდნაძის საქმიანობისათვის უცხო არ ყოფილა მამა-პაპის საფლავის მხვნელთა წახალისების ეპიზო-

დები. მიცვალებულის საფლავიდან ამოთხრის პოლიტიკის სინდრომმა ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების ეპოქაში იჩინა თავი, რაც დაგვირგვინა შევარდნაძის აშკარა ხელშეწყობით შექმნილმა კინოსურათმა «მონანიებამ». ეს იყო ბოღმისა და შურისძიების მემკვიდრეობის გაგრძელების მცდელობა. ცივილიზებულ ქვეყნებში დანაშაულის ჩამდენ წინამორბედ პოლიტიკურ თუ სახელმწიფო მოღვაწეებს საფლავიდან არ თხრიან, არამედ სასამართლოს საშუალებით არკვევენ მათი მტყუანმართლობის საკითხს.

ე. შევარდნაძისათვის არც საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ყოფილა წარმატებული საქმიანობა. მან კვლავ დიდი შემართებით გაანაგრძო ინდივიდუალური «ორიანობის» პოლიტიკა. 1995 წლის სექტემბერში შევარდნაძემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში 25 წლით დაკანონების შესახებ. თუმცა, 1996 წლიდან ხელისუფლებამ რუსეთის გვერდის ავლით დაიწყო «პროდასავლური» პროექტის «დიდი აბრეშუმის გზის» განხორციელება. როგორც ჩანს, შევარდნაძისათვის მთავარი იყო არა რეალური პოლიტიკის გატარება, არამედ დასავლურ სამყაროზე შთაბეჭდილების მოხდენა.

1999 წლის ნოემბერში, სტამბულში, «ეუთოს» სამიტის დროს ხელი მოეწერა «ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების» თაობაზე, საერთო ევროპული ხელშეკრულების ადაპტირებულ ვარიანტს. დოკუმენტს თან დაერთო რუსეთისა და საქართველოს სამხედრო უწყებათა ერთობლივი განცხადება, რომელიც ქვეყანაში აღიქვეს, როგორც საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის ხელშეკრულება.

სინამდვილეში ეს იყო კომპრომისი რუსეთთან, რც ითვალისწინებდა ქვეყანაში რუსების სამხედრო ჯარების ყოფნის შენარჩუნებას – მოსკოვის მხრიდან ბლოკადისა და პირდაპირი აგრესიის თავიდან ასაცილებლად. სტამბულის შეთანხმებით რუსეთმა საქართველოში ოთხივე ბაზა შეინარჩუნა (თბილისი, ახალქალაქი, გუდაუთა, ბათუმი), თუმცა, შევარდნაძემ ქართულ საზოგადოებას დიამეტრიულად საპირისპირო შთაბეჭდილება შეუქმნა.

2001-2003 წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა რევოლუციური სიტუაცია. მმართველი ფენა ახლებურად ვერ მართავდა ქვეყანას, ხოლო ქვედა ფენას არ შეეძლო ძველებურად ცხოვრება. ამდენად, მთელი საზოგადოება მზად აღმოჩნდა სახელმწიფოს მეთაურის და საერთოდ ხელისუფლების შესაცვლელად.

საქართველოში მიწა და ცა გმინავდა. კვნესოდა ხელისუფლებისაგან განწირული ადამიანი. «ყველა ყრუი, ყველა ცრუი», _ აკადრა ილიამ კონსერვატორ ,,მამათა'' ეპოქის საქართველოს, იგივე ეპითეტებს იმსახურებდა შევარდნაძის ხელისუფლებაც.

ამიტომ, ვითარებაში, როდესაც ხელისუფლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კურსი ქვეყანას უდაბნოს ამსგავსებდა, ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ «ზარების დარისხება» დაიწყო ერთი ზეპარტიული იდეის – საქართველოს გადასარჩენად.

2003 წლის ნოემბერში მოხდა «ვარდების რევოლუცია», ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ «ოკეანედალეულები».

ქართულ საზოგადოებრივ აზრში მაინც იყო იოტისოდენა იმედი, რომ პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კარიერის უღიმღამოდ დამთავრების შემდეგ, შევარდნაძე შეძლებდა გაემეორებინა «სინანულის თითზე კბენანი» ან რაღაც მასზე მიმსგავსებული «ენციკლიპა». ქართულმა საზოგადოებამ ვრც ერთი იხილა და ვერც მეორე. სამაგიეროდ, 2006 წელს გამოვიდა შევარდნაძის მემუარული ხასიათის წიგნი «ფიქრი წარსულსა და მომავალზე».

ერთი საგულისხმო ფაქტი, რომლითაც ეს წიგნი შეიძლება მკითხველს დაამახსოვრდეს ის არის, რომ აქ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ვარაუდის საფუძველზე გაჟღერებულია მოსაზრება, რომ 2025 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა იქნება 3,745 მილიონი; 2050 წლისათვის კი – 2, 756 მილიონი. «რა იქნება 3000 წელს? ვიქნებით თუ არა?» რიტორიკულ კითხვას სვამს საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მეთაური, თუმცა არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ამ საგანგაშო დემოგრაფიული სურათის შექმნაში მასაც მნიშვნელოვანი ნეგატიური როლი აქვს შესრულებული.

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა, მაგრამ ამავე წიგნში შევარდნაძის შემფასებლად შემოსულ პაატა შევარდნაძეს მინაწერში, «წამი, წამიერება, წამება», ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ტონი შემოაქვს. «ისტორია ფაქტების გროვაა და მეტი არაფერი», დოსტოევსკის არც ისე მართებული მოშველიებით, პ. შევარდნაძე თვითონ უქმნის უხერხუ-ლობას ყოფილი ხელისუფლების ლიდერს, რომლის სხვადასხვა დროსა და სივრცეში გაშლილი ნამოღვაწარი უარყოფითი ფაქტების უზარმაზარი გროვაა, რომელიც მისი გარემოცვის ათეულობით მოხელეს ეყოფა «გასაწითლებლად».

პ. შევარდნაძე, ხმალამოღებული იცავს მამა-პოლიტიკოსის პატივსა და ღირსებას მსოფლიო პოლიტიკის არეალში, სადაც მისი აზრით ნაკლებად არიან შევარდნაძის მსგავსი მასშტაბური დონის პოლიტიკოსები: «ყველაფერი ნეგატიური, რაც დღევანდელ მსოფლიოში ხდება, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ისეთი პოლიტიკოსების არარსებობით და დეფიციტითაა გამოწვეული, როგორც ედუარდ შევარდნაძეა. კაცმა, რომელმაც მსოფლიო წესრიგი შეცვალა, ადამიანს, რომელსაც ახალი ევროპის (და არა მარტო ევროპის) არქიტექტორად მოიხსენიებენ და პიროვნებამ, რომელმაც ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავის სამშობლოს მსოფლიოს გეოსტრატეგიული დანიშნულება მიანიჭა (გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გარეშე ვის სჭირდებოდა საქართველო?) ბევრად მეტი დაფასების ღირსია.

«ჩემი ოცნება კი ის გახლავთ, რომ მამა ამას სადღაც იმ ქვეყანაზე ყოფნისას კი არა, სწორედ ახლა, ჩვენს დროში მოესწროს. პიროვნება, რომელიც ასეთი წარმოუდგენელი, მე ვიტყოდი, არაადამიანური ნებისყოფით, საკუთარი რისკის, სიბრძნის, მამაცობის ხარჯზე აფუძნებდა და დააფუძნა კიდეც ჩვენი ქვეყანა, სრულიად განსხვავებულ შეფასებას იმსახურებს».

აქ, ყოველგვარი კომენტარი და განსჯა მკითხველისთვის მიგვინდვია.

წიგნს თანდართული, ე. შევარდნაძის ბოლოთქმა, ანუ ბარათი შთა-

მომავლობას, პოლიტიკის «დიდი სიმაღლიდან» ხედვაა, რომელშიც მსოფლიოს პრობლემებზეა საუბარი. მსოფლიო ცნობიერების ადამიანები, მსოფლიოს დემოგრაფიული და პოლიტიკური სახე, «გლობალური დათბობის პრობლემა, მსოფლიო წარღვნა, ევროპული ერების დამარცხების საკითხი, გლობალიზაციის საფრთხე, ტერორიზმი, რელიგია და სხვა, აი იმ პარადიგმათა ძირითადი ჩამონათვალი, რომელთა შესახებ გულწრფელად წუხს პატარა ქვეყნის ყოფილი მმართველი. წიგნში აქა-იქ საქართველოს და ქართველი ერის გახსენებაც გაიელვებს, მაგრამ ის, რასაც მკითხველი ელოდა საქართველოს მომავალზე, აქ არ ილანდება.

2007 წელს პოლიტიკოსმა გია მაისაშვილმა, ასეთი განაჩენი გამოუტანა ე. შევარდნაძეს: «ჩვენ ვიწყებთ პოლიტიკურ და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული ქვეყნის მშენებლობას. ეს ვერ დაფუძნდება და ვერ შეიქმნება მანამ, სანამ ქართველი ერის მოღალატე და სახელმწიფო დამნაშავე პასუხს არ აგებს.

შევარდნაძეს იმდენი დანაშაული მიუძღვის ახალი ქართული სახელმწიფოს წინაშე, რომ მისი გაუსამართლებლობა ჩვენს მომავალს საფრთხეს უქმნის.

შევარდნაძე, როგორც სახელმწიფო დამნაშავე, ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული ეროვნულობის წინაშე, უნდა დაისაჯოს და დამოუკიდებელმა სასამართლომ უნდა გამოიტანოს უმკაცრესი განაჩენი. შემდეგ პრეზიდენტი ამ განაჩენს სიმბოლურად შეცვლის».

ამ კონტექსტში საინტერესოა ზ. გამსახურდიას თეოსოფიურ მსოფლმხედველობაში წინა პლანზე წამოწეული მხილების თემა. უფლის სიტყვა: «ჩემგან სასწაულს ნუ ელოდებით, თავი და ხელი გაანძრიეთ, ხოლო სასწაული თვითონ მოვა, რწმენა თქვენი – მადლი ჩემი», ზ. გამსახურდიასათვის იმის მიმანიშნებელი იყო, რომ საქართველოში აპოკალიფსი აუცილებლად განხორციელდებოდა მინიატურული ფორმით. მისი აზრით, საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული ხელისუფლება 13 წელი იბოგინებდა. არსებობდა სატანის დათრგუნვის ორი გზა, მშვიდობიანი და ბრძოლის. თუ პირველს მივმართავდით – ღმერთი ერთიორად აგვამაღლებდა, ხოლო თუ მეორეს, მაშინ უნდა გაგვეცნობიერებინა, რომ: ქათამი ისე უნდა დაკლა, სისხლი არ მოგეცხოს!

revaz miSveIaZe

რუსეთი ვულკანზე ზის

მსოფლიოს XXI საუკუნეშიც, როგორც ირკვევა, ძალმომრეობის პრინციპი მართავს.

საქართველოს ბედი იმპერიათა ჭიდილშიც ძალმომრეობის მსახვრალი ხელით იყო განპირობებული და ეს ბედი მას არ აცდა XXI საუკუნეშიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ საუკუნეს დემოკრატიზაციისა და კომპიუტერიზაციის აყვავების საუკუნედ მოაქვს თავი.

მკითხველს უკანასკნელი ათწლეულების საქართველოს ვითარება კარგად მოეხსენება.

განცვიფრებას იწვევს ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში რუსეთთან ორომგადატანილი პატარა საქართველო ჯერ ისევ ფეთქავს და მსოფლიოს აიძულებს, ყური მიაპყრას მის გასაჭირს.

ეს გასაჭირი კი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისგან მოდის და საქართველოს ტერიტორიების რუსეთისაგან მეკობრული მიტაცებით კრისტალდება.

არადა, არ შეეგუა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას.

იმპერიის ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ 1992-93 წლებში რუსეთმა არამარტო თვითონ გამოიყენა ურჩი საქართველოს დასასჯელად ცოცხალი ძალა და ცეცხლი და მახვილი, არამედ ჩრდილოეთ კავკასიელი მეზობლებიც ჩააბა საქართველოს წინააღმდეგ დამსჯელობით ექსპედიციაში.

მაშინ ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბავი მოხდა.

საქართველოსთან ისტორიული ბედით დაკავშირებულმა ჩრდილოეთკავკასიელმა ტომებმა თითქოსდა დაივიწყეს მათ წინააღმდეგ ვერაგი რუსეთის მიერ ჩატარებული დამპყრობლური ორგიები, დაივიწყეს შამილის თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის და სწორედ დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ცეცხლმოდებულ პატარა კუნძულს, საქართველოს გაუმართეს ბრძოლა იმ იარაღით, რომელიც რუსეთის მიერ სწორედ რამდენიმე წელიწადში მათკენ შებრუნდებოდა.

იმპერიის მიერ გამოგონილმა «კავკასიელ მთიელთა კონფედერაციამ», აქაოდა ჩვენს ძმებს _ აფსუებს და ოსებს ვიცავთო, საქართველოს საღვთო ომი გამოუცხადა და ეს ქვეყანა უბედურების ზონად შერაცხა. კბილთა ღრჭიალით წამოვიდა საქართველოსკენ არამარტო რუსეთი, არამედ _ მთელი ჩრდილოეთ კავკასია ინგუშების ანუ ღლიღვების გარდა.

სულ რაღაც რამდენიმე თვეში საქართველო რუსეთმა მათივე ძმების ხელით დაიპყრო და საქართველოს იმდროინდელი მარიონეტული ხელისუფლების წყალობით ისევ შეათრია მოდერნიზებულ იმპერიაში.

ჯერ კიდევ არ განელებულიყო რუსთა და ჩრდილოეთ კავკასიელთა გულებში სიხარული საქართველოს დაჩოქების გამო, რომ დიდმპყრობელმა იარაღი ახლა გულადი ჩეჩნეთისკენ მიმართა.

მაშინ კი მიხვდა პოლიტიკურად «უაღრესად გაცნობიერებული» ჩრდილოეთ კავკასია, რა შეცდომაც დაუშვა, იმის მაგივრად, რომ საქართველოს გარშემო დარაზმულიყვნენ და გაერთიანებული ძალით შეეტიათ რუსეთისათვის, ისინი რუსულ ანკესზე წამოეგნენ და იმპერიული პროპაგანდის გავლენის ქვეშ მყოფნი აფხაზეთსა და ე.წ. «სამხრეთ ოსეთში» უმწეო ქალ-ბავშვთ და მოხუცებს აწამებდნენ და გაგრის სტადიონზე ქართველი ბიჭების თავებით ფეხბურთის თამაშის შემაძრწუნებელ ისტორიულ დანაშაულებსაც, ჩადიოდნენ.

როცა რუსეთის ტანკები იჩქერიის ქალაქთა ქუჩებში გამოჩნდნენ და ჰაერში რუსული ბომბდამშენების ზუზუნი ისმოდა, ჩეჩნეთის ბელადებს დუდაევსა და მასხადოვს ბოდიშის მოხდა მოუწიათ საქართველოს წინაშე ჩადენილი შეცდომების გამო და ისევ ძველ ძმას, ქართველებს მიმართეს, რათა ჩეჩნეთიდან ოტეხულნი პანკისის ხეობაში შემოგვეშვა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ძმურად გავუხსენით ჭიშკარი ჩეჩენ ლტოლვილთ, ლუკმაც გავუნაწილეთ მათ და არც ერთი წუთით არ გვიგრძნობინებია, რომ ჩეჩენ მოხალისეთა ქართულ მიწაზე ჩადენილი დანაშაული კარგად გვახსოვდა.

ქართველ მოხალისეთა გაუწვრთნელი, აშკარად სუსტი ჯარისგან განსხვავებით, რომელმაც რუსთან ბრძოლას აფხაზეთიდან დედლურად გაქცევა ამჯობინა და სამასი ათასი ლტოლვილიც თან გამოიყოლია, რუსეთს ჩეჩნეთის დამარცხება გაუჭირდა.

ოთხმილიონიანმა საქართველომ სრულიად აუხსნელად დათმო პოზიციები ისე, რომ პარტიზანულ ბრძოლაზეც კი არ უფიქრია, ხოლო ნახევარმილიონიანმა ჩეჩნეთმა რუს დამპყრობელთან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იომა.

შეეწირა ამ ომს იჩქერიის ორი პრეზიდენტი – ჯოხარ დუდაევი და ასლან მასხადოვი, მაგრამ სისხლისგან დაწრეტილმა ჩეჩენმა ხალხმა თავისუფლებისათვის ბრძოლის მსოფლიოს ისტორიის დიდ წიგნში კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა.

რუსეთს ეგონა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ვნებები ჩაცხრა, რომ ავტონომიები შეეგუენ თავიანთ ბედს და საქართველოც კარგახანს წელში ვერ გაიმართებოდა, რომ შევარდნაძის საქართველო ძველებურად იქნებოდა რუსეთის ფაქტიური ვასალი და რუსეთსავე სთხოვდა ძალოვანი მინისტრები დაენიშნა მისთვის, მაგრამ 2003 წლის გადატრიალებამ საქართველოს პოლიტიკური ხომალდი დასავლეთისკენ მკვეთრად შეაბრუნა და ჩვენმა ქვეყანამ ამერიკის სახით თითქოსდა უფრო საიმედო მფარველი მოძებნა.

სიტყვა «მფარველი» მე აქ შემთხვევით არ მიხსენებია, იმიტომ, რომ საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ საბოლოოდ დაადასტურა ერთი ჩვენთვის ფრიად არასახარბიელო ფაქტი – სანამ მსოფლიოში დიდი გეოპოლიტიკური ძვრები არ მოხდება, სანამ მსოფლიოში ზესახელმწიფოების საზიანოდ ძალთა ვითარება არ შეიცვლება, სულ სხვა სამხედრო წონასწარობა არ დამყარ-

დება, საქართველო კვლავ და კვლავ იძულებული იქნება მსოფლიოს მღელვარე პოლიტიკურ ოკეანეში ახალი ყურეები ეძებოს, ბოროტებათაგან შედარებით ნაკლები ბოროტება აირჩიოს და მას მიანდოს თავი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უამრავი შეცდომა დაუშვა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, ერთი რამ მკვეთრად გამოიკვეთა: საქართველომ დასავლური კურსი აირჩია და ევროსტრუქტურებში ინტერგრაციისა და ნატოში შესვლის სურვილიც ორაზროვნების გარეშე, ხმამაღლა გამოაცხადა.

ეს მიზეზი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რუსეთს კოპი შეეკრა და ურჩი საქართველოს ხელმეორედ დასჯა გადაეწყვიტა.

ჯერ კიდევ 2006 წლიდან დაიწყო რუსეთის გაუფორმებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ.

ეს ომი ყოველდღიურად გვაგრძნობინებდა თავს, რუსი «მშვიდობისმყოფელების» მიერ ქართველი ჯარისკაცების ჩახოცვით, ქართული სოფლების დაბომბვით, საქართველოს საზღვრის წამდაუწუმ დარღვევით, ტყეში შეშის საჭრელად წასული მშვიდობიანი გლეხების გატაცებით და ა.შ.

ასე რომ, ვინც გულმოდგინედ ეძებს თარიღს და საათს თუ ვინ გაისროლა პირველად 2008 წლის აგვისტოში, უმჯობესია მან იმ დღისა და საათის ძებნა ერთი ორი წლით უკან გადასწიოს. მეტსაც ვიტყვი, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1992 წელს დაწყებული ომი დღემდე არ დამთავრებულა.

და აი, 2008 წლის 7 აგვისტოს როკის გვირაბიდან საქართველოში შემოდის 2 ათასი რუსული ტანკი, მას მოჰყვება 20 ათასამდე ოკუპანტი რუსი ჯარისკაცი, აფეთქებულია ცის დამცველი სარადარო სისტემა და თითქოს ეს არ ეყოფოდა ყოვლგნით ხელაღუპყრობელ საქართველოს, რუსეთმა ისევ მიმართა თავის მელურ პოლიტიკას _ ჩრდილოეთ კავკასიელებს კვლავ დაუბნელა გონება და მოხალისეთა ახალი რაზმები მომართა საქართველოს წინააღმდეგ.

რა მალე დაივიწყეს ძვირფასმა ჩეჩნებმა ქართველთა ძმობა, რა მალე დაივიწყეს პანკისი და ჩეჩნისთვის გაყოფილი ქართული ლუკმა და როკის გვირაბის გავლით წვერმოშვებული და თავგადაპარსული «ჩეჩენი ძმები» ცხინვალში ქართველი პატრიოტი ბიჭების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ამჯერადაც იძლია კორუმპირებული გენერლების მიერ გაწვრთნილი მსოფლიოში, ალბათ, ყველაზე სუსტი ქართული ჯარი.

მსოფლიოს საინფორმაციო ორგანოებს სასაცილოდ და საირონიოდ დიდხანს შერჩებათ კადრები, თუ როგორ გამორბოდნენ «მამაცი» ქართველი მეომრები ცხინვალიდან და გზადაგზა ღობეებისკენ მოისროდნენ ავტომატებსა და ჯავშანჟილეტებს. გავა დრო და ამ დედლურ დემარშს ჩვენი ზოგიერთი «გენიოსი» სამხედრო პოლიტიკოსი იმით ახსნის, რომ ქართველებმა ჭკუა ვიხმარეთ, რომ გავუწექით რა რუსულ სამხედრო მანქანას, არ მივეცით საშუალება პირსისხლიან რუს გენერლებს, საქართველო წაღმა-უკუღმა გადაეხნათ.

სინამდვილეში აი, რა მოხდა. ჩვენი გამოუცდელი პოლიტიკური ელიტა იმდენად იყო ეიფორიას მიცემული ევროპული პოლიტიკური ტრიბუნების «დალაშქვრის დროს»

ატეხილი ტაშისაგან, რომ ეგონა მსოფლიო არ მისცემდა უფლებას დამპყრობელ რუსს საქართველოს წინააღმდეგ მრისხანე რუსული იარაღი გამოეყენებინა.

დამარცხებული ქართველები შიშით შევცქეროდით ტელევიზორს, სადაც საქართველოს დაბნეული პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხან შოკირებული თითებს იკვნეტდა, ხან სასოწარკვეთილი ტელეფონით შველას ითხოვდა ამერიკისა და ევროპისგან.

ფიცში ვერ ჩავიყოლებ, ბოლოს-დაბოლოს, ეს შველაც გამოჩნდა.

მაშინ, როდესაც საქართველო უკვე დამარცხებული და მისი სამხედრო ინფრასტრუქტურა თითქმის იავარქმნილი იყო, მსოფლიოს სამშვიდობო ცაზე გამოჩნდა ნიკოლა სარკოზი თავისი ექვსპუნქტიანი შეთახმებით და ამერიკის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც რამდენჯერმე ჩამოფრინდა თბილისში, რომ გასაქცევად გამზადებული ჩვენი მთავრობა ცოტათი მაინც დაეშოშმინებინა.

ვერ ვიტყვი, სამართალმა პური ჭამა-მეთქი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის და არა ევროპის ძალისხმევით რუსებმა თბილისსმომდგარი ტანკები შეატრიალეს და საქართველოს სახელმწიფოებრიობა ამჯერად შენარჩუნებულ იქნა.

რუსს ეგონა, რომ ამით ჭკუა ასწავლა საქართველოს და აწ და მარადის მის მიერ სამაგალითოდ დასჯილი საქართველოს ხელისუფლება რუს ძმასთან მიმართებაში დამჯერი და სიტყვარბილი იქნებოდა.

საბედნიეროდ ასე არ მოხდა. ჩვენ გავითვალისწინეთ რა, რუსის ვერაგობათა ორასწლოვანი ჯაჭვის სიმძიმე, ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვით რუსეთთან ენის მოჩლექით ლაპარაკზე და გადავწყვიტეთ არ დაგვემალა მსოფლიოსათვის ის, რაც მსოფლიომ მშვენივრად იცოდა, რომ საქართველოს ყველაზე საშიში ისტორიული მტერი რუსეთი იყო და იგი მიუხედავად მსოფლიოს პოლიტიკურ უწყებათა არაერთგზისი მითითებისა, არ აპირებდა, საქართველოსთვის 1992 წელს წართმეული ტერიტორიები დაებრუნებინა.

როგორ მოიქცა რუსი? აქაოდა, ჩემი სივერაგე კავკასიაში მსოფლიოსთვის ისედაც ცხადი გახდაო, რაც სირცხვილი მაქვს ნაჭამი და სახელი მაქვს გატეხილი კავკასიაში მეტ სირცხვილს რაღას ვჭამო, და 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს კიდევ წაართვა შიდა ქართლის 160 სოფელი, ახალგორის რაიონი და მთელი კოდორის ხეობა.

ასე რომ, დღეს რუსეთს მიტაცებული აქვს საქართველოს არა მხოლოდ 20 პროცენტი, როგორც ჩვენი «ყოვლისმცოდნე» ზოგი პარლამენტარი გაჰყვირის, არამედ 25 პროცენტი და საქართველოს იურისდიქცია დღეს ვრცელდება ნაცვლად 1992 წლამდელი 69 000 კვადრატული კილომეტრისა, მხოლოდ 44 ათას კვადრატულ კილომეტრზე.

გავიდა სრული სამი წელი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან.

ამ ხნის განმავლობაში საქართველო ამაოდ ითხოვს შველას მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსგან.

საქართველოს წარმომადგენელი რუსეთს საქართველოს ოკუპაციაში ამხელს ნებისმიერი პოლიტიკური ტრიბუნიდან, გაერო იქნება ეს თუ ევროკავშირის სამიტი, მაგრამ ჯერჯერობით საქმე წინ არ მიდის. გაერო, ევროკავშირი და ევროპარლამენტი

რაც დრო გადის, უფრო და უფრო გაბედულად იყენებენ თავიანთ შეუსრულებელ დადგენილებებში რუსეთის მიერ სიტყვა «ოკუპაციას», მაგრამ ერთი წუთითაც არ ფიქრობენ იმაზე, რომ თუ მსოფლიოს რაიმე სამართლებრივი უწყება ან კეთილი ნება მართავს, ოკუპანტს სანქციები უნდა დაუწესონ, რათა გაათავისუფლოს გაეროს წევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მის მიერ მიტაცებული ტერიტორია.

2011 წლის ნოემბერში რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი წინააღმდეგ ყველა იმ სკეპტიკოსისა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ 2008 წელს რუსეთთან ომი საქართველომ დაიწყო, მსოფლიოს გასაგონად აცხადებს: საქართველოს წინააღმდეგ ომი დიახაც რომ ჩემი ბრძანებით დაიწყოო. ამით საქართველოსთან ერთად გაეროსაც ვაგრძნობინეთ, რომ ნატოს გაფართოების მადა დაეოკებინაო. ამაზე ნატომ ყური მოიყრუა და რასმუსენმა განცხადებაც კი არ გააკეთა, მედვედევმა ნატოს ჭკუის სწავლებას თავი დაანებოს და თავის საქმეს მიხედოსო.

მედვედევის ამ განცხადების მიმართ ევროპა-ამერიკის წაყრუების გამო გულმიცემულმა პრეზიდენტობის სტარტზე შემდგარმა პუტინმა გამოაცხადა, რომ იგი აპირებს შექმნას აღმოსავლეთის ეკონომიური ზონა ე.წ. «ევრაზიის კავშირი» _ ახალი პოლიტიკურ-ეკონომიური გაერთიანება, რომელშიც შევლენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები.

რა თქმა უნდა, ამ ახალ «სტრუქტურაში» რამდენჯერმე ჭკუანასწავლი საქართველო თავს არ შეყოფს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ პუტინის ეს ახალი ჩანაფიქრი სხვა არა არის რა, თუ არა ახალი ესენგეს მსგავსი გაერთიანების შექმნა, რომელიც რუსეთის პოლიტიკური მესვეურების აზრით, ვინ იცის, იქნებ, ოდესმე ახალ საბჭოთა კავშირად ჩამოყალიბდეს.

ხომ საყოველთაოდ ცნობილია, პუტინის აზრი ბოროტების იმპერიის დაშლაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლას პუტინმა XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის მსოფლიო კატასტროფა უწოდა და ისიც არაა დასამალი, რომ რევანშისტული რუსეთი ყოველ ღონეს იხმარს საბჭოეთის რეამინაციისათვის.

როგორ დგას ის მხარე, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს რუსეთს თავისი ავი ზრახვების განხორციელებაში?

სანამ გოლიათი ჩინეთი მსოფლიოს ახალ პოლიტიკურ მოთამაშედ ჩამოყალიბდებოდეს, რუსეთის შემკავებლის ფუნქცია ამერიკამ და ევროპამ უნდა იკისროს.

სამწუხაროდ, კავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში ამერიკა და ევროპა საქართველოს მშველელის ისტორიულ ფუნქციას არა და ვერ ასრულებს.

მთელი მსოფლიო კარგად ხედავს, რომ გაეროს თუ ევროკავშირის რეზოლუციები მეათიათასე მითითებების შემცველი, იმისათვის, რათა რუსეთმა საქართველოს მიმართ 2008 წელს აღებული ვალდებულება შეასრულოს, მიზანს ვერ აღწევს.

მსოფლიოს აუხსნელი სიჩუმით გულმიცემული რუსი ძალოვნები იარაღს აჟღარუნებენ და მთელი მსოფლიოს თვალწინ უტიფრად აცხადებენ, რომ ისინი ე.წ. თავიანთ მოქალაქეებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზეც დაიცავენ და იმ სხვა სა-

ხელმწიფოებისთვის, სადაც რუსეთის მოქალაქეების ინტერესები ირღვევა, ცეცხლის გახსნასაც არ მოერიდებიან. არადა, ვინ არიან ეს ე.წ. რუსეთის მოქალაქეები? ისინი, ვისთვისაც 1999 წლიდან რუსეთმა რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო. მაშინ ევროპამ და ამერიკამ პირში წყალი ჩაიგუბეს და შენიშვნაც კი არ ჰკადრეს რუსეთს საქართველოს მიწაზე საქართველოს მოქალაქეებს ე.წ. აფსუებს და ოსებს რუსულ პასპორტებს რომ ურიგებ, რა კანონის ძალით სჩადიხარ ამასო.

ამ ნელთბილმა პოლიტიკამ და ამერიკულ-ევროპულმა მოცდა-დაყოვნების პრაქტიკამ ის შედეგი გამოიღო, რომ რუსეთმა აშკარად ამოსწია ევროპის საზღვართან რაკეტები და ევროპისკენ მიმართა.

მაშინ კი ცოტა არ იყოს შეშფოთდა ევროპა და ერთიორჯერ წამოიკნავლა ისევ და ისევ მკვდრადშობილი რეზოლუციებით, მაგრამ ამა-სობაში მოახლოვდა ზამთარი და ევ-როპამ, აქაოდა, რუსეთმა გაზი არ გამითიშოსო, ენა გადაყლაპა.

ძაღლი ჰყეფს, მაგრამ რუსეთის რევანშისტული მანქანა გზას განაგრძობს.

სულ მალე რუსეთს ახალი პრეზიდენტი ეყოლება და მსოფლიო ახალი საფრთხის წინაშე დადგება.

თუ მედვედევში ზოგჯერ გაკრთებოდა ხოლმე დემოკრატიისკენ თუნდაც მოჩვენებითად მისწაფრლი პოლიტიკოსი, პუტინის ნაჯახურ პოლიტიკაში გულჩვილობის ნატამალსაც ვერ აღმოაჩენთ.

განსაკუთრებული ზიზღი რუსეთის ძიუდოსტ ყოფილ და მომავალ პრეზიდენტს საქართველოს მიმართ აქვს.

სისულელეზე სისულელეა ზოგი გულუბრყვილო ქართველი პოლიტიკოსის აზრი იმის შესახებ, რომ პუტინის საქართველოსადმი ზიზღი საქართველოს პრეზიდენტის რუსეთის მიმართ რადიკალურმა პოლიტიკამ გამოიწვია.

ეს ასე არ არის.

რუსულ პოლიტიკაში კარგა ხანია გამომუშავდა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

რუსულ ელიტას ცრემლების კარგა ხანია არ სჯერა და მან კარგად იცის, რომ მოაზროვნე საქართველოს იგი ვეღარასოდეს შეაბრუნებს რუსული კაკანათისკენ.

სწორედ რომ მოაზროვნე საქართველოს კარგად ახსოვს დამპყრობელი რუსეთის ორასწლოვანი ვერაგობები და მხოლოდ და მხოლოდ თითოოროლა ქართველსღა თუ დარჩა თეთრთმიანი რუსი «ქალიშვილების» და ფენეშებელური მოსკოვური სასტუმროების ნოსტალგია.

საქართველოს გააჩნდა ერთი არც თუ ისე ძლიერი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ბერკეტი რუსეთთან სავაჭროდ, რათა მას თავისი ტერი-ტორიული მთლიანობა ნაწილობრივ მაინც აღედგინა.

ეს გახლდათ საქართველოს ხმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად.

ჩვენი მძიმე ისტორიული ხვედრის გამო, ჩვენ ხომ, ქართველებს დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელების უფლება კარგა ხანია წართმეული გვაქვს და ამერიკისვე ზეგავლენით ჩვენ ეს ბერკეტიც დავთმეთ.

ხმა მივეცით რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში.

ნაცვლად ამისა, მივიღეთ ფრიად სუმბურული დაპირება – საქართველოს პრობლემურ საზღვრებთან, ფსოუზე და როკის გვირაბთან, რუს მესაზღვრეებთან ერთად საერთაშორისო დამკვირვებლებიც დადგებიან, რათა საქართველოში შემოსატანი ტვირთი ერთად გააკონტროლონო.

საკითხი მანდარინის ან თხილის გატან-გამოტანას კი არ შეეხება, არამედ რუსეთის მიერ აფხაზეთში, ცხინვალსა თუ სომხეთში რუსული იარაღის შეტანას.

ეს ხელშეკრულება რომ თავიდანვე კაბალური იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ხელშეკრულებაში უნდა ჩაწერილიყო; საზღვარს რუსებთან ერთად ქართველებიც გააკონტროლებენო, მაგრამ მრისხანე რუსეთმა როკთან და ფსოუზე მასპინძელი ქართველების რუსეთის გვერდით დადგომა არ ისურვა და კიდევ ერთხელ გახუნდა ყბადაღებული ფრაზა «ევროპელი მშვიდობისმყოფელებისა».

ჯერჯერობით გაურკვეველია ვინ იქნებიან ევროპელი სამშვიდობო დამკვირვებლები _ ფრანგები, ინგლისელები თუ ჰოლანდიელები. შიში მაქვს, რომ ე.წ. ევროპელებიც რუსეთის ხელდასხმითა და შერჩევით დადგებიან (თუ საერთოდ დადგნენ) საზღვრების მებაჟე გამკონტროლებლებად და ესეც შენი სიკეთე საქართველოსთვის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაზე დასტურისგან მიღებული.

ზემოთ ახალ ისტორიულ ვითარებაზე მოგახსენებდით და, რა თქმა უნდა, ამაში რუსეთის ჩატარებული თუ მოახლოებული არჩევნები იგულისხმებოდა.

კადიროვისთანა მარჯვე ბიჭების «ნათელი პოლიტიკური გონებით» ვითომ და დამშვიდებული რუსი და მის მიერ ახალი ე.წ. სახელმწიფოების ე.წ. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცრუპრეზიდენტების საქმიანობით გაყოყოჩებული რუსული მხარე სიხარულს ვერ მალავდა. მან ხომ, როგორც იქნა, მიაღწია საქართველოს მახლობლად დამოუკიდებელ აფხაზეთში და დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთში სწორედ რომ ქართულ მიწაზე ორი დიდი სამხედრო ბაზის აშენებას.

ახლა შეიძლება ამოვისუნთქო და მედვედევ-პუტინის მეფობის კიდევ ერთი ათწლეულით განახლებაზე ვიზრუნოო, _ ფიქრობდა რუსი.

და სწორედ აქ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, რაზეც, როგორც ჩანს, რუსული ,,ნაჯახური'' პოლიტიკა ჯერ არ დაფიქრებულა, მაგრამ რომ გააანალიზებს თანდათან მიხვდება, რომ კავკასიაში საქმე არც ისე მშვიდადაა, როგორც მას ჰგონია.

აწ უკვე დამოუკიდებელ «სამხრეთ ოსეთში» პრეზიდენტის არჩევნები დაინიშნა.

ყოფილი მოჭიდავე კოკოითი, როგორც ჩანს, მოსწყინდა რუსეთს.

ამას თან დაერთო კოკოითის მიერ რუსული «საძმო დახმარების» უმოწყალო თქვლეფა და რუსეთმა კოკოითის შეცვლა გადაწყვიტა.

საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთმა კოკოითის შემცვლელად ვინმე ანატოლი ბიბილოვი შეარჩია, ხოლო ცხინვალის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მომავალ პრეზიდენტად კოკოითის მთავრობის განათლების ყოფილი მინისტრი ალა ჯიოევა დაასახელა.

«სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის» ერთგულებაში დარწმუნებულმა რუსმა წამით ჩათვ-

ლიმა არჩევნების დღეს – 27 ნოემბერს, რადგანაც ღრმად სჯეროდა, რომ ხალხი არჩევანს სწორედ მის მიერ ხელდასხმულ ანატოლი ბიბილოვზე შეაჩერებდა.

მაგრამ რუსი მწარედ მოტყუვდა.

კვლავ იჩინა თავი იმ გარემოებამ რომ რუსეთი, მიუხედავად მთელი თავისი ფლიდური პოლიტიკური არსენალისა, კარგად არ იცნობს კავკასიელი კაცის ბუნებას. დათვალეს ბიულეტენები და გაირკვა, რომ პრეზიდენტის სავარძელი ალა ჯიოევას ერგო.

შეცბუნებული რუსეთის ხელმძღვანელობა «სამხრეთ ოსეთის» ღალატს არა და არ ელოდა. მას ხომ პირობა ჰქონდა მიცემული ბიბილოვისთვის, შენ გაგაპრეზიდენტებთ და კოკოითის მიერ აღმართული რუსეთთან ერთგულების დროშა ძირს არ უნდა დახაროო. რუსეთი რისი რუსეთია, რომ ამ მარცხს შეგუებოდა და ორი დღის შემდეგ ცხინვალის უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმა.

მერე მოხდა,რაც მოხდა.

ცხინვალის ქუჩები ალა ჯიოევას მომხრეებით გაივსო და საპროტესტო გამოსვლები ზოგჯერ ძალოვანებთან აშკარა შეტაკებაშიც გადაიზარდა.

ეს გარემოება რუსეთის ხელმძღვანელობას დამშვიდების საბაბს არადა არ აძლევს.

იმპერიულ რუსეთს პატარა ცხინვალის პროტესტმა ძილი გაუკრთო.

როგორ, ახალგამომცხვარ «დამოუკიდებელ სახელმწიფოს», რომელსაც დამოუკიდებლობა მე თვითონ გამოვუგონე და ახალგორთან დიდი სამხედრო ბაზითაც გავამაგრე მისი დამოუკიდებლობა, ვინ მისცა იმის გამბედაობა, რომ ჩემს მიერ წარდგენილ საპრეზიდენტო კანდიდატზე უარი ეთქვაო.

მე შორსა ვარ იმ გულუბრყვილო თვითდაჯერებისგან, რასაც მოუცავს ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის გონება – აქაოდა, ჯიოევა აშკარად ქართული ორიენტაციის პრეზიდენტი იქნებაო. ჯერ ერთი, ჯიოევას მიმართ იმედი და სიმპათია ჩვენ გულშიც არ უნდა გავივლოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ე.წ. «სამხრეთ ოსეთი», შიდა ქართლი ანუ ისტორიული ძირძველი ქართული მიწაა და იქ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ქართველი ეროვნული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაა.

მით უმეტეს, არალეგიტიმური და თავსმოხვეულია პრეზიდენტის არჩევნები სამხრეთ ოსეთში.

მახსოვს, რამდენიმე ცრუპოლიტიკოსი, თავის დროზე, ბაღაფშის გაპრეზიდენტებასაც იმედის თვალით უყურებდა, შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ბაღაფში არძინბაზე არანაკლებ ვერაგი პრეზიდენტი აღმოჩნდა და საქართველოს მიმართ ზიზღი არაერთგზის გამოამჟღავნა.

ასე რომ, ილუზიები ქართული მხარისთვის ალა ჯიოევას სიმპათიურობის შესახებ მითია, მაგრამ ერთი რამ ცხადი გახლავთ – «სამხრეთ ოსეთმა» ანუ ცხინვალის რეგიონმა 27 ნოემბრის არჩევნებით რუსეთის მიმართ აშკარა პროტესტი გამოხატა.

უკვე დარწმუნდა დიდო რუსეთო, კავკასია რას ნიშნავს შენ მიერ ბოძებული დამოუკიდებლობა და ამ სამი წლის განმავლობაში იმასაც ყველა მიხვდა, რომ ცხინვალის რეგიონის აყვავება და ეკონომიკური სიუხვის მოჩვენებითი რომანტიკა თვითგამოცხადებული «ოსური სახელმწი-

ფოს» ფაქტიური სულთათანა იყო. მით უმეტეს, რომ რუსეთმა ოსები თავის ისტორიულ ძმებს – ქართველებს ვერაგულად მოაშორა და მათს ძირძველ ძმობაში ავტომატიანი რუსი ჯარისკაცის შემაძრწუნებელი ფიგურა აღმართა.

დეკემბრის პირველ რიცხვებში რუსეთს თურმე ახალი სიურპრიზი ელოდა:

პუტინმა და მედვედევმა კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში სრულყოფილი დემოკრატიული არჩევნები არ ჩატარებულა.

ისინი იმედოვნებენ, რომ დემოკრატიაჩაწიხლული და თავისუფალ სიტყვაზე ტლანქი სახელმწიფოებრივი მანქანით გადავლილი რუსეთი დუმის არჩევნების გაყალბებასაც შეეგუებოდა ჩვეულებრივი რუსულ-მუჟიკური შეგუებით:

«ასე იყო და ასე იქნება».

«რამდენიც არ უნდა ვიხტუნოთ, თავს ზევით ვერ ავხტებით».

როგორც კი გამოცხადდა ეგზიტ-პოლის შედეგები, რომ თითქოსდა, ხმათა უმრავლესობით «ედინაია რასიამ» გაიმარჯვა დუმის არჩევნებში, რაც უკვე იყო იმის უვერტიურა, რომ სულ მალე ძიუდოსტი პუტინიც დაიდგამდა პრეზიდენტის გვირგვინს, 25-გრადუსიან ყინვაში მთელი რუსეთი გარეთ გამოვიდა.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა და ევროპის პოლიტიკურმა სტრუქტურებმაც ერთხმად დაგმეს არჩევნების შედეგები.

რუსეთის ელიტის ორი უტიფარი პოლიტიკური გნომი ამჯერად ამ გამოსვლებს ვერა დ ავერ წაუყრუებს.

მიუხედავად ოპოზიციის ყველა ლიდერის დაპატიმრებისა, კრემლის კედლებს მოახლოებული რევოლუციის ყრუ გუგუნი აწყდება.

რუსეთი ვულკანზე ზის.

iuri bibileiSvili

კაპიტალური გამოკვლევა დიდ მწერალზე

ჩვენი რეცენზიით ვერაფერს შევმატებთ პროფ. სოსო სიგუას ორტომიან გამოკვლევას ,,მარტვილი და ალამდარი'', რადგან ჩვენ, ჯერჯერობით, ხელი არ მიგვიწვდება ისეთ წყაროზე, რომელსაც არ იცნობდეს ავტორი, არც იმდენი დრო და ძალისხმევა დაგვიხარჯავს კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაზე, რამდენიც დახარჯა ავტორმა. მან გამოიკვლია, დაადგინა კავშირები ფაქტებსა და მოვლენებს შორის, მწერლის ცხოვრებას, შემოქმედებასა და ეპოქას შორის, რომელსაც **კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქა ჰქვია**.

მაგრამ არსებობს კიდევ მკითხველის უზარმაზარი მორალური პასუხისმგებლობა კარგი წიგნისა და მისი ავტორის წინაშე. ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობას აღძრავს ჩვენში პროფ. სოსო სიგუას 1546-გვერდიანი გამოკვლევა ,,მარტვილი და ალამდარი''. ჩვენ შემთხვევით არ დაგვითვლია ამ ორტომეულის გვერდები. მისი თვალშისაცემი მოცულობა შინაგანად წინასწარ განაწყობს მკითხველს იმისათვის, რომ მის წინაშეა ნაშრომი, რომელშიც სკრუპულოზური სიზუსტით იქნება საკვლევი პრობლემა შესწავლილი და შეფასებული.

ნაშრომს რეცენზიის სახით თან ერთვის პროფესორების _ მურმან თავდიშვილის (,,მარტვილი და ალამდარი'' – ,,მწერლის გაზეთი'', 2003 წ. 26 მაისი) და როსტომ ჩხეიძის ,,აკოპალიფსის მხედარი'' _ ,,ჩვენი მწერლობა'', 2002 წლის 10-16 ოქტომბერი) წერილები. ავტორები ღრმა და კვალიფიციურ შეფასებას აძლევენ პროფ. სოსო სიგუას ნაშრომის მთავარ მიმართულებებს, რაც ჩვენ გვათავისუფლებს თემატური შრეების მიხედვით ანალოგიური კვლევებისაგან.

ჩვენს ყურადღებას, პირველ რიგში, ნაშრომის შესრულების სტილი იწვევს. მკითხველმა იცის, რომ ამ შრომების დიდი ნაწილი თავის დროზე საკვალიფიკაციო გამოკვლევების სახით შესრულდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ საქამე გვექნებოდა კვლევის აკადემიურ, მძიმე სტილთან. მაგრამ აკადემიური სტილის სიმძიმე და სიმშრალე აშკარად დაძლეულია. ავტორი გვთავაზობს თავისუფალი აზროვნების სტილით შესრულებულ ესეისტურ თხზულებას, ოღონდ ესეისტური თხზულების

იმ მოდელისაგან განსხვავებულს, რომელსაც თავად ბატონი სოსო სიგუას ესსეს განსაზღვრებაშია მოცემული. მისი დახასიათებით ,,ესეისტური კრიტიკის არსია იმპრესიონისტული აღქმა, ნახევარტონებით საუბარი, მწუხრის ფერებით ხატვა. მას საგნის ობიექტურ ღირსებაზე მეტად აინტერესებს შთაბეჭდილება, თვალსაზრისი საგანზე, ჩვეულებრივ, ესსეისტი უარყოფს ტერმინოლოგიურ სტილს, მეტყველებს პოეზიის ენით, შედარებებითა და მეტაფორებით, სიმბოლოებითა და პაროლებით (ტ. 2, გვ. 599).

,,მარტვილი და ალამდარის'' ავტორისათვის მთავარია სწორედ საგნის ობიექტურობა. ავტორის ყოველი მოსაზრება, დასკვნა, განზოგადება არგუმენტირებულია მწერლისავე ეპოქის სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით, ეროვნული და საერთაშორისო ცხოვრების მოთხოვნით, ხელოვნების, კულტურის მონაპოვრებითა და ფილოსოფიური აზროვნების მიღწევებით, ამის წყალობით ორტომეულის მთელ მანძილზე ავტორს მიჯაჭვული ჰყავს მკითხველი, რომელსაც თითქოს უშუალოდ გადმოეცემა აღწერილი ეპოქის მაჯისცემა და ავტორის თანამოაზრე ხდება.

ნაშრომის არასტანდარტულობის ნიშნები სათაურიდანვე იკვეთება. მარტვილი _ საბას განმარტებით, _ ლათინთა ენაზე მოწამეს უწოდებენ, ალამდარი _ არაბულ-სპარსული წარმოშობისაა და მედროშეს ჰქვია. კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების დახასიათებისათვის, ამ ორი სიტყვის მოძიება მხატვრული აღმოჩენის ტოლფასია. იგი კაცის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჭეშმარიტად სკურპულოზური (ლათ. ზედმიწევნით ზუსტი) შეფასების ნიმუშია. მოწამის ცხოვრებითა და გმირის შემართებით ცხოვრობდა და იბრძოდა კონსტანტინე გამსახურდია და მისი სწორედ განსაზღვრა სწორედ აკადემიურ ამოცანას წარმოადგენს.

სარეცენზიო ნაშრომი სამი დიდი პრობლემის დამუშავების შედეგად არის შექმნილი. ესენია: 1. კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზა; 2. კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა და 3. კონსტანტინე გამსახურდიას თეორიული სისტემა (1916-1928 წწ.) თითოეული თვითკმარი, დამოუკიდებელი ნაშრომია და სამივე ერთად ქმნის დიდი ეპოქის სურათს, დაკავშირებულს კონსტანტინე გამსახურდიას სახელთან.

პირველ ნაწილს ჩვენ ბიოგრაფიულ რომანს ვუწოდებთ. ამასთან ავტორი გვთავაზობს არაერთი მოღვაწის ცხოვრების, არამედ ეპოქის სურათს. ნაშრომში თანაბარი ძალით არის წარმოსახული დიდი მწერლის ძლიერი და სუსტი ადამიანური თვისებები და დროის პოლიტიკური ტენდენციები. მაგალითად, პროფ. სოსო სიგუა წერს: ,,კონსტანტინე ისტორიული რომანების წერას არ აპირებდა, მაგრამ როცა საამისო სიტუაცია შეექმნა, სწრაფად მოერგო ახალ მასალას. ჩინებულად იცნობდა ძველქართულ სამყაროს, ძველქართულ ენას, ბიბლიას, ელადას, იყო კარგი ცხენოსანი, მონადირე, იარაღის მცოდნე, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა გარდასულ დღეთა აღდგენის ჟამს,

დღევანდელობა სულს უხუთავდა, ოცნებობდა თავისუფალ და ძლიერ საქართველოზე''.

ბიოგრაფიული რომანისათვის აუცილებელი სახასიათო დეტალების სიმდიდრით გამოირჩევა ,,კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზა''. ავტორისათვის უცხოა ცალმხრივობა და სწორხაზოვნება. ის ყოველთვის სისრულისაკენ მიისწრაფვის. მაგალითად, ცნობილია, რომ კ. გამსახურდია ცხარედ ეკამათებოდა ,,ცისფერყანწელებს'', ბრალად სდებდა, რომ მათ სწრაფად დაიწყეს ქადაგება ,,წითელ რუსეთთან დაძმობილებაზე, თბილისის აღმოსავლური პოლიტიკის შტაბად გადაქცევაზე''. პროფ. სოსო სიგუა შენიშნავს, ამ აზრს ნაწილობრივ კ. გამსახურდიაც იზიარებდა.

მეორე: ავტორი გადმოგვცემს _ გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ კ. გამსახურდიას გამოსვლების ეპიზოდებს და აღნიშნავს, რომ სასაცილოა გრიგოლ რობაქიძის მოსაზრებები ,,ტფილისის ეთნიურ სუმბურებზე'', მაგრამ მკვლევარი იქვე აღნიშნავს იმასაც, რომ ანალოგიური შეხედულება ჰქონდა თავად გამსახურდიასაც''. ამგვარი დეტალების წიაღიდან იზრდება მკვლევრის პოზიციების მეცნიერული სანდობის ხარისხი.

შედარებით მაღალმეცნიერულ დონეზეა შესრულებული ნაშრომში ,,კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა''. ორიგინალურია თვით პრობლემის დასმა. ავტორი გვთავაზობს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების არა თემატური შრეების მიხედვით განხილვას, რაც ტრადიციულია ჩვენში, არამედ მხატვრული აზროვნების ლოგიკით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ფილოლოგიური აზროვნების და კვლევის ახალ სისტემასთან. სიცხადისათვის თავს უფლება მივცემთ ვრცელი ამონაწერი შევთავაზოთ მკითხველს. პროფ. სოსო სიგუა პარაგრაფში ,,ტექსტის სტრუქტურა და მითი'', წერს: ,,მხატვრული ტექსტის სტრუქტურა სხვადასხვა, მაგრამ ერთიანი კლასებისაგან შედგება, როგორც გეოლოგიური ფენები. ეს არის სიუჟეტურ-კომპოზიციური, სემანტიკურ თუ ევფონიური, რომელთა მეშვეობით ვლინდება პერსონაჟთა ისტორია, გრძნობები, ხასიათი და ცნობიერება _ დრამატული თუ კომიკური.

სტრუქტურის კვლევა არ არის მხოლოდ მთელის დაყოფა წილებად ანუ შემოქმედებით თავისებურებათა აღნუსხვა, არამედ ამ თავისებურებათა სისტემის პოვნა და გააზრება''. ამ სისტემით კვლევა ავტორისაგან მოითხოვს ფართო განათლებასა და ღრმა ერუდიციას. პროფ. სოსო სიგუა სავსებით მომზადებული აღმოჩნდა ამგვარი კვლევისათვის. მისი ცოდნა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, მითოლოგიის და ა.შ. დარგებში ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ალბათ, კონსტანტინე გამსახურდიას დონისა და ტიპის მწერლის შემოქმედების მეცნიერულ-მხატვრული გააზრება შეუძლებელი იქნებოდა სოსო სიგუას მიერ შემუშავებული მიდგომების გარეშე. მისი კვლევის შედეგებზე დაკვირვება ღრმად გვარწმუნებს იმაში, რომ ნებისმიერ დარგში და მეცნიერულ კვლევაში კონკრეტული მოდელების

მიგნებაში დიდია ინტუიციური გეშის ძალა. ამ ძალას მხოლოდ ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოებით ვერ დაეუფლება მომავალი მკვლევარი. ფაქტობრივი მასალის ღრმა ცოდნით, ფართო ფილოლოგიური განათლებითა და ბუნებრივი ინტუიციური გეშით არის დაწერილი თავები ,,ლიტერატურა როგორც ტრადიცია და რევოლუცია'', ,,კუმირების დაღუპვა და კვლავ გაცოცხლება'', ,,პერსონაჟის შექმნისა და ხატვის პრინციპი'', ,,სიტყვის ხელოვნება''.

ანალოგიურ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ნაშრომის მესამე ნაწილი ,,თეორიული სისტემა და მხატვრული სტრუქტურა''. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, კ. გამსახურდიას პროზის სტრუქტურის ახსნა შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინეთ მწერლის შეხედულებანი, რომლებიც წინ უსწრებენ ამა თუ იმ რომანის შექმნას, რადგან ყოველი დიდი თხზულება, ამავე დროს, არის განსაზღვრული პერიოდის შეჯამება, დამთავრება, სულიერ ძალთა კონცენტრირება. მთელი ნაშრომი დიდი შინაგანი ენერგიის ძალით აქვს ავტორს შესრულებული, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების სიღრმისეული მოვლენების გათვალსიწინებისათვის ავტორი სრულიად ახალ სიღრმეებს გვაზიარებს, როცა კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებების რუსულ თარგმანებს მიმოიხილავს და აღნიშნავს, რომ ,,მთარგმნელები ვერ გრძნობენ კ. გამსახურდიას პროზის ნიუანსებს, ქვეტექსტებსა და მინიშნებებს საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. ამ მხრივ საინტერესო დეტალად მიგვაჩნია ,,მთვარის მოტაცების'' თარგმანში ,,ოიდიპოსის კომპლექსის'' გააზრების ფაქტი. ამასთან დაკავშირებით პროფ. სოსო სიგუა შენიშნავს: ,,როგორც ვხედავთ, ფსიქოანალიტიკური იდეა გაგებულია უბრალო პოეტურ სახედ. ,,მთვარის მოტაცებას'' კი სწორედ ამ იდეის რთული ტრანსფორმაცია უდევს საფუძვლად. რასაკვირველია, მთარგმნელის ბრალი არაა, რომ წიგნიდან ამოღებულია მამის მკვლელობის პასაჟი. მაგრამ მე ნათქვამს მინდა დავუბრუნდე და ვთქვა, რომ ,,ოიდიპოს კომპლექსის'' გარეშე არ შეიძლება ,,მთვარის მოტაცების სრული გააზრება. 1936 წლის ტექსტი უნდა აღდგეს''. საკვლევი ტექსტისადმი ამგვარი სკრუპულოზური მიდგომა გაბატონებული წესია პროფ. სოსო სიგუას კვლევით პრაქტიკაში და ამით არის განპირობებული ნებისმიერი გამოკვლევის მთავარი ღირსება: გამოკვლევა უნდა იძლეოდეს ახალ ცოდნას.

პროფ. სოსო სიგუას წერის სტილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად მიგვაჩნია ასასახი მოვლენის ისტორიული ფონის გულდაგულ დამუშავება. მის ნაწერებში ყოველთვის იკითხება ისტორიული ეპოქის სურათი. კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრებისა და მხატვრული აზროვნების ისტორია იშლება ისტორიულ ფონზე, რომელიც კარგად არის გადმოცემული ვრცელ მონაკვეთში ,,სლანსკი, ასჩვიდმეტი''. იგი ექვსი ნაწილისაგან შედგება. მკითხველს ძალიან ბევრ საინტერესო ცოდნას აძლევს თავი ,,პრესა და ლიტერატურა''.

საკვლევი თემის ისტორიული ფონის ფუნქცია აკისრია დანართს წიგნიდან ,,ქართული მოდერნიზმი''.

* * *

სოსო სიგუას, როგორც ესეისტისა და ლიტერატურის ისტორიკოსის წერის სტილი, სხვა ღირსებებთან ერთად, გამოირჩევა იმითაც, რომ ავტორი წარმატებით იყენებს მინიშნებებს მსჯელობის პარალელურ ხაზებზე (,,შეადარე'') და ამით მნიშვნელოვნად აფართოებს მკითხველის დიაპაზონს. ამასთან, ამ პარალელური ხაზების საფუძველია კავშირი კონსტანტინე გამსახურდიას თეორიული ნააზრევისა მისსავე მხატვრულ შემოქმედებასთან, რითაც ერთი სისტემის სახით წარმოგვიდგენს დიდი მწერლის მრავალმხრივ ნააზრევსა და მოღვაწეობას. მაგალითად, ,,კ. გამსახურდია, _ წერს სოსო სიგუა, _ აყენებს ამიერკავკასიის ტერიტორიის ეროვნული გამიჯვნის'', თურქეთთან ზავის, ლაზისტანის (ჭანეთის) საკითხებს. თურქეთთან ზავი უნდა ყოფილიყო ,,უანექსიო და უკონტრიბუციო'', ხოლო ჭანეთი არ უნდა ქცეულიყო მეორე ელზას-ლორენად. დამთავრდა 117 წლის ტანჯვა და 117 წლის ბრძოლა (შდრ. _ ,,დიონისეს ღიმილი'', _ ,,ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა'') (ტ. 2, გვ. 95).

ან კიდევ: ,,სიცოცხლის აზრად მიჩნეულია გმირობა, მაგრამ ადამიანს გმირად ხდის პიროვნება, ე.ი. ჰეროს არ არის შემთხვევითი ფაქტი. ისიც ხდება ხოლმე, შენიშნავს მწერალი, რომ ზოგჯერ მთელი ერის ენერგია ერთი კაცის პირით ამეტყველდება (შდრ._ ემხვარის ნათქვამი სტალინზე _ ,,ერთი დიდი კაცი მთელს ერს უდრის ხანდახან ისტორიაში. ისეთი მომენტიც დგენა, რომ იმ კაცის გამარჯვებაზე ჰკიდია მთელი ერის პრესტიჟი'' (ტ. 2, გვ. 35).

ეს არ არის მსჯელობის პარალელურ ხაზებზე მინიშნების ერთეული შემთხვევები. სოსო სიგუას ათასხუთასგვერდიან ორტომეულში, დაახლოებით 700-მდე ასეთი მინიშნება იქცევს მკითხველის ყურადღებას და თითოეული მათგანი ყოველთვის გათვლილია მისი წიგნიერების დონის ამაღლებაზე.

* * *

კორექტურისაგან აბსოლუტურად დაცული წიგნი თითქმის არ მახსოვს, მაგრამ ისეთ კაპიტალურ ნაშრომში, როგორიც ,,მარტვილი და ალამდარია'', გული ვერ გუობს თუნდაც წვრილმან კორექტურასთან შეხვედრას. არადა, ზოგჯერ, აზრი წყდება და იქმნება შთაბეჭდილება თითქოს გვერდებია ამოვარდნილი. მაგ. პარაგრაფში ,,სომხები'' (ტ. 2) 234-ე გვერდზე დაწყებული წინადადება _ ,,სამხრეთიდან წამოსული ქარიშხალი ჯერ სომხეთს გადაუვლიდა ხოლმე, შემდეგ ეკვეთებოდა ქართლსა და კახეთს. მათ ყოველთვის საერთო მტერი ჰყავდათ, შუა საუკუნეებში _ მუსლიმანური აღმოსავლეთი, შემდეგ _ 235 გვერდი გრძელდება სიტყვებით ,,არ ხდება ეროვნულ საფუძველზე'': და შემდეგ საუბარი გრძელდება სრულიად სხვა _ აფხაზეთის თემაზე ,,მთვარის მოტა-

ცებაში''. ამრიგად, პარაგრაფი ,,სომ-ხე-ბი'' დაუმთავრებელია.

უკმარისობის გრძნობა ჩნდება როცა კითხულობ: ,,1961 წელს ზაფ-ხულში თბილისში ჩამოვიდა მიხეილ შოლოხოვი. კონსტანტინეს იგი არ უყვარდა და არხ შეხვედრია''. ამით მართლაც შეიძლებოდა დამთავრე-ბულიყო ეს ეპიზოდი, რომ მიხეილ შოლოხოვი მე-20 საუკუნის მსოფ-ლიო ლიტერატურის კლასიკოსი არ იყოს. მკითხველს ძალიან აინტერე-სებდა საუბრის გაგრძელება _ რატომ არ უყვარდა დიდ მწერალს მისი თანამედროვე დიდი მწერალი?

ნაშრომში მოულოდნელად მეორ-დება ერთხელ აღწერილი ეპიზოდი. მაგალითად, პირველი ტომის 207-ე გვერდზე ნათქვამი მეორდება 268-ე გვერდზე 137-ე გვერდზე აღნიშნული ფაქტები მეორდება 268-ე გვერდზე.

სიცხადე აკლია სამსონ ფირცხა-ლავას წერილისადმი გრიგოლ ცეცხ-ლაძის დამოკიდებულებას. ნაშრომში წერია: ,,კალამის'' ფსევდონიმით სამ-სონ ფირცხალავამ დაბეჭდა სტატია ,,ჩვენებური ინტელიგენცია, რომელ-შიც ია ეკალაძის თხზულებანი ჩანს. ეს პათოსი არ მოეწონა გრიგოლ ცეცხლაძეს'' (ტ. 2, გვ. 360).

უხეში კორექტურაა გაპარული დებულებაში ,,პოეზიაში ახალი სიოს ქროლვა გვაგრძნობინა მიხეილ ადამაშვილმა'' (ტ., 2, გვ. 356). ცხადია, უნდა იყოს ,,პროზაში''.

* * *

პროფ. სოსო სიგუას კაპიტალური გამოკვლევა ,,მარტვილი და ალამდა-რი'' გამორჩეულია სტილითა და აზ-როვნებით. იგი არა მხოლოდ მეცნიე-რული წვლილია კონსტანტინე გამ-სახურდიას ცხოვრებისა და შემოქ-მედების შესწავლაში, არამედ იგი ნი-მუშიცაა, როგორ უნდა წარიმართოს მომავალში ქართული მწერლობის სხვა დიდი წარმომადგენლების ცხოვ-რებისა და შემოქმედების შესწავლა.

სახელმწიფოებრივი აზროვნება და საკადრო პოლიტიკა

ჟან-ჟაკ რუსოს ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: ,,ზოგი ხალხი დისციპლინისათვის გაჩენისთანავეა მომწიფებული, ზოგს კი ამისთვის საუკუნეები სჭირდება''-ო.

ძალიან სამწუხაროა ამის აღიარება, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამ მეორე კატეგორიას მივეკუთვნებით. ესეც იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ისტორიის ხანგრძლივი პერიოდების მანძილზე სახელმწიფო აზროვნება და სახელმწიფო ინტერესების სწორად გააზრება გვიჭირდა ან საერთოდ არ შეგვეძლო გათითოკაცებულებს. ამჟამადაც ასეა.

ერის მიერ სახელმწიფო ინტერესების დონეზე აზროვნება და შემდეგ შესაბამისი ქმედება – აი, ორი საფეხური, რომლის გარეშე არც ერთი სახელმწიფო არ გაძლიერებულა. აიძულო შენი თავი, იმოქმედო სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით – ამას სწორედ ეროვნული შეგნება, თვითდისციპლინა და წესრიგი, ,,ჩემისა'' და ,,ჩვენის'' სწორად დარეგულირება სჭირდება.

სანამ ერი მთლიანი და ერთიანია, იგი უძლეველია, როცა ერში იწყება ,,განთვითეულობა'', (როგორც დღესაა ჩვენში) იგი გარდუვალი დაღუპვის წინაშე აღმოჩნდება (განსაკუთრებით ისეთ რთულ ეპოქაში, როგორიცაა მცირე ერებისთვის დიდი საფრთხის შემცველი გლობალიზაცია). გენიალურად ამბობდა ამადაც დიდი ილია: ,,ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არი, თითოში-ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითოეულისათვის, საცა ,,მე'' ხშირია, და ..ჩვენ'' – იშვიათი''. იქ, სადაც საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებულ წოდებადაა დანაწევრებული, სადაც გაბატონებულია ..ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ'', ადამიანთა ასეთ ერთობას ერი არ ჰქვია. მხოლოდ ის ერია უძლეველი, მხოლოდ იმ ერს გადაუტანია გმირულად განსაცდელი, ,,რომელსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით ერთი წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია. ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადებს, რომ თუ მე

კარგადა ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო... ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე'' (ილია ჭავჭავაძე).

ის ქვეყანა, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თითო არ არის, საცა თვითოეული ყველასათვის არ ფიქრობს, სადაც ,,მე'' ძირითადია და ,,ჩვენ'' _ დიდი იშვიათობა – სწორედ რომ ჩვენა ვართ. ჩვენა ვართ ის ქვეყანა, საცა ერთი წოდების წინ წაწევას დანარჩენების უკან დახევა მოჰყოლია. ჩვენა ვართ ის ქვეყანა, სადაც ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა თავის ცალკე კეთილდღეობაზე ფიქრობს და არა ერის კეთილდღეობაზე.

თუ მჩაგვრელი კომუნისტური რეჟიმის დროს ამ ფსიქოლოგიას კიდევ რაღაც გამართლება ჰქონდა (შენი ოჯახის შენახვით და გადარჩენით გადაარჩენდი ქვეყანასაც), დღეს ფორმალური დამოუკიდებლობის პირობებშიც კი იგი უდიდესი ზიანის მომტანია და ტოლფასია შენი ქვეყნის ძარცვა-გლეჯისა, უკიდურესი ეგოიზმის გამოვლინებისა.

ის წოდება თუ ფენა, რომელიც წინ წავიდა საქართველოში (მოსახლეობის 7-8%) ძირითადად სხვების ხარჯზე (მოსახლეობის 85%-ზე მეტი) უკანონო გზით გამდიდრდა და არა თავისი ჭკუითა თუ ოფლით. ამიტომაცაა, რომ მათ წინ წაწევას მოჰყვა იმ 85%-ის უკანდახევა. მათ არ ესმით, რომ შეუძლებელია პირადი ბედნიერების მოპოვება იმ ქვეყანაში, სადაც 85% გაჭირვებულია, ირგვლივ ღატაკნი და მათხოვარნი გარტყია და მათი ჭაობიდან ამოყვანისათვის არაფერს აკეთებ. პირიქით, ცდილობ, რაც შეიძლება კიდევ მეტის მოხვეჭა მოასწრო, რომელიც შენს მომდევნო 5 თაობას ეყოფა.

როგორ მდიდრდებიან საქართველოში და ინიშნებიან თანამდებობებზე? როცა საქართველოში არაა ეროვნული იდეოლოგია (იდეა), როცა არ მუშაობს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მართვის პრინციპები და მაორგანიზებელი ეროვნული ძალა, დეზორიენტირებული მოსახლეობა კი თანახმაა ნებისმიერი (მათ შორის სათაკილო) გზით გამდიდრებაზე, პოლიტიკა საქართველოში იქცა ბიზნესის (ფულის) კეთების უმთავრეს საშუალებად. აქ მოსახვედრად და დასამკვიდრებლად ხომ ჯერჯერობით არავითარი კრიტერიუმები არ არსებობს. განსაკუთრებით ეტანებიან მას საკუთარ პროფესიაში ხელმოცარული ადამიანები, რომლებმაც პოლიტიკაში იოლი თავშესაფარი ნახეს, სადაც უნიჭო (თუნდაც კრიმინალ) ადამიანს შეუძლია კარგი კარიერა გააკეთოს ვიღაცისადმი ძაღლური ერთგულებით, დროებითი გაჭირვებით, რასაც ათმაგად ინაზღაურებენ თანამდებობებზე დანიშვნის დროს.

მერე კი იწყება ბავშვობის ოცნებების ასრულება – კაბინეტები და ლამაზი მდივნები, აგარაკები, მაღალი ხელფასები და ყოველთვიური პრემიები, ჯიპები და ხშირი მივლინებები პრესტიჟულ ქვეყნებში და ეს ყველაფერი სახელმწიფოს (ანუ ჩვენ) ხარჯზე ხდება. მიდრეკილება იოლი გზით გამდიდრებისადმი არაახალია საქართველოში. ხელმოცარული და კარიერისტი ადამიანებისათვის რევოლუციური განწყობა მთავარი ხდე-

ბა, რადგან შრომით და წესიერი გზით ისინი ამას ვერ მიაღწევენ.

კარგად წერდა ამაზე დავით სარაჯიშვილი: ,,ქართველები რევოლუციის გვარდიად იქცნენ... მაგრამ რევოლუციით ხალხი ვერ იცხოვრებს. ცხოვრებისთვის შრომაა საჭირო. შრომა კი არ ვიცით'' (გაზ. ,,მამული'', №15, 1990 წ.). ნიშანდობლივია, რომ ქართველები დრესაც ცდილობენ ამას არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც (უკრაინა, ყირგიზეთი, ბელარუსი), თუმცა ველარ ახერხებენ იოლად.

ჩინებულიქართველი მოაზროვნე ნიკო ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ ,,ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარ როლს ჩვეულებრივ ორი ტიპის მოღვაწენი ასრულებენ ხოლმე: ფანატიკოსები და მოანგარეები. რას ვხედავთ ამ მხრივ ჩვენში? საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისთვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას... სამაგიეროდ ჩვენ გვყვანან უამრავი შესანიშნავი და კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებსაც ალალი და წრფელი გულით სურთ სამშობლოსათვის ყოველგვარი სიკეთე, მაგრამ რომელთაც არ შეუძლიათ ამის გამო უარი თქვან ისეთ სიამოვნებაზეც კი, როგორიც არის პაპიროსის მოწევა ან ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა წვიმიანსა და ცივ ამინდში... ამათ გარდა, კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გვყვანან სავსებით მოუმზადებელი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალე საზოგადოებრივი მდგომარეობის უზომო მადა აქვთ, მაგრამ სრულებითაც არ გააჩნიათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არც გამძლეობა, არც უნარი, რომ საკუთარი ძალღონით და მეტ-ნაკლებად რიგიანი საზოგადო საშუალებებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს და რაკი სხვა ტიპის საზოგადო მოღვაწენი ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე ამ ორ ტიპს, ზემოთ რომ დავხატე – სათნო აზიზ-მაზიზებს – ერთი მხრივ და არაკეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მოანგარეებს _ მეორეს მხრივ'' (დღევანდელობის გენიალური სურათია დახატული _ ვ. შ.).

შესაბამისად ეს განაპირობებდა, რომ "მოდიოდნენ ჩვენში მეთავურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რჯულისა ან რა აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ: ,,ამბოხება დავიწყოთო'', _ დაიძახებდნენ და ყველა მათ გაჰყვებოდა, თითქოს თხასცხვრის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვა მათგან ახსნა, ან ცოდნა, ან სიმტკიცე. იფარფაშებდნენ, სანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა და მაშინ კი მოქუსლავდნენ და გაჰქრებოდნენ. გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გაჰყოლოდეს პროვოკატორს?'' (ნ. ნიკოლაძე).

ასეთი პოლიტიკოსებისა და ,,ლიდერების'' ჩამოყალიბებაში ნეგატიურ როლს ჩვენი საზოგადოებაც ასრულებდა და ასრულებს მისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებებით, როგორიცაა პრიმიტივიზმი და კონფორმიზმი, პირმოთნეობა და პანეგირიკი, უპასუხისმგებლობა და სერვილიზმი: ,,გასაგებია ისეთი სა-

ზოგადოების მავნებლობა, სადაც თქვენს აზრებს ბრმად იმეორებენ და სადაც კრიტიკული დამოკიდებულების ნაცვლად ხოტბას გასხამენ. ასეთ ვითარებაში ადამიანის გონებას ეუფლება ძილი და იგი სულ უფრო ნაკლებს მუშაობს საკუთარ თავზე'' (ნ. ნიკოლაძე). არადა ,,პოლიტიკა ახალმოდური შლიაპკა კი არ არის, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება''. ასეთ შემთხვევაში უდიდესი როლი ენიჭება პოლიტიკური ლიდერის პიროვნებას, მისი მაგალითის ძალას. დავით აღმაშენებელი სწორედ რომ პირადი მაგალითის მიმცემი იყო ყველაფერში თავის ქვეშევრდომთათვის – სწავლაში, შრომაში, ბრძოლაში, სიმამაცეში, თვითგვემაში, ქველმოქმედებასა და ტოლერანტობაში, მან ყველაფერი – ნიჭი, ქონება, ინტელექტი, ფიზიკური ძალა და ოჯახიც კი საქართველოს შესწირა, უსამართლოდ და პირადი ახირებით არავინ დაუსჯია, თუმცა სისხლის ტბები დააყენა საქართველოში. როცა ლიდერი ერის ცხოვრებით ცხოვრობს და სამართლიანია, მას სიმკაცრესაც ჰპატიობენ და დიქტატორობასაც, რადგან დაქცეულ და ტერიტორიადაკარგულ ქვეყანას ,,შენი ჭირიმეთი'' და ,,დემოკრატიით'' ვერ ააშენებ – ხალხი ამას გაგებით მოეკიდება ყოველთვის. მაგრამ იქ ,,სადაც ყველაფერი მარტო ერთ კაცზე ტრიალებს-მიუთითებდა ნიკო ნიკოლაძე, _ და არა დაწესებულებაზე, _ ის კაცი ნელნელა იმ შეხედულებას იღებს, რომ მე ვარ სხვა არავინაო, ყველა მე უნდა მემსახუროს და არა ქვეყანასაო. ქვეყნის, ერის, იდეალის ხსენება თანდათან ქრება დიდში და პატარაში. დესპოტის სამსახური და ქვეყნის და იდეალის სამსახური, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან''. (ვ. შუბითიძე, ო. ქოჩორაძე, პოლიტოლოგია, თბ., 2001, გვ.179-181).

სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ჩვენში დაცული არაა მემკვიდრეობითობის პრინციპი თაობათა შორის: ,,ევროპაში ყოველი ახალი თაობა განძად თვლის წინა თაობების ნაამაგარს და ზედ თვითონაც ამატებს და ართავს ბევრს რასმე, ჩვენთან და აზიაში, ყოველი ახალი თაობა, უტრადიციო და გაუზრდელი, სპობს და ლეწს წინა თაობებისაგან მიღებულ მემკვიდრეობას ამ პრინციპით – მე ვარ სხვა არავინო'' (ნ. ნიკოლაძე). ასეთ უპასუხისმგებლო, განდიდების მანიით და პარანოიით შეპყრობილ ლიდერებზე არც მეცნიერებს და არც ხალხს არ გააჩნიათ მაღალი შეხედულება: ,,პოლიტიკოსებად, მათ შორის სახელგანთქმულ პოლიტიკოსებად, სწორედ ისინი გვევლინებიან ხოლმე, ვისი გონებრივი თვალსაწიერიც საკმაოდ შეზღუდული გახლავთ'' _ წერს დიდი ესპანელი მოაზროვნე ხოსე ორტეგა ი გასეტი თავის ,,მასების ამბოხში''.

ერის გაძღოლის და დარაზმვის, სახელმწიფოებრივი აზროვნების და სწორი საკადრო პოლიტიკის გატარების საქმეში ილია უდიდეს როლს ანიჭებდა ქვეყნის მთავრობას, მის ზნეობას და კომპეტენტურობას: ,,ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერებად მომართულ და მიმართულ სახელმ-

წიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ, რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზე და შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარ ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისთვის. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმის გადამსხვრევა ერთია'' (ეს საკუთარ თავზე გამოვცადეთ 2008 წლის აგვისტოს ომში).

როდესაც ერს სუსტი მთავრობა და საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველი ,,ლიდერები'' ჰყავს (როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში) ასეთ დროს ილია ჭავჭავაძე ერის გაძღოლის და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებაში უმთავრეს როლს აკისრებდა ქვეყნის ინტელექტუალურ ელიტას, მოაზროვნე და ზნეობრივ ნაწილს, რომელიც მაშინაც (და ახლაც) პასიურობას იჩენდნენ ამ დიდ საპასუხისმგებლო საქმეში და ამიტომ ამუნათებდა მათ ილია: ,,ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ გაუძღვეს თავის საკუთარი ქვეყნის ცხოვრებას, განზედ დგას. იქნება ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით უფრო ბევრ სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შემთხვევაში დგომა-ცდომაა'' (ვ. შუბითიძე, ო. ქოჩორაძე, დასახ. წიგნი, გვ. 173).

ინტელექტუალურ ელიტასა და ხელისუფლებასთან ერთად გარკვეული მოვალეობები ეკისრებათ რიგით ადამიანებსაც, რომელთა პოლიტიკური კულტურისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების დონე ძალზე დაბალია. ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძე (პრინციპით ,,მოყვარეს პირში უძრახეო'') წერდა, რომ ,,ქართველი საზოგადოების სახით საქმე გვაქვს ,,ავადმყოფ საზოგადოებასთან''. წერილებში ,,ჩვენი სატკივარი'', ,,გარდამავალი ხანა'' იგი მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოება მომხმარებლური გახდა. მათ არაფერი აინტერესებთ პირადი ცხოვრების მოწყობის და სენსაციების გარდა. ქვეყნის სატკივარზე ფიქრისთვის არ სცალიათ. სამაგიეროდ თვალი ,,ველო, იპო და აეროდრომებისაკენ'' უჭირავთ. ქართველები მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობენ – როგორ გაზარდონ საკუთარი შვილები ისე, რომ უზრუნველყოფილნი იყვნენ კარგი ცხოვრებით, მთავრობის სამსახურით და ჯილდოებით... ეროვნული საქმე მივიწყებულია, მისდამი ინტერესი დაკარგულია... ყველას უნდა ცხოვრების სუფრაზე უდარდელად წამოსკუპება... დაღონებული და დასევდიანებული ვგრძნობთ, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, ნამდვილი საქმე არაა და ის, რითაც ვცხოვრობთ, აზრს და მიზანს მოკლებულია... რომ საქართველო გახდა სომხების, რუსების და ოსების მიგრაციის სფერო, რის შედეგად განახევრდა ქართველი მოსახლეობა, რომ საქართველომ ვერაფერი დაუპირისპირა სომეხ ბურჟუაზიას, რომ ქართულ ენას აბუჩად იგდებენ თვით ქართველები და თავიანთ შვილებს რუსულ (დღეს ანგლო-ამერიკულ – ვ. შ.) გიმნაზიებში ასწავლიან... როდესაც ერის განადგურების მოწმე ხდები, _ პირველი აზრი, რომელიც უნდა

დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში თავისი ვინაობის დასაცავად და შესანარჩუნებლად, არის საერთო აღორძინების და საერთო მოქმედების იდეა'' (ვ. შუბითიძე, ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი, თბ;2008, გვ.16-17).

სახემწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას ხელს უშლის ასევე ქართული დაუდევრობა, გიჟვრაცუობა და ანარქიულობა, ეგოიზმი და მკვეთრი ინდივიდუალიზმი, კანონებისადმი აგდებული და უპატივცემულო დამოკიდებულება. მართალია ეს კანონები უბრალოდ თარგმნილია სხვა ენებიდან და ხშირად არ ითვალისწინებს ქართულ ხასიათს და რეალობას, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ვინმეს მისი აღსრულებიდან. კანონს კი ხალხი მაშინ იცავს, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები განუხრელად მისდევენ მას. ცნობილია ისიც, რომ ხელისუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსლუტურად რყვნის პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით ჩვენსავით ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც კანონის პატივისცემა არ არსებობს და მას თუ ვინმე იცავს, მხოლოდ იძულებით და არა – შეგნებულად.

იოლი გზით სიარულისა და გამდიდრებისადმი და კარიერის გაკეთებისადმი ქართველთა მასიურმა სწრაფვამ განაპირობა სწორედ ,,პოლიტიკური ყვარყვარიზმის'' არაჯანსაღი ფენომენის დამკვიდრება. აბსოლუტურად მართალი იყო კონსტანტინე გამსახურდია, როცა წერდა, რომ ,,ჩვენში ყოველ ნაბიჭვარს აზნაურობა სწყურია, ყოველ ნაცარქექიასსარდლობა''-ო, რომ ,,ყველას მაღალი თანამდებობა, დიპლომი, ჩინი, სამსახური გინდათ მაშინ, როცა საჭიროა პატიოსანი, ბეჯითი, მხნე, უბრალო, მუშაკი, შემოქმედი ქვეყნის სიმდიდრისა, ახალი კულტურის გამავრცელებელი, ცხოვრების გამაუმჯობესებელი'' (არჩილ ჯორჯაძე, იქვე, გვ. 494).

როცა თანამდებობებზე საშუალო და უნიჭო ადამიანები მოდიან (ადრე თუ ახლა), ისინი ცდილობენ თავისზე უარესი და მათდამი მონურად მორჩილებით გამსჭვალული ,,ერთგული'' ადამიანები დააწინაურონ – მეგობრების, ნათესავების, საყვარლების წრიდან. მერე ესენიც ანალოგიურად იქცევიან და იმეორებენ ბელადების მიერ დამკვიდრებულ შტამპებს. მართვის ასეთი სტილი და ხერხები ფეოდალურ-კლანურ მორალს ემყარება და სრულიად ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

პოლიტიკური ყვარყვარიზმი მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ ძალაუფლების მოსაპოვებლად ან შესანარჩუნებლად ერთი პარტიიდან (მაგ. მოქალაქეთა კავშირიდან) მეორე პარტიაში (მაგ: ნაციონალურ მოძრაობაში, ახალ მემარჯვენეებში, ქართულ პარტიაში და ა.შ.) გადახვიდე, არამედ და უმთავრესად საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემთხვევითი და არაკომპეტენტური, ზნეობრივად კოჭლი ხალხის ყოფნას. ეს არის უპირველესი ხელისშემშლელი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესისა, რომელსაც ერის რჩეული შვილები, ზნეობრივი და პროფესიონალი ადამიანები (ანუ მოუხმობელნი, _ როგორც მათ უწოდებს ქართველი მეცნიერი პაატა იაკაშვილი) უნდა წარმართავდნენ. სამწუხარო რეალობაა, რომ განათლებულ, პატიოსან და ზნეობრივ პროფესიონალებს თითქმის ყველა სფეროში

გზა ჰქონდათ და აქვთ დახშული – პოლიტიკაში, ბიზნესში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასმედიაში, თვით მეცნიერებაშიც კი (რომლის განვითარება არავის აინტერესებს და შესაბამისად წესიერი მეცნიერებიც სამათხოვრო არსებობისთვის არიან განწირულნი მასწავლებლებივით).

განსაკუთრებით ცუდი თვალით უყურებენ მათ პოლიტიკური პარტიების აბსოლუტურ უმრავლესობაში, რომლებიც წარმოადგენენ ერთი (არცთუ მაღალი) დონის ადამიანთა ისეთ ჯგუფურ გაერთიანებას, რომელიც თავის წიაღში ნიჭიერი ადამიანების შეღწევას გამორიცხავს. ნიჭიერი ადამიანები მათ თავიანთი ინტერესებისთვის, გამოსაყენებლად სჭირდებათ და არც ფიქრობენ მათთვის ,,თბილი'' ადგილების დათმობას ან თავისზე წინ დაყენებას, ასპარეზის გახსნას.

ამიტომაც ნიჭიერ ადამიანს (ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს – კ. გამსახურდია) ბევრი მტერი ჰყავს საქართველოში. ეს მტრობა იგნორირებით იწყება და ხშირად ადამიანის სასოწარკვეთილებამდე მიყვანით, (ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი, გალაკტიონი), გაძევებით (რუსთაველი და სხვ.) და ფიზიკური ლიკვიდაციით (ილია, კირიონ II და ა.შ.) მთავრდება. ამაზედ ჩიოდა ავიცენაც თავის ლექსში:

,,ვირებში თუ ხარ, შენაც უნდა
ტლინკები ჰყარო
ვირებს ჰგონიათ ჩვენიაო
მთელი სამყარო!
ვირებში თუმცა მუდამ ვირად
მომქონდა თავი,
მაინც გამიგეს, არაბული
ტაიჭი ხარო!''

დასავლურ სამყაროში ადამიანები სწავლითა და შრომით, ბიზნესით არიან დაკავებულები და როცა ამ სფეროში მატერიალურ წარმატებასაც მიაღწევენ, დააგროვებენ გამოცდილებას და ასაკში შევლენ (35-40 წლიდან), იწყებენ პოლიტიკაში მოღვაწეობას. ჩვენთან პირტიტველა ასაკის ხალხი ჯერ თანამდებობებზე ინიშნებიან (რასაც იყენებენ ფულის საშოვნელად) და უკვე გამდიდრებულნი და თანამდებობიდან გადაყენებულები ან ,,სასწავლებლად'' მიდიან უცხოეთში ან კიდევ სასათბურე პირობებში შექმნილ თავის ბიზნესს უბრუნდებიან. სწორედ ასეთი ადამიანები არიან ..განწირულნი'' წარმატებისთვის და მილიონერობისთვის, მაშინ როცა ღირსეული ადამიანები სამათხოვრო არსებობისთვის იბრძვიან (მაგ. გურამ დოჩანაშვილი მხოლოდ 75 წლის ასაკში ეღირსა თავისი საოცნებო ქვეყნის იტალიის პირველად ხილვას, ისიც ,,ძლიერთა ამა ქვეყნისათა'' დახმარებით, მაშინ როცა თანამდებობის პირების ცოლები და საყვარლები ყოველთვიურად დაბრძანდებიან შოპინგებზე და პარიკმახერებთან რომსა და პარიზში).

ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა, რომ ჭკუა აქვთ ასაკოვან ხალხს, ძალა _ ახალგაზრდებს. საჭიროა გამოცდილების და ცოდნის შეზავება ახალგაზრდულ ენერგიასთან. რატომ აშშ-ში და ინგლისში არ ნიშნავენ ახალგაზრდებს 30 წლის ასაკში მინისტრებად, რატომ შედგებოდა რომის სენატი 60 წელს გადაცილებული ხალხისაგან? – იმიტომ რომ ცხოვრებაში მთავარია გამოცდილება და ცოდნა, რომლებიც წლებს მოაქვს. საქართველოში უნდა შეიქმნას ჯერ ეროვნული იდეოლოგია (თავისი 10 პარამეტრით), რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავება კადრების

შერჩევის, სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე ტესტურ, ავტომატიზებულ, დასავლურ სისტემას ყველა მოხელისათვის, კადრების ბანკის შექმნას, თანამდებობის უმეტესობის კონკურსის წესით დაკავებას პროტექციის გარეშე, ნიჭიერი (თუნდაც იდეოლოგიურად და პარტიულად მოწინააღმდეგე) ადამიანების მოწვევას მთელ რიგ თანამდებობებზე. ნიჭიერები თავიდანვე, სკოლაშივე უნდა გამოვარჩიოთ და უფასოდ ვასწავლოთ მათთვის სპეციალურად შექმნილ კოლეჯში (თუ უნივერსიტეტში, ანუ შეიქმნას ქართული ოქსფორდი). მხოლოდ ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნით უცხოეთში თანამდებობაზე არავინ დაგნიშნავს და არც იმის გამო, რომ ლამაზი ხარ, გემრიელ ყავას ადუღებ ან ცვრიან მწვადსა წვავ და ჩხუბიც გეხერხება ,,შეფის'' დასაცავად.

თუ გვინდა ამერიკელსა და გერმანელს, თუნდაც ჩეხსა და პოლონელს ვაჯობოთ (ან კონკურენცია გავუწიოთ), მათზე მეტი უნდა ვიცოდეთ. ესაა ჩვენი ხსნის ერთადერთი შანსი ნიჭიერებასთან ერთად (რომელიც ქართველს არ აკლია).

გამოჩენილი გერმანელი პოეტი ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, რომელიც 1966 და 1997 წლებში ორჯერ იყო საქართველოში, მიიჩნევდა, რომ ხალხის თავისებურების შესწავლა იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ როგორ გადის იგი გარდამავალ ეტაპს და სახელმწიფოებრივად როგორ აზროვნებს. ამას, მისი აზრით, ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარებაც განსაზღვრავს. ქვეყნები, რომლებიც ადრე დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ დამოუკიდებელნი (მაგ. ჩეხეთი ან უნგრეთი) სხვაგვარად ახერხებენ ამას. საქართველო მეტ ხანს იყო დამოკიდებული ქვეყანა, თუმცა ძალიან ძველი კულტურა აქვს, ბევრად ძველი, ვიდრე ევროპის ქვეყნებს. ეს უფრო, თუ შეიძლება ასე ითქვას, კულტურული ნაციაა, ვიდრე სახელმწიფოებრივი ნაცია. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა (ამაში ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების დონეც იგულისხმება. ზბიგნევ ბჟეზინსკის გამოთვლით, თუ გერმანია და ავსტრია წელიწადში თავისი კეთილდღეობის დონეს 2%-ით მოუმატებენ, ხოლო ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი 4%-ით, ანუ ორჯერ მეტად, ჩეხეთს დასჭირდება 31 წელი, უნგრეთს – 46 და პოლონეთს 63 წელი მათ დასაწევად. სად ვიმყოფებით ახლა ჩვენ, ძნელი დასადგენი არაა – ვ. შ.) საქართველო მთელ მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა, თავისი კულტურით არის ცნობილი. ესეც კაპიტალია, ოღონდ პოლიტიკური კაპიტალი. მთავრობამ იმაზე უნდა იმუშაოს, რაც მას აქვს. მსოფლიოს ვერ ეტყვი, რომ აი, ჩვენ, ქართველებს, კარგი მანქანები გვაქვს. ეს არ გამოდგება საქართველოს სავიზიტო ბარათად. ,,აზერბაიჯანს'' რომ გაიგონებენ, ყოველთვის ნავთობი მოაგონდებათ, ,,საქართველოს'' გაგონებაზე კი _ კულტურა. ამიტომ პოლიტიკური ურთიერთობისთვისაც ძალიან სასარგებლო იქნებოდა კულტურული პოლიტიკის სწორად წარმართვა, წმინდა პოლიტიკური ანგარიშიანობის თვალთაზრისითაც (,,ლიტერატურული საქართველო'', 17-24 ოქტომბერი, 1997 წ.)

როცა ყველა თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს ქვეყანაში (ანუ პურს მეპურე გამოაცხობს და არა ნების-

მიერი უმუშევარი), როცა ნიჭიერები დაფასდებიან, შრომისმოყვარეებს სათანადო ანაზღაურება ექნებათ, დაფასდება გლეხის, მუშის, მეცნიერისა და ხელოვანის ცოდნა, მაშინ აღარც სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტი იქნება და არც კადრების პრობლემა. ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს ჯვარ-პატიოსანი კაცის ფენომენი, რომელიც ზნეობით, ცოდნით, მართლმადიდებლური რწმენითაა შეიარაღებული და შეუძლია თავისი ქვეყნისათვის ნიჭის, ქონებისა და სიცოცხლის გაწირვაც კი (ვასო კუკუნაშვილი ,,ჯვარპატიოსანი''). ასეთი შეგნებით უნდა იზრდებოდეს ყოველი თაობა საქართველოში, ასეთი შეგნებით უნდა მოდიოდნენ ხელისუფლებაში ახალი ლიდერები

VAZHA SHUBITIDZE

STATE-ORIENTED THINKING AND PERSONNEL POLICY

summary

In the article there are analyzed the problems of the state-oriented thinking in the Georgian political thought as well as the contemporary personnel policy in Georgia, its problematic sides, and the world experience.

henri kupraSvili

ინფორმაციის შემეცნებითი ასპექტები

,,ინფორმაცია, ინფორმაციია და
არა ატერია ან ენერგია''
ნორბერტ ვინერი

ცნობილია, რომ ლათინური სიტყვა ინფორმაცია (informatio _ გაცნობა, გადაცემა, ცნობა, შეტყობინება), როგორც სამეცნიერო ტერმინი, ბრუნვაში კიბერნეტიკის განვითარებასთან ერთად შემოვიდა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან. სწორედ ამ პერიოდიდან ვლინდება მეცნიერთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ინფორმაციის ფენომენისადმი. მან ზოგადმეცნიერული კატეგორიის სტატუსი მალე მიიღო და პოვა გამოყენება არამარტო კიბერნეტიკაში, არამედ საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც. მიუხედავად ამისა, ის კვლავ რჩება მეცნიერების ჯერ კიდევ ბოლომდე გამოურკვეველ, შინაარსის მრავალწახნაგოვანებით გამორჩეულ ფუნდამენტურ ცნებად. დღემდე გრძელდება ინფორმაციის ცნების ზოგადი თვისებებისა და კანონზომიერებების ძიება, მისი მნიშვნელობისა და არსის ახსნის მცდელობები.

ინფორმაციის ფენომენი, რომ მარტივ ახსნას არ ექვემდებარება, არც არის გასაკვირი. ცნობილია, რომ სამყარო წარმოადგენს გარკვეულ სისტემას, ანუ ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების სისტემას. თავის მხრივ, ეს სისტემა მოიცავს მრავალ, ტრილიონობით გალაქტიკას, მათ შორის არის ჩვენი პატარა, ირმის ნახტომის გალაქტიკა,[1] ასევე, ჩვენი ერთი ბეწო მზის სიტემა, დედამიწა და ადამიანიც. ცხადია (თუ შევძლებთ მასშტაბების წარმოდგენას), რომ ადამიანს, როგორც სისტემის ყოვლად წარმოუდგენელ მცირე ნაწილაკს, **შეუძლია სისტემის შესახებ ინფორმაციის მიღება და მისი შესწავლა მხოლოდ სისტემის შიგნიდან**, ანუ მხოლოდ იმ განაპირამდე, სადამდეც ხელი (გონება) მიუწვდება. შესაბამისად, ადამიანებს ძალუძთ მოიპოვონ ინფორმაცია და ჩასწვდნენ სამყაროს თვისებების მხოლოდ რაღაცა ნაწილს. რა დონეზეც უნდა განვავითა-

[1] სხვათა შორის, ირმის ნახტომის გალაქტიკა სიდიდით არ გამოირჩევა, მასში 400 მილიარდამდე ვარსკვლავია და მისი დიამეტრი 100 ათასი სინათლის წელია, ხოლო სისქე – 3 ათასი სინათლის წელი. არსებობენ გალაქტიკები, რომლებიც რამდენიმე ტრილიონი ვარსკვლავისგან შედგება.

როთ მეცნიერება ჩვენთვის შიგნიდან იქნება ხელმისაწვდომი და შეგვეძლება სამყაროს შესახებ მხოლოდ მცირე (ისიც სუბიექტური) ინფორმაციის მოვიპოვებთ, ანუ ჩვენ გვექნება მონაცემები უსასრულო სიმრავლიდან მხოლოდ რაღაცა ნაწილაკის შესახებ.

ამავე მიზეზით, გასაგებია, რომ ადამიანისათვის მიუღწევადია აბსოლუტური ინფორმაცია, რომელიც მიღწევადი შეიძლება იყოს მხოლოდ აბსოლუტური დამკვირებლისთვის (სამყაროს შემოქმედისთვის...). ასევე, არ შეიძლება ლაპარაკი აბსოლუტურ ცოდნაზე, რადგანაც ის გააჩნია მხოლოდ აბსოლუტურ დამკვირებელს. ჩვენ სინამდვილეში, უბრალოდ, მეცნიერების განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანების მიერ ცდისეული ცოდნისთვის ხელმისაწვდომი საზღვრების გაფართოება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებისმიერი მატერია (ობიექტი, სხეული), სუბატომური ნაწილაკიდან დაწყებული და დამთავრებული მთლიანად მეტასამყაროთი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების სისტემას. უწყვეტი მოძრაობის შედეგად (სივრცეში გადაადგილება, ურთიერთზემოქმედება და დროში განვითარება) იცვლება მატერიის მდგომარეობა. მატერიის სისტემის (მისი ყველა ქვესისტემის) მდგომარეობათა სიმრავლე წარმოადგენს თავისთავად ინფორმაციას სიტემის შესახებ. სტრუქტურულობის თვისების განუსაზღვრელობისა და უსასრულობის ძალით, ნებისმიერ მატერიალურ სხეულში ამ თავისთავადი ინფორმაციის რაოდენობა უსასრულოა. შესაბამისად, ჩვენ წინ და ირგვლივ _ შეუცნობელი სამყაროსა და აბსოლუტური ინფორმაციის ხელმიუწვდომლობის უსასრულობაა...

აქედან გამომდინარე, ფართო გაგებით, ინფორმაცია, მატერიის როგორც საერთო თვისება, ადამიანის ნებისა და ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობს სამყაროში. ეს არის თავისთავადი (პირველადი, ნამდვილი, რეალური, ობიექტური, საწყისი) ინფორმაცია, როგორც მატერიის, სხვადასხვა ფორმის (სტრუქტურის, მორფოლოგიის) ნივთიერი სხეულების მრავალფეროვნებაში გარდაქმნის თვისება, რომელიც ურთიერთქმედების საშუალებით გადაიცემა და აღიბეჭდება მათ აგებულებასა და წყობაში.

XX საუკუნის უდიდესი მეცნიერი ნორბერტ ვინერი გულისხმობდა ალბათ ამ ინფორმაციას, როდესაც ამბობდა, რომ ნამდვილი ინფორმაციის გაზომვა შეუძლებელია.

თავისთავადი ინფორმაციისგან უნდა განვასხვავოთ ინფორმაცია ვიწრო გაგებით, ადამიანის ცნობიერებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ანუ მატერიალური სამყაროს ობიექტებისა და პროცესების შესახებ თავისთავადი ინფორმაციის აზრობრივი შინაარსი, რომელიც ფორმირებულია ადამიანის სუბიექტური ცნობიერებით. რეალური გარემოს აღქმის თვალსაზრისით, ფაქტია, რომ ადამიანის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი შეზღუდულია და რეალობას იგი აღიქვამს (აირეკლავს) სუბიექტურად, ანუ იმ შეზღუდული შესაძლებლობის ფარგლებში, რისი საშუალებაც მას მიანიჭა ბუნებამ. საილუსტრაციოდ მხედველობის ორგანოც გამოდგება, რომელიც სრულყოფილი არ არის და ფერის მხოლოდ რაღაც გარკვეულ, შეზღუდულ სპექ-

ტრს აღიქვამს. ამ დროს სპეციალისტები თვლიან, რომ გარესამყაროს შესახებ მთელი ინფორმაციის 90%-ზე მეტს ადამიანი იღებს სწორედ ამ შეზღუდული მხედველობის დახმარებით, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მზის (ან ხელოვნურ) სინათლის არსებობაზე.

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი არის სწორედ ეს მეორადი, ვიწრო გაგებით ,,ადამიანური'' ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ლოგიკურ აზროვნებასთან (ჩვენს პლანეტაზე სინამდვილის ასახვის უმაღლეს კატეგორიასთან) და გამოიყენება საზოგადოებაში (განვითარების ყველაზე მაღალ ფორმაში დედამიწაზე), ანუ ცოდნა გარემო სამყაროსა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელიც აღიქმება ადამიანის ან მასთან დაკავშირებული სპეციალური მოწყობილობის მიერ. **ტექსტში შემდგომ ტერმინი ,,ინფორმაცია" გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტექსტში.**

მკვლევრებს შორის ინფორმაციის ბუნების, მისი არსის და განსაზღვრების შესახებ ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები და წარმოდგენები, რაც ასახულია ამ მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში [1].

ინფორმაციის ცნებას ეხება სხვადასხვა მეცნიერება და ყველა, ,,მშობლიური'', მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკიდან გამომდინარე, საკუთარი სისტემით ცდილობს მისი არსის ახსნას. მაგალითად, ბიოლოგებისათვის დნმ-ია განმსაზღვრელი, ფილოსოფოსებისთვის ურთიერთქმედება და შემეცნებაა ამოსავალი, კიბერნეტიკოსებისათვის – ხაზებით გადაცემული სიგნალის რაობა და ა.შ.

ცხადია ერთი რამ, ინფორმაციის ცნების განსაზღვრებისადმი მიდგომა ჯერჯერობით მაინც ინტუიციურ ხასიათს ატარებს და, შესაბამისად, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა დარგებიდან იღებს განსხვავებულ აზრობრივ შევსებას:

ჩვეულებრივ ყოფაში ინფორმაციას უწოდებენ ნებისმიერ მონაცემს, ცნობას, ცოდნას, რომელიც ვიღაცას აინტერესებს. მაგალითად, შეტყობინება რაღაც მოვლენის შესახებ ან ვიღაცის საქმიანობის შესახებ და სხვ.;

ტექნიკაში ინფორმაციად ითვლება (იგულისხმება) შეტყობინებები, რომლებიც გადაიცემა ნიშნების ან სიგნალების ფორმით (ამ შემთხვევაში არსებობს კავშირის არხი, შეტყობინების წყარო, შეტყობინების მიმღები);

კიბერნეტიკაში ინფორმაციად მოიაზრება ცოდნის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება მართვისათვის, ორიენტირებისა და აქტიური მოქმედებისათვის, ანუ სისტემის შენარჩუნების, სრულყოფის, განვითარების მიზნით;

და სხვ.

ინფორმაციის განსაზღვრებაში ძირითადად გამოიყოფა ორი მიდგომა:

პირველი, ტრადიციული: ინფორმაცია არის ცნობა, შეტყობინება, ცოდნა, იმ საგნებისა და პროცესების მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც ადამიანი აღიქვამს გარემომცველი სამყაროდან გრძნობათა ორგანოების საშუალებით (მხედველობა, სმენა, გემოვნება, სურნელი, შეხებითი შეგრძნება და სხვ.).

მეორე, ალბათობითი (თეორიაში): ინფორმაცია არის ცნობები, შეტყობინებები გარემოს ობიექტებისა და მოვლენების, მათი პარამეტრების, თვისებებისა და მდგომარეობის თაობაზე, რომლებიც ამცირებენ მათ შესახებ ცოდნაში არსებულ გაურკვევლობისა და არასრულობის ხარისხს.

მარტივი და ზოგადი განმარტებით, შეიძლება ითქვას, რომ **<u>ინფორმაცია არის</u> მატერიის (საგნის) და პროცესის ასახვის ფორმა, ანუ <u>სამყაროსა და მასში არსებული საგნებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ ცნობა, შეტყობინება, რომელსაც აღიქვამს ადამიანი ან მასთან დაკავშირებული სპეციალური აპარატი</u>**.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენი ყურადღების არეალში მოქცეულია ძირითადად ის ინფორმაცია, რომელიც ეხება, პირველ ყოვლისა, ადამიანების ურთიერთობას, მათ ურთიერთქმედებას, მოთხოვნილებებს, ინტერესებს და სხვ., ანუ საზოგადოების მიერ გამოყენებული ინფორმაცია. საზოგადოებაში ცირკულირებს ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს ცოდნას, შეტყობინებას, ცნობას, როგორც სოციალური, ისე ბუნების შესახებაც იმ ზომით, რამდენადაც ისინი გამოიყენება საზოგადოების მიერ, ანუ რამდენადაც არიან საზოგადოებრივი ცხოვრების ორბიტაში მოქცეულნი. ამ ინფორმაციას ამჩნევია სოციალურ-საზოგადოებრივი ურთიერთობების ღრმა კვალი, იგი წარმოადგენს საზოგადოების მოთხოვნილებების, ინტერესების, ფსიქიკური თვისებების ანაბეჭდს, ანუ იმ ურთიერთობებისა, რომელსაც ასახავს ინფორმაცია და რომელიც სარგებლობს ინფორმაციით.

შესაბამისად, საზოგადოების დამოკიდებულება ინფორმაციის სხვადასხვა სახეებისადმი ერთგვაროვანი არ არის. მაგალითად, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერული ინფორმაცია არ შეიცავს უშუალოდ პოლიტიკურ მოტივებს. პოლიტიკური მიმართულება აქ შეიძლება გამოვლინდეს არაპირდაპირი გზით, იმ მიზნიდან გამომდინარე, რომლისთვისაც გამოიყენება ეს ინფორმაცია.

ამ კონტექსტში ინფორმაციის შესწავლისა და კვლევის ამოსავალი შეიძლება იყოს, მაგალითად, ინფორმაცია:

როგორც მართვის სისტემის ოპტიმიზაციისათვის მასზე ზემოქმედების აუცილებელი მონაცემების ერთობლიობა;

როგორც საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში დიდი რაოდენობით პროდუცირებადი ვიწროსპეციალიზებული მონაცემების ნაკრები;

როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი რეზერვი და რესურსი, მსგავსად სხვა რესურსებისა: შრომითი, ენერგეტიკული, მატერიალური და სხვ.;

როგორც ინტელექტუალური რესურსი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის სისტემაში, საზოგადოების ინტელექტუალური საკუთრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომლის წილიც სულ უფრო მატულობს თანამედროვე მსოფლიოში და სხვ.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინფორმაციის შემდეგი ძირითადი სახეები გვხვდება: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, ესთეტიკური, იდეოლოგიური და სხვ.

პრაქტიკული ხედვის თვალსაზრისით, ინფორმაცია ყოველთვის შეტყობინების სახით წარმოდგება. საინფორმაციო შეტყობინება დაკავშირებულია ინფორმაციის წყაროსთან, ინფორმაციის მიმღებთან და გადაცემის არხთან. შეტყობინება წყაროდან მიმღებამდე მატერიალურ-ენერგეტიკული ფორმით (ხმოვანი, სინათლის, ელექტრონული და სხვა სიგნალების სახით) გადაიცემა. ადამიანი შეტყობინებას გრძნობათა ორგანოების მეშვეობით აღიქვამს. ტექნიკაში კი ინფორმაციის მიმღები შეტყობინებას იღებს სხვადასხვა გამზომი და მარეგისტრირებელი აპარატურის დახმარებით.

ინფორმაციის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ, მიუხედავად მისი უწყვეტად ზრდადი მოხმარებისა, მუდმივად იზრდება მისი დაგროვება მზარდმატებად მოცულობაში.

ინფორმაციის დახასიათებისას ყურადღებას იქცევს მისი შემდეგი სახის **ნიშნები**:

ცირკულირების მასშტაბი _ მინიმალურიდან (უშუალოდ პიროვნული ურთიერთობებიდან) მაქსიმალურამდე (გლობალურამდე);

ცირკულირების დრო _ მინიმუმ ერთჯერადი, ხანგრძლივობის მიხედვით გაურკვეველი;

მოძრაობის მიმართულება _ ან ჰორიზონტალური (ერთი სოციალური დონის ინდივიდებს ან სტრუქტურებს შორის), ან ვერტიკალური (სხვადასხვა სოციალური დონის ინდივიდებს ან სტრუქტურებს შორის. პირდაპირი _ დირექტიულ-ნორმატიული, პირუკუ _ საკონტროლო-საანაგარიშო);

ემოციური შეფერილობა _ ზემოდან ქვემოთ მოძრაობის დროს იმპერატიულია, ხოლო ქვემოდან ზემოთ და ჰორიზონტალურად მოძრაობისას შემთანხმებლური;

შექმნის წესი _ შეიძლება იყოს პერსონიფიცირებული (ინფორმაცია წამოსული ინდივიდიდან, რომელიც დაკავშირებულია ან არ არის დაკავშირებული მის სოციალურ როლთან) ან უპიროვნებო (ინფორმაცია წამოსული ჯგუფიდან, სტრუქტურიდან, აგრეთვე _ ინდივიდიდან, მაგრამ მასზე მინიშნების გარეშე);

შექმნის მიზანი _ ზემოქმედება (თანხმობა, წაქეზება და სხვ.).

ასე რომ ინფორმაციის კლასიფიკაციაში ძირითადად განასხვავებენ ინფორმაციის შემდეგ **ტიპებს**:

ინფორმაცია წარსულის შესახებ; ინფორმაცია აწმყოს შესახებ; ინფორმაცია მომავლის შესახებ (პროგნოზული _ საორიენტაციო, ნორმატიული, გამაფრთხილებელი) და გეგმური ინფორმაცია.

ინფორმაციას ასხვავებენ აგრეთვე, ინფორმაციას ადრესატის მიხედვით: შიდა ინფორმაცია და გარე ინფორმაცია.

ინფორმაცია ასრულებს შემდეგ **ფუნქციებს**:

საკომუნიკაციოს (ადამიანებს შორის კავშირის უზრუნველყოფა);

მმართველობითს;

სამეცნიერო-შემეცნებითს;

სასწავლო-აღმზრდელობითს;

სააგიტაციო-პროპაგანდისტულს

და სხვ.

აგრეთვე, სხვადასხვა კრიტერიუმიდან გამომდინარე ინფორმაციას ყოფენ **სახეებად**.

აღქმის უნარის მიხედვით:

ვიზუალური _ შეიგრძნობს მხედველობის ორგანოები;

აუდიალური – შეიგრძნობს სმენის ორგანოები;

ტაქტილური (შეხებითი) – შეიგრძნობს ტაქტილური რეცეფტორები;

გემოვნებითი – შეიგრძნობს გემოს რეცეფტორები;

სურნელი – შეიგრძნობს სურნელობის რეცეფტორები.

წარდგენის ფორმის მიხედვით:

წერილობითი – ტექსტი, ციფრი, სპეც სიმბოლოებისა და სხვა სახით;

გრაფიკული _ გამოსახულების, ცხრილის, ფოტოგრაფიისა და სხვა სახით;

ხმოვანი სიგნალების სახით – გადაიცემა ზეპირად ან ჩანაწერის საშუალებით;

სინათლის სახით;

რადიოტალღების სახით;

ელექტრული და ნერვული იმპულსების სახით;

მაგნიტური ჩანაწერების სახით;

ჟესტებისა და მიმიკის სახით;

ზეპირი სიტყვიერი ფორმით (ლაპარაკი);

სუნისა და გემოს შეგრძნებების სახით;

ქრომოსომების სახით (რომელთა საშუალებითაც მემკვიდრეობით გადაეცემა ორგანიზმის ნიშან-თვისებები) და სხვ.

საზოგადოებრივი დანიშნულების მიხედვით:

მასობრივი – ყოველდღიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ესთეტიკური;

სპეციალური – სამეცნიერო, ტექნიკური, მმართველობითი (მენეჯერული), საწარმოო;

პირადი – ცოდნა, უნარი, ინტუიცია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინფორმაციის შემდეგი **ძირითადი თვისებები**:

ობიექტურობა – ვისიმე აზრზე არ არის დამოკიდებული;

რელევანტურობა – შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებებს (მოთხოვნებს);

დროულობა _ შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებებს დროის საჭირო მომენტში;

უტყუარობა _ ფარული შეცდომების არქონა, უტყუარი ინფორმაცია დროთა განმავლობაში შეიძლება დაძველდეს, და საქმის ნამდვილ მდგომარეობას ვეღარ ასახავდეს;

საიმედოობა – ასახავს ნამდვილ ვითარებას;

სისრულე – ამომწურავია (მოცემული მომხმარებლისთვის), საკმარისია გასაგებად და გადაწყვეტილების მისაღებად;

აქტუალურობა – მნიშვნელოვანი და არსებითია, პასუხობს დღევანდელობას;

ხელმისაწვდომობა – მოცემული მომხმარებლისთვის მისი მიღების შესაძლებობა;

დაცულობა – ინფორმაციის არასანქცირებული ცვლილებებისა და გამოყენების შეუძლებლობა;

ღირებულება (სარგებლიანობა, მნიშვნელობა) – უზრუნველყოფს დასმული ამოცანის გადაწყვეტას, საჭიროა იმისათვის, რათა მიღებულ იქნას სწორი გადაწყვეტილება;

გარკვეულობა (სიცხადე, მკაფიოობა) – გამოხატულია ყველასთვის გასაგებ ენაზე.

გარდა ამისა ინფორმაციას აქვს სხვა თვისებებიც:

ა) ატრიბუტულობა (მიკუთვნებულობა) – დისკრეტულია (ინფორმაცია

შედგება ცალკეული ნაწილებისგან, ნიშნებისგან), უწყვეტობა (ინფორმაციის დაგროვების შესაძლებლობა);

ბ) პრაქტიკულობა – ინფორმაციული მოცულობა და სიმჭიდროვე;

გ) დინამიკურობა (დაკავშირებულია ინფორმაციის დროში ცვლილებებთან) – კოპირება (ინფორმაციის გამრავლება), წყაროდან მომხმარებლისთვის გადაცემა, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, სხვა მატარებელზე გადატანა, მოძველება (მატარებლის – ფიზიკურად, ღირებულების – მორალურად).

ინფორმაციის მატარებელი არის ინფორმაციის გადაცემის, შენახვისა და აღდგენის გარემო ან ფიზიკური სხეული (ელექტრო, სინათლის, სითბური, ხმოვანი, რადიოსიგნალები, მაგნიტური და ლაზერული დისკები, ბეჭდვითი გამოცემა, ფოტოგრაფია და სხვ.).

ინფორმაციაზე ტარდება გარკვეული ოპერაციები – ინფორმაციული ოპერაციები, ანუ ინფორმაცია შეიძლება: შექმნა, მიიღო, გადასცე, შეინახო. დაამუშაო, ეძებო, აღიქვა, დაანაწევრო, გაამრავლო, დააკომბინირო, დაშალო, გაზომო. გამოიყენო, გაავრცელო, გაამარტივო, დაიმახსოვრო, გარდაქმნა, შეკრიბო და სხვ.

ინტერესს იწვევს ინფორმაციის გასაზომი პარამეტრებიც _ ინფორმაციის რაოდენობისა და მონაცემთა მოცულობის შესახებ, შესაბამისად გ. ჩოგოვაძის მიერ განიხილული ინფორმაციის ხარისხის პარამეტრები: რეპრეზენტატულობა, შინაარსიანობა, საკმარისობა, მისაწვდომობა, აქტუალურობა, სიზუსტე, უტყუარობა, მდგრადობა [2].

ფაქტია, რომ საზოგადოებაში ინფორმაციული პროცესების განმსაზღვრელია საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა. სოციალური ჯგუფების, ინდივიდების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ინფორმაციული ზემოქმედება _ სოციალური ურთიერთქმედების მეტად მნიშვნელოვანი სპეციფიკური ფორმაა. იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად და რაციონალურად არის ორგანიზებული ეს ფორმა, ბევრად არის დამოკიდებული წარმოების, მეცნიერების, კულტურის, მთლიანად საზოგადოების პროგრესი. თავის მხრივ, ინფორმაციული ურთიერთზემოქმედების ეფექტიანობის, გამართულობის ხარისხი _ საზოგადოებრივი პროგრესის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ ობიექტურად ცირკულირებადი ინფორმაცია წარმოშობის მიხედვით კი არის ობიექტური, მაგრამ იგი სუბიექტურიც არის ამავე დროს, რამდენადაც აუცილებლად გულისხმობს მიმღების, გარდამქმნელის და მომხმარებლის არსებობას. ინფორმაცია არის ცოდნა, მაგრამ არა _ ყველაფრის, რასაც კაცობრიობა ფლობს, არამედ მხოლოდ იმ ნაწილის, რომელიც გამოიყენება ორიენტირების, აქტიური მოქმედების, მართვის, ანუ სისტემის სრულყოფისა და განვითარების, მისი ხარისხობრივი სპეციფიკის დაცვის მიზნით.

ინფორმაციული კავშირი, ინფორმაციული ურთიერთქმედება, ანუ სინამდვილე მოვლენებისა და პროცესების შესახებ _ ინფორმაციის მუდმივი ცვლაა. ინფორმაციის დინების უწყვეტობა უზრუნველყოფს მართვის პროცესის უწყვეტობას. რადგანაც მართვა სისტემაზე მიზანშეწონილი ზემოქმედების უწყვეტად გან-

ხორციელებადი პროცესია. სწორედ განუწყვეტლივ მიღებული ინფორმაციის საფუძველზეა, რომ მართვის სუბიექტს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მართვის ქვეშ მყოფ სისტემაზე. მართვის ყოველი ციკლი ინფორმაციის შეკრებით და დამუშავებით იწყება და ინფორმაციის მიღებით მთავრდება, რომელიც, თავის მხრივ, საწყისს წარმოადგენს მართვის ახალი ციკლისათვის.

ამ თვალსაზრისით, ინფორმაციის მნიშვნელობა განუზომელია, რადგანაც იგი არის:

სისტემის კომპონენტების, აგრეთვე, სისტემის გარემომცველ პირობებთან ურთიერთკავშირის, ურთიერთქმედების სპეციფიკური ფორმა;

ემსახურება მართვის ფუნქციის (გადაწყვეტილების მომზადებისა და მიღებიდან მისი შესრულების შეჯამებამდე) ყველა დონეს;

შეიცავს დასახული მიზნების მიღწევის, სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ზრუნველყოფისათვის საჭირო ცნობებს მართვის მეთოდებისა და საშუალებების შესახებ;

წარმოადგენს სისტემის მიერ ქცევის ამა თუ იმ ვარიანტის შერჩევის, სისტემის დასახული მიზნისაკენ სვლის უზრუნველმყოფი, მისი ახალ მდგომარეობაში გადასვლის განსაზღვრის უშუალო მიზეზს.

უდავოა, რომ ჩვენ სინამდვილეში საინფორმაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო თანამედროვე საშუალებების, აგრეთვე, ინფორმაციოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, განვითარების პრობლემა მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც:

ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნებისმიერი სფეროს განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის უმთავარეს წყაროს, ინფორმაციული ფაქტორი ნებისმიერი შიდაპოლიტიკური და გარეპოლიტიკური პროცესის განუყრელი ნაწილია;

ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების ყოველი წევრის პიროვნებად ჩამოყალიბების, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუციური სტრუქტურების საფუძველს;

ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის, სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ და ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა შტოსა და სტრუქტურას შორის პოლიტიკური მოდერნიზაციის, სახელმწიფოს მდგრადი განვითარების, მისი ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი პირობაა;

ინფორმაცია არის საწყისი რესურსი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებისა და ნებისმიერ სფეროში სახელმწიფოებრივი მმართველობის განხორციელებისათვის. სახელმწიფო ხელისუფლების ინფორმაციული უზრუნველყოფა, უტყუარი ინფორმაციით მისი დროული უზრუნველყოფა _ სახელმწიფოებრივი მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების, მმართველობის პროცესის ყველა სტადიის რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

დღეს ინფორმაციის როლის ახლებურად გააზრება, აგრეთვე ინფორმაციის, როგორც ცივილიზაციის შემდგომი განვითარების სტრატეგიული რესურსისა და მამოძრავებელი

ფაქტორის, ათვისება, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, მას არა მარტო ზოგადმეცნიერული მნიშვნელობა აქვს, არამედ იგი თანამედროვე ცივილიზაციის შემდგომი ბედის განმსაზღვერლიც არის.

HANRY KUPRASHVILI

COGNITIVE ASPECTS OF INFORMATION

summary

The article discusses the concept of information and it's properties, classification, definition problem, meaning, value. There's described information signs, types, functions, forms and etc., also the role of information as a strategic resource for the further development of civilization.

ГЕНРИ КУПРАШВИЛИ

ПОЗНАВАТЕЛЬНЫЕ АСПЕКТЫ ИНФОРМАЦИЙ

Резюме

В статье рассмотрено понятие информации, проблема ее определения, свойства, классификация по различным основаниям. Охарактеризованы виды, критерии, функции, формы, типы, знаки информаций. Показана роль информаций, как стратегического ресурса в дальнейшем развитии цивилизации.

ლიტერატურა

1. ბარნოვი ა. საინფორმაციო უზრუნველყოფის ცნება და ანალიზის და პროგნოზირების საკითხები. // სტრატეგიული კვლევები. #1. 1999. გვ. 35; კუპრაშვილი ჰ., ოდიშარია კ., „ეროვნული უშიშროების საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა (რამდენიმე ასპექტი)". მართვის ავტომატიზებული სისტემები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. #1 (10), 2011, გვ. 229-233; კუპრაშვილი ჰ. ინფორმაციის ცნების გნოსეოლოგიური ასპექტები. - პოლიტოლოგიის საკითხები. რედ. პროფ. ა. ტუკვაძე. ნაწილი მესამე, გამომც. „საზოგადოება ცოდნა", - თბ., 2000. გვ. 32-40; ჩოგოვაძე გ. ინფორნაცია: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი. თბ., გამომცემელი "ნეოსტუდია", 2003; ჩოგოვაძე გ. როდესაც წარსულს ვიხსენებ და მომავალზე ვოცნებობ. მართვის ავტომატიზებული სისტემები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. #1 (10), 2011, გვ. 15-21.; Allo Patrick, (ed.). *Putting Information First: Luciano Floridi and the Philosophy of Information.* special issue of *Metaphilosophy*, Volume 41, #3, April 2010, pages 247–254; Kuprashvili H. National Security of Georgia and some Aspects of its Informational-Analytical Securing. *Materials of the 3rd International Silk Road Symposium*. The Black Sea Region Countries and Prospective

Relationships with the European Union. 27-29 October, 2006. Tbilisi; Kuprashvili H. Sharashenidze T. 2005. Political Aspects of the Formation of the National Information System in Post-Communist Georgia. *Politics, ethics, and the challenges to democracy in 'new independent states',* Council for Research in Values and Philosophy. Cultural Heritage and Contemporary Change Series IVA, Eastern and Central Europe, Volume 29. General Editor George F. McLean. Washington. P. 133-141. ISBN-13: 978-1-56518-224-0 (pbk.); Luciano Floridi. 2010. Information: A Very Short Introduction. Oxford. Oxford University Press. 152 pages. 978-0-19-955137-8 http://ukcatalogue.oup.com/product/9780199551378.do?keyword=floridi&sortby=bestMatches#; Luciano Floridi. 2011, *The Philosophy of Information*, Oxford; Oxford University Press; Semantic Conceptions of Information. 2011. The Stanford Encyclopedia of Philosophy. http://plato.stanford.edu/entries/information-semantic/; Toffler, Alvin. 1970. Future Shock. New York: Random House, ISBN 0-394-42586-3; Toffler, A. The Third Wave. Publisher: Bantam Books (USA), 1980, ISBN 0-517-32719-8; Toffler Alvin, Toffler Heidi. (2006) Revolutionary Wealth. Knopf ISBN 0-375-40174-1; Wiener Norbert. 1948. Cybernetics: Or Control and Communication in the Animal and the Machine. Paris, (Hermann & Cie) & Camb. Mass. (MIT Press) ISBN 9780262730099; 2nd revised ed. 1961 და სხვ.

2. ჩოგოვაძე გ. ინფორნაცია: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი. თბ., გამომცემელი ,,ნეოსტუდია", 2003, გვ. 44-46.

badri cxadaZe

,,ტაბიძე'' გვარსახელის ეტიმოლოგიისათვის

გვარსახელი ტაბიძე მხოლოდ იმერეთშია გავრცელებული, იგი საქართველოს სხვა კუთხეში არსად გვხვდება. XIX საუკუნის 40-იანი წლების, კერძოდ, საქართველოს საარქივო დეპარტამენტის ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მონაცემებით, *ტაბიძეებს* უმოსახლიათ იმერეთის ისეთ სოფლებში, როგორიცაა: *ივანდიდი, საჯავახო, სულორი, ჭყვიში, ხანი* [1, 159-160]. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გვარის მაცხოვრებლებს ამავე სოფლებში წინა საუკუნეებშიც უნდა ეცხოვრათ. ცხადია, ძნელია იმის თქმა, რომელი სოფელია მათი თავდაპირველი და უპირველესი საცხოვრისი. XIX საუკუნის შუა ხანების მონაცემებით, სოფ. ივანდიდისა და ჭყვიშის ტაბიძეები სასულიერო პირები ჩანან, სულორში _ საბატონო გლეხები, [1, 124]. სოფელ ხანში, ამავე ცნობარის მიხედვით, *ტაბიძე* გვარსახელის ნაცვლად ტაბეშაძეა (მოხსენიებულია სახელმწიფო გლეხთა სიაში). ჩვენი აზრით, ხანელი ტაბეშაძე, ზემო დასახელებული სოფლებისეული ტაბიძე, აგრეთვე ტაბატაძე // ტაპატაძე (სოფლები: არგვეთი, ბერეთისა, მოსლევი, ვანი, ვარძია, კორბოული, მარელისი, საქარა, ფუთი, ჩხარი), ტაბუცაძე (სოფლები: ითხვისი, ღარიხევი), ტაფაძე (სოფ. გეგუთი) ფუძის მიხედვით, მასალობრივ, ერთი და იგივე ოდენობაა. ძირია ტაბ // ტაფ // ტაპ, ხოლო ამ ფუძის დაბოლოებები – ა (ტაფა), –ეშა (ტაბეშა), -უცა (ტაბუცა), კნინობითიი სუფიქსები. რაც შეეხება ტაბ // ტაფ // ტაპ ვარიაციულ ძირებს, ისინი ერთი ფუძის (ტაბ) მკვეთრი ვარიანტები (ტაფ – ფშვინვიერი, ტაპ _ ყრუ).

ღირსსაცნობია, რომ მწერალმა ალექსანდრე ქუთათელმა რომანში «პირისპირ», სხვა იმდროინდელ «ცისფერყანწელ» მწერლებთან ერთად (გრ. რობაქიძე და სხვ.) «შეფარვით» ტიციან ტაბიძე გვარსახელ ტაფატაძე'დ მოიხსენია [2], რაც, ვფიქრობთ, შემთხვევითი სრულიადაც არ არის. ამრიგად, ზემოდასახელებული ტაბ // ტაფ // ტაპ ძირის შემცველი გვარსახელები წარმოშობით ყველა «წმინდა იმერული» უნდა იყოს. მათი რაჭასა და ქართლში გაშლა-განფენა _ ამ გვარის მატარებელთა მიგრაცია _ იმერეთიდან დაძვრა-გადაადგილება ჩრდილოეთით (რაჭა) და აღმოსავლეთით (ქართლი) გვიანდელი მოვლენა ჩანს.

<u>დაისმის მთავარი კითხვა</u>: რას ნიშნავს ზემო დასახელებულ ტაბ // ტაფ // ტაპ გვარსახელთა ძირი ტაბ, როგორია მისი ეტიმოლოგია?

ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიქცია ტაფელა და ტაბიკ სიტყვაფორმებმა. <u>მეორე თანამდევი კითხვა</u>: როგორი ურთიერთმიმართებაა ამ ფუძეძირებს შორის?

სულხან-საბა ორბელიანის ახსნით, ტაფელა სარიკაო ჯოხია [3, 134], «ქართული ლექსიკონის» სხვა ადგილას ცნობილი ლექსიკოგრაფი ტაფელა'ს «რიკთ სამღერელად და მისთანათად» განმარტავს [3, 459]. ასეთ განმარტებას სიტყვასიტყვით იზიარებს ნ. ჩუბინაშვილი [4, 377]. დ. ჩუბინაშვილი ტაფელას ჩილიკა ჯოხს უწოდებს [5, 1215]. მისივე ახსნით, «ჩილიკა-ჯოხი მოკლე რიკია აღმა სასროლი სათამაშოდ; სარიკო ჯოხი [5, 1578]. ეს განმარტება ზოგადია და არ გვიხსნის საგანს ზედმიწევნით. რიკი მართლაც სათამაშო ჯოხია, როგორც ტაფელა «რიკტაფელაობის» დროს. რიკი და ტაფელა ცალ-ცალკე თუმცა ჯოხს აღნიშნავს, მაგრამ განსხვავება მაინც საგრძნობია: რიკი პატარა ჯოხია 20-25 სმ-ის ოდენა. ტაფელა ორჯერ-სამჯერ მეტი სიგრძის. რიკტაფელაობის საბავშვო თამაშში რიკი წვრილია, ტაფელა ორმაგად-სამმაგად მასზე მსხვილი.

რიკტაფელაობა'ს რაჭა-იმერეთში ტაფაობა ჰქვია [6, 40], ხოლო ამავე კუთხეებსა და კილოებში ტაფელა პატარა თევზია, წითელი ფერისა [6, 40]. ერთი შეხედვით, შეიძლება გვეგონოს, რომ თითქოს, ტაფელაში ტაფა არაბული სიტყვის ფუძე იყოს. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, *ტაფა, ტაფაკი* არაბული სიტყვაა და ნიშნავს «არა ღრმა ქვაბს მოსაწვავად მწვადისა, сковородка [5, 1215]. ქართულში ამ სიტყვისგან ნაწარმოებია *ტაფამწვარი, ტაფობი*... ჩანს, *ტაფელა* საკუთრივ ქართულ-ქართველური წარმოშობის ლექსემაა, რომელშიც გამოიყოფა რთული შედგენილობის –ელა სუფიქსი და ტაფ ძირი. შდრ. ტაფელ-ი..., მ-წიფ-ს, წიფ-ელ-ა _ წიფელ-ი.

ჩვენი ახსნით, ტაფ ძირი ოდინდელი საერთოქართველური ფუძე უნდა იყოს. იგი შემოუნახავს სვანურ ზმნის პირიან და ნაზმნარ სიტყვაფორმებს. სვანურად ნატაბ «ნათალს» ნიშნავს, მეორე მნიშვნელობით _ «ნაფოტს» [7, 614]: სვან. *ლიტაბე* «თლა». სვანურშივე ტეფ სიტყვა «ქერქს» აღნიშნავს. ასე რომ ქართული ტაფელასა და სვანური ტაფ // ტეფ ძირი ერთი და იგივე ოდენობა ჩანს. ამავე ტაფ ძირს უკავშირდება ტაბიკი, რომელიც იმერულ კილოში ტაპიკ ყრუ-მკვეთრი ვარიანტით არის წარმოდგენილი. ტაბიკ _> ტაფიკ. ბოლოკიდური – იკ აქ კნინობითი სუფიქსია ტაბიკი _ «პატარა ჯოხი». იმერულშივე *ტაპიკი* თავმსხვილა ჯოხია [8], ზოგჯერ სპეციალურად გამოთლილი, ზოგჯერ ხმაროზენ რკინასაც. იმერულ კილოშივე (შემდგომ საერთოდ ქართულ ენაში გავრცელებული) ტაპიკ სიტყვა საფუძვლად დასდებია «კაპიკი ჩაკაპიკებულას...» მსგავსად ენის გასატეხს: «ტაპიკი ჩატაპიკებულა, სატაპიკეში ჩატაპიკებულა» (ჩვენი მასალ.).

ამრიგად, ტაფელი // ტაფელა და ტაბიკი // _> ტაპიკი ნაზმნარი სახელები წარმოშობით ძირძველი ქართული ლექსემები აღმოჩნდა, რომლებიც წარმომდგარან სვანური «ლიტაბ-ე» თლა ზმნისაგან: მართლაც, ტაფელა იმერეთში ხშირად უხიწვო, ტყავგაცლილი, «გაკანული» ჯოხია, ტაპიკიც სპეციალურად გათლილი საუღლე ჯოხიც ხომ უმეტესად გათლილია.

PS. სვან. ტაბ «ლიტაბე» და ქართ. თალ «ვთალე, თლა» ფუძეები საერ-

თო ქართველურია ანუ წინარე ფუ-ძეენიდან მომდინარე შესატყვისობად წარმოგვიდგება... შდრ. ინგლ. tap [tæp] «მსუბუქი დარტყმა/კაკუნი (ხელის გულით ან თითებით)» [9, 610].

შენიშვნა 1: ტაბიკა საკუთარ სახელად დასტურდება მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის დავთრებში. მაგ., დათუნა ძე თაბიკასი მოხსენიებულია 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარში [10, 217].

PPS. ღირსსაცნობ მასალას გადავაწყდით გ. შარაშიძის «გურულ ლექსიკონში», სადაც ლექსიკოგრაფს სალექსიკონო ერთეულად შეუტანია პატარა ბავშვის, ჩვილის მიმართ დედის ნათქვამი ლექსი სათაურით «ტაი, ტაი ტაფელაო» (*ტაფელა* აქ თოთო ბავშვის ეპითეტია) [11], რაც ნიშნავს: «ტაში, ტაში, ტაფელაო». მისივე ცნობით, დედა აიყვანს ფეხაუდგმელ ბავშვს, დასვამს ბალიშზე და ტაშის კვრით ეუბნება:

«ტაი, ტაი, *ტაფელაო,*
ჩემო ნიკორ, წიფელაო,
<u>თუ მიტაფო, ქე მიტაფე,</u>
თვარა წიგნი დამიწერე!»

«*თუ მიტაფო, ქე მიტაფე*» ნიშნავს: [შვილო] «ფეხზე დადექი, ტაფელასავით მაგარი მუხლები გქონდეს». [ტაფელა, ნიკორ(ა), წიფელა _ ყველა თოთო ბავშვისადმი მიმართული მუხლგამძლეობისა და სიმარდის გამომხატველი ეპითეტებია].

აქ მეტადრე ძვირფასია ისიც, რომ გურული დედა ქართული ზმნის პირიან ფორმას ორჯერ ამბობს, რაც იმის დასტურია, რომ მიტაფე, მიტაფო და მისთ. ზმნური ფორმები ქართულ ცოცხალ დიალექტურ მეტყველებაში მართლაც გვქონია. ამ კუთხით ძიება კიდევ არაერთ საგულისხმო ფაქტსა და ჩვენებას მოგვცემს.

შენიშვნა 2: ისტორიკოს პროფ. ფ. სიხარულიძის ფიქრით, ,,ტაბიძე ძე სუფიქსით გაფორმებულ ფთაბაძეს უნდა ნიშნავდეს. ეს საგვარეულო მიგრაციის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით ორ შტოდ უნდა გაყოფილიყო (თებაძე, ტაბიძე)''[12]. სამწუხაროდ, მკვლევრის მსჯელობა და ახსნაც დამაჯერებელი არაა. ასახსნელი და განსამარტავია, რას ნიშნავს სიტყვა ,,ჯერჯერობით'', ასევე ფთაბაძე'დან როგორ წარმოდგა გვარსახელი ტაბიძე? სად არის აქ ლოგიკა და ლინგვისტური პროცედურა? ფთაბაძე _> *ტაბაძე _> ტაბიძე? და კიდევ: ძე სუფიქსი კი არ არის, არამედ სუფიქსოიდი, სუფიქსის ფუნქციით აღჭურვული არსებითი სახელი. ასე რომ ეს დაკავშირება-ეტიმოლოგია მეტ მტკიცებას საჭიროებს.

შენიშვნა 3: ილია (იგივე ბიჭოია) ტაბიძის მოსაზრებით, *ტაბიძე* გვარსახელის ტაბ ფუძე სემანტიკურად ,,წყალს'' უკავშირდება [13, 64]. მასზე დამყარებით მსჯელობენ, რომ ,,წყლის სტიქიონი ბობოქრობდა ჭაბუკი ნ. ტაბიძის არსებაში, ,,ჭეშმარიტი ჭყვიშელის ტაბიძის'' სულში, ვითარცა ,,წყლის კაცების'' ნაშიერში'' [14, 50]. თუ ეს ისტორიული ხსოვნაა, მაშინ მოსაზრება გასაზიარებელია, რადგან ქართულ-სვანური ტაბ'ს ზანურად ტობ შეესაბამება. შდრ. ტობა ,,ტბა'', წყალტუბო ,,წყალთბილი'', ეგევე ფუძე გვაქვს სოფლის სახელწოდება *ტობანიერშიც*: ტობანიერი ,,ტბიერი, ტბიანი'' ადგილი. სავარაუდოდ, აქედან წარმოდგა ,,ნაფოტა თევზი''. ღირსსაცნობია, რომ იმერულში ნაფოტა მდინარისა და ღელის თევზის სახეობაა. ნაფოტა თევზი // ტაფელა თევზი. ზემოთ დასა-

კონკრეტებელი და დასაზუსტებელია ტაბიძეთა წინაპრების ,,წყლის კაცებად'' მოხსენიება. რა იგულისხმება მასში _ ტაბიძეთა წინაპრები იყვნენ ,,მდინარის ან ტბის მეთევზეები'' თუ... ჩვენი ვარაუდით, მათ ეს სახელი *მეთევზეობის* გამო უნდა შერქმეოდათ.

შენიშვნა 4: ჩვენ მიერ მოძიებული იმერული მასალების მიხედვით, ტობე ,,მაგარი'' გადატანითი მნიშვნელობით საქები სიტყვაა (,,ტობე ხარ!'' ეტყვიან მამაკაცები ერთმანეთს. შდრ. სვანური ,,დოდღობაი" _ სვან. ტობე ამ შემთხვევაში კარგს, ვაჟკაცს ნიშნავს). ტობე იმერულში ზანიზმია. იმერულსა და გურულში ტობი ეწოდება თევზს ქვირითის დაყრის პერიოდში, ხოლო ტობობა თევზის, მოძრაობას, ცურვას მდინარის აღმა მიმართულებით ქვირითის დასაყრელად [15, 128], [16, 244], [17, 69]. შდრ. სვან. ტობოქ ,,თევზთა განაყოფიერება''. შდრ. გურ. ტომბოყა ,,წყალწყალა (კერძი)'', აგრეთვე გურ. ტაბუხა ,,მსხვილი ძვალი'' [17, 69]. ტაბუხა'ში -უხა საწარმოებელი ბოლოსართია, ტაბ _ ფუძე.

ამრიგად, ტაბ // ტაფ // ტაპ ძირი საკუთრივ დასავლური ქართულის კუთვნილება (იმერული, გურული...., აგრეთვე სვანური ენის, ხოლო ზანურში მის შესატყვისად ტობ) აღმოჩნდა, რომელიც «ტაფელა თევზის ,,თევზის სახეობა», აქედან «მაგარი ჯოხი»)'საგან მომდინარეობს. ტაბ // ტაფ // ტაპ ძირების შემცველ გვარსახელთაგან საქართველოს უახლეს ისტორიაში, კულტურასა და მეცნიერება-მწერლობაში გამორჩეული ადგილი გვარსახელმა ტაბიძემ დაიმკვიდრა. თქმულის ნათელსაყოფად დიდი გალაკტიონის _ ქართული პოეზიის მეფის, მისი ბიძაშვილის ტიციან ტაბიძის, გალაკტიონის ძმისშვილის, ცნობილი ჟურნალისტისა და მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის ბატონ ნოდარ ტაბიძის დასახელებაც კმარა. წიგნისა და ლექსის წერაში <u>*ტაბიძეებთ* ბადალი არა ჰყავთ</u>: *ტაბიძეების არსობა* «თუ მიტაფო, ქე მიტაფე, თვარა წიგნი დამიწერე» ამის წინარე დასტურია!

ლიტერატურა

1. ქართული გვარსახელები იმერეთში XIX საუკუნის 40-იანი წლები (ცნობარი). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა *მ. კეზევაძემ*, ქუთაისი, 2004
2. ალ. ქუთათელი, პირისპირ (რომანი ოთხ წიგნად), იხ. ქართული პროზა. ტ. XXVIII – XXIX, თბ., 1997
3. ს-ს ორბელიანი, თხზულებანი. ტომი IV. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1966
4. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, *ალ. ღლონტის* რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1961
5. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა. აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო *ა. შანიძემ*, თბ., 1984
6. ბერიძე ვ, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს.-პეტერბურგი, 1912

7. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2000
8. ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, *არნ. ჩიქობავასა* და *მ. ალავიძის* რედაქციით. თბ., 1974
9. ჯ. მჭედლიშვილი, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, *ა. ლომთაძის* რედაქციით, თბ., 1996
10. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009
11. გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა. I. გურული, იმერული, ლეჩხუმური ლექსიკონები, თბ., 1938
12. ფ. სიხარულიძე, ქართულ საგვარეულოთა შესწავლისათვის. გაზ. ,,აღორძინება'', 2002, #7
13. ნ. ტაბიძე, პოეტი, რომელიც ლექსებს არ წერს. კრებ.: ,,მედალიონები'', თბ., 2003
14. თ. ჯაგოდნიშვილი, თაობათა მოძღვარი, გამომცემლობა ,,უნივერსალი'', თბ., 2011
15. პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, გამომცემლობა ,,მეცნიერება'', თბ., 1976
16. ს. ჟღენტი, გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), ტფ., 1936
17. შ. მალაზონია, თ. მალაზონია, გურული (მამათური) ლექსიკონი, გამომცემლობა ,,კალიგრაფი'', თბ., 2010

Giorgi xeoSvili

ვასილი როზანოვი და გრიგოლ რობაქიძე

საქართველოში გრიგოლ რობაქიძე იყო პირველი, ვინც რუსი მწერლისა და ფილოსოფოსის, ვასილი როზანოვის (1856-1919) შემოქმედების მნიშვნელობაზე დაიწყო საუბარი. ,,რუს ნიცშედ" წოდებული მოაზროვნისადმი რობაქიძის ინტერესს რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა.

გრიგილ რობაქიძე საქართველოში ,,მოდერნიზმის სახარების'' მქადაგებლად ითვლება. საკუთარი ლიტერატურული შემოქმედებით რობაქიძე ცდილობდა, ევროპაში გაფორმებული და რუსეთში ფართოდ გავრცელებული, სიმბოლისტური მსოფლმხედველობის დანერგვას ქართველი ხალხის მხატვრულ ცნობიერებაში. მოდერნისტული ხელოვნებისა და ლიტერატურის იდეალებს რობაქიძე ჯერ კიდევ 1902-1908 წლებში, გერმანიაში სწავლის დროს ეზიარა. მოგვიანებით კი პირადად გაიცნო ცნობილი რუსი სიმბოლისტი მწერლები და ფილოსოფოსები _ ა. ბელი, ა. ბლოკი, ზ. გიპიუსი, ვ. ბრიუსოვი, ვ. ივანოვი, დ. მერეჟკოვსკი, ნ. ბერდიაევი და სხვები _ და საფუძვლიანად შეისწავლა მათი შემოქმედება. შეუძლებელია რობაქიძის ყურადღების მიღმა დარჩენილიყო ის გარემოება, რომ ეს ავტორები თავიანთ შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ როზანოვის მსოფლმხედველობის ანალიზს. ისინი პირადად იცნობდნენ როზანოვს და არ მალავდნენ ამ უკანასკნელის პიროვნებისა და ნააზრევისადმი თავიანთ დამოკიდებულებას _ აღფრთოვანებასა თუ აღშფოთებას. ამგვარად, როზანოვის შემოქმედებით რობაქიძის დაინტერესების წინაპირობად ეს გარემოებაც შეიძლება ქცეულიყო. თუმცა, როზანოვის ნააზრევისადმი რობაქიძის ინტერესს უფრო ღრმა საფუძვლებიც მოეპოვება.

ვასილი როზანოვს ორიგინალური მოაზროვნის სახელი შესძინა სქესის ფენომენის სრულიად უჩვეულო რელიგიურ-ფილოსოფიურმა გააზრებამ[1]. სქესი როზანოვისათვის ერთდროულად თეისტური და კოსმოლოგიური სიცოცხლის მომცემი საწყისია. სამყაროს მეტაფიზიკურ არსში ორი საწყისი ძევს: შთამომავლობითი, სქესობრივი, უპიროვნო და სქესთან, როგორც სამყაროს საფუძველმდებარე სინამდვილესთან დაპირის-

[1] რუსულ ფილოსოფიაში სქესის ფენომენის შესახებ არსებული განსხვავებული კონცეფციების საფუძვლიანი ანალიზი მოცემულია ა. ბაქრაძისა და ა. კაციტაძის ნაშრომში ,,XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის რუსული რელიგიურ ფილოსოფია და სქესის ფილოსოფიური პრობლემა" // *რელიგიური ფილოსოფიის პრობლემები*, თბ., 1991.

პირებული საწყისი – პიროვნება. სიკვდილი როზანოვისთვის აღიქმება, როგორც სქესის დაკარგვის ფენომენი, სამყაროს კასტრაცია. ასეთ დროს ქორწინება და გამრავლება სიკვდილზე ადამიანის გამარჯვების ერთადერთი გზაა.

როზანოვის აზრით, სქესი ადამიანში არის არა ფუნქცია ან ორგანო, არამედ სიცოცხლის ყოვლისმომცველი პრინციპი. სქესი ღმერთის პროექციაა. ამიტომ, ღვთაებრივიც ადამიანში სწორედ სქესია. თუ ქორწინება არის ან შეიძლება იყოს ,,რელიგიური'', მხოლოდ იმიტომ, რომ რელიგიას აქვს თავისში რაიმე ,,სქესობრივი''. როზანოვს ღმერთი ესმის, როგორც აქტიურ-შემოქმედებითი (მამაკაცური) და მიმღებ-დამბადებელი (ქალური) საწყისების ერთიანობა. ,,სქესის კავშირი ღმერთთან უფრო უდავოა, ვიდრე გონების ან თვით სინდისის კავშირი მასთან''.[2] სწორედ ამ კავშირის აღდგენა და აღიარება წარმოადგენდა ძველი აღთქმისა და წარმართული რელიგიების ბირთვს. როზანოვისთვის ქრისტიანობა სიცოცხლის იმპულსების შემაფერხებელი რელიგიაა, იუდაიზმის არსი კი სქესისა და გამრავლების აბსოლუტურობის რელიგიურ მტკიცებაში მდგომარეობს. ამიტომ ცდილობს როზანოვი ,,ააღორძინოს'' წარმართული რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები, როგორც ისტორიული ქრისტიანობის დაძლევის ერთად-ერთი ალტერნატივა. როზანოვის მიერ ახლებურად ინტერპრეტირებული რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები შემოქმედებითი შთაგონების წყარო გახდა რუსული მოდერნიზმისა და სიმბოლიზმის ბევრი ცნობილი წარმომადგენლისთვის.

სქესის ფენომენის ,,საიდუმლო'' და ყოფიერების მითოლოგიური ,,თაურსაფუძვლები'' ცენტრალური თემებია რობაქიძის მხატვრულ შემოქმედებაშიც. ცნობილია, რომ რობაქიძე ავითარებდა სქესის შესახებ ერთობ უცნაურ თვალსაზრისს[3], რომელიც, გარკვეული მსგავსების მიუხედავად, უპირისპირდება სქესის როზანოვისეულ თეორიას. როზანოვის მსგავსად, რობაქიძესაც ,,სამყარო ესმოდა როგორც ბიპოლარული სქესობრივი ურთიერთმიმართების დაძაბულობა, რომლის დიდი თაურსიმბოლოებია მზე და დედამიწა (მიწა), მამაკაცური და ქალური, თესლი და საშო, პლაზმა და პნევმა. ყველაფერი ტრიალებს სქესთა შეხვედრის, მათი ბრძოლისა და შეერთების გარშემო _ სქესობრივი აქტი არის ყოველგვარი გრძნობადი გამოცდილებისათვის იმანენტური პარადიგმა. ჩვენი სექსუალობა არის რიტუალი, რომელშიაც თაურმითოსი (Urmythos) სულ მუდამ ხელახლა იწყებს მოქმედებას.”[4]

---

[2] იხ., В. Розанов, Сочинения, т. I, Москва, 1990, გვ. 305.

[3] იხ., ნიკოლაუს ზომბარტი, ,,ბერლინში გატარებული სიყრმე 1933-1943'' // *მნათობი*, # 4, 1989; ასევე: ნოდარ კაკაბაძე, ,,გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი'' // *ლიტერატურა და ხელოვნება*, # 5-6, 1992.

[4] იხ., ნოდარ კაკაბაძე, “გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი” // *ლიტერატურა და ხელოვნება*, # 5-6, 1992, გვ. 224-225.

ამ მსგავსების მიუხედავად, სქესობრივი ცხოვრების რობაქიძისეული იდეალი არსებითად უპირისპირდება როზანოვისეულ იდეალს. თუკი როზანოვისთვის სქესობრივი ცხოვრება და გამრავლებაა სიკვდილის დაძლევის გზა, რობაქიძისთვის სიკვდილის ძლევის ერთადერთი საშუალება სქესობრივი აქტისაგან თავშეკავებაში მდგომარეობს. რობაქიძეს სჯერა, რომ განუხორციელებელი სქესობრივი აქტი ზრდის მამაკაცის ოკულტურ ძალებს. ნ. ზომბარტის აზრით, რობაქიძის ,,მატრიმონიალური უმანკოება არ იყო უარისთქმა სქესზე, არამედ სქესის მოქმედების რაღაცნაირად რაფინირებული სახეობა. მას სქესობრიობის ჩაკვლა კი არ უნდოდა, არამედ გასპეტაკება."[5] სქესობრივი აქტისგან თავშეკავებაში რობაქიძე, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცურ თვითდამკვიდრებას, როგორც ქალური საწყისის ბატონობის დაძლევის გზასა და პატრიარქალობისკენ დაბრუნებას ხედავს.

სქესის ფენომენთან დაკავშირებით როზანოვისა და რობაქიძის პოზიციებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, აშკარაა, რომ ორივე მოაზროვნე საკუთარი თვალსაზრისის გამყარებას რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებზე დაყრდნობით ცდილობს.

როზანოვი, აკრიტიკებს რა სქესის ქრისტიანულ გაგებას, სქესის ფემომენის დაცვას იუდაიზმისა და წარმართული რელიგიების დახმარებით ცდილობს. მისი აზრით, სამყაროში ერთმანეთს ებრძვის ორი სინათლე: სინათლე მზისა და სინათლე მთვარისა. მზე არის ნაყოფიერების ღვთაება, მთვარე _ მარადიული უნაყოფო ქალწული, სიკვდილისა და ცდუნების ღვთაება. იუდაიზმი და წარმართობა მზის რელიგიებია, ქრისტიანობა – მთვარის შუქისა. ამიტომ იგი მკითხველს ძველსა და ახალ აღთქმას შორის არჩევანის გაკეთებისკენ მოუწოდებს.

სქესის კონცეფციას რობაქიძეც მითოსური წარმოდგენების იმ ლოგიკით ხსნის, რომელიც მან, ერთი მხრივ, მედეასა და ამორძალების შესახებ არსებულ ბერძნულ მითებში და, მეორე მხრივ, ხევსურეთში გავრცელებული სწორფრობის რიტუალის მისტიკაში ,,ამოიკითხა''[6]. ამ ,,ლოგიკის'' თანახმად, სიყვარული ღვთაებრივი განცდაა. სიყვარულის აქტში წყვილები ურთიერთსრულყოფის გზით პიროვნულ უკვდავებას ესწრაფვიან, მაშინ როცა, სქესობრივი აქტით მხოლოდ გვარის უკვდავება მიიღწევა. სწორედ ამიტომაა, რომ თუ სიყვარულს ხორციელად ეზიარები, მას კლავ. სიყვარულით ,,უნდა იწვოდე'' მხოლოდ.

ამგვარად, შეუძლებელია, რომ რობაქიძე, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით მითოლოგიის აღორძინებას ესწრაფვოდა, არ დაინტერესებულიყო როზანოვის წიაღსვლებით იუდაისტურ და წარმართულ მითოლოგიებში.

და ბოლოს, როზანოვის შემოქმედებისადმი რობაქიძის ინტერესს განაპირობებდა როზანოვის სტილიც, რომელიც, თანამედროვეთა აღიარე-

---

[5] იხ., იქვე, გვ. 224.

[6] ამ პრობლემის მხატვრულ-ფილოსოფიურ გააზრებას ვხვდებით გრ. რობაქიძის ნაწარმოებებში ,,ენგადი'' (1923) და ,,მედეას ნაწნავები'' (1926).

ბით, უნიკალური მოვლენაა ლიტერატურაში. რობაქიძემ _ თავადაც უბადლო სტილისტმა _ ზუსტად შეიგრძნო და აღიარა როზანოვის ეს არაჩვეულებრივი მწერლური ნიჭი.

* * *

1919 წელს გამოქვეყნდა გ. რობაქიძის სტატია ,,როზანოვი''.[7] მასში რობაქიძე ცდილობს წარმოაჩინოს ამ ორიგინალური მოაზროვნის ფენომენი და წინააღმდეგობებით აღსავსე მისი მსოფლმხედველობის არსი.

სტატია როზანოვის ავტოპორტრეტის გადმოცემით იწყება, რისთვისაც ,,დაცვენილი ფოთლებიდან'' და ,,განმარტოებულიდან'' ციტატების მთელი კასკადია მოხმობილი. რობაქიძის აზრით, როზანოვის უჩვეულო გარეგნობა და მისი სულიერი სამყარო (რომელიც ,,ჭუჭყის, სინაზისა და სევდის გვირისტია''[8]) უცნაურ მთლიანობას ქმნის.

---

[7] თბილისში ემიგრირებული რუსი პოეტის, სერგეი რაფალოვიჩის მიერ დაარსებულ გამომცემლობაში "Кавказский посредник" გრიგოლ რობაქიძემ 1919 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი წიგნი Потреты, Вып. 1, რომელიც ჩაადაევის, ლერმონტოვის, როზანოვისა და ბელისადმი მიძღვნილი სტატიებისგან შედგება. ამ სტატიათაგან ზოგიერთი ავტორს, უკვე 1918 წელს, გამოქვეყნებული ჰქონდა ჟურნალში ,,არს''. შესაძლებელია, რომ ეს ნარკვევები თანამედროვე რუსული ლიტერატურისა და ფილოსოფიის მიმდინარეობათა შესახებ ლექციათა იმ კურსის ნაწილი ყოფილიყო, რომელსაც რობაქიძე თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე კითხულობდა.

[8] იხ., გ. რობაქიძე, ,,როზანოვი'' *//კალმასობა*, ¹4 (41), 2000, გვ. 1.

რობაქიძის თქმით, როზანოვი თავადვე აღიარებს, რომ საპირისპირო უნარებს ფლობს. თუ აბრაამი იეღოვას პატარძლობდა, როზანოვს პრეტენზია აქვს, რომ ბუნებას პატარძლობს _ ანუ გახსნილია მთელი სამყაროსადმი. როზანოვი თვლის, რომ საკაცობრიო ისტორია მან ისე ნათლად დაინახა და გაიგო, თითქოს ხელის გულზე ედო, თითქოს თავად იყო ისტორიის შემოქმედი.

მეორე მხრივ, როზანოვი ისეა ჩაძირული საკუთარ თავში, რომ მისი სუბიექტურობა ხშირად რეალობის სრული დაკარგვის ტოლფასია. როზანოვი ,,გამუდმებით უსმენს საკუთარ თავს და არ შეუძლია სხვათა მოსმენა''[9] _ აცხადებს რობაქიძე ნ. ბერდიაევის ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით.

როზანოვი საკუთარ თავს ,,ჯერ კიდევ არდაბადებულს'' უწოდებს: თავს ჯერ ისევ დედის საშოში მწოლიარე იმ არსებად მიიჩნევს, რომელსაც სამოთხის ხმოვანება ჩაესმის. … თუმცა სულიერი გამოცდილების მხრივ კი _ ხანდაზმულ ადამიანად გრძნობს თავს (,,საშოსშიდა ყოფიერებაშიც უსაზღვროდ საინტერესო ვარ, სულიერად კი უსაზღვროდ ბებერი, გამოცდილი, თითქოს 1000 წლის ვიყო და ამასთან _ ნორჩი, სრულიად ბავშვი"[10]). რობაქიძის აზრით, როზანოვის ფენომენის უცნაურობაც სწორედ ამაშია. აქედან მომდინარეობს მისი ჩაღრმავება საკუთარ თავში, ,,მარადიული სიჭაბუკის უსასრულო ვნება, მხიარულება და ირონია ყველაფრისადმი, საკუთარი თავის მიმართაც კი''.[11]

---

[9] იხ., იქვე, გვ. 2.

[10] იხ., იქვე, გვ. 2.

[11] იხ., იქვე, გვ. 2.

როზანოვის ფენომენის ახსნას რობაქიძე ოტო ვაინინგერის თეორიით ცდილობს: გენიოსი არავის ჰგავს. ის უმაღლესი ინდივიდუალობაცაა და უმაღლესი უნივერსალობაც. მისგან პოტენციურად ყველაფერი შეიძლება გამოვიდეს. ასეთია როზანოვიც. ,,როზანოვს ღმერთმა გენიალური ყოვლისმგრძნობელობა, ყველაფერში შემოქმედებითად შეღწევის უნარი მიანიჭა: მას ესმის ,,ესეც'' და ,,ისიც'', რადგან თვითონ ესეც არის და ისიც''.[12] ამიტომაცაა, რომ მას არაჩვეულებრივად შეუძლია ნიღბების ცვლა, თანაც ისე, რომ მისი ნამდვილი სახე მუდამ დაფარული რჩება. ამითვე აიხსნება როზანოვის მიერ ერთი და იმავე საკითხზე პოზიციათა გამუდმებული ცვლა.

რობაქიძის აზრით, როზანოვში წაშლილია პიროვნულობა. ის სრულიად სამყაროსეულია. როზანოვმა ,,დაარღვია ყოველგვარი ,,ინტიმურობა'', გააშიშვლა საკუთარი თავი და დედიშობილა იწყო სიარული''.[13] როზანოვის ჭეშმარიტი სტიქია სქესია. სქესი მისი არსებობის რიტმია. ,,სქესში და სქესის მეშვეობით ხსნის ის (როზანოვი – გ. ხ.) საკუთარ თავს, ვინაიდან თვით სქესიც უსახო მდინარებაა. მისი პათოსი სქესის გრძნობაა; მისი ტონუსი _ შვილთა შობადობა."[14] ეს განაპირობებს მის სიყვარულს მოსეს ხუთწიგნეულისადმი. როზანოვს ხელშესახები კონკრეტულობით უყვარს იუდაიზმი მისი პანთეისტური ეროტიზმისათვის. მისთვის იუდაიზმი სხვა არაფერია, თუ არა ,,თესლის'' რელიგია. ის ტკბება ძველი აღთქმის იმ ადგილებით, სადაც დაბადებულთა ვრცელი გენეალოგიაა მოცემული. იგი წინასწარმეტყველ იეზეკიელის სიტყვებშიც ღვთისა და ისრაელის საქორწინო კავშირის დადასტურებას ხედავს. როზანოვთან წინადაცვეთაც კი მისტიკურ-ანთროპოლოგიურ აზრს იძენს.

ებრაელებისაგან განსხვავებით, როზანოვის აზრით, არიელები ლოგიკური გამოხატვის არსის ტომია. ისინი ისტორიაში ადამიანის მეორად სახეს ასახავენ, სიტყვათა წესრიგს მისდევენ და არა ყოფიერების პირველწყაროს. აქედან მომდინარეობს არიელთა სისუსტე. სემიტები სიცოცხლის წესრიგს მისდევენ და ამაშია მათი უკვდავება. მათ არ იციან მოქანცულობა, მსოფლიო სევდა, სოციალური ანარქია. არიელებს, პირიქით, ყოფიერების წყაროშიც კი შეჰყავთ უარყოფის ნესტარი. ქრისტიანობამ სიცოცხლის ადგილას სიკვდილი დაყენა, ოჯახის ადგილას _ ასკეტიზმი. ამიტომ აცხადებს როზანოვი, რომ ,,ქრისტეში ჩამწარდა სამყარო.'' რობაქიძე, მერეჟკოვსკის მსგავსად, ფიქრობს, რომ ქრისტიანობისთვის როზანოვი ნიცშეზე საშიშია: რადგან თუ ქრისტიანობაში სამყარო დამწარდა, ხოლო თვით სამყარო მშვენიერი და ჯადოსნურია შვილთა შობადობისას, მაშინ აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩება ქრისტეს უარყოფამდე.

რობაქიძე როზანოვის შესახებ სტატიას მის ლიტერატურულ სტილზე საუბრით ამთავრებს. რობაქიძის დაკვირვებით, როზანოვის სტილი ისევე ფენომენალურია, როგორც თვითონ როზანოვი. მას ბადალი არ ჰყავს ,,გამოხატვის სტილით, ასახვის ტონუსითა და გადმოცემის ტემპერამენტით... როზანოვის სტილი თავის მკვლევარს ელის".[15]

---

[12] იხ., იქვე, გვ. 2.

[13] იხ., იქვე, გვ. 2

[14] იხ., იქვე, გვ. 2.

[15] იხ., იქვე, გვ. 2.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ როზანოვის შესახებ რობაქიძის სტატია დ. მერეჟკოვსკის ეტიუდის[16] გავლენითაა შექმნილი.[17] ცნობილია, რომ რობაქიძე ნამდვილად იცნობდა აღნიშნულ ეტიუდსაც და მის ავტორსაც.[18] მაგრამ, ფაქტია ისიც, რომ ამ ორი სტატიის ტონი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდება. მერეჟკოვსკის ეტიუდი გამოირჩევა როზანოვის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის საკმაოდ მკაცრი შეფასებებით. რობაქიძის სტატია კი უფრო აღწერითი ხასიათისაა. როზანოვთან მიმართებაში იგი გაცილებით ფრთხილია, ვიდრე მერეჟკოვსკი. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხიც კი, როგორიცაა ქრისტიანობისადმი როზანოვის დამოკიდებულება, რობაქიძეს ,,განსაკუთრებული საუბრის საგნად" მიაჩნია და, მერეჟკოვსკისგან განსხვავებით, სტატიაში ამ პრობლემის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმისგან თავს იკავებს. რობაქიძე ხვდება, რომ როზანოვს სტანდარტული კრიტერიუმებით ვერ მიუდგები, ვინაიდან როზანოვი "სქესის მისტიკურ არსში იჭრება" და ამ გამოცდილების შუქზე ხედავს ყველაფერს.

* * *

გრიგოლ რობაქიძეს როზანოვის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის შესახებ ფიქრი, ჩანს, არც ზემოხსენებული სტატიის გამოქვეყნების შემდგომ მიუტოვებია. ამ ვარაუდს განამტკიცებს ერთი საინტერესო გარემოება.

სამშობლოში გამოქვეყნებულ ბოლო, დაუსრულებელ რომანში ,,ფალესტრა'' (1927) გრიგოლ რობაქიძეს შემოჰყავს პერსონაჟი კიკო პეტერეცი. ამ პერსონაჟის ხასიათი და აზრები ვასილი როზანოვის ასოციაციას ბადებს.

პეტერეცი რომანის ერთადერთი პერსონაჟია, რომლის წარსულის შესახებ მწერალი არაფერს მოგვითხრობს. უცნობია თუ საიდან აღმოჩნდა ეს კაცი ევროპული ქალაქის ელიტარული საზოგადოების ცხოვრების შუაგულში. თავად პერსონაჟი საკუთარ წარმომავლობაზე საუბრისას ამბობს: ,,მე თვითონ არ ვიცი, ვინა ვარ... მე არ დავბადებულვარ... მე მოვევლინე ქვეყანას... < > გვეუბნებიან: არ არის კანონი გამონაკლისის გარეშე... რად არ შეგვიძლია მივიღოთ ერთი პატარა გამონაკლისი მსოფლიო რიტმში: შეიძლება, მართლაც მოევლინო ქვეყანას... ხანდახან მე ვგძნობ რომ მე არ ვარსებობ... მე ფანტომი ვარ შემთხვევით ,,ყოფაში'' მოქცეული... მე უფრო ვნებიანი ვარ... ვნებიანი, მაგრამ მაინც ანონიმი... დიახ, ხშირად ასე მეჩვენება..."[19] პე-

---

[16] იხ., Д. Мережковский, " Розанов" // *Русское слово*, №125, 1913.

[17] იხ., ა. გაწერელია, "გრიგოლ რობაქიძე" (რამდენიმე მოგონება) //*ლიტერატურული საქართველო*, 12-18 იანვარი, 2001, გვ. 5.

[18] ცნობილია, რომ უკვე 1907 წელს რობაქიძე აქტიური მონაწილე იყო დ. მერეჟკოვსკის მიერ პარიზში გამართული შაბათობებისა, სადაც მას "სპეციალური მისია" ეკისრებოდა. ამ შეხვედრებზე რობაქიძე "იგერიებდა" მერეჟკოვსკის იმ ოპონენტებს, რომლებიც ამ უკანასკნელის ლიტერატურულ-ფილოსოფიური პოზიციის კრიტიკით გამოდიოდნენ. იხ., А. Белый, "Между двух революций", Москва, 1990. გვ. 171.

[19] იხ., გ. რობაქიძე, "ფალესტრა", თბ., 1988, გვ. 323-324.

ტერეცის ეს გამონათქვამი ძალიან წააგავს როზანოვის ,,განმარტოებულსა'' და ,,დაცვენილ ფოთლებში'' მოცემული ავტოპორტრეტის ცალკეულ ფრაგმენტებს, რომელთაც ვრცელ ადგილს უთმობს რობაქიძე როზანოვისადმი მიძღვნილ სტატიაში.

რობაქიძე თავის პესრონაჟს წარმოგვიდგენს როგორც საშინელ მონოლოგისტს, რომელიც ყოველ სიტყვასა თუ ფრაზაში საკუთარი მონოლოგის დასაწყისს ხედავს. ,,იგი მონოლოგისტია დაბადებით და თვრება მონოლოგით''.[20] როზანოვის მსგავსად, პეტერეციც ყოველთვის თითქოს თავის თავს ესაუბრება. მეგობრები მას ახასიათებენ როგორც ,,ახირებულ კაცს'', ,,დიდ პარადოქსალისტს''[21], რომელიც უცნაური ასოციაციებით ,,საიდან სად რას წვდება'', მხოლოდ მისთვისაა გასაგები. ,,მე ვარ ლიბრეტისტი მეტაფიზიკიდან''_ აცხადებს პეტერეცი.[22] ასეთივეა როზანოვიც, რომელიც, მის მიერვე გამოგონილი ,,სქესის მეტაფიზიკის'' საფუძველზე, თხზავს ისტორიულად ცნობილი ფაქტების სრულიად ახლებურ, უჩვეულო ინტერპრეტაციებს. მემუარული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ როზანოვის უცნაური, ასოციაციური მიგნებები გარშემომყოფთ ხშირად გაუგებარი ან სულაც შოკისმომგვრელი ეჩვენებოდათ. მიუხედავად ამისა, მის გარემოცვაში ყოფნას ესწრაფვოდა ყველა. მსგავსი დამოკიდებულება აქვთ რომანის პერსონაჟებს პეტერეცთანაც. მსმენელებს ამ უკანასკნელის ასოციაციურ აზრებს შორის დამაკავშირებელი ძაფის გაბმა უჭირთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას ყველა ინტერესით უსმენს: პეტერეცი ელიტარული სალონური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

პეტერეცი ,,ფიზიონომიკის'' დიდი თაყვანისმცემელია. კოსტუმირებულ მასკარადზე, სადაც სტუმრებს სახეები არ მოუჩანთ, პეტერეცი ,,სხეულის ძრაობით'' ცდილობს გამოიცნოს ვინ ვინ არის. რობაქიძის რომანის ეს პასაჟი ეხმიანება სქესის როზანოვისეული კონცეფციის ერთ-ერთ ცენტრალურ იდეას, რომლის თანახმადაც, ადამიანის სხეული სქესის კონცენტრირებული მიმართულების გამოხატულებას წარმოადგენს. ადამიანის სახისა და სხეულის აგებულება და გამომეტყველება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანში სქესის კონცენტრაციითაა განპირობებული და არა მისი ხასიათით და გონითი საქმიანობის ინტენციით[23].

როზანოვთან მსგავსების თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ისიც, რომ პეტერეცი თვითირონიით შეპყრობილი ადმიანია. თვითირონია კი ერთ-ერთი იმ თვალშისაცემ თავისებურებათაგანია, რომლითაც როზანოვის პიროვნება და ნააზრევი გამოირჩევა.

უფრო არსებითია ის მსგავსება, რომელიც რობაქიძის პერსონაჟის აზრებსა და როზანოვის ცალკეულ შეხედულებებს შორის იჩენს თავს.

როზანოვის მსგავსად, კიკო პეტეტრციც თვლის, რომ ყველაფრის საფუძველი არის სქესი. ამასთან, ,,სქესი უპიროვნოა''[24]. "სქესი ყველა-

[20] იხ., იქვე, გვ. 309.
[21] იხ., იქვე, გვ. 310
[22] იხ., იქვე, ვ. 378.

[23] იხ., В. Розанов, Люди лунного света, т. I, Москва, 1990.
[24] იხ., გ. რობაქიძე, "ფალესტრა", თბ., 1988, გვ. 360.

ფერშია..., _ ამბობს პეტერეცი, _ სიტ-ყვაშიაც კი... სქესში წარმოშობაა და გაქრობა... მამა შობს შვილს და კვდება... შვილი მამად იქცევა: თავის მხრით შობს შვილს და კვდება... ამ შვილსაც იგივე ხვედრი მოელის _ და ასე: დაუსრულებელ... ამ დენაში რჩე-ბა გვარი, პიროვნება კი კვდება... პი-როვანი მარცხდება და იმარჯვებს უპიროვნო... ასეა ყველგან... მაგრამ არის ერთი გამონაკლისი: ეს ადამია-ნია, სიყვარულით ჭირვეული... სიყ-ვარული პიროვანის გზნებაა... სიყვა-რულში ადამიანს აღარ უნდა სქესით გაგრძელება... მას უნდა სრულიქმნას საყვარელთან ერთად... < > ადამიანი ამას ვეს აღწევს... იტანჯება... იბრძ-ვის... მას სძულს უპიროვნო სქესი, რომელიც მის პიროვან ,,მეს'' ანად-გურებს... შეუცნობელ წიაღში ეს "მე" პროტესტს უცხადებს ამ სქესს... მაგრამ სქესი საყვარელ არსშია მოქ-ცეული, და ხშირად, როცა ადამიანის ,,მე'' ცნობს, რომ მისი ბრძოლა იმ-თავითვე განწირულია, სქესისადმი სიძულვილს საყვარელზე გადაიტანს ხოლმე... აქაა დაფლული ძირები სიყ-ვარულისა და სიძულვილის... < > სიყვარული დუელია, სადაც ხშირად ორივე კვდება: ქალიც და ვაჟიც: დუელია, რადგან უკეთესია პიროვანი სიკვდილი, ვიდრე უპიროვნო უკვდავება...".[25]

როზანოვის აზრით, სამყაროს მეტაფიზიკურ არსში ძევს ორი საწყისი: შთამომავლობითი, სქესობრივი, უპი-როვნო და სქესთან დაპირისპირებუ-ლი საწყისი ანუ პიროვნება. ამ სა-კითხზე მსჯელობისას როზანოვი წი-ნააღმდეგობრივ მოსაზრებებს გამო-თქვამს. ერთგან იგი ასე მსჯელობს _ პიროვნება არა მხოლოდ მოვლენაა, არამედ ასევე ,,საგანი თავისთავად''; მეორეგან კი აცხადებს _ ,,სული (პი-როვნება) არის მხოლოდ სქესის ფუნ-ქცია. სქესი არის ნოუმენი სულისა, როგორც თავისი ფენომენისა."[26] მკვლევრები ხშირად უთითებენ რო-ზანოვის ნააზრევში არსებულ ამ ან-ტინომიურობაზე. მაგრამ თუ საკით-ხის არსს ღრმად ჩაუკვირდებით, უპირატესობა სწორედ მეორე პასუხს უნდა მიენიჭოს; რადგან, აშკარაა, რომ როზანოვისთვის სქესი არსებაა, პიროვნება კი – მოვლენა. ამიტომ გა-საგებია, რომ პიროვნების უკვდავებას როზანოვი გამრავლების აქტში ხე-დავს («მე შვილებში ვცოცხლობ... მხოლოდ ისინი მოევლინონ ამ ქვეყა-ნას და მე არასოდეს მოვკვდები»[27]). გამრავლებაა სიკვდილზე გამარჯვე-ბა. ამიტომ, როზანოვი ისე მწვავედ არ აღიქვამს პიროვნებისა და გვარის (ანუ უპიროვნოს) დაპირისპირებას, როგორც რობაქიძის პერსონაჟი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კიკო პეტერე-ცის ეს პოზიცია ნ. ბერდიაევის იმ კონცეფციის გამოძახილია, რომლის თანახმად, სექსუალურ აქტში ადამი-ანი კარგავს თავის პიროვნულობას, რადგან გვაროვნული მიზნის განხო-რციელების ბრმა იარაღად იქცევა[28].

როზანოვის მსგავსად, პეტერეციც თვლის, რომ ევროპულმა ცივილი-ზაციამ სიცოცხლის პირველსაწყი-სებთან დასაბრუნებლად ბევრი რამ აღმოსავლეთისგან უნდა შეითვისოს.

---

[25] იხ., იქვე, გვ. 321-322.

[26] იხ., Розанов В. В., Уединенное. Москва, ЭКСМО-ПРЕСС, 1998, გვ. 240

[27] იხ., В. Розанов, Сочинения, т. I, Москва, Правда, 1990, გვ. 303.

[28] იხ., Н. Бердяев, "Смысл творчества", Москва, Правда, 1989, გვ. 399-437.

როზანოვისეულად ჟღერს პეტერეცის შემდეგი მსჯელობა: ,,საუბედუროდ ჩვენ (ევროპელები – გ. ხ.) თავებს უფრო ვეკითხებით, ვიდრე სხეულებს... მერე რა გამოვიდა ამ თავებიდან? აპენდიქსიანი თეორიები ხერხემალსუსტი ჰამლეტებით, მეტი არაფერი... ჩვენ ვზომავთ, ვთვალავთ: ყველგან თვალი და წონვა. სემიტებისაგან ისიც ვერ ვისწავლეთ, რომ ძველი აღთქმის ხალხი ღმერთს არ ხედავდა თვალით... ვიცი, სემიტები ზენაარსს თვალს აცილებდნენ... ისინი ხედავდენ დახუჭული თვალებით... მათ არ ჰქონდათ "ხატი"... ამისთვის არ ჰქონდათ მხატვრობაც, ისინი გზნობდნენ სხეულით, შინაგანი სმენით, კოს-მიური შუილით... აღმოსავლეთში ეხლაც იტყვიან ხოლმე: ,,ტანი მეუბნება'', ,,მხარი მეუბნება''... არიელები კი თვალახდილნი უყურებენ ყველაფერს. სიყვარულშიც კი exhibition: არიელების სენია... მისთვის არიან არიელები ბედნიერნი, რაღა: მათ წუწუნს სიყვარულში საზღვარი არა აქვს. ეს წუწუნი ლირიკადაც აქციეს და აღარ არის საშველი. სემიტებიდან მაინც ესწავლათ ცოტა რამე ამ დარგიდან... თვალებს დახუჭავდნენ... სხეულით იგრძნობდნენ..." რობაქიძის პერსონაჟის ეს მონოლოგი როზანოვის აღმოსავლურ მოტივებზე შექმნილი ეტიუდების ძირითად მოტივებს შეიცავს.

როზანოვის ნააზრევთან მსგავსება შეინიშნება პეტერეცის განაზრებებში პუშკინისა და კანტის ფენომენის შესახებაც.

პუშკინს პეტერეცი ზანგური მელოდიების რიტმზე საუბრისას იხსენებს. ევროპულ კულტურაში აფრიკული ელემენტის შემოჭრას პეტერეცი კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს. ,,მე მესმის ზანგების შემოჭრა ევროპაში, – აცხადებს იგი, – მათ აქვთ ის, რაც ჩვენ დავკარგეთ... პრიმიტივი ადამია და აქვს ადამის თვალი... პრიმიტივში არის პირველი მზერა: პირველი ხილვა საგნის თუ მოვლენის... ველური სახელს არქმევს საგანს და რქმევით ჰქმნის საგანს... ჩვენში სიტყვაც გაიცვეთა. გახდა უსქესო, იქცა ცვედანი... ზანგებს შერჩათ ნამდვილი წვა და რიტმი პირვანდელი..."[29] სწორედ ამ პირველქმნილი წვისა და რიტმის გამოხატულებად თვლის პეტერეცი პუშკინის შემოქმედებით გენიას. იგი ამბობს: "პუშკინი ზანგი იყო ნახევრად... ანატომიურად მისი სახე ზანგურია უთუოდ... < > სწორედ ეს ზანგური ელემენტია, რომელიც ჰქმნის პუშკინის ფენომენს და რომელიც ასხვავებს მას ყველა სხვა პოეტებისაგან... ხასიათი მისი ზანგისაა: იგი არ ჰგავს სლავს, რუსს... ცეცხლიანი, ამწვარი მუდამ, უსვენარი, ჩქარი, ცელქი, ხალისიანი, ანჩხლი, უცბური (მიხვედრაშიაც), სენსუალური, ბავშვი, პირველი ცქერით და პირველი ხილვით, _ განა ეს სლავის ან რუსის ბუნებაა?.. შთაგონება მისთვის ,,გონება'' კი არა, ,,ფიზიკა'' იყო, მეხის ელემენტი.. რუსებს ყველაზე უფრო პუშკინი უყვართ... როგორც თავისიანი?.. არა: როგორც ,,უცხო'', როგორც ,,სხვა'', რაც არა ხარ და რადაც გსურს იქცე, გსურს ნაღვლით, თნევით, სიამით.. პუშკინის სიცოცხლე ცეცხლია ზანგის და მისი ატეხილობა... დააკვირდით მის დუელს. მის სიკვდილს... განა ეს ზანგური წინხედვა არაა? ბევრმა კიდეც გაიგო, რომ მისი სიკვდილი იყო თითქმის თვითმკვლელობა: იგი თითქოს

[29] იხ., გ. რობაქიძე, ,,ფალესტრა'', თბ., 1988, გვ. 371

მიდიოდა სიკვდილის მიმართ, უცნაურ ,,ატროვებული…'' ახლა მისი პოეზია... < > მაშ აიღეთ პუშკინის რიტმი.. ასეთი მდიდარი რიტმი არა აქვს არც ერთ რუს პოეტს.. < > პუშკინის რიტმი მდიდარია რაღაც პირვანდელი სუნთქვით... აქ არის უშუალო მაჯისცემა და გულისცემა ველური ძალის სწორედ ისეთი, რომელიც ხალისობს და ხტის ზანგების რიტმებში"[30] ამ ვრცელ ციტატაში ბევრი ისეთი აზრია, რომელიც პირდაპირ ასოციაციას აღგვიძრავს როზანოვის პუშკინოლოგიურ განაზრებებთან. პუშკინი როზანოვის ერთ-ერთი უსაყვარლესი ავტორია, რომლის შესახებაც იგი ბევრს ფიქრობდა და წერდა. სიცოცხლის ბოლო წლებში როზანოვი აღიარებდა, რომ პუშკინი უცხო ელემენტი აღმოჩნდა რუსული კულტურისთვის; სიცოცხლის უშრეტი სიყვარული და სილაღე, რომელიც პუშკინმა შემოიტანა, უცხო აღმოჩნდა ,,მკვდარი სულებით დასახლებული რუსული ყოფისთვის." როზანოვის აზრით, რუსეთში გაიმარჯვა რუსული ყოფის ნგრევის პათოსით გაჯერებულმა იმ ლიტერატურამ, რომლის ყველაზე ,,საშიში'' წარმომადგენლებიც გოგოლი და სალტიკოვ-შედრინი იყვნენ.

როზანოვის მსგავსად, რობაქიძის რომანის პერსონაჟიც გულახდილად აღიარებს, რომ კანტს ,,გემო ვერ აუღო'', ანუ მისთვის მიუღებელი (უფრო სწორედ, გაუგებარია) ის, რაც კანტის ფილოსოფიურმა გენიამ შექმნა. პეტერეცი ამბობს: ,,რასაკვირველია, ტვინი მისი (კანტის _ გ. ხ.) საოცარია, მაგრამ რა გააკეთა ამ ტვინმა?.. ყოფას ჩინური კედელი შემოავლო გარს და ჩასვა შიგ ადამიანი, რომელიც მოჩვენებაა... კიდევ მეტი: ამ ტვინმა მთელი სამყარო აქცია მოლანდებად... ამ ,,ქცევისათვის'' კანტს ბევრი რამ დასჭირდა. პირველ ყოვლისა, საკუთარი არსის განადგურება... ტვინი მისი მთელს მის არსებას მოედო და გაასივა და გააქსუა უკანასკნელი... დიახ, კანტი გენიალური პოლიპია... გემოს რასაკვირველია ერთმანეთს არ ედავებიან _ (ან და სწორედ ამას ედავებიან), _ მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ კანტისათვის გემო არა მაქვს... < > თუ ველურს ,,სული'' აქვს მარტო და არა ,,ჰარი'', თუ კანტს ,,სული'' აღარ აქვს და შერჩა მხოლოდ ,,ჰარი'', მე ველურს ავირჩევდი... < > დადის ეს ,,ტვინი'' კენინგსბერგის ქუჩებში და ფიქრობს ,,ტრანსცენდენტალ აპერცეპციაზე..." დადის ეს ამქვეყნიური ჩონჩხი ისე, რომ მის სისწორეზე კენიგსბერგის მცხოვრებნი საათებს ასწორებენ... ეშმაკს წაუღია ასეთი სიცოცხლე მისი ,,ტრანსცენდენტალი აპერცეპციით..." რაში გამოგადგება ეს ,,აპერცეპცია?.." ვისთან ან რასთან მიხვალ მით? მეგობართან, ლხინთან, მიწასთან, ქალთან, სიყვარულთან?.. უკანასკნელს ნუღა მოვიგონებთ: საწყალს თვითონ არაფერი შეეძლო და მაჭანკლობა იწყო... < > ტრანსცენდენტალი აპერცეპცია და მაჭანკლობა _ აი შესანიშნავი თემა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მისაღებად''.[31]

კანტის ფილოსოფიური კონცეფციის ასეთ ,,ინტერპრეტაციებს'' როზანოვის ტექსტებშიც გადავაწყდებით. მაგალითად, ,,განმარტოებულის'' ერთ-ერთ ფრაგმენტში როზანოვი წერს, რომ კანტის კატეგორიუ-

[30] იხ., იქვე, გვ. 372-373.

[31] იხ., იქვე, გვ. 374-375.

ლი იმპერატივი უნდა გავრცელდეს იმ ჭაბუკებზეც, რომელებიც სქესობრივად მომწიფებულნი არიან საიმისოდ, რომ ბავშვის ჩასახვა შესძლონ (,,ძალმიძს'' და ,,უფლება მაქვს'' არსად ისე არ ემთხვევა ერთმანეთს, როგორც შვილიერებაში''[32]). ამ ,,ღრმაზროვან'' კანტიანურ ინტერპრეტაციებზე საუბრის გაგრძელება არ ღირს. უბრალოდ უნდა ითქვას, რომ რობაქიძის პერსონაჟი, როზანოვის მსგავსად, მისთვის მიუღებელი ავტორების წინააღმდეგ არც მათი სქესობრივი ცხოვრების ანალიზს ერიდებოდა და ,,ფროიდისტული დედუქციების'' მოშველიებით ცდილობს ჩაწვდეს მათი იდეების ფარულ საფუძვლებს. მსგავსება აშკარაა.

* * *

დღეს აღარავინ დაობს იმის შესახებ, რომ ვასილი როზანოვი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა XX ს-ის პირველი ნახევრის რუსულ კულტურაში. საერთაშორისო აღიარება როზანოვს მისი გარდაცვალების შემდგომ ეწვია. პირველი უცხოური პუბლიკაციები მის შესახებ მხოლოდ ოციანი წლების მეორე ნახევარში გამოჩნდა. გრიგოლ რობაქიძე კი იყო პირველი უცხოელი ავტორი, ვინც როზანოვის ფენომენის მნიშვნელობა როზანოვის სიცოცხლეშივე აღიარა და მისი მსოფლმხედველობა განსჯის საგნად აქცია არა მხოლოდ ესეისტიკაში, არამედ მხატვრულ ლიტერატურაშიც.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ როზანოვის შემოქმედების არა მხოლოდ ქართული, არამედ ზოგადად უცხოური რეცეფციის ისტორიის ათვლის წერტილიც სწორედ გრიგოლ რობაქიძის სახელს უკავშირდება.

[32] იხ., ვ. როზანოვი, განმარტოებული // *აფრა*, თბ., № 5, 1998, გვ. 81.

GIORGI KHEOSHVILI

VASILI ROZANOV AND GRIGOL ROBAKIDZE

s u m m a r y

The history of foreign reception of Vasili Rozanov's works (1856-1919) begins with an essay "Rozanov" (1919) that was written by famous Georgian writer Grigol Rrobakidze (1880-1962). According to presented article, there are some circumstances that determinates Robakidze's interests to Rozanov's person and works: First, Robakidze as well as Rozanov constructs original theory of sexuality; second, both of these authors in unusual manner uses mythological-religious representations in their own theories; and third, both of these authors are original literary stylists.

According to author of presented article, special ideas of Rozanov's study have been presented not only in Robakidze's essays, but in his fiction as well. As author thinks, Rovanov is a prototype of one personage in Robakidze's novel "Falestra".

✍ Teimuraz fanjikiZe

რელიგია თუ ეროვნული კუთვნილება

შვიდი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც პირველმა კათოლიკე მისიონერებმა ფეხი დაადგეს საქართველოს მიწაზე და კათოლიკური რწმენა შემოიტანეს. ფაქტიურად, აქედან კიდეც იწყებს ათვლას კათოლიკური კონფესია საქართველოში. ისტორიულმა წყაროებმა, თვით მისიონერთა ნაწერებმა კარგად შემოგვინახეს მათი კვალი, მისიონერთა მიერ გაწეული შრომა და გარჯა.

პირველი კათოლიკე მისიონერები ფრანცისკანელთა ორდენის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებმაც თბილისში მონასტერი დაარსეს. უფრო გვიან საქართველოში თავიანთი მონასტერი გახსნეს მეორე კათოლიკური ორდენის – დომინიკანელების წაემომადგენლებმა. უკვე მეთორმეტე საუკუნიდან თბილისში დაარსდა კათოლიკეთა საეპისკოპოსო, რომელიც სპარსეთში არსებულ საარქიეპისკოპოსოს დაემორჩილა.

მისიონერების მიერ ჩვენში, შედარებით გვიან შემოტანილ კათოლიკობასა და ქართველთათვის ტრადიციულ მართლმადიდებლობას შორის, არ ყოფილა ის მძიმე და დაძაბული მტრობა, რაც ახასიათებდა ამ ორ მიმდინარეობას ქრისტიანული ეკლესიის გაყოფის შემდეგ, რადგან, მუდმივი გარე საფრთხის გამო, ისლამური ქვეყნების მტრულ გარემოცვაში მოხვედრილი ქართველები, პირველ რიგში, სამშობლოს ფიზიკურ გადარჩენაზე ფიქრობდნენ და მერე, ალბათ, ქრისტიანული აღმსარებლობის განსხვავებებზე. ამიტომ, ერთგულ მოკავშირეთა მაძიებელი ქართველი ხელისუფალნი არ წყვეტდნენ კავშირს კათოლიკურ ქვეყნებთან, თუმცა, ამით, მართლმადიდებელი ბიზანტიის უკმაყოფილებას იწვევდნენ. ქართველი ხელისუფალნი, ზოგ შემთხვევაში, არც იმას გამორიცხავდნენ, რომ სულაც კათოლიკობა მიეღოთ, თუკი ამით მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში რეალურ დახმარებას მიიღებდნენ. ასეთ პოლიტიკას ჯერ კიდევ მეცამეტე საუკუნეში, მიმართავდა მეფე რუსუდანი.

მას შემდეგ, რაც ქართველებმა კათოლიკური ქვეყნებისაგან რეალური დახმარება ვერ მიიღეს და თურქეთის წინააღმდეგ დაგეგმილი დიდი ლაშქრობაც ჩაიშალა, კათოლიკეთა გავლენა საქართელოში მეტად შესუსტდა, საეპისკოპოსო გაუქმდა. ურთიერთობა განახლდა მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც საქართველოში გამოჩნდნენ ჯერ თეატინელთა, შემდეგ ფრანცისკელთა მონოზნური ორდენების წარმომადგენლები.

ირან-ოსმალეთის განუწყვეტელი აგრესიით მეტად შევიწროებული ქართველი ხალხი და ხელისუფალნი კათოლიკურ ქვეყნებს იმედის თვალით შეჰყურებდნენ და მათ ემის-

რებს სიხარულით ხვდებოდნენ. სამწუხაროდ, არც კათოლიკე მისიონერებისა და არც ქართველი ელჩების მეცადინეობას – კათოლიკური ქვეყნების დახმარებით აღდგენილიყო საქართველოს ერთიანობა, რაიმე პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, კათოლიკე მისიონერებმა თავისი საქმიანობით გარკვეული კვალი მაინც დატოვეს ჩვენს ისტორიაში.

როგორ უნდა შეფასდეს მათი საქმიანობა საქართველოში? ცნობილია, რომ კათოლიკე მისიონერები მთელ მსოფლიოს იყვნენ მოდებულნი. ისინი, უპირველეს ყოვლისა, თავისი სარწმუნოების ერთგულნი და მისი იდეების გამავრცელებელნი იყვნენ, მაგრამ მათ საქმიანობას ბევრგან და მათ შორის საქართველოშიც დადებითი შედეგები მოჰყვა. მაგალითად, კათოლიკობა ერთგვარად წინ აღუდგა სამხრეთ საქართველოში დამპყრობელთა რელიგიის – ისლამის გავრცელებას. ისლამურ ქვეყნებს გაცილებით ეშინოდათ მართლმადიდებლობის, რადგან იგი რუსეთის გავლენასა და ექსპანსიასთან ასოცირდებოდა. ხოლო კათოლიციზმი უფრო დასავლური ქვეყნების გავლენას მოასწავებდა, რაც მათთვის ნაკლებ რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა. ამიტომ, მის გავრცელებას ნაკლებად ეწინააღმდეგებოდნენ.

გარდა ამ ფაქტორისა, მისიონერებს შორის ბევრი იყო განათლებული ადამიანი, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ: ხსნიდნენ სკოლებს, საწარმოებს, ექიმობდნენ, მრჩევლებად იყვნენ საქართველოს მეფე-მთავრების კარზე და ა.შ. კათოლიკე მისიონერებმა შემოგვინახეს ბევრი საინტერესო ჩანაწერი, ფოლკლორული მასალა, უცხო თვალით დანახული ქართველთა ყოფა, ჩანახატები და ა. შ.

კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდას საქართველოში უმეტესად ფრანგები ეწეოდნენ. ამიტომ ქართველ კათოლიკეებს ზოგჯერ ფრანგებს უწოდებდნენ.

* * *

ყველაფერი ეს წარსულში დარჩა. კათოლიციზმს, როგორც ითქვა, საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ცხადია, იყო უფრო წარმატებული და ნაკლებ წარმატებული წლები, როდესაც მისი გავლენა მნიშვნელოვნად სუსტდებოდა. რაც, ხშირ შემთხვევაში, განპირობებული იყო ქვეყნის შინაგანი მდგომარეობით და საგარეო ფაქტორებით. ასე თუ ისე, მან მოაღწია ჩვენამდე და საქართველოში ჩამოყალიბდა ერთ-ერთ მრავალრიცხოვან რელიგიურ უმცირესობად.

საბჭოთა პერიოდში, კათოლიკეებს ისევე გაუჭირდათ, როგორც სხვა კონფესიებს. კომუნისტური იდეოლოგია ხომ ერთნაირი სიძლიერით ებრძოდა ნებისმიერ რელიგიურ მსოფლმხედველობას. სთვლიდა მათ წარსულის ბნელ გადმონაშთად, რომლის აღმოფხვრა აუცილებელი იყო ჩამორჩენილობის დასაძლევად და შემდგომი საზოგადოებრივი პროგრესისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გარდაიცვალა უკანასკნელი ქართველი კათოლიკე მღვდელი, რომელსაც შემცვლელი ადგილზე ვერ მოენახა. მაშინ მორწმუნეებმა დამხმარედ სასულიერო პირებს დასავლეთის ქვეყნებიდან უხმეს. ამის შემდეგ უკვე სხვა ქვეყნებიდან ჩამოყვანილი სასუ-

ლიერო პირები აღავლენდნენ ლოცვას ღვთის სადიდებლად.

კათოლიკური ეკლესიის გამოცოცხლება საქართველოში, ისევე როგორც სხვა კონფესიების გააქტიურება, მოხდა პოსტკომუნისტურ პერიოდში, როდესაც ჩვენ უარი ვთქვით კომუნისტურ მსოფლმხედველობაზე და ამავე დროს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც დავიბრუნეთ. შეზღუდვები რელიგიურ კონფესიებს თავის საქმიანობში უკვე აღარ ჰქონდათ, ყველას შეეძლო თავისი რჯულთმოძღვრების თავისუფალი ქადაგება, მაგრამ მალე სხვაგვარი ხასიათის სირთულემ იჩინა თავი.

შექმნილი მდგომარეობის დასახასიათებლად მოვიყვან ციტატას ერთ-ერთი ჩემი სტატიიდან: "მას შემდეგ, რაც ჩვენ უარი ვთქვით კომუნისტურ მსოფმხედველობაზე და რელიგიურ ორგანიზაციებს თავისი რჯულთმოძღვრების ღიად ქადაგების საშუალება მიეცათ, რელიგიური კონფესიების საქმიანობა დაემსგავსა დიდ სპორტულ მარათონს, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი მორწმუნის მოპოვება. გავლენის სფეროს გაფართოება, დაკარგული პოზიციების აღდგენა, რასაც მატერიალური შესაძლებლობების გაზრდაც მოჰყვება ხოლმე...

ამ დიდ მარათონში ყველა რელიგიური ორგანიზაცია მთელ თავის ნიჭს, ენერგიას და უნარს აქსოვს. ყველას აქვს თავისი მოსაზრებები, მტკიცებულებანი და ურყევი არგუმენტები".[1]

ეს არც არის გასაკვირი, რადგან თუკი კონფესია ღრმადაა დარწმუნებული თავისი მოძღვრების ჭეშმარიტებაში, სწამს, რომ მხოლოდ მისი სწავლება არის ღმერთამდე უმოკლესი, ერთადერთი და ჭეშმარიტი გზა, იგი აუცილებლად უნდა შეეცადოს ამ ჭეშმარიტი გზის ქადაგებას და ხალხთან მიტანას. აქედან გამომდინარე, პროზელიტიზმი ყველა ამ ტიპის რელიგიისათვის ღრმად არის დამახასიათებელი. შესაბამისად, ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ რომელიმე კონფესია არ ცდილობდა და არ ცდილობს ახალი წევრების მოზიდვას. თუმცა, ცხადია, ყველა ერთნაირი გზებით და საშუალებებით არ მოქმედებს. შესაბამისად შეგვიძლია ვილაპარაკოთ კანონიერ და უკანონო პროზელიტიზმზე.

რელიგიურ მიმდინარეობათა ამ ურთიერთდაპირისპირებასა და ურთიერთბრძოლაში, ძალიან ხშირად, წინა პლანზე იკვეთება რელიგიურისა და ერონულის ურთიერთმიმართების, რელიგიისა და ეროვნული კუთვნილების საკითხი. კითხვა მარტივად და გასაგებად დაისმის: რომელი რწმენა უწყობს ხელს ქართველთა იდენტობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომელი რწმენა არის ისეთი, რომლის აღიარების გარეშე ქართველი არ შეიძლება პირველხარისხოვან, ჭეშმარიტ ქართველად ჩაითვალოს. სხვაგვარად, რამდენად სრულფასოვანი, ჭეშმარიტი ქართველები არიან ისინი, ვინც განსხვავებულ აღმსარებლობას აღიარებენ, რამდენად გამოხატავენ ისინი ქართველთა ბუნებას, რამდენად სცემენ პატივს ქართულ ეროვნულ ღირებულებებს, ან რამდე-

[1] თეიმურაზ ფანჯიკიძე. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 2003, გვ. 265.

ნად ადექვატურია მათი ქცევა, მისწრაფება და იდეალები ქართულ ეროვნულ სულიერებასთან.

სანამ ამ საკითხებს ჩავუღრმავდებოდე, მანამდე რამდენიმე სიტყვით უნდა განვმარტო თუ რას ვგულისხმობთ რელიგიურისა და ეროვნულის ცნებებში. ერთხელ უკვე ვწერდი ამის შესახებ და ახლა ვისარგებლებ ჩემივე ნაწერით:

"რელიგიაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვივარაუდოთ ის საყოველთაო, წმინდა და ძვირფასი იდეალი, რისკენაც უნდა ილტვოდეს ყოველი მორწმუნე ადამიანი, საითკენაც უნდა ესწრაფოდეს საზოგადოება და თვით სახელმწიფოც. ეს სწრაფვა, ცხადია, რელიგიური წესით ცხოვრებისაკენ, მაღალი ზნეობისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომელიც ღმერთის რწმენაზე, მისდამი მოწიწებასა და შიშზე არის დამყარებული, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა გადაგვარჩინოს, იხსნას ჩვენი სულები ცოდვისაგან და უზრუნველყოს ადამიანთა იმქვეყნიური მომავალი.

რელიგიისადმი ორგვარი მიდგომა არსებობს: მორწმუნე ადამიანისათვის, როგორც უკვე ვთქვით, ეს წმინდა იდეალია, ხოლო არამორწმუნისათვის ის რეალობა, რომელსაც ადამიანთა უმეტესი ნაწილი ყოველ წუთს აწყდება და რასაც იძულებულია ანგარიში გაუწიოს.

რაც შეეხება ეროვნულს, მასში ჩვენ, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ ყოველივე ის, რაც არსებითია, სპეციფიკურია ამა თუ იმ ერისათვის; ის, რაც ქმნის მის განუმეორებლობას, რაც ასახავს მის ძირეულ ინტერესებს, პასუხობს მის მიზნებსა და მისწრაფებებს, გვეხმარება ერის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში. ეროვნულში, ცხადია, იგულისხმება ენაც, ეროვნული კულტურაც, ეროვნული ღირებულებებიც, ეროვნული ტრადიციებიც. ამ ჩამონათვალში, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი რელიგიას უკავია, რომელიც, თავის მხრივ, უშუალო კავშირშია როგორც კულტურასთან, ისე ეროვნულ ღირებულებებთან და ტრადიციებთან, რომელზედაც ოდითგანვე უდიდეს გავლენას ახდენდა და ახდენს.

როგორი უნდა იყოს მათ შორის ურთიერთმიმართება? – რასაკვირველია, პირდაპირი და ძალზე მჭიდროდ დაკავშირებული. იდეალურ შემთხვევაში, რელიგიური ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული მიზნებისა და ამოცანების გათავისებას და გადაწყვეტას; თუ რელიგიური ეროვნულიდან გამოდის, თან მის ინტერესებსაც მოიცავს, ცხადია, იგი ამ ქვეყნის ძირეულ ინტერესებსაც გულისხმობს. ვიმეორებ, ყოველივე ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორი ცნება რეალობაში იდეალურ თანხმობაშია და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს. ასეთ პირობებში შედეგიც ყოველთვის სახეზეა. სხვა შემთხვევაში ისტორიამ იცის საწინააღმდეგო მაგალითებიც".[2]

როგორია დღევანდელი გადასახედიდან კათოლიკური ეკლესიის პოზიცია, ამ საკითხებზე? პირველ რიგში მხედველობაში მაქვს საქართველოში მოქმედი კონფესიის, მის მესვეურთა შეხედულებები. რასაკვირველია, ვატიკანის, წმინდა საყდ-

---

[2] თეიმურაზ ფანჯიკიძე. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე. თბ., 2003, გვ. 81-82.

რის საერთო პრინციპებიდან და პოზიციიდან გამომდინარე.

უშუალოდ, ჩვენი დაკვირვების ობიექტია მთლიანად კათოლიკური კონფესიაა საქართველოში, მისი ქმედებები, წარსული, აწმყო და მომავალი, მაგრამ ჩვენ გვყავს საინტერესო რესპოდენტი. საქართველოს კათოლიკური კონფესიის მნიშვნელოვანი პირი – პადრე გაბრიელე ბრაგანტინი, რომელიც კონცენტრირებულად გადმოგვცემს ამ პრობლემებს და იმას, რაც აწუხებს მართლმადიდებელ ქვეყანაში მის ეკლესიას.

პადრე გაბრიელე თანამედროვე მისიონერია საქართველოში. იგი მოწოდებულია თავისი რწმენა-წარმოდგენები გაავრცელოს ადრე მისთვის უცხო ქვეყანაში. ის სარწმუნოება, რომელიც მართალია საქართველოში 7 საუკუნეს ითვლის, მაგრამ იგი აქ მაინც რელიგიური უმცირესობაა და ისე ფართოდ ვერ შლის ფრთებს, როგორც ვთქვათ, კათოლიკურ ქვეყნებში.

მკითხველს ვთავაზობთ პადრეს მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს და ვისაუბრებთ იმაზე, თუ რატომ ავირჩიეთ იგი ჩვენს რესპოდენტად ისეთ რთულ, ფაქიზ და დელიკატურ საქმეში, როგორიცაა, რელიგიისა და ეროვნული კუთვნილების ურთიერთმიმართების განსჯა.

პადრე გაბრიელე ბრაგანტინი. დასავლეთ საქართველოს კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპალური ვიკარი.

დაიბადა იტალიაში, ქალაქ ვერონაში 1955 წელს. ელიჯო და მარიამ ბრაგანტინების ოჯახში. ჰყავს 2 ძმა. გაბრიელე უფროსია. მისივე თქმით, სასულიერო ცხოვრებაზე ბავშვობიდან ოცნებობდა და ამაში ოჯახიც მთლიანად უჭერდა მხარს. 1966 წელს შევიდა სტიმატინების მცირე სემინარიაში, ვერონაში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და შემდგომ კლასიკური ლიცეუმი. 1975 წელს პირველი რელიგიური აღთქმები წარმოთქვა, ხოლო ექვსი წლის შემდეგ, 1981 წელს ეკურთხა მღვდლად. ამის შემდეგ, ვერონაში, თეოლოგიური კურსის გავლის შემდეგ, სწავლა განაგრძო ფუნდამენტური თეოლოგიის განხრით რომის პონტიფექსის უნივერსიტეტის ბოლონიის ფილიალში. როგორც თვითონ აღნიშნავს, სამღვდელო მსახურების პირველი წლები მიუძღვნა ახალგაზრდებთან, ოჯახებთან, სკოლის ბაზაზე არსებულ საკრებულოებთან მუშაობას, რაც გამოიხატა პედაგოგის, მქადაგებლის, სულიერი მამისა და შემდეგ მომავალი სტიმატინების აღმზრდელის ფუნქციით.

გაბრიელე ბრაგანტინის ყოველთვის ჰქონდა დიდი სურვილი საზღვარგარეთ წასულიყო და მხოლოდ იტალიაში არ დარჩენილიყო. თვითონ თვლის, რომ გაუმართლა და სურვილი რეალობად ექცა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და მის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში საზღვრები გაიხსნა. ამის შემდეგ, წმინდა საყდარმა, გამოთქვა სურვილი სასულიერო პირები გაეგზავნა საქართველოში, რათა გაეძლიერებინა ღვთისმსახურება 7-საუკუნოვან კათოლიკურ კონფესიაში.

1993 წელს ამჟამინდელ ამიერკავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორთან ჯუზეპე პაზოტოსთან ერთად გაბრიელე ბრაგანტინი მონაწილეობას ღებულობს ახალი მისიის მომზადებაში. ხოლო 1994 წლის სექტემბრიდან უკვე საქართველოშია.

იცოდა კი სად და როგორი ტრადიციების ქვეყანაში მოდიოდა? რა-

საკვირველია, შესანიშნავად იცოდა და საფუძვლიანადაც ემზადებოდა. ასეთ ქვეყანაში წასასვლელად, პირველ რიგში, აუცილებლია ადგილობრივი ენის ცოდნა, კულტურის, ისტორიის, ტრადიციების, ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინება.

მას ბევრი რამ გაეგონა ამ ქვეყნის სტუმართმოყვარეობის და სხვა რწმენათა პატივისცემის ნიჭზე. იცოდა ქვეყანაში არსებული მრავალი კონფესიის, მათი სალოცავების შესახებ, რომლებიც ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. ეს ფაქტები, პადრეს თქმით, ამხნევებდა და იმედს უსახავდა, რომ მათი მისია წარმატებული იქნებოდა ამ ქვეყანაში.

ელოდა თუ არა სირთულეებს, რასაკვირველია, ელოდა. ისიც იცოდა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც თავს ამ ქვეყნის ტრადიციულ პატრონად თვლის, ვერ ეგუება სხვა კონფესიათა ზედმეტ აქტიურობას ქვეყანაში, მით უმეტეს პროზელიტიზმს, რადგან მათ მოძღვრებას არასწორად და ერეტიკულად თვლის. თუმცა, ამ ორი კონფესიის დაპირისპირება საქართველოში არ დაწყებულა...

დღეს პადრე გაბრიელე ბრაგანტინი დასავლეთ საქართველოს ვიკარია. იგი ემსახურება ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, შრომის, ჭიათურის, ახალშენის, ქობულეთის საკრებულოებს. მისი ზონის ცენტრი ქუთაისია. შემადგენლობა დიდი არ არის. ქუთაისში არსებობს მამაკაცთა რელიგიური საკრებულო, რომელიც 3 ბერისაგან შედგება და ერთი ქალთა საკრებულო ასევე სამი მონაზვნით. მუდმივი სრულფასოვანი წირვა-ლოცვა მხოლოდ ქუთაისში მიმდინარეობს. ყველა დანარჩენ საკრებულოებში მღვდელი 2-3-ჯერ თუ ახერხებს გასვლას კვირაში, ან სულაც თვეში ერთხელ, საჭიროების მიხედვით...

როგორც პადრე გაბრიელე თვითონ შენიშნავს, ასეთ ადგილებზე მთელი პასუხისმგებლობა კატეხიზაციაზე, ლოცვაზე, საქველმოქმედო საქმეზე, ავადმყოფების მონახულებაზე და ა. შ. გადადის საერო პირთა ხელში. კათოლიკე სასულიერო პირები ცდილობენ ყურადღება არ მოაკლონ იმ ადგილებსა თუ სოფლებს, სადაც ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის პირობებში იყვნენ კათოლიკეები ან სადაც სამუშაოს შოვნის მიზეზით ჩამოვიდნენ. მისიონერთა მტკიცებით, სწორედ უკვე არსებული კათოლიკეები და არა პროზელიტიზმის გზით გადმობირებული ახალი წევრები. პადრე ძალზე უფრთხის ბრალდებას უკანონო პროზელიტიზმზე. იგი აცხადებს, რომ ბრალდებები ამ მხრივ სრულიად უსაფუძვლოაო: "წამოვიდნენ ჩვენთან ერთად – აცხადებს პადრე, – და ნახონ რას ვაკეთებთო. პროზელიტიზმზე აქ ლაპარაკი არ შეიძლებაო"...

ჩემს მრავალწლიან რელიგიათმცოდნეულ პრაქტიკაში სხვადასხვა კონფესიების მრავალ ღვთისმსახურს შევხვედრივარ, ბევრი იყო მათ შორის გონიერი, ზოგი ნაკლებად გონიერი, სიმპათიური თუ უშნო, მიმზიდველი თუ ნაკლებად მიმზიდველი, მაგრამ პადრე გაბრიელე აშკარად გამოირჩევა მათ შორის თავისი ინტელექტით, ფართო ხედვით, მომზადებით, სულიერი სიმაღლით და თავისი მისიის შესრულების რწმენით.

როდესაც მის საქმიანობას დავაკვირდი, ვნახე, რომ იგი დიდ, მე

ვიტყოდი, თავდაუზოგავ შრომას ეწევა, რათა თავისი მრავალრიცხოვანი ფუნქციები წარმატებით შეასრულოს. ამაზე მეტყველებს მისი ყოველდღიური რეჟიმი, რომელიც მოიცავს ლოცვით პრაქტიკას, მრევლთან მუშაობას, საქველმოქმედო საქმიანობას და პუბლიცისტურ მოღვაწეობას სასულიერო თუ საერო თემებზე, რომელიც აშკარად გამოირჩევა დიდი ტაქტით და სწორი მიდგომით. ვაღიარებ, რომ ჩემი ინტერესი მის მიმართ სწორედ აქედან გაჩნდა. პირველ რიგში მე მომეწონა პადრეს მიდგომა, დამოკიდებულება სოციალური პრობლემებისადმი. ის, რომ მისი შეხედულებები არ არის მოწყვეტილი რეალობას და წარმოადგენს "მიწიერი" და "ციური" ინტერესების ზომიერ ნაზავს, რომლის განხორციელებაც სრულად შესაძლებელია დღევანდელ მსოფლიოში.

გამოვტყდები, პირადად მე არასოდეს არ მომწონდა ლოცვაზე ზომაზე მეტად გადაგებული ის ადამიანები, რომლებსაც მოყვასისადმი სიყვარულისთვის დრო და ადგილი არა რჩებათ. ასეთი ადამიანები ეკლესიაში აღამებენ და ათენებენ, განუწყვეტლივ ვითომ უფლის დიდებასა და სიამოვნებაში არიან, სახლში კი მოუვლელი შვილები, შვილიშვილები, დაუსუფთავებელი სახლი, სიბინძურე და შეუსრულებელი საქმეები ელოდებათ. ჩვენი მაცხოვარი ასეთი რწმენისაკენ როდი მოგვიწოდებდა, არამედ მეტი გონიერებისა და ზომიერებისაკენ...

რეალურ ცხოვრებაში ადამიანს ჭამაც უნდა, სმაც, მკურნალობაც, გართობაც, ათასგვარი მოთხოვ-ნილების დაკმაყოფილებაც და როდესაც, ადამიანს არსებობის ელემენტარული საშუალება არა აქვს, მარტო იმქვეყნიური ბედნიერების ქადა-გებით ვერ დააკმაყოფილებ.

ეს კარგად უნდა გააცნობიეროს ყველამ, მათ შორის სასულიერო პირებმაც თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, თუკი წარმატების მიღწევა უნდათ.

ამიტომ, როდესაც ზოგიერთმა ეკლესიამ ფაქტიურად უარი თქვა სოციალურ პროგრამაზე, ამით თავის მნიშვნელოვან ფუნქციასაც ხაზი გადაუსვა. სწორედ ამის გამოა, რომ ზოგი მსჯელობს: კარგია, რომ ამდენი ეკლესია ავაშენეთ, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ჩვენი მოსახლეობის მესამედი გაქცეულია ქვეყნიდან და დიდი ნაწილი კი საკუთარ სამშობლოში მათხოვრობს. თუ ხელი არ გავანძრიეთ, მარტო ღვთის იმედად ნამდვილად ვერ ვიქნებითო...

ჩვენი ინტერვიუ პადრე გაბრიელესთან: მისი ჩამოსვლის მიზნის გარკვევით დავიწყეთ..

კითხვაზე – ელოდით თუ არა საქართველოში ასეთ დახვედრას და თქვენი აზრით, რამდენად ტოლერანტული გარემოა დღეს საქართველოში, პადრე გაბრიელემ მიპასუხა:

"1994 წლის სექტემბრიდან, ჩვენი ჩამოსვლის დღიდან, სულ მალე ვიგრძენით ქართული მასპინძლობა, დახმარება, მეგობრობა, მიღება და გამხნევება... დაწყებული ჩვენი ბინის მეზობლებიდან; და თუ ჩვენ ისევ აქ ვართ, ეს იმიტომ, რომ მრავალი ადამიანისთვის გვინდა სიკეთე, – იქნება ის კათოლიკე თუ არა – ყველასთვის, ვინც ამა თუ იმ ფორმით დაგვიახლოვდა.

როგორია დღეს ტოლერანტული სიტუაცია? ძალზე რთულია ზედაპირული პასუხი გასცე ამ კითხვას;

როდესაც ამ თემაზე ვფიქრობ, ყოველთვის მახსენდება პირველი ვიზიტი გელათის მონასტერში, სადაც ერთმა ბერმა ერეტიკოსებად მოგვიხსენია და სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრით და ნახევარი საათის მოშორებით მდებარე მოწამეთას მონასტერში, მეორე ბერმა, საკმაოდ ხანდაზმულმა, თავისი თეთრი წვერითა და გრძელი ხელებით გულში ჩაგვიკრა და ჩვენს პატივსაცემად პიანინოზე "ო, სოლე მიო"-ც შეასრულა. ეს უბრალო მაგალითია საქართველოს დღევანდელი სიტუაციის აღსაქმელად. იგი ორ სულს ჰგავს, რომელიც შემიძლია ვთქვა (იმ იმედით, ხვალინდელი დღე ასეთი არ იქნება) ხელჩართულ ბრძოლაშია, სადაც დღევანდელი სიტუაციით, გელათის მხარე უფრო იზრდება და ძლიერდება მიუხედავად იმისა, რომ არც ყველაზე ჭეშმარიტია".

მომდევნო კითხვა – "როგორ უყურებთ რელიგიურის და ეროვნულის ურთიერთმინართების საკითხს, რამდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველი? მოჰყვა იმ უკმაყოფილებას, რასაც იწვევს სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებში საქართველოში არცთუ ისე იშვიათად გავრცელებული დევიზი, რომ: "ქართველი მხოლოდ მართლმადიდებელი უნდა იყოს".

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიას შორის დაიდო საკონსტიტუციო შეთანხმება, რომელშიც აღიარებული და განმტკიცებული იქნა საქართველოს კონსტიტუციაში არსებული მე-9 მუხლი, სადაც გატარებულია აზრი, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული ქვეყნის ისტორიაში, და რომ, მას განსაკუთრებული უფლება უნდა მიენიჭოს.

ამ საკონსტიტუციო შეთანხმებაში, სხვა კონფესიებმა, მათ შორის კათოლიკურმა ეკლესიამ, მთელი რიგი პრივილეგიები აღმოაჩინეს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, რასაც სხვა კონფესიები მოკლებულნი არიან. შესაბამისად, გააპროტესტეს რელიგიური თანასწორუფლებიანობის დარღვევა.

"მე მგონია, – ამბობს პადრე გაბრიელე ბრაგანტინი, – რომ რელიგიური ასპექტები, რაც ამ შემთხვევაში გამოხატავს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას და სოციალური ასპექტები, რაც ამ შემთხვევაში ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ყველა ასპექტს მოიაზრებს, უფრო და უფრო ერთიანდებიან, იქამდე, ვიდრე ერთმანეთს არ შეერწყმიან და ერთმანეთში არ აირევიან; საკითხავია, როგორი სახელმწიფო შენდება? ვინ არის ქვეყნის პრეზიდენტი? გარედან, როგორც ამას ვხედავთ (ან სხვები გვაჩვენებენ), მაგალითად, პოლიტიკა ყოველთვის ცდილობს საყრდენი უმრავლესობის ეკლესიაში მოძებნოს და ამ დროს გულგრილობას იჩენს სხვა ქრისტიანული და რელიგიური წარმომადგენლების მიმართ, უმრავლესობის ეკლესია კი ამ ვითარებას თავის სასარგებლოდ იყენებს.

საკითხი მართლაც სასწრაფოდ ითხოვს ღრმა დაფიქრებას, თუკი გვინდა ბოლომდე ჩავწვდეთ დღევანდელ პოლიტიკურ და საეკლესიო ვითარებას, მოვიძიოთ თანამშრომლობის გზები, გავიგოთ დემოკრატიის

არსი, ადამიანების უფლებების პატივისცემა: რელიგიური უმრავლესობა და რელიგიური უმცირესობა, სწორი პოლიტიკური და რელიგიური ავტონომია... თუმცა მეჩვენება, რომ ამ თემაზე საუბარი დაბლოკილია იმ სფეროებშიც, რომელიც ვალდებულია დაეხმაროს საზოგადოებას ამ კუთხით; ეს სფეროებია: კულტურა, ინფორმაცია, არასამთავრობო ორგანიზაციები...; აშკარაა, რომ საქართველოს მოქალაქეები და არა მხოლოდ ისინი, – ასევე: ლათინური, სომხური და ასირო-ქალდეური წესის კათოლიკე ეკლესიის წევრები, – ყოველდღიურ ცხოვრებაში თავს მეორეხარისხოვნად გრძნობენ და ასეთად იღებს კიდეც მათ საზოგადოება.

შეიძლება ქვეყანა არც ფიქრობდეს კავშირის მოწესრიგებას ისეთ ინსტიტუციასთან, როგორიც კათოლიკე ეკლესიაა, მაგრამ ის ფაქტიც უსამართლობაა, რომ შექმნილია პრივილეგირებული სტატუსის ფორმა სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის, მაშინ, როცა სახელმწიფოს მივიწყებული ჰყავს თავისი მოქალაქეების არცთუ მცირე ნაწილი, რომლებიც განსხვავებულ სარწმუნოებებს, აღმსარებლობებს ეკუთვნიან, რომლებიც, როგორც იტყვიან, საკუთარ ტყავზე განიცდიან უჩვეულო მოვლენებს, სიტყვებს, მზერას, ურთიერთობებს... დაბადებიდან (სამშობიაროში), აღზრდის პროცესში (ბაღში, სკოლაში, უნივერსიტეტში...), ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებაში (ქორწინება, სამსახური, ოჯახი...), განსაკუთრებული ვითარებების ჩათვლით (საპატიმროში, საავადმყოფოში...), თვით სიბერემდე; დევიზი: "ქართველი მხოლოდ მართლმადიდებელი უნდა იყოს", – წინა წლებთან შედარებით უკვე ნაკლებად გაისმის, თუმცა მენტალობა, რომელიც მას ემორჩილება გაცილებით ძლიერი და გავლენიანია. ამ ჭიდილში საკითხავია, რას აკეთებს სახელმწიფო იმისათვის, რომ დაცული იქნას ყველა მისი მოქალაქის უფლება, მათივე სარწმუნოების ჩათვლით? პასუხი აშკარად უარყოფითია, იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ამ პრობლემისადმი პრაქტიკულად არანაირ ყურადღებას არ იჩენს." *

პადრე გაბრიელე, თქვენი აზრით, რა ნიშა უკავია კათოლიკურ ეკლესიას საქართველოში, სხვაგვარად, რას ნიშნავს კათოლიკური ეკლესია საქართველოსთვის?

_ "საქრთველოში კათოლიკე ეკლესიის არსებობა ძალზედ ნიშანდობლივი გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ დღეს პრაქტიკულად იგი აუღიარებელი და მცირერიცხოვანია, ისევ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას; მავანნი ცდილობენ დაავიწყონ ხალხს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ყოფნა, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ფორმით გამოხატული; საკმარისია ვკითხოთ ახალგაზრდა თაობას იციან თუ არა, რომ ფალიაშვილი კათოლიკე იყო, ან დავინტერესდეთ იმით, თუ რას ასწავლიან ქართულ სკოლებში კათოლიკე ეკლესიის არსებობაზე კულტურულ, დიპლომატიურ, სოციალურ... გარემოში, რა დარჩა დღეს ქუთაისში, გორში, ბათუმში, უდეში, ივლიტაში

* ეს ინტერვიუ აღებულია გაცილებით ადრე, ვიდრე სახელმწიფო სხვადასხვა კონფესიათა სტატუსს განსაზღვრავდა.

კათოლიკე ეკლესიებიდან, ვიკითხოთ საკომუნიკაციო საშუალებების მიერ გაცემულ ინფორმაციებზე, ტრადიციულად კათოლიკე ოჯახების ახალგაზრდა წევრებზე განხორციელებულ ზეწოლაზე...; დღეს, ამ ეკლესიის მნიშვნელობა ღრმად ისტორიულია, იმ კუთხით, რასაც მის წიაღში იცავს და ატარებს, ასევე თანამედროვე მსოფლიოსთან ურთიერთკავშირების გამო; უფრო კონკრეტულად შემიძლია გავიხსენო ყველა ის საქველმოქმედო საქმიანობა, რაც ქართველების მიმართ გაკეთდა სხვადასხვა გარემოებებში: უპოვრებსა და მარტოსულებზე, ბავშვებსა და დევნილებზე, სნეულებსა და ემიგრანტებზე...) საქართველოს კარიტასის მეშვეობით, რელიგიური დაწესებულებების მიერ (კამილიელები, დედა ტერეზას დები...), საერთაშორისო თუ ეროვნული კათოლიკე ორგანიზაციების, საეპარქიო თუ უბრალო ოჯახების და ცალკეული პირების მხრიდან, ფორმაციული, სულიერ-კრიტიკული მოვალეობებით (სადაც პირველად და უცილობელ მიზნად დასახული არ ყოფილა "კათოლიკური" ფორმაცია), აღმსარებლობის კუთხით, საკრებულოების მეშვეობით, ახალგაზრდული ცენტრების, სხვადასხვა თაობათა ფორმაციული შეხვედრების გზით...; მოვალეობა დიალოგში, პატივისცემაში, შეხვედრაში, უცხოეთში საქართველოს გაცნობის საკითხში, კათოლიკე ეკლესიად ყოფნის მოვალეობა აქ, საქართველოში, იმისთვის, რომ გაგრძელდეს ტრადიცია, რაც დაკარგვის შემთხვევაში, დიდი დანაკლისი იქნება არა იმდენად კათოლიკე ეკლესიისათვის, არამედ ქართული კულტურისა და ტრადიციებისათვის.

"ცივილიზაციათა შორის" შეხვედრის ჟამს საქართველოს შეუძლია დაამოწმოს, რომ ასეთი შეხვედრა არ გახდეს ცივილიზაციათა დაპირისპირების მომენტი; კათოლიკე ეკლესიად ყოფნის მოვალეობა მნიშვნელოვანია ეკლესიათა შორის დიალოგში, ორმხრივი დამშვიდებისა და დაკავშირების გზაზე; მოდით, დავფიქრდეთ: თუკი დღეს საქართველოში კათოლიკე ეკლესია ქრება ან თუკი ამ ქვეყნის კათოლიკეები იძულებულნი არიან დაიმალონ, ხომ არ ნიშნავს ეს დემოკრატიის დამცირებას, ამხედრებას ამ წლების წინაშე, ნაციონალიზმის, ფილეტიზმის, სტატალიზმის... ახალ ფორმაში დაბრუნებას? საქართველოში ქრისტიანთა ყოფნა მანამ ვერ გახდება მეტყველი ნიშანი, სანამ ძლიერი იქნება მხოლოდ ერთი, მართლმადიდებელი ეკლესია, სხვა ეკლესიებისა თუ რელიგიების გარეშე, ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც ეკლესიათა და რელიგიათა შორის შემწყნარებლობა და პატივისცემა დაისადგურებს.

საქართველოს ისტორიის რომელი ეტაპია ჭეშმარიტი ტრადიციის გამომხატველი? ის, როდესაც საქართველოდან კათოლიკე მისიონერები განდევნეს? ის, როდესაც ეკლესიები, მეჩეთები და სინაგოგები დახურეს? თუ ის, როდესაც ეკლესიებსა და სინაგოგებს აგებდნენ? თუ ის, როდესაც სხვადასხვა ეკლესიის ქრისტიანები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ?

თუ საქართველო ტრადიციული ქვეყანაა, დღეს ამ კუთხით მისი ტრადიციულობა ნაკლებად თვალსაჩინოა."

რას ფიქრობთ იმ კათოლიკე მისიონერებზე, რომლებიც ადრე მოღვაწეობდნენ საქართველოში და რით

განსხვავდებოდნენ ისინი დღევანდელი სასულიერო პირებისაგან?

_ "კითხვაზე პასუხის გასაცემად, ცხადია, უნდა გადავინაცვლოთ XIII საუკუნეში, როდესაც ამ მიწაზე პირველად დადგეს ფეხი ფრანცისკელმა ბერებმა. იმ ეპოქაში, როდესაც სხვადასხვა კონგრეგაციებმა თავიანთი წევრები წარმოგზავნეს. ისინი დიდი მისიონერული პერსონაჟები გახლდნენ და მათ თავიანთი კვალი დატოვეს საქართველოს ისტორიაში. დიდი უმადურობა იქნებოდა მათი ამაგის დავიწყება. საინტერესოა იმის გაცნობაც, თუ რად ჩამოვიდნენ და როგორ ასხამდნენ ხორცს თავიანთ მსახურებას. როდესაც დღეს გვესმის სიტყვა "მისიონერი" მაშინვე პროზელიტიზმზე ვფიქრობთ, რომ თითქოსდა მათი მისია ყველა კათოლიკედ და რომაელად გადაქცევა ყოფილიყო, ანუ რომის პაპის ერთგულ მორჩილებად. ამ მსჯელობაში გარკვეულწილად ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ "მისიონერებს" ყოველთვის აგზავნიდა და იღებდა როგორც სასულიერო ასევე საერო ხელისუფლება და ხალხს ისინი არასოდეს გაუმიჯნავს, თუ არ ჩავთვლით სხვა ძალების ჩარევას თუ პოლიტიკურ წაქეზებას.

ასე მგონია, რომ დადგა დრო შეფასდეს მათი ამ მიწაზე ყოფნა სხვა თვალსაზრისითაც. ჩვეულებრივ, ამბობენ, რომ მისიონერობა XIII საუკუნეში დაიწყო; მაგრამ იმ მისიონერებზე რა ვთქვათ, რომლებიც წარმოგზავნილნი (ეს სიტყვა პირდაპირ მიანიშნებს "მისიონერის არსს") იყვნენ, ისინი ხომ პირველ ათასწლეულში ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან და ეკლესიებიდან, მოყოლებული წმინდა ანდრეადან, წმინდა ნინოდან... და დამთავრებული ასურელ მამებამდე? პირველ ათასწლეულში ხომ ყველაფერი ეკლესიათა შორის საყოველთაო და კათოლიკურ თანაზიარებაზე მიანიშნებდა, რასაც ადასტურებს საქართველოში სახარების მქადაგებლობა და მაშინ, როდესაც – უფრო პოლიტიკური მოტივით, ვიდრე დოგმატური, _ აღმოსავლური ეკლესიები გაეთიშნენ დასავლურს თუ პირიქით, მოყოლებული XI საუკუნიდან (საყოველთაოდ მიღებული თარიღია, მიუხედავად იმისა, რომ ეს თარიღი სადავოა) საქართველოში, როგორც სხვა ქვეყანაში, დარჩნენ ქრისტიანები, რომლებმაც ინდომეს, რომ განსაკუთრებულად დაეცვათ და გაეძლიერებინათ თავიანთი ზიარება და ერთობა რომის ეკლესიასთან კავშირში, რაც დასაბამითვე ისტორიულად ახასიათებდა მათ სარწმუნოებას; რომიდან მოთხოვნილი და ჩამოსული მისიონერები, პირველ რიგში, ამ მოთხოვნას პასუხობდნენ და არა უცხოეთიდან ახალი ტომების შემოსევას, რომლებსაც საქართველოში არარსებული ქრისტიანობის შემოტანა სურდათ. თუკი რომის ეკლესიასთან ზიარება ქართველების მხრიდან ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მათი ქრისტიანობის დასამოწმებლად მაშინაც კი, როდესაც ეს რეალობა აღმოსავლელმა ქრისტიანებმა უარყვეს, საინტერესოა, რა მოტივით და რა გზებით...?

საქართველოში ყოველთვის იყვნენ ქართველი ქრისტიანები, უბრალო მორწმუნენი, ასევე სასულიერო და პოლიტიკური სფეროს თვალსაჩინო მოღვაწენი, რომლებიც მისტიროდნენ იმ ხანას, როდესაც საქართველო რომის ეკლესიასთან ზიარებაში იმყოფებოდა და ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ შეენარჩუნები-

ნათ და გაეძლიერებინათ თავიანთი რწმენა. აქ ერთი კითხვა ისმის, მაშ, ვინ არის ნამდვილი ქართველი? ის, ვინც უარყო და უარყოფს რომის ეკლესიასთან კავშირს, თუ ის, ვინც მიუხედავად სირთულეებისა, კვლავაც იცავს მას, რადგანაც იგი ნაწილია არა მისი ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტებისა (მწამს ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია), არამედ მისი კულტურისა და ტრადიციისა.

ისიც უნდა ვიკითხოთ, რატომ არის მისიონერობა მხოლოდ ზოგიერთი ეკლესიის ცხოვრების ნაწილი და არა სხვა ეკლესიების? რომელია ეკლესიის ისტორიის ყველაზე საუცხოო გვერდები? ისიც საკითხავია, იმ ეკლესიის გამოცდილება, რომელიც საკუთარ ნაჭუჭში იკეტება და გაურბის სხვებთან ურთიერთობას, ხომ არ უქმნის თავის თავს "სექტად" გადაქცევის საშიშროებას?

დღესდღეობით საქართველოში არსებული კათოლიკე ეკლესია, წინა ეპოქებიდან განსხვავებით და სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, შესაძლოა სრულიად უცხოდ მოგვეჩვენოს, ვინაიდან მისი იერარქია არ შედგება ქართველი მორწმუნეებისაგან, ვინაიდან მღვდელთა უმრავლესობა უცხო ეროვნებისაა, ვინაიდან თავი, რომელსაც იგი ემორჩილება, ვატიკანში იმყოფება, ვინაიდან არაა იურიდიულად აღიარებული...; მოკლედ ყველა ეს და ასევე სხვა ასპექტებიც, გვაჩვენებენ საქართველოში კათოლიციზმის დღევანდელ უმწეო და გაუსაძლის ვითარებას... ამიტომაც, როდესაც ამბობენ, რომ კათოლიკე ეკლესია საშიშროებას წარმოადგენს მართლმადიდებელი ეკლესიისათვისო, ამაზე დიდი უზუსტობა რა უნდა იყოს!

სინამდვილეში, კათოლიკე ეკლესია მართალია მოკლებულია ადგილობრივ ეპარქიას, მაგრამ იგი ამ ქვეყნის და ამ ერის კანონიერად აღიარებული მოქალაქეებისაგან შედგება, რომლებსაც ისევე, როგორც სხვა ისტორიულ ეპოქაში, თავიანთ სარწმუნოებრივ ცხოვრებაში შეეწევათ რომის ეპისკოპოსთან ზიარებაში მყოფი ეკლესიების მწყემსები, ბერ-მონაზვნები, საერო პირები; ნუთუ ყველივე ეს არ ამოწმებს "კათოლიკე და სამოციქულო" ეკლესიას, ამ სიტყვების სრული გაგებით? განგებას სურს, რომ საქართველოში არსებულმა ეკლესიამ იგივე მსახურება გაუწიოს სხვა კონტინენტების ქრისტიანებსაც! რამდენგზის დახმარებია ერთი ეკლესიის მორწმუნეები მეორე ეკლესიას, როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში! თუკი ვინმე ამის წაშლას მოიწადინებს, მაშინ ის თავად ქრისტიანობის არსის წინააღმდეგ წავა.

ანგარიშგასაწევია ასევე ისიც, რომ ეკლესიათა ურთიერთდაახლოებისა და რომის ეკლესიასთან ზიარებაში შესასვლელად იქმნებოდა სხვადასხვა მოდელები, რასაც დღეს საკამათოდ და განუხორციელებლად მიიჩნევენ. საკმარისია გავიხსენოთ ე.წ. "უნია", XV ს-ში ფერარა-ფლორენცის კრებიდან წამოსული; იგი ეხებოდა ეკლესიის ერთი ნაწილის გამოყოფას კათოლიკე ან მართლმადიდებელი ეკლესიიდან, უფრო მოგვიანებით პროტესტანტული ეკლესიიდან, რათა ამა თუ იმ ეკლესიას შეერთებოდნენ; დიახ, ეს იყო მორწმუნეთა ერთი ნაწილი, რომელიც გამოეყო მართლმადიდებელ ეკლესიას და შეუერთდა რომაულ კათოლიკე ეკლესიას, ან პირიქით; მათ მთლიანად შეინარჩუნეს თავიანთი წესები,

თავიანთი ენა...; საქართველოში მსგავსი არაფერი მომხდარა, განსხვავებით საქართველოში მყოფი სომხური ეროვნების მოსახლეობისაგან.

მართლაც, ქართულ კათოლიკე ეკლესიასთან ჩვენ ვერანაირ პარალელს ვერ გავავლებთ, მაშინ, როცა შეგვიძლია პარალელი გავავლოთ სომხურ სამოციქულო ეკლესიასა და სომხურ კათოლიკე ეკლესიას შორის; ქართველებისთვის არსებობდა ლათინური კანონმდებლობა და არა უნიატიზმით მოტანილი კანონმდებლობა; ესეც გარკვეულწილად შეიძლება დაგვეხმაროს იმის შეცნობაში, რომ კათოლიკე ეკლესია საქართველოში არ იყო დაპირისპირებული მართლმადიდებელ ეკლესიასთან; აქვე უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ არსებობს კათოლიკეთა ინკულტურიზაციის პრობლემა, განსაკუთრებით დღეს, როდესაც რომაული კათოლიკე ეკლესია ვატიკანის II კრების შემდეგ ცდილობს გადააფასოს ადგილობრივი ეკლესიის თეოლოგია, როგორც საყოველთაო ეკლესიის გამოხატულება; ისმის შეკითხვა (და ვგონებ პასუხგაუცემელი), თუ რატომ უნდა მისდევდნენ საქართველოში ქართველები რომის ეკლესიის წესს (სხვადასხვა ენაზე ნათარგმნი ლათინური წესი) და არა ბიზანტიურს ან ანტიოქიის წესს; დღეს საქართველოში კათოლიკე ეკლესიის არსებობა სულაც არ იზრახავს საფრთხე შეუქმნას ან კონკურენცია გაუწიოს რომელიმე ეკლესიასა თუ რელიგიას, ერთადერთი, რაც მას სურს, არის იმ ტრადიციის გაგრძელება, რასაც ამ ხალხის ისტორია ამოწმებს.

ამ ისტორიული გადახვევის შემდეგ ნათელია, რომ ლათინ, ქართველ თუ სხვა ეროვნების ღვთისმსახურთა მოღვაწეობა პირველ რიგში საქართველოს მიწა-წყალზე გაფანტული კათოლიკე საკრებულოებისადმი გაწეული მსახურებაა, ქვენა გრძნობების ან ვინმეს გაკათოლიკების სურვილის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრინციპი შეიძლება ითქვას ნაღმს უდებს საქართველოში კათოლიკეთა არსებობის ფესვებს. სამწყსო მსახურება უპირველესად გამოიხატება საკრებულოს შეკრებაში ლიტურგიის და წმინდა საიდუმლოთა აღნიშვნის გზით, სხვადასხვა სამწყსო საქმიანობებით, როგორიცაა ოჯახებისა და ავადმყოფთა მონახულება, ახალგაზრდებზე ზრუნვა და "კარიტასის" ან სხვა ორგანიზაციების საქველმოქმედო საქმეები; რამდენჯერ სრულიად უსაფუძვლოდ გაუკიცხავთ კათოლიკე მღვდლები პროზელიტიზმში იმის გამო, რომ ქველმოქმედებას სჩადიოდა. ამაზე მეტი სიცრუე რაღა გინდათ: როდესაც ამდენი ჰუმანიტარული დახმარება, ამდენი პროექტი განხორციელდა და ხორციელდება, ნახევარი საქართველო კათოლიკე უნდა გამხდარიყო, მაშინ, როდესაც უკანასკნელი გამოკითხვებით ის, ვინც კათოლიკე მაზიარებლად აცხადებს თავს, ძლივს აღწევს 35-36 ათასს. აშკარაა, რომ ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი ნიშანია ეკლესიათა ერთიანობის აღდგენა.

მართალია, რომ კათოლიკე ეკლესია, კონკრეტული მიზეზების და ასევე სხვადასხვა თეოლოგიური მოსაზრებების გამო არ გახლავთ ეკუმენური ორგანიზმის ოფიციალური წევრი, მაგრამ იგი ძალებს არ იშურებს ამ სფეროში, არა იმის გამო, რომ ყველა ქრისტიანი პაპის ძალაუფლებას დაუმორჩილოს, არამედ იმისათვის, რომ ყველანი შევიდნენ "სიყვა-

რულით ჭეშმარიტების დიალოგში" და ეძიონ ეკლესიათა შორის ხილვადი ერთიანობის ფორმა."

რამდენად გრძნობთ დღეს ვატიკანის მხარდაჭერას?

_ "საქართველოში წმინდა საყდრის დიპლომატიური წარმომადგენლობა 1992 წლიდან" არსებობს; იგი პირველ რიგში ამ სახელმწიფოს ორგანოებთან დამაკავშირებელი რგოლია და არ წარმოადგენს ეკლესიას. ძალზე ხშირად ერთმანეთში ურევენ ვატიკანს და კათოლიკე ეკლესიას, არადა ეს ორი სხვადასხვა რეალობაა. ვატიკანი არის სახელმწიფო, აღიარებული მრავალი ქვეყნის მიერ, ვისთანაც დიპლომატიურ კავშირს აბამს; ამ კავშირებით იგი უზრუნველყოფს რომის ეპისკოპოსის ავტონომიას მთელი ეკლესიისთვის მიმართულ საყოველთაო სამწყსო მსახურებაში; საქართველოში, რომის ეპისკოპოსთან ზიარებაში მყოფი კათოლიკე ეკლესია იურიდიულად წარმოდგენილია სამოციქულო ადმინისტრაციის კანონიერი სტრუქტურით (რაც განსხვავდება ეპარქიისაგან) და მას მართავს წმინდა საყდრის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სამოციქულო ადმინისტრატორი, რომელიც შეიძლება იყოს ეპისკოპოსი ან არა.

ადმინისტრაცია ეპარქიისაგან სრულიად განსხვავებული სტრუქტურაა, იგი ყოველმხრივ ავტონომიური ეკლესიაა. სამოციქულო ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ვითარებაში ყალიბდება: როდესაც, მაგალითად, "ღვთის ხალხის ერთი ნაწილი" უძლურია დამოუკიდებლად მართოს თავისი საეკლესიო ცხოვრება. 90-იან წლებში რელიგიური თავისუფლების მოპოვების შემდგომ, წმინდა საყდარმა საქართველოში აირჩია სამოციქულო ადმინისტრაციის ფორმა *(მიუხედავად იმისა, რომ თბილისში, ორი საუკუნის მანძილზე, ისტორიულად არსებობდა საეპისკოპოსო ტახტი, ეპისკოპოსთა გრძელი სიით)* საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ღრმა პატივისცემით, რომელიც ერთადერთ ჭეშმარიტ ეკლესიად არის ქვეყანაში აღიარებული და იმის გათვალისწინებით, რომ ქართველ მორწმუნეებს ზიარება არ გაეწყვიტათ რომის საყდართან და მიეღოთ სამწყსო თუ სულიერი დახმარება; თბილისში მყოფი ამჟამინდელი კათოლიკე ეპისკოპოსი არ გახლავთ თბილისის ეპისკოპოსი, იგი უბრალოდ სამოციქული ადმინისტრატორია, რომელიც მსახურებს წმინდა საყდრის სახელით კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთათვის; ეს მხოლოდ უბრალო დიპლომატიური ნაბიჯი ან ფარისევლური კომპრომისი კი არ გახლავთ, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიისადმი პატივისცემის ნამდვილი დასტური, თუკი ამის გაგება სწადიათ.

წმინდა საყდრის მიერ საქართველოში მცხოვრებ კათოლიკეთათვის დახმარება სხვადასხვა გზით ხორციელდება, რაც ეფუძნება მხოლოდ საეკლესიო კანონებს და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებს, ანუ ყოველივე იმას, რაც დიპლომატიურ წარმომადგენლობას ევალება. ბევრს ჰგონია, რომ ვატიკანი მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანაა და ყველაფერზე მიუწვდება ხელი. სინამდვილე სულ სხვაგვარია. დავფიქრდეთ თუნდაც იმაზე, რომ საქართველოში კათოლიკე ეკლესიას ჯერაც ვერ მიუღწევია

იურიდიული აღიარებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აქ არსებობს წმინდა საყდრის დიპლომატიური წარმომადგენლობა; დავფიქრდეთ იმ პრობლემაზე, რომ საქართველოში კათოლიკე ეკლესიისათვის ჯერაც არ დაუბრუნებიათ კუთვნილი ქონება, რომელთა უმრავლესობა ამ ბოლო წლებში უკანონოდ გადაეცა მართლმადიდებელ ეკლესიას; დავფიქრდეთ ახალი საკულტო ნაგებობების აშენების სირთულეებზე და მრავალ სხვა პრობლემებზე... რასაკვირველია, კათოლიკე ეკლესიის სიმდიდრეს ის უსასრულო კავშირები წარმოადგენს, რაც მას აქვს ეკლესიებისა თუ რელიგიების უამრავ რეალობებთან ან ადამიანებთან, რომელთა გაზიარებაც მას სხვებისთვის შეუძლია. მავანი და მავანი ფიქრობს, რომ კათოლიკე ეკლესია მდიდარია და დიდძალ თანხას იღებს..., ესეც არასწორი და უსაფუძვლო წარმოდგენაა.

ცხადია, სიღატაკის, ეკონომიკური, თუ სოციალური კრიზისის ამ ფონზე მხოლოდ სხვა კათოლიკური ეპარქიებისა და კათოლიკური ორგანი-ზაციების დახმარების იმედზე ვერ მიატოვებ კათოლიკური საკრებულოების ცხოვრებას და საქმიანობას და შესრულების პროცესში მყოფ კარიტატულ ინიციატივებს. რაღა თქმა უნდა, გაცილებით დიდია ის დახმარება, რაც წამოვიდა ბოლო ომის დევნილთათვის, ვიდრე საკრებულოთა საქმიანობის მხარდასაჭერად, მაგრამ ესეც იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიოს კათოლიკები მეტ გულისხმიერებას იჩენენ ამგვარი სიტუაციების მიმართ, ვიდრე საეკლესიო საქმიანობისადმი.

ჩვენი ინტერვიუს დასაწყისში უკვე იყო საუბარი იმ მრავალი საქმის შესახებ, რომელსაც უშუალოდ თქვენ უძღვებით, ხომ არაფერს დაამატებდით?

"ძალზე ვწუხვარ იმის გამო, რომ ყველაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, თუნდაც ამ უსაფუძვლო ბრალდებების გამო პროზელიტიზმში, ვითომ ჩვენ სხვების მრევლს ვიბირებდეთ; რამდენ სასიკეთო რამეს გავაკეთებდით ამ გაჭირვებული ხალხისთვის, ერთად რომ გვეთანამშრომლა როგორც ქრისტიანებს, ან უბრალოდ როგორც კეთილი ნების ადამიანებს! შემიძლია გითხრათ, რომ არიან გაჭირვებულები, რომლებიც ჩვენთან აღარ მოდიან, რადგანაც ახლობელნათესავების, სულიერი მამების, მასწავლებლების, მეზობლების და სხვების მიერ ცუდ ინფორმაციას იღებენ; ამ დროს რამდენი ეკლესია და რელიგიური ორგანიზაციაა, რომლებიც მხოლოდდამხოლოდ თავიანთ მრევლზე ფიქრობენ ან მათზე, ვინც მათ სარწმუნოებას შეუერთდება; ჭეშმარიტი ქველმოქმედება კი არ უნდა არჩევდეს კათოლიკეს ან მართლმადიდებელს; რარიგ შორს ვდგავართ ჭეშმარიტი სიქველისაგან! ქუთაისში ფუნქციონირებს ამბულატორია, ბავშვთა ცენტრი, საპატრონაჟო სამსახური, ღარიბთა სასადილო..., ბათუმში უსახლკაროთა თავშესაფარი... და ა.შ. ამ წლებში ვცდილობდით სხვადასხვა გზით შეგვეტანა ჩვენი წვლილი ქვეყნის განვითარებაში, კულტურაში; ქუთაისში მყოფი ბერებისა და მონაზვნების საკრებულოები სხვადასხვა კუთხით ვართ ჩართულები სამოციქულო ადმინისტრაციის ფართომასშტაბიან საქმიანობაში საოჯახო პასტორალით და კულტურულ-ეკონომიკური, ლიტურგიული ან ახალგაზრდული კუთხით;

ერთ-ერთმა ჩვენმა თანაკონგრეგაციელმა შეადგინა 30.000 ათასი სიტყვისაგან შემდგარი იტალიურ-ქართული ლექსიკონი, ამჟამად კი მუშაობას განაგრძობს ქართულ-იტალიურ ლექსიკონზე.

ჩვენთვის დიდად მნიშვნელოვანია იტალიიდან სტუმრების მიღება, რომლებიც მხოლოდ საქართველოს და ჩვენი საკრებულოების მოსანახულებლად არ ჩამოდიან. იმ შეხვედრებზე, რომლებიც იმართება ჩვენს შორის, ჩვენთან თანამშრომლობაში მყოფ პირებთან და სტუმრებთან ერთად, მსჯელობის თემად ძალზე ხშირად ქცეულა ქვეყნის ამჟამინდელი სოციალური სინამდვილე და მასთან დაკავშირებული პრობლემები. უნდა ვაღიაროთ, რომ არაა ადვილი იმ სოციალურ ვითარებაზე და არგუმენტებზე მსჯელობა, რომელიც ეკლესიის სოციალურ მოძღვრებას უკავშირდება; გაცილებით იოლია შეადგინო პროექტი, ვიდრე იმსჯელო ამ პროექტის წარმომშვებ მიზეზებზე. ჩვენ გვჯერა, რომ ქრისტიანობა არ მოიაზრება მხოლოდ ეკლესიის, ლოცვის... ალაგად, მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ადამიანთა კონკრეტული ცხოვრება, ღატაკთა მდგომარეობა, გაჭირვებულთადმი გულისხმიერება, არა მხოლოდ პრობლემატური ვითარებებისგან გამოსავლის ძიება, არამედ ამ ვითარებების წარმომშვები მიზეზების დადგენა, არა მხოლოდ მათზე ზრუნვა, არამედ მათი პრევენცია, ბოლომდე შეცნობა... შეძლებისდაგვარად.

ქრისტიანობა ყოველთვის ანგარიშგასაწევი ძალა იყო საზოგადოებაში, ზოგჯერ არასასურველიც კი თავისი არჩევანის ან იმ პრინციპების გამო, რასაც იგი თავგამოდებით იცავდა; ეკლესიის პოლიტიკური დავალება, პირველ რიგში, არ უნდა გამოიხატოს პარტიების მხარეზე დგომაში, ან პატივ-დიდების მიღწევაში, არამედ თავისი მორწმუნეებისადმი სახარებისეული პრინციპების ჩვენებაში და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში საკუთარი არჩევანის გადმოცემაში.

საკითხავია, რა პოლიტიკური, კულტურული, სოციალური... პრინციპები ამოძრავებთ საქართველოში მართლმადიდებლებს? რა მითითებებს იძლევა მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქია? თუკი ევანგელიზაცია სახარების უწყებაა მათზე, ვინც ქრისტეს არ ცნობს, მქადაგებლობა ამ ევანგელიზაციაში ჩაღრმავებაა; და საქართველოს დღევანდელობაც ითხოვს ახალ ევანგელიზაციას, რადგანაც ქრისტიანები უბრალოდ იმიტომ არ ხდებიან, რომ ქრისტიანულ ქვეყნებში და ქრისტიანულ ოჯახში დაიბადნენ; როგორ იგებს დღეს მრავალი ქართველი ქრისტიანობას? შეიძლება ეპისკოპოსი ან მღვდელი კმაყოფილი იყოს იმით, რომ მისი ეკლესია გადატენილია მორწმუნეებით; იმით, რომ მრავალი ინათლება, ან უფრო უარესი, გადაინათლება; იმით, რომ აღდგომას და შობას მრევლი მიდის ეკლესიაში, მრავალი მარხულობს სამარხვო პროდუქტებით... მაგრამ ეკლესიის გარეთ, თითქოს ყველაფერი ნებადართულია; საკმარისია გაიღო შესაწირავი და ყველაფერი თავის ადგილზე დგება.

დღეს ამბობენ, რომ ქრისტიანობა უფრო მეტად იძენს მნიშვნელობას და ღირსებას სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა სფეროში; განსხვავე-

ბებზე მინიშნებისას მე ყურადღებას უფრო მეტად შევაჩერებდი საპატრიარქოს მნიშვნელობაზე, ზოგიერთ ტრადიციაზე და წეს-ჩვეულებაზე, ვიდრე უფლის ქადაგებიდან და გაუთიშავი ეკლესიების ტრადიციიდან წამოსულ ფასეულობებზე. გაცილებით იოლია იყო მართლმადიდებელი, ვიდრე ჭეშმარიტი ქრისტიანი; დღეს ბევრს საუბრობენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მნიშვნელობაზე (რაც უდაოდ მნიშვნელოვანია) და ამავდროულად არაფერი კეთდება მთელი იმ ხალხის შესაჩერებლად, რომლებიც სამუშაოს გამო უცხოეთში გარბიან."

პადრე გაბრიელე, დღეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე კათოლიკური ეკლესია საქართველოში რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენს. მას საკმაოდ ჭრელ და მრავალფეროვან რელიგიურ სპექტრში უხდება არსებობა და მრავალი ნიუანსის გათვალისწინება. როგორ გრძნობს იგი თავს დაძაბულ რელიგიურ ვითარებაში, როგორია მისი აქტივები და პასივები; როგორ აგვარებს იგი ურთიერთობებს სხვა კონფესიებთან?

"თუ მოკლედ ვიტყვით, ამ საქმეში მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ სოციალური სფეროს მიმართ, სადაც აისახება ურთიერთპატივისცემა, განსხვავებულ ეთნოსებს შორის დიალოგი და გამოიხატება ჩემგან განსხვავებული თვალსაზრისი, ცალსახოვანი და ფანატური ფორმების გვარდის ავლით; ყურადღება უნდა მიექცეს კულტურულ სფეროს, რომელიც გულისხმობს სკოლებში, უნივერსიტეტებში ფორმაციას არა მოჩვენებითი საქციელით, რომ თითქოსდა ადამიანი რელიგიური არსება არ ყოფილიყოს (როგორც ეს უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ხდება), არამედ კომპლექსური ანთროპოლოგიის, რელიგიათა ისტორიისადმი გულისხმიერებით, დიალოგის, ჭეშმარიტების საერთო ძიებით, სხვათა ტრადიციის შეცნობით, ერთიანი ძალით ისეთი საზოგადოების აგებით, რომელიც ყველას მიერ გაზი-არებულ ფასეულობებს დაემყარება, რწმენისაგან დამოუკიდებლად ან რწმენასთან დაუპირისპირებლად...

ყურადღება გამოიჩინონ იურიდიული სფეროსადმი, რომელიც გულისხმობს იმ ფორმების ძიებას, რაც დაიცავს და გააძლიერებს სარწმუნოებრივ გამოცდილებას ხალხში, როგორც ამას ამოწმებს ხალხთა მრავალათასწლოვანი ისტორია, თვით მათდამი პატივისცემით, რომლებიც არცერთ რელიგიას არ მიეკუთვნებიან; სახელმწიფოებრივ ასპექტს, რომელიც ითხოვს ეკლესიათა, რელიგი-ათა, რელიგიური ჯგუფების იურიდიულ აღიარებას საზოგადოებაში, ყოველგვარი დისკრიმინაციის და ალტერნატიული ხელისუფლების შექმნის გარეშე, თავად სახელმწიფოს არსებობის ფუნდამენტური დოკუმენტების, ხელშეკრულებების და საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე... რასაც თავიანთი ქვეყნის ბედი დაუკავშირეს."

პადრე გაბრიელე, მე ვაკვირებოდი თქვენს რეაქციებს ქართულ სიწმინდეებზე მცხეთასა და შიო-მღვიმეში, აშკარად გემჩნეოდათ მოწონება, თქვენ ისიც იკითხეთ, თუ შეიძლებოდა ამ სიჩუმესა და მყუდროებაში რამდენიმე დღის გატარება. ალბათ, იმიტომ, რომ ამ ღვთის ნაკურთხ ადგილას უფრო ახლოს მისულიყავით უფალთან. საინტერესოა, თუ რას ფიქრობს მრავლისმნახველი იტალი-

ელი პადრე ქართულ ეკლესიებზე, საერთოდ აღმოსავლურ ქრისტიანულ ეკლესიაზე და ზოგადად, ქრისტიანთა ერთობაზე?

"საქართველო უდაოდ არის ქრისტიანული რწმენის გამორჩეული მემკვიდრეობის მატარებელი; იგი ღრმა პატივისცემასა და აღტაცების ღირსია. ამის გაცნობიერება მიღება და გამოხატვა დიდ დროს მოითხოვს; თუმცა მეჩვენება, რომ ხშირად სიღრმეში არ შევდივართ; ასურელ მამებზე ჩატარებულ სიმპოზიუმზე ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში, მაგალითად, ძალზე ბევრი საინტერესო მოხსენება მოვისმინე, მაგრამ შევნიშნე ასევე სიძნელეც (და ამას ვამბობ, როგორც დამკვირვებელი და არა როგორც მსაჯული) ფაქტის ინტერპრეტაციის, "კრიტიკის" მხრივ, მეცნიერული თვალსაზრისით. სიცხადისთვის ერთ მაგალითს მოვიყვან: ასურელი მამების ცხოვრება იმდენად უჩვეულო სასწაულებით არის აღსავსე, ლამის სახარებასაც აღემატება. მრავალთათვის უფრო საინტერესოა სასწაულების მოთხრობა და მოსმენა, იმის ცოდნა, თუ როდის, როგორ, სად..., ვიდრე სიღრმისეული ჩაწვდომა იმ გზავნილში, რისი გადაცემაც თავად მემატიანეს სურდა ამ ბიოგრაფიით, რაც სინამდვილეში ბიოგრაფია კი არ არის, არამედ ჰაგიოგრაფიაა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ უფრო მეტად ეშინიათ იმის აღიარება, რომ ამა თუ იმ წმინდანს ესა თუ ის სასწაული არ მოუხდენია, ვიდრე იმ მონათხრობების სიღრმისეული აზრის აღმოჩენა და წაკითხვა; ეს იმას ჰგავს, რომ აპოკალიფსის წიგნი მხოლოდ ზეპირად დაისწავლო და არაფერი იცოდე წიგნის ამ ფორმით დაწერის მიზეზზე; როგორც მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რატომ არის ესა თუ ის შენობა ამ ფორმით აგებული და არა სხვა ფორმით, ისეთნაირად აგებული, რაც ყოველ ნაბიჯზე მეორდება (საქართველოში ვინმემ შეიძლება ასე თქვას, როდესაც ერთმანეთის მსგავს შენობა-ნაგებობას შეხედავს), რომ საკმარისზე მეტიცაა. თუმცა არის სხვაობა, თითოეულში არის სიახლე...

ხელოვნება გვიწვევს მშვენიერების ძიებისაკენ, იმისკენ, რაც დაგვეხმარება ზრდაში; როდესაც ქართულ ეკლესიებს უცქერ, უნებურად მათ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში წარმოიდგენ და არაფერი ცუდი არ მოხდებოდა თუკი მათ ქრისტიანული მსახურებისათვის გამოიყენებდნენ, და შეიძლება პირიქითაც. უმრავლეს შემთხვევაში ბევრი თანხვედრაა; მაფიქრებს ისიც, რომ თითქოს ყველაფერი დიდებულ წარსულში შეჩერდა და აწმყო და მომავალი იძულებულია იმავე კანონებს დაემორჩილოს; აქ ერთი კითხვაც მიჩნდება: ხელოვნებამ მხოლოდ კოპირება და რეპროდუქცია უნდა მოახდინოს? რა კავშირშია ერთმანეთთან ქრისტიანული ხელოვნება და თანამედროვე ხელოვნება?"

"პადრე გაბრიელე, მსოფლიოს რელიგიურმა კრიზისმა, რომელმაც განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეებში იჩინა თავი, "ღმერთის სიკვდილმა" და რელიგიურობის მკვეთრმა დაცემამ, ეკლესიის გავლენის მნიშვნელოვანმა შესუსტებამ, საპასუხო რეაქცია – ეკუმენიზმი შვა, რომელიც ათეიზმსა და თავისუფალმოაზროვნეობას აღუდგა წინ. მის შესახებ დღესაც დიდი დავაა ატეხილი. ზოგს იგი მოწონს, ზოგიც ემიჯნება მას.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თავის დროზე მას აღტაცებით შეხვდა, მაგრამ უფრო გვიან მასში თავისთავადობის დაკარგვის საფრთხე დაინახა და ჩამოშორდა ამ მოძრაობას, ახლა ეკუმენიზმისაკენ მოწოდება ჩვენში უკვე დიდ ცოდვად ითვლება. თქვენ რას იტყვით მის შესახებ?

"რა დღეშია დღეს ეკუმენიზმი? ეს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გვერდია, რაც სულიწმინდამ თანამედროვე ეკლესიათა წინაშე გადაშალა. ეკუმენიზმი არ არის რელიგიური გლობალიზაცია და მით უფრო არც სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის და რელიგიების მასიფიკაცია, არც აღრეული იდეებით შემდგარი რელიგიური სინკრეტიზმის ახალი ფორმა. თანამედროვე ეკუმენიზმი არის გზა, რასაც დაადგნენ ქრისტიანული ეკლესიები უფლის სიტყვისადმი მორჩილებით: "რათა ყველანი ერთ იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთი". პირველ რიგში ეს არ არის რელიგიური პოლიტიკური ინსტანცია მტრებთან საბრძოლველად, არამედ საკუთარი მოწოდებებისადმი ერთგულება, რომელიც აცხადებს რომ "ერთია რწმენა, ერთი უფალი, ერთი ღმერთი მამა ყოველთა, ერთია ნათლობა...". სხვადასხვა მოტივით, _ მათ შორის დოგმატურით, უფრო მეტად კი პოლიტიკური მოტივით და პირველობის, განდიდების მანიით – ეკლესიის წარმომადგენლები ერთმანეთს ეთიშებოდნენ და წყვეტდნენ ხილვად, საკრამენტულ ერთობას, მაგრამ არა თავიანთ სიღრმისეულ ერთობას; ეკუმენური მოძრაობა მრავალი დაბრკოლებისა და სირთულის წინაშე დღეს ეძებს იმ კავშირურთიერთობების, ნდობის, დიალოგის, მოსმენის, ჭეშმარიტი შეცნობის, ქრისტიანული ცხოვრების აღდგენის გზებს, რათა ქრისტიანებმა უფალში აღიარონ ერთმანეთი იმ საკრამენტული თანაზიარების წყალობით, რითაც გამოიხატება ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის სინამდვილე და სადაც თითოეული დაიცავს თავის მემკვიდრეობას ლიტურგიკული, კანონიკური და სხვა კუთხით; ამგვარად ეკუმენიზმი არ არის სუპერ ეკლესიის შექმნის მცდელობა *(მრავალი კი ფიქრობს, რომ ასეთია რომისა და პაპის სურვილი*), რაც უდიდესი შეცდომაა.

ეკუმენიზმი არის ეკლესიათა ზიარება იმავე სამოციქულო რწმენის საფუძველზე, რაც გამოხატული და დაცულია მსოფლიო ეკუმენური კრებების ტრადიციით, ასევე იმ შეგნებით, რომ რწმენა არ არის მკვდარი პროდუქტი და რომ სულიწმინდა სახარების ერთგულებაში მიუძღვის ყველა ეკლესიის ცხოვრებას, მათივე ცოდვების მიუხედავად. ეს ეკუმენური გზა არცერთი ეკლესიისაგან არ ითხოვს იმის უარყოფას, რაც მისეულია, მისთვის დამახასიათებელია, თუკი იგი არ ეწინააღმდეგება გაუთიშავი ეკლესიის სამოციქულო რწმენას, ამავე დროს ითხოვს ყველა ეკლესიისაგან, რომ მოუსმინონ იმ ჭეშმარიტებას, იმ წმინდას და დიდსულოვანს, რაც სულიწმინდამ მოჰფინა გათიშვაში მყოფ ეკლესიებს; რომის კათოლიკე ეკლესიას, ცხადია, აქვს თავისი პრეტენზია, რაც სხვა ეკლესიებს არ გააჩნიათ ან არც შეუძლიათ ჰქონდეთ, ანუ ეს არის რომის ეპისკოპოსში ხორცშესხმული პეტრეს მსახურება; მაგრამ თუ მხოლოდ მასზე გავამახვილებთ ყურადღებას, როგორც ზოგჯერ ამას აჩვენებს (ვითარ-

ცა ხორცშესხმული ღმერთი...) ან ახორციელებს რომაული ეკლესია და ასევე სხვა ეკლესიაც (პრიმატის ზოგიერთი ფორმა უზენაეს მონარქისას უფრო გავს, ვიდრე პეტრეს მემკვიდრისას), ეს ნამდვილად ვერ იქნება ჭეშმარიტებისადმი მსახურება და მით უფრო ერთობის გზის შეწევნა. ამბობენ და წერენ, რომ ეკუმენიზმისთვის უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს პაპის ინსტიტუტი, მაგრამ მე მგონია, რომ გადაულახავი დაბრკოლება არა იმდენედ პაპია, რამდენადაც ეკლესიათა მხრიდან ერთობაში მოწვევის უგულვებელყოფა.

ამ ბოლო ხანებში, სხვა პერიოდისგან განსხვავებით საქართველოში ჭირს ეკუმენიზმზე ლაპარაკი არასწორი წარმოდგენების გამო, ფანატური ჯგუფების არსებობის გამო, რომლებიც სარეველას და შიშს სთესავენ მათში, ვინც მზად არის დაადგეს ეკლესიათა შემრიგებლობის გზას; ან არჩევანის უკმარისობის გამო, რაც ჩემი აზრით, ზოგჯერ აუცილებლობას წარმოადგენს შემრიგებლობის გზაზე მართლმამდიდებელი იერარქიის მხრიდან. ამ სფეროში გამოხატულმა დუმილმა ლაპარაკის საღერღელი სხვებს აუშალა და თანაც ამ ეკლესიის ტრადიციის საპირისპიროდ. თუკი ყოველი ეკლესიის მწყემსის პირველადი მოვალეობა საკუთარი ხალხის ერთობის შენარჩუნებაზე ზრუნვაა და ამის გამო ზოგჯერ მტკივნეული არჩევანის გაკეთებაც უწევთ, დროის გასვლის შემდეგ შეუძლებელია არ იფიქრო ამ არჩევანზე და არ დაინახო მისი შედეგები.

თუკი 1997 წელს ქართული ეკლესია გამოეყო ეკუმენური მოძრაობის ორგანოს და აკრძალა ლოცვა-ვედრება ყველა მათგანთან, ვინც არაა მართლმადიდებელი *(ამჟამად ასე მხოლოდ ქართული ეკლესია და პროტესტანტული ინსპირაციის ინტეგრალისტები იქცევიან),* საინტერესოა, ამით რა შედეგები მიიღეს? დაცულია თუ არა მათი ერთობა? გაძლიერდა თუ არა სახარებისადმი მათი ერთგულება? უფრო გამჭვირვალე გახდა თუ არა მათი თანხმობა ან პირიქით, ხომ არ შეიყვანა ისინი ჩიხში, შიშში, სისასტიკეში, ბრალდებებში...?; რა თქმა უნდა, "ვიღაცას" აწყობს საქართველოში და მთელს მსოფლიოში ეკლესიათა ამგვარი ყოფა. მოდით, წამით დავფიქრდეთ, შეუძლიათ ეკლესიებს ამჟამინდელ კრიზისში თავიანთი ხმა მიაწვდინონ ღატაკებს და დაუცველებს, დაგმონ "ეშმაკისეული" ეკონომიკური სისტემები... ან შეუძლიათ დაგმონ საქართველოში პროსტიტუცია, ნარკომანია, სამხედრო შეიარაღება..."

ჩემს მომდევნო შეკითხვაზე,– "შეასრულა თუ არა ქრისტიანულმა ეკლესიამ თავისი მისია დედამიწაზე, გახადა თუ არა მსოფლიო უკეთესი და ზნეობრივი თავისი ოცსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე. იხსნა კი კაცობრიობა პირველქმნილი, თუ მისგან მომდინარე სხვა ცოდვებისაგან და თუ იხსნა, მაშინ რატომ ზეიმობს ბოროტება ამქვეყნად, რატომ ხდება ირგვლივ ამდენი საშინელება და უბედურება?" _ სკეპტიკოსთა, ათეისტთა ან ღვთის არსებობაში თუნდაც ოდნავ დაეჭვებულთა ამ ტრადიციულ კითხვაზე პადრე გაბრიელე ბრაგანტინიმ ასე მიპასუხა:

"ეკლესიას, ან უფრო სწორად ეკლესიებს, ჯერ კიდევ არ მოუყვანიათ სისრულეში დავალება, რაც უფალმა მათ მიანდო, თუნდაც იმიტომ, რომ ყოველი ახალი თაობა ახალი სარბი-

ელია, სადაც უნდა მომზადდეს ნიადაგი, დაითესოს, გაიზარდოს...; როგორც კი ეკლესიის ან ქრისტიანთა მხურვალება სუსტდება, _ რადგანაც მიღწეული შედეგებით თვითკმაყოფილებას ეცემიან, _ ხდება მოვლენები, რაც ეკლესიებს მოდუნებისგან აფხიზლებს და სახარების უწყებისა და დამოწმების ახალ-ახალი ფორმების ძიებაში მიჰყავს. ცხადია, სახარების შეცნობა და მისი დამოწმება დღეს ძლიერია არა მარტო რიცხვობრივად და რაოდენობრივად, არამედ სიღრმითა და ხარისხით; ეს არის ეკლესიის, მისი სიწმინდის ტრადიცია, მასში მყოფი სულიწმინდის წყალობა. ყველა ეპოქას აწევს ცოდვა, თავისი ხარვეზები, თავისი პროვოკაციები.

მსოფლიოს არათანაბარმა პროგრესმა, ადამიანთა ხელებს მინდობილმა დამანგრეველმა და ამავდროულად აღმდგენელმა ძალამ, უსამართლო და გამოუსწორებელმა დისკრიმინაციამ, მრავალმა მეცნიერულმა აღმოჩენამ.... შეუძლებელია ყოველივე ამან ეკლესია არ დააფიქროს შემდეგზე: დღევანდელი მსოფლიო ჰუმანურია თუ არაჰუმანური? როგორც ამბობენ, სხვა ეპოქებისაგან განსხვავებით ჩვენ ცივილიზებულ ეპოქაში ვცხოვრობთ. იოლი როდია პასუხის მოძებნა მაშინ, როდესაც მილიონობით პიროვნება უბრალოდ იმიტომ იჩაგრება, რომ არ ისმის მათი ხმა, როდესაც ხალხი იძულებულია იტანჯოს შიმშილით, ცხოვრობდეს ღირსებააყრილი...; ცივილიზაციის სხვადასხვა მიმართულება, _ და თუ ჩვენ *სიყვარულის ცივილიზაციაზე* ვისაუბრებთ, როგორც პაპი პავლე VI ამბობდა, _ ჯერ კიდევ აღმშენებლობის ფაზაშია და გარემოცულია ტანჯვით, პროგრესითა და რეგრესით."

პადრე, როგორ ფიქრობთ: იესო ქრისტე ახლა რომ დაიბადოს ან სხვაგვარად ვიტყვი: ჩვენი თაობა რომ წარმოვიდგინოთ იმათ ნაცვლად, ვინც ოცი საუკუნის წინ იდგა გოლგოთას მთაზე და იესოს ჯვარცმას ითხოვდა, სხვაგვარად რას ვიზამდით მაშინ, გვაქვს კი იმის გარანტია, რომ უკეთესად მოვიქცეოდით?

თუკი ქრისტე ისევ დაიბადება, მას ისევ აცვამენ ჯვარს?

"ეს კითხვა შეიძლება რიტორიკულად მოგვეჩვენოს, რასაკვირველია, ქრისტე დღესაც კვდება იქ, სადაც პატარა ადამიანი წყურვილით კვდება, სადაც ადამიანის და ღვთის ძის ღირსება შელახულია; კითხვაზე, თუ სად იყო ღმერთი საკონცენტრაციო ბანაკების დროს, ებრაელი ბავშვების სიკვდილის წუთებში, ერთი პასუხია:

* * *

იგი იმ ბავშვებში იყო, ვისაც კლავდნენ."

ამ პასუხზე აღარაფერი მითქვამს, თუმცა ჩემთვის გავიფიქრე, რომ უფალში ჩვენ არა მარტო მოსიყვარულე, კეთილ და თანამგრძნობ ძალას კი არ მოვიაზრებით, არამედ ყოვლადძლიერ, ყოვლისშემძლე მარადიულ არსებას ვგულისხმობთ, რომელსაც შეუძლია უსამართლობის მოსპობა და ბოროტების თავიდან აცილება. კითხვა ხომ მეტად მარტივად დგას, რატომ დაუშვა უფალმა ისეთი საშინელებები, რომელიც პადრემ ახსენა, ან დღეს რატომ ხდება ამდენი ენით აუწერელი უბედურება?

ისიც გავიფიქრე, რომ ამ კითხვაზე კათოლიკებს რაიმე, სხვა კონფესიებისაგან განსხვავებული აზრი არა აქვთ, არც ისეთი პასუხი, რომე-

ლიც ყველას, განსაკუთრებით კი არამორწმუნეს დააკმაყოფილებდა. ის ტრადიციული პასუხი კი, რომ – "ღვთის გზები უცნობია და ამიტომ არა გვაქვს პასუხი ბევრ კითხვაზე", _ ბევრისთვის მიუღებელია.

მართლმადიდებელი თეთრი სამღვდელოებისაგან განსხვავებით კათოლიკე მღვდლებს ქორწინების უფლება არ აქვთ. ამიტომ მათ ღმერთის სადიდებლად და მოყვასზე ზრუნვისათვის უფრო მეტი დრო და დაუხარჯავი სიყვარული რჩებათ. გაბრიელე ბრაგანტინი საქართველოში უკვე მეთექვსმეტე წელიწადია იმყოფება. იგი თანდათან უკეთ ეცნობა ჩვენს ქვეყანას, სწავლობს მის ენას, კულტურას, ეცნობა წმინდა ადგილებს და ღირსშესანიშნაობებს, ქართულ ხასიათს, მენტალიტეტს, უფრო გაბედულად საუბრობს ქართველი ხალხის ყოფის შუქ-ჩრდილებზე. ჩემს ბოლო შეკითხვაზე: _ "თუ რას ნიშნავს მისთვის საქართველო და აქვს თუ არა მას ნოსტალგია სამშობლოზე", პადრე გაბრიელემ მიპასუხა:

"საქართველო უფრო და უფრო იკავებს მნიშვნელოვან ადგილს ჩემს ცხოვრებაში ყოველივე იმით, რასაც ვიღებ და რასაც გავცემ, იმ პიროვნებებით, ვისაც შევხვდი და ვისაც ვხვდები, იმ მოვალეობების და პერსპექტივების გამო, რაშიც ჩართული ვარ; და ეს არცთუ იოლია ამ პირობებში, განსხვავებული კულტურისა და მენტალობის გამო, რაც შიგადაშიგ თავს მაინც იჩენს... თუმცა კიდევ უფრო ძნელია უკან დაბრუნება; სამშობლოს მონატრება თითქოს წარსულს ჩაბარდა, თუკი იმ მონატრებას შევადარებ, რასაც ადამიანი განიცდის უფრო სამართლიანი, უფრო სტუმართმოყვარე, უფრო ჭეშმარიტად ქრისტიანული ცხოვრების მიმართ."

* * *

აი, ესეც, პადრე გაბრიელე ბრაგანტინის, კათოლიკე მღვდლის საქართველოში ვრცელი ინტერვიუ. ძნელია თქვა, თუ რა არის ეს, რა სახელი უნდა დაერქვას ამას – ერთგვარი ანგარიში, ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ, აღსარება, გამოთქმული გულისტკივილი, პროტესტი მავანთა უკანონო ქმედებების გამო თუ საპროგრამო სიტყვა, გეგმა მომავალი მოქმედებისათვის. ერთი რამ უდავოდ ცხადია, რომ ამ ინტერვიუში საუბარი მხოლოდ ერთ საკითხზე – რელიგიაზე და ეროვნულზე, რელიგიაზე და ეროვნულ კუთვნილებაზე არ არის, არამედ პრობლემათა ვრცელ სპექტრზე, რადგან რეალურ ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებენ...

ეს ინტერვიუ, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი გზავნილია, საინტერესო ინფორმაციაა უცხო, მაგრამ კეთილმოსურნე ადამიანის თვალით დანახულ ჩვენს ყოფაზე, რომელშიაც კარგად არის გაცნობიერებული ის სიძნელეები, რასაც ჩვენი საზოგადოება განიცდის.

საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებსა და დაპირისპირებებს შორის ყველაზე უფრო რთული, სახიფათო და ძნელად აღმოსაფხვრელი სწორედ რელიგიური დაპირისპირებაა, რომელიც ძირს უთხრის სახელმწიფოს ერთობას და ძლიერებას, მით უმეტეს, ისეთ პატარა და საზღვრებმოშლილ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

პადრე გაბრიელე მიგვითითებს ასეთი რეალური საფრთხის შესახებ, იგი გვაფრთხილებს, რომ არ შეიძლება სახელმწიფოში, თუკი მას დემოკრატია და სამართლიანობა უნდა დაამყაროს, პრივილეგირებულად გამოაცხადოს მხოლოდ ერთი კონფესია, ერთი მიმდინარეობა, ჩათვალოს იგი ყველაფრის განმკარგავად, ხოლო სხვები მეორეხარისხოვან ხვედრს დასჯერდნენ.

მას, იტალიელ კათოლიკე მღვდელს გულწრფელად აწუხებს, თუ რატომ ხდება საქართველოში კონფესიათა ასეთი დაყოფა, იგნორირება ისეთი ეკლესიისაც კი, რომელმაც ქვეყანას მისცა ზაქარია ფალიაშვილი, მიხეილ თამარაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვა მრავალი გამორჩეული კათოლიკე ქართველი მოღვაწე, რომლის გარეშეც ქართული კულტურა და სულიერება არ მოიაზრება.

პადრე ბრაგანტინის აწუხებს ისიც, თუ რატომ არ უნდა ითვლებოდნენ სხვა ამ სარწმუნოების მიმდევარნი სრულფასოვან ქართველებად. ამ კითხვას პადრე გულისტკივილით სვამს. თუ ასე არ არის, მისი თქმით, რატომ არ უბრუნებენ კათოლიკეებს წართმეულ ქონებას, რატომ უქმნიან წინაღობებს საქართველოშიო?...

პადრე ბრაგანტინის ამ მიმართულებით მოშველიებული ფაქტები დამაფიქრებელია და სერიოზული მასალაა განსჯისათვის, რასაც გონიერი ხელისუფლება ყურადღებით წაიკითხავს, დასკვნებს გამოიტანს და შესაბამისად იმოქმედებს.

რა უნდა ითქვას ყოველივე ზემოთქმულის შესახებ?

მიუხედავად გულწრფელობისა და ფაქტების ობიექტურად გადმოცემის მცდელობისა, პადრე ბრაგანტინის ინტერვიუში არის ადგილები, რომლის მიღება და გაზიარება ძალზე ჭირს. ბევრი ფაქტი ძალზე გამუქებული და გაზვიადებულია, ზოგიც არასწორად არის ინტერპრეტირებული. სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული ქვეყანაში არსებული სპეციფიკაც, ის ჭეშმარიტება, რომ ადრე ნაკლებად იყო დაცული არა მარტო რელიგიურ უმცირესობათა, არამედ რელიგიური უმრავლესობის ინტერესებიც. კერძოდ, არ არის გათვალისწინებული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა, რომელიც ძალიან დაჩაგრული და ავტოკეფალიაწართმეული აღმოჩნდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ. უფრო გვიან კი თითქმის საბოლოოდ განადგურებული კომუნისტური მმართველობის დროს და, რა გასაკვირია, რომ იგი იბრძოდეს თავისი დაკარგული მრევლის და გავლენის აღდგენისათვის თავის სამშობლოში. იბრძოდეს სხვა კონფესიათა (განსაკუთრებით "იეჰოვას მოწმეების") უკანონო პროზელიტიზმის წინააღმდეგ.

სრულად მიუღებულია პადრეს განცხადება, რომ: "მართლმადიდებლობა უფრო იოლია, ვიდრე ჭეშმარიტი ქრისტიანობა", ზოგიერთი სხვა დებულებაც, მაგრამ ამჯერად, ჩვენ მათ კრიტიკას არ ვაპირებთ, თუმცა შემდგომში მსჯელობას ამ საკითხზე არ გამოვრიცხავთ.

მაინც მეჩვენება, რომ თავის მსჯელობაში პოზიტიურ მომენტებთან ერთად, იგი ნაკლებად კრიტიკულია საკუთარი კონფესიისადმი და კათოლიციზმის ისტორიისადმი. ჩემი მხრივ, პატიებას ვითხოვ, მაგრამ

უნდა აუცილებლად ვთქვა, რომ მის ინტერვიუს მაინც კონფესიური ინტერესების ერთგვარი სურნელი დაჰკრავს.

და მაინც, ამ ინტერვიუს დიდი მნიშვნელობა აქვს, მის მიერ მოწვდილი მასალა მეტად ძვირფასია ჭეშმარიტების დასადგენად და ქვეყანაში რელიგიური თანხმობის მიღწევისათვის. ქართველთა დარღვეული სულიერი ერთობის აღდგენისათვის.

ჩვენ საშუალება გვაქვს პადრეს ნაწერები შევადაროთ ადრინდელ მისიონერთა: პიეტრო დელა-ვალეს, დონ პიეტრო ავიტაბალეს, დონ კრისტოფორო დე კასტელის, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის, არქანჯელო ლამბერტის და სხვათა ცნობებს, თუმცა მათგან მას აშკარად გამოვარჩევ ქართული რეალობის უკეთ ცოდნით.

როდესაც პადრე გაბრიელე ბრაგანტინის ღვთისმსახურებას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ვავლებ თვალს, ვაანალიზებ მის მიერ განვლილ გზას, იმედი მიჩნდება, რომ ჯუზეპე პაზოტოსთან და სხვა ღირსეულ კათოლიკეთა გვერდით იგი უკვე იკავებს და მომავალში უფრო დაიკავებს ადგილს იმ რჩეულ მისიონერთა რიგებში, რომლებმაც კეთილი კვალი დატოვეს საქართველოს ცხოვრებაში, რადგან ღვთის და საკუთარი სამშობლოს სიყვარულთან ერთად, მათ გულწრფელად უყვარდათ საქართველოც და მას მეორე სამშობლოდ თვლიდნენ, ზრუნავდნენ მის კეთილდღეობაზე. საქართველოც ხომ ყოველთვის ღირსეულად აფასებდა სხვა ერის, მაგრამ მის მოყვარულ შვილებს. პადრე გაბრიელე ბრაგანტინიც მის წინაპართა ღირსეულ გზას მიჰყვება.

TEIMURAZ PANJIKIDZE

RELIGION AND NATIONAL AFFILIATION

s u m m a r y

The work deals with the interrelation of religion and nationality in a traditional Orthodox country. It presents a religious picture of Georgia as seen by a contemporary Italian Catholic missionary priest, Gabriele Bragantini. Discussed are the problems that commonly arise in the multiconfessional country where a leading religious movement is granted special rights, as well as the difficulties this creates to other confessions, including to a confession with such a long history as Catholicism.

The article highlights the importance of tolerance for the country aspiring democracy, and the rights and demands of religious minorities with respect to affirming their faith without having a feeling of being secondary citizens in their own homeland.

RELIGIONE E NAZIONALITÀ

Il presente lavoro riguarda la reciproca interdipendenza tra religione e nazionalità in un paese tradizionalmete ortodosso. Questa è la personale visione attuale sulla situazione religiosa della Georgia di un missionario cattolico italiano (p.Gabriele Bragantini); i problemi riguardano un paese multiconfessionale, dove solo ad una confessione vengono riconos-

ciuti particolari diritti, la qual cosa sta creando difficoltà alle altre confessioni, tra cui a una chiesa di grande e lunga storia come è la chiesa cattolica.

Nel presente studio si parla della necessità della tolleranza per un paese che vuol percorrere la via della democrazia, dei diritti delle minoranze religiose e della richiesta di poter confessare la propria fede in modo che non si sentano cittadini di seconda categoria nel proprio paese.

ლიტერატურა

1. არქანჯელო ლამბერტი – სამეგრელოს აღწერა, თბ, 1922.
2. მ. თამარაშვილი – ისტორია კათოლიციზმისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.
3. ი. ტაბაღუა – საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII-XVI სს.) ტ, I-II, თბ, 1984.
4. Г. Жордания, З. Гамезардашвили «Римско-Католическая миссия и Грузия», часть I-II, Тбилиси, 1994.
5. ექსკლუზიური ინტერვიუ პადრე გაბრიელე ბრაგანტინისთან, დასავლეთ საქართველოს ვიკარისთან.
6. მ. პაპაშვილი – საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ, 1995.
7. ვაჟა ვარდიძე – ღვთის სიტყვა, დოგმა, თავისუფლება, თბ, 2008წ.
8. თ. ფანჯიკიძე – რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბ, 2003.

✍ eka yufunia-cxadaZe

მოდერნიზმის ქართული წახნაგები

M

თანამედროვე ლიტერატურული პროცესების კვლევა და მისი ფესვების მოძიება უდიდეს შრომას მოითხოვს. დღესაც აქტუალურია XX საუკუნის დასაწყისის მოვლენები, რომლებიც ცხოველმყოფელ გავლენას ახდენენ თანამედროვე შემოქმედებასა და მეცნიერულ კვლევაზე. სოსო სიგუა იმ ქართველ მეცნიერთა და ლიტერატორთა წრეს ეკუთვნის, რომლებსაც უპირველეს ამოცანად დაუსახავთ ეპოქათა შემოქმედებითი სულის სრულყოფილი შესწავლა, შედარება და შეფასება.

სოსო სიგუა არის მრავალი გამოკვლევის და მეცნიერული ინოვაციის ავტორი, მისი ნაშრომები აღიარებულია სპეციალისტების მიერ და ყველა თაობის მკითხველში აღძრავს ინტერესს. ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, თუ რა დიდი შრომა გასწია მან კონტანტინე გამსახურდიას მხატვრული სამყაროს შესწავლის და მწერლის ოსტატობის ნიუანსების წარმოსაჩენად. სწორედ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების კვლევამ მიიყვანა იგი მოდერნიზმის სათავეებთან. შედეგად მივიღეთ უაღრესად საინტერესო, ტევადი და შთამბეჭდავი მონოგრაფია ქართულ მოდერნიზმზე.

სოსო სიგუას ,,მოდერნიზმი'' ორჯერ გამოიცა. ჩვენს ხელთ არის მეორე და შევსებული გამოცემა, რომლის წარმოდგენა და გაცნობა აუცილებელია არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვისაც. მოდერნიზმის იდეაში, უპირველესად, განახლება და ახლისადმი შეგუება იგულისხმება. როდესაც ქართული მოდერნიზმის ისტორიას, მის წარმომავლობასა და განვითარების არეალს თვალს გადავავლებთ, მკაფიოდ წარმოგვიდგება XX საუკუნის დასაწყისის საქართველო, მისი მაძიებელი და მრავალსახოვანი საზოგადოება.

პროფ. სოსო სიგუა გამოწვლილვით განიხილავს და სწავლობს ახალთაობის და ახალთაობელთა მისწრაფებებს, მაშინდელი საზოგადოების რეტროგრადულ ბუნებას, ტრადიციულ ხელოვნებას, ახალი კონცეფციების დამკვიდრების ავ-კარგსა და მის შუქ-ჩრდილებს.

როდესაც სოსო სიგუას ,,მოდერნიზმს'' გავადევნებთ თვალს, იმთავითვე ცხადი ხდება კანონზომიერებად მიჩნეული შეხედულება, რომ ხელოვანი და ხელოვნება უსწრებს თავის ეპოქას, ხოლო საზოგადოებას დრო სჭირდება მის მისაღებად. ს. სიგუა მოდერნიზმის დამკვიდრებას სრულყოფილად სწავლობს და იძიებს. იგი პროცესებს იკვლევს ძირეულად და ამომწურავად, შესანიშნავად იცნობს ევროპულ ლიტერატურულ ცხოვრებას, გვთავაზობს დასკვნებს:

,,რეალისტებისათვის ლიტერატურა იყო პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი, ისტორიისა თუ სინამდვილის ასახვა.

მოდერნისტებმა ლიტერატურას დაუმორჩილეს ყველაფერი, საკუთარი სიცოცხლეც კი.

მათ შექმნეს ლიტერატურის იმპერია, რომელშიც გაერთიანდა მიწა და ზეცა _ წინაპარ სულთა ქვეყანა.

ქართული მოდერნიზმი _ ,,ქართული სულის რენესანსის'' გამოვლენაა.

მოდერნისტები რომანტიკოსთა შვილიშვილები არიან.

მათ უარყვეს რაციონალისტი და ფხიზელი მამები _ რეალისტები.

მიუბრუნდნენ ოცნებებისა და ზმანების, მითებისა და სულთა ზეციურ საუფლოს (რაც ადამიანებს წაართვა ნიჰილისტურმა და პრაგმატულმა დრომ), რათა ხელოვნება ყოფილიყო ცხოვრებაზე მშვენიერი და აღმატებული'' (გვ. 47).

ქართული მოდერნიზმის სათავეებთან ისევ დიდი ეროვნული მოღვაწეების სახელებს ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა, არცთუ იშვიათად ფესვების სიძლიერე უცხოეთიდან შემოტანილი იდეების წარმატებების განმაპირობებელია. ს. სიგუას სჭირდება იმ გარემოს აღწერა, სადაც ქართველი მწერლები თამამად მოინიშნავენ სათავისო ასპარეზს .

მას აქვს საკუთარი სტილი, რაც, როგორც მკვლევარს, კიდევ ერთ შტრიხს ჰმატებს. ს. სიგუამ კარგად იცის, თანამედროვე მკითხველის დაინტერესებას ცალკეული პასაჟების რაოდენ მკაფიოდ გამოკვეთა სჭირდება და ამიტომაც ძალიან ხშირად მის ფოკუსირებას ახდენს. ამის მაგალითად შეგვიძლია პირველი ნაწილის დასათაურებები წარმოვადგინოთ და შემდგომ თავად განვსაჯოთ, თუ რა თანამიმდევრობით იხატება ეპოქის სულიერი ხვეულები და მისწრაფებები:

,,1. <u>XX საუკუნის დასაწყისი</u>

თავისუფლების იდეალი;
ინტელექტუალური პოტენციალი;
პირველი რევოლუციის კრახი;
პატრიარქალური მამისმკვლელობა;
რეალიზმის აღსასრული;
კოშმარული ჟამი და ,,წმინდა ხელოვნება''.

<u>2. განახლების წინამორბედები</u>

თავისუფლების პროგრამა;
ლიტერატურის ევოლუციის პრინციპები;
იმპრესიონისტის თვალით;
ეთნონატურალიზმი;
პირქუში ბეითალი;
ზეციური საქართველოს მსახური;
პოეტი ტუსაღი;
რღვევის მხატვარი;
იმპრესიონისტული მსოფლჭვრეტა;
ოცნების კოცნის პოეზია'' და ა. შ.

როგორც მკვლევარი და პრო-ფესიონალი, უპირველესად, ქართული რეალობის შეფასებისას ავლენს თავის ერუდიციას _ მას უშეცდომოდ აქვს მოძიებული და შეფასებული როგორც ჩვენი მოდერნიზმის საწყისები, ისე მისი განვითარების გზები და განშტოებანი. წიგნის თვალ-საწიერში მოქცეულია ნიცშე, ბალმონტი, მალარმე, ვერლენი, იოსებ გრიშაშვილი, ალ. აბაშელი, ,,ცისფერყანწელები'' და გალაკტიონი. მკვლევარი დაწვრილებით აანალიზებს მოდერნისტების ბანაკში არსებულ უთანხმოებას, გავლენიანი მწერლების განსხვავებულ თვალსაზრისს, ამზეურებს ისეთ ფაქტებს, რომლებსაც ადრე არ ვიცნობდით. ს. სიგუას თანამიმდევ-

რულად და ოსტატურად შევყავართ ქართველი მოდენისტების სამყაროში, მისი ყოველი დასკვნა განმტკიცებულია არგუმენტებით და უტყუარი ფაქტების მრავალრიცხოვნობით.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძესა და იოსებ გრიშაშვილს შორის არსებული უთანხმოებანი. აქედან გამომდინარე, პერიპეტიები და ძალთა საბოლოო გადანაწილება, ამ განხეთქილებების და აზრთა სხვადასხვაობის გენეზისი. იმავდროულად წარმოდგენილი და შეფასებულია ყველა ფაქტი, ყველა პოზიცია და ყველა მეტ-ნაკლებად საინტერესო შემოქმედი.

..მოდერნიზმში'' მართებულად არის შეფასებული კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ,,კატასტროფად'' სახელდებული პერიოდი, როცა ,,სოციალისტური მზის შუქზე ქრებოდნენ შორეული შუქურები'' (გვ. 143).

დღევანდელი გადასახედიდან მოდერნისტები ძალიან შორეულ და პოეტურ არსებებად წარმოგვიდგენია, მაგრამ ს. სიგუა კარგად ახერხებს რეალური სახით აჩვენოს ისინი ჩვენს დღევანდელ საზოგადოებას. მკვლევარი იცნობს მოდერნიზმის ფარულ და აშკარა სახეს, ყველაფერი ზედმიწევნით იცის იმ ქვედინებებზე, რაც მაშინ აფორიაქებდა ან აღაფრთოვანებდა შემოქმედებით სფეროს. ამას მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევით ვერ იგრძნობს და შეიცნობს ადამიანი, საჭიროა თვითონაც შემოქმედი იყო, ღრმად გრძნობდე ენობრივ ქსოვილსა და ეპოქის მაჯისცემას, სწვდებოდე მის მიღმურ არსსაც და შეგეძლოს პროცესის სრულყოფილი ხედვა. მხოლოდ ,,მშრალი'' მეცნიერული გამოკვლევა არ იძლევა იმ შედეგს, რასაც დღევანდელობა უყენებს ნებისმიერ მკვლევარსა თუ შემოქმედს. ამ კუთხით კიდევ უფრო ნიშანდობლივია სოსო სიგუას ,,მოდერნიზმი'', რომელშიც ამომწურავად არის წარმოდგენილი მთელი ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსი და ,,წმინდა ხელოვნების'' ქართულ ნიადაგზე გადმონერგვისა და დამკვიდრების პათოსი.

სოსო სიგუას ,,მოდერნიზმი'' ყურადღებას იპყრობს ღრმა ცოდნით. სანამ ქართულ კულტურას დიდი გადასხვაფერება-სახეცვლილების დრო მოუწევდა და ,,ცისფერყანწელები'' გრიგოლ რობაქიძესთან ერთად მისი ,,ევროპული რადიუსით'' გამართვას შეეცდებოდნენ, ჩვენი მწერლობა ისეთ რეალობაში იმყოფებოდა, რომელიც თავისთავად ჰბადებდა ახლის ზიარების წყურვილს. ეროვნულ დეპრესიას და რუსული ცარიზმის გაუსაძლისობას 60-იანელების იდეებით ებრძოდა ჩვენი საზოგადოება, მაგრამ ევროპიდან მოსული იმპულსები აიძულებდა ახალი იდეები გაეთავისებინა. მკვლევარი აღნიშნავს: ,,ტალანტს თეორიული აზროვნება ვერ წარმოშობს, მაგრამ ამკვიდრებს ინტელექტუალურ ატმოსფეროს და სპეციფიკური ნიშნებით აღბეჭდავს შემოქმედებით პროცესს'' (გვ. 19).

საგანგებოდაა შესწავლილი ე. წ. ,,განახლების წინამორბედების'': არჩილ ჯორჯაძის, კიტა აბაშიძის, გერონტი ქიქოძის, შიო არაგვისპირელის, ვასილ ბარნოვის, ჭოლა ლომთათიძის, იოსებ გრიშაშვილისა და სხვათა შეხედულებები. წიგნში მათი აზროვნებისა და შემოქმედების ის მხარეებია შეფასებული, რომელთა გაუთვალისწინებლობა შეუძლებე-

ლია მოდერნიზმის სრულყოფილად გააზრებისას. სანამ უშუალოდ მოდერნიზმსა და მის იდეოლოგთა შეფასებაზე გადავიდოდეს, ს. სიგუა მაქსიმალურად ცდილობს, გადაგვიშალოს ეპოქის თავისებურებები. ამ ეპოქის გამოწვლილვით შესწავლამ მკვლევარი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ: ,,ქართული ლიტერატურა სწრაფად, მაგრამ მაინც ევოლუციის გზით გადადიოდა რეალიზმიდან მოდერნიზმში, რაც, პირველ ყოვლისა, მხატვრული აზროვნების განახლებას ნიშნავდა და არა რომელიმე სტილის, მოძღვრების ან მიმართულების დოგმების დაცვასა და ილუსტრირებას. განმაახლებელი ძალა კი ყოველთვის ახალი თაობაა'' (გვ. 54-55). გარდა საკუთრივ ქართული მოდერნიზმის შეფასებისა და მისი ნიუანსობრივი შესწავლისა, ყურადღება გამახვილებულია დიდი ევროპელი და რუსი მოდერნისტების შემოქმედებაზეც, მათ იდეოლოგიურ ტექსტებსა და შეხედულებებზე.

ს. სიგუას ყურადღების მიღმა არ რჩება ევროპეიზმის ტრიუმფი საქართველოში, არც მისი სავალალო მარცხი პოლიტიკასა და ლიტერატურაში. ისიც აღსანიშნავია, რომ ,,შინაგანი ფორიაქის კვალად'' და ეროვნული ცხოვრების გამოღვიძების კვირაძალში სასტიკი დამარცხება იწვნია მოდერნიზმის იდეოლოგიამ და ,,გაიმარჯვა ლ¡უციფერმა და ქვეყანას ბოროტი სული დაეუფლა''.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთერთი თავი ,,თვითმკვლელობის იავნანური'', რომელშიც თვითგამეტების პლასტია განხილული. ს. სიგუამ ერთი საერთო დეტალი აღმოაჩინა სრულიად განსხვავებული ხედვისა და მიმდინარეობების შემოქმედთა ტექსტებში. მათ ურთიერთს მართებულად დაუკავშირა ინტელექტისა და ,,უდროობის გმირების'' განწირულობა. მართლაც შთამბეჭდავია ,,მელანქოლიის ოკეანე'' და ,,ჰეროიკული პათოსი'' გალაკტიონის, ტიციანის, გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში.

სარეცენზიო წიგნში ძალიან საყურადღებოა რიცხვმრავალი მხატვრული შედარება თუ პოეტური სულისკვეთებით აღბეჭდილი სურათები და შედარებები, რაც ნათლად გვაგრძნობინებს, რომ ს. სიგუა, მეცნიერისა და მკვლევრის გარდა, უაღრესად გემოვნებიანი და პოეტური ადამიანია და თავადაც ეწევა შემოქმედებით მოღვაწეობას. აღსანიშნავია ალ. ბლოკის პოეზიის მისეული თარგმანები, რაც დიდი გემოვნებით და აღმაფრენით არის შესრულებული.

სოსო სიგუამ სრულყოფილად იგრძნო უმდიდრესი ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზი, იგი განმარტავს მის მნიშვნელობას, შეუძლია უცდომლად შეაფასოს და ინტუიტურად განჭვრიტოს კიდეც სამომავლო ტენდენციები. როცა სოსო სიგუას ,,მოდერნიზმს'' და სხვა წიგნებს ვეცნობით, შეუძლებელია მოწიწებისა და პატივისცემით არ განვეწყოთ მის მიმართ, იმდენად დიდი და შეუფასებელი შრომა გასწია მან ქართული ლიტერატურის კვლევისა და შეფასების კუთხით. აურაცხელი მხატვრული მასალის გათავისება, მრავალი შემოქმედი ადამიანის ნააზრევის შეცნობა და დახარისხება, საძიებო საკითხისა და პრობლემის მართებულად შეფასება და ახლებური მიდგომა, მათი პროცესებში ჩართვა არის ს. სიგუას ,როგორც პიროვნები-

სა და მეცნიერის, უპირველესი მო-
ნაპოვარი.

EKA KHUPHUNIA-TSKHADADZE

SOSO SIGUA'S "MODERNISM"

s u m m a r y

In the article a new book is reviewed of Doctor of Philology, literary critic and writer, professor Soso Sigua entitled "Modernism". The first achievements are shown following the introduction of this trend into Georgian culture. S. Sigua's research study is presented of the main line of the richest Georgian literature and its import. Worth mentioning is the author's capacity for the faultless assessment and intuitive vision of the book, marking of future tendencies.

giorgi talaxaZe

ადამიანის ბედისწერის იდეა ,,ამირანის'' მითში

უძველესი მითები, ამირანის, არგონავტების და სხვათა შესახებ, ადამიანის ბედის განსაზღვრის საკითხისათვის, სხვა მითებსა და გადმოცემებში, საფუძვლად ედება ფილოსოფიური მსოფლმხედველობის წარმოშობას, რაც ბუნებრივად გამოიხატება, წინარე ქართულ წარმოდგენებში, სამყაროს, განგებისა და ადამიანის გაგების შესახებ.

უძველეს ქართულ ტომთა მითებსა და თქმულებებში, წითელ ზოლად გასდევს ბედისწერის იდეის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ადამიანების ცხოვრებაში. აქ მკვეთრად არის გამოხატული ის დიდი ტრაგიზმი, რაც ახასიათებს პიროვნებათა სულიერ განცდებს და ველურ ვნებებს. სამყარო შექმნილი იყო უფლის მიერ, მან შთაუნერგა ადამიანებს სული, რაც ქმნის სიცოცხლეს. იგი განსაზღვრულია განგების მიერ, განსაზღვრული ბედისწერით, ე.ი. ადამიანის ბედი წინასწარაა დაწერილი ზეცაში და იგი უძლურია რაიმე მოიმოქმედოს.

ძველ მითებში გამოხატულია ქართველთა ეროვნული თავისებურებანი, მათი მისწრაფებები, ხასიათები, ფსიქოლოგია. ამ შემთხვევებში, ნათლად ჩანს ადამიანის ბრძოლა თავისუფლებისათვის, მათი პირველყოფილი ენერგია და დაუმცხრალი ვნებები.

ქართულ მითოლოგიაში, წმინდა გიორგის თქმულებებთან ერთად მთავარი, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მის მთავარ ძეგლს _ თქმულებას ამირანზე, სადაც გამოვლენილია ფილოსოფიამდელი აზროვნების საინტერესო მომენტები. სადავო არ არის, რომ მითოლოგია დიდ საკვებს აძლევდა ფილოსოფიას და ამიტომაც, ჩვენი ხალხის კუტურის ფესვების გარკვევისათვის, უდიდესი მნიშვნელობა არის მისი თქმულებების რაციონალური გააზრება. ამ მხრივ, მრავალფეროვან მასალას იძლევა ამირანის ეპოსი, სადაც გამოვლინდა ძველი ქართველების ფსიქიკური თვისებები.

ამირანში უკვე ძველი აზროვნება ებრძვის, განგების მიერ თავსმოხვეულ ბედისწერას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამირანი პირველი უძველესი მითოლოგიური ძეგლია მსოფლიო ლიტერატურაში, პირველი ერეტიკული ნიშნების მა-

ტარებელი ნაწარმოებია, სადაც ადამიანი უჯანყდება, ებრძვის ღვთაებას, როთაც იგი ეხმიანება და წინ უსწრებს ბერძნულ პრომეთეს და გენიალურ, ბერძნულ ტრაგედიას, სოფოკლეს «ოiდიპოსს».

ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ეს უდიდესი მნიშვნელობის ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, ჰიმნია ბრძოლისა ზოგადსაკაცობრიო იდეალებისათვის, ჰიმნია თავისუფლებისა, რაც ამირანმა მოუტანა თავის ხალხს ცეცხლის სახით, რაც, ფაქტიურად იყო კაცობრიობაში ახალი ცივილიზაციის შემოტანა. სხვანაირად ხომ ვერ განვითარდებოდა რკინის ხელოვნება საქართველოში. მართლაც უძველესი ქართული ტომები, რომლებიც რკინისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა სამეურნეო და საბრძოლო იარაღებს.

ამირანის ეპოსთან შეიძლება გავავლოთ პარალელი განთქმულ «გილგამეშიანთან», სადაც საერთოა ადამიანის ბედის პრობლემა, მაგრამ გილგამეშისაგან განსხვავებით, ამირანი იბრძვის ადამიანთა ინტერესებისა და კეთილდღეობისათვის, ასევე «ამირანში» განვითარებულია ცეცხლის იდეა, გილგამეშის ეპოსთან შედარებით.

«ამირანში» დასმულია წმინდა ფილოსოფიური პრობლემები, მაგალითად: ცხოვრების დასაწყისის პრობლემაა, აგრეთვე, განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული ადამიანის ბედის, მძიმე ხვედრის საკითხი. კიდევ ერთ საგულისხმო დეტალზე უნდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება. ძველ იბერიელთა ფსიქოლოგიის კლასიკურ გამოხატულებას წარმოადგენს ამირანი: იგი პირქუშია, გოროზია, ამაყია, ამპარტავნებამდე მისულიც კი, შმაგი ვნებებითაა შეპყრობილი, ამასთანავე კეთილშობილი ვაჟკაცია, თავგანწირული, თავისუფლებისათვის მებრძოლი და, რაც მთავარია, ცეცხლის, ანუ ახალი ცივილიზაციის დამამკვიდრებელი პიროვნებაა, რამეთუ დიად ვნებათა გარეშე არავითარი დიადი არ შექმნილა.

ამირანისა და ღმერთი ელიას ბრძოლა, ზეციური ცეცხლის განმასახიერებელი ქალღმერთის ყამარის მიწაზე ჩამოყვანა, გამოხატავს სიყვარულის ზეციდან მიწაზე ჩამოყვანას, რაც ადამიანთა ბედნიერებას განაპირობებს, ე.ი. სიყვარულის იდეა საგმირო მოტივის მამოძრავებელი გახდა, მართლაც რა ახლოს დგას «ვეფხისტყაოსანთან», რომელიც ფართოდ ეყრდნობოდა ქართულ მითოლოგიასაც და, ცხადია, ავითარებს «ამირანში» გამოხატულ სიყვარულის იდეას, ზეციერის და მიწიერის ჰარმონიაში, ამქვეყნიური რეალობის ღირებულების გაცნობიერებაში.

ამირანის მითში, როგორც ავღნიშნეთ, დიდ ყურადღებას იპყრობს ყოფნისა და ცხოვრების «საწყისის» საკითხი: საიდან იშვება ცხოვრება? და როგორ არის მზარდი, ცოცხალი? ეს პრობლემა პოულობს განვითარების გზას მსოფლიო აგებულების და მისი «საწყისი» კავშირის ასახვა მოცემულია მითოლოგიური ასახვის ფორმით, ხდება სტატიკურ და დინამიკურ ვითარებაში.

ცხოვრების საწყისი არის წყალი, ღმერთი იგრი, ბერძნებთან («ივრონ»), ნაწარმოებში ნაჩვენებია, რომ ყამარი აწყობს ჯამებს, ე.ი. მსოფლიოს წესი და წყობა დამოკიდებულია მათ დაწყობაზე, ისინი ხველია და თანდათან

შრეებიან, რითაც მყარდება სიმშვიდე სამყაროში.

ამგვარად, ჯამები ყოფილა კოსმოსური ელემენტები, რომელთა განლაგებაზე დამოკიდებულია პლანეტები და ისინი აპირობებენ მსოფლიო ბედს, მათი განლაგების დარღვევამ გამოიწვია ქარიშხალი, როცა ამირანმა გაიტაცა ყამარი. ეს, ფაქტიურად პირველი ნაბიჯებია ატომების აღმოჩენისაკენ, რაც აღმოაჩინა ბერძნულმა აზროვნებამ. ჯამის ელემენტები ყველა ერთია, არის მხოლოდ რომელომითი, ე.ი. ეს მოსაზრება ახლოსაა დემოკრიტესთან.

პოემაში მოცემულია მითოლოგიური ფორმით გამოხატული ფილოსოფიური აზრი, საწყისის არსებობიდან მსოფლიო ელემენტების წარმოშობამდე, თალესიდან დემოკრიტემდე. აქ აგრეთვე მოცემულია, უსასრულობის და მარადიულობის გაგება, როცა მარადიული ცხოვრების ზიარება, უდრის გაღმერთებას. ასევე წამოყენებულია რკალებრივი განვითარების აზრი, იგი ქვეყნის ციკლური განვითარების ერთი ადრინდელი სახეთაგანია, რა შეხედულებაც ჩამოაყალიბა ჰერაკლიტემ და მასზე დაყრდნობით შეიქმნა ბერძნების მიერ, მსოფლიოს მთლიანი სურათი.

მართებულად შენიშნავს დიდი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე: «უძველეს ძეგლებში ქართველ წინაპართა აზროვნებისა და შემოქმედებისა შეიცავს ზოგიერთ სააზროვნო ელემენტს უფრო მაღალი სააზროვნო ფორმებისათვის და ამით მოპოვებული აქვთ სრული უფლება შეტანილ იქნენ ფილოსოფიამდელი აზროვნების ისტორიაში» [3:81].

უდავია, რომ ამირანი პრომეთეს წინამორბედია, რის გამოც, პრომეთეს მითში ასახულია მსგავსი იდეები, ე.ი. გარკვეული გავლენა უნდა ვეძიოთ ამირანის მითისა და ბერძნულზე და შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ფილოსოფიური მომენტები გაზიარებული და ასახული იქნებოდა ბერძნულ ფილოსოფიაში, ასევე იქნებოდა უძველესი ხანის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში, მაგრამ ჯერჯერობით ვარაუდის დონეზე ვრჩებით, რადგან ძველი ფილოსოფიური წყაროები გამქრალია. ჩვენს ვარაუდს ამაგრებს ის, რომ შემდეგ ძველ კოლხეთში არსებობდა ფილოსოფიური სკოლა, ფაზისის აკადემია სადაც ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსები სწავლობდნენ.

ამირანი, რომელიც არის ბედთან მებრძოლი გმირი, შეებრძოლა ბედისწერას, მისი ბედი ძალიან ჰგავს ქართველი ხალხის ბედს, რომელიც კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულია ამირანივით. დღესაც გახვეულია, გახლართულია, ობობას ქსელივით, სოციალური, ეკონომიკური და ეროვნული პრობლემების გორგალში, თავისი ჩრდილო მეზობლის მიერ, დღესაც ელის ხსნას და იმედს არ ჰკარგავს.

ბერძნულ მითში ჰერაკლემ ზევსის ნებით, გაათავისუფლა მიჯაჭვული ტიტანი პრომეთე, ხოლო ჩვენი ამირანი, იგივე ჩვენი ხალხი, კვლავ ელის დავითივით ახალ ჰერაკლეს, რომელიც გაათავისუფლებს ამირანს ანუ საქართველოს.

ამრიგად, მართალია, ამირანი მიჯაჭვული გმირია, მაგრამ იგი მაინც ბედისწერისადმი შეურიგებელია, რითაც გამარჯვებულია. ეს იდეა, რომელიც ძველი ქართული აზროვნების სულს გამოხატავს, ბედისწერისადმი შეურიგებლობა, იყო მოწინავე გაგება იმდროინდელ მსოფლიო

აზროვნებაში, რასაც ადამიანის ბუნების გაგებაში მიაღწია ქართულმა აზროვნებამ, ასევე სიყვარულის იდეის მიწაზე ჩამოსვლა, ამქვეყნიური ღირებულებების აღიარება, სხვა ქართული კულტურის მიღწევებზე დაყრდნობით, ეს მნიშვნელოვანი ნიშანსვეტები იყო ძველი ქართული კულტურული მონაპოვრების მაღალი დონისა, როთაც საფუძველი მოუმზადა შემდეგი დროის ქართულ აზროვნებას, რომელმაც გამოიყენა, აითვისა, განავითარა ეს მონაცემები VII-X საუკუნეებში, ხოლო სრულყოფილი სახით მისი აღიარება, აღორძინება, განვითარება მოხდა XI-XIII საუკუნეების ქართულ რენესანსულ კულტურაში.

GIORGI TALAKHADZE

s u m m a r y

The idea of the "Myth of Amirani" exposes the spirits of thinking in ancient Georgia. The fighter against divine wills of Gods, not obeying the fate, brought the idea of Love to the earth as an acknowledgement of significance of its worldly value. This myth laid the foundation for the farther development of Georgian thought.

ლიტერატურა

1. შალვა ნუცუბიძე, ამირანი, თბ., 1945;
2. შალვა ნუცუბიძე, შრომები, ტ. VIII, თბ., 1983;
3. ივანე ჯავახიშვილი, თხზულებათა ტომი II, თბ., 1983.

,,ბიოეკონომიკა'' და მისი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობა საქართველოში

საერთაშორისო სამომხმარებლო ბაზარმა, განსაკუთრებით – ევროპისამ, ტრადიციული ენერგო რესურსების ნაკლებობის გამო იწყო ყველა სახის ალტერნატიული ენერგომატარებელ რესურსთა გამოყენება, როგორიცაა:

- მზის ენერგია / Hellio Energy
- თერმალური წყლის ენერგია / Termal Water Energy
- ქარის ენერგია / Exposure Energy
- ალტრნატიული ენერგეტიკის აღდგენითი ბიოენერგეტიკა /Bio Energy

და სხვა.

სასარგებლო და უაღრესად მისაღები – ალტერნატიული ენერგომატარებელთა რესურსები, სარგებლობს უდიდესი სოიალურ – სამომხმარებლო მოთხოვნილებით მთელს მსოფლიოში და გამოიყენება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად, მიუხედავად იმისა, რომ მათი სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი /მ.ქ.კ/ მერყეობს 30%-70% ფარგლებში, ვინაიდან კაცობრიობის აზრის ტექნიკურ გადაწყვეილებას, ჯერ კიდევ არ ძალუძს ეს პროცესი ტექნიკურად უზრუნველჰყოს და რეალურად გადაჭრას მისი აკუმულირების /ენერგიის შენახვის/ საკითხის დაურეგულირებლობის გამო, დღისით გამომუშავებული ენერგია, გამოყენებულ იქნას, ღამით.

მზის ენერგია / Hellio Energy

საქარველოს გეოგრაფიული განლაგების გათვალისწინებით, სადაც მზის საშუალო გამოსხივების ხანგრძლიობა მერყეობს 250 – 280 კალენდარული დღე წელიწადში. ამავ დროს 1 900 დან 2 200 საათი შეესაბამება მზის ენერგიის სრულ წლიურ თეორიულ პოტენციალს 108 მეგავატის ფარგლებში, რაც ნათელჰყოფს იმას, რომ მზის გამოსხივების ხანგრძლიობით – საქართველო, მეტად ეფექტური წინაპირობით განიხილება საერთაშორისო ბაზარზე.

თერმალური წყლის ენერგია / Termal Water Energy

რიგი საქარველოს რეგიონებისა, ცნობილია თავიანთი თერმალური წყლის რესურსებით, რომელთა ტემპერაურა მერყეობს 25-110 გრადუსის ფარგლებში ცელსიუსის გრადაციით, რომელთა დებეტიც აღემატება 250 მილიონ კუბომეტრს. სამწუხაროდ ამ სპეციფიკის ტექნიკური "სრულყოფა" – არ იძლევა საშუალებას

სათანადო საინჟინრო ტექნოლოგიურ ღონისძიებათა უზრუნველყოფით მიღწეულ იქნას სასურველი შედეგი, რათა მიწოდებულ იქნას თბოენერგია, მომხმარებლამდე – რომელიც არ იქნება ნაწილობრივ დაკარგული – მიწოდების პროცესში. სამწუხაროდ – კაცობრიობის აზრის ამ პრობლემის ტექნიკური გადაწყვეტილებისათვის ჯერ კიდევ – უსუსურია.

ქარის ენერგია / Exposure Energy

საქარველოს ყველა რეგიონი ძლიერ მდიდარია – ქარის ენერგიის პოტენიალით, რომელიც საორიენტაციოდ შეფასებულია – 4,5 მილიარდ კილოვატ საათად, რომლის საშუალო წლიური სიჩქარე ქვეყნის ტერიტორიაზე მერყეობს 5-8 მეტრი წამში. სამწუხაროდ აღნიშნული ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენება საქართველოში მეტად მცირეა და შეუმჩნეველია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კომპლექსურად არ არის შესწავლილ /შეფასებული საქარველოში მისი პოტენიალური შესაძლებლობა, რითაც ეკონომიკური პრინციპი – მისაღები ეფექტური უკუგებისა – სრულად იგნორირებულია.

ალერნარიულ ენერგეტიკის – აღდგენითი ბიოენერგეტიკა/Bio Energy

ალტერნატიულ ენერგეტიკის მრავალსახეობათაგან, აღდგენითი ბიოენერგეტიკა განხლებად ენერგორესურსებს განეკუთვნება ანუ – ბიომასიური ენერგიის სახეობანი, რომლებიც მიიღება ყველა სახის აგრო/ ბიო და ორგანულ სახეობათა ნარჩენებისაგან, რაც კოლოსალური რაოდენობით არსებობს საქარველოს ნებისმიერ რეგიონის ყველა კუთხეში.

არსებული ნარჩენების "განფენა" საქარველოს ფლორაში – რიგ შემთხვევაში

აბინძურებს/ანაგვიანებს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს, რითაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმ პრეროგატიულ სახელმწიფოებრივ განვითარებას რასაც ითვალისწინებს ტურისტული მიმართულების აღმავლობა, საქართველოში შეაქვს რა უარყოფითი ნიშანთვისებები ტერიტორიის ეკოლოგიური დაცვის ნორმატივებში.

ბიოენერგეტიკული აღდგენითი ენერგეტიკის სახეობებია: "ბიო – პელეტი" "ბიო –გრანული" და "ბიო – ბრიკეტი", რომლებიც იკავებენ სათანადო ადგილს, კაცობრიობისავის მოზანმიმართული და საფასო პოლიტიკით მისაღები ენერგორესურსების ჩამონათვალში, რისთვისაც კაცობრიობა იღწვის თავისი არსებობის მანძილზე.

ბიო – პელეტი და ბიო – გრანული, სოციალურ – სამომხმარებლო მოთხოვნილებათა ბაზრის შეფასებით – ნაკლებად ალბათურია, ვინაიდან მათ გამოყენებას ესაჭიროება – სპეციალური ღუმელი, სათანადო

დანადგარი და შესაბამისი ფართი, რომელთა უზრუნველყოფა საოჯახო ბიუჯეზე მოქმედებს – საგრძნობლად და წამგებიანად.

ბიოენერგეგტიკული პროდუქცია – ბიობრიკეტი გამოიყენება არსებულ თბო აგრეგატებში, რომელიც ადრე მუშაობდა, "მკვრივ/მაგარ" საწვავზე – შეშა, ნახშირის სხვადასხვა სახეობანი და ა.შ. – ბუხარი, ღუმელის სახეობანი, საუნა, სამგზავრო რკინიგზის ვაგონის გამთბობი აგრეგატი, სათბურის გამთბობი სისტემა, საზოგადოებრივ – საცხოვრებელ შენობა ნაგებობათა გათბობისათვის და ა.შ., რომელთა პრაქტიკული უზრუნველყოფითაც – ოჯახური ბიუჯეტის გასაცემი მინიმალური ხარჯებია უზრუნველყოფილი.

ბიობრიკეტს – გააჩნია სასაქონლო სახე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაა, იკავებს მინიმალურ ფუნქციონალურ შესანახ ადგილს, იძლევა მაქსიმალურად – თბოუკუგებას გასათბობ სივცეში, იწვის 4-7 საათსა და ამით საოჯახო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს აყენებს მინიმალურ სახარჯთაღრიცხვო ვალდებულებას, როდესაც იგი იძლევა – მაქსიმალურ ფუნქიონალურ უკუგებას.

ბიობრიკეტის დღევანდელი ევროპული საბირჟო სასაქონლო ღირებულება – 20% მეტია ბიო – პელეტისა და ბიო – გრანულთან შედარებით.

საქართველოში ბიობრიკეტის საწარმოო პროცესი ეფუძნება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურათა F A O და U N I D O მიერ დამუშავებული ტექნოლოგიურ ციკლს –

"REGIONAL WOOD DEVELOPMENT PROGRAMME IN ASIA GCP/154/NET. FOOD AGRICULURAL ORGANIZAION OF THE UNIED NATIONS. BIOMASS BRIQUETTING" – technology and practices. Field Doument №46.

აღნიშნული ტექნოლოგიის არსებობა უზრუნველჰყოფს გადაწყვეილ იქნას ყველა არსებული, ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-ფინანსური საკითხები, მისი წარმოების კომპლექსური მიდგომის სრატეგიული განვითარების ფონზე.

არსებული ტექნოლოგიის სრულყოფის ნათელ მაგალითად შესაძლოა ჩაითვალოს ის, რომ ტექნოლოგიის საბაზისო რეცეპტურის ნორმატივები ბევრად

ძლიერდება, საქართველოში არსებული მრავალრიხოვანი აგრო/ბიო და ორგანული ნარჩენების დანამატებით/შერევით. ბიოენერგეიკული პროდუქიის ტრადიციული პარამეტრებია:

- სიმკვრივე ----- 1 100 – 1 300 კგ/მ³ და მეტი
- სინოტივე ----- 8-16 % და მეტი +_ 5 %
- თბოუკუგება ------ 18 და მეტი/ ქვანახშირისა – 19,5 ხოლო შეშა – 6,5.
- ნაცრიანობა ----- 1,5%-2,0% /ქვანახშირისა შეადგენს 4,0%-10,0 %.
- წვის ხანგრძლოვობა ----- 4-7 საათი
- გასათბობ სივრეში ტემპერატურა -- -------- 15 – 40 გრადუსი
- შესანახი ფართი ------ 460 კგ/მ3
- წვა მცირედი ნაცრიანობით ------ 0,5-2,0%
- ნაცარი გამოიყენება ------ სასუქად

ბიოენერგეიკული პროდუქიის ხანგრძლივი შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის, საჭიროა მისი სათანადო შეფუთვა, რომელიც უზრუნვე-

ლყოფს პროდუქიის დაცვას სისველისაგან – რაც განაპირობებს უპრობლემოდ მის შენახვას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

აღნიშნულით საქართველოსათვის – იქმნება ყველა ის წინაპირობა, რათა საქართველომ დაიკაოს საერთაშორისო ბაზარზე შესაბამისი სივრცე, როგორც

ბიოენერგეიკული პროდუქიის – მწარმოებელმა ქვეყანამ, რომელსაც ექმნება სათანადო იმიჯი – ბიოენერგეტიკული პროდუქიის მიმწოდებელი ქვეყნისაც.

საქართველო, სასოფლო – სამეურნეო – აგრარული ქვეყანაა. ქვეყანა, რომელსაც გააჩნია კოლოსალური ოდენობის და პოტენციალურად მზარდი მოცულობა – ეკოლოგიურად ყველა სახის აგრო/ბიო და ორგანული წარმოშობის სახეობათა ნარჩენებისა, რომლებიც სათანადო პროპორციული დანამატების სახით, არსებულ საერთაშორისო ტექნოლოგიურ რეცეპტზე დანამატის სახით ქმნის სათანადო მოთხოვნად – ბიოენერგეტიკულ პროდუქციას, რითაც ხორციელდება:

- თბოუკუგების მონაცემთა ზრდა ---- 15 % -20 %
- წვის ხანგრძლიობის ზრდა------ 20-30%
- პროდუქციის საფასო პოლიტიკის ცვლილება ------- 15 % - 25%

ამასთანავე ხარისხობრივ – სამომხმარებლო მაჩვენებელი ბიოენერგეტიკული პროდუქციისა, იძენს ფუნქციონალურად ბიოსაწვავის თვისობრივ დანიშნულებას, რაც სრულად პასუხობს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტულ მოთხოვნილებათა მონაცემებს – ეკოლოგიური სისუფთავე, გამონაბოლქვი, რომელიც არ აღემატება – 80%, მათ შორის ავტომანქანის საწვავის 5-10%, ახლო პერსპექტივაში სავალდებულოა იყვეს – ბიოსაწვავი.

(დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ნორმატივი 2020 წ.)

სასოფლო – სამეურნეო – აგრარულ ქვეყანა საქართველოში, ტრადიციული ენერგომატარებლები / ავტოსაწვავის ყველა სახეობა და ბუნებრივი აირი/ იმპორტირებულია სხვა ქვეყნებიდან და ამიტომ მათი სარეალიზაიო ფასი – მეტად მაღალია. აღნიშნული პოსტულატიდან გამომდინარე – საქართველოში წარმოებული ბიოენერგეიკული პროდუქცია / ბიოსაწვავის საბაზისო ნედლეული ტრადიციულად ამოუწურავი ოდენობისაა, საწარმოო პოტენციალი – მინიმიზირებულია, ხოლო საწარმოო რენტაბელობა/მომგებიანობა კი – მაქსიმილიზირებული.

ბიოენერგეტიკული პროდუქია / ბიოსაწვავის სამრეწველო პოტენციალის სრულად გადანაწილება / გაშლა საქართველოს სინამდვილეში –

განაპირობებს, ქვეყნის მოსახლეობის 0,007 % – სრულად, ხანგრძლივ და მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებას, საერთაშორისო სტანდარტულ, თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნილებათა შესაბამისი, "დამაწყნარებელი ფასით" მის მიწოდებას სოცალურ – სამომხმარებლო მოთხოვნილებათა გათვალისწინებით – მომხმარებლამდე.

F A O მონაცემებით, მსოფლიოს 14% და ევროკავშირის 3% – ბიოენერგო მოხმარებას შეადგენს, სადაც სარგებლობის მთლიანი მოცულობიდან 25% – მოდის ინდუსრიულ ქვეყნებზე., ხოლო 75 % – ენერგო მოხ-

მარება – განვითარებადი ქვეყნების პრეროგატივაა.

ბიომასის ენერგიის გამოყენების სრუქტურა ნათელჰყოფს, რომ ტრადიციულად – შინამეურნეობა და ფერმერული ორგანიზაციები წარმოადგენენ მის ძირითად მომხმარებელს, რაზეც მოდის მთელი ენერგიის 65%. ამ მხრივ ყველაზე აქტიური მომხმარებლები არიან; სკანდინავიის ქვეყნებიდან – შვედეთი, ნორვეგია, დანია, ცენრალური ევროპიდან კი – ავსტრია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია, გერმანია, საფრანგეთი და იტალია.

ბიომასის ენერგიას ევროპის ქვეყნების ენერგომომარაგებაში უკავია დღეისათვის მხოლოდ არასრული – 4,9%. აშშ-ში იგი – 5,5%. ექსპერტმეცნიერთა აზრით ყოველწლიურად ბიომასის ენერგიის წარმოების ზრდის ტემპი 1,3%, შეადგენს ევროპაში, რომელმაც 2020 წლისათვის უნდა მიაღწიოს 9-10 %.

სკანდინავიის რიგ ქვეყნებში, ბიოენერგიის მისაღებად, გამოიყენება მთლიანი სამერქნე მასალის დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების 60,5%, აქედან საფრანგეთში – 55,9%, ესპანეთში – 44%, შვეიცარიაში – 56,5 %.

ამერიკის შეერთებულ შტატებში – ბიოენერგეტიკა დიდ როლს ასრულებს ფერმერულ მეურნეობათა ცხოვრებაში, მათ ფუნქციონირებად ენერგო მომარაგებაში;

საყოფაცხოვრებო, სასათბურე, საქონლის სადგომთა გათბობა – განათების საქმეში. დღეისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ბიომასის ენერგიას უკავია მთლიანი ენერგიის მოხმარების – 30%, ვინაიდან დღეს წლიური ბიომასის ენერგია 800 მეგავატს ითვლის, რადგანაც ცალკეული ფერმერული მეურნეობები – თავადვე გამოიმუშავებენ თავისი საჭიროების ენერგიას და არ არიან დამოკიდებულნი სახელმწიფოს მონოპოლურ და განკერძოებულ გადაწყვეტილებებზე.

კომპლექსური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მსოფლიო მრგვალი ხის საწარმოო წლიური მოცულობა დაახლოებით შეადგენს 2 315 000 $მ^3$. მიღებული ხის მასალის ნახევარფაბრიკატი შეადგენს 63% ხოლო წარმოქმნილი ხის ნარჩენების 27 % იწარმოება ბიომასიური პროდუქტია / ბიოსაწვავის სახით მხოლოდ 9-10 %.

ბიმას/ბიოსაწვავის წარმოების მაჩვენებლები / F A O მონაცემები 2009 წ.

კაცობრიობამ, მთელი ძალისხმევა უნდა მიმართოს – აგრო/ბიო და

№	ბიოენერგეტიკული პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნები	მრგვალი ხის მერქნული დამუშავება $მ^3$/წელიწ.	ნარჩენების ოდენობა $მ^3$/ წელიწადი		შენიშვნა
			ნარჩენები სულ %	ბიომასის წარმოების ნედლეული	
1	ევროპის კოტირებული 15 ევროკავშირის ქვეყანა	234 მლნ	65 %	30 %	
2	რუსეთი	210 მლნ	75 %	10 %	
3	საქართველო	6 მლნ	70 %	2,7 %	

ორგანული ნედლეულის წყაროების დამუშავებაზე, რაც პირდაპირ პასუხობს – თანამედროვეობის სოციალურ-ეკონომიკურ და სამომხმარებლო მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ პერსპექტულ მიმართულებას, რაც განპირობებულია ტრადიციული სანედლეულო რესურსების კლებადობით დედამიწის სფეროში /ნავთობი და ბუნებრივი აირი / კომპლექსურ პრობლემათა გადაწყვეტა – კაცობრიობას მისცემს საშუალებას, ენერგო მოხმარების პროცესი მიიმართოს იმ მიმართულებით, რაც უზრუნველჰყოფს:

- ბუნებრივი ფლორის სრულიდავა
- ხე – ტყის საწვავ ნედლეულად გამოყენების – შემირება/უგულვებელყოფა
- აგრო/ბიო და ორგანული ნედლეულის წარმოშობის კომპლექსური ორგანიზაცია

ბიოენერგეტიკული პროდუქციის წარმოება / გამოყენება მრავალ ფაქტორთან ერთობლიობით უზრუნველყოფს პრაქტიკულად სოციალურ – ეკონომიკური მიდგომას, რომელიც ეყრდნობა ახალ სამეცნიერო და ეკონომიკური საფუძველს, სახელწოდებით – ბიოეკონომიკა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორტეტულ მიმდინარეობას ტურიზმის სფეროს მრავალმხრივი და კომპლექსური განვითარების წამყვან მიმდინარეობად მიჩნეულ არს ბიოენერგეტიკული პროდუქიის/ ბიოსაწვავის წარმოებისა და ფუნქციონალური გამოყენების სრული ციკლი, საქართველოს ტურიზმის განვითარების სინამდვილეში.

კომპლექსური მიდგომა ბიოენერგეტიკული პროდუქიის/ ბიოსაწვავის წარმოებისა საქართველოში მოითხოვს მის ყიველ ეტაპზე პრაქტიკულ განხორიელებას, განსაკუთრებით ტურიზმის განვითარებისას. ტურიზმის განვითარება ხასიათდება ორი სავალდებულო ეტაპით:

- მოსამზადებელი
- შედეგობრივი

ბიოეკონომიკის საფუძველი – წარმოადგენს ორივე ეტაპისათვის სავალდებულოა აუცილებელ ფაქტორთა ერთობლიობას.

მოსამზადებელი ეტაპი

საქარველოს ნებისმიერი რეგიონი, კუთხე, უბანი – ტურიზმის სფეროს განვითარებისათვის, მოითხოვს ბუნებრივი ნარჩენებისაგან გასუფთავებასა და გაწმენდას, რითაც წყდება ისეთი ძირეული საკითხი.

- ამ საქმისათვის, ხანგრძლივად და სტაბილურად საქმდება საქართველოს მოსახლეობის 0,007% სხვადასხვა სფეროში /ასაკოვანი ცენზისა და განათლების მიუხედავად / სტაბილური და ხანგრძლივი შემოსავლით.
- საქარველოს ფლორა – გადარჩება შემდგომ გაჩეხვა/გაკაფვას
- არსებულ ბუნებრივ ნარჩენებს – ენიჭებათ, რეალური საფასო პოლიტიკა

შედეგობრივი ეტაპი

განაპირობებს არსებული ბუნებრივი ნარჩენებისაგან, თანამედროვე სოციალურ – სამომხმარებლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ბიოენერგეიკული პროდუქიის / ბიოსაწვავის წარმოებისათვის ყველა საჭირო სამეწარმეო სფეროს – აწყობა და განვითარება

ბიოენერგეიკული პროდუქიის / ბიოსაწვავის პროდუქციის საექსპორტო მიწოდება განაპირობებს საქართველოს მიერ შესაბამისი ადგილის დაკავებას – საერთაშორისო ბაზარზე.

ახალი სამუშაო ადგილები მოიცავს – სოციალური სფეროს ყველა მიმართულებას.

ტრადიციული ენერგეტიკული საწვავი/ნავთობის სახეობები ბენზინის სახით და ბუნებრივი აირი / იმპორტირებული ტრადიციული ენერგო მატარებლებს განეკუთვნება, რის გამო მათი სარეალიზაციო ფასი – მაღალია.

ბიოენერგეტიკული პროდუქიის / ბიოსაწვავის წარმოება საქარველოში განაპირობებს მისი საფასო/ სარეალიზაციო ფასის – მინიმიზაციას.

საქარველოს ექმნება – დამაჯერებელი იმიჯი, მწარმოებელი და მიმწოდებელი ქვეყნისა, რაც მრავლისმომცველად განაპირობებს – ქვეყნის ტურისტული სფეროს სწრაფად განვითარებას.

დღეისათვის მსოფლიოში ბიოენერგეტიკული პროდუქიის / ბიოსაწვავის წარმოება, წარმოადგენს მსოფლიო ენერგეტიკულ რესურსთა მოხმარების 15 %, ხოლო ევროპის გაერთიანებისათვის – 5 % საქართველოში კი იგი – 0,3 % შეადგენს.

ბიოენერგეტიკული პროდუქიის / ბიოსაწვავის რესურსების ქმედითუნარიანობა და გამოყენების ეფექტურობა მსოფლიოში, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს – ენერგეტიკულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის სოციალურ – სამომხმარებლო ბაზარზე, რაც უზრუნველყოფს ტრადიციული ენერგო რესურსების ჩანაცვლებას როდესაც იგი წარმოადგენს: ეკოლოგიურად სუფთა, ეკონომიკურად – მისაღებ და სუპერ რენტაბელურ ენერგეტიკულ "ნაციო-ნალურ პროდუქიას" – ბიოეკონომიკის მოღვაწეობის სფეროში.

ლიტერატურა

1. Рохленко Д, Н «Дрова для третьего тысячалетия» М.: 1999, Наука и жизнь.
2. Котлер «Маркетинг для третьего тысячалетия» РФ Пермь 2006 Луч
3. www.statatistics. ru
4. FAO stat
5. Келнджеридзе М. Б. «Биомногогранность» РФ Пермь 2007 Луч.

MERAB KELENJERIDZE

SOCIAL – ECONOMICAL EFFICIENCY OF REALITY "BIOECONOMIC" IN THE GEORGIAN TOURIZM LIVE IN FACT

s u m m a r y

The taim of which it's stady scienificially, make analyses and in practice aprobate alternative Energetics in Bio/ Agro and Organic production, in such agriulural counry which is Georgia.

The work has many – sided geographic range, it includes not only company of Georgia, but as "GeoBioEnergetic" is Georgian branch of inernaional company of "Fuel Energetical Briquette – F.E.B"

It's most important and valuable approach is:

a/ Made the market analyses of agro/bio waste, whih has potential possibiliy to produced the goods that haven't produed before and which in great social-consumer demand.

b/ Working spere of this scientific – practical approach are those fields and trends, as ;

1. Prevention of tree - cutting in Georgia – that meets reguirements of tourizm, whih is basis and prior trend of country.
2. Production of Bioenergetic is a new generation in acologically clean - Pure alternative energy in the world.
3. Creaton of new working places – making despite ; age, professional and ther .

Producing export goods, applied with international Patent Prerogativity,

Pricing policy, which ensure sable and long term profitability on high rentable background.

emilia alaverdova

დასავლეთის აზრი ჩრდილოეთ კავკასიაზე

ჩრდილოკავკასია და კასპიის ზღვის აუზი, რომლებიც არიან რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონები, არანაკლებ მნიშვნელოვანი არიან ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

კავკასია არის უმღავრესი საერთაშორისო კვანძი, სტრატეგიული გზაჯვარედინი, რომელიც აკავშირებს ევროპას შუა აზიის ქვეყნებთან, ინდოეთთან, ჩინეთთან და ჩრდილოეთ ევრაზიას შუა და ახლო აღმოსავლეთთან. მისი მნიშვნელობა არსებითად იზრდება გლობალიზაციის პირობებში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოხსენების შემდეგ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, მადლენ ოლბრაიტმა გამოიტანა დასკვნა, რომ ,,ამ რეგიონის ფორმირება არის მთავარი ამოცანა'' და ამით აშშ შეძლებს კასპიის ზღვის ენერგორესურსების კონტროლს.

როგორც არსებული მონაცემებით ირკვევა ,,კასპიის სტრატეგიის'' დამუშავებით დაკავებული არიან აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის რამდენიმე ასეული სპეციალისტი, კონგრესი და სხვა სამეცნიერო კვლევითი ცენტრები. მათი მონაწილეობით ტარდება სხვადასხვა სახის კონფერენციები, სემინარები, მოსმენები, რომლებიც მოწოდებულნია ხელი შეუწყონ ამ რეგიონში პოლიტიკური კურსის ყველაზე ეფექტური გზებისა და მეთოდების განსაზღვრას.

ამ რეგიონში აშშ-ის პოზიციის განმტკიცებასა და გაფართოებას ხელს უწყობს აქ არსებული სხვადასხვა სახის საკმაოდ აქტიურად მოქმედი ამერიკული არასამავრობო ფონდები და ორგანიზაციები, როგორიცაა მაგალითად, სოროსის ფონდი, ამერიკული ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, პარტნიორობის ფონდი და სხვები. არანაკლებ მნიშვნელოვანია რეგიონში მოქმედი საერთაშორისო საფინანსო დაწესე-ბულებები და ორგანიზაციები.

ამერიკელი ოფიციალური წარმომადგენლები მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ აშშ-ის პოლიტიკას კავკასიაში, კერძოდ კი ჩრდილოეთ კავკასიაში, მთავარ მიზნად დასახული აქვს რეგიონის ახალი სახელმწიფოების გაძლიერება, მათში პოლიტიკური დემოკრატიისა და საბაზრო ეკო-

ნომიკის ინსტიტუტების განმტკიცება და რეგიონული კონფლიქტების ალბათობის შემცირება. ისინი მიიჩნევენ, რომ ამ მიზნების რეალიზება შეიძლება მოხდეს ახალ სახელმწიფოთა და ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობით. თუმცა, აშკარაა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები კავკასიის მიმართულებით გახდა ენერგორესურსები, რომლებსაც ვაშინგტონი ცდილობს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს.

EMILIA ALAVERDOVA

VISION OF THE WEST TO THE NORTH CAUCASUS

summary

Caucasus with its energy recourses is the most important for Russia and USA/ As well as it is one of the main link between Europe and the countries of Middle Asia and other not less imroptant countries. Its existence becomes obvious in the period of globalization. And not important point is that it is the region of competition between the two giants: Russia an America.

ლიტერატურა

1. Добаев И. П. Георолитика Турции на Кавказе. Известия высших учебных заведений. Северо-КАвказский регион. Общ. науки. – 1999. №1. с. 11.
2. Гаджиев К. С. Геополитика Кавказа. М., 2003, с. 370.
3. Абдулатипов Р. Г. Национальный вопрос и государственное устройство России. М., 2000, с. 284.
4. Бжезинский З. Великое преобразование. «Демократия 1990-х»

xaTuna CafiCaZe

ნეოლიბერალიზმის კრიზისი

ნეოლიბერალიზმის მიმდინარე კრიზისის გასააზრებლად კვლავ უნდა დავუბრუნდეთ თავად ცნება «ნეოლიბერალიზმის» განმარტებას.

როგორც მკვლევართა უმრავლესობა ასაბუთებს, ნეოლიბერალიზმზე საუბრისას თანამედროვე კაპიტალიზმი მიიღება მხედველობაში; ნეოლიბერალიზმი პრაქტიკულად _ კაპიტალიზმის განვითარების ახალი ეტაპია, რომელიც დაახლოებით 1980-იანი წლებიდან იღებს სათავეს იმგვარ დიდ სახელმწიფოებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები[1].[1] აღნიშნული თეორიულ-პოლიტიკური კურსი შემდგომ განხორციელებულ იქნა ფაქტობრივად მთელს ევროპაში, მოგვიანებით კი _ იაპონიასა და შემდგომ, ზოგადად მსოფლიო მასშტაბით.

ამგვარად, ნეოლიბერალიზმი _ კაპიტალიზმის განვითარების ახალი ფაზაა, რომლისთვისაც პირდაპირ რომ ვთქვათ _ სპეციფიკური ტიპის ძალადობაა დამახასიათებელი. კაპიტალიზმის განვითარების აღნიშნული ახალი ეტაპი ძირითად მიზნად ისახავდა იმ ადამიანთა შემოსავლების აღდგენასა და განუზომელ ზრდას, რომლებიც თავისი შემოსავლების ოდენობისა და სოციალური სტრატიფიკაციის მიხედვით _ უმაღლეს კლასს მიეკუთვნებიან. ამ თვალსაზრისით, ნეოლიბერალიზმი ძალზე წარმატებული გახლდათ და მისი განვითარება შეიძლება ითქვას, აღნიშნული ტრაექტორიით მიემართებოდა 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე, რომელიც ფაქტობრივად თავად ნეილიბერალიზმის კრიზისს წარმოადგენს. აღნიშნული კრიზისის განმაპირობებლად იქცა მშრომელთან მიმართებაში ახალი დისციპლინის შემოღება, რაც მისი მსყიდველობითი უნარის შეზღუდვა-შესუსტებას ითვალისწინებდა. ეს ყოველივე ნეოლიბერალური გლობალიზაციის ფონზე მიმდინარეობდა, რაც მსოფლიო მასშტაბით თავისუფალ ვაჭრობას, კაპიტალის თავისუფალ ბრუნვასა და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას გულისხმობს.

დაისმის კითხვა _ თუ რატომ შეძლო უმაღლესმა სოციალურმა სტრატამ მიეღწია წარმატებისათვის ნეოლიბერალური პოლიტიკის შემუშავება-იმპლემენტაციის თვალსაზრისით კონკრეტულ პერიოდში მა-

1. Dumenil G., Levy D., The Crisis of Neoliberalism, 2010, Harvard University Press, p.p. 10-25.

შინ, როცა მიუხედავად რაოდენობრივი სიმცირისა (ისინი, როგორც წესი შეადგენენ საუკეთესო შემთხვევაში საზოგადოების მხოლოდ 5, ხოლო ძირითადად _ 1 ან 2%-ს), მათ ყოველთვის სურთ და ძალუძთ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალიზაცია? ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამ განაპირობა ერთ კონკრეტულ პერიოდში ნეოლიბერალიზმის წარმატება?

საქმე ის გახლავთ, რომ ე.წ. დიდი დეპრესიისა და II მსოფლიო ომის შემდეგ, ომის შემდგომ პირველი ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკური მდგომარეობა სრულიად განსხვავებული იყო, რადგან გლობალური მასშტაბით იმგვარ მნიშვნელოვან სოციალურ მოძრაობას ჰქონდა ადგილი, როგორიც გახლდათ კლასობრივი ბრძოლა; სახეზე იყო მუშათა წინააღმდეგობა არამხოლოდ შეერთებულ შტატებში, არამედ, ზოგადად მთელს მსოფლიოში. ამგვარად, კაპიტალისტური წრეები იძულებულნი იყვნენ სერიოზულ კომპრომისებზე წასულიყვნენ. თუმცა 1970-იან წლებში დიდმა გლობალურმა სტრუქტურულმა კრიზისმა, რომელსაც ადგილი განსაკუთრებით იმ ქვეყნებში ჰქონდა, სადაც საერთო ინფლაცია და მასთან დაკავშირებული პროცესები მიმდინარეობდა, კლასობრივი ბრძოლისა და კონფრონტაციის ახალ ფაზას დაუდო სათავე, რომელშიც კაპიტალისტური კლასები წარმატების გზაზე სწრაფად მიიწევდნენ წინ. მათ მოახერხეს იმ ახალი სოციალური წესრიგის იმპლემენტაცია, რომელიც უფრო მეტად შეეფერებოდა მათ ინტერესებს. შექმნილ მდგომარეობას მუშათა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, რაც დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში მასშტაბურ გაფიცვებში გამოიხატებოდა. ამგვარად, ინგლისში _ მარგარეტ ტეტჩერისა და ა.შ.შ.-ში _ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის პირობებში კლასობრივი ბრძოლის ახალი, შედარებით მცირე ეტაპი დაიწყო, რომელშიც სახალხო ძალები დამარცხდნენ, ხოლო უმაღლესმა, კაპიტალისტურმა კლასებმა გამარჯვება მოიპოვეს. მათ შესაძლებლობა მიეცათ ახალი _ ნეოლიბერალური სოციალური წესრიგი ჩამოეყალიბებინათ. ყოველივე აღნიშნულს რაღა თქმა უნდა, კავშირი ჰქონდა ინდუსტრიალიზაციასა და შრომისუნარიანობის ხარისხის ზრდასთან «მესამე სამყაროს» განვითარებად ქვეყნებში, სადაც გაცილებით იაფი მუშა-ხელია.

ნეოლიბერალიზმის მეთოდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ გლობალიზაცია, კერძოდ კი _ ნეოლიბერალური გლობალიზაცია, რაც გულისხმობს საზღვრების გახსნას ვაჭრობისა და კაპიტალბრუნვისათვის; ეს უკანასკნელი კი, მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას ინვესტირების შესაძლებლობას ნიშნავს. სწორედ ამ პროცესს აქვს ჩვენს რეალობაში ადგილი. მაგალითად, თუკი შევადარებთ შრომის ანაზღაურებას აშშ-სა და ვიეტნამში, შეერთებული შტატებისაგან უმძაფრესი განსხვავებით, ვიეტნამსა და გვატემალაში ისევე, როგორც სხვა განვითარებად ქვეყნებში, ქარხნის მუშა თვეში გამოიმუშავებს დაახლოებით _ 50 ამერიკულ დოლარს[2]. ამდენად, ნეოლიბერალიზმი, რასაკვირველია, ყვე-

2. http://therealnews.com/t2/index.php?Itemid=74&id=31&jumival=4962&option=com_content&task=view (უკანასკნელად გადამოწმებულია 15.05.2011).

ლა მომუშავეს კონკურენციის პირობებში აყენებს მთელს მსოფლიოში, რაც, რაღა თქმა უნდა, ძალზე ძლიერ გავლენას ახდენს კაპიტალისტური კლასების მხრიდან მომუშავეთა ხელფასების, მათი მსყიდველუნარიანობის და ნებისმიერი ტიპის სოციალური დაცვის მექანიზმების გაკონტროლების შესაძლებლობაზე მაგალითად, ჯანდაცვის, უმუშევართა შეღავათების და ა.შ. სფეროში. ამგვარად, აღნიშნული, ნეოლიბერალიზმის მხოლოდ ერთი ასპექტია. თუმცა, ნეოლიბერალიზმი არ გახლავთ მხოლოდ ნეოლიბერალური გლობალიზაცია; ის აგრეთვე არის კორპორაციის მართვის ახალი მეთოდი. ამჟამად, ნეოლიბერალიზმის პირობებში კორპორაციები მხოლოდ ერთი მიზნით იმართება, განსაკუთრებით, აშშ-ში, რაც საფონდო ბირჟაზე მათი აქციების ღირებულების მაქსიმალურ ზრდას გულისხმობს. თუკი სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, აქციონერები და სხვა კაპიტალისტური წრეები მართლაც ძალზე დიდ წარმატებას აღწევდნენ ამ მიმართულებით[3], რადგანაც, 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე საფონდო ბირჟის ინდექსები და აქციონერთა შორის დივიდენდთა განაწილება განუზომლად იზრდებოდა. სწორედ ეს ქმნიდა ხელოვნურად, საპნის ბუშტებივით გაბერილ კაპიტალსა და კორპორაციებს.

2000-იანი წლების მიწურულის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის გახლავთ ნეოლიბერალიზმის კიდევ ერთი ასპექტი, ე.წ. ფინანსიალიზაცია (financialization), რაც ფინანსური მექანიზმების განუხრელ განვითარებას გულისხმობს, რომელთა მეშვეობითაც კაპიტალისტები უზარმაზარ თანხებს იგებენ. თუმცა, აღნიშნულისათვის მთავარ პირობას «დერეგულაცია» წარმოადგენდა. იმდენად, რამდენადაც ფინანსური სექტორის აქტივობა «დერეგულაციამდე» შეზღუდული გახლდათ სხვადასხვა წესებითა და რეგულაციებით, რაც ფაქტობრივად «დიდი დეპრესიის» მემკვიდრეობა იყო, კაპიტალისტურმა კლასებმა თანდათანობით გაანადგურეს ამგვარი «რეგულაცია». ამგვარად, კაპიტალისტების მიერ ლობირებული და განხორციელებული «დერეგულაცია» მუდმივი პროცესია, თუმცა კრიზისამდე მან განუზომელი ზრდა დაიწყო; მაგალითად, თუკი გავიხსენებთ 2000 წელს, ის მართლაც რომ გარკვეული შეზღუდვებით აღინიშნებოდა კაპიტალისტებისათვის, მაგრამ 2000 წლის შემდეგ, სტატისტიკური მონაცემებით, ყველა ფინანსური მექანიზმი აბსოლუტურად წარმოუდგენელი ტემპებით ვითარდება[4], რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი განმაპირობებელი გახლდათ. ამის ერთ-ერთი მაგალითია დღესაც, საბერძნეთის შრომის ბაზარზე მიმდინარე მოვლენები. სწორედ აღნიშნულ პერიოდში მოხ-

---

3. Dumenil G., Levy D., The Crisis of Neoliberalism, 2010, Harvard University Press, p.p. 78-85**.**

4. Harvey D., The Crisis and the Consolidation of Class Power: Is This Really the End of Neoliberalism?, March 13-15, 2009, http://www.counterpunch.org/harvey03132009.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06.2011).

და სიმდიდრის მასობრივი გადინება ხალხის უმრავლესობიდან _ ზემოაღნიშნული 2-3%-სკენ _ კაპიტალისტთა კლასისაკენ. შემოსავლების დეკლარაციებში არსებული მონაცემები ამაზე აშკარად მეტყველებს[5], რაც მართლაც, რომ ძალზე ძლიერი მექანიზმია, რომელსაც პრესა ხშირად «უთანასწორობის ზრდას» უწოდებს. თუმცა, ეს ფაქტობრივად კლასობრივი ფენომენია. მემარჯვენეები აღნიშნულ მოვლენას შემდეგი არგუმენტებით პასუხობენ, რომ საზოგადოდ, უთანასწორობა ყველასათვის მომგებიანი, ბუნებრივად მზარდი ფენომენია, რაც შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ აშკარა პროპაგანდაა მხოლოდ, რომელსაც რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

სიმდიდრის მასობრივი გადინება მოსახლეობის უმრავლესობიდან _ კაპიტალისტებისკენ ნეოლიბერალიზმის მოცემულ პერიოდში რეალურად ე.წ. სუბსტანდარტული კრახისა და «დიდი შეზღუდვისაკენ» მიმავალი პროცესია. ამგვარ პერსპექტივას შეიძლება ითქვას, ორი ტიპის ფაქტორები განაპირობებენ.

ერთი ტიპის გარემოებები უფრო მეტად «ფინანსიალიზაციას» უკავშირდება, რაც ფინანსური მექანიზმების გარკვეულ ლიმიტამდე განვითარებასა და შემდგომ, დროის პერსპექტივაში ლოგიკურად მათ ერთგვარ აფეთქებას გულისხმობს. ყოველივე აღნიშნული კი გლობალიზაციას უკავშირდება, რადგანაც ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი გახლავთ ფინანსური გლობალიზაცია. ამასთან, აღნიშნულ პროცესში რთულია ფინანსური და არაფინანსური მექანიზმების ერთმანეთისაგან გარჩევა, ხოლო, მეორეს მხრივ კი, გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სწორედ ფინანსური მექანიზმების გლობალიზაცია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ.

მეორე ტიპის, ასევე ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორები ამერიკის ეკონომიკაში დამკვიდრებულ ერთგვარ გაუწონასწორებლობას, კერძოდ კი, გლობალიზაციის ფონზე გამეფებულ ვაჭრობის დეფიციტს უკავშირდება; ფაქტია, რომ ა.შ.შ.-ს ეკონომიკაში იმპორტსა და დანარჩენი მსოფლიოსაგან პროდუქციის შესყიდვას უფრო დიდი და მასშტაბური ადგილი უჭირავს, ვიდრე ექსპორტსა და გაყიდვებს. აღნიშნული კი ქვეყნის მასშტაბით შიდა მეურნეობაში დავალიანების ზრდასთანაა დაკავშირებული, რაც ამჟამად მთავრობის დავალიანებებს გულისხმობს. ამგვარად, ყოველ შემთხვევაში ამერიკის ეკონომიკაში 2008-2009 წლების ეკონომიკური კრიზისის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს კაპიტალისტური კლასების მოხმარებლობის _ ე.წ. კონსიუმერიზაციის ერთგვარი აფეთქება წარმოადგენს.

ის, თუ რა ალტერნატივა შეიძლება განიხილებოდეს ნეოლიბერალიზმის საპირწონედ და თუ რა გამოსავალი არსებობს ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ნეოლიბერალიზმის კრიზისის ფონზე, ანუ ის, რაც რეკომენდირებულია, რომ ამომრჩევლებმა პოლიტიკოსებს წაუყენონ მოთხოვნად, ამ ყოველივეზე სხვა ნაშრომებსა

5. Dumenil G., Levy D., The Crisis of Neoliberalism, 2010, Harvard University Press, p.p. 117-123.

და პუბლიკაციებში შემდგომაც გვექ-ნება ლაპარაკი.

KHATUNA CHAPICHADZE

THE CRISIS OF NEOLIBERALISM

s u m m a r y

When we use the word neoliberalism, we mean the contemporary capitalism. Neoliberalism is a new stage of capitalism, which began to develop around 1980 in big countries like United Kingdom and the US. Then it was implemented in Europe and later in Japan, and afterwards around the world in general.

After the Great Depression, and the World War II, during the first decades, the political situation was completely different; in the world there was a very important movement of class struggle. There was a worker resistance not only in the US, but around the world in general. In that situation capitalist classes were forced to compromise. However, in the 1970s there was a big structural crisis in the world, in particular in those countries with cumulative inflation and other processes, and there appeared a new phase of struggle, and of confrontation. Capitalist classes were moving forward, and they tried to implement the new social order, which would be more favorable to their interests. There was a very big resistance on the part of worker, with big strikes in England and the US, but the popular classes lost and the upper, capitalist classes won in general. As a consequence, the latter were able to impose their new social order.

One aspect of neoliberalism is neoliberal globalization (opening the borders to trade and to the movement of capital, which means a capability to invest anywhere in the world). But neoliberalism is also a new way of managing corporation (Currently they are managed with only one objective, in particular in the US, which is maximizing the value of the capitalists' share of the stock market.).

Another aspects of neoliberalism contributing to the emergence of its crisis that coincides with the World Economic Crisis of 2008-2009, are so called financialization (developing and explosion of financial mechanisms), "deregulation", "growth of inequality", etc. that are discussed in details in the article.

ლიტერატურა

1. Dumenil G., Levy D., The Crisis of Neoliberalism, 2010, Harvard University Press.
2. Harvey D., The Crisis and the Consolidation of Class Power: Is This Really the End of Neoliberalism?, March 13-15, 2009, http://www.counterpunch.org/harvey03132009.html
3. http://therealnews.com/t2/index.php?Itemid=74&id=31&jumival=4962&option=com_content&task=view

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ: კორმაღლის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის აგების თარიღის საკითხისათვის

სოფელი კორმაღალი, რომელსაც ოფიციალურ დოკუმენტებში რატომღაც ზედა ეწრად მოიხსენიებენ, მდებარეობს ქვემო იმერეთში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე. საინტერესოა ის, რომ წყაროებში ტოპონიმი-კორმაღალი პირველად XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გვხვდება. მანამდე ეს ადგილი მოიხსენიება, როგორც სოფ. მუხაღრუას//მუხაყრუას სახელით.

როგორც ჩანს, ტოპონიმი "კორმაღალი" უფრო გვიანდელია. და იგი დაკავშირებული უნდა იყოს მუხასთან. გადმოცემის მიხედვით იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა სასაფლაოა, დიდი მუხნარი ყოფილა. მუხის ნაყოფის განსაკუთრებული სიდიდის გამო თავდაპირველად ამ ადგილს **"რკომაღალს"** ეძახდნენ [11].

სოფელი-მუხაღრუა//მუხაყრუა სოლომონ მეორის დროს მეფის სახასოს წარმოადგენდა. ამ სოფლის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მდებარეობს, კაპტონას (სახელი კაპტონა უნდა აიხსნას ჩვენი აზრით თევზის სახელის კაპუეტისაგან, რომელიც არის მთის მდინარეებში) [12-1067] მარჯვენა ნაპირზე, რომლის უმეტეს ნაწილსაც დღეს კორმაღალს უწოდებენ.

საეკლესიო საბუთების მოწმობით მეფე სოლომონ II სოფელ მუხაღრუას ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, სახელდობრ, მდ. კაპტონას მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მიწები და გლეხები 1808 წელს შეუწირავს გაენათის მონასტრისათვის-"მეორემან სოლომონ და თანა ერთხორცმან ჩემმან დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვიმრთელეთ დავთარი ესე შეწირულობისა, ვინაითგან საყმითა გაენათის ეკლესიისა შენისათა აქვნდათ დამჭირნეობა დიდისა ადგილისა და დროსა ამას ყოვლად სამღვდელო უფალი გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი დიდის გულმოდგინებითა გვევედრა. ამისათვის შევწირეთ ჩვენი სახასო მიწა და ტყე... შუამთის ღელეს ნასელარასა და საჯავახოს სასაზღვროს კაპტონას ღელეს შუა, რაც მიწა-წყალი და ადგილი, ეწერი, მტევრი, მთა და ვაკე ჩემი სახასო იყო, ყველა სრულებით შემომიწირავს [1-160]. განვმარტავთ, რომ სოფელს მცირე მდინარე კაპტონა(ანუ კაპიტონა როლესაც დღეს ეძახიან ადგილობრივი მცხოვრებლები) სოფელს ორად ყოფს. ჩვენი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მეფეს გაენათის მონასტრისადმი მდინარე კაპტონას მარჯვენა სანაპი-

როზე მცხოვრები მიწები და გლეხები შეუწირავს და არა მთელი სოფელი, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული ისტორიოგრაფიაში. ამიერიდან, იქ მცხოვრები გლეხები ისტორიულ მასალებში მოიხსენიება როგორც საეკლესიო ყმები.

დაისმის კითხვა თუ როდიდან იქნა ეს ადგილი დასახლებული? ამის დაზუსტება შეუძლებელია სათანადო წყაროების უქონლობის გამო. თუმცა არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც _ 1757 წლის ხრესილის ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობისა და ერთგულების გამო მეფე სოლომონ I ოკრიბიდან სოფელ მუხაღრუას ნაწილში გადმოუსახელებია შემდეგი გვარის გლეხები: **გვენეტაძეები, სულაქველიძეები, ნიშნიანიძეები, ალფაიძეები, ბერეკაშვილები, ძოძუაშვილები, გიორგაძეები, ყუბანეიშვილები** (ეს უკანასკნელნი სამღვდლო წოდებისანი არიან XIX საუკუნის ოციანი წლებიდან-ე.გ) [11].

აღნიშნული გვარების ხალხი ამ სოფელში, რომ გადმოსახლებულია, ადასტურებს ისიც, რომ თითოეული მათგანი თავის წინაპრის პირვანდელ საცხოვრის ადგილად დღესაც მიიჩნევს ოკრიბის მხარეს, სახელდობრ, დღევანდელ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებს _ დაბაძველს, საწირეს და ა.შ. ზემოდ დასახელებული გვარები დღესასწაულობენ ღვთისმშობლის შობას 8(21) სექტემბერს, და როგორც დღეს იტყვიან, სოფელში თითოეული მათგანი "მეღვთისმშობლეა". იდენტური სიტუაციაა ჩვენს მიერ აღნიშნულ ტყიბულის სოფლებში. უეჭველია ოკრიბიდან გადმოსახლებულებმა არსებული საეკლესიო სადღესასწაულო ტრადიცია ახალ ადგილზე დაამკვიდრეს და გააგრძელეს.

მათ აუთვისებიათ აქაური დაუსახლებელი ადგილები და აუშენებიათ **ღვთისმშობლის შობის ეკლესია, (რომლის ნანგრევებს დღეს ადგილობრივები გენათელად მოიხსენიებენ) ხისა.** 1819-1820 წლების აღწერის მიხედვით, იგი აუგიათ 1807 წელს, ამ სალოცავს ჰყავს 17 კომლი მრევლი _ **ერაძე, ლორსაბერიძე, გვენეტაძე, ნიშნიანიძე, ჩუბუნიძე, სულაქველიძე, გიორგაძე, ნიკოლაიშვილი, ყუბანეიშვილი, ბერეკაშვილი, ალფაიძე, არაბიძე** _ ყველა მათგანი არის საეკლესიო ყმა. მღვდლები არიან ანდრია ყუბანეიშვილი და მარკოზ ყუბანეიშვილი. დიაკონი ნიკოლოზ ყუბანეიშვილი [2-203]. მომდევნო ხანებში მათ ემატება **კუჭუხიძე (საეკლესიო ყმა), ძოძუაშვილი (საეკლესიო ყმა).** 1819 წლის აღწერის მიხედვით აქ ცხოვრობენ საეკლესიო ყმაგლეხები: **1.** მხიარულა გვენეტაძე, 40 წლის. შვილები: თამაზა _ 12 წლის; როსტომი _ 7 წლის; ფირანა _ 3 წლის. მასთან არიან ძმები: კაცია _ 30 წლის; გოგია _ 20 წლის. **2.** კაცია გვენეტაძე, 40 წლის. მისი ძმა უფროსა გვენეტაძე _ 30 წლის. **3.** თათუელა სულაქველიძე, 44 წლის. შვილები: ბერიკელა-20 წლის; მათე _ 14 წლის; ლაზარე _ 12 წლის. **4.** დავით გიორგაძე, 60 წლის. შვილები: გოგია _ 40 წლის; გოგიას შვილი-ივანე 15 წლის; დავითის ძმა-გრიგოლი _ 30 წლის. **5.** დავით გიორგაძე, 20 წლის; ძმა სიმონი-15 წლის; **6.** ლაზარე ნიშნიანიძე, 60 წლის; შვილი-მახარე, 30 წლის. მახარეს შვილები: ლაზარე, 10 წლის; ზალიკა 2 წლის; **7.** ფირან ჩუბინიძე, 25 წლის; შვილი სიმონი _ 10 წლის; ფირანის ძმები-მახარა, 16 წლის გოგია 15 წლის. **8.** გოგია ნიშნიანიძე, 30 წლის. შვილი-იესე, 4 წლის. ნათესავი

დავითი, 10 წლის; ანდრია 8 წლის. **9.** დავით ნიკოლაიშვილი, 35 წლის. შვილები: ივანე _ 12 წლის; მათე _ 8 წლის; ოქროპირი _ 4 წლის; ძმა ოთარ _ 30 წლის, ძმისშვილი ოტია 5 წლის. **10.** მღვდელი ანდრია ყუბანეიშვილი. შვილი: ალექსი _ 28 წლის; შვილიშვილები: ანდრია _ 4 წლის; გიორგი _ 1 წლის [9-203].

წყაროებიდან ირკვევა, რომ ამ ეკლესიის გალავანში მდებარეობდა სოფლის მცხოვრებთა საძვალე. XIX საუკუნის 80-იან წლების შუა ხანებამდე სწორედ იქ ხდებოდა მიცვალებულთა დაკრძალვა. ვითარება იცვლება 1885 წლიდან. სწორედ ამ წლის იანვრიდან "მეტრიჩესკიე კნიგის" ჩანაწერებში ვნახულობთ, რომ, გარდაცვლილი პირნი დაკრძალეს მუხაყრუას, კორმაღლის მინდვრის სასაფლაოზე. მასზე პირველი დაკრძალული არის ვასილ ლევანის-ძე ბერეკაშვილი, რომელიც გარდაცვლილა ყვავილით [3].

უდავოდ საინტერესოა, თუ რატომ მოხდა ახალი სასაფლაოს კურთხევა. ამის შესახებ არსებობს გადმოცემა, რომ სოფ. გომში მცხოვრები ბერეკაშვილის გვარის წარმომადგენელი გარდაცვლილა. იგი წესისამებრ უნდა დაეკრძალათ ღვთისმშობლის შობის ეკლესიის გალავანში(მანძილი ეკლესიამდე შეადგენს დაახლოებით ექვსნახევარ კილომეტრს). ამ დროს ყოფილა მძიმე ზამთარი. ვფიქრობთ, ეს იყო 1884 წელი. მიცვალებული როდესაც წაუყვანიათ დასასაფლავებლად, იმდენად დიდი თოვლი ყოფილა და კიდევ თოვდა, რომ ჭირისუფლებს ეკლესიის გალავანამდე ვერ მიუღწევიათ, ვინაიდან იგი მაღალ მთაზე იყო აღმართული. ისინი იძულებულნი გამხდარან მიცვალებულთან ერთად ღამე ჩუბუნიძის ოჯახში გაეთიათ. ამიტომ მეორე დღეს სოფლის მოსახლეობას გადაუწყვეტია შედარებით ვაკეზე _ სოფელ კორმაღალში დაეარსებინათ ახალი სასაფლაო [10].

მოყოლებული ამ დროიდან სოფლის გარდაცვლილ მცხოვრებთა ნაწილს, რომლებიც ეკუთვნოდნენ მუხაღრუას ღვთისმშობლის შობის ეკლესიას, ასაფლავებდნენ ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანსა შიგა. ხოლო ისინი, რომლებიც შორს ცხოვრობდნენ ეკლესიისაგან, სამუდამო განსასვენებელს ჰპოვებდნენ "კორმაღლის მინდვრის სასაფლაოს შინა".

XIX საუკუნის 80-იან წლებში მუხაყრუას ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში მსახურებას აღავლენდა და საზოგადო საქმიანობას ეწეოდა მღვდელი ლუკა ლაზარეს ძე თევზაძე, რომელსაც სასულიერო განათლება მიღებული ჰქონია გურიის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში. სწავლის გასრულების შემდეგ იგი ჯერ დიაკვნად, ხოლო შემდეგ 1857 წელს იმერეთის ეპისკოპოს გერმანეს მიერ, კურთხეულა მღვდლად კუშუბოურის ჯვარცმის ეკლესიაში.

ლუკა თევზაძე ყოფილა ძალზე განათლებული და ერუდირებული სასულიერო მოღვაწე. იგი დეპუტატად იყო არჩეული 1867-1869 წლებში. უმწიკვლო მსახურებისათვის დაჯილდოებული იყო სხვადასხვა საეკლესიო ჯილდოთი. 1882 წლის 12 მარტს ეპისკოპოს გაბრიელის მიერ, ლუკა თევზაძე სოფ; კუშუბოურიდან გადმოყვანილ იქნა მუხაღრუას ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში მღვდლად. ამ მოძღვრისა და მისი ძმის, ამავე ეკლესიის მედავითნე, მოსე თევზაძის დამსახურება უდიდე-

სია სოფელ კორმაღლის მცხოვრებთა წინაშე. სწორედ მათი თაოსნობითა და ხარჯებით 1885 წლის 25 თებერვალს კორმაღალში გაიხსნა სამრევლო სკოლა [4-52-53].

ირკვევა, რომ XIX საუკუნის მიწურულამდე სოფელ კორმაღლის მრევლისათვის წირვა-ლოცვა ისევ მუხაღრუას ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში აღევლინებოდა, რომელიც კორმაღლის მინდვრის სასაფლაოდან დაახლოებით 2,5 კმ-ით იყო დაშორებული. წყაროების მოწმობით, **1887 წლიდან** კორმაღლის მინდვრის სასაფლაოზე მრევლს დაუწყია ღვთისმშობლის შობის სახელზე ქვის ეკლესიის მშენებლობა. მეთვალყურედ დანიშნული ყოფილა სასულიერო პირი, მუხაღუას ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მედავითნე პავლე დიმიტრის ძე ყუბანეიშვილი, რომელსაც მშენებლობისათვის შეუგროვებია 200 მანეთი [6-117]. საეკლესიო მასალების მიხედვით, ეკლესია მოქმედია **1898 წლიდან** და იგი ზედმიწერილია მუხაღრუას ღვთისმშობლის შობის ეკლესიაზე [5-81-87].

ამიერიდან ორივე ეკლესიაში მსახურებდა ერთი მღვდელი, ჯერ ლუკა თევზაძე, შემდეგ კი მისი შვილი ტარასი თევზაძე (დაბ. 1861 წელს), რომელსაც 1884 წელს დაუმთავრებია ქუთაისის გიმნაზიის შვიდი კლასი. 1887 წლიდან სწავლობდა კიევის გუბერნიის ქალაქ უმანის მიწათმოქმედებისა და მებაღეობის სასწავლებელში. სამშობლოში დაბრუნებულმა სწავლა განაგრძო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1899 წელს და იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონის მიერ ხელდასმულ იქნა ჯერ დიაკვნად, შემდეგ კი მღვდლად მუხაღრუას ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში [7-60]. 1899 წელს ღვთისმშობლის შობის ორივე ეკლესიის მრევლის რაოდენობა შეადგენდა 162 კომლს. აქედან მამაკაცი _ 354; ქალი _ 334 [7-60].

მალე დაუწყიათ მუხაღრუას ძველი, ხის ღვთისმშობლის ეკლესიის განახლება და სალოცავის ქვით აგება. მისი მშენებლობა დამთავრებულა 1903 წელს [8].

დასასრულ გთავაზობთ იმ სასულიერო პირთა სიას რომლებიც მსახურებდნენ ღვთისმშობლის შობის ეკლესიაში:

1. მღვდელი _ ყუბანეიშვილი ანდრია მათეს ძე {მღვდლის ხარისხში ხელდასმულია ქუთაისის მიტროპოლიტის დოსითეოსის მიერ 1790 წლიდან} (1819-1839). დიაკონი: ნიკოლოზ ანდრიას ძე ყუბანეიშვილი {დიაკონად აკურთხეს 1818 წელს}.
2. მღვდელი _ ყუბანეიშვილი მარკოზ ანდრიას ძე {ხელდასხმულია მღვდლად ჯუმათელი მიტროპოლიტის მიერ 1818 წლიდან} (1826-1839)
3. მღვდელი _ ყუბანეიშვილი ნიკოლოზ ანდრიას ძე {მღვდლად ხელდასმულია იმერეთის არქიეპისკოპოს სოფრომის მიერ 1838 წლიან} 1839-1849) _ მედავითნე: მიხეილ ნიოლოზის ძე ყუბანეიშვილი.
4. მღვდელი ჩაჩუა მაქსიმე სიმონისძე (1849-1855)
5. მღვდელი _ ყუბანეიშვილი დიმიტრი მარკოზის ძე (1855-1877) მედავითნეები: ილარიონ ყუბანეიშვილი, ისიდორე ბაკურაძე.
6. მღვდელი _ ცინცაძე მიხეილ დავითის ძე (1877-1882) _ მედავითნე: მოსე ლაზარს ძე თევზაძე.
7. მღვდელი _ თევზაძე ლუკა ლაზარეს ძე (1882-1899) _ მედავითნე: პავლე ყუბანეიშვილი.

8. მღვდელი _ თევზაძე ტარასი ლუკას ძე (1899-1917) _ მედავითნე: მოსე თევზაძე. მნათე სოლომონ (ნიკიფორე) ლევანის ძე გვენეტაძე.

ლიტერატურა:

1. ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფ., 1921.
2. ცსა, ფ. 2, აღწ, 1. საქ. 1008.
3. ცსა, ფ. 489, აღწ. 38. საქ. 811.
4. ცსა, ფ. 489. საქ. 40423.
5. ცსა, ფ. 489, საქ. 53084.
6. ცსა, ფ. 489, საქ. 56354.
7. ცსა. ფ. 489, საქ. 46662.
8. ცსა, ფ. 489, საქ. 64014.
9. ცსა, ფ. 2 აღწ. 1, საქმე. 1008.
10. მთქმელი-ალექსანდრე გვენეტაძე, 70 წლის. ჩაწერილია 1983 წელს.
11. მთქმელი-ლუბა გვენეტაძე. 82 წლის. ჩაწერილია 1989 წელს.
12. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ. IV. თბ., 1955.
13. მ. კეზევაძე. ეგზარქოსობის-დროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები. ქუთაისი. 2008.

mariam marjaniSvili

პარალელები ამერიკელ და ქართველ ქალთა ნააზრევიდან

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქალთა თავისუფლების, თანაბარ და თანასწორუფლებიანობისათვის მებრძოლ ამერიკელ ქალებს დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ქართველი «სამოციანელები». 1871 წელს ილია თავის მეუღლეს ოლღა გურამიშვილს წერს: ,,ჩემო კუკლუშკი! მე საშინლად მინდა შენი ნახვა, იქნებ ხვალაც ჩამოვიდე... «Ужасно скучаю!» სამ წიგნს «Дело» გიგზავნი. მანდ ყურადღებით წაიკითხე об американских женщинах, მოვალ და ეგზამენიას გიზამ. შენი სამუდამოდ ილია ჭავჭავაძე [7].

დიდი სამოციანელებიდან ასევე ამერიკელი ქალებით აღფრთოვანებული იყო გაზეთ «დროების» რედაქტორი სერგეი მესხიც: «არც ერთ ქვეყანაში ქალებს ისეთი უფლება არა აქვთ, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში.. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთ ქვეყანაში ქალები ისე ენერგიულათ, და ისეთის ჭკუით არ მოჰკიდებიან თავიანთ საქმეს, როგორც ამერიკაში. ამიტომაც იმათ ბევრი უფლება სწორეთ ძალით წაართვეს კაცებს»... [5].

ზემოთ მოყვანილი პერიფრაზებიდან ნათლად ჩანს, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ ამერიკელ ქალებს დიდად აფასებდნენ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი საზოგადოება და თანამემამულე ქალებისათვის მათი საქმიანობა მაგალითად მიაჩნდათ.

უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნე ინტელექტუალური ენერგიის ამოფრქვევის ხანა იყო, როგორც ამერიკაში ისე საქართველოშიც. ამერიკული და ქართული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიის მღელვარე ფურცლებს მამაკაცებთან ერთად ქალებიც ქმნიდნენ, რომლებისთვისაც თავისუფლებისაკენ სწრაფვა მასაზრდოებელ წყაროს წარმოადგენდა.

დღეს, თანამედროვე მკითხველისათვის, აღმოჩენის ტოლფასია ინტელექტუალური ენერგიის ამოფრქვევის ის ხანა, რომელშიც მოღვაწეობა მოუხდათ გლობუსის სხვადასხვა მხარეს დაბადებულ ორ რეფორმატორს, აქტივისტს და არა ფემინისტ ქალებს-ამერიკელ მარგარეტ ფულერსა და ქართველ დომინიკა ერისთავს. ისინი ქართულ-ამერიკულ ლიტერატურათმცოდნეობაში ადამიანის სულის დასტაქრებად შეიძლება მივიჩნიოთ.

მარგარეტ ფულერი 1810 წელს დაიბადა და გაიზარდა მასაჩუსეთში, კემბრიჯში, ხელმოკლე ადვოკატის

ოჯახში, უსახსრობის გამო განათლება მამის ხელმძღვანელობით მიიღო.

დომინიკა ერისთავიც,ფულერის შემდეგ, 1864 წელს დაიბადა იმერეთის ერთ-ერთ პატარა სოფელ სა-ლომინაოში. მამამისი ზურაბ ერისთავი ხელმოკლე აზნაური იყო. დომინიკას წერა-კითხვა დედამ _ ანა მარჯანიშვილმა შეასწავლა [6].

მარგარეტ ფულერმა, რაკი მაშინ ჰარვარდში ქალებს არ იღებდნენ, უმაღლესი განათლების მიღება ვეღარ შეძლო, მაგრამ მაინც კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ვუნდერკინდის სახელი დაიმკვიდრა. იგი გატაცებული იყო გერმანული რომანტიზმით და გოეთეს შემოქმედებიდან ბევრს თარგმნიდა [1].

არც დომინიკა ერისთავს მიუღია უმაღლესი განათლება. მან მხოლოდ სოფელ ხორხის პანსიონი დაამთავრა. 1898 წელს პირველმა თარგმნა ლექსად გრიბოედოვის პოემა «ვაი ჭკუისაგან» რომელიც 1900 წლის 19 ოქტომბერს თბილისის ქართულ თეატრში დაიდგა. «ხალხი ტაშის გრიალით ელოდა მწერალი ქალის დომინიკა ერისთავის სცენაზე გამოსვლას», _ წერდა ჟურნალი «კვალი». პოემა 1902 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით წიგნადაც კი გამოიცა.

რუსული ენის ბრწყინვალედ ცოდნასთან ერთად დომინიკა ფლობდა ფრანგულ ენასაც. «სრულიად უსწავლელი ქალია, მაგრამ უნივერსალური მომზადების პატრონია. ეს ის ქალია, რომელიც ფრანგ მწერლებს ორიგინალში კითხულობს», _ წერდა მასზე მწერალი ეკატერინე მიქელაძე. (6)

1845 წელს გამოვიდა მარგარეტ ფულერის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები «ქალი მე-19 საუკუნეში“, რომელიც პირველად ჟურნალ «დაიალში» დაიბეჭდა.

1898 წელს გამოქვეყნდა დომინიკა ერისთავის ლექსების პირველი წიგნიც, ხოლო 1910 წელს პატარა მოთხრობებისა და ლექსების წიგნი. იგი ამავე დროს იყო ნიჭიერი ბელეტრისტი, საბავშვო მწერალი, მრავალი მინიატურის, ნოველისა და ფელეტონის ავტორი.

კრიტიკოსი ა. ხახანაშვილი აღნიშნავდა რომ, «დ. ერისთავის, ლიტერატურული ფსევდონიმი «განდეგილის“ შემოქმედებითი ტალანტი თორმეტი წლის მანძილზე უფრო მკვეთრად მის პოეზიაში სავსებით გამოვლინდა»... [6].

1840-1842 წლებში მარგარეტ ფულერი რედაქტორობდა ამერიკაში გამომავალ ტრანსცენდენტალისტების ცნობილ ჟურნალ «დაიალს», რომელშიც მრავალ პუბლიკაციასთან ერთად დაბეჭდა მისი ნაწარმოები «ქალი მე-19 საუკუნეში», რომლითაც მკითხველთა ფართო მასას მიაწოდა ყველაზე ადრეული და ყველაზე ამერიკული განსაზღვრება ქალის როლისა საზოგადოებაში. მარჯვედ გამოიყენა რა დემოკრატიული და ტრანსცენდენტალური იდიალისტური ფილოსოფია, რაც დაფუძნებული იყო შემეცნების აპრიორულ ფორმების აღიარებაზე, ფულერმა ღრმად გაანალიზა ქალთა დისკრიმინაციის მავნე შედეგები, მისი გამომწვევი მიზეზები და დასახა გზები ამ მანკიერების აღმოსაფხვრელად.

მარგარეტ ფულერი ამტკიცებდა, რომ ქალებს განსაკუთრებით აკლიათ «დამოუკიდებლობა», რადგან ,,მათ ბავშვობიდან უხმოდ მორჩილების გაკვეთილებს უტარებენ და არ ახედებენ საკუთარ სულში»... [1].

1904 წელს დომინიკა ერისთავიც ჟურნალ «ნობათის» რედაქტორად დაინიშნა. იგი ერთი იმ მოღვაწე ქართველ ქალთაგანი იყო,რომელმაც სასტიკად გაილაშქრა ცარიზმის ჩამორჩენილობის, კარჩაკეტილობის, ობივატელური შეხედულებების წინააღმდეგ და ქართველი ქალის უფლებების მოსაპოვებლად თავდადებული ბრძოლა გააჩაღა. პოეტ ქალს ღრმად სწამდა, რომ ქალთა მამაკაცებთან გათანასწორება იქნებოდა საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნის უდიდესი ფაქტორი. თავის პუბლიკაციებში: «ხმა ქართველი ქალისა» და «დღევანდელი ქართველების აზრი ქალთა შესახებ» _ იგი გარკვევით აღნიშნავდა, რომ «დედაკაცი საფუძველია მეცნიერებისა. იგი ბურჯია ოჯახის, ერისა და საზოგადოების. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერების. რამდენათ მთლიანი და თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია-საზოგადოება, ეს წვეთი კაცობრიობის ოკიანესი» [6].

ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობა, სადაც დედაკაცი მონა კი არა,თავისუფალი ადამიანია. დომინიკა იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი და დამაარსებელი «ქართველ ქალთა საზოგადოების». ეს იყო ქართველ ქალთა პირველი ორგანიზაცია, რომელიც თბილისში 1914 წელს ჩამოყალიბდა და რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს, რაც მისი ფრთაგაშლილი ოცნების აღსრულება გახლდათ.

მძიმე ოჯახური ყოფა _ ცხოვრება ჰქონდა დომინიკას. იგი 16 წლის ასაკში ახლობლებმა მასზე გაცილებით უფროსს, ერთ მდიდარ ვაჭარსა და კომერსანტს სოლომონ მდივანს ძალით მიათხოვეს. «ჩემი მეუღლე ორმაგ ფანჯრის შუა ბუზებს სვამდა, რომ არ გამეღო და ვინმეს არ გამოვლაპარაკებოდი. და, როცა ჩემს ფანჯარასთან მხიარულ ქუთაისის ახალგაზრდობას დავინახავდი თვალცრემლიანი დიდხანს, დიდხანს გავცქეროდი მათ ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას», _ მწარედ იგონებდა თავის კარჩაკეტილ და გაუხარებელ ახალგაზრდობას.

ქალის დამოუკიდებლობის უფლებებისათვის ბრძოლა დომინიკამ პიროვნული თავისუფლების მოპოვებით დაიწყო და სამუდამო კავშირი გაწყვიტა იმ ადამიანთან, ვისთვისაც გაუგებარი იყო შემოქმედი ქალის საზოგადოებრივი ინტერესები.

იმ დროს, ამერიკაში, XIX საუკუნის 40-იან წლებში მარგარეტ ფულერი პირველი აღიარებული ამერიკელი ჟურნალისტი ქალი იყო, რომელიც მეტად მწვავე და ამაღელვებელ წერილებს წერდა სოციალურ საკითხებზე, ქალთა უფლებებზე, პატიმარი ქალებისადმი და სულით ავადმყოფებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე. რამდენიმე ეს სტატია შესულია მის წიგნში «წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე», რომელიც 1846 წელს გამოქვეყნდა [1].

საოცარ მომზადების დონეს ავლენდა დომინიკა ერისთავი ლიტერატურულ _ პუბლიცისტურ თუ მწვავე პოლემიკურ სტატიებში. რომლებიც დიდი კორიფეების: ილიას, აკაკისა და ვაჟას გვერდით იბეჭდებოდა. ქართული კრიტიკა მიუდგომლად აფასებდა მის ამ ღვაწლს: «ჩვენ განცვიფრებაში მოვყავართ არა მარტო მწერალი ქალის ნაყოფიერ შრომას, არამედ იმ სოციალურ კითხვების ცოდნასაც, რომელიც მას სწო-

რედ აქვს შესწავლილი და გამოსჭ-ვივის მისი პროზით და ლექსით ნა-წერებში...» [6].

პოეტის ინიციატივით «ქართველ ქალთა საზოგადოებასთან» დაარსე-ბული საჩაიის – «ძმობის ნუგეშის» შემოსავალს მთლიანად რიცხავდა წმინდა ნინოს ლაზარეთში, თურქე-თის უღლისაგან თავდასახსნელ ბრძოლებში დაჭრილი აჭარელი თანამოძმეების დასახმარებლად. ,,არ არის ორი საქართველო, _ იგი მხო-ლოდ ერთია ქვეყანაზე» _ მიმართავ-და ქართველ ქალებს და მოუწო-დებდა ერთი მშობლიური ცის ქვეშ დაბადებულ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებთან, საერთო ძმობა _ მე-გობრობისაკენ [6].

საერთოდ, ქალთა უფლებებისათ-ვის ბრძოლა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა რემარკად გასდევდა დომი-ნიკა ერისთავის მთელ შემოქმედე-ბით და საზოგადოებრივ მოღვაწეო-ბასაც.

ამერიკელი მწერალი მარგარეტ ფულერი მომწიფებისა და შემოქმე-დებითი გაფურჩქვნის პერიოდში, 1850 წელს, 40 წლის ასაკში გარდაი-ცვალა, ხოლო დომინიკა ერისთავმა 65 წლის ასაკში, 1929 წელს, დაასრუ-ლა თავისი შემოქმედებითი მოღვაწე-ობის გზა.

დაბოლოს, აქვე, დარწმუნებით უნდა გაესვას ხაზი იმას,რომ ამ ორი ქალის შემოქმედებაში ზემოთ წარ-მოსახული პარალელური პროცესები მხოლოდ და მხოლოდ იდენტური საზროვნო სისტემაა და სხვა არა-ფერი. იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ გადამღერებად, ან თუნდაც შემოქმე-დებით რემინისცენციად.

ისინი, მსოფლიოს სხვადასხვა გა-ნედსა თუ კონტინენტზე ცხოვრების მიუხედავად, პიროვნული, ეროვნუ-ლი, სოციალური ღირსებისა და ღი-რებულებებისათვის ბრძოლაში მაინც საზროვნო სისტემაში ერთნაირად ფოკუსირდნენ და პოეტური მსოფლ-მხედველობის მხატრულ სახეებშიც მსგავსი ასახვა ჰპოვეს.

დასასრულს, ვფიქრობთ, ჩვენს დღევანდელ ქართულ _ ამერიკულ ურთიერთობასა და ორი ქვეყნის ლიტერატურათმცოდნეობას კიდევ უფრო გააღრმავებს დავიწყებული შე-მოქმედებითი ქალების მოღვაწეობის გახსენება და მათი სრული სერიების გამომზეურება, რამეთუ წარსულის ისტორიის არ დაკარგვა თავისთავად ყველა თაობის ვალია.

MARIAM MARDJANISHVILI

PARALLELS IN THE WORKS OF AMERICAN AND GEORGIAN WOMEN

s u m m a r y

American women struggling for freedom always interested progressively thinking Georgian society. Especially “The Tergdaleulebi”. XIX century was the time of the ‘explosion’ of intellectual energy both in America and Georgia. Among the women of this century we should distinguish the creative and social activities of two women born in the different parts of the Globe: American Margaret Wolf and Georgian Dominika Eristavi.

Neither of them had got classical education, but they played a great role in the study of American and Georgian literature. They were poets, prose writers, publicists, critics,

magazine editors and, what is very important, activists struggling for women's rights and equality.

The processes reflected in their creative work were parallel, with identical problems, but they were not just repetition or reminiscences.

Despite living on different continents they crossed each other in their struggle for personal, national and social honor and values. They even found similar characters in their poetic view of life.

Remembering the work of these forgotten creative women proves Georgian-American relationship once more.

ლიტერატურა

1. ამერიკული ლიტერატურის მიმოხილვა, თბილისი, 1990, გვ 39- 40.
2. ამერიკის ისტორიის ესკიზები, ქართული გამოცემის რედაქტორი არჩილ კოზახიძე
3. ამერიკის შესწავლის საკითხები, ტ IV, თბ., 2006.
4. სიგუა ს., ორფეოსი, თბ., 2005.
5. ჩიხლაძე ნ., დომინიკა ერისთავი (განდეგილი), თბილისი, 1960, გვ. 10- 40.
6. ჭავჭავაძე ი., მიმოწერა, ტ X, თბ., 1961 წ, გვ 257
7. ფირცხალავა ს., ნაწერები სერგეი მესხისა, ტ I, თბ., 1903, გვ. 45.
8. Elizabeth Cady stanton:A Radical for Woman's Rights Scott Foresman,1987.

giorgi iakobaSvili

მასმედია და ჟურნალისტური აქსეოლოგია თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიების არეში

იდეოლოგიური დომინანტი მასმედიას, ელექტრონული იქნება ეს თუ ბეჭდვითი, მომგებიან მდგომარეობაში აყენებს, მაგრამ მასვე მოეთხოვება ამ ძალაუფლების სათანადოდ მართვა; ძალაუფლების კონტროლირება, მასთან ეთიკური ნორმების გონივრული შეთავსება.

მეოცე საუკუნეში მასმედიას სამი ფუნქცია გააჩნდა: ინფორმაციის გავრცელება, პროპაგანდა და ორგანიზება. მის კულტუროლოგიურ და კრეატიულ ფუნქციებზე არც ამახვილებენ ყურადღებას. 1948 წელს ლასველმაც გამოჰყო სამი საბაზისო ფუნქცია: 1. კაცობრიობის ცივილიზაციის პრობლემების გამოკვეთა; 2. დისკუსიების აღძვრა და წაქეზება და 3. იდეალებისა და მოქმედებების კოორდინირება.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაჩაღდა დისკუსია მეცნიერთა შორის, რომლის დროსაც დომინირებდა კულტურული და სოციოლოგიური მხარეები. მასმედიის ფუნქციების გაფართოებასთან ერთად მისი როლის აღიარებაც თანდათან ხდებოდა. სულ ახლახან, მეოცე საუკუნის ბოლოს, და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში დადგა დრო წინა პლანზე მკაფიოდ წამოეწიათ მასმედიის საშუალებების აქსეოლოგიური როლი და დანიშნულება.

მასმედიის, როგორც ღირებულებათა შემცველის, შესწავლა მართლაც სათანადო ადგილს იჭერს ფილოსოფიასა და კულტუროლოგიაში, პედაგოგიკასა და სოციოლოგიაში. ქართულ სინამდვილეშიც ჟურნალისტიკის, როგორც ღირებულებათა ნაკრების გამოკვეთა სწორედ ნოდარ ტაბიძისა და მისი სკოლის დამსახურებაა. ნოდარ ტაბიძე ყოველთვის გამოჰყოფდა ჟურნალისტიკის ტრადიციულ ჟანრს _ პუბლიცისტიკას და ანიჭებდა მას დომინანტის ფუქნციას. აქედან გამომდინარე, ხდებოდა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი მხარეების აქცენტირება და კულტურული კუთხის და ნამდვილი ფასეულობების წარმოჩენა.

პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი, როცა მსჯელობს თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკური სკოლის მთავარ მიღწევებზე, იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ,,რაკიღა ცხოვრება ჟურნალისტისგან ფართო განათლებაში ცხოვრების ნიუანსებში წვდომას მოითხოვს, ამდენად სტუდენტებმა ინ-

ფორმაცია მარტო წიგნებიდან ან მასმედიიდან არ უნდა მიიღონ. ჟურნალისტთა აღზრდის ,,ვრცელ პროგრამაში'' გასათვალისწინებელია ,,ავტორიტეტულ მოსაზრებათა გაცნობა'', ,,უახლესი ამბების საქმის კურსში ყოფნა'', ამ მიზნით პროფესიონალურ კლუბებში გაწევრიანება, პრესის თვალსაჩინო მოღვაწეებთან შეხვედრები, ანუ აქტიური და მიზანმიმართული პრაქტიკები'' [1, 167]. როგორც ჩანს, ის მეცნიერები, რომლებიც ჟურნალისტიკას მაღალ მიზანს უსახავენ და თამასასაც მაღლა სწევენ, არც თუ ისე განცალკევებულები არიან.

ქართველ მკვლევარებსა და პედაგოგებს ღრმად აქვთ გაცნობიერებული კულტურული ფასეულობების და სოციალური მოთხოვნილებების დაკავშირების აუცილებლობის საკითხი. ჟურნალისტიკა არ უნდა დაშორდეს იმ ღირებულებებს, რომლებიც ცალკეულ კვალიფიკაციურ ჯგუფებს აინტერესებს და იმავდროულად უნდა იყოს მასების სამსახურშიც. ანუ კარგად დაკვალიანებულ და აღზრდილ ჟურნალისტს უნდა შეეძლოს მაღალ დონეზე უპასუხოს ნებისმიერ მოთხოვნებს. ამის გამო, მათი პროფესიული დაოსტატება სპეციალისტების დისკუსიას და ანალიზს იწვევს. ქართულ სინამდვილეში აშკარად გამოიყოფა ორი მიდგომა ჟურნალისტიკაში: ნოდარ ტაბიძისეული, რომელიც პუბლიცისტიკაზე და შესაბამისად ანალიტიკურ აზროვნებაზეა ორიენტირებული და მეორე _ პუბლიცისტიკას მხოლოდ მცირერიცხოვან ინტელექტუალთა ინტერესები აქცევს, შესაბამისაც მას წამყვან ადგილს არ აკუთვნებენ.

რომელიმე სოციალური ჯგუფის ჰეგემონია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში სულაც არ ნიშნავს სხვა ჯგუფების უგულებელყოფას. ჭეშმარიტების გარკვეული კომპონენტები სოციუმში ყველას გააჩნია, ამიტომ საჭიროა შუალედის პოვნა, რომ გონივრული კომპრომისის ფონზე ერთიანი სტანდარტები შემუშავდეს და განათლების სფეროში დაინერგოს.

ეს კი საშური საქმეა, რადგან თანამედროვე განათლების სტანდარტების დანერგვა ახლა მიმდინარეობს და იგი სწორედ ღირებულებებს ემყარება. ანუ, სხვაგვარად, ჟურნალისტური აქსეოლოგია საყოველთაო შეიძლება უახლოეს ხანებში გახდეს.

საინტერესო მომენტია ისიც, რომ მასმედიას თავად აკისრია დიდი როლი განათლების რეფორმის მასაში გავრცელებისა და ახალი მენტალიტეტის დამკვიდრების კუთხით. სწორედ ჟურნალისტიკას ეკისრება გაისიგრძეგანოს, შეიმეცნოს, გაითავისოს და სხვასაც გააგებინოს მიმდინარე პროცესების შუქ-ჩრდილები.

რა ფორმით უმჯობესია ამის კეთება, რა ტონს აირჩევს მასმედია და როგორ შეძლებს იგი სასიკეთო ფონის შექმნას? ვფიქრობთ, ეს მალე გახდება ცნობილი. მასმედია მთელ მსოფლიოშო ცოდნის ხელმისაწვდომობასაც უზრუნველყოფს. იგი არის დემოკრატიის ყველაზე კარგი და აუცილებელი ატრიბუტის მქონე. დღევანდელი ჟურნალისტიკა გამუდმებით აახლებს საჭირო ინფორმაციას, ხშირად პირველია პრევენციული საკითხების კუთხით, არის მაქსიმალურად ოპერატიული და ამრიგად, თან-

დათან მზარდი და საზოგადოე-ბისათვის შეუცვლელი ხდება.

სპეციალისტების აზრით, მასმედიამ გარკვეული საკრალურობაც კი შეიძინა, რადგან იგი ვერბალურ და ვიზუალურ მთლიანობას ქმნის და ეჭვმიუტანელ სიმართლეზე აცხადებს პრეტენზიებს. მასმედია შეიცავს დინამიკას, კავშირშია რაციონალიზმთან, ითვისებს ემოციებს და სხვ.

მთელი ეს აქსეოლოგიური პლასტი: ვერბალურობა, ვიზუალურობა, დინამიზმი, რაციონალურობა და ემოციურობა არის ჩვენი თანამედროვეობის იმ ღირებულებათა სისტემა, რომელიც ახალი ეპოქის სულისკვეთებას ნათლად აჩენს.

თანამედროვე ჟურნალისტიკას დღეს მრავალი ფუნქცია აკისრია: მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, საზოგადოების ყველა ფენის ინტერესების მოცვა, სოციუმის მოთხოვნისადმი ადეკვატურობა, ცალკეული ინდივიდების კოგნიტური განვითარების ჩვენება და მთლიან, ერთიან სისტემაში მოქცევა, კულტურათა დიალოგის აღქმა და სათანადო დონეზე გაშუქება, პრულარისტული ტენდენციები, ისტორიულ პროცესში ჩართულობა და მასის ჩართვა.

ცნობილი მეცნიერი და ჟურნალისტიკის მკვლევარის ე. პოლიკარპოვას აზრით, ,,მასობრივი ინფორმაციის წყაროების მიერ ღირებულებათა ფორმირება არის სამი კომპონენტის მთლიანობა: მსოფლიოს საუკეთესო კულტურულ ფასეულობათა აკუმულირება თავის თავში, სიცოცხლისუნარიანობა და ცხოვრებაში ღრმად დამკვიდრება'' [2, გვ. 45]. ამ სამი ნიშნით განსაზღვრავს ფილოსოფოსი და მკვლევარი თანამედროვე ჟურნალისტიკის არსსა და მიზანს.

ამავე პათოსის გამომხატველია ის პოზიციაც, რომ წარულის ფასეულობები მყარად უნდა იყოს შენარჩუნებული და მასვე უნდა დაეფუძოს თეორიული ცოდნა პოლიტოლოგიაში, სოციოლოგიაში, ეკონომიკაში, ფსიქოლოგიასა და ლიტერატურაში. ისე არ უნდა გამოვიდეს, თითქოს ჟურნალისტს ყველაფრის ცოდნა მოეთხოვება, მაგრამ როდესაც სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალში არსებობს:

- ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა;
- პუბლიცისტური ჟანრები;
- გაზეთის ენა და სტილი;
- საგაზეთო-საჟურნალო საქმის ტექნიკა;
- ქართული და საზღვარგარეთული ჟურნალისტიკის ისტორიები;
- რადიომაუწყებლობა და ტელეხედვა;
- საგმომცემლო საქმე;
- სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა;
- მივლინებები...

თვალნათლივ ჩანს, რომ პროფესიონალიზმის მისაღწევად ურთულესი ინტელექტუალიზაციის გზაა გასავლელი და მისაღწევი, მხოლოდ ერთი _ ,,პუბლიცისტური ჟანრები'' საკუთარ არეალში მრავალ ქვედინებას მოიცავს. აუცილებელი ხდება მისი კონკრეტიზაცია და საბოლოო სახით ჩამოყალიბება. პედაგოგიური მიდგომის თანამედროვე ხერხებიდან ჟურნალისტის განათლებულობის ხარისხის განსაზღვრაში ყველაზე მისაღებია ასიმილირება, როცა ხდება სქე-

მების წარმოდგენა თუ როგორ უნდა მოხდეს აზროვნების თანდათანობით განვითარება და მისი სტადირება.

საგანმანათლებლო ჟანრებში, კონკრეტულ დონემდე, პუბლიცისტური ჟანრების ჩართულობა შეიძლება ასე დავაყენოთ:

1. საგანმანათლებლო მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება;
2. თითოეული ჟანრის სტრუქტურის მოხაზვა და ჩარჩოები;
3. ჟანრების შეპირისპირება და მათი სპეციფიკური ნიშნები;
4. წარმოდგენილი ჟანრების სემანტიკური რეფერენციალური და სინტაქტიკური (შიდაენობრივი) და პრაგმატული საფუძველების წარმოდგენა;
5. ინტერდისციპლინარული კვლევა (ლინგვისტიკა, სტილისტიკა, დისკურსი კულტურათა შორის).

აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო სივრცეში შემოდის და ფეხს იკიდებს უცხოეთში აპრობირებული არაერთი საგანმანათლებლო თეორია, სტილი თუ მიდგომა საკვლევი ობიექტისა და თემისადმი; საკვლევაძიებო საკითხის გასარკვევად და გასაშუქებლად, მაგალითად, საჭიროა ისეთი ცოდნით აღჭურვა, როგორიცაა:

კოგნიტური / შემეცნების პროცესი (ინგლ. Cognitive process) ფიქრის, სწავლისა და სიმბოლოთა მინიჭების ფორმები, მათ შორისაა: შემეცნება, განსჯა, დამახსოვრება, წარმოსახვა და დასაბუთება.

კოგნიტური / შემეცნების სტილი (ინგ. Cognitive style) კოგნიტურ ფსიქოლოგიაში: ინდივიდისეული აზროვნების, ინფორმაციის მიღებისა და დამახსოვრების, იმავდროულად ამ ინფორმაციის პრობლემურ სიტუაციაში გამოყენების უპირატესი ფორმა.

კოლბერგის მორალურობის განვითარების თეორია (Lawrence Kohlberg – Theory of moral Development) ამერიკელი ფსიქოლოგის ლოურენს კოლბერგის (Kohlberg 1927-1987) თეორია იკვლევს, თუ როგორი ხდება ადამიანის მორალური განვითარება. ამ უკანასკნელს აინტერესებს პიროვნების უნარის აღქმა, გაიგოს სხვა ადამიანების განსხვავებული პერსპექტივები. როლური უნარ-ჩვევების განვითარება შეიძლება განხილულ იქნას როგორც მორალური განვითარების ერთ-ერთი ადრეული საფეხური. მორალურობის განვითარება იწყება 12 წლიდან, როდესაც მოზარდისათვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ,,საკუთარი თავის იდენტურობის'' ფორმირება. იგი სვამს კითხვას: ,,ვინ ვარ მე?'' ამის შემდეგ იწყებს საკუთარი სოციალური კოგნიციის გაგებას, ანუ ცდილობს გაიგოს, თუ როგორ აღიქვამენ მას გარშემო მყოფნი.

კოლბის თეორია სწავლის სტილის შესახებ (David Lolb – Experiental Learning Theory (learning styles) Model) განათლების ამერიკელი სპეციალისტი დევიდ კოლბი (Kolb 1939-) ზრდასრულთა სწავლის თეორიით წარმოადგენს ე.წ. ,,ზრდასრულთა სწავლის ციკლს'', რომელიც აღწერითი ხასიათისაა. ამ ციკლის მიხედვით, არსებობს სწავლის ოთხი თანმიყოლებითი საფეხური. სწავლა იწყება კონკრეტული გამოცდილების

მიღებით, რომელსაც მოსდევს ამ გამოცდილების მიღებით, რომელსაც მოსდევს ამ გამოცდილების გაცნობიერება უკვე არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით (პიროვნული რეფლექსია) აქტიურად მოქმედი ინდივიდი სწავლობს კეთებით ქმედებით. უპირატესობას ანიჭებს ახალ, საინტერესო გამოცდილებას. იგი აქტიურად ერთვება პროექტებში, ჯგუფურ დისკუსიებში, პრობლემების გადაწყვეტაში, თამაშებსა და სიმულაციებში. მისი ძირითადი ფილოსოფია ,,ერთხელ ყველაფერი უნდა სცადო''. პრაგმატისტი სწავლობს ფიქრით, აზროვნებით. მას ახასიათებს იდეების თეორიების გადასინჯვა, რათა დარწმუნდეს მათ ჭეშმარიტებაში. ცდილობს ახალი იდეების პრაქტიკაში დანერგვას, უყვარს პრაქტიკული პრობლემების გადაჭრა და დამოუკიდებლად სწავლა. ხშირად სვამს კითხვას: ,,როგორ შემიძლია ამის პრაქტიკაში განხორციელება?''. მისივე ძირითადი ფილოსოფიაა _ ,,თუკი პრაქტიკაში ამართლებს, ე.ი. კარგია''. თეორეტიკოსი სწავლობს დაკვირვებითა და განჭვრეტით. მისთვის იდეები ძალიან მნისვნელოვანია, ხშირად სვამს კითხვას: ,,ამას აქვს აზრი''? სწავლის დროს ახასიათებს ანალიტიკური, კონცეპტუალური მიდგომა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ლოგიკურ აზროვნებასა და რაციონალურ შეფასებას. ამის უკეთ სწავლობს შეგრძნებებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. მისთვის ჯგუფურად და წყვილური მუშაობით მიღებული გამოცდილება ყოველთვის შედეგიანია. მას აინტერესებს ადამიანებთან ურთიერთობის ემოციური ელემენტები. მისი ძირითადი ფილოსოფია _ ,,ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი''.

ბიჰევიორიზმი (Behaviorism _ behaviour) _ რწმენა, რომ სოციალური თეორიები უნდა აიგოს იმ ხელმისაწვდომ ქცევებზე, რაც კვლევისათვის აღნუსხვად მონაცემებს იძლევა. ამ თეორიის მიმდევარნი მიიჩნევენ, რომ ადამიანი არის სუფთა დაფა და გარემო სტიმულირებს მასზე. ბიჰევიორიზმის მიხედვით, ადამიანის შინაგანი სამყაროს დანახვა არ არის შესაძლებელი და ამიტომ მათი მეცნიერულად შესწავლა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ქცევებისა და აზროვნების შესწავლა.

სოციო-კულტურული სწავლების თეორიის მიხედვით ნებისმიერი ტექტი არის ენობრივი შემოქმედების ნიუში და იგი ღრმა კავშირშია გარემოსთან. ჟურნალისტიკის ენა, მისი გამომსახველობითი საშუალებები სოციუმთან მჭიდროდაა გადანაკვთული, ამრიგად, იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც რეალურის კოდი. ჟურნალისტიკაში კლასიკური მეთოდების გამოყენებით იდეათა განფენას თანამედროვე პროცესების სრულ გაგებამდე მივყავართ. პუბლიცისტიკა დღესაც იმავე ხერხებს იყენებს, რასაც საუკუნეების წინ და კარგადაც აპრობირებდა. ამიტომ, პედაგოგიური ჟურნალიტიკის გაგების კუთხით, პუბლიცისტიკას წამყვანი ადგილი უჭირავს. ეს დომინანტი პრესის ისტორიისა და თეორიისა იმდენად მკაფიოა და თვალშისაცემი, რომ ნოდარ ტაბიძე და მისი სკოლა ,,ჭეშმარიტების'', ,,იდეათა განფენის სიხშირისა'' და ,,მასალის თანაფარდობაზეც'' ამახვილებს ყურადღებას [1, 168].

დიფერენცირება და სქემების სახით მეთოდური რჩევების მიწოდება, ტერმინების შემოტანა და მათი მნიშვნელობების ვიწრო თუ ფართო გაგებით წარმოდგენა უფრო აადვილებს სტუდენტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების გაგებასა და ათვისებას.

ტერმინთა ურთიერთმონაცვლეობა ლამის თითოეულ სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინაში ხშირად გაუგებრობას იწვევს, მით უფრო, როცა დღეს პრაგმატული ჟურნალისტიკა მკაფიო სახელდებებს მოითხოვს. წლების მანძილზე გამოყენებული ტერმინები და მათი ჟანრთან შესაბამისობა თუ შესაბამისობაში მოყვანა, თემატური პრინციპები და პრესისადმი წამოყენებული მოთხოვნები, ისევ აქტუალური ხდება. თანამედროვე პრესის, ჟურნალისა და გაზეთის, ელექტრონული მედიის ურთიერთკავშირი მართლაც განაპირობებს ინფორმაციულ პოლიტიკას. ამ სოციოკულტუროლოგიურ სივრცეში პუბლიცისტურ ჟანრთა აქტივაცია კი, შთამბეჭდავ სურათს ქმნის.

ლიტერატურა

1. ჯაგოდნიშვილი თ., თაობათა მოძღვარი _ ნოდარ ტაბიძე. გამომც. ,,უნივერსალი'', თბ., 2011.
2. Поликарпова Е., Аксиологические функции масс-мадия в современном обществе, Ростов-на Дону, 2005 (РГБ)

✍ nikoloz kiwmariSvili

ზემოგურული მარგალიტები

აღმოსავლეთ, ზემო გურიად _ ჩოხატაურს მოიხსენიებენ. ჩემი მასალა სწორედ ამ კუთხის "მარგალიტებია". აქ წარმოდგენილი რამდენიმე სიტყვის ვრცელი განმარტება, მხოლოდ მცირედი ნაწილია ჩემი ნაშრომიდან "ზემოგურული მარგალიტები". აქვე წარმოგიდგენთ ადამიანის გარეგნობის აღმნიშვნელ სიტყვებს, რომლითაც მდიდარია ზემოგურული დიალექტი. ზოგიერთ ასეთ სიტყვას ახასიათებს განსხვავებული იუმორი და გარკვეულ წინადადებებში გამოხატავს დაცინვას. ბევრი ეს სიტყვა ერთმანეთის სინონიმებია და მათ მსგავსი ან იდენტური მნიშვნელობები გააჩნია.

<u>კალანდა</u> _ საქართველოს მრავალ კუთხეში აღნიშნავენ, მაგრამ ეს დღესასწაული გურულებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. კალანდას გურულ ახალწელს უწოდებენ და ის ახალი სტილით 13 იანვრის საღამოს დგება, ხოლო ძველი სტილით 31 დეკემბერს. (გურიაში ამ დღეს უფრო 13 იანვარს აღნიშნავენ). განსხვავდება ძველი და ახალა შემორჩენილი რიტუალები კალანდა დღის აღსანიშნად. როგორც ადრე, ისე ახლაც უდიდესი მნიშვნელობა ექცევა ჩიჩილაკს, რომელსაც გურული კაცი თხილის ნედლი შტოებიsagan თლის, და რომელიც წმინდა ბასილის სახელთანაა დაკავშირებული, გურიაში მას „ბასილის წვერსაც" უძახიან (14 იანვარს წმინდა მამის ბასილი დიდის, კესარია კაბადოკიe l ეპისკოპოსის ხსენების დღეა, როგორც ჩანს ხალმა ამიტომ გამოხატა მოწიწება წმინდანის მიმართ). ჩიჩილაკს თავსა და ბოლოში უკეთებენ ჯვარს და მას რთავენ აუცილებლად: კურკანტელით, სურos ფოთლებით და ზედ სხვადასხვა სანოვაges მაგ.: ჩურჩხელა, ვაშლი, აკიდო და ა.შ. ჰკიდებენ. გურულ ჩიჩილაკს ანალოგი აქვს დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებშიც (სვანეთი, იმერეთი ლეჩხუმი...) და სასიხალუროა ის, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში უფრო და უფრო პოპულარული ხდება.

სოფლის მკვიდრთა თქმით, საკალანდო სუფრაზე აუცილებელია იყოს ღორის ყბა, ასევე სასურველია მრავალფეროვანი სუფა, ხორცით მდიდარი. ბუხარში მიოგიზგიზე „ცხმელის" (რცილას) შეშა, რომელსაც ადრეული ისტორია აქვს. მოხუცთა გადმოცემით საკალანდოდო აცხობდნენ მრგვალი ფორმის ფუნთუშებს „ბასილაკს", რომელიც ასევე მამა ბასილის სახელთან იყო დაკავშირებული, ბასილაკი თანამედროვე კალანდა დღეს აღარ ცხვება.

ახალი სტილით 14; 15 იანვარს და ძველით 1;2 იანვარს, ისევე როგორც 17 დეკემბერს, ახალ წელთან

დაკავშირებით არის „ფეხადობა“, რომელსაც დღესაც დიდი ყურადღება ექცევა გურიაში. ფეხადობა იგივე „ფერხვა“ სხვადასხვა დღეს სხვასხვა მნიშვნელობის მატარებელია.

კალანდა თავის დროზე წარმართული სანახაობა იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში სახე იცვალა.

ქარი თვრებოდა ღვინით ıაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა.

ამ დღესთან დაკავშირებით წერდა ანა კალანდაძე.

<u>აბდალე</u> _ისტორია ასეთია: ძველ საბერძნეთში იყო ასეთი ქალაქი _ აბდერა. ეს ქალაქი ცნობილი იყო იმით, რომ მასში ცოტა ჭკუასუსტი ადამიანები ცხოვრობდნენ. ამიტომ აბდერელი საბერძნეთში ცოტა მოსულელო ადამიანის სინონიმად გადაიქცა. ,,აბდერელის" ცნება იმდენად დამკვიდრდა ენაში, რომ ცნობილია ასეთი შემთხვევებიც: როდესაც <u>პლატონი</u>[1] სუფრაზე მოხვდებოდა და იქ არაინტელექტუალური საზოგადოება დახვდებოდა, ასე იტყოდა ,,ეს აბდერაააო" და იქაურიბას ტოვებდა. ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით, ეს სიტყვა გურულ დიალექტში სწორედ ბერძნულის გავლენით გაჩნდა, ვი-ნაიდან გურულ დიალექტში მას სწორედ ანალოგიური მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გურული აბდალი ერთგვარად პოზიტიური ცნებაა და შეიძლება ითქვას, რომ სალანძღავი სიტყვის დატვირთვის არმქონეა.

<u>შავი, შავფეხი</u> _ ამ სიტყვას ჩემს სოფელში გადავაწყდი, მისი მნიშვნელობით დავინტერესდი და ასე ამიხსნა ერთ-ერთიმა მკვიდრისაგან: ამ სიტყვას ოდითგანვე იყენებდნენ გურულები ჭიანჭველას მნიშვნელობით, ოღონდ ეს მისი ტაბუირებული მნიშვნელობაა. მანვე მითხრა, რომ როდესაც ჭიანჭველათა გროვას ნახავდნენ, ასეთ შელოცვას ამბობდნენ:

„შავი მოდის შავითა,
შავი თავის ჯარითა
შავი წავა შავითა
შავი მისი ჯარითა.“

გურულებს სჯეროდათ, რომ ამის შემდეგ ჭიანჭველები გაიბნეოდნენ და გროვად

აღარ დარჩებოდნენ. ალ. ღლონტის წიგნ ში „ქართულ კოლო-თქმათა

სიტყვის კონა“ ვნახე „შავის“ გურული სინონიმი „შავფეხი“, რომელიც ასეა განმარტებული: „შავფეხი_ ტაბუირებული სახელია ჭიანჭველისა, როცა ოჯახში აბრეშუმის ჭია ჰყავთ.“ დღესდღეობით ჭიანჭველას გურიაში „შავით“ აღარ მოიხსენებენ, მხოლოდ მოხუცთა მეხსიერებაშია მისი მნიშვნელობა შემონახული.

<u>ქაიჯრობა</u> _ ძველი გურული დღესასწაულია, რომელიც დღემდე შემორჩენილია მოხუც ხალხთა მეხსიერებაში. ეს დღესასწაული აღინიშნება აპრილის თვეში. პირველი აპრილიდან ერთი კვირის განმავ-ლობაში, ნებისმიერი რიცხვის შაბათ დღეს და ახალი სტილით 14 აპრილიდან პირველ შაბათ დღეს.

ქაიჯრობა დღეს არ შეიძლება მიწის დამუშავება და რაიმეს დათესვა, რადგან ძველთა გადმოცემით, ამ დღეს დათესილ ნებისმიერ მცენარეს ქარი სწაიღებს, ამიტომ წამდათ ამ დღის და აღნიშნავენ.

გ. შარაშიძის წიგნში „ქართულ ენათა ლექსიკა“, ეს სიტყვა ასეა განმარტებული: „ქაიჯრობა _ ქარიჯვრობა, ქარის დღესასწაული ძველად“.

გურულ დიალექტში ბევრია ადამიანის გარეგნობის აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც დეტალურად

გადმოცემს ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობას. წარმოგიდგენთ სინონიმებად დალაგებულ, ერთნაირი ხასიათის სიტყვებს:

დაბზღარტული, დაკოღინებული, დაბღუსტული, დაგვარჯღული, დაქვაფსული, დაქვარჩული – ყველა ამ სიტყვაში მოცემულია გარეგნობის შემდეგი ნიშნები: დაგლახავებული, დაბალი და ფიზიკურად განუვითარებელი ადამიანი. ასევე ამ სიტყვებით შეიძლება მოვიხსენიოთ მცენარეები.

დაქიმანჯებული, დასკირენჯებული, დახლიფართებული _ არასწორი ფეხების მქონე ადამიანი, რომლისთვისაც დამახასიათებელია "ჯლაბუხით"- კოჭლობით სიარული.

ბუქურიე, დღვაბერე, ტოტოშინე, სადრაქუნე, ბაჯაჯგუნე, გვაბრედე, ჯიჯგვი _ ამათთვის დამახასიტრებელია სიმსუქნე, სიდაბლე, ძვალმსხვილობა და გარდა ერთისა "ჯიჯგვი" გამოიყენება საალერსო ფორმად მოზარდებში.

თავდგიგინე, სახეხონდრო _ დიდთავა ადამიანი, რომელსაც უსტანდარტო სახე აქვს.

ოხმეხე, ბოჩხორიკე, ტლიკი _ მაღალი წარმოსადეგი კაცი, რომლისთვისაც დამახასიათებელია "ჩოლოსპარტე" _ დიდი ფეხი

აპიკო, პეწენიკი, პუწკიე _ კოხტა ქალის აღსაღნიშნაი სიტყვები, კერძოდ: აპიკო _ პატარა საქმიანი ქალი, პეწენიკი – კოპწია ახალგაზრდა, პუწკიე – პრანჭია, მორიდებული გოგონა.

ჭოლიკე, ჩხიბარკალი _ მაღალი, გამხდარი გოგო, რომლისტვისაც დამახასიათებელია "დაშხვანთალებული" _ სწორი ფეხები.

ესენი და კიდევ მრავალი სხვა სიტყვა გამოხატავს გურულად ადამიანის გარეგნობას.

შეიძლება დავასკვნათ, რომ „გურული მარგალიტები" არაერთია მისაგნები და აღმოსაჩენი. ამ მხრივ ძიება კიდევ ბევრ საინტერესო ეთნოკულტურულ ფაქტს გამოავლენს.

Tamaz nucubiZe

ფინანსური კონტროლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში

რეცენზია

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა _ ,,სახელმწიფო კონტროლის სისტემის ქმედუნარიანობის გაძლიერება", საჯარო მოსამსახურის ბიბლიოთეკის სერიით _ ,,დამხმარე სახელმძღვანელო მოხელეთათვის", გამოსცა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორების – **გიორგი სახოკიას, ილია ზაქარიაძისა და ვახტანგ მუჯირიშვილის** მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო _ ,,ფინანსური კონტროლის საფუძვლები".

სახელმძღვანელო მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრასთან ერთად; პროფესორ ელენე ხარაბაძის რედაქტორობით.

ფინანსური ურთიერთობების მრავალფეროვნება განაპირობებს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის საქმიანობის ფართო სპექტრს; დემოკრატიული საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლი საფინანსო სამართლის ნორმებზე დამყარებული ღონისძიებებისა და ორგანოების სისტემაა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის კონტროლი.

ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის "ფინანსური კონტროლის საფუძვლების", როგორც მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს, გამოცემა მეტად საშური და აუცილებელი საქმე იყო.

ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წიგნში, გარდა ფინანსური კონტროლის არსისა და თეორიული საფუძვლებისა, ფართოდაა განხილული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის სისტემის ორგანიზაციის სრულყოფის საკითხები; წამოყენებულია აუდიტორული კონტროლის ეფექტიანობის როლის ამაღლებისა და აუცილებლობის შესახებ; განხილულია საზოგადოებრივი, საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო კონტროლის დანიშნულება, განსაკუთრებით, ამ ეტაპისათვის. წარმოდგენილია აღრიცხ-

ვა-ანგარიშგების, როგორც ფინანსური კონტროლის საინფორმაციო წყაროს როლი; ასევე, გაშუქებულია საბიუჯეტო დაგეგმვისა და კონტროლის, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზისა და კონტროლის ურთიერთობებისა და ერთობლიობის საკითხები.

წიგნში ნაჩვენებია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და მოცემულია მათი საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, ლიმას დეკლარაციით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები, მაკონტროლებელი ორგანოების დამოუკიდებლობის ფორმები და ორგანიზაციული სტრუქტურა, მათი უფლებამოსილებანი; გაანალიზებულია საზღვარგარეთის ცალკეული ქვეყნების (სამი კონტინენტის 9 სახელმწიფოს) სახელმწიფო უმღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის თავისებურებანი; განსაკუთრებული ადგილი უკავია საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილებათა განხილვას.

სახელმძღვანელოს უფრო მეტი ღირსება შეჰმატა იმანაც, რომ ავტორებმა განსაზღვრული ადგილი დაუთმეს ფინანსური კონტროლის როლსა და ადგილს დემოკრატიულ და დამოუკიდებელ საქართველოში (1918-21 წწ). ხაზგასმულია, რომ იმ პერიოდისათვის არსებული საკანონმდებლო ბაზა კონტროლს განსაზღვრავდა არა როგორც ნაკლოვანებათა და დარღვევათა ფიქსაციის იარაღს, არამედ სახელმწიფო კონტროლის მოვალეობათა შესრულებისათვის დაწესებულ წინასწარი, შემდგომი და ფაქტიური კონტროლის მექანიზმს და აქედან გამომდინარე, სახელმწიფო კონტროლის არსი დემოკრატიულ საქართველოს მესვეურებს გააზრებული ჰქონდათ, როგორც ფართო მასშტაბური და ზოგადსახელმწიფოებრივი უფლებებით აღჭურვილი ფენომენი.

აღსანიშნავია, რომ ავტორებს მიზანშეწონილად და საჭიროდ არ ჩაუთვლიათ, განეხილათ და გაეანალიზებინათ საბჭოთა საქართველოს ფინანსური კონტროლის სისტემა, სამაგიეროდ, ფართო ადგილი ეთმობა თანამედროვე, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის საერთო მდგომარეობის ანალიზს, ნაჩვენებია ,,საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონისა და რეგლამენტის მოქმედების არეალი და მიმართულებები; გაშუქებულია შიდა კონტროლის სისტემის ზოგადი და დეტალური სტანდარტების არსი და მნიშვნელობა.

ავტორებს ფართოდ აქვთ გაშუქებული ფინანსური კონტროლის მეთოდიკის საკითხები – საკონტროლო-სარევიზიო სამუშაოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა, საქართველოს კონტროლის პალატის სამართლებრივი აქტების მომზადება და მოქმედების წესი, რევიზია-შემოწმებათა ჩატარების პროცესები. დეტალურად აქვთ განხილული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კონტროლისა და რევიზიის საკითხები საწარმო-დაწესებულებათა (როგორც საბიუჯეტო-საჯარო, ასევე კერძო სექტორში) საქმიანობის სახეების მიხედვით, კერძოდ, მოცემული აქვთ მატერიალური და არამატერიალური აქტივების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგების მოძრაობის, ფულადი საშუალებებისა და საკრედიტო-საან-

გარიშსწორებო ოპერაციების, დებიტორ-კრედიტორების და ინვესტიციებთან დაკავშირებული ოპერაციების, შემოსავლების, ხარჯების და ფინანსური შედეგების კონტროლის და რევიზიის დროს გამოყენებული ინდივიდუალური სპეციფიკური ხასიათის ხერხები და მეთოდები.

სახელმძღვანელოს ბოლო თავი ეძღვნება რევიზია-შემოწმებათა შედეგების რეალიზაციას – რევიზიის აქტის რაობასა და მოხსენებითი ბარათის შედგენას, მის შინაარსსა და დანიშნულებას, კონტროლის პალატის პრეზიდიუმზე, განსახილველი საკითხების შერჩევას, პრეზიდიუმის სხდომის მომზადებისა და ჩატარების წესს, პრეზიდიუმის დადგენილების პროექტის მომზადების პროცესს, სამართალდამცავ ორგანოებზე შემოწმების მასალების გადაგზავნისა და მათზე რეაგირების კანონმდებლობით დადგენილ წესებს და ა.შ. აქვე განხილულია გენერალური პროკურატურისა და კონტროლის პალატის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები ,,საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" და ,,პროკურატურის შესახებ" საქართველოს კანონების მოთხოვნების ჭრილში.

სახელმძღვანელოს დასკვნით ნაწილში ავტორები ეხებიან რა ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების ფონდის – GTZ-ის, გაეროს განვითარების პროგრამის (uNDP) და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობით შემუშავებულ ,,საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების გრძელვადიანი გეგმის" უმთავრეს მიზანს – საქართველოს კონტროლის პალატის, როგორც საქართველოს სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოს, ჩამოყალიბებას საჯარო სექტორის თანამედროვე დამოუკიდებელ აუდიტორულ სამსახურად, ყურადღებას ამახვილებენ აღნიშნული რეფორმის დამამთავრებელ ეტაპზე პალატის ახალი ფუნქციების გათვალისწინებით მისთვის სახელწოდების შეცვლისა და შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანის საკითხებზე, ასევე, რეფორმის შემდგომი პალატის მიერ სახელმწიფო სექტორისათვის ეფექტური დამოუკიდებელი აუდიტორული მომსახურების ძირითად მიმართულებებზე, **რომელიც უნდა განხორციელდეს:**

_ **შეფასებითი აუდიტის** სახით, რაც ითვალისწინებს საჯარო პროგრამების საქმიანობის მენეჯმენტისა და ოპერაციული შესრულების ეკონომიურობის, ეფექტურობის და მიზნობრიობის შეფასებით აუდიტს;

_ **შესაბამისობას აუდიტის** სახით, რაც გულისხმობს სამართლებრივი და ადმინისტრაციული შესაბამისობის შემოწმებას, ადმინისტრაციის მიუკერძოებლობას, შესაბამისობას და ა.შ.;

_ **ფინანსური აუდიტის** სახით, როცა მოწმდება ფინანსური დოკუმენტაცია და ანგარიშგება, საანგარიშგებო სისტემები და ფინანსური დოკუმენტაციის შესაბამისობა ანგარიშგების ნორმებთან და დადგენილ სტანდარტებთან;

_ **დარღვევების გამოძიების** სახით და სხვ.

ჩვენი აზრით, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო _ **,,ფინანსური კონტროლის საფუძვლები,"** ორიგინალური სახელმძღვანელოა თავისი ფორმითაც და შინაარსით და ეკონომიკურ-სამეცნიერო ლიტერატურის

ღირსეული შენაძენია; ვფიქრობთ, რომ იგი დახმარებას გაუწევს საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგებსა და სახელმწიფო-საფინანსო სისტემის პრაქტიკოს მუშაკებსა და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი პროფილის სტუდენტებსა და მაგისტრანტებს.

TAMAZ NUTSUBIDZE

s u m m a r y

Methodological manual book "Fundamentals of Financial Control" was written by the Doctors of Economic Sciences: George Sakhokia, Ilia Zakariadze and Vakhtang Mujirishvili. The book was published by the United Nations Development Programme (UNDP) for the development of democratic governance, public administration, management and information _ communication technologies of the Georgian Parliament, government and other governmental agencies.

It is important that such kind of manual book was published in Georgia for the first time. It is based on the deep analysis of the activities of the state control system of independent Georgia and on the views of the high-skilled scientists with practical experience in this field.The authors have analyzed also the activities and regulations of the international controlling authorities and organizations and, separately, those in some highly developed countries. The guidelines and regulations of the Lima Declaration is also discussed.

The additional advantage of this book is that authors have dedicated one whole section to the organizational and planning issues of control-auditing. There's discussed the rules how the Chamber of Control prepares the legal acts, plans and implements a revision. Authors analyze the specific tools and methods of financial control, auditing, and revision in details.

madlena kowowaSvili

აშშ და კავკასია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კარგა ხნის მანძილზე დასავლეთი სრულად ვერ აფასებდა კავკასის რეგიონის პრობლემებს და აქ არსებულ ინტერესებს. ამერიკელებისა და ევროპელების გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ ამ ინტერესების შეფასება ძნელი იყო. ერთი შეხედვით ნავთობი რომ არა, გარე ძალებისთვის უპრიანი იქნებოდა გასცლოდნენ რეგიონში არსებულ ქაოსს, ჩამორჩენილობას და დაძაბულობას. რა ადგილიც უნდა ეჭიროს კავკასიას მსოფლიო სისტემაში, დღეს უკვე ცხადია, რომ იქ განვითარებულმა მოვლენებმა დადებითმაც და უარყოფითმაც, შეიძლება ისეთი მასშტაბები მიიღოს, რომ ვაშინგტონის, ბრიუსელის და სხვების ინტერესი ნამდვილად გაამართლოს.

დღეს ესაუბრებიან რა ამერიკელები და ევროპელები თავის კავკასიელ კოლეგებს ამიერკავკასიის სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე, ამით დასავლეთი პოლიტიკური და სამხედრო დახმარების არარეალისტური მოლოდინების და იმედების წარმოშობას უწყობს ხელს.

აშშ-ს კავკასიაში მნიშვნელოვანი ინტერესები აქვს, როგორც რეგიონის ირანთან მეზობლობის, ავღანეთში ტვირთების გადაზიდვის, ისე ენერგეტიკული რესურსების ტრანზიტის და საბაზრო კავშირებისა და დემოკრატიის განვითარების კუთხით.

ჩვეულებრივ აშშ-ს ინტერესის სათავეში ნავთობი და გაზი დგას. ნავთობი ამერიკისთვის არის მნიშვნელოვანი, გაზი _ ევროპისთვის. აშშ დაინტერესებულია ენერგორესურსების ტრანზიტის კავკასიური მარშრუტის უსაფრთხოების გარანტიებით. შტატების ,,ცისფერი ოცნებაა" იმ პროექტების რეალიზაცია, რომელიც თურქმენული და აზერბაიჯანული გაზის მიწოდების ნიშნავს ევროპისთვის და ეს საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული ინვესტორების დარწმუნებასთან ტრანზიტის უსაფრთხოებაში. აშშ-სთვის მთავარია კავკასიის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს აშშ-მ აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ნავთობსადენს სხვა მარშრუტებთან შედარებით კასპური ნავთობის და გაზის ტრანსპორტირებისას უპირატესობა მიანიჭა ორი ძირითადი მიზეზის გამო: რუსეთის გავლენის შესამცირებლად რეგიონში და ირანისთვის კასპიის რესურსების ტრანზიტის სარგებლობაში.

აშშ-ში, ამის გარდა, ოფიციალური პირები მოქმედებდნენ იმ ანგარიშით, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსა-

დენი ხელს შეუწყობდა რეგიონში სტაბილიზაციას, კონფლიქტების შემცირების და არა სტიმულირების ხარჯზე. მილსადენის პროექტი ასევე კომპენსაცია იყო თურქეთისათვის აშშ-სგან 1991 წელს სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებების მხარდაჭერისთვის და ამის შედეგად მიღებული ფინანასური დანაკლისისთვის.

გარდა ამისა, კლინტონის ადმინისტრაცია ამას ხსნიდა აშშ-ში ენერგორესურსების მიწოდების დივერსიფიკაციის საჭიროებით, მიუხედავად იმისა, რომ კასპიის ნავთობი მსოფლიო მარაგების მხოლოდ 5%-ზე ნაკლებს შეადგენს. ასე, რომ აშშ-ს ძალისხმევა რომ არა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანა არ მოხდებოდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ენერგოპროექტების მხარდაჭერით კავკასიაში, და განსაკუთრებით საქართველოში დიდი იმედების წარმოშობას შეუწყო ხელი, მაგრამ არსებობს გარანტია, რომ მხოლოდ ნავთობი და გაზის პროექტები იქნება საკმარისი საქართველოს კეთილდღეობისთვის?

გარდა ამისა, აშშ-სთვის კავკასიის რეგიონის წარმოადგენს საყრდენ გეოგრაფიულ წერტილს ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის გავრცელების პროცესში. კასპიის ნავთობი და გაზი, რომელიც კავკასიის გავლით ევროპაში გადის, ფაქტობრივად უახლოეს მომავალში მსოფლიო ნავთობწარმოების 25%-ს მიაღწევს, ეს კი უზრუნველყოფს ევროპას და დასავლეთს საშაულებას მისცემს ენერგოწყაროების დივერსიფიკაციისა.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და რუმინეთის პრეზიდენტებმა, ასევე უნგრეთის პრემიერ მინისტრმა ახალი იმპულსი მისცეს ,,ნაბუკოს" პროექტის რეალიზებას, რაც გულისხმობს საქართველოსა და შავი ზღვის გავლით კასპიის ნავთობის და გაზის ტრანზიტს ევროპაში, თუმცა საქმე ჯერ არ დაძრულა, რადგან აშშ-ს მცდელობების მიუხედავად, ჯერ არ ჩანს რეალური ლიდერი კომპანია პროექტის განსახორციელებლად. აზერბაიჯანი _ საქართველო _ რუმინეთის მარშრუტით ყულევის ტერმინალის საშულებით ევროპა, ბალკანეთი და მალე უკრაინაც აზერბაიჯანულ გაზს და ნავთობს მიიღებენ და ამ პროექტს მალე თურქმენეთიც შეუერთდება.

ვაშინგტონი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს საქართველოს მნიშვნელობას რეგიონში, სიტყვიერად მაინც. გამოდის მის დასაცავად, როცა რუსეთიდან ზეწოლა აუტანელი ხდება. თუმცა ამავერ დროს აშშ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობისას უფრო დრეკადი პოლიტიკისკენ მოუწოდებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ხედვით საქართველო მუდამ იქნება დამოკიდებული რუსეთზე მრავალ სფეროში და მას სხვა გზა არა აქვს, თუ არა ძლიერ მეზობელთან კონსტრუქციული თანამშრომლობა. საქართველოს ძირითად პარტნიორებად დასავლეთში შეიძლება აშშ და ევროკავშირი ჩაითვალოს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ ვერ შეძლეს საქართველოს მიმართ თანამიმდევრული და ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საგ-

რძნობლად გაიზარდა აშშ-ს, ევროკავშირისა და ნატოს აქტივობა კავკასიაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ობამას ადმინისტრაციამ ეს ინტერესი კავკასიის რეგიონის პრობლემებისადმი გარკვეულად შეასუსტა ე.წ. რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის გამო. სამწუხაროდ, აშშ-ს პოლიტიკა, რომელსაც 20 წელი აშენებდნენ რეგიონში კლინტონისა და ბუშის ადმინისტრაციები, ღრმა კრიზისში შევიდა. აშშ-ს დღეს რთული სიტუაცია აქვს თურქეთთან და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან. წამყვანი ამერიკელი ექსპერტები ღიად აცხადებენ, რომ თბილისში, ბაქოსა და ერევანში უკვე თვლიან, რომ აშშ-ს პოლიტიკური კურსი კავკასიაში ახლოა კრახთან. აშშ-ს ძალისმევას თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის კუთხით მთიანი ყარაბაღის პრობლემის გამო შედეგი არ მოჰყოლია. აშშ-მ ვერ დაარწმუნა მხარეები ყარაბაღის კონფლიქტისთვის გვერდი აევლოთ. აშშ-მ შეძლო ურთიერთობების გაფუჭება აზერბაიჯანთან, რადგან დიდი ხნის განმავლობაში ელჩი არ დანიშნა ბაქოში. გარდა ამისა ბაქოს არ ესიამოვნა თურქეთ-სომხეთის დამეგობრებაში აშშ-ს მონაწილეობა. ობამას ადმინისტრაციას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის აზერბაიჯანთან არ ცდილობს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას მით უფრო, რომ აზერბაიჯანი უფრო ცივილიზებული მუსულმანური სახელმწიფოა და დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული. მასთან პარტნიორობა აშშ-სთვის განსაკუთრებულია, რადგან აზერბაიჯანი უშუალოდ ესაზღვრება ირანს, თურქეთსა და რუსეთს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აშშ-ს რეიტინგი მაჰმადიანურ სამყაროში ძალიან დაბალია, ასეთი მოკავშირე ისლამური ქვეყნებიდან, რომელიც გადის კასპიის ზღვაზე და ამ გზით ცენტრალურ აზიაში, კარგი კოზირია.

ჩანს, რომ კავკასიაში აშშ-ს ინტერესთა სფეროში არამხოლოდ ნავთობი შედის. ბოლო წლების განმავლობაში ეს სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ საქართველომ და აზერბაიჯანმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს ვაშინგტონისათვის ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში. ტერორიზმთან ბრძოლა არ უქმნის საქართველოს და აზერბაიჯანს არც აშშ-სთან ურთიერთობების განმტკიცების მყარ საფუძველს და არც რუსეთთან საქმის დაჭერის ხელსაყრელ პირობებს. როგორც წესი, საქართველოც, სომხეთიც და აზერბაიჯანიც რუსეთსა და აშშ-ს რეგიონში მთავარ ფიგურებად თვლიან. მაგრამ რადგანაც არც მოსკოვი და არც ვაშინგტონი არ აღიქმება ერთნაირად კეთილგანწყობილ პარტნიორებად, თბილისი, ბაქო და ერევანი იძულებული არიან მათ შორის არჩევანი გააკეთონ და შემდგომ არჩეული ქვეყნის კეთილგანწყობა მოიპოვონ.

ამერიკელი პოლიტოლოგები და ექსპერტები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ აშშ-ში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას სახელმწიფო დეპარტამენტს თავისი მრავალრიცხოვანი სტრუქტურით, თეთრ სახლს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და თავდაცვის სამინისტროს _ ყველას თავისი საკუთარი ხედვა აქვს ამიერკავკასიასთან მიმართებაში, მაშინ, როცა კონგრესი ნავთობისა და ეროვნული ლობის ზეგავლენით

ხშირად კიდევ სხვა გადაწყვეტილებების მიღებას ცდილობს. სხვადასხვა პრეზიდენტების ადმინისტრაციები ამერიკაში განსხვავებულ პრიორიტეტებს შეიმუშავებდნენ. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლომდე აშშ-ს პოლიტიკა განსაკუთრებით გაურკვეველი იყო, რაც შიდა სტრუქტურული შეუთანხმებლობით აიხსნება. მხოლოდ ბილ კლინტონის მეორე საპრეზიდენტო ვადის ბოლოს მოხდა ,,კასპიის პოლიტიკის" შემუშავება.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. საქართველო დღეს დიდი ახლო აღმოსავლეთის ნაწილად მოიაზრება _ პოტენციური ტერორისტული საფრთხის მთავარი რეგიონი. საქართველოს როლი, როგორც ცენტრალური აზიის კარიბჭისა, გაცილებით გაიზარდა ავღანეთის და ერაყის საომარი კამპანიების შედეგად. სეპარატისტული რეგიონები განსაკუთრებული შეშფოთების საგანი გახდა, ვინაიდან აქ დასავლეთი პოტენციურ ტერორისტულ თავშესფარს ხედავს. ამ ტერორისტული საფრთხის გადაჭრა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრივი რეფორმის ფარგლებში უნდა მომხდარიყო.

რისკის მინიმუმამდე დასაყვანად აშშ-მ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს კავკასიის და საქართველოს როლი მისი უსაფრთხოების გეგმებში, რათა არ მოხდეს რუსეთთან ურთიერთობების ახალი ესკალაცია. ეკონმიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, დასავლეთი დაინტერესებულია ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის პერიფერიაზე სტაბილურობით. საქართველო კი კავკასიაში სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ამის განსამტკიცებლად აუცილებელია საქართველოს საკუთარი უშიშროების პრობლემის გადაჭრა. აშშ აქტურად ახორციელებს კავკასიაში ენერგეტიკული და გეოპოლიტიკური პოლიტიკის აღრევას, რათა ამიერკავკასიაში ყოვლისმომცველი რეგიონული სტაბილურობა დამკვიდრდეს. თუმცა ჯერჯერობით აშშ-მ ვერ შეძლო რაიმე კონკრეტული და გრძელვადიანი შედეგის მიღწევა, მიუხედავად ეუთოსა და გაეროს ფორმატებში ხანგრძლივი მცდელობისა. აგვისტოს ცნობილი მოვლენების ფინალმა ცხადყო, თუ ვინ არის რეალური წამყვანი მოთამაშე რეგიონში.

ფაქტია, რომ კავკასიის ქვეყნებისთვის აშშ-სთან სრულყოფილი ალიანსი შეუძლებელია, ხოლო ანალოგიური ალიანსი რუსეთთან _ არასასურველი (სომხეთისთვისაც კი), ამიერკავკასიის ქვეყნებს აიძულებს შეინარჩუნონ ურთიერთობები ორივე ძალასთან. ამდენად რეალობა ძალიან მკაცრია და სიფრთხილეს მოითხოვს.

MADLEINE KOTSOTSASHVILI

THE U.S. AND THE CAUCASUS

s u m m a r y

Whatever is the place of Caucasus in the world system, the events, both positive and negative, may reach such extents that the interests of Washington, Brussels and the others may be justified. As a rule in the head of these interests is gas and oil. Oil is important for America while gas is essential for Europe.

The USA is trying to diminish Russia's influence in the region and consolidate its positions. It was particularly obvious during the August war between Russia and Georgia in 2008.

Generally speaking, after the Rose revolution the actions of the USA, the EU and NATO have considerably broadened in Caucasus. In May 2005 the US president George Bush's visit in Georgia emphasized Washington's benevolence towards the new regime and their interests in the region.

The US's biggest interest is caused by the Caspian Sea oil and gas reserves and international policy related to the issue. This problem is wide and the playground here includes the Caucasus and Central Asia as well.

The U.S. field of interests in Caucasus is not just about oil. For the last several years this field has expanded considerably. After the September 11 terrorist attack, Georgia and Azerbaijan have acquired a special significance in the context of Washington's fight against terrorism.

As a rule, Georgia, Azerbaijan and Armenia consider Russia and the United States as the key figures in the region. Due to the crisis situation in the region it would have been natural that the assistance and decisions made in cold mind were coming from external entities but as neither Moscow nor Washington have been equally responsive partners, Tbilisi, Baku and Yerevan are forced to make a choice between them , and later gain the benevolence of the elected state.

It's a fact that the complete alliance of the Caucasus countries with the U.S. is impossible, while a similar alliance with Russia is adverse (even for Armenia), so the Trans-Caucasus countries are forced to maintain relations with both parties. So, the reality is rather tough and requires caution.

ლიტერატურა

1. ნოდია გ., ,,საქართველო _ მოწყვ-ლადობის განზომილებები", თბ., 2006.
2. თომას დე ვაალი: ,,საქართველო და მისი შორეული მეზობლები", კრ. ,,სახელმწიფოებრიობა და უსაფ-რთხოება", თბ., 2005.
3. Howard, NATO and the Caucasus
4. Stephen J. Blank, US Military Engagement with Transcaucasia and central Azia, Http://www.carlisle – army.mil/pdffiiles/pub ID=113/
5. http://poli.vub.ac.be/pubiers/eng/0501-00.html/
6. http://www. iis-eu.org

eTer SamanaZe

ინფორმაციული საზოგადოება

სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის სისტემა თანამედროვე საზოგადოებაში ყალიბდება შემდეგი ფაქტორების ურთიერთქმედებით:

ინფორმაციული საზოგადოების იდეოლოგია, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, ინფორმაციულ, კულტურულ-იდეოლოგიურ გლობალიზაციას.

ინფორმაციული წინააღმდეგობა, რომლის დროსაც ყალიბდება საზოგადოების ფორმირების ისეთი აგრესიული და სოციალურად საშიში ფორმები, როგორიცაა: ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ექსპანსია, ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური აგრესია, ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ომი.

ინფორმაციული საზოგადოება – საზოგადოების განვითარება, მდგომარეობა და მათი ურთიერთობები ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში, რომლის საფუძველზეც იქმნება ინტელექტუალური შრომის ნაყოფი.

თანამედროვე დროში, მიუხედავად «ინფორმაციული საზოგადოების» ტერმინის ფართოდ გავრცელებისა, მეცნიერები და სპეციალისტები ჯერ კიდევ არ შეთანხმებულან ერთ აზრზე, თუ რას წარმოადგენს მისი ძირითადი შინაარსი. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეს არის საზოგადოება, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფილია «მთელი მსოფლიოს მასშტაბით ინფორმაციის თავისუფლად და ადვილად მიღება-გადაცემა». სხვები აღნიშნავენ, რომ ესაა საზოგადოება, რომელშიც «მუშაობის ძირითადი ობიექტი და შედეგი არის ინფორმაცია და ცოდნა». სხვათა აზრით, «ინფორმაციული საზოგადოება» არის საზოგადოება, სადაც შრომის ძირითადი საგანი არის ინფორმაცია და ცოდნა, ხოლო შრომის იარაღი – ინფორმაციული ტექნოლოგიები.

ინფორმაციული საზოგადოების იდეოლოგია გვთავაზობს სუბიექტის ინფორმაციული პოლიტიკის კარდინალურ ცვლილებას სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში და მათი ქცევის სტრატეგიას ინფორმაციულ საზოგადოებაში.

ინფორმაციულ საზოგადოებაში შესაძლებელია ქცევის სტრატეგიის შემდეგი ვარიანტები:

1. თავდაცვითი, რომელიც მიმართულია დაცვისკენ, წყაროს კონტროლსა და შიდა კონტაქტების შეზღუდვაზე.
2. შეტევითი, მიმართულია აქტიურ მოღვაწეობაზე შესაძლებლობის ორი ტიპით: პირდაპირი თავდასხმა და სისტემისთვის დეზინფორმაციის მიწოდება.
3. რაოდენობრივი, ხასიათდება ინფორმაციის დიდი რაოდენობის შე-

რევით და გამოყენებით შეზღუ-
დული ინფრასტრუქტურის ფონზე.

4. ხარისხობრივი, ხასიათდება ინ-
ფორმაციულ მენეჯმენტზე აქცენ-
ტირებით, შედეგად ინფორმაციის
მართვა ხდება უკეთესი, ვიდრე
კონკურენტების.
5. შთანთქმითი, ხასიათდება ინფორ-
მაციის შეგროვებისადმი ყურადღე-
ბით და იღებს დიდი რაოდენობით
ინფორმაციას.

ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების მნიშვნელოვანი შედეგი არის გლობალურ-ინფორმაციულ სივრცეში სოციალური სისტემების ჩართვა, სადაც მიმდინარეობს ბრძოლა ინფორმაციული უპირატესობის მოსაპოვებლად.

ინფორმაციული სივრცის განვითარების ხარისხი გადამწყვეტად მოქმედებს საზოგადოების სხვა სფეროებზე. ამ ხარისხზეა დამოკიდებული ადამიანთა ქცევა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების ჩამოყალიბება, სოციალური უსაფრთხოება. დააკავშირა და ჩართო რა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, რომელთაც აქვთ კავშირის და ინფრასტრუქტურის განვითარების საკმარისი დონე – ინფორმაციული სივრცე ფაქტიურად არის კავშირის ისარი ქვეყნებს შორის, რაც წარმოადგენს გლობალიზაციის ძირითად სტიმულს და ამავე დროს მის შედეგსაც.

შედეგად ინფორმაციული სივრცე სოციალურ სისტემებში, მოიცავს ისეთ ელემენტებს, რაც დამახასიათებელია კიბერსივრცისთვის და ამავე დროს ხდება ტრანსნაციონალური, რასაც ინფორმაციულ პროცესში შეაქვს წინათ ჩაკეტილი სისტემის ახალი სუბიექტები, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ გავლენა «შიდა» პროცესებზე ინფორმაციული სივრცის გავლით. ინფორმაციული სივრცის მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ახალი პარადიგმების განსაზღვრა ინფორმაციულ სივრცეში, რომელიც მოიცავს ინფორმაციულ სივრცეში მართვის კონცეფციას, ინფორმაციული პოლიტიკის და ინფორმაციული სივრცის განსაკუთრებულობის განხორციელების მიზნით.

გლობალიზაცია, როგორც ევოლუციის პროცესი თანამედროვე ეპოქაში ხდება საერთო, კონტინენტალურ და რეგიონალურ დონეებზე და გამოიხატება ნაწილობრივი ინტეგრირებადი პროცესებით, რომელიც ეხება ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს.

გლობალიზაცია – ერთიანი მსოფლიო საფინანსო, ინფორმაციული და ფსიქოლოგიური პროცესის ფორმირების უფრო სერიოზული პროცესია.

გლობალიზაციის თანამედროვე თეორია ყოფს გლობალიზაციის პროცესს პატარა შემადგენელ კომპონენტებად, ანიჭებს მათ დამოუკიდებელ მნიშვნელობას და საჭიროების შემთხვევაში აქცენტს აკეთებს ზოგიერთ მათგანზე. გლობალური ბაზრის და ინფორმაციული საზოგადოების იდეა ამ მოვლენის გამოხატვის ერთ-ერთი სახეა.

გლობალიზაციის პროცესი ქმნის ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ომის და საიდუმლო ოპერაციების ჩატარების გარემოს, აერთიანებს ერთ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ პროცესში ნაციონალური ინფორმაციულ-

ფსიქოლოგიური სივრცის სხვადასხვა სეგმენტებს და ელემენტებს, აკავშირებს მას სხვადასხვა სტრუქტურებთან.

გლობალიზაცია ქმნის და აფართოებს გლობალურ ინფორმაციულ სფეროს, შლის სახელმწიფო, ნაციონალურ საზღვრებს და სხვა ბარიერებს. თანამედროვე ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ბრძოლის კონცეფცია, გლობალურ დონეზე საბრძოლო მოქმედების დაწყება, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო ინფორმაციულ პოლიტიკას.

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ექსპანსიის მნიშვნელოვანი შტრიხია ე.წ. ინფორმაციული ნეოკლასიციზმი. იგი ყოფს მსოფლიოს ყველა ქვეყანას პირველი _ სუბიექტებად, რომლებიც დომინირებენ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ სივრცეში და არის ექსპანსიის წყარო და მეორე _ სუბიექტებად, რომლებიც არ ფლობენ აუცილებელ ინფორმაციულ რესურსებს და ამიტომ არიან ინფორმაციულად დამოკიდებულნი დომინანტ სუბიექტზე. ასეთი სახელმწიფოების როლი ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ სივრცეში საკმაოდ აშკარაა – ისინი ხდებიან მნიშვნელოვანი ინფორმაციული საზოგადოების სტრატეგიული რესურსის – ინფორმაციის და ცოდნის მიმწოდებელნი.

ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციალური სისტემის მართვა ხორციელდება ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ორგანიზაციული ტექნოლოგიების კომპლექსის მეშვეობით.

ფსიქოლოგიური ზემოქმედება – ეს არის ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენის საშუალება (ცალკეულ ინდივიდზე ან ჯგუფებზე), რომლის მიზანია იდეოლოგიური ან ფსიქოლოგიური სტრუქტურის შეცვლა, ემოციური მდგომარეობის ტრანსფორმაცია, გარკვეული ტიპის მოქმედების სტიმულირება რისთვისაც გამოიყენება აშკარა ან ფარული ფსიქოლოგიური იძულება. ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხშირად გამოიყენება ტექნოლოგიის ფორმით ფარულად იმოქმედო პიროვნებაზე, ან/და ინდივიდზე.

სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკა (სიპ), როგორც ფედერალური ორგანოების საქმიანობა სახელმწიფო ძალაუფლებაში ნაციონალური ინტერესების მისაღწევად ახორციელებს თავის ფუნქციებს სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობების განსახორციელებლად. მას მიეკუთვნება შემდეგი მოთხოვნები ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის.

სახელმწიფო ინფორმაციული პოლიტიკის ეფექტურობა და საკითხების გადაწყვეტა.

ტექნოლოგიების მოხერხებულობა – ტექნოლოგიები უნდა იყოს მოსახერხებელი ნებისმიერი სუბიექტისთვის გამოსაყენებლად.

უნივერსალურობა _ ტექნოლოგიები უნდა იყოს ეფექტური ნებისმიერ ობიექტზე ზემოქმედებისათვის.

ტექნოლოგიები უნდა იყოს ადვილად მოდიფიცირებად ცვალებადი მოთხოვნილებების და პირობების დროსაც.

ტექნოლოგიები უნდა მოიცავდეს ჰუმანიზმის პრინციპებს, მორალს, სამართლიანი პოლიტიკის გატარე-

ბას, უსაფრთხოების გარანტიებს და ზემოქმედების მაღალ ხარისხს.

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ტექნოლოგიები ინ-ფორმაციის პროცესებში ეფუძნება მასობრივი ინფორმაციული სისტემე-ბის და მასობრივი კუმონიკაციის გამოყენებას აუდიტორიის მასობრი-ვი და ინდივიდუალური აზროვნების ზემოქმედებაზე. ინფორმაციულ-ფსი-ქოლოგიური ზემოქმედების ტექნო-ლოგია მასობრივი ინფორმაციის სა-შუალებების მეშვეობით გამოიყენება მთავრობის მიერ არა მხოლოდ პო-ლიტიკური ოპონენტების წინააღმ-დეგ, არამედ ინფორმაციული ზემოქ-მედების განსახორციელებლად ქვეყ-ნის შიგნით საზოგადოებაზე.

საზოგადოებაზე ზემოქმედების ძირითადი ტექნოლოგიებია:

1. მანიპულირება ჭეშმარიტი ინფორ-მაციით.
2. ინფორმაციის ფრაგმენტალური წარმოდგენა.
3. აუდიტორიის ყურადღების გადა-ტანა ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი, მაგრამ გახმაურებისათვის პოლი-ტიკურად არასასურველი ინფორ-მაციიდან ინფორმაციული მასალის უხარისხო წარმოდგენაზე.
4. ინფორმაციული მასალების გახმა-ურებისათვის შესაფერისი მომენ-ტის შერჩევა.
5. ორსაფეხურიანი კომუნიკაციური დინება: რაც გამოიყენება კომპე-ტენტური პირების მიერ კომენტა-რებში, რომელსაც პატივს სცემს სა-ზოგადოება.
6. წამყვანების და მიმზიდველი ხალ-ხის გამოყენება, რომლებიც მეტ-ნაკლებად დამაჯერებლები არიან იმ შემთხვევაში, როცა დიდ როლს თამაშობს სუბიექტური შეხედუ-ლება და სხვ.

დასკვნის სახით შეიძლება ით-ქვას, რომ თანამედროვე პირობებში ინფორმაციული საზოგადოება უკვე აქტიური ჩამოყალიბების პროცესშია. აქ იგულისხმება მთლიანი საზოგა-დოება, რომელიც ინფორმაციულ ერაში შევიდა. თავის მხრივ კი, ინ-ფორმაციული ერა იწყება იმ მომენ-ტიდან, როცა საზოგადოების ძირი-თადი ფუნქციების უზრუნველყოფა ხდება ინფორმაციული საშუალებე-ბის გამოყენებით, რაც კარდინალუ-რად ცვლის თავად საზოგადოების არსს.

ETER SHAMADADZE

INFORMATION SOCIETY

s u m m a r y

There is the government's use of information technologies in two main fields:

- Government election and during the its control
- Big programs such as Social Security and tax collection.

In government’s election IT role is most importance. The United States elections usually held using counting vehicles, which enables fast a nd accurate counting.

Even more important for electro-nic media and television in the first factor, which replaced the entire elec-toral process. Most of the election campaigns of online electronic infor-mation sources through the system of measures. Election campaign strategy

and tactics as well as public opinion is formed largely on the survey. After the computer is working on a statistical analysis. (Which also would have been impossible without a computer)

ლიტერატურა

1. ჩოგოვაძე გ., «ინფორნაცია: ინფორმაცია, საზოგადოება, ადამიანი», თბ., 2003.
2. კუპრაშვილი ჰ., «საინფორმაციო პოლიტიკა პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესში. პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია». თბ., 2002.
3. შონია ო., შეროზია თ., «ინფორმაციული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება», თბ., 2003.
4. Варакин Л. Е., «Глобальное информационное общество: критерии развития и социальноекономические аспекты». Международная академия связи. М., 2001.
5. Манойло А. В., «Государственная информационная политика в особых условиях. Москва. 2003.
6. Е. П. Тавокин «Системные основы государственной информационной политики» М., 2002.

✍ *qeTevan muxigu l i*

გერმანული ნაციონალიზმი და ფიხტე

ბერლინის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის კედელს 1945 წლამდე ამშვენებდა ფრესკა, რომელიც სიმბოლურად გამოხატავდა იოჰან გოტლიბ ფიხტეს მიმართვას გერმანელი ხალხისადმი. ნაპოლეონის ჯარებისაგან ოკუპირებული ბერლინის უნივერსიტეტში 1809 წლის მიწურულს ფიხტემ ლექციათა ციკლით მიმართა გერმანელ ინტელიგენციას და მოუწოდა მათ ეროვნული იდეის ქვეშ ნაპოლეონის წინააღმდეგ გაერთიანებისაკენ.

მე-18 საუკუნის დასასრული და მე-19 საუკუნის დასაწყისი გერმანიისა და გერმანელი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი პერიოდია. პრუსიისა და ავსტრიის დაცემის შემდეგ გერმანია ნაპოლეონის ჯარებმა დაიკავეს. ნაპოლეონმა ორმაგი ზეგავლენა მოახდინა გერმანელებზე. ერთი მხრივ, მან დაანგრია ფეოდალური მოწყობა. მეორე მხრივ, ეს პროგრესი გერმანელებს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვად დაუჯდათ. „ნაპოლეონის ომების წლებში საფრანგეთი ევროპელი ხალხის განმათავისუფლებლისგან იქცა დამპყრობლად“ [2. 102]. სწორედ ამიტომ ფიხტემ ზურგი აქცია ნაპოლეონის საფრანგეთს და მიუთითა გერმანელი ხალხის ისტორიულ როლზე. „თუკი ფრანგული რევოლუციით შთაგონებული ფიხტე მზად იყო გამხდარიყო ფრანგი, ნაპოლეონის მიერ გერმანიის ოკუპაციის შემდეგ ის ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ გერმანელად დაიბადა. ორივე შემთხვევაში ის იყო გულწრფელი და არ ფიქრობდა პირად გამორჩენასა და უსაფრთხოებაზე“ [3.229]. ფიხტეს აზრის ცვლილება სულაც არ ნიშნავდა ფრანგული რევოლუციისათვის ზურგშექცევას. პირიქით, ფიხტე რეალურად აფასებდა რევოლუციის მონაპოვარს. რევოლუციური იდეებით აღფრთოვანებულმა თავის ფილოსოფიურ სისტემას საფუძვლად დაუდო თავისუფლებისა და ადამიანის ღირსების პრინციპი.

ფიხტეს „მიმართვაში გერმანელი ხალხისადმი“ გაისმის მოწოდება გერმანული ეროვნულობის აღდგენისაკენ. იგი ცდილობს გერმანელებს დაანახოს ერის ჭეშმარიტი დანიშნულება და მიზანი.

ნაშრომის დასაწყისში ფიხტე მიუთითებს, რომ „მიმართვა გერმანელი ხალხისადმი“ არის გაგრძელება ლექციათა ციკლისა „თანამედროვე ეპოქის ძირითადი ნიშნები“. ფიხტემ ამ ნაშრომში შემოგვთავაზა ისტორიული პროცესის ორიგინალური პერიოდიზაცია. კაცობრიობის ისტორია დაჰყო ორ პერიოდად: პირველია „როცა თაობა ცოცხლობს, არსებობს და ჯერ არა აქვს აწყობილი ურთიერთობა თავისუფლად, გონებასთან შესაბამისობაში. მეორეა, როცა თაობა თავისუფლად ახორციელებს ამ გო-

ნებრივ მოწყობას“ [5. 370]. ერთი პერიოდიდან მეორეზე გადასასვლელად აუცილებელია შუალედური მდგომარეობა _ როცა ხდება გონების ინსტინქტისაგან (გარეგანი ავტორიტეტისაგან) გათავისუფლება. ამ ორ ძირითად საფეხურს გარდა ფიხტე კიდევ რამდენიმე შუალედურ საფეხურს გამოყოფს და საბოლოოდ ისტორიას ხუთ ეპოქად განიხილავს: კაცობრიობის მიწიერი ცხოვრების პირველ ეპოქაში ადამიანთა ურთიერთობები პირველყოფილია, მარტივი ინსტინქტების დონეზეა. მაგრამ ეს ინსტინქტები “გონივრულია”, რის გამოც ეს არის გონების ბატონობის ეპოქა; მეორე ეპოქაში კი გონება გადაიქცევა ავტორიტეტად: “პირველყოფილი უმანკოება სულისა იხშობა ცოდვიანობით. იხშობა გონების ინსტინქტიც. მხოლოდ რჩეულები ინარჩუნებენ მას, ინახავენ თავის თავში. შემდეგ მათ ხელში ეს უკანასკნელი იქცევა ძალაუფლებად, ავტორიტეტად, რომელიც დანარჩენებისაგან მოითხოვს ბრმა მორჩილებას. “ინდივიდუალური გონებრივი ინსტინქტის გადაქცევა ავტორიტეტად” არის “ის შუალედური საფეხური, რომელიც იკავებს ადგილს გონიერი ინსტინქტის ბატონობასა და მისგან გათავისუფლებულ ინსტინქტს შორის”. გონების ინსტინქტისაგან გათავისუფლების შემდეგ შესაძლებელი ხდება “გონების მეცნიერება”. ეს არის მესამე ეპოქა _ გარდამავალი პერიოდი; დრო ავტორიტეტისაგან და ამასთანავე გონებისაგან განთავისუფლებისა, “უპირობო გულგრილობისა ყოველგვარი ჭეშმარიტებისადმი”, “აღვირახსნილობისა”. მესამე ეპოქაში კაცობრიობა წინ დგამს ნაბიჯს, რამდენადაც თავისუფლდება გარეგანი ავტორიტეტისაგან და ამკვიდრებს მე-ს პრინციპს, თვითობას. სწორედ ამას ვხედავთ ახალი დროის დასაწყისში _ გონების თავისუფლების ბეკონისეულ და კარტეზიანულ პრინციპებში. ადამიანმა არაფერი არ უნდა მიიღოს, რაც თვითონ მისთვის, კერძოდ, მისი გონებისთვის არაა ნათელი და ცხადი. ჭეშმარიტების ერთადერთ კრიტერიუმად ამოსავალი გონებისეული წესების სიმარტივე და თავისთავადი სიცხადეა აღიარებული. მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანმა დაკარგა ზნეობრივი კანონი. ეს უკანასკნელი არ აღმოჩნდა ნათლად გასაგები ცნობიერებისთვის. ამიტომ დაისადგურა ეგოისტური ინდივიდის სრულმა თვითნებობამ. ფიხტე ამას უწოდებს დასრულებული ცოდვიანობის მდგომარეობას.

მას შემდეგ, დაადგინა ყველა შესაძლო ისტორიული ეპოქა, ფიხტე მკაცრად განიკითხავს თავის თანამედროვეობას და კაცობრიობის განვითარების ისტორიულ პროცესში მას მესამე ანუ „შიშველი ეგოიზმის“ ეპოქას აკუთვნებს.

„თანამედროვე ეპოქის ძირითადი ნიშნებსა„ და „მიმართვას გერმანელი ხალხისადმი“ ერთმანეთისგან მხოლოდ სამი წელი აშორებს. „მიმართვაში გერმანელი ხალხისადმი“ ფიხტეს სწამს, რომ მესამე ეპოქა ანუ გარდამავალი პერიოდი დასრულდა და დაიწყო ახალი ეპოქა. მესამე ეპოქისათვის დამახასიათებელი ეგოიზმი დაძლეულია. რაშიც გარკვეული წვლილი შეიტანა უცხოელთა მიერ გერმანიის დაპყრობამ. „ეს უნებური და აუცილებელი დასასრულია, რომელიც ხელისუფლებასა და ხალხში გამეფებულ ეგოიზმს მოჰყვა“ [7. 264]. ხელისუფლების ეგოისტურობის გამოხატულებაა ქვეყნის უსუსური საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ის, რა-

საც ხშირად ჰუმანიზმად და ლიბერალიზმად მოიხსენიებენ, ფიხტეს აზრით, გერმანულ ენაზე „უღირსი საქციელი“ და „მცონარობა“ ჰქვია.

ფიხტე ფიქრობს, რომ ერის დაცემის მიზეზი ხალხის ზნედაცემულობაა. ერის აღდგენა კი მხოლოდ მისი ზნეობრივად ამაღლების საშუალებით არის შესაძლებელი. ამისათვის კი საჭიროა შეიქმნას ახალი საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ზნეობრივ პრინციპებზე იქნება დაფუძნდება და ხელმისაწვდომი იქნება მთელი გერმანელი ხალხისათვის;

ფიხტემ შემოგვთავაზა ნაციონალური აღზრდის ახალი იდეა. იგი მხოლოდ აღზრდის ფილოსოფიური იდეების განმარტებით არ შემოიფარგლება და აყალიბებს ეროვნული აღზრდის კონკრეტულ პროგრამას. მისი აზრით, ერის აღზრდა არის ის აუცილებელი ქმედება, რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს გერმანელი ხალხი და შეუნაჩუნოს მას ეროვნულობა. ეროვნული თვითშემეცნება იწყება კონკრეტული ადამიანის თვითშემეცნებიდან. მკაფიო შემეცნებებით. პიროვნებამ ნიადაგ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ საკუთარ თავში აღზარდოს ერი. ერის აღზრდა, ფიხტეს აზრით, საკუთარი თავის აღზრდით იწყება.

ფიხტე განასხვავებს გონებრივი მოქმედების კანონებს, ზნეობრივი მოქმედების კანონებს და ზეგრძნობადი მსოფლიო წესრიგის კანონებს. შესაბამისად, სწავლების პერიოდში ხდება გონებრივი მოქმედების კანონების შემეცნება, ანუ სულიერი აღზრდა, ზნეობრივი აღზრდა და რელიგიური აღზრდა. გერმანელი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ ადამიანის მოქმედების საფუძველში დევს „ძირითადი განზრახვა“, დასაბამიერი სიყვარული. ადამიანის მოქმედებას კი განსაზღვრავს ის, თუ როგორ იქნება ადამიანის მიერ ეს გრძნობა გამოხატული _ „ბუნდოვან გრძნობაში“ თუ „მკაფიო შემეცნებაში“. „ბუნდოვან გრძნობაში“ „ძირითადი განზრახვა“ გრძნობადი სამყაროს ელემენტია. „მე“ მიისწრაფვის საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. „მკაფიო შემეცნებაში „მე“ ხდება ზნეობრივი მსოფლიო წესრიგის წევრი. „ბუნდოვან გრძნობაში“ განხორციელებულ „მე“-ს განზრახვა ეგოიზმამდე მიდის. საზოგადოება, სადაც ეგოიზმით შეპყრობილი „მე“ ჭარბობს, ემყარება შიშსა და უსაფუძვლო იმედს, რაღაც ქიმერებს; თითქოს შესაძლებელია ყოველგვარი მოქმედების გარეშე, ღვთის ან რაიმე ბედნიერი შემთხვევის წყალობით, მოწესრიგდეს შექმნილი რთული მდგომარეობა.

ფიხტე ფიქრობს, რომ ახლებური აღზრდა ერს აუცილებლად მიიყვანს დასაბამიერი სიყვარულის „მკაფიო შემეცნებამდე“. იგი უზრუნველჰყოფს აღსაზრდელის სულის, მოქმედებისა და აზროვნების ერთიანობას. ამ თეორიით აღზრდილი ადამიანი აღიარებს ზნეობრივ მსოფლიო წესრიგს და გახდება მისი ერთერთი ღირსეული წევრი.

ფიხტეს ახლებური აღზრდის მიზანია შეჰქმნას „ზნეობრივი საზოგადოება“, რომელიც დაეფუძნება საზოგადოების თითოეული წევრის „მოქმედებას საზოგადოებისათვის“. მას სჯერა: ამის მიღწევა შესაძლებელია, თუკი აღზრდის პროცესი განიმსჭვალება ეროვნული სულისკვეთებით, საერთო სახალხო შინაარსით.

ფიხტე დარწმუნებულია ახლებური აღრზდის კონცეფციის წარმატებაში, რადგან მას სწამს: გერმანე-

ლობაში ბუნებრივად დევს ის აუცილებელი უნარი, რომელსაც შეუძლია ერის სულიერი აღორძინება. იგი თვლის, რომ აქვს მიზეზი გააიდეალოს გერმანელი ერი და მიზნად დაუსახოს მას მსოფლიოს გადარჩენა. ეს მიზეზია გერმანული ერის სულიერი თვითმყოფადობა. გერმანელი თავის თავში საგულდაგულოდ ინახავს თავის პირველყოფილ სულიერებას. თვითმყოფადი სულიერების გამოვლენის ყველაზე ნათელი მაგალითი კი თვითმყოფადი ენაა.

ფიხტე თვლის, რომ გერმანელი ხალხის გადასარჩენად და ერის ასაღორძინებლად საჭიროა ეროვნული აღზრდის გზით განახლდეს გერმანული ენა. ენა არსებით როლს თამაშობს, რადგან ის არის უმნიშვნელოვანესი შუამავალი გრძნობად სამყაროსა და სულიერ სამყაროს შორის. სწორედ ენის საშუალებით არის შესაძლებელი საზოგადოებრივი სულიერების მართვა. გერმანულ ენას ფიხტე უწოდებს ცოცხალ ენას, რომელიც იმდენად მდიდარია, რომ შეუძლია ჩასწვდეს სხვა ხალხების ცხოვრებასა და კულტურას და დაუსახოს მათ გადარჩენის გზები.

ნაციონალური თვითშეგნების აღორძინებისათვის საჭიროა რელიგიური და სულიერი საფუძვლების გააზრებაც. განათლებული ადამიანი საზოგადოების წევრია არა მხოლოდ ამქვეყნად, არამედ იმქვეყნადაც. ფიხტეს წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნდა რელიგიური რეფორმაცია. თუმცა შენიშნავდა, რომ რეფორმაციამ ბევრი ვერაფერი შეცვალა. ზღუდავდა ბიბლიის გამოყენებას, მაგრამ რეფორმაციამ მოხსნა ბორკილები და ამაღლდა პატივისცემა დაწერილი სიტყვის მიმართ. რეფორმაცია იქცა ახალი ფილოსოფიის მამოძრავებელ ძალად.

ფიხტეს მიხედვით, ახალი დროის თავისუფალი ფილოსოფიური აზროვნების განვითარება გერმანიაში დაიწყო. არაგერმანული ფილოსოფია იყო დოგმატური, „არათავისუფალი“, სადაც ერთ ავტორიტეტს სხვა ავტორიტეტი ცვლიდა. „ამოქმედებულ თვითმყოფად გერმანულ სულს აღარ აკმაყოფილებდა მხოლოდ გრძნობადი სამყარო. დადგა ზეგრძნობადის თვით გონებაში ძიების საკითხი. ამ გზით ფილოსოფია პირველად გერმანიაში შეიქმნა“ [6.159]. ამ საქმის პიონერი ლაიბნიცი იყო, კანტმა საფუძველი დაუდო კრიტიკულ ფილოსოფიას, ხოლო „მეცნიერებათა სწავლება“ ემსახურება პრობლემის საბოლოო გადაწყვეტას.

ფიხტეს ცნობილი მიმართვის ადრესატი გერმანიის განათლებული საზოგადოებაა, რომელთაც შეუძლიათ გააანალიზონ შექმნილი ვითარება, ღრმად ჩასწვდნენ პრობლემის _ „ბოროტების“ არსს. „ბოროტება არ მცირდება მისი შეუმეცნებლობით და არც მკაფიო ანალიზი ზრდის „ბოროტებას“. მისთვის მთავარია „შექმნილი მდგომარეობის რეალური აღქმა“ და მისი ანალიზის საფუძველზე ხსნის გზების ძიება.

ძლიერი ცენზურის მიუხედავად ფიხტეს „მიმართვა გერმანელი ხალხისადმი“ ხელიდან ხელში გადადიოდა. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში ეს ნაშრომი ორმოცჯერ გამოიცა. გერმანელებმა კიდევ უფრო შეიყვარეს მამაცი, მგზნებარე, პატრიოტული სულისკვეთების ფილოსოფოსი. „ამ დროისათვს ფიხტე გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული მოაზროვნეა. ამას განაპირობებდა ის მოქალაქეობრივი პოზიცია, რომელიც მას ეკავა ნაპოლეონის მიერ მისი სამშობლოს ოკუპაციის პერი-

ოდში“ [4.8]. „გერმანელი მოაზროვნეები არაერთგვაროვნად აფასებდნენ ნაპოლეონის ფაქტორს. თუკი ჰეგელი და გოეთე ნაპოლეონზე სოციალურ იმედებს ამყარებდნენ, ფიხტემ წინასწარ განჭვრიტა მოვლენები და ყოველთვის მისი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო“[3. 229].

ფიხტემ თავის „მიმართავში“ გერმანელ ხალხს მოუწოდა, რომ გერმანელი ერის გადარჩენისათვის, მისი თვითმყოფადობის აღდგენისათვის აუცილებელი იყო გაერთიანება. მისი აზრით, ერი ტკივილის გრძნობაში კი არ უნდა გაერთიანდეს, არამედ მოქმედების წყურვილში. ტკივილმა უნდა გახსნას გონება და უბიძგოს ერს მოქმედებისაკენ. ფიხტე თვლის, რომ ერი ხსნას არ უნდა ელოდოს არც ღმერთისაგან და არც ვინმე ადამიანისაგან. ხსნა თვით ხალხის მოქმედებაშია. მას სწამს, რომ მოქმედებითობა გერმანული ნაციის სულის ნაწილია. „უნდა ვაღიაროთ, რომ გერმანელის სახალხო ხასიათის განმსაზღვრელი მომენტი ქმედითობაა. ლაიბნიცმა შექმნა მოძღვრება მონადაზე, როგორც ქმედით ძალაზე. კანტმა პრაქტიკულ გონებას უპირატესობა მიანიჭა თეორიულთან შედარებით. ფიხტეს ფილოსოფია გმირული ნების მეტაფიზიკაა. ჰეგელის ფილოსოფია, მიუხედავად საზარელი ინტელექტუალიზმისა, გაჟღენთილია კოლექტიური შემოქმედების გრძნობით. გოეთემ, ფაუსტის პირით, იქადაგა – „პირველად იყო საქმე“. შილერის პოეზიას ახასიათებს გმირულ-ეპიკური ნება-განწყობილება, და საერთოდ, ლუთერით დაწყებული კანტ-ნიცშეთი დამთავრებული გერმანულ აზრში ისმის ერთი მოტივი – ზიგფრიდის მოტივი. გერმანელის ეროვნული თვისებაა ქმედითობა-საქმიანობა, სიფხიზლე, სიამაყე, ის ზნეობრივი კომპლექსი, რომელიც გამოიხატება უთარგმნელი გერმანული სიტყვით – Tüchtigkeit. (ეფექტურობა)“[1. 29] ასე გადმოსცემს გრიგოლ რობაქიძე სიმონ ფრანკის ნარკვევის „გერმანიის სულიერი არსის შესახებ“ შინაარსს. ამ ნაშრომში ფრანკი აფასებს გერმანიის რაობას.

გერმანელმა ხალხმა თითქოს გაამართლა ფიხტეს წინასწარმეტყველება და მალე დაქსაქსული და დაუძლურებული, ოკუპირებული გერმანიისგან შეიქმნა მსოფლიოს ერთერთი უძლიერესი ეკონომიკური, კულტურული და ინტელექტუალური სახელმწიფო.

ახალი დროის გერმანულ აზროვნებას ახასიათებდა ყველაფერი გერმანულისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და გერმანელი ერის საყოველთაოდ გამორჩეულ, “მსოფლიოს გამათავისუფლებელ ზეერად“ წარმოჩენა. „მიმართვა გერმანელი ხალხისადმი“ სწორედ ასეთი სულისკვეთების მატარებელია. ფიხტე თვლიდა, რომ თუ დაიღუპებოდა გერმანელი ერი, მაშინ მსოფლიოს განადგურება ემუქრებოდა.

ნაშრომი იძლევა მრავალგვარი განმარტების საშუალებას. სწორედ ამ ლექციათა თავისებური განმარტების საფუძველზე XX საუკუნეში ნაცისტებმა განაცხადეს, რომ მათი იდეოლოგია ფიხტეს იდეებს ეფუძნებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანია გახდა ფაშისტების მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის მემკვიდრე. ამ ფაქტმა დიდი გავლენა მოახდინა გერმანელების აზროვნებაზე. ისინი ფაშისტურ იდეოლოგიასთან რამენაირად დაახლოებულ იდეებს სასტიკად უფრთხოდნენ. ამის გამო ფიხტეს ზოგიერთი

ნაშრომი თითქმის ამოშალეს გერმანიის ისტორიიდან. ფიხტეს ფილოსოფია ჩრდილში მოექცა. მასზე საჯაროდ მსჯელობას გაურბოდნენ. ხშირად მისი პოლიტიკური იდეები განიმარტებოდა, როგორც ნაციონალიზმისა და ფაშიზმისთვის ხოტბის შესხმა.

ბევრი მკვლევარი და მეცნიერი არ ითვალისწინებდა ფიხტეს თანამედროვე გერმანიის მდგომარეობას, ვერ სწვდებოდა მისი მოწოდების სულისკვეთებას და მის ეროვნულ იდეებში შოვინიზმსა და ნაციზმს ხედავდა. რასელის აზრით, ფიხტეს ფილოსოფია ნაკლებად ღირებულია წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით და ის უფრო გერმანული ნაციონალიზმის თეორიულ სათავეს წარმოადგენდა. ნაშრომში „ფაშიზმის წამოშობის შესახებ“ კი ინგლისელი ფილოსოფოსი წერდა: „ფიხტემ განვლო გზა ფილოსოფიიდან პოლიტიკამდე და დასაბამი მისცა ახალ სიცოცხლეს, რომელიც ნაციონალ-სოციალიზმად იქცა.“ უფრო ფრთხილად მოაზროვნე მეცნიერები კი ცდილობდნენ დელიკატურად აევლოთ გვერდი ფიხტეს ამ ნაშრომისათვის. ამის მიზეზი სავსებით გასაგებია.

ამასთან, ფიხტეს ნაციონალიზმი მკვეთრად უპირისპირდებოდა მარქსისტულ ინტერნაციონალიზმს, რის გამოც არც საბჭოთა ფილოსოფია სწყალობდა მას. ხშირად ფიხტესთან ერთად ჰეგელის მიმართაც ისმოდა ბრალდებები. ამტკიცებდნენ, რომ მათ დაუდეს საფუძველი ბისმარკის „მეორე რაიხსა“ და ჰიტლერის „მესამე რაიხს“.

ფიხტეს ნაშრომის „მიმართვა გერმანელი ხალხისადმი“ განხილვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მისი ნაციონალისტური მიმართვა გერმანიაში გაისმა იმ პერიოდში, როცა გერმანელი ხალხი ჩაბმული იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ სამამულო ომში. ფიხტე იცავდა და ამხნევებდა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დამდგარ თავის ერს. ფიხტე იყო თავის ქვეყნის ჭეშმარიტი შვილი, რომელიც, მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური, ხშირად კი შოვინისტური განცხადებებით, ცდილობდა თავისი ერის გამოფხიზლებას და გამხნევებას. შეიძლება გაგვახსენდეს კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „იმას კი ნუ დაიქადნი ყველას ვჯობივარო, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებ, რომ უფლისწული ხარ“.

თუ ერს თავისი უნიკალურობა და რაღაც მხრივ პირველობა არ ესმის, მას დაკარგული აქვს თვითცნობიერება და დაღუპვისთვისაა განწირული. ინგლისური ლიბერაზმი თავისი გაჩენის დღიდან ცდილობს სხვა ხალხების ეროვნული თვითცნობიერება ფაშიზმად და ტოტალიტარიზმად მონათლოს. თუმცა ბრიტანულ ნაციონალიზმს ხელუხლებლად ტოვებს. მათი ეს ცნობილი „ორმაგი სტანდარტი“ მათივე იმპერიალიზმისა და უპრეცედენტო კოლონიალიზმის შემადგენელი ნაწილია.

შეიძლება მწარედ გაგვახსენდეს ჩვენი უახლოესი წარსული: ზვიად გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისია“ ევროატლანტურმა ლიბერალიზმა და მისგან წაქეზებულმა ქართული ინტელიგენციის ნაწილმა ფაშიზმად მონათლა. ამას მოჰყვა სწორედ ის შედეგი, რაც „დემოკრატიულ მსოფლიოს“ ჰქონდა მიზნად დასახული _ ეროვნული თვითცნობიერების თანმიმდევრული რღვევა საქართველოში.

თუკი ყურადღებით გადავავლებთ თვალს ფიხტეს მთელ შემოქ-

მედებას, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ფიხტე არასოდეს ყოფილა ფაშიზმის იდეოლოგი. პირიქით, მისი შეხედულებები ადამიანის დანიშნულებაზე მკვეთრად უპირისპირდებოდა ფაშისტურ იდეოლოგიას. გერმანელი ფილოსოფოსი მიზნად ისახავდა, უპირველეს ყოვლისა, გერმანული თვითცნობიერების მწყობრად ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

QETEVAN MUKHIGULI

GERMAN NATIONALISM AND FIHTE

s u m m a r y

Fichte was German philosopher and patriot. As a political figure Fichte gained notoriety once more when he delivered his "Addresses to the German Nation" during the time when Napoleon's troops occupied Berlin and various German principalities. The early nineteenth century was a time when Germany's feeling of political and cultural inferiority was being transformed into a new sense of being the chosen nation for the future of European civilization.

ლიტერატურა

1. ბაქრაძე ა. თხზულებანი თბ: ნეკერი; ლომისი 2004
2. Бур М. Фихте Москва «Мысль» 1965
3. Коплстон Ф. От Фихте до Ницше Москва «Республика» 2004 (83-132)
4. Ойзерман Т.И. Философия Фихте Москва «Знание» 1962
5. Фихте И. Г. Основные черты современной эпохи –соч. в двух томах т.2 (сост. и примечания В. В. Волжского) Спб «Мифрл» 1993 (359-619)
6. Фихте И. Г. Речи к немецкой нации Санкт-Петербург «Наука» 2009
7. Фишер К История новой философии Фихте т. 6 «СПб» 1909

ana vaSakiZe

საინგილო, ისტორიული წუქეთი

(საინგილოს, წუქეთის საერისთავოს, ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილა)

საინგილო. ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ჰერეთი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. საისტორიო წყაროების მიხედვით ჰერეთი მოიცავდა: შიგნიკახეთს, გაღმამხარს და ახლანდელი საინგილოს ტერიტორიას. საინგილო კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილია. მას უკავია კავკასიონის სამხრეთ ფერდობების ტყით დაფარული ხეობები და მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირის დაბლობი ადგილები. საინგილო დღეს აღარ არის საქართველოს საზღვრებში და მეზობელი აზერბაიჯანის შემადგენლობაში შედის, მოიცავს ბელაქნის, ზაქათალის და კახის რაიონების ტერიტორიას.

საინგილო ისტორიული ჰერეთის ერთ-ერთი საერისთავო იყო. XI საუკუნის დამდეგს ადმინისტრაციულად მაჭის საერისთავოს ფარგლებში მოექცა. XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოს რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ოსმალეთისა და სპარსეთის გამუდმებულმა აგრესიამ და დაღესტნელების თარეშმა და თავდასხმებმა ამ მხარის ძლიერი დასუსტება გამოიწვია. პოლიტიკურად და ეკონომიკურად უმძიმესმა პირობებმა გამოიწვიეს დიდი რაოდენობით მოსახლეობის განადგურება. ამის შედეგად ხდებოდა დაცარიელებული ადგილების დაკავება წახურელი და ავარელი ლეკების მიერ. დროთა ვითარებაში საინგილო საერთოდ მოსწყდა კახეთის სამეფოს. საბოლოოდ XVIII საუკუნის I მეოთხედში ლეკებმა აქ ორი პოლიტიკური ერთეული ჩამოაყალიბეს: ჭარ-ბელაქან-ავარიელ ლეკთა თემების კავშირი, რომელთაც მიიტაცეს საინგილოს ტერიტირიის ორი მესამედი (დღევანდელი ზაქათალის და ბელაქნის რაიონები), და ელისუს სასულთნო – წახურელ ლეკთა პოლიტიკური ერთეული (დღევანდელი კახის რაიონი).

“ამრიგად, საინგილოს სურათი შეიცვალა და მისი ეროვნული შემადგენლობაც ძალზე აჭრელდა. საინგილო გალეკდა, მასში ქართველების მცირე რაოდენობაღა დარჩა, ისიც მარტო კახის და ზაქათალის რაიონებში”. (ზ. ედილი 31-32). ძნელი იყო ლეკებთან ბრძოლა, ისინი ე.წ. პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდნენ. ძალიან რთულ ვითარებაში იმყოფებოდა ქართული მოსახლეობა, ხდებოდა მათი დაყმევება და გამაჰმადიანება, მონებად გაყიდვა და მძიმე გადასახადებით დაბეგვრა. ”ხოლო 1645 წელსა კვალად ატყდნენ წა-

რელნი და დაღესტნელი რბევად გაღმამხარის, ქართლისა და კახეთის. ორასობით და სამასობით დადიოდნენ. მრავლად მრავალთა ადგილთა და დიდათ შეიმჭირნეს ქვეყანა". (ზ. ედილი 41). ასეთი ცნობებით სავსეა, როგორც "ქართლის ცხოვრება", ისე იმ დროის ყველა ქრონიკა და ისტორიული წყარო. უშედეგოდ მთავრდებოდა კახეთის მეფეების ყველა ცდა გაეთავისუფლებინათ აღმოსავლეთ კახეთის მიწები. 1803 წლიდან ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო რუსეთის ქვეშევრდომები გახდნენ. 1830 წელს ცარიზმმა გააუქმა მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შექმნა ჭარ-ბელაქანის ოლქი, მის ბაზაზე კი ბელაქნის მაზრა, რომელიც ადმინისტრაციულად საქართველო-იმერეთის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. 1842 წლისთვის ეს მხარე კვლავ ცალკე ოლქად გამოეყო საქართველოს, ხოლო 1844 წლიდან ჭარ-ბელაქნის ოლქი გახდა. 1860 წლიდან ზაქათალის ოკრუგად იწოდება და ექვემდებარება დაღესტნის ოლქს, ხოლო ელისუს სასულთნოს მთლიანი ნაწილი კი სამურის ოკრუგს შეუერთდა.

1918-1921 წწ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს ზაქათალის ოლქი კვლავ დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად რჩებოდა. 1920 წ 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებით რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ტერიტორიის ნაწილად აღიარა. საბოლოოდ რუსეთის ბოლშევიკებმა აზერბაიჯანის ბოლშევიკებს დაუჭირეს მხარი და ოლქი აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა. ზაქათალის შემოერთების საკითხი კვლავ დაისვა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. 1921 წლის 5 ივლისს წინასწარ დადგენილება-შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს და აზერბაიჯანის რევკომთა თავმჯდომარეებმა: ფილიპე მახარაძემ და ნარიმან ნარიმანოვმა. ქართველი ბოლშევიკები იძულებით აღიარებდნენ: "საქართველოს სსრ უარს ამბობს ყოველგვარ პრეტენზიაზე ზაქათალის ოლქის მიმართ". ეს დადგენილება საბლოლოოდ დამტკიცდა 15 ნოემბერს, ხელი მოაწერეს საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ ბუდუ მდივანმა და აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მუხტარ გაჯიევმა. ასეთ ვითარებაში გადაეცა საინგილოს ძირძველი ქართული ტერიტორია აზერბაიჯანს.

საინტერესოა სახელწოდება "საინგილოს" წარმოშობის ისტორია და თვით ამ ტერმინის განმარტება. როგორც მეცნიერი თ. პაპუაშვილი აღნიშნავს ტერმინი დამკვიდრდა XIX ს და ინგილოებით დასახლებულ მხარეს აღნიშნავს. ადრეული ისტორიული წყაროები ტერმინ "საინგილოს" არ მოიხსენიებენ. განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული თვით ტერმინ "ინგილოსთან" დაკავშირებით. ტერმინი "ინგილო" არ უნდა იყოს ეთნიკური შინაარსის მატარებელი, უფრო სოციალური შინაარსის ცნებაა. ინგილოებიც ისეთივე ქართველები არიან, როგორც კახელები, ქართველები, მეგრელები, სვანები, იმერლები, აფხაზები, აჭარლები, რაჭველები, ხევსურები, ფშაველები და ა.შ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ტერმინი "ინგილო" უნდა მომდინარეობდეს საინგილოს ტერიტორიაზე არსებული სოფელ "ჰენგიანის" სახელწოდებიდან, რო-

მელმაც თანდათან ზოგადი მნიშვნელობა, შინაარსი შეიძინა და გადაიქცა საერთო სახელად მთელი ამ მხარის ქართული მოსახლეობისა. განსხვავებული ახსნა აქვს თვით სახელწოდება "ჰენგიანსაც". გამოთქმულია ვარაუდი, მოსაზრება, რომ "ინგილო" მომდინარეობს თურქული სიტყვიდან "ჰენგი", რაც ნიშნავს ახლად, მერე, მორჯულებულს იმ გაგებით, რომ ქართველებს მაჰმადიანობა მიაღებინეს. მეცნიერი მოსე ჯანაშვილი განსხვავებულად განგვიმარტავს ამ ტერმინის წარმოშობას. იგი არ ეთანხმება მის თურქულ თარგმანს, მას ასეთი ვარაუდის გამოთქმა ცოტათი აჩქარებულად ეჩვენება: "ჯერ ერთი, რომ აქაურ სოფელსაც ჰქვიან ჰენგიანი და არა ჰეგილო და მეორეც,..... ბევრი აქაური სახელები იგეთივეა, როგორც იმერეთში, უმეტესად სამეგრელო-აფხაზეთში... საერთოა საინგილოსა და საიმერეთოში საზოგადოდ. ეს ცოტაა კიდევ. აქაურს უმთავრეს მდინარეს და სამეგრელოს უპირველესს მდინარეს ერთი და იგივე სახელი ჰქვანთ: ეგრის წყალი ანუ ეგრი=აგრი(=იგივე ენგური=ინგური და ინგირი მეგრ. გამოთქმა.)

ყველა ამის გამო "ინგილო" ჩვენ მიგვაჩნია ანუ იმავე ინგირ-ად, ე.ი. ეგრელად და ანუ იმ ხალხად, რომელსაც ბერძნის მწერლები (მე-V ს. ქრ. წ.) იხსენიებენ ფოთ-სამეგრელოს მოსახლედ და უწოდებენ ჰენიოხ-ად, ე.ი. "მეეტლედ", "მე-ჰუნეედ") შესაძლებელია, ნაბუქუდურ-ასარის და სხ. მტარვალების მიერ მთელის ხალხების ცნობილ აყრა-დაყრის დროს ეს ჰენიოხები გადმოტყორცნილ ყოფილიყვნენ დღევანდელს საინგილოში და აქ თვისი თავდაპირვანდელი სახელი მიეკუთვნებინოთ ღანუხ=განუხისთვის, ნუხისთვის (=ნოხ-პატო= ნუხ-პატო) და სოფ. ჰენგიანისთვის...და თვითონაც სახელი ჰენიოხი გადასცვლოდეთ ჰენგილოდ=ინგილოდ. ასეთი ჩვენი მოსაზრება მით უმეტეს ჭკუაზე ახლოა, რომ საინგილოში დღეს სიტყვა ჰენგა ნიშნავს ცხენოსან ქალს, რომელიც მაყრიონით სხვა ჰენგებთან ერთად მიდის პატარძლის მოსაყვანად. ძველი ჰუნეხი=ჰუნეტი ადვილად გადაიქცეოდა ნუხად, ღანუხად, ჰენგელ, ჰენგილოდ (შეად. ჰუნე და მერე უნაგირი=უნაგარი=მეგრ. ონაგერი=სვან. ჰუნგირ). ასეა თუ ისე, ჰენგიანი (სოფ.) უნდა ნიშნავდეს საჰენგებოს, საამორძლო="საამაზონკო" ქვეყანას". (მ. ჯანაშვილი 88-89).

ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება ტერმინ "ინგილოსთან" დაკავშირებით ასეთია: "დამორჩილებულ – დაბეგრილ ქართველ გლეხს ეწოდა ინგილო განსახვავებით "ლეკისაგან", რომელშიც მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა დამოუკიდებლად იმისგან, თუ ვინ იყო ის წარმოშობით: ავარიელი, წახურელი თუ ქართველი. ასე რომ "ლეკი" და "ინგილო" უფრო სოციალური შინაარსის ცნებებია, ვიდრე ეთნიკური". (ნ. ბერძენიშვილი 253).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე საინგილოს ისტორიული-გეოგრაფია და კლიმატური პირობებიც. საინგილოს ტერიტორია კონტრასტული ადგიმლდებარეობით ხასიათდება; ვაკე და მაღალმთიანი ადგილები ერთმანეთს ენაცვლება. ერთ-ერთი მდიდარი და ულამაზესი მხარეა. საინგილო, ანუ შიდა კახეთის ისტორიული ნაწილი, ჩრდილო-აღმოსავლეთ კახეთი, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაში

გაღმა მხარედ, ანუ ელისენად იხსენიებს. "მზღვრის ელისენს აღმოსავლეთით მთა კავკასი, კულმუხსა და მის შორის; სამხრეთით ალი-სულტნის საზღვარი; ჩრდილოეთით წყალი ბელაქნისა; დასავლით ალაზანი". (ვ. ბატონიშვილი 96). დღესდღეობით დადგენილია, რომ საინგილოს ჩრდილოეთით საზღვრავს კახეთის კავკასიონის ქედი, დასავლეთით – მდ. მაწიმის წყალი, სამხრეთით – მდ. ალაზანი, ხოლო აღმოსავლეთით საზღვრავს მდ. გიშის წყალი, რომელიც ქ. ნუხასა და სოფ. გიშს შორის მიედინება და მდ. ეგრიჩიას ("მრუდე წყალს") უერთდება". (გ. ჩანგაშვილი 6).

საინგილოს მკვლევართა ნაშრომებში, მისი გეოგრაფიული საზღვრების დადგენისას მცირეოდენი განსხვავებები შეინიშება. მ. ჯანაშვილს აღნიშნული აქვს, რომ "საინგილო შიგნით-კახეთის ნაწილია და, მაშასადამე, მდებარეობს მდ. ალაზნის ხეობაში... ჩრდ.-აღმ. მხრით აყუდებია კავკასიონი, დას.-სამხ. მხრით კი შემორტყმიან ალაზანი და შავი-მთა, ნაწყვეტი სიღნაღზე მომავალ ცივგომბორის კვერნაქისა. სივრცე მისი უდრის 73.78 ოთხკუთხ მილს ანუ 3571.34 ოთხკ. ვერსს ალაზნიდამ კავკასიონის ძირობამდე ველი ხან იშლება, ფართოვდება და ხან ვიწროვდება, ასე რომ მდინარითგან ხსენებულ მთის ძირობამდე ზოგან 30-40-ოდე და ზოგან 20-25-ოდე ვერსი ძლივს იქნება". (მ. ჯანაშვილი 51-52).

ზ. ედილი ასე გადმოგვცემს საინგილოს საზღვრებს: "იწყება იქ, სადაც დღევანდელი კახეთი თავდება და საზღვრად მას უძევს პატარა მდინარე მაზიმჩაი (ისტორიული მაჭისწყალი). აქედან მისდევს კავკასიონის მთაგრეხილს ყოფილ შექის, ანუ ნუხის მიჯნამდის, იქამდის, სადაც პატარა მდინარე კანი-კობის (სისხლის ღელე) ჩამოწანწკარებს და ერთვის უფრო დიდ, საკვირველად მიხლაკნილ-მოხლაკნილ მდინარე ეგრი-ჩაის. მთელი ეს სიგრძე, დაწყებული მაჭისწყლიდან კანიკ-ობ-ეგრიჩაიმდის, 80 კილომეტრს არ აღმატება. ესევე კავკასიონის მთაგრეხილი საზღვრავს მას თავისი ბრწყინვალე მწვერვალებით ჩრდილოეთით, ხოლო სამხრეთით – ალაზანი, რომელიც აქ ზანტად მიიზლაზნება. მთელი სიგანე მთაგრეხილიდან ალაზნამდის 25-30 კილომეტრამდე აღწევს. მთელი ფართობი საინგილოს დღევანდელი ტერიტო-რიის 3.497,5 კვ. კილომეტრს უდრის". (ზ. ედილი 3).

ნ. ბერძენიშვილი ყველაზე ლაკონიურად გადმოგვცემს საინგილოს საზღვრებს _ "საინგილო დღეს ეწოდება კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანას, რომელიც საბჭოთა აზერბაიჯანში შედის და მის სამ რაიონს შეადგენს: ბელაქნის,

ზაქათალის და კახის". (ნ. ბერძენიშვილი 253)

მეცნიერთა გარკვეული რაოდენობა ვარაუდობს, რომ საინგილო შუა საუკუნეებში წარმოადგენდა წუქეთის საერისთაოს. ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის და დ. მუსხელიშვლის შეხედულების თანახმად "საინგილო" შუა საუკუნეებში ატარებდა წუქეთის სახელწოდებას, რომელიც ისტორიული ჰერეთის ერთ-ერთ საერისთაო იყო. იგი თავდაპირველად ისტორიული ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე იყო. პ. ინგოროყვას მიხედვით, კაკი ანუ წუქეთი აღმოსავლეთ ჰერეთის ნაწილი უნდა ყოფილიყო. (პ. ინგოროყვა 883). ჯუანშერის ქრონიკაში ჩართულია ცნობა წუქეთის

შესახებ, სადაც ერისმთავარი არჩილი აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა. ამ ისტორიულ წყაროში მოტანილი გეოგრაფიული პუნქტი კასრი, თანამედროვე კახის რაიონში მდებარეობს, (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე). ამ ფაქტით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ წუქეთი ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარე უნდა ყოფილიყო და იგივეა, რაც ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საინგილო.

ვახუშტი ბატონიშვილი გვაძლევს წუქეთის ადგილ-მდებარეობის შესახებ ცნობებს, რომლის მიხედვითაც ის გიშის-წყლისა და მდ. ალაზნის ქვემო დინების ჩრდილოეთით, ძირითადად მდინარე ქურმუხის აუზს მოიცავდა. ,,ხოლო აწ კვალად ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქვეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშისწყალი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორის, და მოდის გიშამდე ჩრდილოდამ სამხრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთაო წუქეთისა, არამედ მიუხუნა შააბაზ კახეთს და ჰყო სასულტნოდ, და ამას ეწოდა წუქეთი, და აწ უწოდებენ ალის-სულთნად. კვალად გიშის-წყლის შესართავს ზეით, ამ გიშის-წყალს მოერთვის ჩრდილოდამ ქურმუხის-წყალი; გამოსდის მასვე კავკასსა და მოდის ჩრდილოდამ სამხრით. ამ წყალზედ არს ქურმუხი სიმაგრე დიდიშენი, და აწ სახლი ალის-სულთნისა". (ვ. ბატონიშვილი 95-96).

თ. პაპუაშვილის თანახმად ,,წუქეთი ადრე შუა საუკუნეებში ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ერთ-ერთ ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა". (თ. პაპუაშვილი 179). წუქეთი უკვე V ს ვახტანგ გორგასლის დროს, ქართლის სამეფოში შემავალი ქვეყანა იყო. (ქცბა I, 243). სომხური წყაროების მიხედვითაც (სომხური გეოგრაფია, ლევონდი) VII-VIII სს წუქეთი ქართლში შემავალი ქვეყანაა. (Гевонд 92). VIII ს 40-50-იან წლებში წუქეთში ერისმთავარ არჩილის მოღვაწეობის შესახებ ჯუანშერის ქრონიკაში დაცულია ცნობა: ,,დაჯდა წუქეთს, და აღაშენა კასრი, და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთადა მიეზოძა ვახტანგ მეფესა წუქეთი, და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი". (ქცბა I, 243). ამ ცნობიდან ჩანს, რომ წუქეთის მმართველს აგრეთვე ექვემდებარებოდა თუშეთი და ხუნზეთი (იმიერკავკასიელი ტომების: ხუნზების, ავარების, წახურების ტერიტორიები). წუქეთის მთავრებმა ეს საგამგებლო ტერიტორიები საშვილიშვილოდ დაიმტკიცეს და მემკვიდრეობით პრივილეგიად გადაიქცა. (თ. პაპუაშვილი 175). ადრეფეოდალურ ხანაში ეს პროცესი ბოლომდე არ იყო მიყვანილი და ჯერ კიდევ VIII ს არჩილი წუქეთს კლაჯეთიდან მოსულ პიტიახშთა ნათესავს აძლევს საგამგებლოდ. ამიტომ, ამ პერიოდში ანონომი მატიანის ცნობით, არაბთა მფლობელობის ხანაში, წუქეთისკენ ტაო-კლარჯეთიდან მოემართება დიდი საემიგრაციო ტალღა. VIII ს წუქეთის სამთავრო განვითარებას განიცდის, ერისმთავარი არჩილის ინიციატივით ინტენსიურად მიმდინარეობს ციხე-ქალაქების მშენებლობა, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცა პოლიტიკური პოზიციები ჰერეთის ამ ჩრდილო-აღმოსავ-

ლეთ პროვინციაში. ,,წუქეთი სამეფო დომენში შედიოდა, ამიტომ სავსებით ბუნებრივი და გასაგებია არჩილის მიერ აქ გატარებული ენერგიული ღონისძიებანი მიმართული ქალაქების დაარსებისაკენ და ძლიერი სტრატეგიული ცენტრების შექმნისაკენ.” (თ. პაპუაშვილი 299).

ჰერეთის დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბებისას წუქეთი მის საერისთაოს წარმოადგენს. მომდევნო ხანაში ჰერეთის ერთიან საქართველოს ფარგლებში შესვლის დროსაც წუქეთი (იგივე გიშის საერისთაო) ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენს. გვიანფეოდალურ ხანაში XVI ს კახეთის სამეფოში ჩატარებული რეფორმების შედეგად სამოურაოდ ყალიბდება, ხოლო XVII ს დასაწყისში მოსწყდება კახეთს და ამ ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე ე.წ. ელისუს სასულთნო წარმოიქმნება.

XVIII ს II ნახევარში შედგენილია ,,საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა”, სადაც მოცემულია ჩვენს მიერ დასახელებული ,,აღწერა ალის სულტანისა”. საყურადღებოა XVI-XVII სს რუსი ელჩების ჩანაწერები და XVIII ს შედგენილი ე.წ. ,,ჭარის ომების ქრონიკა”, აგრეთვე 1869-1874 წწ ,,ზაქათალის წოდებრივ-საადგილმამულო კომისიის” ჟურნალები, რომელშიც დაცულია წუქეთის გეოგრაფიული საზღვრების შესახებ ცნობები. ამ წყაროების დახმარებით ირკვევა რომ, წუქეთი, მომდევნო ხანაში ელისუს სასულთნო ორი ნაწილისაგან შედგებოდა: წახურის სამფლობელოსაგან და საკუთრივ ელისუს სასულთნოსაგან. წახურის ფარგლებში შედიოდა, რომელსაც სასულთნოს სამხრეთით მდებარე ტერიტორია ეკავა, წახური და მის გარშემო მდებარე სოფლები მდ. სამურის აუზში: მუსლიახი, სიუგუტი, ხიახი, მიხიხი, კურდული და გილმისი. სოფელთა ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ზერნა და ლექეთი, ანუ ლექართი, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, მდ. ყაფიჩაის აღმოსავლეთით მდებარეობენ. სოფელი წახური წარმოადგენდა სასულთნოს თავდაპირველ რეზიდენციას, მაგრამ აქ XVII ს დასასრულისთვის ლეკები გაბატონდნენ და სულთნის რეზიდენცია სოფ. ელისუში გადმოვიდა. (მდ. ქურმუხის აუზი). აქედან მომდინარეობს სახელწოდება ,,ელისუს სულთანიც”. როგორც დავინახეთ, წუქეთის საერისთაოს ლოკალიზაცია ხდება საინგილოს ტერიტორიაზე. (თ. პაპუაშვილი 50).

საინგილოს ტერიტორია უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველებით. დღეს აქ მრავალი ეროვნების ხალხი მოსახლეობს. არიან როგორც ქრისტიანები, ისე მაჰმა-დიანები, ქართველები, აზებაიჯანელები, ლეკები, რუსები. შუა საუკუნეებში საინგილოს ტერიტორია, როგორც მოგახსენეთ სასაზღვრო მხარეს წარმოადგენდა, ამიტომ მის დაცვასა და გამაგრებას სახელმწიფოს მიერ დიდი ყურადღება ეთმობოდა. საინგილოს ისტორიულ ტრეიტორიაზე წარმოდგენილი წუქეთის საერისთაო მნიშვნელოვანი სტარტეგიული პუნქტი უნდა ყოფილიყო, “მასზე გადმოდიოდა დაღესტნიდან დიდი გზა, რომელიც საინგილო-გაღმამხრისთვის იგივე დარიალის კარი იყო. ამ გზით შემოდიოდნენ უმთავრესად ჩრდილოეთ-კავკასიაში მოხეტიალე ურდოები საინგილოს ასაკლებად. ამ კარების ჩაკეტვა, მისი დაცვა, მტრის არ შემოშვება შუაგულ საქართვე-

ლოში კაკელებსა და წახურელებსა ჰქონდათ დავალებული". (ზ. ედილი 45). საქართველოსთვის უფრო სახიფათო იყო საინგილოს აღმოსავლეთი მხარე შირვანიდან. ამიტომ ქართველი მეფეები ამ ისტორიულ მხარეს მზრუნველობას არ აკლებდნენ. ამისათვის კი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ სასაზღვრო, სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონში და აგრეთვე მეზობელ დაღესტნის ტერიტორიაზე ქრისტიანობის დანერგვა-განმტკიცებას და დიდი რაოდენობით სწავლა-განათლების კერების დაარსებას. ისტორიამ მცირე ცნობები შემოგვინახა ამ მხრივ, მაგრამ ზოგიერთი წყაროს საშუალებით მაინც ხერხდება ისტორიული სინამდვილის აღდგენა.

შუა საუკუნეებში საინგილოს ტერიტორიაზე, მის დიდ ცენტრებში ბელაქანსა და კაკში სწავლა-განათლების საქმე კარგად უნდა ყოფილიყო განვითარებული. იგზავნებოდნენ რელიგიის გამოჩენილი პირები. "ქართლის ცხოვრებაში" დაცულია ცნობა პიმენ სალოსზე და ანტონ ნაოხრებელიძეზე, რომლებიც 1292 წელს ჩავიდნენ ბელაქანში მისიით. "ხოლო ამათვე ჟამთა ბრწყინვიდა პიმენ სალოსი, რომელი გარესჯით წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა. ამას თანა ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოღუაწე ანტონი ნაოხრებელისძე, ნათესავით მესხი". (ქცბა 283). აგრეთვე მნიშვნელოვანი ცნობაა შემონახული ე.წ. მაღალაანთ სახარების მინაწერში, რომელიც დ. ჯანაშვილისა და კ. კეკელიძის მიერ არის გამოქვეყნებული. ამ ცნობის მიხედვით სოფ. კაკში არსებობდა გადამწერთა სკოლა. მინაწერში მოთხრობილია 1310 წ. კათალიკოს ექვთიმეს მიერ განაპირა ეპარქიების შემოვლის შესახებ: ,,ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექ(უ)თიმე მოიხილა კახეთს: ანწუხისა საეპისკოპოზო მიერითგან გადმოვიდა წახურს, კაკელისენს და მოვლო საყდარნი: კასრი სამებისაი, ყუმი ღვთიშობლისაი, ლექართს წმიდისა მოციქულთსწორისა ნინოისი, ხარს წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანს წმიდისა (ჰ)აშოისი, განუხს არჩილისი, ქიშ-ნუხს ღმრთისმშობლისაი, ვარდთაშენს ელიაისი, თა...სარანს ყოვლადწმიდის მოციქულის პეტრეისი, კუალად საყდარნი ხუნძთა, ნახცთა, ტობეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელქანისა, მაჯფიფინეთისა, ფერიჯან-მუხახ-მამრეხისა და ყოვლისა ვაკისა, ესე იგი არს ძუელი(სა) მოვაკანისა და ელისენისა(ნი), ვერხვიანით ზეგანით გამოვიდრე ივრის მდინარისა ჩასართავამდე ალაზანსა, და ამან სანატრელმან ექუთიმე მიბრზანა ქურმუხისა მთავარეფისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღუარსა კვირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თითოეულისათვის ეკლესიისა. ესა გარდავაწერნენ კაკისა წმინდისა ბარბარეს ტაძრისა მღდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარვგზავნენ საყდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლებელთა თავსმდგომთადმი და ვუბრძანე სწავლებად სჯული ჭეშმარიტი და ფილოსოფოსაბა(ი) მამთა ცხოვრება(ი), ქართლის ცხოვრება და ცხოვრება(ი) ალვანიისა, ესეიგი არს სავანიისა, რომელი დაწერა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სო-

მეხმან გა(დაიღო) იგი. და საკუთრივ დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც ადვილად იწამეს ჩვეულებრისამებრ". (კ. კეკელიძე 314-315).

ამ ისტორიულ დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ეკლესია-მონასტრების და იმ დროინდელი ქართული სკოლების შესახებ, სადაც საღმრთო წერილთან ერთად ისწავლებოდა ფილოსოფია, ქართლის ცხოვრება და ალბანეთის ისტორია. ასეთი სკოლები, როგორც მინაწერიდან ჩანს საქართველოს განაპირა დაღესტანშიც არსებობდა, "შვიდთა სასწავლებელთა თავსმდგომთანი", იმას ნიშნავს, რომ 1310 წლისთვის დაღესტანში შვიდი სკოლა არსებობდა, რომელსაც კათალიკოსი ზედამხედველობდა. ხოლო კაკის გადამწერთა სკოლასთან დაკავშირებით, რომელსაც მღვდელი ქიტიაშვილი ხელმძღვანელობდა, ზ. ედილი თავის წიგნში "საინგილო" აღნიშნავს, რომ "სკოლის ნანგრევებს დღესაც უჩვენებენ საინგილოში, დღეს იქაურობა დიდი ხელუხლებელი ხეებით არის სავსე და ინგილოები მას საყდარს ეძახიან". (ზ.ედილი 34). ზ. ედილი აგრეთვე ასახელებს დედათა დიდ სასწავლებელს, რომელიც ლექართის დიდი სამონასტრო კომპლექსისი მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. ეს სასწავლებელი, როგორც ავტორი გადმოგვცემს, მონასტრიდან ორი კილომეტრის დაშორებით უნდა ყოფილიყო "ინგილოებში და ლეკებში (ამ სოფელში დღეს მარტოდ-მარტო ლეკები მოსახლეობენ) შემონახულია გადმოცემა, რომ საინგილოში ყველაზე დიდი დედათა სასწავლებელი აქ არსებობდა" (ზ.ედილი 34).

დღევანდელი საინგილოს ტერიტორია, ისტორიული წუქეთის საერისთავო, უძველესი ისტორიული მხარე იყო, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთიანი საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და რთული პოლიტიკური ვითარების გამო ჩამოშორდა საქართველოს ძირძველ ტერიტორიას. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ისტორიული ცნობები ნათლად გვიდასტურებენ საინგილოს ქართულ წარმომავლობას, ამას ადგილობრივი მოსახლეობის ქართველებთან ეთნიკური ერთიანობაც მოწმობს და აგრეთვე არქეოლოგიური მასალაც. კულტურულ-ისტორიული ერთიანობა აისახა მდიდარ ხუროთმოძღვრულ მემკვიდრეობაშიც. ,,უძველესი დროიდან საინგილო, ისევე როგორც აწინდელი კახეთის დიდი ნაწილი და ჩრდილო-დასავლეთი აზერბაიჯანი (ყოფილი შაქის ოლქი, ანუ ნუხის მაზრა), დასახლებული იყო ქართველთა მონათესავე ტომებით, რომელთა საერთო ქართული სახელი _ ჰერეთი უკვე V ს არის დამოწმებული". (ნ. ბერძენიშვილი 253).

ANA VASHAKIDZE

SAINGILO, HISTORICAL TSUKETI (HISTORICAL AND GEOGRAPHICAL REVIEW)

s u m m a r y

In this article is discussed the history of Tsuketi saeristavo (duchy), currently northwestern district of Azerbaijan. For ages Tsuketi has been a historical part of Hereti. During the medieval era saeristavo, what later became known as Saingilo was mostly controlled by the kingdom of Georgia. The territory took part in establi-

shing united Georgian Kingdom after it was incorporated into Georgia. In 1921 as a result of the complicated political history territory of Saingilo has become officially a part of Azerbaijan. Nowadays in this region is living an ethnographic group of Georgian people. At present it is open to discussion that the region was actually the historical part of Georgia. The origin of Georgian cultural heritage is questionable. Stemming from the above-mentioned the article is focused on historical geography and political history of Tsuketi.

ლიტერატურა

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ,,ქართლის ცხოვრება" ტ. IV, თბ., 1973.
2. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, თბ. 1942.
3. ინგოროყვა პ., თხზულებათა კრებული, ტ I, თბ., 1963.
4. ზ. ედილი, საინგილო, თბ, 1947.
5. საქართველოს ისტორიი.ს საკითხები. ტ. III, ბერძენიშვილი ნ. თბ., მეცნიერება. 1966.
6. ბერძენიშვილი ნ., ივ. ჯავახიშვილი, ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია. ნაწილი I, თბ., 1946.
7. საინგილო, ჩანგაშვილი გ., თბ., 1970.
8. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
9. ჯანაშვილი მ., ძველი საქართველო, "საინგილო" ტ. II, ტფილისი 1913.
10. მარჯანიშვილი გ., "ჰერეთი". თბ. არტანუჯი, 1983.
11. პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.
12. История халифов вардапета Гевонда, писателя VIII в., пер. с арм. К. Патканова, СПб, 1862

rostom Samugia

ერის მარადიული სატკივარი

ციკლიდან: „ ფიქრები თავისუფლებაზე“

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა
ნავსაყუდარი...“
ილია ჭავჭავაძე

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლები მრავალწამებული საქართველოს ისტორიული სინამდვილის სახელოვანი მატიანეა. სწორედ ამ პერიოდში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდები, ე.წ „თერგდალეულები“, რომელთაც კოლოსალური ზეგავლენა მოახდინეს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული თუ სულიერ-ზნეობრივი ცხოვრების მაჯისცემა-განვითარებაზე. ამ თვალგანჭვრეტით, „თერგდალეულთაგან“ ყველაზე ღირსეული, გამორჩეული და კოლორიტული ფიგურაა გამოჩენილი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და მორალისტი, ილია ჭავჭავაძე.

ქართული ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის მამამთავრის – ილია ჭავჭავაძის ჭეშმარიტად უნიკალური და უზარმაზარი, მრავალმხრივი ლიტერატურული მემკვიდრეობა და ყოველდღიური ყოფა თხემით ტერფამდე გამსჭვალულია მამულისადმი უსათნოესი სიყვარულითა და მისდამი თავგანწირული მსახურების უჩვეულო მაგალითით. განგებამ ჭაბუკს სიყრმიდანვე დაანათლა ერის უმძიმესი ჭაპანის ტარება, რასაც, როგორც ცნობილია, ილიამ თავი გაართვა მისთვის ჩვეული ღირსებით და შეუპოვრობით, რაც გახდა კიდევაც უშუალო მიზეზი გულანთებული მამულიშვილის მოკვდინებისა რუსული იმპერიისა და ქართველ რენეგატთა ერთობლივი ძალისხმევით.... მრავალფეროვანი შემოქმედის – ილია ჭავჭავაძის სიჭაბუკის ხანა იყო უაღრესად ტრაგიკული. სიყრმიდანვე დაობლებული ილია ახლობელთა შემწეობით ახერხებს სწავლას გიმნაზიაში და ემზადება მომავალი დიდი ასპარეზისთვის... წელთა მონაცვლეობისა და ცხოვრებისეულ ქარტეხილთა ჩავლის შემდგომ მის სახელს პირუთვნელი ჟამთააღმწერელი შეამკობს მარად უჭკნობი ეპიტეთებით და მოიხსენიებს მას, ვითარცა საქართველოს სულიერ მოძღვარს, მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფ-

ლებელი მოძრაობის ღირსეულ წინამძღოლს ...

როგორც ცნობილია, ილია პატარაობიდანვე იზრდებოდა გლეხების ბავშვებთან ერთად. სწორედ გლეხობის, ხალხის წიაღში ჰპოვა მან ის უდავოდ თვალისმომჭრელი მარგალიტები, რომელთაც შემდგომ სამარადჟამოდ შეასხა ხორცი თავის ზოგადსაკაცობრიო შედევრებში. რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძის ფენომენის ახსნა მარტოოდენ ხალხთან სიახლოვით, მისი ჭირ-ვარამის შეცნობა-გათავისებით, აბსურდული გულუბრყვილობაა. ამ შემთხვევაში, ცხადია, უწინარესად უნდა გავიაზროთ ბუნებრივი, თვითნაბადი გენია დიდი შემოქმედისა. ნიშანდობლივია, რომ თანდაყოლილი ტალანტი აღმოჩნდა გადამწყვეტი ფაქტორი, რათა პეტერბურგში, ქართველ სტუდენტებს თავიანთი იდეური გონსაწიერის ლიდერად ეღიარებინათ სწორედ ილია ჭავჭავაძე. ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ პეტერბურგიდან დაბრუნებული ილია სამარის კარამდე ღირსეულად ატარებდა ერის მამის უმძიმეს ჭაპანს და კალმით თუ პრაქტიკული ღვაწლით ვაჟკაცურად მსახურებდა მრავალჭირნახულ მამულს. თანამოაზრე მეგობრებთან ერთად მწერალი მუხლჩაუხრელად იღვწოდა იმპერიის ძალისხმევით გადაგვარებულ ქართველთა ეროვნული ცნობიერების აღსადგენად, საერთოდ ქართველი ერის გასანათლებლად, რამეთუ განათლება, თავისთავად წარმოადგენს ქვაკუთხედს დიადი მიზნის ფრთაშესასხმელად. ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართველი ხალხის სულიერ მესვეურს, ცხადია, მთელი სიგრძე-სიგანით ჰქონდა გააზრებულ-შეცნობილი ის უზარმაზარი, კოლოსალური მისია, რაც მას დააკისრა არსთა გამრიგემ მრავალტანჯული ქართველი ხალხის სამომავლო ბედ-იღბლის წარმართვის საქმეში. ერის წინაშე ამგვარი უდიდესი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ახსნაა მოცემული შემოქმედის ერთ-ერთ საპროგრამო ლექსში „პოეტი“:

„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.“

უეჭველია, ამ ისტორიული ფრაზების ავტორს გულიც ერჩოდა, ტვინიც უჭრიდა და ავთანდილის დარად, „ძალიც შესწევდა ქადილისა“, რაიც ჟამთა ცვლამ ბრწყინვალედ დასტურჰყო კიდეც. ილიას მოაზრებულ-გაანალიზებული ჰქონდა ხალხის გულისტკივილი. იგი ჭაბუკობიდანვე ოცნებობდა და ხმალჩაუგებლად იბრძოდა კიდეც მამულის დასახსნელად რუსეთის იმპერიის კლანჭებიდან. ამ დიდებული მიზნის საცნაურსაყოფად არანაირ კომპრომისზე არ თანხმდებოდა იგი. პირუკუ, საოცარი შეუპოვრობით, პირდაპირობითა და სიკერპით და საერთოდ, ცხოვრების სტილით ილია ჭავჭავაძე რისხვას წარმოადგენდა იმპერიის ყურმოჭრილ ქართველ მსახურთათვის... დიდი ილია, სხვა ღირსეულ, წამებულ ერისკაცთა დარად, იმის საჩინო მაგალითია, თუ რაგვარი უნდა იყოს ჭეშმარიტი პიროვნება, ჭეშმარიტი მამულიშვილი. იგი აგრეთვე წარმოადგენს იმის ნიმუშსაც, თუ რაგვარი უნდა იყოს ერის სულიერი მოძღვარი და იდეური წინამძღოლი:

„კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს“...

ამგვარი ნიშნით იყო წარმართული მთელი მისი მოღვაწეობა, ეს იყო მისი შემოქმედების კრედო, მისი „მოდუს ვივენდი“. ასეთი მრწამსით, ამგვარი ეროვნული მსოფლშეგრძნებით ცოცხლობდა და იღვწოდა იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე... ამ თვალთახედვით, ილია ჭავჭავაძე წარმოადგენს წმინდა კელაპტარს, რომელიც უკუნს გვინათებს მე-19 საუკუნის გადასახედიდან. ნიშნეულია, რომ მწერალი, თავისი გენიალური შემოქმედებით, დღესაც გვმოძღვრავს და გვიკაფავს ეკლიან გზას, მიმავალს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ... მისი უდავოდ მაღალმხატვრული შემოქმედებიდან ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ღირსსაცნობია საპროგრამო ნაწარმოები „მგზავრის წერილები“. უეჭველად საინტერესო, ამასთან, გულისშემძვრელია ილიასა და მოხევე ლელთ ღუნიას მძაფრტკივილიანი, წარსულისადმი უღრმესი კაეშნით გამსჭვალული დიალოგი:

„ ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“ –

გვეუბნება გულისტკივილით ერის ბედზე მოფიქრალი ლელთ ღუნია და ძნელად შესახორცებელ ჭრილობას გვავედრებს მოსავლელ–მოსარჩენად... 1861 წლის 6 აგვისტოს 24 წლის „თერგდალეულის“ – ილიას ლიტერატურულ საგანძურს შეემატა კიდევ ერთი, ეროვნული პათოსით აღვსილი ქმნილება. ეს გახლავთ ცნობილი ლექსი „ მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, რომელშიც პოეტი გვიმხელს უკიდეგანო კაეშანს იმასთან დაკავშირებით, რომ უდიდეს საერისკაცო საქმეს იგი ფაქტობრივად მარტოკა შერჩენია. მოვუსმინოთ თავად პოეტს:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..“

ამბობს უკიდეგანო სევდით გულშეძრული პოეტი და ბუნებრივია, ეს მით უფრო დამაფიქრებელი და საჭირბოროტო საკითხია, რამდენადაც, მიუხედავად საუკუნენახევრიანი სხვაობისა დროის მონაკვეთში, ამ მიმართებით, საქართველოში თითქმის არაფერი შეცვლილა, კვლავაც სახეზეა ანალოგიური გათითოკაცება ერის სამსახურში ჩამდგარ რჩეულ მამულიშვილთა... ამის უტყუარი ნიმუშია საქართველოს პრეზიდენტის ბატონი ზვიად გამსახურდიას მოწამებრივი ცხოვრება და მოღვაწეობა. უფრო მეტიც, იმპერიის აგენტებმა, 30 ვერცხლად სულგაყიდულმა თანამემამულეებმა სამშობლოდან განდევნეს ქართველი ხალხის მიერ ერთხმად არჩეული საქართველოს პირველი პრეზიდენტი და კანონიერი მთავრობა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა სამყაროს პოლიტიკურ ცხოვრებაში...

ბატონი პრეზიდენტისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში მე ვწერ:

„ღმერთი ჩვენთან არს!“... კვლავ ვიმეორებთ,
თუმცა, მაწუხებს ხშირად ეჭვები...
ამ სამზეოში კაცი არა ჩანს,
რომ შეეშველოს ზვიადს ბეჭებით...

მკითხველი უთუოდ გარკვეულ ანალოგიას შენიშნავს დიდი ილიას ზემომოხმობილსა და ჩემს სტრიქონებს შორის... როგორც ჩანს, ეროვნული ტკივილი ჩემგვარ, ჩვეულებრივ მოკვდავსაც ხანდისხან უბოძებს ნიჭს – ტიტანთა დარად იფიქროს...

ზეკაცი ილიას და ბატონი ზვიად გამსახურდიას ერთ კონტექსტში აღქმა-მოქცევა სრულიადაც არაა ეპიზოდური. პირუკუ, ეს სავსებით წინასწარ განზრახული და გამიზნული ქმედებაა, რამეთუ განგებამ ორივეს ურთიერთმსგავსი ხვედრი განუწესა. სულკურთხეული ილიას დარად, ბატონი ზვიადიც, თუმცაღა მარტოკა, მაგრამ მაინც ქედუხრელად განაგრძობს უთანასწორო ბრძოლას ერის გამოხსნისათვის იმპერიის უღლიდან, რასაც იმპერიისვე ხელდასხმით, ხელს უშლიან რენეგატი ქართველები...

ცნობილია, რომ მამულის თავისუფლებასთან ერთად დიდი ილია ელტვოდა მთელი კავკასიის თავისუფლებას, რადგანაც უზარმაზარ იმპერიულ სივრცეში მარტოოდენ საქართველოს თავისუფლების წარმოსახვა არარეალური ჩანდა, ხოლო სრულიად კავკასიის თავისუფლება კი უსათუო გარანტი იქნებოდა საქართველოს თავისუფლებისაც. ამიტომაც ბრძანებდა პოეტი:

„ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა,
ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა
ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!..“

და დღეს, დიდი განსაცდელისა და შეჭირვების ჟამს, უაღრესად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება კავკასიის ხალხთა ერთიანობას, თარგამოსის შთამომავალთა ერთობას, რამეთუ ერთობა ჭკუაა, ძლიერებაა, ხოლო ძლიერება სამომავლო გამარჯვების მომასწავებელია. სწორედ ამ ერთიანობის საწინდრად მესახება ღმა გააზრების, მეცნიერულად დასაბუთებული იდეა, უაღრესად ბრძნული კონცეფცია ერთიანი იბერიულ-კავკასიური სახლის შექმნის თაობაზე, რომლის ავტორი და ინიციატორია ბატონი ზვიად გამსახურდია. ნიშანდობლივია, რომ ამ ღრმა მეცნიერული და ღრმაფესვიანი კონცეფციის მიმართ აღფრთოვანება გამოხატა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ჩეჩენი ერის ღირსეულმა შვილმა, ჯოჰარ დუდაევმა...

ზემოხსენებულ სტრიქონებში („ამ სამზეოში კაცი არა ჩანს, რომ შეეშველოს ზვიადს ბეჭებით“...) მსურს მცირედი კორექტივის შეტანა, რამეთუ ბ-ნ ზვიადს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გვერდით უდგას ჭეშმარიტად თავდადებულ მამულიშვილთა გულგაუდრეკელი კოჰორტა, რომელსაც პირუთვნელი მემატიანე უდავოდ მიუჩენს გამორჩეულ ადგილს თავისუფალი საქართველოს ისტორიის ქათქათა ფურცელთა აკინძვისას...

თუმცაღა, ეტყობა, ერთეულთა თავგანწირვა არაა საკმარისი... საჭიროა თითოეული ქართველი, ერი და ბერი, ერთად დავდგეთ სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყართან და შეუვალად განვაცხადოთ ჩვენი ურყევი ნება: ან მედგრად შევუდგეთ თავისუფლებისაკენ მიმავალ ეკლიან აღმართს და დავიბრუნოთ ლელთ ღუნიას მიერ სინანულით ნახსენები ხანა, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდა“, არადა, კვლავ დავრჩეთ ბატონებო, იმპერიის მონებად

და დავუტოვოთ კირთების სამარცხვინო ჭაპანი ჩვენს მომავალ თაობას სამარადჟამო განსაცდელად და გასაჭირად...

...და როცა საქართველოში თავისუფლების მზე ბრდღვიალით ამოენთება ცისკიდურზე, იგი უშურველად მოგვაფრქვევს თავის ცხოველმყოფელ სხივებს და ძალუმად გაათბობს თითოეული ჩვენთაგანის დამზრალ გულს, სანაცვლოდ იმ მადლიერებისა, ბ-ნ ზვიადს რომ ვუწევდით ოდენ სულიერ ქომაგობას ეროვნული მისიის ფრთაშესასხმელად გოლგოთას თემშარაზე მარტოდ შემდგარს... და მზე იგი, იქნება მძაფრი, მცხუნვარე, სხივიერი, რაც მთავარია, აღმოსავლური და არამც და არამც ჩრდილოეთით ამოწვერილი, როგორც ეს განაცხადა თავის დროზე იმპერიის ყურმოჭრილმა ლაქიამ ედუარდ შევარდნაძემ და მისი ნათქვამი კი ლამის ჭეშმარიტებად აღიქვა ათასობით მისებრ რენეგატმა ქართველმა...ფრიად დამაფიქრებელი და სავალალო სიმპტომია, რომ მზის ამოგორება ჩრდილოეთიდან მავანთათვის დღესაც კანონზომიერ მოვლენადაა აღქმული, თუმცაღა, ჭეშმარიტი ქართველი მიწყივ იყო შთაგონებული სანუკველი წინაპრების: თევდორე ბერის, ცოტნე დადიანის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ილიას, ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგის, პავლე ინგოროყვას, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვა საჩინო ერისკაცთა ნაღვაწ-ნამოქმედარით, რომელთა უშუალო ფიზიკური თუ სულიერი მემკვიდრენი ღირსეულად განავრცობენ წინაპართა ღვაწლს საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით...

თავისუფლებაზე ჩაფიქრებულს თვალწინ წარმომიდგება ხოლმე ილია ჭავჭავაძის პატრიოტული პათოსით განჭვრეტილი პოემა „ქართველის დედა“, მისი მაღალეროვნული იდეალების ხმიანობით:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი...“

...ო, თავისუფლებავ! შენ თვით იმ განძეულზე უფრო ძვირად ღირებულადაც კი მიმაჩნიხარ, რომელიც ათადან-ბაბადან დაგროვებულა ზღვათა და ოკეანეთა ფსკერზე, სხვადასხვა ჯურის კონკისტადორთა თუ მეკობრეთა მიერ წარმოებული ულმობელი აბორდაჟების შედეგად... თუმცა, რას ვამბობ! ხილულ სამყაროში არსებული თუ ოკეანეთა ფსკერზე ნაგულვები განძეული განა შეედრება მისხით მისხამდე ხელიხელსაგოგმანებელ, ჭეშმარიტ გენიოსთა მარად უკვდავ შედევრებს? განა შეიძლება ოქრო, ალმასი თუ ბრილიანტი ტოლფარდი იყოს ჰომეროსის თუ დანტე ალიგიერის... ფიდიასის თუ სანდრო ბოტიჩელის, ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს თუ რაფაელის... რუსთაველის თუ ვაჟა-ფშაველას და სხვა ათასობით გენიოსთა ქმნილებებისა? ოღონდაც, თვით ყველაზე გენიალური შედევრიც კი ბაცდება, ფერმკრთალდება, მოკრძალებული ხდება თავისუფლების წინაშე...

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი“...

მაგონდება ფრანგული მწერლობის სიამაყე და მშვენება, „პატარა უფლისწულის“ გენიალური ავტორი ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი, რომე-

ლიც ერთ-ერთ ბრწყინვალე მოთხრობაში „ადამიანთა მიწა“ წერს: „წყალო! შენ არა გაქვს ფერი, არც გემო, არც სუნი, შენი აღწერა შეუძლებელია... ცოტაა ითქვას, რომ აუცილებელი ხარ სიცოცხლისათვის: შენ თვითონ სიცოცხლე ხარ... შენ ვერ იტან ვერავითარ შენარევს, შენ ვერ იტან შებღალვას; შენ მფრთხალი ღვთაება ხარ“...

ჩემთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურიდან, მე არ მეგულება სხვა შემოქმედი, რომელსაც ეგზომ ზეაღმტაცად, რომანტიკულად წარმოესახოს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სასმელი წყალი, მაგრამ თავისი არსით, ერთ-ერთი აუცილებელი ბუნებრივ-სასიცოცხლო ელემენტი... გენიოსნი ალბათ იმიტომაც არიან გამორჩეულნი ჩვეულებრივ მოკვდავთაგან, რომ ესოდენ პოეტური აღმაფრენით ძალუძთ ხოტბა შეასხან სამყაროსეულ სულიერ, უსულო თუ აბსტრაქტულ საგანთ... ვინც იცნობს ეკზიუპერის ხიფათიან და რომანტიკულ ცხოვრებას, დამემოწმება, რომ სიცოცხლის იმგვარად წარმართვა შეეძლო მარტოოდენ თავისუფლებაშეც ნობილ პიროვნებას, რის დასტურყოფასაც წარმოადგენს მისი ბრწყინვალე ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა. ამ უკანასკნელს საგანძურად შემორჩა ეკზიუპერის დიდებული შემოქმედება, რომელიც თავისუფლების ერთ მთლიან, განუმეორებელ პანორამად აღიქმება... ამ თვალგანჭვრეტით, ჩემთვის, თავად ეკზიუპერია თავისუფლების პერსონიფიცირებული სიმბოლო-სინონიმი... სწორედ ამიტომ შევთავაზე მკითხველს მწერლის ზემომოხმობილი სიტყვები, რომელთა პერიფრაზირებულ ვარიანტს გთავაზობთ აქვე: „თავისუფლებავ! შენ სიცოცხლეზე მეტი ხარ!.. შენ ღვთაებათა ღვთაება ხარ!..“ და ისევ სულმნათი ილია:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი“...

თავისუფლებისკენ სწრაფვა ქართველს სისხლში აქვს გამჯდარი და ამ გზაზე მას არ სჩვევია კომპრომისი და უკანდახევა... ჟამთააღმწერლის მიერ ანალოგიური მაგალითი ათასობითაა აღნუსხული ისტორიის მტვერჩამკვდარ ფოლიანტებში. თავისუფლებისადმი ამგვარი მიმართების უთვალსაჩინოესი ნიმუშია ცხრა აპრილს დახოცილთა გმირული ძალისხმევა...

... თვალწინ მიდგას ლეგენდარული „ბაბუ“, (ფილოსოფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ბატონი მელორ წურწუმია), რომელიც იმ საბედისწერო 9 აპრილს, გამთენიის ჟამს, ვაჟკაცურად უმკლავდებოდა რუსული იმპერიის პირსისხლიან ჯალათებს. და მის ქმედებას იმ მომენტში წარმართავდა ერთადერთი, დაუოკებელი სურვილი თავისუფლებისაკენ ლტოლვისა. იმ გაუსაძლის უბედურებასა და ორომტრიალში, ბატონი მელორის საქციელი თავგანწირვისა და მაღალზნეობრიობის უმშვენიერეს ნიმუშად აღმეზეჭდა გონებაში...

ზემოთ აღვნიშნე, რომ თავისუფლებისაკენ სწრაფვა ქართველს სისხლში აქვს გამჯდარი-მეთქი და ნიმუშად წარმოვაჩინე მართლაც გულუშიშარი „ბაბუ“, რომელიც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და სიბრძნით გამოირჩევა... მსგავსი თვისებებით ჯერხნობით ვერ დაიკვეხნის მეოთხე კლასის მოწაფე პაატა, თუმცაღა, ამ ათი წლის ყმაწვილს უკვე გაუცნობიერებია და შეუგრძვ-

ნია თავისუფლების არსი, მისი უპირატესი დედააზრი. გთავაზობთ ნაწყვეტს პაატას ერთ-ერთი ლექსიდან: „თავისუფლება და პოეზია“:

„თუ ვინმე მკითხავს: „მამულის შემდგომ
ქვეყნად რომელი უტკბილესია?“
მე მივაგებებ უმალვე პასუხს:
„თავისუფლება და პოეზია!“
... და მომავალში ჩემი მამული,
რომ გაბრწყინდება– უცხადესია...
მწამს, რომ იქნება მარადჟამული
— თავისუფლება და პოეზია!..“

უსაზღვროდ აღმანთებს იმის შეგრძნება, რომ ღირსეულ ერისკაცთა სულისკვეთებით იზრდება და ცხოვრობს პაატა და მისი თაობა... დიდებულად უთქვამს ბრძენ წინაპარს:

„კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი“...

წუხელ სამ საათამდე ვხვეწავდი წინამდებარე პუბლიცისტური წერილის საბოლოო ვარიანტს. მომიჯნავე ოთახიდან მესმოდა ჩემი ვაჟიშვილების რიტმული სუნთქვა. შუათანა, უკვე ნახსენები პაატა ბორგავდა, შფოთავდა, გაურკვეველ ფრაზებს წარმოთქვამდა. ბოლოს გარკვევით შემომესმა: „მერცხალი, მერცხალი!“ შემდგომ კვლავ ძილს მისცა თავი... პაატას მიერ მერცხლის ხსენებამ ქვეცნობიერად დიდი იმედი ჩამისახა გულში, რასაც ღრმად სიმბოლურ მნიშვნელობას ვანიჭებ, რამეთუ მერცხალი გაზაფხულის, სიკეთის, მშვენიერების, სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოდაა მიჩნეული და აღქმული... ვინ იცის, იქნებ, მერცხალმა გვახაროს ყველაზე დიდი და სანუკველი გაზაფხული – თავისუფალი საქართველოს გაზაფხული, წუთისოფლის სამზეოში ქართველი ერის სამარადჟამო გაბრწყინება... სწორედ ამ ასპექტით მივიჩნიე „პაატას მერცხალი“ იმედის მომცემად... უთუოდ ნიშანდობლივია ამგვარი დამთხვევაც: ამ დილით, სარკმლიდან ოთახში შემოფრენილი, ფანჯრის კუთხეში მიყუჟული, შეშინებული მერცხალი დავიჭირე. შემებრალა... გამოვედი აივანზე და გავუშვი. დაიგულა რა თავი თავისუფლად, არნახული სისწრაფით აიჭრა ჰაერში, შეჰკრა კამარა, ცისკენ აიღო გეზი... თვალი ვადევნე მანამ, სანამ მერცხალი წერტილისოდენა არ გახდა. ის იყო ვიგუმანე, ის წერტილი თვალსაწიერიდან უკვე გაქრება-მეთქი, რომ „წერტილმა“ თანდათან, ნელინელ დაიწყო გამსხვილება... მონავარდე მერცხალი დაუბრუნდა თავის ბუდეს და მორთო არაჩვეულებრივი ჭიკჭიკი... მე დიდხანს ვტკბებოდი ღვთიური ფრინველის მხიარული გალობით და ვგრძნობდი თავისუფლებამინიჭებული მერცხლის უსამანო აღტაცებას და მით მოგვრილი ბედნიერების გრანდიოზულობას... ეს იყო ჭეშმარიტად თავისუფალი, ლაღი სულის ტრიუმფი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება ცისქვეშეთში... თითქოსდა, მერცხალიც იზიარებდა და ეხმიანებოდა ბუმბერაზი ილიას ნასათუთევ და სხივფენილ ფრაზებს:

„ თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი“...

ლელთ ღუნია ჭეშმარიტი ერისკაცის ზოგადი სხივმფენი სახეა... ლელთ ღუნია ილიას მიერ ეროვნული სულიერების ქურაში ნაწრთობი, მამულზე ფიქრით გულგასენილი კაცის პერსონიფიცირებული, სხივიერი ხატსახეა... ლელთ ღუნია ჩემთვის ფარნავაზისა და ქუჯის, გორგასლისა და აღმაშენებლის, თამარ მეფის, აღათანგ ხერხეულიძის და მისი საკ-

ვირველი მოდგმის, სამასი არაგველის თუ ათასობით სხვა ღირსეულ წინაპართა ტოლძალოვანი, სხივნართი სახელია...

... ლელთ ღუნიას სატკივარი ქართველი ერის ღრმა ჭრილობაა, მისი უსაშველო და ვეება გულისტკივილია. ამ სატკივრის დროული გათავისება-შეცნობა თითოეული ქართველის უპირატესი მოვალეობაა, უაღრესი სასიცოცხლო იმპულსია... ლელთ ღუნიას ჭრილობის მკურნალობა ნიშნავს საქართველოს ხსნას ორასწლოვანი სამარცხვინო კირთებისაგან...

უსასრულოდ, უკიდეგანოდ შეიძლება იფიქრო თავისუფლების სხივნართობაზე, რამეთუ თავისუფლება თავისი არსით მაგონებს იალბუზს, რომლის თხემის ტრავერსი უდიდესი ნეტარებაა მოყვარული თუ პროფესიონალი ალპინისტისთვის... ამგვარივეა თავისუფლებისკენ ლტოლვაც... მიმაჩნია, რომ სამყაროში არ არსებობს უფრო დიდი ნეტარება, ვიდრე თავისუფლების შეგრძნებით ტკბობაა. ოღონდაც, თავისუფლების იდეამ შეიძლება აღგიტაცოს მარტოოდენ იმ შემთხვევაში, თუკი ღვთით ბოძებული მიმსწრაფი ალღო-ნიჭიერების გარდა, მკერდში გიძგერს მამულის ყოველწამიერ რიტმულ მაჯისცემას მიყურადებული უსათნოესი გული... ოდენ ამგვარი გულის მქონეთ, მირონცხებულ პიროვნებებს ძალუძთ ერის, ხალხის სულიერი წინამძღოლობა...

გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძე წარმართავდა ქართველი ერის სულიერ-ზნეობრივ სამყაროს, ხოლო აწინდელ საქართველოში ეს კოლოსალური მისია არსთა გამრიგემ დააკისრა უფლისა და ერის რჩეულს ზვიად გამსახურდიას, რომელიც ტიტანური ძალისხმევით მიუყვება გოლგოთისაკენ მიმავალ ეკლიან და უმძიმეს, თუმცაღა სანუკველ აღმართს...

და რაოდენ გულგასახარია იმ ფაქტის შეცნობა, რომ ზვიად გამსახურდიას უდიდესი ძალისხმევა მიმართულია არა ოდენ საქართველოს გასათავისუფლებლად იმპერიის არტახებისგან, არამედ მისი ფიქრი, ილია ჭავჭავაძის დარად, წამდაუწუმ თავს დასტრიალებს „მთელი კავკასის“ თავისუფლებასაც, რამეთუ მხოლოდ ამგვარი თავისუფლება იქნება შუმი და სრულქმნილი, დაუმარცხებელი და უბერებელი, სულის უტეხობით ნათელმოსილი, სხივიერი და სამარადჟამო შვების მომგვრელი თარგამოსიანთა, დიახაც უნიკალური, სხივდაფრქვეული და ლომგულოვანი მოდგმისათვის...

...და ისევ სულმნათი ილიას უკვდავებასთან წილნაყარი მაგიური ფრაზა:

„ თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი“...

როსტომ შამუგია

1993 წლის 26 მაისი

გაზეთი „კოლხური კოშკი“

P.S თავისუფლებისკენ აღმავალ ქანჩახიან თემშარებზე ვინ უწყის, რამდენი დაცემულა... მარტოოდენ მცირედთა ნათელმოსილი გვარსახელი შემოგვრჩენია მტვერჩამკვდარი ფოლიანტების მეოხებით...

უფლისა და ერის რჩეულთა ღირსსაცნობი კოჰორტის ერთ-ერთ უსაჩინოეს სვეტად მესახება მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან საზოგადო ასპარეზზე მრავალმხრივი

ნიჭიერებით ჩენილი მეცნიერი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, ევროპული ენებისა და ლიტერატურის ღრმად მცოდნე, დისიდენტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ერისკაცი – ზვიად გამსახურდია.

ამ მართლაც დიდმა მამულიშვილმა, როგორც მთელი თავისი ღირსსახსოვარი, ბობოქარი და ქედდაუხრელი ცხოვრება, ასევე, სიცოცხლის უკანასკნელი თვეებიც, მარტვილისამებრ გაატარა და რჯულშეცვლილ, ნაკაცარ თვისტომთა მიერ დევნილმა და ნაღალატევმა, ჯარეგელი მოყმის – ალხასტაისძის დარად, მარტოკამ იომა მისთვის ჩვეული ვაჟკაცობით და საომარ ველზევე აღესრულა ისე კაცურად, როგორც ეკადრებოდა ილია ჭავჭავაძის სულიერსა და კონსტანტინე გამსახურდიას ზნემაღალ შთამომავალს ...

ამგვარი ტიტანი ერისკაცის თვალშეუდგამ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მომავალში უსათუოდ შეიქმნება ვრცელი მონოგრაფიები... წინამდებარე პუბლიცისტური წერილის უპირატესი პათოსი კი გახლავთ მარტოოდენ დიდი ზვიად გამსახურდიას უებრო და წარუვალი ხსოვნისადმი პატივდების დასტურყოფა...

Teona abaSiZe

* * *

,,ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასურად, თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, არაფერი გამოგივა ხელიდან'' _ ამბობდა სისტვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია.

გაზეთებში ყოველდღიურად უამრავი მოთხრობა თუ ლექსი იბეჭდება, მაგრამ ძალიან ცოტაა ისეთი, რომელშიც ავტორს გულის სისხლი ჩაუწურავს. დღეს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით პოეტებს, რეჟისორებს, მსახიობებს, მაგრამ არა და არ ჩანს გალაკტიონი, ახმეტელი, ვერიკო...

გადის დრო და უფრო ვრწმუნდები, რომ სიბნელისაკენ და უფსკრულისაკენ მიექანება ქართული ხელოვნება, რაც არა მარტო გლობალიზაციის, არამედ თითოეული ჩვენთაგანის ბრალია. უძეგლოდ დაიკარგა ბევრის სახელი, ზოგის ძეგლი კი ამოძირკვეს უმეცრებმა ჭეჯუათხელობით...

წარმოიდგინეთ, რა ცარიელი იქნება ეს სამყარო ქართული ჰანგების გარეშე. ქართული მრავალჟამიერის, ქართული ღვინის, ქართული სადღეგრძელოს გარეშე: ,,ამაოება, ამაოთა და ყოველივე ამაოა''.

ქართველი კაცი ბუნებით ხელოვანია ომშიც და ლხინშიც; მხოლოდ ქართელს შეუძლია, იხილოს მებრძოლი, ქვრივი დედა და შემდეგ მას ძეგლი დაუდგას. მადლობა უფალს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს თვალსაწიერშია ,,კიდევაც დაიზრდებიან'', ,,ქართლის დედა'', ,,გიორგი სააკაძე''.

ხელოვნებაა თუნდაც ის, თუ როგორ უვლის და ელოლიავება ქართველი კაცი ვენახს; ყველას არ ძალუძს სიყვარული მშობელი მიწის...

რას სჩადიხართ ხალხნო?! რატომ აარ ვუფრთხილდებით ქართულ სიტყვას, ქართულ ფესვებს... განა განვმეორდებით?! მაგრამ, ჩვენ ხომ ოდითგანვე ასე მოგვდევს ,,უაზროდ მივსტირით წარსულს, ვოცნებობთ მომავალზე და გზააბნეული, უმიზნოდ ვფლანგავთ ჩვენთვის კუთვნილ დროს''.

უნდა ვაკეთოთ და ვწეროთ დღეს ისეთი რამ, რითაც უნდა ისაზრდოონ მომავალმა თაობებმა, იკვებონ და იხარონ ქართული ხელოვნებით;

მე ერთი დღეც კი ვერ წარმომიდგენია ქართული საგალობლის გარეშე, ან ქართული სუფრა იქნებოდა, ქართული ლექსის გარეშე _ მაშ, რატომ ვივიწ-

ყებთ ჩვენს ტრადიციებს, ქართულ ჰანგს და რატომ ვეგებით ფეხქვეშ ამერიკა-ნიზაციის ოკეანეს?

თუ ვერ შეითვისეს და განუდგნენ გალაკტიონს ჩვენი შვილები, რაღა აზრი ექნება მათ ცხოვრრებას?! ჩვენ ხომ სიყვარულთან გავაიგივეთ ეს დიდი პოეტი და თუ: ,,უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე'', ადამიანი როგორ იცოცხლებს?

მე ეჭვი მაქვს, რომ ვინმემ კიდევ აუხსნას დედამიწის გულზე სიყვარული, უთხრას სიტყვები ,,მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალებიანო'', როგორც ტატო კარნახობდა შეყვარებულ მამაკაცებს.

ბუმბერაზი მწერლები როგორ არ იყვენენ და არიან მსოფლიოში, მაგრამ ქართველი კაცის გარდა, აზრად თუ მოუვიდა ვინემს ლექსი მიეძღვნა ,,შემოღამებისათვის, მესაფლავისათვის, ,,დაბინდულ ქლიავის ფერი მშობლიური მთებისათვის?''

ნურასოდეს ჩათვლით, რომ რაღაც დაგვიანდა. თუ სწორ გზას ვირჩევთ, ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება; ყოველი წამი ძვირფასია ჩვენთვის, რადგან გადის წამი და წარსულს კიდევ ერთი წამით ვშორდებით, თუ ვინმე დარჩით, ქართული ხელოვნების მოდარაჯენი, ჩავებღაუჭოთ და არ მივცეთ ნება. გადაეშვას ქართული ფენომენი ფანჯრიდან, როგორც გალაკ-ტიონი...

მე დაგელოდებით თქვენ ნამდვილნო ქართველნო, ჩემს გულის დარდებს კი ისევ მომტაცებს სველი ბათუმი და მტირალას მთაზე გარდააქცევს მწარე ცრემლებად.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

P A R A L L E L I

Literary-Scientific Journal

მთავარი რედაქტორი:
რ ე ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე
სარედაქციო კოლეგია:
მერაბ ახობაძე
გიორგი გაჩეჩილაძე
ჯემალ გახოკიძე
ვახტანგ დავითაია
ივანე თვალავაძე
იგორ კვესელავა
ნიკოლოზ კიწმარიშვილი
ჰენრი კუპრაშვლი
შალვა ნაჭყებია
ვაჟა პაპასკირი
გიორგი სალუქვაძე
სოსო სიგუა
(რედაქტორის მოადგილე)
არჩილ ფრანგიშვილი
ქეთევან ქოქრაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე
ბადრი ცხადაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
თემურ ჯაგოდნიშვილი
ანანია ჯაფარიძე

EDITOR:
R E V A Z M I S H V E L A D Z E
EDITOR STAFF:
MERAB AKHOBADZE
GIOGRI GACHECHILADZE
JEMAL GAKHOKIDZE
VAKHTANG DAVITAIA
IVANE TVALAVADZE
IGOR KVESELAVA
NIKOLOZ KITSMARISHVILI
HANRY KUPRASHVILI
SHALVA NACHKEBIA
VAZHA PAPASKIRI
GIORGI SALUQVADZE
SOSO SIGUA
(DEPUTY EDITOR)
ARCHIL FRANGISHVILI
QETEVAN QOQRASHVILI
RUSUDAN QUTATELADZE
BADRI TSKHADADZE
(EXECUTIVE SECRETARY)
TEMUR JAGODNISHVILI
ANANIA JAPARIDZE

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGENEERING FACULTY
ყდის დიზაინერი **ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ა ვ ი თ ა ი ა**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად,
აღდგა 2011 წელს.

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა
Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
Tbilisi, kostava 77; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru